ეროვნული ბიბლიოთეკა



# პირადი შეფასებები, აღქმები, აზრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პირადი შეფასებები, აღქმები, აზრები

ედუარდ შევარდნაძე

გამომცემლობა "საქართველო"
თბილისი 1998

კრებულის შემდგენლები: გიორგი გაბუნია
ნუგზარ რეხვიაშვილი
წიგნის VI და XI თავები შეადგინა პაატა კოლუაშვილმა

რედაქტორები: პაატა კოლუაშვილი
მამუკა კარტოზია

დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა: ბესო პოპიაშვილი

კრებულის შემდგენლები გულითად მადლობას სწირავენ ბატონებს: ირაკლი ანდრიაძეს, თეიმურაზ კვირკველიას, სულხან მოლაშვილს, რევაზ თევზაძეს, აკაკი ჩხაიძეს, გივი თალაკვაძეს, "გაერთიანებული ქართული ბანკის", "აბსოლუტ-ბანკის", "საქართველოს ბანკის", "TBC ბანკის", კორპორაცია "GHF"-ის მესვეურთ, წიგნის მომზადებისა და ხარისხიანად გამოცემის საქმეში გაწეული თანადგომისათვის, უშურველი ორგანიზაციული და ფინანსიური დახმარებისათვის.

© შემდგენელთა უფლებები დაცულია

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
E 107.567

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეპოქა და პიროვნება

წიგნი "პირადი შეფასებები, აღქმები, აზრები - ედუარდ შევარდნაძე", რიგით მესამეა სერიიდან "ეპოქა და პიროვნება". იგი 1996 წელს წამოიწყეს ქალბატონმა ნესტან კირთაძემ და ბატონმა გიორგი გაბუნიამ. დღემდე გამოქვეყნდა ორი წიგნი "ამას ვამბობ და ვღაღადებ – ილია ჭავჭავაძე", "სიმართლეს ვერსად წაუხვალთ – იაკობ გოგებაშვილი".

გამოსაცემად მზადდება "აზრები საზენაონი – ვაჟა ფშაველა", "რასაც ვგრძნობ, კიდეც ვამბობ – აკაკი წერეთელი". ამის გარდა მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა ნიკო ნიკოლაძის, არჩილ ჯორჯაძის, მემედ აბაშიძის, ზვიად გამსახურდიას შემეცნებითი ხასიათის აღქმებისა და აზრების შესაკრებად.

წიგნი "პირადი შეფასებები, აღქმები, აზრები" საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პარტიული, პოლიტიკური, დიპლომატიური და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის პერიოდში (1952 წლის 17 იანვრიდან 1998 წლის 1 მარტამდე) გამოცემული წიგნებიდან, გამოქვეყნებული მოხსენებებიდან, ინტერვიუებიდან, ოფიციალური განცხადებებიდან და პუბლიცისტური წერილებიდან ამოკრეფილი, თემატურად და ანბანის რიგზე (წყაროების ჩვენებით) განლაგებული სენტენციების, მაქსიმების, პირადი შეფასებების, შემეცნებითი ხასიათის აღქმებისა და აზრების სისტემატიზებული ხასიათის კრებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რედაქტორისაგან

ამ წიგნში ედუარდ შევარდნაძის მეხოტბეცა და მაძაგებელიც ბევრ საზრდოს იპოვის, მაგრამ წიგნის შემდგენელი არც ერთისათვის არ გარჯილა.

ედუარდ შევარდნაძე სტალინის შემდგომი ეპოქის თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურაა. მან გაიარა გზა კომკავშირული ლიდერიდან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის პირველ პირამდე, იყო მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1992 წელს აირჩიეს დამოუკიდებელ, მაგრამ სამოქალაქო ომსა და ქაოსის კოშმარში ჩაფლული საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ — სახელმწიფოს მეთაურად, 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტად.

წიგნში თავმოყრილი გამონათქვამები, რომლებიც სხვადასხვა ვითარებაში, სხვადასხვა პრობლემებთან მიმართებაშია მოხმობილი, უპირველესად შესანიშნავად ახასიათებს ედუარდ შევარდნაძის მსოფლმხედველობრივი განვითარების გზას, ეპოქას, კონკრეტულ დროს, რომლის მაჯისცემასაც დიდი ხნის შემდგომაც შეიგრძნობს დაკვირვებული მკითხველი.

ზოგ გამონათქვამს კონიუნქტურის დამღა აჩნია — პარტიული მოღვაწე საბჭოურ ეპოქაში ვერასგზით ასცდებოდა ამას; ასეთი იყო მაშინდელი "თამაშის" წესი, მაგრამ ედუარდ შევარდნაძის მთელი ცხოვრება გამოსავლის ძიება იყო, ძიება იმ გზისა, რომელიც საკუთარ ხალხსა და ქვეყანას უკეთესი მერმისისაკენ წაიყვანდა — ეს მაგისტრალური ხაზიც აშკარად იკვეთება ათეული წლების განმავლობაში გამოჩენილი პოლიტიკოსის მოღვაწეობაში.

ეს წიგნი ერთ პიროვნებაში კონცენტრირებული ქართული პოლიტიკური აზრის განვითარების თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიაა, ქართული პოლიტიკური აზრისა, რომელიც, ჩვენდა სამაყოდ, მხოლოდ ეროვნული სივრცით არ შემოფარგლულა და ზოგად საკაცობრიო პრობლემებს გადასწვდა.

ვფიქრობ, პირუთვნელი მკითხველი, წიგნის წაკითხვის შემდეგ გაიზიარებს ამ შეფასებას.

პაატა კოღუაშვილი

# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორისაგან ______ 4

I. ადამიანის ბუნების, რაობის, დანიშნულების, როლის, არსის, უფლება-მოვალეობის, ცხოვრების წესის, კეთილდღეობის, უნარის, კეთილგანწყობის, ჯანმრთელობის, ქალისა და დედის შესახებ. ______ 7

II. ისტორიის, ერის, ხალხის, ცხოვრების, ქვეყნიერების, ამიერკავკასიის, კავკასიის, დამოუკიდებლობის, მშვიდობის, თავისუფლების, სარწმუნოების, ეკლესიის, განგების, ბუნების, ეკოლოგიის, პროგრესის, ცივილიზაციის, ერთობისა და დროების შესახებ. ______ 22

III. საზოგადოებრივი აზრის, დემოკრატიის, სახელმწიფოებრივი მმართველობის, პარლამენტარიზმის, კონსტიტუციის, არჩევნების, დეპუტატის სტატუსის, ოპოზიციის, დიქტატურის, სამოქალაქო საზოგადოების, სიმართლის, სამართლიანობის, კანონის, კანონზომიერების, კონტროლის, დისციპლინის, ადამიანის უფლებათა დაცვის, საზოგადოებრივი კრიტიკის, თვითკრიტიკის, მართლმსაჯულებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. ______ 50

IV. საქართველოს, ქართველობის, ქართული ენის, სამშობლოს, მამულის, მამულიშვილობის, ქრისტიანობის, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, ტრადიციების, რუსეთ-საქართველოს, ქართულ-ებრაული, საქართველოსა და ქართველ ერთან სხვა ხალხების ურთიერთობის შესახებ. ______ 80

V. დიდი ქართველი მეფეების, ერისკაცების, მოაზროვნეების, მწერლების, პოეტების, სწავლულების, ხელოვნების დარგის წარმომადგენლების, გმირების, საერო, სასულიერო და საზოგადო მოღვაწეების შესახებ. ______ 182

VI. ეკონომიკის, ბიუჯეტის, შრომის, საქმის, ვაჭრობის, კომერციის, მებაჟეობის, მიწის, ბანკის, ბიზნესის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეწარმეობის, პრაქტიკის, გამოცდილების, ნოვატორობის, ოპერატიულობის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ტურიზმის, სოციალური უზრუნველყოფის, პროფკავშირების, კადრებისა და ხელმძღვანელის როლის შესახებ. ______ 217

VII. იდეის, აზრის, აზროვნების, ინტელექტის, ნიჭიერების, გენიოსების, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, მწერლობის, ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის, ინტელიგენციის, პრესის, ტელევიზიის, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის შესახებ. ______ 242

VIII. სწავლა-აღზრდის, განათლების, ცოდნის, სკოლის, წიგნის, პედაგოგიკის, მასწავლებლის დანიშნულების, ენის, ახალგაზრდობის, არმიის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ. ______ 271

IX. პატიოსნების, ზნეობის, სინდის-ნამუსის, მორალის, ეთიკის, ღირსების, იმედის, რწმენის, მრწამსის, კაცობის, ავტორიტეტის, პასუხისმგებლობის, პრინციპულობის, ვაჟკაცობის, ოპტიმიზმის, თავმდაბლობის, კეთილშობილების, გმირობის, მეგობრობის, თანადგომის, ბედნიერების, სიყვარულის, სიკეთის, ნდობის, ტოლერანტობისა და ჰუმანიზმის შესახებ. ______ 291

X. დიპლომატიის, პოლიტიკის, პოლიტიკოსობის, პოლიტიკური კულტურის, სტაბილურობის, პოლიტიკური ლიდერის, ბირთვული იარაღის, განიარაღებისა და უშიშროების შესახებ. ______ 320

XI. პრეზიდენტების, დიდი სახელმწიფო მოღვაწეებისა და მსოფლიო რანგის პოლიტიკოსების შესახებ. ______ 389

XII. სეპარატიზმის, ძალმომრეობის, ძალადობის, დესტრუქციის, დემაგოგიის, ბიუროკრატიზმის, პროტექციონიზმის, ფორმალიზმის, პროვინციალიზმის, შოვინიზმის, კონსერვატიზმის, კორუფციის, ბოროტების, რადიკალიზმის, ნარკომანიის, ტერორიზმის, ტერორისტების, უნიჭობის, უნიათობისა და უზნეობის შესახებ. ______ 396

# I. ადამიანის ბუნების, რაობის, დანიშნულების, როლის, არსის, უფლება-მოვალეობის, ცხოვრების წესის, კეთილდღეობის, უნარის, კეთილგანწყობის, ჯანმრთელობის, ქალისა და დედის შესახებ

1. ...აგრესიული სეპარატიზმი არა მარტო იძულების ხერხით დაიძლევა, არამედ დედის ცრემლითაც. („საქართველოს რესპუბლიკა", №205, 1996 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 3).

2. ადამიანები, კადრები... სახელმწიფოს ყველაზე ძვირფას, ყველაზე დიდ კაპიტალს, ოქროს ფონდს წარმოადგენენ. (ე.ა. შევარდნაძე, „კადრებთან მუშაობა — თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 5).

3. (ადამიანებს — შემდგენლები*)... მოკლე მეხსიერება გვაქვს — ეს ადამიანის თანმდევი სენია („საქართველოს რესპუბლიკა", №280, 1997 წლის 9 ნოემბერი, გვ. 2).

4. ...ადამიანთა ზოგადი განათლებისა და პროფესიული მომზადების დონის თვისობრივი ამაღლება თანამედროვე ეტაპზე, მათი პოლიტიკური და ეთიკურ-ესთეტიკური კულტურის ზრდა... განსაზღვრავს ადამიანის შეგნებული და აქტიური როლის ამაღლებას ყოველგვარი ნეგატიური ტენდენციისა და მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლაში. (ე.ა. შევარდნაძე, „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. — საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 99).

5. ადამიანი არ არის ხელსაწყო, რომელიც ღილაკის დაჭერით შეიძლება ჩაირთოს ან გამოირთოს. ის თუ ანათებს — ხელს ნუ შეუშლით, ისარგებლეთ მისი ნათელით. წყვდიადს თუ ამკვიდრებს — შეძელით ამაში ირგვლივ მყოფთა დარწმუნება. მაგრამ თქვენი საკუთარი სურვილით მისი „გამოთიშვა", როგორც ეს ოდესღაც ხდებოდა, უკვე აღარ შეიძლება.

იდეის თანახმად ასეა, პრაქტიკაში კი განაგრძობენ, ცდილობენ მის გამოთიშვას და წარმატებასაც აღწევენ. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 26-27).

6. (ადამიანი არის ის — შემდგ.)... მასშტაბი, რომელსაც „მთელი სამყაროს მომცველობასთან" ერთად აქვს ის მთავარი, ეგებ მცირე, მაგრამ მაინც ყველა დროისათვის დიადი დანაყოფი, ის მთავარი „ერთეული განზომილებისა", რომლითაც უნდა განისაზღვრებოდეს

* შემდეგში — შემდგ.

ყველაფერი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 257).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ადამიანი არის ყველაფრის საზომი. ადამიანი უზენაესი ფილოსოფიური და პოეტიკური ღირებულებაა. ეს არის ჩვენი დემოკრატიისა და ჰუმანიზმის საფუძველთა საფუძველი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №95-96, 1994 წლის 26 მაისი, გვ. 1).

8. ადამიანი და ცხოვრება იმდენად რთული მოვლენაა, რომ არ შეიძლება მათი ურთიერთმიმართების დიალექტიკა გავაპრიმიტიულოთ, გავაღარიბოთ, ერთგანზომილებიან ფენომენად ვაქციოთ. ("კრიტიკა", №4, 1982, გვ. 30).

9. ...ადამიანი, როგორც ცნობილია, თავისთავად არ არსებობს. იგი ცხოვრობს, მუშაობს, ავითარებს თავის უნარს შრომითს კოლექტივში – საზოგადოების თავდაპირველ, ძირითად საბაზო უჯრედში. ("კომუნისტი", №83, 1983 წლის 9 აპრილი, გვ. 1).

10. ადამიანი, რომელიც მძაფრად გრძნობს, რომ ცხოვრობს ადამიანთა შორის და ადამიანებისათვის, უგულოდ ვერ იმუშავებს*. ("კომუნისტი", №82, 1974 წლის 7 აპრილი. გვ. 2).

11. ადამიანი სამყაროს ბუნებრივი ნაწილაკია. იგი მუდამ დიალექტიკურ ურთიერთმოქმედებაშია იმასთან, რაც გარს არტყია. და რაც უფრო ღრმად ვწვდებით იმ ობიექტურ კანონებს, რომლებითაც ცხოვრობს და ვითარდება ბუნება და საზოგადოება, რაც უფრო ემორჩილება ჩვენს გონებას გარესამყარო, მით უფრო გულუხვად გვიბოძებს ბუნება თავის აურაცხელ სიმდიდრეს. სწორედ ამიტომ იყო კაცობრიობის უმაღლესი მიზანი და მამოძრავებელი ძალა ბუნების საიდუმლოებების, მიმდინარე ობიექტური პროცესების არსის გაგების სურვილი. ("კომუნისტი", №284, 1981 წლის 11 დეკემბერი, გვ. 1).

12. ადამიანი სამყაროს საუკეთესო მშვენებაა! ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 168).

13. ადამიანი საწყისთა საწყისია! ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 168).

14. ...ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, პასუხს უნდა აგებდეს საკუთარი თავისათვის. ("კომუნისტი", №29, 1977 წლის 4 თებერვალი, გვ. 2).

15. ადამიანი ქვეყნად ყოველივე მშვენიერის შემოქმედია! ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №81, 1974 წლის 6 აპრილი, გვ. 2 (შემდ.).

მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 168).

16. ადამიანია ყველაფრის საზომი, ჩვენი პოლიტიკის მთავარი კრიტერიუმი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №164, 1995 წლის 7 ნოემბერი, გვ. 2).

17. ...ადამიანი — ყოველთვის ესწრაფვის აღნუსხოს ის, რაც მას ასულდგმულებს, მის გრძნობებსა და აზრებს წარმართავს, რაც გამოსცდის მის სიმტკიცეს, სულის სიძლიერეს და მრწამსს. ("კომუნისტი", №298, 1978 წლის 27 დეკემბერი, გვ. 1).

18. ადამიანის კეთილდღეობა უნდა გახდეს ჩვენი მთავარი, ყველაზე დიდი საქმე! ("კომუნისტი", №139, 1978 წლის 14 ივნისი, გვ. 2).

19. ადამიანის კეთილდღეობის დონე უნდა შეესაბამებოდეს მისი შრომის საზოგადოებრივი ღირებულების დონეს. როცა ეს შესაბამისობა ირღვევა, ადამიანი საზოგადოებისგან იღებს მეტს, ვიდრე თვითონ აძლევს საზოგადოებას, და რაჭან ეს ასეა, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ვიღაცამ საზოგადოებისგან მიიღო უფრო ნაკლები, ვიდრე მას ერგებოდა მის მიერ შექმნილი ღირებულების შესაბამისად. საზოგადოებაში ყოველთვის ზარალობს ვინმე, თუ ვიღაც იღებს მეტს, ვიდრე თვითონ იძლევა. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 113).

20. ადამიანის სიცოცხლე არის უმაღლესი ფასეულობა და საზოგადოებრივი განვითარების მთავარი მიზანი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 23).

21. ადამიანის სულიერი სამყარო ურთულესი სამყაროა და მის იდუმალებათა შეცნობა სულაც არ არის უფრო იოლი, ვიდრე მაკროსამყაროს — მთელი სამყაროს საიდუმლოებათა ამოხსნა*. ("კომუნისტი", №208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ. 2).

22. ადამიანის უზენაესი უფლება სიცოცხლის უფლებაა. იგი ღვთისაგან არის მინიჭებული, მაგრამ მას დაცვა სახელმწიფოსგან სჭირდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ.1).

23. ადამიანის ტვინის შესაძლებლობანი ჭეშმარიტად უსაზღვრო და ამოუწურავია. (ე. ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. — საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 173).

24. ადამიანის ფაქტორს თუ ეყრდნობით, თუ შეგნებულად აფხიზლებთ და ამკვიდრებთ მას ცხოვრებაში, თუ აძლევთ მას აქტიური თვითგამოხატვის უფლებას, უკვე აღარ შეიძლება, — უბრალოდ, უფლება არა

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7, 1979, გვ. 7 (შემდ.).

გაქვთ, — ანგარიში არ გაუწიოთ ადამიანს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 26).

25. (ადამიანის შინაგანი ღირსებების — შემდგ.)... საქმეა, ვინ როგორ მოიხმარს წილადხვდომილ შესაძლებლობას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა, "განათლება", 1992, გვ. 323).

26. ადამიანის ცხოვრება საზოგადოებრივი განვითარების უმაღლესი მიზანია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 98).

27. ადამიანის ცხოვრებაში დადგება ხოლმე ჟამი, რომელსაც თითქოს მაღალ მწვერვალზე აჰყავს იგი, ამაღლებს და აშორებს ყოველდღიურობას. ასეთ ჟამს კაცი უფრო გამჭრიახი ხდება. აზრი მისი ჩვეულებრივზე მეტად სწვდება სიღრმეს და უეცრად გადაშლილი სივრცის წინაშე უფრო მეტი ძალით გრძნობს პასუხისმგებლობასა და თავისი დანიშნულების მთელ სიდიადეს. ("კომუნისტი", №106, 1978 წლის 5 მაისი, გვ. 2).

28. ადამიანისათვის ზრუნვა მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ უმაღლეს ღირებულებად მიიჩნიო იგი, არამედ იმის ცოდნასაც, თუ როგორია იგი და როგორი უნდა იყოს. ეს ნიშნავს ნათელი, მეცნიერულად დასაბუთებული წარმოდგენა გვქონდეს ადამიანის ბუნებასა და არსზე, მის როლსა და დანიშნულებაზე, მისი ცხოვრების აზრზე, ადამიანის იდეალზე. ("კომუნისტი", №29, 1977 წლის 4 თებერვალი, გვ. 4).

29. ადამიანს უნდა ჰქონდეს არჩევანის თავისუფლება, ადამიანმა თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 120).

30. ადამიანს უფლება უნდა მიეცეს, აირჩიოს რწმენა. ყოველ შემთხვევაში, — სრულასაკოვან ადამიანს უნდა მიეცეს ამის უფლება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა განათლება", 1992, გვ. 119).

31. ამოუწურავია ადამიანზე სულიერ ღირებულებათა... ზემოქმედების ძალა. (ე. ა. შევარდნაძე "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. — საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 108).

32. არ არის და არაფერი შეიძლება იყოს ადამიანზე ძვირფასი, ადამიანზე უმაღლესი, ადამიანზე უმშვენიერესი. ადამიანი ჭეშმარიტად ჩვენი ყველაზე ფასდაუდებელი საუნჯეა, ჩვენი მთავარი, უდიდესი კაპიტალია.

სწორედ ამიტომ ჩვენ... გვსურს, რომ კიდევ უფრო ამაყად ჟღერდეს სიტყვა — ადამიანი! ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 168).

33. არ არსებობს უფლება მოვალეობის გარეშე და მოვალეობა — უფლების გარეშე. არსებობს შრომის უფლება, მაგრამ შრომა იმავე დროს მოვალეობაც არის. იგივე ითქმის სხვა უფლებებსა და მოვალეობებზე. ისინი ერთმანეთისაგან არ არის იზოლირებული, განცალკევებული, მოწყვეტილი. უფლება და მოვალეობა ქმნის ერთიან სინთეზს. ("კომუნისტი", №89, 1978 წლის 15 აპრილი, გვ. 3).

34. არავინ არა ვართ უცოდველი, ხალხს არ ვგულისხმობ. ("ახალგაზრდა ივერიელი", №46-47, 1992 წლის 15 აგვისტო, გვ. 1).

35. არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ადამიანს ერთი ადლით ვერ მივუდგებით, ყველა როდია ერთნაირი... ყოველ ჩვენგანს აქვს თავისი, განსხვავებული ხასიათი. ("კომუნისტი", №156, 1985 წლის 7 ივლისი, გვ. 2).

36. ...არაფერი არ ფასობს ისე ძვირად, როგორც ადამიანი, მისი ჯანმრთელობა, მისი კეთილდღეობა, ფიზიკური წრთობა. ("კომუნისტი", №162, 1977 წლის 13 ივლისი, გვ. 1).

37. არიან ადამიანები, რომლებიც მომხდარ მოვლენებს მხოლოდ ერთი "სანგრიდან" უყურებენ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 174).

38. ...არის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტაში ქალის გულსა და გონებას ვერავინ შეცვლის. ("საქართველოს რესპუბლიკა". №38, 1995 წლის 8 აპრილი, გვ. 1).

39. (აუცილებელია — შემდგ.)... რომ ყველა მოქალაქე ასრულებდეს თავის მოვალეობას საზოგადოების წინაშე*. ("კომუნისტი", №209, 1977 წლის 7 სექტემბერი, გვ. 1).

40. ბევრი რამ არის დამოკიდებული ადამიანის სულიერ სამყაროზე, მის ფსიქოლოგიაზე, იდეალებზე, მრწამსზე. ("საქართველოს კომუნისტი", №3, 1980, გვ. 23).

41. გაზაფხულის... დღეები სხვადასხვაგვარ გრძნობებს, განცდებსა და სურვილებს აღუძრავს ადამიანებს, დიდ უმრავლესობაში — იმედიან განწყობილებას თესავს, ბრძოლის და შემოქმედების სურვილს აღვივებს.

მაგრამ გაზაფხულმა ზოგჯერ ისეთი გრძნობების აშლაც იცის, რომელთაც სასიკეთო გზისკენ არ მივყევართ ("საქართველოს რესპუბლიკა", №78, 1997 წლის 5 აპრილი, გვ. 1-2).

42. დედის დღე... ალბათ... ყველაზე კეთილშობილი დღესასწაულია საქართველოში, რომელიც თითოეულ ადამიანს აფიქრებს საკუთარ საწყისზე, მშობლის მიმართ პასუხისმგებლობაზე, იმ სათნო შეგრძნებაზე,

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა", №249, 1977 წლის 6 სექტემბერი, გვ. 2 (შემდგ.).

რასაც დედაშვილობა უწოდა წინაპარმა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №51, 1997 წლის 5 მარტი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

43. ეს (ადამიანის ტვინი — შემდ.) უნაზესი და დაუცველი, ამასთანავე, ყოვლისშემძლე სუბსტანციაა. მაგრამ, ვაი რომ, მისი ყოვლისშემძლეობა უფრო ხშირად ვლინდება სიახლის მიმართ მძვინვარე წინააღმდეგობაში. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 94).

44. ეტყობა, ადამიანის ფიზიკური და სულიერი სიმტკიცის საფუძველი ბავშვობიდან ჩვევად ქცეული შრომა, ბრძოლა და ჯოჯოხეთური დატვირთვაა, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს ეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №4, 1998 წლის 6 იანვარი, გვ. 2).

45. ვერაფერი ჩაახშობს გრძნობას, თუ, რასაკვირველია, ის არსებობს... (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 53).

46. ვთვლი, რომ ღიმილი, ისევე როგორც იუმორი, გარკვეული ჯილდოა ადამიანისათვის. ღიმილს დიდი მნიშვნელობა აქვს. ღიმილი პიროვნების განწყობილებას გამოხატავს, გარდა ამისა, ერთი ადამიანის ღიმილს შეუძლია კარგად განაწყოს მეორე ადამიანი. ("დრონი", №37, 1993 წლის 9 ივნისი, გვ. 4).

47. ვიცი, იმასაც ამბობენ, სიცილი და იუმორი თითქოს დამუშავებული მაქვს, სადაც როგორ სჭირდება ისე იყენებსო. მართალია, იუმორი და ღიმილი ზოგჯერ ისეთ სიტუაციას განმუხტავს, სხვა მხრივ რომ ვერასგზით მოხერხდებოდა, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, თუ ამის უნარი, ბუნებრივად არ მოგდგამს, რაც გინდა ეცადო, რა გამოგივა? ჩემი სიცილი, იუმორი, კუშტი სახე თუ მტკივნეული რეაქციები ნამდვილად ჩემია, ბუნებრივი, თანდაყოლილი, მე მუდამ ვცდილობ ვიყო ის, რაც სინამდვილეში ვარ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №65, 1994 წლის 21 აპრილი, გვ. 3).

48. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ადამიანს თავის თავზე უფრო საშიში მტერი არა ჰყავს. და ვიდრე შენს სიახლოვეს მეგობარს მოძებნიდე, მეგობარი ჯერ შენს საკუთარ თავში უნდა მოიპოვო. ამას კი ვინ როგორ ახერხებს... (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 323).

49. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ადამიანის შეგნება, აზროვნება ეგუება და ეჩვევა ნაკლოვანებებს, ნეგატიურ მოვლენებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №62, 1995 წლის 6 ივნისი, გვ. 2).

50. თავს კარგად ვგრძნობ ადამიანებთან, რომლებსაც იუმორის გრძნობა აქვთ*. ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1998 წლის 27 იანვარი, გვ. 3).

51. თითოეული ადამიანის დაინტერესების დონე მისი პასუხისმგებლობის

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "ნოვიე იზვესტია", 1998 წლის 22 იანვარი (შემდ.).

დონის ადეკვატური, ეკვივალენტური უნდა იყოს. ("კომუნისტი", №29, 1977 წლის 4 თებერვალი, გვ. 2).

52. თუ კაცს იდეალები არა გაქვს, თუ მათი გამარჯვება არ გწამს, ძალზე გაგიჭირდება, ის კი არა, ასე ვერც იცხოვრებ.* ("საქართველოს კომუნისტი", №1, 1985, გვ. 34).

53. იუმორის გრძნობა, გონებამახვილობა... ადამიანის საერთო კულტურის, მისი მოქნილი ინტელექტის მაჩვენებელია. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 171).

54. ...კარგი ჯანმრთელობა მაღალი შრომის ნაყოფიერების საწინდარია, მისი შემდგომი ინტენსიფიკაციის უცილობელი პირობაა. ("ლელო", №19, 1984 წლის 26 იანვარი, გვ. 1).

55. კაციც არის და კაციც: ყველა ერთნაირი ვერ იქნება.** ("კომუნისტი", №199, 1981 წლის 29 აგვისტო, გვ. 1).

56. მთელი ჩემი ცხოვრების მიმდინარეობა სავსებით საკმარისი იყო, რათა, პლატონის სიტყვებით რომ ვთქვა, ადამიანის სულის სიღრმეში მუდმივად წარმოებულიყო უხმო დიალოგი საკუთარ თავთან ("საქართველოს რესპუბლიკა", №234, 1997 წლის 18 სექტემბერი, გვ. 2).

57. ...მთელი ჩვენი მუშაობის საბოლოო შედეგი და მიზანია ადამიანი, მისი კეთილდღეობა, მისი სულიერი და ფიზიკური განვითარება. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 48).

58. მილეულ ცეცხლზე უფრო ნაღვლიანი სანახაობა არ არსებობს, ნაკვერჩხალი იღველფება, ღველფიდან ერთხანს შენამდე აღწევს სითბო, მაგრამ წუთები გადის და სიცივე აგიტანს. ბედნიერებაა ამ დროს შენს გვერდით თუ არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია ცივი ფერფლის გაქექვა, სასწაულით გადარჩენილი ნაპერწკლის მონახვა და ალად მისი აბრიალება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 143).

59. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ხანაში თავად მეცნიერება ხდება უშუალო საწარმოო ძალა, თვით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მამოძრავებელ ძალას, ძირითად საწარმოო ძალას მაინც, ისევე როგორც წინათ, ადამიანი წარმოადგენს. (ე.ა. შევარდნაძე, კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. –

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "კომუნისტ", №18, 1984, გვ. 27 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №34, 1981 წლის 29 აგვისტო, გვ.1 (შემდგ.).

საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 16-17).

ეროვნული ბიბლიოთეკა

60. მომწონს, როცა ადამიანი თავის საქმეს ღიმილით აკეთებს და იცის გონებამახვილური სიტყვის ფასი. ჩვენ ხომ ყველანი ადამიანები ვართ და ერთმანეთის გონებისა და გულისკენ სავალ გზებს ვეძებთ. თუ პარტნიორთან თანხმობის მიღწევა გვსურს, ღიმილიც უნდა შეგეძლოს და გონივრული ხუმრობაც, თუმცა, არის შემთხვევები, როცა არც გეხუმრება და არც გეღიმება. მაშინ საქმეს კუშტი სახე აგვარებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №65, 1994 წლის 21 აპრილი, გვ. 3).

61. მრავალშვილიანი დედები, მრავალშვილიანი ოჯახები მარტო მატერიალურად კი არ უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი. მათ მიმართ განსაკუთრებული... სახელმწიფო მზრუნველობა უნდა გამოვიჩინოთ, მათ ყველა პატივს უნდა სცემდეს. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 72).

62. მხოლოდ იმ საზოგადოებას შეუძლია ეფექტიანად იზრუნოს თავისი ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების ამაღლებისათვის, რომლის წევრებსაც კარგი ფიზიკური ჯანმრთელობა აქვთ. ("ლელო", №19, 1984 წლის 26 იანვარი, გვ.1).

63. მხოლოდ სრულფასოვანი ჯანმრთელობის მქონე პიროვნებებს შეუძლიათ უმეტესი ეფექტით ნაყოფიერად იშრომონ ფიზიკურად და გონებრივად, სრულად განიცადონ ადამიანებთან, ბუნებასთან და ხელოვნებასთან ურთიერთობის სიხარული, თვით ყოფიერების სიხარული. ("ლელო", №19, 1984 წლის 26 იანვარი, გვ.4).

64. ...ნება მიბოძეთ, დავუჩოქო ქალს, დედას, რომლის წინაშეც არც ერთ მამაკაცს არა აქვს უფლება ხმლის გაშიშვლებისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №208, 1993 წლის 22 სექტემბერი, გვ. 1).

65. ნებისმიერი საქმის ისტორია ყოველთვის ადამიანის ისტორიაცაა. ჩვენს ხვედრს ჩვენივე საქმეები იზიარებენ... (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 9).

66. ნებისმიერი ხუმრობა გარკვეული სიტუაციის ნაყოფია.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1998 წლის 27 იანვარი, გვ. 3).

67. რა თქმა უნდა, უფრო იოლია მიხედო იმას, რაც ზედაპირზე ძევს, ვიდრე ის, რომ სულის სიღრმეში ჩახედო ადამიანს. შეისწავლო მისი აზრები, შეხედულებები, განწყობილება. ("საქართველოს კომუნისტი", №8, 1983, გვ. 43).

68. ...რთულია ადამიანის გრძნობათა პალიტრა, ადამიანის ემოციათა

* თარგმნილია გაზეთიდან: "ნოვოე იზვესტია", 1998 წლის 22 იანვარი (შემდგ.).

გამა, ადამიანის სულიერი სამყარო. სევდაც ისეთივე თანამგზავრია ადამიანის ცხოვრებისა, როგორც სიხარული. („კრიტიკა", №4, 1982, გვ. 30).

ეროვნული ბიბლიოთეკა

69. ...როცა ადამიანს ნათლად აქვს წარმოდგენილი მიზანი, როცა იგი შემოქმედებითად უდგება საქმეს, ზუსტად განსაზღვრავს თავის ადგილს საერთო მწყობრში, გრძნობს, რომ არის ცხოვრების ნამდვილი ბატონ-პატრონი, მაშინ გამრჯედ, შემოქმედებითად, გონივრულად, გულიანად შრომობს. მისთვის მარტო შრომის საბოლოო შედეგი კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ გზებიც, რომლითაც ამ შედეგებს ვაღწევთ. („საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 178).

70. ... როცა ადამიანებს სახეზე აწერიათ სიხარული, ასეთი ემოციის ორგანიზება არ შეიძლება. („საქართველოს რესპუბლიკა", №42, 1997 წლის 21 თებერვალი, გვ.2).

71. როცა ახლობელი ადამიანი გიკვდება, თავად შენში კვდება არა მარტო ნაწილი საკუთარი სულისა, არამედ სამყაროს ის ნაწილიც, რომელიც აღარასოდეს დაგიბრუნდება, აღარ შეივსება, აღარ იარსებებს. („საქართველოს რესპუბლიკა", №40, 1994 წლის 15 მარტი, გვ. 5).

72. (საბჭოთა ეპოქაში — შემდგ.) ... ადამიანი, — სათქმელად რომ „ამაყად ჟღერდა" ჩვენში — სინამდვილეში საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ყოფის საშუალება იყო და არა მიზანი. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 139).

73. საერთოდ, როცა ადამიანები რაიმეს მოიპოვებენ და მიაღწევენ, მერე აღარ ახსოვთ, რა იყო. („საქართველოს რესპუბლიკა", №32, 1994 წლის 26 თებერვალი, გვ. 1).

74. საკუთარი თავით უკმაყოფილება ნებისმიერი ნორმალური ადამიანის ნორმალური თვისებაა. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა, „განათლება", 1992, გვ. 90).

75. საჭიროა ისეთი ატმოსფერო, რომელიც რაიმე კარგის გაკეთების სურვილს აღგვიძრავს. ამის მოთხოვნილება ყოველ ადამიანს აქვს.* („კომუნისტი", №11, 1984 წლის 13 იანვარი, გვ. 1).

76. საჭიროა უკვე ბავშვობიდან გამოვუმუშაოთ ადამიანებს შესაბამისი ნებელობითი თვისებები, ჩავუნერგოთ, რომ მათი ფიზიკური ჯანმრთელობა მთელი სახელმწიფოს სიმდიდრეა. („ლელო", №19, 1984 წლის 26 იანვარი, გვ. 1).

77. სახეს, ანუ... იმიჯს, ქვეყანას მისი ადამიანები უქმნიან. („საქართველოს რესპუბლიკა", №16-17, 1992 წლის 31 იანვარი, გვ. 4).

78. სიკვდილი ყველაფერს არქმევს თავის სახელს. სწორედ სიკვდილის

---

* თარგმნილია გაზეთიდან: „იზვესტია", №12, 1984 წლის 12 იანვარი, გვ. 3 (შემდგ.).

შემდეგ დავინახავთ ხოლმე ყოველი ადამიანის ჭეშმარიტ რაობას, მის სიმაღლეს თუ სიმდაბლეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №73, 1994 წლის 4 მაისი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

79. სამწუხაროდ, ადამიანები ზოგჯერ ცდილობენ, ერთ კონკრეტულ მოვლენაში დაინახონ ყველა უბედურების მიზეზი. ("კავკასიონი", №11, 1994 წლის 16 მარტი, გვ. 4).

80. სტერეოტიპების ტყვეობა მყარი რამ არის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 148).

81. სტილი — ეს ადამიანია! — ამბობს ბრძნული სენტენცია... ყოველ ადამიანს თავისი სტილი აქვს. რაც უფრო მკაფიო და თვითმყოფია ორგანიზატორის... ნიჭი, მით უფრო ნათელია მისი სტილი, მისი ნიჭის მიჯნები. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №69, 1973 წლის 12 ივნისი, გვ. 3).

82. სულიერი განვითარების გარეშე, ისევე როგორც ფიზიკური მოძრაობის გარეშე, არ არის სიცოცხლე.* ("კომუნისტი". №82, 1974 წლის 7 აპრილი, გვ. 2).

83. ტანჯვა-ვაებით მოპოვებული ისტორიული გამოცდილება მოწმობს — ადამიანი იმ იდეას მისდევს, რომლის ჭეშმარიტებაც სწამს.** ("კომუნისტი", №253, 1983 წლის 1 ნოემბერი, გვ. 2).

84. (უნდა ვესწრაფოდეთ სვლას — შემდგ.) ... ღირებულებათა ახალი იერარქიისაკენ, რომლის გვირგვინიც ადამიანის სიცოცხლეა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 138).

85. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენში ყოველი ადამიანი იყოს თავის ადგილზე, რომ ყოველ უბანზე, თითოეული ქვეგანაყოფის სათავეში იყვნენ კომპეტენტური, მცოდნე, გამოცდილი, საქმის მოყვარული და საქმის ერთგული ადამიანები. (ე.ა. შევარდნაძე, "სასურსათო პროგრამა საერთო-პარტიული, საყოველთაო-სახალხო საქმეა! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე 1982 წლის 15 ივნისს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 63).

86. ...უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ, რომ იყო ადამიანი — ეს იმას ნიშნავს, რომ სხვისი ადამიანობაც სცნო. არ ააგო შენი ბედნიერება სხვის უბედურებაზე. სხვას ისე მოექცე, როგორც ისურვებდი, რომ შენ მოგექცნენ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 301).

87. ქალებს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ... დედა ხომ ყოველთვის მშვიდობის დამამკვიდრებელია... ვფიქრობ, საქართველო

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №81, 1974 წლის 6 აპრილი, გვ. 2 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა", №302, 1983 წლის 29 ოქტომბერი, გვ. 2 (შემდგ.).

ქალმა უნდა გადაარჩინოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №38, 1995 წლის 8 აპრილი, გვ. 1).

88. ... ქალმა უნდა გადაარჩინოს სიცოცხლე, რადგან თავად იგია სიცოცხლის დასაბამი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №208, 1993 წლის 22 სექტემბერი, გვ. 1).

89. ქალს სიძულვილის გარემოცვაში არსებობა არ შეუძლია, ქალს არ შეუძლია არსებობა... მშვენიერების გარეშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №208, 1993 წლის 22 სექტემბერი, გვ. 1).

90. ქედს ვიხრი საქართველოს ქალების, დედების, მეუღლეების, ქვეყნის სინდის-ნამუსის წინაშე. თამამად შემიძლია ვთქვა: თუ საქართველო გადარჩა, გადარჩა იგი თქვენი ნებით და თქვენი ზრუნვით. დიდი მადლობა იმისთვის, რომ თქვენ არსებობთ, როგორც ბურჯი ქვეყნის ერთიანობისა და სიძლიერისა, მისი მომავლისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №120, 1997 წლის 27 მაისი, გვ. 3).

91. ქვეყნების განვითარება, მთელი მსოფლიოს კეთილდღეობა და მშვიდობის საქმე მამაკაცების თანასწორად ქალთა ყველა სფეროში მონაწილეობას მოითხოვს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №38, 1995 წლის 8 აპრილი, გვ. 1).

92. ღიმილი თანხმობის, სიამტკბილობის დასტურია, ნორმალური ვითარების მაჩვენებელია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 134).

93. ყველა ადამიანი მოვალეა გაუგოს მეორეს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა გრძნობები გამძაფრებულია. ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული გრძნობების გაგება, ეს ხომ ხალხის გაგებაა, იმაში გარკვევაა, თუ რა აშფოთებს ხალხს, რატომ არის ის განაწყენებული მეზობლებსა და გუშინდელ მეგობრებზე. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 78).

94. ყველა ადამიანი ფიქრობს თავის ხვედრზე და იმაზე, შევა ის ისტორიაში თუ საერთოდ არ შევა.* ("ლიტერატურული საქართველო", №3, 1994 წლის 14 იანვარი, გვ. 5).

95. ...ყველაზე რთული რევოლუცია ის არის, რომელიც ადამიანის შეგნებაში მიმდინარეობს. ეს არის ურთულესი პროცესი, როდესაც ადამიანმა საკუთარ თავს უნდა სძლიოს. ეს ყველას არ შეუძლია სამწუხაროდ. ("იბერია-სპექტრი", №53, 1992 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 2).

96. ყველას... აქვს უფლება, რომ ჰქონდეს თავისი აზრი, გამოთქვას და დაიცვას იგი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების

* თარგმნილია გაზეთიდან: "ნეზავისიმაია გაზეტა", №216, 1993 წლის 11 ნოემბერი, გვ. 5 (შემდგ.).



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 102).

97. ყოველ ადამიანს ცხოვრებაში აქვს ყველაზე დაუვიწყარი, რაც სამუდამოდ რჩება მის გულსა და მეხსიერებაში. ("კომუნისტი", №57, 1981 წლის 7 მარტი, გვ. 1)

98. ...ყოველი ადამიანის ფასი ისტორიისათვის მის მიერ ხალხის საკეთილდღეო საქმეებში შეტანილი წვლილით განიზომება. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №99, 1960 წლის 18 აგვისტო, გვ. 2).

99. შეგნების გარდაქმნა უძნელესი, ზოგჯერ მტანჯველი პროცესია. იგი დაკავშირებულია კოლოსალურ გადატვირთვასთან. ამ გადატვირთვას ამსუბუქებს ყურადღება ადამიანისადმი, პრინციპულობა და სამართლიანობა, გულითადობა და გულწრფელობა ადამიანურ ურთიერთობაში... არაფრად არ ღირს ლაპარაკი ადამიანის ფაქტორზე, თუ ნამდვილი ადამიანურობა არ იქნება. ("კომუნისტი", №94, 1986 წლის 23 აპრილი, გვ. 2).

100. შევისწავლოთ ადამიანი... მის პიროვნებაში ვეძებოთ პოზიტიური, კეთილი საწყისები და ამ საფუძველზე გავშალოთ საყოველთაო... ბრძოლა თითოეულ ადამიანში სრულყოფილი და მშვენიერი პიროვნების ჩამოსაქნელად — ეს ურთულესი ხელოვნება და ურთულესი მეცნიერებაა. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 108).

101. ჩაგვრისა და ძალმომრეობის ვერც ერთი ყველაზე დახვეწილი სისტემაც კი ვერ მოერევა ადამიანის სწრაფვას თავისუფლებისა და ერთიანობისკენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №139, 1993 წლის 30 ივნისი. გვ.1).

102. ჩემი დაკვირვებით, ეს გრძნობა (იუმორის გრძნობა — შემდგ.) გამოკვეთილი ინდივიდუალობის აუცილებელი თვისებაა, მისი შინაგანი თავისუფლების უზუსტესი მაჩვენებელია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 134).

103. ჩვენ, ადამიანები,ვალდებული ვართ, როგორი რწმენის, რომელი ერის შვილი, ქვეყნის წარმომადგენელიც უნდა ვიყოთ, რომ გავუფრთხილდეთ ჩვენს პლანეტას, სამყაროს და მომავალს ჩვენსას დავუტოვოთ მტკიცე მშვიდობა, როგორც წესი ადამიანური ცხოვრებისა და თანაარსებობისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №181, 1994 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 2).

104. ჩვენ მოვალენი ვართ ვიფიქროთ, რა ნაყოფს მოიტანს ყოველი ჩვენი ქცევა მომავალში. და ჩვენი საქმეებით... მომავლისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას უნდა ვუნერგავდეთ ჩვენს შემცვლელ მომავალ თაობებს. ეს მაღალი პასუხისმგებლობა და უდიდესი პატივია.*
("ლიტერატურული საქართველო", №28, 1973 წლის 13 ივლისი, გვ. 3).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "სოვეტსკაია კულტურა", №54, 1973 წლის 6 ივლისი, გვ. 2 (შემდგ.).

105. ჩვენ უნდა ვეუფლებოდეთ მეცნიერებას ადამიანზე, ვავითარებდეთ მას. ყველაფერი – მატერიალური ფასეულობაც და სულიერიც – მხოლოდ ადამიანისთვის არსებობს და იქმნება. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა.შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 109).

106. ჩვენთვის ადამიანია უმაღლესი მიზანი, ყველაზე ძვირფასი კაპიტალი, ხოლო ყველაფერი დანარჩენი განიხილება ადამიანის კეთილდღეობის საშუალებად და იარაღად. ("კომუნისტი", №89, 1978 წლის 15 აპრილი, გვ.3).

107. ჩვენი ავადმყოფობაა – ვეჩვევით ერთმანეთს (იგულისხმება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე საქმიანობის პროცესში ურთიერთობა – შემდგ.) და გვიჭირს დაცილება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 2).

108. ჩინებული უნარია, როცა შეგიძლია ცხოვრებისეული ფაქტებისა და კოლიზიების უზარმაზარ, აღურიცხავ მრავალფეროვნებაში დაინახო, შეარჩიო სწორედ ის, რაც დიდ განზოგადებათა საშუალებას იძლევა. ("კომუნისტი", №106, 1978 წლის 5 მაისი, გვ. 2).

109. ცხოვრება გვიჩვენებს რომ ადამიანთა შეგნების გარდაქმნა უფრო ძნელია, ვიდრე ახალი შენობების აგება, ახალი ქალაქებისა და დაბების გაშენება.* ("კომუნისტი", №208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ. 1).

110. ცხოვრების წესი დაკავშირებულია ადამიანის აზროვნების ყაიდასთან, მისი ქცევის მოტივებთან, შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობისადმი, მატერიალური დოვლათისა და სოციალური ღირებულებებისადმი მის დამოკიდებულებასთან. ჩვენ ბევრი უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ მოქალაქეთა ცხოვრების წესის თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს არ სცილდებოდეს. (ე.ა.შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 99).

111. ...ძნელია ბავშვობიდან შეძენილი ღირებულებებისა და თაობების მიერ გამომუშავებული მენტალიტეტის მკვეთრი შეცვლა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

112. წარსულის დიდოსტატები მარად დარჩებიან ჩვენთან. პოეტის თქმისა არ იყოს, "ძველ დიდოსტატებს არ უჭირდათ ტანჯვის გაგება". მაგრამ ადამიანები მხოლოდ შიშით როდი ცხოვრობენ, მათ ცხოვრებისეული სიხარულიც სჭირდებათ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი. დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 122).

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7, 1979, გვ. 3 (შემდგ.).

113. ჭრილობები დროთა განმავლობაში ხორცდება, მაგრამ დიდად სამწუხაროდ, ნაიარევი რჩება და კიდევ დიდხანს შეგვახსენებს განცდილს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1995 წლის 4 თებერვალი, გვ. 3).

ბიბლიოთეკა

114. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანისათვის ნამდვილი ზრუნვა ვლინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისთვის გაკეთებული საქმე საზოგადოების ინტერესებს ემთხვევა. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 82).

115. ხანდაზმული კაცი განსაკუთრებით მწვავედ გრძნობს იმას, რაც ახალგაზრდობაში დააკლდა, ვერავინ ვერ გრძნობს, როგორ ეცლება ჯანი, მაგრამ ყველა გრძნობს, როცა იგი უკვე აღარა აქვს. მაგრამ ასაკი როდი აბრკოლებს ფიზკულტურულ ვარჯიშს. ხანდაზმულ კაცსაც შეუძლია შეინარჩუნოს სულიერი სიმხნევე და შრომისუნარიანობა, თუ იგი მოძრავ ცხოვრებას ეწევა.

... სწორედ რომ მოძრაობაა სიბერესთან, დაავადებებთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი საშუალება. ("კომუნისტი", №162, 1977 წლის 13 ივლისი, გვ. 2).

116. ხანდახან გგონია, გამოუვალ მდგომარეობაში ხარ და რაღაც ჩიხში მოექეცი; ამ შემთხვევაში ძალიან მშველის იუმორი. მოვიშველიებ იუმორს და მდგომარეობაც განიმუხტება ხოლმე... ეს საშუალებას გაძლევს, გააგრძელო შენი აზრი. ("დრონი" №37, 1993 წლის 9 ივნისი, გვ. 4).

117. ხანდახან ღიმილი ბევრად უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე ურთიერთობის ნებისმიერი ფორმა და მოქმედების ესა თუ ის სახე. ამიტომ ძალიან მიყვარს ადამიანები, რომლებიც ურთულეს მდგომარეობაშიც არ კარგავენ ღიმილის უნარს. ჩემი აზრით, ღიმილი სიკეთის თანამდევი თვისებაა. უფრო ხშირად კეთილი ადამიანები იღიმებიან და ამას დიდად ვაფასებ. ("დრონი", №37, 1993 წლის 9 ივნისი, გვ. 4).

118. ჯერ კიდევ როდის ითქვა, რომ "გონება საშინელია, თუ ადამიანს არ ემსახურება", მაგრამ მხოლოდ ამ საუკუნის დასასრულს იქცა აბსოლუტურ აუცილებლობად გლობალური მასშტაბით ადამიანური ყოფის გონივრული ორგანიზაცია, რომელიც თვითგანადგურების თანდაყოლილ მანკთაგან იქნება განკურნებული. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 124).

119. . . .в подарках я обсолютно бесталантный человек. Сам не могу подобрать для кого-либо подарки, в том числе и для моеей супруги... ("Свободная Грузия" № 25-26, 27 января 1998 года, стр. 1)

120. Нельзя долго жить воспоминаниями* ("Свободная Грузия" № 73, 6 июня 1997 года, стр. 1)

---

* გადმობეჭდილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №22, 1997 წლის 1-8 ივნისი, გვ.9 (შემდგ.).

121. . . . считаю, что людей без ошибок не бывают - ни в политике, ни в литературе, ни в искусстве - вообще среди интеллигенции. („იბერია-სპექტრი", №54, 1992 წლის 27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი, გვ. 4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

122. (Умный- შემდგ.) . . . человек знает, что ему предстоит сделать завтра, на что обратить главное внимание послезавтра, какие задачи должен решить он в течение месяца и т.д. („Молодой Сталинец", № 8, 17 января 1952 года, стр.3).

## II. ისტორიის, ერის, ხალხის, ცხოვრების, ქვეყნიერების, ამიერკავკასიის, კავკასიის, დამოუკიდებლობის, მშვიდობის, თავისუფლების, სარწმუნოების, ეკლესიის, განგების, ბუნების, ეკოლოგიის, პროგრესის, ცივილიზაციის, ერთობისა და დროების შესახებ

1. აბსტრაქტული თავისუფლება არ არსებობს. („ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 4).

2. ადამიანი ბუნების გვირგვინიაო, ვამბობთ ხშირად. ბუნების გვირგვინს — გონიერ ადამიანს გონივრული დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ბუნებისადმი, საარსებო გარემოსადმი.

მაგრამ ბუნება განყენებული ცნება როდია. ბუნება მშობლიური მიწაა, ბუნება წყალია, ჰაერია, მცენარეები და ცხოველებია. რაც უფრო მეტად ვზრუნავთ ბუნებისათვის, მით უფრო გულუხვი ხდება იგი, მით უფრო მეტ ჯანსაღ, ანკარა წყალს, ხილსა და ნაყოფს გვაწვდის („კომუნისტი", №91, 1982 წლის 18 აპრილი, გვ. 1).

3. ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, თავისი ერის შვილია.

მამულიშვილი — პიროვნებაა.

არიან ხალხნი და პიროვნებანი, რომლებსაც თვით ისტორია მოუხმობს გამორჩეული მისიისათვის. („კომუნისტი", №292, 1981 წლის 20 დეკემბერი, გვ. 3).

4. ადამიანის ცხოვრებისა და ცოცხალი ბუნების, ცოცხალი მატერიის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგანპირობებულობის ფაქტორმა ბუნებისა და ცხოვრების გარემოს დაცვისათვის ბრძოლა უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად გადააქცია. („კომუნისტი", №278, 1978 წლის 29 ნოემბერი, გვ.1).

5. ავად თუ კარგად, საქართველოში ბევრი გაკეთდა ტყის მასივების გასაშენებლად და შესანარჩუნებლად. ეს ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა და... მის დასაცავად ყველანი უნდა გავერთიანდეთ. („დედამიწა", №8, 1993 წლის 22 აპრილი, გვ. 2).

6. ალბათ, დედამიწის ზურგზე არ არსებობს ერი, რომელსაც ბრძოლის, გაჭირვების, ხანდახან სისხლის გარეშე აეშენებინოს დამოუკიდებელი საზოგადოება. ეს ისტორიული კანონზომიერებაა. („საქართველოს რესპუბლიკა", №114, 1996 წლის 13 ივნისი, გვ. 2).

7. ... ამაზრზენი მოწოდებები ვერ გაიკაფავენ გზას ხალხის გულისა და გონებისაკენ. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 330).

8. ამქვეყნად კაცი არ მეგულება, რომ სომხეთის მადლიან მიწა-

წყალზე მოხვდეს და იგი მისმა სილამაზემ არ მოაჯადოოს. ("კომუნისტი", №247, 1978 წლის 20 ოქტომბერი, გვ. 2).

9. ...არ არის ქვეყანაზე ისეთი ძალა, არ არსებობს ისეთი შავი რეაქცია, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს მძლავრი სვლა ხალხისა, რომელმაც აირჩია პროგრესის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გზა. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №48, 1961 წლის 25 აპრილი, გვ.1).

10. არ არის ხალხი, რომელიც გულგრილი იყოს საკუთარი წარსულისადმი.* ("ლიტერატურული საქართველო", №45, 1983 წლის 4 ნოემბერი, გვ. 3).

11. ...არ შეიძლება უღვთისმშობლოდ ცხოვრება, არ შეიძლება უნაზარეველოდ ცხოვრება, არ შეიძლება უსიყვარულოდ ცხოვრება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №236, 1992 წლის 17 ნოემბერი. გვ. 1).

12. "არა კაც ჰკლა!" — გვეუბნება ქრისტიანული მორალი. სისხლი არასოდეს არ უნდა დაიღვაროს, მაგრამ თუ დაღვრილი სისხლის შეწყნარება მაინც შესაძლებელია, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ერის უზენაესი იდეალების განხორციელება ითხოვს მსხვერპლად. გამართლება არა აქვს, მაგრამ მისაღები ახსნა მოეპოვება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 5).

13. ...არაფერი არ აახლოვებს ისე ადამიანებს, როგორც განმათავისუფლებელი იდეები, როგორც დემოკრატიის, მშობლიური მიწა-წყლის ღირსებისა და დამოუკიდებლობის იდეალები. ("საქართველოს კომუნისტი", №6, 1981, გვ. 23).

14. არის ისტორიის გაკვეთილი და არის ისტორიული გაკვეთილი. რასაც ისტორიის გაკვეთილზე დავთესთ, იმას ისტორიული გაკვეთილით მოვიმკით ხოლმე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №240, 1997 წლის 25 სექტემბერი, გვ. 1).

15. არსებობს ისტორია, მისი გაკვეთილები და გამოცდილება. როგორც ისტორიკოსმა, კარგად ვიცი, სადამდეც მიჰყავდა ხალხები კატაკლიზმებს. საშველს არ მაძლევს ფიქრი პატარა დაუცველ ადამიანზე და მის მიერ "იდეისათვის" იძულებით გაღებულ მსხვერპლზე. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 309).

16. არც ერთი ისტორიული თარიღი არ განეკუთვნება მარტოოდენ წარსულს. ("კომუნისტი", №248, 1985 წლის 27 ოქტომბერი, გვ. 3).

17. აღმშენებლობა უფრო რთული ხელოვნებაა, ვიდრე ნგრევისა და გაპარტახების გზა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №130, 1994 წლის 23 ივლისი, გვ. 3).

18. ...აწმყო იზოლირებული არ არის წარსულისაგან.** ("კომუნისტი", №82, 1974 წლის 7 აპრილი, გვ. 2).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №44, 1983 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 12 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №81, 1974 წლის 6 აპრილი, გვ. 2 (შემდგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. ახალი საუკუნე – მომავალი საუკუნე ზოგადსაკაცობრიო იდეალების დამკვიდრების საუკუნე უნდა იყოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №20, 1994 წლის 1 თებერვალი, გვ. 1).

20. ახლისა და ძველის ბრძოლა დიალექტიკის კანონია. ("საქართველოს კომუნისტი", №7, 1979, გვ. 26).

21. ...ახალმა ცხოვრებამ ახალი წესები უნდა მოგვიტანოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №10, 1997 წლის 15 იანვარი, გვ. 1).

22. ბუნება ყოველი ხალხის მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა განუყოფელი ელემენტი და ამავე დროს ჩვენი საერთო-სახალხო, საერთო ეროვნული ავლადიდებაა. ("კომუნისტი", №284, 1981 წლის 11 დეკემბერი, გვ. 2).

23. ბუნება ცხოვრების წიგნია. ყველას როდი ძალუძს მისი წაკითხვა. ეს უნდა ისწავლო. ("კომუნისტი", №278, 1978 წლის 29 ნოემბერი, გვ. 2).

24. ბუნების სიმდიდრეთა გამრავლება ჩვენი ისტორიული ზოგადსაკაცობრიო ვალია მომავალ თაობათა წინაშე. ("კომუნისტი", №284, 1981 წლის 11 დეკემბერი, გვ. 2).

25. ...ბუნების სიყვარულის ჩანერგვა ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა. ("კომუნისტი", №284, 1981 წლის 11 დეკემბერი, გვ. 2).

26. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ... ჩვენი და მომავალი თაობების კეთილდღეობა და, თუ გნებავთ, არსებობაც კი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ჰარმონიული იქნება ბუნებასთან ჩვენი ურთიერთობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №11, 1998 წლის 15 იანვარი, გვ. 1).

27. გავა წლები, ათწლეულები, საუკუნეები, ადამიანის განთავისუფლებული გონება მოახდენს ბევრ ისეთ აღმოჩენას, რომლებზეც ჩვენს თანამედროვეს ოცნებაც არ შეუძლია; მსოფლიო ისტორიის მატიანე გამდიდრდება ახალი გიგანტური წარმატებებით საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების დარგში. (ე. შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 132).

28. გაივლის ხანი და ყველა შეეჩვევა იმ აზრს, რომ როგორც სხვა რეგიონებში პლანეტისა, აქაც (კავკასიაში – შემდგ.) იყოს თანასწორობა. აქ შეიძლება ერთმა ქვეყანამ უფრო მეტი სარგებელი ნახოს, ვიდრე მეორემ, მაგრამ ეს უკვე ჭკუის ამბავია და მოხერხების. ("საქართველოს რესპუბლიკა", №171, 1997 წლის 23 ივლისი, გვ. 2).

29. განა ვინმე უარყოფს ეროვნული იდეების უპირატესობას ხალხის სულიერ ღირებულებათა ნუსხაში? მაგრამ რაოდენ ძლიერ აუფასურებს და იმცირებს თავს, როცა მკვიდრდება სხვათა ეროვნული ღირსების ხარჯზე! ("საქართველოს კომუნისტი", №5, 1989, გვ. 13).

30. განა სხვა რაა წმინდანობა, თუ არა მაღალი, საღვთო საქმისათვის თავის დადება?! ("საქართველოს რესპუბლიკა", №154, 1994 წლის 1 სექტემბერი, გვ. 1).

31. განგება ხანდახან ყველა სიკეთეს ერთ კაცს დააბერტყავს ხოლმე და სხვა კი იჩაგრება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №131, 1994 წლის 26 ივლისი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

32. ...განწმენდის გზა მრავალი სიძნელის დაძლევაზე გადის, სინათლისაკენ მავალის ხვედრი ტანჯვაა. ("საქართველოს რესპუბლიკა" №236, 1992 წლის 17 ნოემბერი, გვ. 1).

33. (გარდაუვალი ჭეშმარიტებაა – შემდგ.)... რომ სახელმწიფოების ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიული მთლიანობა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად აღდგება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №151, 1997 წლის 2 ივლისი, გვ. 1).

34. გარემო ისტორიული სარბიელია, სადაც ვითარდება ისტორიის შემოქმედი ხალხის მასების სოციალური აღმშენებლობითი საქმიანობა, ერებისა და ეროვნებების, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე საზოგადოების თითოეული წევრის, თითოეული... ადამიანის, შესანიშნავი თანამედროვეებისა და კიდევ უფრო შესანიშნავი მომავლის მშენებლის შემოქმედებითი საქმიანობა. სწორედ ამიტომაც არის, რომ ჩვენ გულგრილად ვერ მოვეკიდებით ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის რთული დიალექტიკის ბედს, თანამედროვე მდგომარეობას და პერსპექტივას. ("საქართველოს ბუნება", №1, 1979, გვ. 3).

35. გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის არის ისეთებიც, რომელთა სიმწვავეც განსაკუთრებით აშკარაა, რომლებიც მართლაცდა შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს და რომელთა გადადება არას გვარგებს. ("კომუნისტი", №219, 1983 წლის 22 სექტემბერი, გვ. 1).

36. გერმანიის გაერთიანებისა და განთავისუფლების დღესასწაული ყველა იმ ხალხის დღესასწაულია, ვინც იბრძოდა და იბრძვის დამოუკიდებლობისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1997 წლის 4 ოქტომბერი, გვ.1).

37. დამოუკიდებლობა არის ყველა ხალხის თავისუფალი არჩევანისა და თვითგამორკვევის კონსტიტუციური უფლება. როცა ხალხის უმრავლესობა ასეთ გადაწყვეტილებას უჭერს მხარს, პატივი უნდა ვცეთ ხალხის ნებას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 307).

38. დამოუკიდებლობა ყოველთვის ძვირად უჯდება ყველას, ადამიანი იქნება ეს თუ ქვეყანა, მით უფრო ძვირად – რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა მონობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №256, 1993 წლის 3 დეკემბერი, გვ. 1).

39. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა... იმდენად ავტომატებთან და იარაღთან არ არის დაკავშირებული, რამდენადაც ინტელექტუალურ განზომილებებთან, მატერიალურ და სულიერ ღირებულებებთან. ("საქართველოს

რესპუბლიკა", №78, 1997 წლის 5 აპრილი, გვ.1).

40. დარწმუნებული ვარ, შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ყველანი დავიწყებთ ფიქრს პლანეტის საერთო სახლზე, რომელშიც ყოველი ერი, ყოველი ხალხი ღირსეულ საცხოვრისს ჰპოვებს.* ("კომუნისტი", №67, 1990 წლის 23 მარტი, გვ. 2).

41. დიალექტიკა, ცხოვრება გვასწავლის, რომ ყველაფერი დამოკიდებულია დროზე, ადგილსა და პირობებზე, ვითარებებზე. ("კომუნისტი", №155, 1997 წლის 5 ივლისი, გვ. 1).

42. დიდი იმპერიები... იოლად არ იშლებიან, თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოპოვება ხავერდოვანი გზით არ ხდება. ("კავკასიონი", №11, 1994 წლის 16 მარტი, გვ. 4).

43. დრო ძვირფასი განძია და არ შეიძლება მას მფლანგველურად და ხელაღებით ხარჯავდე. ("საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXXI ყრილობა. 17-18 თებერვალი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1983, გვ. 59).

44. დროს საოცარი თვისება აქვს — განვლილ მოვლენებს იგი ახალი სხივით აცისკროვნებს, გვიჩვენებს მათს სიდიადეს, მკაფიოდ წარმოგვისახავს წარსული წლების საქმეებს და შეუცდომელ შეფასებას აძლევს მათ. ("საქართველოს კომუნისტი", №7, 1975, გვ. 30).

45. დღევანდელ მსოფლიოში სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობა ღრმა დემოკრატიულ პროცესებს განიცდის. ამ პროცესში მთავარი მოქმედი პირი, რაღა თქმა უნდა, ხალხია. სწორედ იმას ვუსვამ ხაზს, რომ დემოკრატიული პროცესები განსაზღვრავს და დემოკრატიულ პროცესებზე ლაპარაკი, თუ ხალხი არ არის მთავარი მოქმედი პირი, რა თქმა უნდა, ზედმეტია. ხალხის არჩევანმა უნდა განსაზღვროს, როგორი ფორმით იარსებოს ამა თუ იმ სახელმწიფომ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №80, 1997 წლის 8 აპრილი, გვ. 2).

46. ებრაელი ხალხის ფასდაუდებელი, უნიკალური წვლილი მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, საერთოდ, ცივილიზაციის განვითარებაში მთელი პლანეტის კუთვნილება გახდა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №265, 1993 წლის 17 დეკემბერი, გვ.1).

47. ...ებრაელობამ უნიკალური წვლილი შეიტანა კაცობრიობის განვითარებაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ყოფითსა თუ საერთო კულტურაში. უამწვლილოდ წარმოუდგენელია თანამედროვე და მომავალი ცივილიზაციები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №163, 1996 წლის 13 აგვისტო, გვ. 2).

48. ...ეკლესიის გათიშვა ხალხის, სახელმწიფოს გათიშვაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 4).

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ოგონიოკ", №11, 1990, გვ. 4 (შემდგ.).

49. ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის წინაშე უკან იხევს ბიოპოლარული იდეოლოგიური სამყაროების მიჯნები. ბიოსფერო არ ცნობს ბლოკებად, კავშირებად, სისტემებად დაყოფას. ("კომუნისტი", №226, 1988 წლის 30 სექტემბერი, გვ. 3).

50. ...ეკოლოგიური პრობლემები, გარესამყაროს დაცვა თანამედროვე პოლიტიკის უმთავრესი საკითხი უნდა გახდეს, თუ გვინდა, რომ ჩვენმა შვილებმა, შვილიშვილებმა საფლავებიდან არ ამოგვიღონ. განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებსაც პოლიტიკასთან გვაქვს საქმე. ("დედამიწა", №8, 1993 წლის 22 აპრილი, გვ. 2).

51. ენგურთან თამაში ცეცხლთან თამაშს ჰგავს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №91, 1997 წლის 22 აპრილი, გვ.2).

52. ერები, ხალხები, სახელმწიფონი არა მათი რიცხოვნებითა და მოცულობით არიან გამორჩეული და უკვდავი, არამედ იმ წვლილით, რომლის შეტანაც მათ საკაცობრიო კულტურის საგანძურში ძალუძთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №40, 1994 წლის 15 მარტი, გვ. 5).

53. ერთიანი და შეკავშირებული მსოფლიოს განვითარების ობიექტურ ტენდენციებთან, მატერიალური და სულიერი ცივილიზაციის პროგრესთან შეთავსებული ეროვნული ინტერესები ფრიად მოძრავი, დინამიკური, მუდმივცვალებადი კატეგორიაა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 116).

54. ერთობ მნიშვნელოვანი ამოცანა არის ის, რომ დავეყრდნოთ მიღწეულს, განვაზოგადოთ, გავამდიდროთ და განვავითაროთ ყოველივე პოზიტიური, რაც ჩვენს ცხოვრებაში გვაქვს. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს, თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 100).

55. ერი, რომელსაც დანაშაულებრივი მომხვეჭელობის მეტასტაზები ანადგურებენ, გადაგვარებისა და დაღუპვისათვის არის განწირული. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 66).

56. ერის ისტორიაში დგება ისეთი მომენტები, როცა ერთმა ადამიანმა უნდა აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა. ("ივერია-ექსპრესი", №154, 1993 წლის 12 ოქტომბერი, გვ. 2).

57. ერმა უნდა იხსნას კულტურა, კულტურამ უნდა იხსნას ერი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №101, 1993 წლის 18 მაისი, გვ. 3).

58. ...ეროვნულ თვითშეგნებას ვერ ასაზრდოებს მხოლოდ სიამაყე წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ჩვენ აღვზრდით ჩვენში "მჟავე" პატრიოტების ყოყოჩობას.* ("ლიტერატურული საქართველო", №28, 1973 წლის 13 ივლისი, გვ. 2).

* თარგმნილია გაზეთიდან: "სოვეტსკაია კულტურა", №54, 1973 წლის 6 ივლისი, გვ. 2 (შემდ).

59. ეროვნული გათიშულობა ეროვნული სულის ეროზიის დასაწყისია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №48, 1992 წლის 21 მარტი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

60. ვალებს, ისტორიის თამასუქების მიხედვით, ქვეყნები და მთავრობები იხდიან, მაგრამ ამით საბოლოოდ მაინც ხალხი იტანჯება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №53, 1992 წლის 2 აპრილი, გვ.1).

61. ვერავითარი გაწაფული და გამჭრიახი პოლიტიკა, თავის დროშებზე ყველაზე ამაღლებული სიტყვებიც რომ ჰქონდეს ამოქარგული, ვერ შეძლებს დაიცვას ის კედელი, რომელიც ხალხსა და კონტინენტს ჰყოფს სხვადასხვა "ბანაკებად" და "სისტემებად". როგორი მაღალხარისხოვანი იდეოლოგიური ხსნარითაც არ უნდა იყოს შედუღაბებული ამ კედლის ქვები, მაინც არსებობს სხვა მარკის ბეტონი, რომელიც ნებისმიერ ზღუდეს ანგრევს, — ეს ხალხის ნებაა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 201).

62. ვერავითარი ტერორი ისტორიის ჩარხს უკუღმა ვეღარ შეატრიალებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №71, 1995 წლის 27 ივნისი, გვ. 2).

63. ვიდრე მსოფლიო მასშტაბით მოწესრიგებული არ არის ეფექტური ეკოლოგიური თანამშრომლობა, ყოველი სახელმწიფო დგას თავისი არსებობის ფიზიკური პირობების დეგრადაციის საფრთხის წინაშე. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 123).

64. ...თავისი ბუნებითა და კულტურათა მრავალფეროვნებით კავკასია მსოფლიოს უნიკალური რეგიონია. აუცილებელია ისიც ითქვას, რომ ამგვარი მრავალფეროვნების პარალელურად საუკუნეების მანძილზე გამომუშავდა ერთიანი კავკასიური ფენომენი, რომელიც შეიცავს არაერთ განზომილებას. მათ შორის — ტრადიციული ქცევის კოდექსს, რომელშიც სტუმრისა და ასაკოვანი პიროვნების, ქალის მიმართ პატივისცემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წესია. არის საერთო მოტივები ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მუსიკაში. ჩვენი ვალია, შევინარჩუნოთ ეს თავისთავადი კავკასიური ცივილიზაცია, რომელიც წინაპართა ურიცხვმა თაობებმა შექმნეს, განავითარეს და გადმოგვცეს იმ იმედით, რომ "კავკასიელობას" გადაშენება არ უწერია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №43, 1997 წლის 22 თებერვალი, გვ.2).

65. თავისუფალ საზოგადოებას და თავისუფალ სახელმწიფოს თავისუფალი ადამიანები ქმნიან. ასეთი ადამიანები ცოტანი არიან. თავისუფლება განსაკუთრებული ნიჭია. ჩვენი ქვეყნის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის სიძნელეებს, მნიშვნელოვანწილად, როგორც ჩანს, სწორედ ეს განაპირობებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

66. თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა ვერ აშენდება ერის სულიერი სიჯანსაღის გარეშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №187, 1997 წლის 5 აგვისტო, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

67. თავისუფლება ქვეყნისა და დამოუკიდებლობა სახელმწიფოსი არ არის ერთჯერადი მოვლენა, ეს მუდმივი პროცესია, უმაღლესი იდეალისაკენ მუდმივი სწრაფვაა... ("საქართველოს რესპუბლიკა", №97-98, 1994 წლის 27 მაისი, გვ. 2).

68. თავისუფლება ძალიან ძვირადღირებული ბედნიერებაა... ("საქართველოს რესპუბლიკა", №3, 1993 წლის 6 იანვარი, გვ. 1).

69. თავისუფლებამდე წვალებით უნდა მივიდეთ. ("დრონი", №1, 1993 წლის 1 იანვარი, გვ. 3).

70. ...თავისუფლებასაც აქვს საზღვარი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №177, 1997 წლის 26 ივლისი, გვ. 3).

71. თავისუფლების მოპოვებაზე უფრო ძნელია მისი დაცვა, რადგანაც თავისუფლების მოპოვება ხანგრძლივი, ერთჯერადი ისტორიული აქტია, მისი დაცვა კი — მარადიული. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 4).

72. თავისუფლების წართმევა მხოლოდ იძულებით შეიძლება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №55, 1996 წლის 26 მარტი, გვ. 2).

73. თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ ხალხთა მეგობრობას — ყველა ხალხის აღორძინების და აყვავების გარანტიას, ერების მაცოცხლებელ ძალას, ერების ძლიერების წყაროს. ("სამშობლო", №1, 1983 წლის იანვარი, გვ. 3).

74. თვალუწვდენელ ელინურ მემკვიდრეობაში, რომელიც მიიღო კაცობრიობამ, ყველა პოლიტიკოსისათვის განსაკუთრებით ღირებულია ის, რომ ბერძნებმა არა მარტო შექმნეს ცნება-დიალოგი, არამედ თავად დიალოგის კულტურა, როგორც მხატვრულ ლიტერატურასა და ფილოსოფიურ აზროვნებაში, ისე საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში აიყვანეს უმაღლესი სრულყოფის დონემდე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №234, 1997 წლის 18 სექტემბერი, გვ. 2).

75. თითოეული ხალხის კულტურას... ეროვნულ თავისებურებას ანიჭებს თვით ამ ხალხის ხასიათი, რომელშიც, როგორც წყლის წვეთში მზე, აისახება ხალხის ისტორიული განვითარების, მისი ენის, ყოფის, ფსიქოლოგიური წყობის, მხატვრული ტრადიციების და, ბოლოს, იმ გეოგრაფიული გარემოს თავისებურებანი, რომელშიც ერი ყალიბდება.* ("ლიტერატურული საქართველო", №40, 1982 წლის 1 ოქტომბერი, გვ. 3).

76. თითოეულ ეპოქას თავისი გმირი ჰყავს. ("კომუნისტი", №247, 1981

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "სოვეტსკი სოიუზ", №9, 1982, გვ. 9 (შემდგ).

წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

77. ...თუ ერი არ ზრუნავს სხვა ერის კულტურაზე, იგი ვერც თავის კულტურაზე იზრუნებს. თუ ერი მზად არაა ეზიაროს სხვა ერის კულტურას, იგი ვერც თავის კულტურას გაიტანს საზღვრებს გარეთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №259, 1997 წლის 19 ოქტომბერი, გვ. 1).

78. თუ იქნება დიდი მიზნები, იქნება დიდი საქმეები, დიდი საქმეები კი ერთობით მიიღწევა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №60, 1992 წლის 14 აპრილი, გვ. 2).

79. თუ საკუთარ ხალხს "მტერს" დაუსახავ, შეგიძლია, აიძულო, რომ მოითმინოს ნებისმიერი გასაჭირი, ხელმოკლეობა. შეგიძლია, ნებისმიერი მსხვერპლი გაალებინო, უარი ათქმევინო იმაზეც კი, რაც ყველაზე აუცილებელია. მაგრამ დგება მომენტი და მოთმინების ფიალა ივსება. მთავარი კი ის არის, რომ ადამიანური ღირსების გამუდმებული დაკნინება ქვეყანასა და ხალხს ცივილიზაციის საერთო პროცესიდან გამოთიშავს უქადის, და მაშინ კი ნამდვილი საფრთხე ემუქრება ხალხის უსაფრთხოებას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 122).

80. თურქეთს უდიდესი როლი აკისრია რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის განმტკიცებაში.

... "ცივი ომის" დასრულებისა და მსოფლიოში ახალი პოლიტიკური რეალიების დამყარების შემდეგ, თურქეთმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა რეგიონში უკეთესი მომავლის მშენებლობის საქმეში. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომლის შექმნის ინიციატივა თურქეთს ეკუთვნის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №163, 1997 წლის 15 ივლისი, გვ. 4).

81. ისტორია არაფერს ივიწყებს. ისტორიას ყველაფერი ახსოვს. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1983, გვ. 38).

82. ისტორია იწერება ყოველდღიურად, ყოველ საათს. ("საქართველოს კომუნისტი", №12, 1984, გვ. 21).

83. ისტორია კეთილშობილურად იქცევა, როცა ზოგჯერ კვარცხლბეკზე აჰყავს ისიც კი, რაც თანამედროვეთათვის ჩვეულებრივი იყო. მაგრამ თანამედროვეთა ვალია, რომ ფხიზლად შეაფასონ ეს მემკვიდრეობა, არ გაიტაცონ რელიქვიებმა, იფიქრონ იმაზე, ჩვენი დღევანდელი საქმეები როგორ გამოჩნდება ხვალ, შთამომავალთა სამსჯავროს წინაშე.* ("ლიტერატურული საქართველო", №28, 1973 წლის 13 ივლისი, გვ. 2).

84. ...ისტორია ხალხთა მეხსიერებაა, რომელიც ინახავს იმათ სახელს, ვინც ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ღირსშესანიშნავი, ჭეშმარიტად

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "სოვეტსკაია კულტურა", №54, 1973 წლის 6 ივლისი, გვ. 2 (შემდგ.).

დაუვიწყარი რამ გააკეთა, ვინც პროგრესს ემსახურებოდა, ქვეყნად სიკეთეს ამრავლებდა, ხელს უწყობდა ადამიანთა ბედნიერებას, ვინც მთლიანად შესწირა თავი მშრომელთა თავისუფლებისათვის, სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლას და ამით თანამედროვეთა და შთამომავალთა მადლიერი ხსოვნა დაიმსახურა. დრო ვერ წაშლის ასეთ პიროვნებათა ხსოვნას, მათ საქმეებს, მათს დამსახურებას სამშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე. ("კომუნისტი", №270, 1983 წლის 24 ნოემბერი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

85. ისტორიამ არ იცის შემთხვევა, რომ ძველსა და დრომოჭმულს უბრძოლველად დაეთმოს ადგილი ახლისათვის. ("კომუნისტი", №26, 1980 წლის 1 თებერვალი, გვ. 1).

86. ისტორიას თავისი კანონები აქვს და თავს არ გვავიწყებინებს. ისტორია მოწმობს იმასაც, რომ ყოველთვის, როცა კი რეფორმების მომხრენი, თუნდაც მათი განხორციელების გზებსა და საშუალებებზე სხვადასხვაგვარი შეხედულების მიმდევარნი, მაგრამ მთავარში მოკავშირენი, ერთურთს შორის კინკლაობაში ჩაბმულან და თავიანთი ქიშპით კავშირი შეუსუსტებიათ, ამით უმალ უსარგებლიათ განახლების მოწინააღმდეგეებს და ქვეყანა უკუუგდიათ.* ("კომუნისტი", №97, 1990 წლის 24 აპრილი, გვ. 3).

87. ისტორიაში არაერთხელ მომხდარა, რომ ხალხს ვილაცა აურჩევია, ეს არჩეული კაცი კი გადიქტატორებულა**. ("საქართველოს რესპუბლიკა", №132, 1992 წლის 18 ივლისი, გვ. 2).

88. ისტორიის დომინანტია მშვიდობა გონების საშუალებით, და ესეც მომავლის მცნებაა. ("კომუნისტი", №226, 1988 წლის 30 სექტემბერი, გვ. 3).

89. ...ისტორიის კანონზომიერი სრბოლის შეჩერება შეუძლებელია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №116, 1995 წლის 6 სექტემბერი, გვ. 2).

90. (ისტორიის კუთვნილებას — შემდგ.) ... ბოროტი და ცრუ მცდელობის მიუხედავად ვერავინ წაშლის. ("ლიტერატურული საქართველო", №39, 1993 წლის 24 სექტემბერი, გვ. 2).

91. ისტორიის სასწორზე ადამიანის სიცოცხლეს წონა არა აქვს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 345).

92. ისტორიისათვის თვალის ერთი გადავლებით ბევრი რამ გამარტივებულად და სწორხაზოვნად ჩანს. ბევრი რთული მომენტი ახსნილი არ არის. "კადრს იქით" რჩება პირადი შეფასებები, აღქმები, აზრები. ისტორიკოსს არ ეპატიება, მაგრამ საკუთარი ცხოვრების ისტორიკოსს ეს შეიძლება მიეტევოს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №16, 1990 წლის 18 აპრილი, გვ. 9 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "არგუმენტი ი ფაქტი", №610-611, 1992 (შემდგ.).

დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 37).

93. ისტორიისათვის მთავარი... მოვლენის ტიპიურობა, ტენდენციის განვითარებაა. ("კომუნისტი", №162, 1977 წლის 13 ივლისი, გვ. 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

94. ისტორიულ პარალელებს ყოველთვის ახლავთ საფრთხე რეალური სურათის დამახინჯებისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №144, 1992 წლის 1 აგვისტო, გვ. 1).

95. ისტორიული განვითარების ლოგიკა გვასწავლის, რომ სოციალური პროცესების დედაარსში, ტენდენციებში გასარკვევად საკმაო დრო არის საჭირო. (ე. შევარდნაძე, "საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 21).

96. ისტორიული ორიენტაციის პრობლემა, სწორი არჩევანის გაკეთება მუდამ დაკავშირებულია საკითხის ფილოსოფიურ გააზრებასთან. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1983, გვ. 13).

97. იტალია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოა, დიდი შვიდეულის წევრია და, ბუნებრივია, მასთან პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო და კულტურული კავშირურთიერთობის განმტკიცება-განვითარება საქართველოს გადაუდებელ ინტერესთა სფეროს განეკუთვნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №108, 1997 წლის 13 მაისი, გვ. 2).

98. იტალია... კლასიკური ქვეყანაა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით. და ალბათ, იტალიის ერთ-ერთი უმთავრესი სიმდიდრე სწორედ ეს გახლავთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №114, 1997 წლის 20 მაისი, გვ. 2).

99. იტალიელები ძალიან მგრძნობიარენი არიან პატარა ქვეყნების მიმართ, ხაზგასმულად მგრძნობიარენი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №113, 1997 წლის 18 მაისი, გვ. 4).

100. (იტალიელი ხალხი ის ერია — შემდგ.) ...ვინც კარგად იცის თავისუფლებისათვის ბრძოლის, მისი მოპოვების და შენარჩუნების ფასი და ვისი საარაკო თავგანწირვაც ქვეყნის თავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ჩემს თანამემამულეთა გულებშიც აღვივებდა პატრიოტულ გრძნობებს. უნდა გითხრათ, რომ, იტალიელი ხალხის ბრძოლას მე-19 საუკუნეში უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ საქართველოს მოწინავე საზოგადოებაში ისეთი დიდი მხარდაჭერა ჰქონდა, რომ ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე, რომელსაც შემდგომ ქართველმა ხალხმა "ერის მამა" უწოდა, ცარიზმის რეჟიმისაგან ფარულად გეგმავდა იტალიაში ჩასვლას, გარიბალდის რაზმში ჩაწერას და იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლას. სამწუხაროდ, ქართველი პატრიოტის ამ ოცნებას ახდენა არ ეწერა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №113, 1997 წლის 18 მაისი, გვ.4).

101. ...კავკასია არ უნდა იყოს და არც შეიძლება იყოს ინტერესთა შეჯახების ასპარეზი. („საქართველოს რესპუბლიკა", №228, 1996 წლის 13 ნოემბერი, გვ. 2).

102. ...კავკასია არ შეიძლება გადაიქცეს რაღაც ახალი ბრძოლის ასპარეზად, პოლიტიკური და სხვა გავლენის სფეროების გაძლიერებისათვის სხვადასხვა ქვეყნებს შორის. კავკასია იქნება ამ ქვეყნების ინტერესების ერთმანეთთან დამაკავშირებელი და უფრო მეტად, ალბათ, საუბარი უნდა იყოს ამ ინტერესების შეხამებაზე, შერწყმაზე, ისევ და ისევ კავკასიაში სტაბილურობის ინტერესებისათვის. („საქართველოს რესპუბლიკა", №209, 1997 წლის 26 აგვისტო, გვ. 2).

103. კავკასია არავისთვის არ არის ჩაკეტილი. ჩვენ, შესაძლოა ისე როგორც არავინ სხვა, ღია ვართ თანასწორი პარტნიორობის და თანამშრომლობისათვის. მზად ვართ ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ ასეთ პარტნიორობას. ჩვენ ღია ვართ მათთვის და ვენდობით მათ, ვისაც არა მარტო სიტყვით სურს იხილოს კავკასია მშვიდობის, სტაბილურობის, ურთიერთპატივისცემის კერად, არამედ საქმით ამტკიცებს ამას. ჩვენ ღია ვართ მათთვის, ვისაც სურს, რომ კავკასიაზე გაიაროს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელმა სატრანსპორტო — საკომუნიკაციო მაგისტრალებმა. ჩვენ ღია ვართ ევროკავშირისათვის, რომელიც ტრასეკის საუკუნის პროექტს ახორციელებს კავკასიაში, რუსული, ევროპული, ამერიკული, ნებისმიერი სხვა ქვეყნის კომპანიებისათვის, რომლებმაც ჩრდილოეთის მარშრუტის პარალელურად უკვე დაიწყეს ენერგომატარებლების ტრანსპორტირების დასავლური მარშრუტის ათვისება. („საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1997 წლის 20 თებერვალი, გვ. 2).

104. კავკასია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მსოფლიოს ისეთი რეგიონია, რომ მისი ძველი, ახალი და უახლესი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მხოლოდ წინა აზიის, მცირე აზიის, შუა აზიის, ახლო, შუა და შორეული აღმოსავლეთის, არამედ ევროპის, ევრაზიის ხალხთა ისტორიასთან. („საქართველოს რესპუბლიკა", №205, 1996 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 3).

105. კავკასია, მე ამას განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს, შეიძლება იყოს დიდ, პატარა და საშუალო სახელმწიფოთა თანამშრომლობის ასპარეზი და არავითარ შემთხვევაში — დაპირისპირებისა და ინტერესთა შეჯახების ასპარეზი. („საქართველოს რესპუბლიკა", №178, 1997 წლის 27 ივლისი, გვ. 2).

106. კავკასიის პრობლემები — ეს პირველ რიგში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ავტონომიური ფორმირებების და, მაშასადამე, რუსეთის პრობლემაცაა. კავკასიის პრობლემები — ეს თურქეთისა და ირანის, შავიზღვისპირა და კასპიისპირა ქვეყნების პრობლემებიცაა.

ასე მოხაზა ღმერთმა და ისტორიამ კავკასიის ბუნებრივი და პოლიტიკური საზღვრები.

... კავკასიის პრობლემები — იმავე დროს რეგიონში ჩაკეტილი პრობლემები როდია. ყოველი კონფლიქტი კავკასიაში მსოფლიო ექოს იწვევს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №205, 1996 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 3).

107. ...კაცობრიობა ბედნიერი ვერ იქნება, მშვიდად ვერ ისარგებლებს მშვიდობის სიკეთით, სანამ დაღუპვის საფრთხე ელის თუნდაც ერთს, დაე, ყველაზე მცირერიცხოვან ხალხს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №207, 1993 წლის 21 სექტემბერი, გვ. 1).

108. კაცობრიობა ბევრ უბედურებას აიცილებდა, პატიოსანი და ნათელი მოაზროვნეებისათვის რომ ეგდო ყური. ("საქართველოს რესპუბლიკა", №264, 1993 წლის 16 დეკემბერი, გვ. 1).

109. კაცობრიობის ისტორიაში არ არის ერი, რომელსაც გამოევლოს იმდენი ტანჯვა, რამდენიც ებრაელმა ხალხმა გამოიარა. ებრაელი ერი გადარჩა, შეინარჩუნა სიცოცხლე და გაიმარჯვა იმიტომ, რომ მას ჰქონდა ძლიერი, შეუდრეკელი რწმენა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №265, 1993 წლის 17 დეკემბერი, გვ. 1).

110. კაცობრიობის მთელი ისტორია — ეს არის ზნეობრივი იდეალის განუწყვეტელი ძიება, ზოგჯერ ასე მოწამებრივი, აღსავსე რუდუნებითა და გასაჭირით, გონების გაბრწყინებითა და აღმაფრენით; კაცობრიობის ისტორია — ეს არის ისტორია ჭეშმარიტების მაძიებელი აზრისა, რომელსაც შესწევს უნარი გვიჩვენოს ბედნიერების გზა.* ("კომუნისტი", №59, 1982 წლის 12 მარტი, გვ. 2).

111. მათხოვარი და დამარცხებული ქვეყანა ვერასოდეს იქნება თავისუფალი თავის მისწრაფებებსა და თავის ქმედებაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №254, 1993 წლის 1 დეკემბერი, გვ. 1).

112. მე არ მიმაჩნია, რომ ხალხის ღირსების დონე, სულიერი მენტალიტეტი რიცხობრივი მაჩვენებლის პირდაპირპროპორციულია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1995 წლის 4 თებერვალი, გვ. 3).

113. (მე ვთვლი, რომ — შემდგ.)... დღევანდელ მსოფლიოში სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობა ღრმა დემოკრატიულ პროცესებს განიცდის. ამ პროცესში მთავარი მოქმედი პირი, რაღა თქმა უნდა — ხალხია. სწორედ იმას ვუსვამ ხაზს, რომ დემოკრატიული პროცესები განსაზღვრავს და დემოკრატიულ პროცესებზე ლაპარაკი, თუ ხალხი არ არის მთავარი მოქმედი პირი, რა თქმა უნდა, ზედმეტია. ხალხის არჩევანმა უნდა განსაზღვროს, როგორი ფორმით იარსებოს ამა თუ იმ სახელმწიფომ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №80, 1997 წლის 8 აპრილი, გვ. 2).

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "მოლოდოი კომუნისტ", №12, 1981 (შემდგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

114. მე ვთვლი, რომ ეროვნული მოძრაობა უფართოესი ცნებაა. დისიდენტობა დიდი და უმნიშვნელოვანესი ნაკადია ეროვნული მოძრაობისა. მაგრამ დისიდენტობა ვერ ამოწურავს მთელ ეროვნულ მოძრაობას. ეროვნული მოძრაობა დისიდენტობაზე უფრო ფართო და ღრმა ცნებაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №43, 1994 წლის 22 მარტი, გვ. 4).

115. ... მე, ისევე როგორც მთელმა ჩემმა თაობამ, რთული გზა გავიარე. ეს იყო გზა რწმენისა, ცდომილებისა, ჭეშმარიტების წვდომისა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად". თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 28).

116. მე კვლავინდებურად მჯერა... კვლავინდებურად ერთგული ვარ მსოფლიო კულტურული მრავალფეროვნების დაცვის იდეისა, მასში არ არსებობენ დიდნი და მცირენი, უფროსნი და უმცროსნი, ძლიერნი და სუსტნი — არის მხოლოდ დედამიწის ყველა ხალხის შემოქმედებით მონაპოვართა ურღვევი ერთობა. იგი გავს მოზაიკას, სადაც არც ერთი ფრაგმენტი მეორის გარეშე არ არსებობს. საკმარისია სმალტის ერთი პატარა კენჭი ამოვარდეს, რომ დაიშალოს სურათი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №83, 1995 წლის 14 ივლისი, გვ.1).

117. მე მიმაჩნია იგი (კავკასია — შემდგ.) ყველაზე მშვენიერი ადგილია დედამიწაზე. ("დედამიწა", №8, 1993 წლის 22 აპრილი. გვ. 2).

118. მე სულაც არ მიმაჩნია, რომ არსებობენ პატარა ხალხები, დიდი ხალხები და ა. შ. ვფიქრობ, რომ თითოეული ხალხი თავისებურად დიდია, მათ შორის ყველაზე მცირერიცხოვანიც. განვლილი ისტორიული გზისა და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს წინაპრებს შეჰქონდათ თავიანთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი, მე ვიტყოდი, განუმეორებელი წვლილი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში, ჩვენ ყველანი დიდი ხალხები ვართ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №31, 1995 წლის 23 მარტი, გვ. 1).

119. მე ფანატიკოსი არა ვარ. წარმოდგენილი მაქვს, რომ არის უზენაესი ძალა, რომლის მხედველობის არეში ვართ ყველა. ეს უზენაესი ძალა განსჯის ჩვენს სიმართლეს, ჩვენს პატიოსნებას, ჰუმანიზმს, კაცთმოყვარეობას, სიკეთეს. ეს ძალა ჩემთვის არის ღმერთი, ხორციელქმნილი, სიტყვა, ლოგოსი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №259, 1992 წლის 22 დეკემბერი. გვ. 2).

120. (მეგობრული ატმოსფეროს გარეშე — შემდგ.)... წარმოუდგენელია პროგრესი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №209, 1997 წლის 26 აგვისტო, გვ. 2).

121. მესმის, რომ სჯობს სწავლა მიღწევებზე, ვიდრე შეცდომებზე, მაგრამ შეცდომებიც ხომ გაკვეთილია. ("კომუნისტი", №48, 1981 წლის 26 თებერვალი, გვ. 3).

122. ... მთელი მისი თავისთავადობის მიუხედავად, ყოველ ხალხს ახასიათებს მისწრაფება სიკეთისადმი, აღმშენებლობისადმი, კეთილმეზობლობისადმი, სხვა კულტურების პატივისცემა და ინტერესი.* ("ლიტერატურული საქართველო", №40, 1982 წლის 1 ოქტომბერი, გვ.3).

123. მთელმა ხალხებმა გაიარეს ტანჯვა-ვაების სკოლა, სანამ დემოკრატიის უნივერსიტეტში მოხვდებოდნენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №172-175, 1997 წლის 24 ივლისი, გვ. 32).

124. მიმაჩნია, რომ იტალია დღეს ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა ევროპის უსაფრთხოებისათვის, ეკონომიკური, ეკოლოგიური უსაფრთხოებისათვის და, საერთოდ, მშვიდობისათვის ბრძოლაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №113, 1997 წლის 18 მაისი, გვ. 2).

125. მინდა ქედი მოვიხარო იმ წვლილის წინაშე, რომელიც ებრაელმა ხალხმა შეიტანა ცივილიზაციაში. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა მსოფლიო ამ ერის გარეშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №68, 1995 წლის 20 ივნისი, გვ. 1).

126. მინდა ყველამ იცოდეს ჩემი პრინციპული დამოკიდებულება 7 ნოემბრისადმი: მის იდეებს, ოქტომბრის იდეებს, მომავალი არა აქვს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ არც აღნიშვნაა დანაშაული და ვისაც სწამს, უნდა აღნიშნოს, მაგრამ მომავალი თვით ამ იდეებს და იმ საქმეს, რომელსაც ჩვენ, მათ შორის მეც, ათეული წლების განმავლობაში ვემსახურებოდით, პერსპექტივა არ გააჩნია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №199, 1994 წლის 9 ნოემბერი, გვ. 2).

127. მისი (ჩემი ცხოვრების — შემდგ.) გაკვეთილები ყოველთვის იოლი როდი იყო, მაგრამ ეს, ალბათ, ყველასთვის ასეა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 40).

128. ... მიღწეულით ტკბობა... საშიში სენია, რადგან პროგრესი იქ თავდება, სადაც ადამიანები მიღწეულს სჯერდებიან. ("საქართველოს კომუნისტი", №3, 1980, გვ. 35).

129. მიღწეულს არ უნდა დავჯერდეთ. ცხოვრება ჩვენგან ხომ ყოველთვის მეტს მოითხოვს, სულ ახალ-ახალ ამოცანებს გვიყენებს. ("კომუნისტი", №35, 1985 წლის 10 თებერვალი, გვ. 3).

130. მკვიდრი და ურყევია ხალხის ხსოვნა! ("საქართველოს კომუნისტი", №7, 1975, გვ. 19).

131. მომავლის საზოგადოება იქნება სინთეზი იმისა, რაც კი რამ პროგრესული შეუქმნია კაცობრიობას ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის დროს, თავისი განვითარების ყველა ეტაპზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10

* თარგმნილია ჟურნალიდან: "სოვეტსკი სოიუზ", №9, 1982, გვ. 9 (შემდგ.).

ოქტომბერი. გვ. 4).

132. ...მსოფლიო ეკოლოგიური ომი უკვე გაჩაღებულია. თავდაპირველად ის დაიწყო ბიოსფეროზე ტექნოსფეროს შეუზღუდავი და უკონტროლო შეტევით. ახლა კი, გრძელდება იმ ბუნებრივი წყაროების წინააღმდეგ სამხედრო საშუალებათა შეგნებული გამოყენებით, რომლებიც დედამიწაზე სიცოცხლეს უზრუნველყოფს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 290).

133. მსოფლიო წააგავს სარკეს ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრიდან. როცა სარკეს ხელს გაუშვებენ, იგი იმტვრევა და მიმოიფანტება ნამსხვრევებად, რომლებიც გვაყენებენ ჭრილობებს, გვაავადებენ ამნეზიით და გვაიძულებენ ხანგრძლივი ტანჯვით გადავიხადოთ მეხსიერების ხანმოკლეობის, გულმავიწყობის საფასური. ("საქართველოს რესპუბლიკა", №27, 1995 წლის 15 მარტი, გვ.1).

134. მსოფლიო ჯერ არ ქცეულა იმ ოცნების სამყაროდ, სადაც ჰარმონია და სიყვარულის კანონები განსაზღვრავენ ადამიანთა თანაცხოვრების წესებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №204, 1994 წლის 17 ნოემბერი, გვ. 1).

135. ...მსოფლიოს ხალხებსა და ქვეყნებს აახლოებს არა იმდენად ტერიტორიული სიახლოვე, რამდენადაც მათი მისწრაფება ნამდვილი დამოუკიდებლობისადმი, მათ შორის ცხოვრების ყაიდის, ჭეშმარიტი მეგობრების არჩევის დამოუკიდებლობისადმი. ("კომუნისტი", №110, 1982 წლის 11 მაისი, გვ. 1).

136. მშვიდობა თავისთავად, ასე ვთქვათ, თვითდინებით არ მოვა. ("კომუნისტი", №17, 1974 წლის 20 იანვარი, გვ. 2).

137. მშვიდობა სჭირდება ყოველ ერსა და სახელმწიფოს, ვინაიდან ბირთვულ საუკუნეში იგი კაცობრიობის არსებობის უპირველესი პირობაა. ("საქართველოს კომუნისტი", №10, 1984, გვ. 15).

138. მშვიდობისათვის მისწრაფება ყველა ხალხისა და ყველა ეპოქის კეთილი ნების ადამიანების სანუკვარი ოცნებაა. მშვიდობისათვის ბრძოლა ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. სხვა ალტერნატივა კაცობრიობას არ გააჩნია: ან გლობალური ატომური კატასტროფა, ან მშვიდობა! ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1983, გვ. 40).

139. მშობლიური ბუნება შემოქმედებითი შთაგონების, ესთეტიკური და პატრიოტული, მაშასადამე, ინტერნაციონალურ-პატრიოტული აღზრდის უშრეტი წყაროა. ("კომუნისტი", №278, 1978 წლის 29 ნოემბერი, გვ. 2).

140. მწარეა ისტორიის გაკვეთილები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №19, 1998 წლის 24 იანვარი, გვ. 2).

141. ...მხოლოდ და მხოლოდ მაღალი იდეალებით გაერთიანებულ და ამ იდეალთა ხორცშესხმის უნარის მქონე ხალხს აქვს მომავალი.

(ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ.71).

142. მხოლოდ მომავალს ძალუძს... ნათქვამ-ნამოქმედარის ჭეშმარიტი ფასის დადგენა. (ე შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 329).

143. ...ნამდვილი ეროვნული მოძრაობა ზოგადსაკაცობრიო ტალღას უერთდება. ზოგადსაკაცობრიო აუცილებლად გულისხმობს ეროვნულ მოძრაობათა დემოკრატიულ შენაკადებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №77, 1994 წლის 10 მაისი, გვ.1).

144. ნაღალატევი და გაყიდული ხალხი — რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო საშინელი! ("საქართველოს რესპუბლიკა". №216, 1993 წლის 1 ოქტომბერი, გვ. 1).

145. ნებისმიერი ქალაქი — ეს, უწინარეს ყოვლისა, მისი ხალხია და როცა ქალაქებზე ამბობენ, მშვენიერიაო, უწინარესად გულისხმობენ არა მის ძეგლებსა და ახალმშენებლობებს, არა საწარმო-დაწესებულებებს, არამედ უმთავრესად ადამიანებს, იმ სულიერ და ზნეობრივ ატმოსფეროს, რომელსაც ისინი ქმნიან. ("კომუნისტი", №250, 1982 წლის 31 ოქტომბერი, გვ. 2).

146. ნუ დაგვავიწყდება, რომ ისტორიის გაკვეთილები — ცხოვრების გაკვეთილებია, ხოლო ადამიანებისათვის, კაცობრიობისათვის კი ყველა გაკვეთილი საჭიროა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №272, 1993 წლის 28 დეკემბერი, გვ. 1).

147. ... ოდესღაც ჩადენილი ძალადობა ყოველთვის ბუმერანგად უბრუნდება ავისმქნელს: ხალხი ვერ შეურიგდება იმას, რაც ძალით მოახვიეს თავს, მას ყველაფერი ახსოვს, და ადრე თუ გვიან, დასძლევს შიშს და იტყვის თავის სათქმელს.* ("კომუნისტი", №67, 1990 წლის 23 მარტი, გვ. 2).

148. ომს თავისი სასტიკი კანონები აქვს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №238, 1993 წლის 3 ნოემბერი, გვ.1).

149. რაც უფრო მცირერიცხოვანია ერი, მით უფრო მეტი გარანტიებია საჭირო მისი თვითმყოფადობის გადასარჩენად... შესაძლოა, ამ ჭეშმარიტების მნიშვნელობა ყველაზე კარგად ქართველ ერს ესმის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №198, 1994 წლის 5 ნოემბერი, გვ. 1).

150. რაც წარმავალია, წარსულში რჩება, რაც მარადიულია აწმყოში გადადის. ("სამშობლო", №1, 1983 წლის იანვარი, გვ. 2).

151. როგორც საქართველომ, რუმინეთმაც თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ბევრი რამ გადაიტანა, ვიღას არ უთარეშია რუმინეთის მიწაზე, ისევე როგორც ჩვენთან, ბევრი "სტუმარი" ყოფილა. ხვდებით, ალბათ, რა გაგებითაც ვამბობთ "სტუმარს". ამიტომაც,

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ოგონიოკ", №11, 1990, გვ. 3 (შემდ.).

ბუნებრივია, რომ ჩვენ ვეძებთ უსაფრთხოების გარანტიებს ევროპაში, მათ შორის, — ბალკანეთში, ჩვენს რეგიონში, ცენტრალურ აზიაში, რუსეთთან ურთიერთობაში, ისევე, როგორც ოკეანის გაღმა ჩვენს მეგობრებთან კავშირებსა და ურთიერთობებში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №311, 1997 წლის 12 დეკემბერი, გვ. 12).

152. რომი დედაქალაქთა დედაქალაქია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №111, 1997 წლის 16 მაისი, გვ. 1).

153. ...რომი ძალზე ძვირფასია ჩემთვის. იგი ძვირფასია, როგორც ის გამორჩეული ადგილი დედამიწაზე, რომლის ატმოსფეროში მუდამ მოისმის შენდამი მომართული კითხვა: "საით მიემართები?" კითხვა, რომელიც ზუსტსა და წრფელ პასუხს მოითხოვს.

მე იგი მომესმის დღესაც, ახლა, და წინასწარ ვიცი პასუხი, რომელიც შეიძლება ჩამომერთვას ამ დიადი ქალაქისა და მისი შესანიშნავი მოქალაქეების სიყვარულისა და მადლიერების გამოხატულებად, მათ შემხედვარეს მუდამ გინდა იმუშაო და გაისარჯო ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების უკეთესი მერმისისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №114, 1997 წლის 20 მაისი, გვ. 2).

154. რუსული ხასიათი ისეთი ფართო და მშვენიერია, როგორც თავად რუსეთი. რუსი კაცის ბუნება ისეთივე მადლიანი და დაუშრეტელია, როგორც რუსული მიწის წიაღი.* ("კომუნისტი", №253, 1983 წლის 1 ნოემბერი, გვ. 2).

155. ...საერთაშორისო თანაარსებობის ფუძემდებლურ პრინციპებზე დამყარებულ მშვიდობას კავკასიაში გონივრული ალტერნატივა არ გააჩნია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №163, 1997 წლის 15 ივლისი, გვ. 4).

156. საერთო მშვიდობაზე ზრუნვა არა მხოლოდ კონფლიქტების კერების ჩაქრობას გულისხმობს, არამედ მათი წარმოქმნის მიზეზთა აღმოფხვრას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №185, 1997 წლის 3 აგვისტო, გვ. 2).

157. საერთოდ, ისტორიისთვის რეტროსპექტულად მსჯავრის გამოტანის, მის "სწორად" და "მცდარად" დაყოფის ცდების წინააღმდეგი ვარ. რაც იყო, იყო. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 241).

158. საერთოდ, ხატი არ არის იმის ნიშანი, რომ განწმენდილი ხარ. განწმენდა მსოფლმხედველობრივი ევოლუციის შედეგია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №241, 1992 წლის 25 ნოემბერი, გვ. 2).

159. საზოგადოების განვითარების კანონები ობიექტურია, ისინი არ არიან დამოკიდებული ადამიანთა ნებასა და გონებაზე. მაგრამ, რადგან ისინი სწორედ ადამიანთა საზოგადოებრივ-ისტორიული საქმიანობის კანონებს წარმოადგენენ, ეს კანონები მოქმედებენ არა ამ საქმიანობის

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა", №302, 1983 წლის 29 ოქტომბერი, გვ. 2 (შემდგ.).

გარეშე და მიუხედავად, არამედ მისი მეშვეობით. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 17).

160. ...საზოგადოების განვითარების ყოველი ეტაპი ურთიერთ-დაკავშირებულია და ავსებს ერთმანეთს. ("კომუნისტი", №155, 1977 წლის 5 ივლისი, გვ. 1).

161. ...სათუთად უნდა ვიცავდეთ წარსულს აწმყოსა და მომავლისათვის! ("კომუნისტი", №289, 1981 წლის 17 დეკემბერი, გვ. 2).

162. სამოქალაქო საზოგადოება – ფაქტობრივად ეს არის ნაცია. ეს არის ხალხი – ხელისუფლების წყარო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №161-162, 1995 წლის 3 ნოემბერი, გვ. 2).

163. სამწუხაროდ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაკავშირებულია მსხვერპლთან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №152, 1993 წლის 15 ივლისი, გვ. 2).

164. სამწუხაროდ, უნდა ვთქვათ, რომ "მშვიდობიანი კავკასიის" იდეებს არა მარტო მხურვალე მხარდამჭერები, არამედ აშკარა მოწი-ნააღმდეგენიც ჰყავს. და, ხანდახან კავკასიაში გამადიდებელი მინით ეძებენ წინააღმდეგობებს, რაც გააღრმავებს და კიდევ უფრო გაართულებს ვითარებას. არიან ასეთი ძალები და არიან ასეთი წრეებიც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №62. 1997 წლის 18 მარტი, გვ. 2).

165. საოცრად შთამბეჭდავი პარალელების გავლება იცის ხოლმე ზოგჯერ ისტორიამ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №48, 1995 წლის 29 აპრილი, გვ. 1).

166. საფრანგეთი ტრადიციულად საქართველოს მეგობარი ქვეყანაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №11, 1994 წლის 18 იანვარი, გვ.1).

167. საქართველომ ერთ-ერთი ინიციატორის როლი უნდა შეასრულოს შავი ზღვის გადარჩენის საქმეში. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს გაც-ნობიერებული რა შეიძლება მოხდეს. შავი ზღვა იქნება მკვდარ ზონადაც გადაიქცეს. ეს რეალური საფრთხეა, მაგრამ არსებობს გაჯანსაღების რეალური საშუალებებიც. მე ვიცი, რომ მეცნიერებისათვის ეს არცთუ ისე რთულია და არც თუ ისე ძვირადღირებულ პროექტებთან არის დაკავშირებული. საჭიროა მხოლოდ ყურადღების კონცენტრირება უმაღლეს დონეზე. ("დედამიწა", №8, 1993 წლის 22 აპრილი, გვ. 2).

168. (საქართველოს – შემდგ.) საგარეო-პოლიტიკური კურსის ერთ-ერთი პრიორიტეტია კავკასიური მიმართულება. ჩვენი რეგიონის ერთობას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება... კავკასია უნდა იყოს არა ველური და უმოწყალო კონკურენციის, ინტერესთა დაპირისპირების, არამედ დიდი თუ მცირე სახელმწიფოების თანამშრომლობის ასპარეზი.

("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1998 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

169. სახელმწიფოს, რომელსაც მხოლოდ "მტრის ხატის" დოპინგით აძლებინებს, ჩემი აზრით, არა აქვს უფლება იარსებოს.* ("კომუნისტი", №67, 1990 წლის 23 მარტი, გვ. 2).

170. ...სიბნელეში (საინფორმაციო ვაკუუმში — შემდგ.) მყოფი ხალხი სოციალურად, თუ გნებავთ, პოლიტიკურად, ყველაზე საშიშია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №37, 1996 წლის 2 მარტი, გვ. 3).

171. სოფლის ცხოვრება მშვენიერია თავისი სილაღით, სიწრფელით. მასში ყველაფერი ნათლად ჩანს: ადამიანებიც და მათი საქმეებიც. ის კარგია იმითაც, რომ ადამიანს ბალღობიდანვე ბუნებრივად ითრევს ყოველდღიურ საზრუნავთა წრებრუნვაში, ჩიჩინისა და დარიგებების გარეშე აჩვევს მას გონივრულ და გააზრებულ ქმედებას. შედეგი ყოველთვის თვალსაჩინოა. აგერ არის, შეგიძლია ხელი შეახო. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 41).

172. სოციალურ პრობლემათა მოსაგვარებლად ყველაზე უკეთესი საშუალებაა რეფორმების გზა, სწორი პროგნოზები და მეცნიერულად გათვლილ-გაანგარიშებული გადაწყვეტილებანი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №138, 1995 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 1).

173. ... სტაბილური კავკასია, მათ შორის, ჩრდილო კავკასია საქართველოს უდავო ინტერესების სფეროშია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №194, 1997 წლის 12 აგვისტო, გვ. 2).

174. უკრაინის პოტენციალი იმდენად დიდია, რომ, დარწმუნებული ვარ, ოცდამეერთე საუკუნეში საერთო ევროპული სახლის ერთ-ერთი საყრდენი გახდება და მნიშვნელოვან წვლილსაც შეიტანს საერთო ევროპული და გლობალური უშიშროების სისტემის განმტკიცებაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №275, 1997 წლის 4 ნოემბერი, გვ. 2).

175. უნდა ვუნერგავდეთ ადამიანებს ბუნების სიყვარულსა და პატივისცემას, უნდა გვახსოვდეს, რომ თვით ბუნებაც ზრდის კაცს, აბრძენებს, უფრო კეთილსა და უკეთესს ხდის მას. ("კომუნისტი", №284, 1981 წლის 11 დეკემბერი, გვ. 2).

176. უძლური და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეული ქვეყანა არა თუ ებრძვის, არამედ ხანდახან გულისხმობს კიდეც კორუმპირებულ კლანთა ბატონობას. სამწუხაროდ, ასეთია ისტორიის გაკვეთილები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №17, 1996 წლის 30 იანვარი, გვ. 1).

177. ფაქტებს ვერავითარი ტევადი მეტაფორა ვერ შეცვლის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 321).

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ოგონიოკ", №11, 1990, გვ. 3 (შემდგ.).

178. ფაქტოლოგია თავისთავად ისტორია როდია, ფაქტის ფილოსოფიური ინტერპრეტაციიდან იწყება ისტორიის არსისა და საზრისის წვდომა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 5).

179. ქვეყანას ყველა ერთნაირად სჭირდება — მეცნიერიც და მხედარიც, გლეხიცა და ხელოვანიც, მუშაცა და ბიზნესმენიც, სპორტსმენიც და პოლიტიკოსიც, ქალიცა და კაციც, მოხუციცა და ახალგაზრდაც. მათ გარეშე აწყობილი სახელმწიფო არ არსებობს და სწორედ მათი მისწრაფებით გაერთიანება აქცევს ქვეყანას სახელმწიფოდ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №254, 1993 წლის 1 დეკემბერი, გვ. 1).

180. ყველა გადაწყვეტილების სისწორეს დრო განსჯის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №185, 1995 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2).

181. ყველა ხალხს თავისი, უმეტეს შემთხვევაში, სევდიანი "კონფლიქტების ქრონიკა" აქვს. მე არ ვფიქრობ, რომ კავკასია გამონაკლისად ანდა... "ჯოჯოხეთურ წრედ" მოსჩანს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1995 წლის 4 თებერვალი, გვ. 3).

182. ...ყველა ხალხს, მით უმეტეს, კოლოსალური შემოქმედებითი პოტენციის მქონე და სიცოცხლის აღორძინებაში ამ პოტენციის ხორცისშემსხმელ ხალხს, — აქვს უფლება, სურდეს ერთიანობა, თვითგამორკვევა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 224).

183. ყველაზე დიდი ჯილდოა ხალხის სიყვარული და აღიარება! ეს ყველა ჯილდოზე უმაღლესი ჯილდოა. ("კომუნისტი", №234, 1973 წლის 6 ოქტომბერი, გვ. 4).

184. ყველაზე დიდი მასწავლებელი არის ისტორია და ცხოვრება. ცხოვრება გვასწავლის, რომ გადაშენდნენ ის ხალხები, რომლებმაც ვერ შეითვისეს და ვერ შეძლეს სხვა ხალხებთან მეგობრობა, ძმობა და ერთობა. ჩვენ ხალხთა ისეთ მეგობრობაზე ვლაპარაკობთ, რომელიც თითოეული ერის წინსვლის თვითმყოფადობის, აყვავების და აღორძინების გარანტიაა. ("სამშობლო", 1983 წლის იანვარი, გვ. 2).

185. ყველაზე ცუდი ხალხის იმედის გაცრუებაა... ("საქართველოს რესპუბლიკა", №212-213, 1992 წლის 13 ოქტომბერი, გვ. 5).

186. ...ყველა უნდა შევეგუოთ და შევეჩვიოთ, რომ არსებობს რაღაც პრინციპები, რომლებსაც უნდა ემორჩილებოდეს ყველა დიდი თუ მცირერიცხოვანი ხალხი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №20, 1994 წლის 1 თებერვალი, გვ. 1).

187. ...ყველაფერი, რასაც კავკასიის სტაბილურობისაკენ მივყავართ, უპირველეს ყოვლისა, იმ ქვეყნების ინტერესებს შეესაბამება, რომლებიც მთლიანად კავკასიას შეადგენს. ეს ეხება რუსეთსაც, ეს ეხება საქართველოსაც, ეხება სხვა ქვეყნებსა და სხვა ხალხებს. ("საქართველოს

რესპუბლიკა", №215, 1997 წლის 2 სექტემბერი, გვ. 2).

188. ყოველ ერსა და ეროვნებას თავისი ისტორიული მისია აქვს. ("კომუნისტი", №133, 1978 წლის 7 ივნისი, გვ. 2).

189. ყოველ ხალხს თავისი უნიკალური ისტორიული გამოცდილება, თავისი განვითარების გზა, თავისი ბედნიერების ფორმულა, თავისი სპეციფიკური და, შესაძლოა, ამ პრობლემათა გადაჭრის თავისი რეცეპტები აქვს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №116, 1995 წლის 6 სექტემბერი, გვ. 2).

190. ...ყოველი განვითარება, უწინარეს ყოვლისა, არის ბრძოლა, დაბრკოლებების გადალახვა. ასეთია ობიექტური კანონზომიერება. ("საბჭოთა ხელოვნება", №1, 1982, გვ. 15).

191. ყოველი ხალხი სათუთად ინახავს წარსულის ხსოვნას, უფრთხილდება მას. წარსულშია საუკუნეთა დიდება და უკვდავება, წინაპრების, მთელი თაობების გმირობა და ვაჟკაცობა, თავდადებით რომ იბრძოდნენ მშობლიური მიწა-წყლის ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და ხშირად თავსაც კი სწირავდნენ, ოღონდ ეცოცხლათ შთამომავალთ. ("კომუნისტი", №251, 1983 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 2).

192. ყოველი ხალხის ცხოვრებაში არის მოვლენა, რომელიც მისი მომავლის შემობრუნების პუნქტად იქცევა ხოლმე. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1983, გვ. 12).

193. შეგახსენებთ, რომ წარსული წააგავს შენობას, რომლის ნგრევისას, შეიძლება ნანგრევების ქვეშ მოჰყვე. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 294).

194. შეიძლება, რომ რუსეთში, ან სხვა რომელიმე ქვეყნის სათავეში მოვიდნენ კომუნისტები. როგორი კომუნისტები იქნებიან, კიდევ საკითხავია, მაგრამ რაც შეეხება საბჭოთა კავშირის აღდგენას, იმ დროს, როდესაც ყოფილმა რესპუბლიკებმა გემო გაუგეს, რა არის დამოუკიდებლობა, რა არის თავისუფლება, რა არის მსოფლიო თანამეგობრობაში თანამშრომლობა, როცა ყველას აქვს თავისი სიტყვა და წონა იმ პრობლემების მოგვარებაში, რომლებზეც პლანეტის ბედია დამოკიდებული, არანორმალური უნდა იყოს კაცი, ეს უზარმაზარი მონაპოვარი რომ დათმოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №2, 1998 წლის 4 იანვარი, გვ. 2).

195. ჩვენ არავის მივცემთ ისტორიის "პრივატიზაციის" უფლებას. ერის ისტორია ეკუთვნის ყველას, მთელს ერს და არა ცალკეულ პოლიტიკურ მიმდინარეობებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №51, 1993 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

196. ...ჩვენ ვამჩნევთ, რომ ყოველივე, რაც გუშინ მეტად თანამედროვედ გვეჩვენებოდა, დღეს, გარკვეული აზრით, მოძველდა, გამოიყურება პრიმიტიულად, პრიმიტივი კი, როგორც ცნობილია, ყოველგვარი

შემოქმედების ანტიპოდია. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ, 153).

197. ჩვენ ვერც ერთ ხალხს ვერ წავართმევთ უფლებას ჰქონდეს არჩევანის თავისუფლება და უფლება მისი განხორციელებისა, თუ ამას ზიანი არ მოაქვს სხვა ხალხებისათვის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 246).

198. ჩვენ ყოველთვის უზენაესი ძალის თვალთახედვის არეში ვართ და იგია ჩვენი ქცევის, ჩვენი ყოფის მსაჯული. თუ ეს დავივიწყეთ, ცოდვას ჩავიდენთ საკუთარი სულის, ხალხის, ქვეყნის წინაშე. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება იმ უზენაესი ძალის განსჯის საგანია, რასაც უნდა ვაკეთებდეთ, ის ყველაფერს ხედავს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №241, 1992 წლის 25 ნოემბერი, გვ. 2).

199. ჩვენთვის თავისუფლება არის არა განყენებული აბსტრაქცია და არა ანარქია, არა თავდავიწყებამდე ლაყბობა ყველაფერზე და არაფერზე, არამედ ადამიანთა ცივილიზაციის, ადამიანის ინტელექტის დიადი მონაპოვარი.

ჩვენთვის თავისუფლება — ეს არის შეცნობილი აუცილებლობა. ("კომუნისტი", №234, 1973 წლის 6 ოქტომბერი, გვ. 4).

200. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა კავკასიის ინტეგრაცია ევროპულ სივრცეში, თუმცა ამ პროცესმა ეროვნული თვითმყოფადობა არ უნდა დაგვაკარგვინოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №57, 1997 წლის 12 მარტი, გვ. 1).

201. ჩვენი ცხოვრების დიალექტიკა, ისტორიის აზრი ისეთია, რომ აწმყო ყოველთვის მერმისისაკენ არის მიმართული. მერმისი კი მუდამ აწმყოში იწყება. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. — საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 155).

202. "ცივი ომის" დამთავრებამ პირველად მსოფლიო ისტორიაში შექმნა ისეთი პირობები, როცა უზარმაზარ არეალში ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე უკვე ყალიბდება ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებათა პრიმატზე დამყარებული ერთიანი მსოფლმხედველობითი სივრცე. ეს ის ღირებულებებია, რომელთა წარმოშობა ევროპულ განმანათლებლობასთან არის დაკავშირებული. ამ სივრცეში მცხოვრებთ ეძლევათ უნიკალური შანსი, პრაქტიკულად განახორციელონ თავისუფლებისა და დემოკრატიის ზოგადსაკაცობრიო იდეალები... ამგვარ პირობებში აუცილებელია განსაკუთრებული ძალისხმევა იმისათვის, რომ ერების თვითმყოფადობა, მათი კულტურული მემკვიდრეობა და

სულიერება არ შთანთქას მოჭარბებულმა პრაგმატიზმმა. ჩვენ, კავკასიის ხალხებმა, ერთად უნდა მოვიფიქროთ, თუ რა საშუალებებით შევუთავსოთ ტრადიციული კულტურის ელემენტები ახალ, უფრო რაციონალურ რეალობას და შემოვუნახოთ მომავალ თაობებს ღირსებითა და რაინდული სულით აღსავსე ზოგად-კავკასიური კულტურა. ვფიქრობ, სწორი იქნება, თუკი ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საკითხს პლანეტარულ კონტექსტში სწორედ კავკასიის ხალხები დააყენებენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №43, 1997 წლის 22 თებერვალი, გვ. 2).

203. ცხოვრება — აი საუკეთესო მასწავლებელი. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა — თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. — საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 58).

204. ცხოვრება არასოდეს არ დგას ადგილზე. იგი სწრაფად და მტკიცედ მიაბიჯებს მომავლისაკენ. მომავალი კი ახალი მწვერვალებია, რომლებიც უნდა დავლაშქროთ. (ე.ა. შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 131).

205. ცხოვრება დიდი მასწავლებელია. ("კომუნისტი", №155, 1977 წლის 5 ივლისი, გვ.3).

206. ცხოვრება იმის ცხოვრებაა, რომ მაინც გააქვს თავისი*... ("საქართველოს რესპუბლიკა", №48-49, 1996 წლის 16 მარტი, გვ. 3).

207. ცხოვრება რთული, წინააღმდეგობრივი, მრავალფეროვანი პროცესია. ("კომუნისტი", №256, 1978 წლის 31 ოქტომბერი, გვ. 2).

208. ცხოვრება წვა, ცეცხლი უნდა იყოს და არა ბჟუტვა. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №24, 1978 წლის 25 თებერვალი, გვ. 3).

209. ცხოვრების გაკვეთილები, როგორც ვიცით, ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვება ხოლმე. ("საქართველოს კომუნისტი", №7, 1979, გვ. 23).

210. წარსული უყალიბებს ადამიანს ისტორიულ შეგნებას, უნერგავს ისტორიულ აზროვნებას, მაღალ მოქალაქეობრიობას, ზრდის მგზნებარე პატრიოტებსა და თანმიმდევრულ ინტერნაციონალისტებს. სწორედ ამიტომ უნდა იცოდეს თითოეულმა წარსული, ესმოდეს მისი მნიშვნელობა, პატივისცემით ეკიდებოდეს მას, სწორედ ამიტომ უნდა ვაზიაროთ თანამედროვენი წარსულ საუკუნეთა დიდებას. უწარსულოდ არ არის აწმყო. ("კომუნისტი", №251, 1983 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 3).

211. წარსულის შეცდომების გახსენება იმიტომ არის საჭირო, რომ აწმყო იზოლირებული არ არის წარსულისაგან. სწორედ დღეს იჩენენ

* თარგმნილია გაზეთიდან: "სეგოდნია", №37, 1996 წლის 6 მარტი (შემდგ.).

თავს გუშინდელი შეცდომების შედეგები.* ("კომუნისტი", №82, 1974 წლის 7 აპრილი, გვ. 2).

212. წლები მიდიან, წლები მოდიან, ქვეყანა იცვლება, მაგრამ მარადიულია სიჭაბუკე, შრომა, ერთგულება, კაცთმოყვარეობა, თავდადება, სამშობლოს სიყვარული, ხალხთა მეგობრობა, სხვა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები. ("სამშობლო", №1, 1983 წლის იანვარი, გვ. 2).

213. ხალხთა თვითგამორკვევის ისტორია საერთოდ რთული და წინააღმდეგობრივია. მით უმეტეს იქ, სადაც ათასწლეულობით გადახლართული იყო ეთნიკური, რელიგიური, ტერიტორიული და მატერიალური ინტერესები. განსაკუთრებით ისეთ კონგლომერატში, როგორადაც გარემომცველი მსოფლიო კავკასიას ხედავს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1995 წლის 4 თებერვალი, გვ. 3).

214. ხალხი ვერ იცოცხლებს მარტოოდენ წარსულისაკენ მზერამიპყრობილი... ხალხს მხოლოდ დღევანდელ დღეს და დღევანდელობის სასიკეთოდ შეუძლია — და ვალდებულიცაა, — ხორცი შეასხას თავის შემოქმედებით პოტენციალს. (ე.ა. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ.71-72).

215. ხალხი, რომელიც "ძლიერ ხელზე" ოცნებობს, ხშირად ივიწყებს, თუ რამდენად საშიში შეიძლება აღმოჩნდეს იგი. ისინი ფიქრობენ მხოლოდ სამართალსა და წესრიგზე. ბოლოს კი უკვირთ, როცა "ძლიერი ხელის" მქონე პიროვნება დიქტატორი ხდება. ("სარანგი", №7, 1993 წლის 26 მაისი, გვ. 7).

216. ხალხი... სამართლიანი და მკაცრია. ("საქართველოს კომუნისტი", №3, 1981, გვ. 78).

217. ხალხი ყველაფერს ხედავს, ყველაფერი იცის და არასოდეს არ გვაპატიებს, თუ რომელიმე ჩვენგანი უღირსად მოიქცევა. ("საბჭოთა ოსეთი", №135, 1979 წლის 1 ივლისი, გვ. 3).

218. ...ხალხი "შესაკრებთა ჯამი" არ არის, იგი რთული თანაფარდობაა პიროვნებებისა, რომელთა უფლებებისა და კეთილდღეობის მიტანა თუნდაც ყველაზე ამაღლებული იდეის სამსხვერპლოზე დაუშვებელია. მას აქვს უფლება სიცოცხლისა, ხელშეუხებლობისა, მისი სიმშვიდის შეუვალობისა, კეთილდღეობისა. ერს უფლება აქვს თავისი თავის განმგებელი თავადვე იყოს, სათამაშოდ არ იქცეს ბრმა სტიქიის ხელში. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება"", 1992, გვ. 307-308).

219. ხალხია ენის შემოქმედი, მისი ქომაგი, განმავითარებელი და პატრონი. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1983, გვ. 22).

220. (ხალხია — შემდ.) ...ვისთვისაც იქმნება პოლიტიკა, პოლიტიკის

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №81, 1974 წლის 6 აპრილი, გვ. 2 (შემდ.).

მთავარი განზომილება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 139).

221. ხალხის დაბეჩავება და გაღარიბება... მისი უშიშროების განმამტკიცებელი არ არის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 112).

222. ხალხის თვალში სახელმწიფო მოღვაწის პოლიტიკური სახე ის არის, რომელიც მათს მისწრაფებებს შეესაბამება. არაფერია ნდობის კრიზისზე უარესი, როცა იმის შედეგად იქმნება, რომ ხალხი არ იცნობს, არ ესმის ხელმძღვანელისა და, რაც მთავარია, — არ ჩანს შედეგი. ამ შემთხვევაში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საჯაროობას, ადამიანის დემოკრატიული ხედვის ოპტიკას. და, რაღა თქმა უნდა, იგი ყრუ არ უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრისადმი, მაგრამ არც უნდა მოერგოს მას, არამედ შინაგანი რწმენით უნდა მოქმედებდეს.

შეფასებით კი ხალხმა შეაფასოს.* ("კომუნისტი", №180, 1989 წლის 5 აგვისტო, გვ. 3).

223. ხალხის ნდობა, სიყვარული და პატივისცემა... დიდი ადამიანური ბედნიერების უმნიშვნელოვანესი წყაროა. ("კომუნისტი", №17, 1980 წლის 22 იანვარი, გვ. 2).

224. ხალხის... ნდობა უდიდესი, ყველაზე ფასდაუდებელი სიმდიდრეა. ("საქართველოს კომუნისტი", №12, 1982, გვ. 36).

225. ხალხმა უნდა გამოხატოს თავისი მადლიერება სამშობლოს ბედნიერებისთვის მებრძოლი შვილებისადმი, ვინც ქვეყნისთვის... მძიმე პერიოდში თავს არ ზოგავს. ("დრონი", №1, 1993 წლის 1 იანვარი, გვ. 3).

226. ხანდახან ხდება, რომ როცა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდები თითქოს რაღაცა ძალა ხელს წაგკრავს და მდგომარეობიდან გამოჰყავხარ; ამ დროს, ვფიქრობ, რომ ზეადამიანური ძალა გეხმარება. ("დრონი", №37, 1993 წლის 9 ივნისი, გვ. 4).

227. ხელისუფლება დემოკრატიულია — ხალხის ხელისუფლებაა, ხალხი კი სამართლიანი და მკაცრია. ("კომუნისტი", №48, 1981 წლის 26 თებერვალი, გვ. 3).

228. ჯადოქარ ისტორიას აქვს საოცარი თვისება დაუკავშიროს წარსული აწმყოს და გაკვალოს მერმისის გზა. ("კომუნისტი", №251, 1983 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 2).

229. ახლა, როცა ქვეყანა შედარებით ფეხზე დადგა, ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი მისი გამთლიანება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. მჯერა, და არაერთხელ მითქვამს ამის შესახებ, რომ ეს დრო შორს აღარ არის, ისტორიას აქვს თავისი კანონზომიერება,

* თარგმნილია გაზეთიდან: პრავიტელსტვენი ვესტნიკ", №14-15, 1989 წლის ივლისი, გვ. 16 (შემდ.).

რომლის დარღვევას არავის აპატიებენ — არც მცირე და არც დიდ ხალხებს, მაგრამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა, ჩვენი ხალხის, ჩვენი ერის, მთელი სახელმწიფოს, მისი ყველა მოქალაქის ერთი მიზნის გარშემო გაერთიანებაა. ეს მიზანია ერთიანი და დამოუკიდებელი ქვეყანა, დამოუკიდებელი სახელმწიფო, აყვავებული საქართველო.

ჩვენი კურსი შერიგებისაკენ, ეროვნული თანხმობისაკენ კარგა ხანია განსაზღვრულია. დღესაც ძალაშია 1992 წლის ზაფხულში ჩემს მიერ გამოქვეყნებული მანიფესტი. ყველა პრინციპი, რომლებიც ერის გამთლიანებასა და გაერთიანებას სჭირდება, ამ პლატფორმაში ლაკონურად და კარგადაა ჩამოყალიბებული. ეს მოთხოვნა დღესაც ძალაშია.

თუ დღეს ჩვენ განსაკუთრებული სითბოთი და პასუხისმგებლობით აღვნიშნავთ რეფერენდუმის დღეს და მეც აქ, თქვენთან ერთად ვიმყოფები, მიზანი ის არის, რომ ერთხელ კიდევ გავიხსენოთ 31 მარტი — საქართველოს ერთიანობის, საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქის ერთიანობის საოცარი დემონსტრაცია. არ ვიცი, არის თუ არა მსგავსი სხვა მოვლენა საქართველოს ისტორიაში, როცა მთელი ერი ასეთი ერთსულოვანი იყო და მას სწორედ დამოუკიდებლობის, თავისუფლების, თავისუფალი განვითარების იდეა ამოძრავებდა.

მინდა დღეს მადლობა ვუთხრა ყველას, რომელ პოლიტიკურ მიმდინარეობასაც უნდა ეკუთვნოდეს, ვინც რეფერენდუმის მომზადებას, ჩატარებას და მის ასეთ დიდ წარმატებას შეუწყო ხელი. ამით მათ ხელი შეუწყეს არა მარტო ქართველი ხალხის და საქართველოს მოქალაქეთა ნების გამოხატვას, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის სამართლებრივი ბაზის მომზადებასაც, მსოფლიოში მის აღიარებასაც. ამიტომაც მივმართავ ყველას მათ შორის, იმ ადამიანების სულებსაც, რომლებიც ჩვენს შორის უკვე აღარ არიან და რომლებსაც წვლილი შეიტანეს ამ დიდ საქმეში, ამ ისტორიული დღის მომზადებასა და განხორციელებაში.

ისტორია არავის აპატიებს ცალკეულ ღირსეულ პიროვნებათა, ან ქვეყნის განვითარებაში ამა თუ იმ ეტაპის ამოგდებას და უგულებელყოფას. როგორი მძიმე უნდა იყოს და რა შეცდომებითაც უნდა ხასიათდებოდეს. მე დღეს არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ქართველი ხალხის ამ დიდი ზეიმის, რომელიც ისტორიაში შევა როგორც ოქროს ფურცელი, ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელი ზვიად გამსახურდია.

არ არის ლაპარაკი იმაზე, თუ ვინ რა შეცდომა დაუშვა. ეს სხვა დროს გაირჩევა, ყველაფრის დრო მოვა, ჩვენ თუ არა, მომავალი

თაობები გააკეთებენ ამას. მაგრამ ჩვენ სამართლიანი უნდა ვიყოთ. ის, რა სიკეთეც დათესა ადამიანმა, ის დროშა, რომელიც ამ პიროვნებამ მაშინ აღმართა, სიმართლის დროშა იყო, იმ დღეს ყოველ შემთხვევაში, და მომავალშიც, ამიტომაც, ვახსენებ რა მის სახელს, მე ვახსენებ ყველას, ვინც იბრძოდა ამ დღისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №78, 1998 წლის 1 აპრილი, გვ. 1-2).

230. Кавказу с его уникальной этнической культурой, тяжелым политическим и историческим наследием, широким спектром клановых и племенных связей и компонентов более угрожают негативные стороны Европейского сообщества, нежели самой Европе. Путь фундаменталистской конфедерации - не путь Кавказа в будущее. ("Литературная Грузия", №1, 1993, стр. 128) .

231. Кредо - "На том стою и не могу иначе!" и готовность претерпеть за него - удел свободной личности, свободо, независимо, добровольно принимающей его. Все остальное - насилие над человеком, разрушающее в итоге государство. ("Неделя", №52, 23-31 декабря 1991, стр.13).

232. Понимание истории не есть лишь знание дат войн, восшествия царей на престол и их свержения. Надо вникнуть в душу истории, в ее главные тенденции. ("Литературная Грузия", №1, 1993, стр. 89).

233. Сколько кассандр построил... XX век, сколько утопий обесценил! Это едва ли не главный урок столетия, который следовало бы усвоить и нам, и нашим детям: превращать миллионы людей в заложников и пленников идей, пусть даже и самой возвышенной, - гибельно для человечества. ("Неделя", №52, 23-31 декабря 1991 года, стр.13).

234. Сложна философия свободы. ("Литературная Грузия", №1, 1993, стр. 111) .

235. У Кавказа свой путь в будущее, и все народы Кавказа должны сыграть конструктивную, а не деструктивную роль в строительстве его будущего. ("Литературная Грузия", #1, 1993, стр. 128) .

# III. საზოგადოებრივი აზრის, დემოკრატიის, სახელმწიფოებრივი მმართველობის, პარლამენტარიზმის, კონსტიტუციის, არჩევნების, დეპუტატის სტატუსის, ოპოზიციის, დიქტატურის, სამოქალაქო საზოგადოების, სიმართლის, სამართლიანობის, კანონის, კანონზომიერების, კონტროლის, დისციპლინის, ადამიანის უფლებათა დაცვის, საზოგადოებრივი კრიტიკის, თვითკრიტიკის, მართლმსაჯულებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ადამიანის აღიარებულ უფლებათა დაცვა ცივილიზებულ სამყაროში დემოკრატიის უმთავრესი პირობაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მოქალაქეთა აქტიურობის ზრდა, — თითოეულმა მოქალაქემ უნდა გაიცნობიეროს საკუთარი მნიშვნელობა, როგორც ერის, სახელმწიფოს კეთილდღეობის ძირითადი ფაქტორი, ხოლო სახელმწიფო და კანონი უნდა იცავდეს მის უსაფრთხოებას, საკუთრებას, თავისუფლებას. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №65, 1994 წლის 21 აპრილი, გვ. 3).

2. ადამიანის, მოქალაქის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები ჩვენთვის უზენაესი ღირებულება და ყოველდღიური ზრუნვის უპირველესი საგანია. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №175, 1995 წლის 27 ნოემბერი, გვ. 2).

3. ადამიანის უფლებათა გარანტირებული დაცვა დღევანდელ მსოფლიოში ქვეყნის სტაბილურობისა და უშიშროების ერთი უპირველესი პირობათაგანია. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №91, 1997 წლის 22 აპრილი, გვ. 2).

4. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სადარაჯოზე უნდა იდგეს სახელმწიფო მთელი თავისი სტრუქტურებით. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №1, 1997 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

5. ...ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა თუნდაც, კონსტიტუციური დეკლარირება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ უფლებათა რეალურ დაცვას. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №109, 1995 წლის 25 აგვისტო, გვ. 1).

6. ადამიანის უფლებათა დაცვა გულისხმობს მოქალაქის უსაფრთხოებას, მის კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის გარანტიებს. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №42, 1995 წლის 18 აპრილი, გვ. 2).

7. ...ადამიანის უფლებათა დაცვის ერთი დღე — ასეთი რამ არ არსებობს. ამ დღეს (10 დეკემბერს — შემდგ.) ერთგვარად ჯამდება რაღაც გაწეული მუშაობა, მაგრამ პრაქტიკულად ადამიანის უფლებებს ყოველ დღეს და ყოველ საათს უნდა იცავდეს ქვეყანა. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №252, 1996 წლის 17 დეკემბერი, გვ. 2).

8. ადამიანის უფლებათა, პიროვნების თავისუფლებათა დაცვის საკითხს საქართველოს სახელმწიფოსათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც სახელმწიფოს ბრძოლა პიროვნების თავისუფლების აბსოლუტური გარანტიების შექმნისათვის, ჩვენი განვითარების კვალობაზე, კიდევ უფრო გაძლიერდება და სრულყოფილი გახდება. რა თქმა უნდა, ეს ეხება ადამიანის ყველა უფლებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №252, 1996 წლის 17 დეკემბერი, გვ. 2).

9. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია იცავს ქვეყნის ტერიტორიაზე ადამიანის თავისუფლად გადაადგილების და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 2).

10. ადამიანის უფლებების ბოლომდე დაცვა მხოლოდ იმ საზოგადოებას ძალუძს, რომელსაც შეუძლია თავისი წევრები უზრუნველყოს სათანადო ეკონომიკური პირობებით. ეკონომიკური რეფორმების ძირითადი დანიშნულება ხომ ადამიანის კეთილდღეობა, ფართო ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე საზოგადოების შექმნაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 2).

11. ადამიანის უფლებების დასაცავად რეჟიმის დემოკრატიულ გამკაცრებაში მეტი ჰუმანიზმია, ვიდრე ფაქტობრივად დამნაშავეთა დამცავ ლიბერალიზმში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №192, 1993 წლის 2 სექტემბერი, გვ. 3).

12. ადამიანის უფლებების დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის სასინჯი ქვაა, მთავარი საზომია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №42, 1995 წლის 18 აპრილი, გვ. 2).

13. ადმინისტრაციული ორგანოები უნდა ილვწოდნენ იმისათვის, რომ კანონის სადარაჯოზე იდგნენ მაღალი პოლიტიკური, პროფესიული და ინტელექტუალური კულტურის ადამიანები, რომლებიც პასუხს აგებენ მინდობილი საქმისა და ადამიანთა ბედისათვის. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 146).

14. ადრე თუ გვიან, ყველამ უნდა აგოს პასუხი ჩადენილ ბოროტებასა და დანაშაულზე კანონის, ხალხისა და ღმერთის წინაშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №282, 1997 წლის 11 ნოემბერი, გვ. 3).

15. ავტონომიას თავისი პრინციპები აქვს, თავისი კანონიერი, კონსტიტუციური მოთხოვნა და ამავე დროს ავტონომიასაც აქვს პასუხისმგებლობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №213, 1996 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 2).

16. ...არ არსებობს უფლებები მოვალეობათა გარეშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №143, 1992 წლის 31 ივლისი, გვ. 2).

17. არ შეიძლება გადაახტე იმ ეტაპს, რომლის გავლასაც მოითხოვს

საზოგადოების განვითარების კანონზომიერება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 1).

18. არ შეიძლება მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომ შეღავათი გავუწიოთ ერთს, მეორეს კი — არა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №184, 1996 წლის 12 სექტემბერი, გვ. 1).

19. არ შეიძლება დემოკრატია ისე გავიგოთ, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს... აქვს კრიტიკის უფლება, მეორე ნაწილს კი ეკისრება მხოლოდ ამ კრიტიკის მოსმენის და მდგომარეობის გამოსწორების მოვალეობა. ვიმეორებ — არ არსებობს უფლება მოვალეობის გარეშე ჩვენს საზოგადოებაში. ("ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 4).

20. არ შეიძლება უსამართლობას ითმენდეს სოციალური სამართლიანობის მთავრობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №192, 1993 წლის 2 სექტემბერი, გვ. 3).

21. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დემოკრატიზმის გაფართოებისა და გაღრმავების პროცესის გაიგივება ანარქიზმის ელემენტებთან. ("საქართველოს კომუნისტი", №3, 1980, გვ. 30).

22. არავის არა აქვს უფლება კანონიერების მიჯნას გადააბიჯოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №68, 1994 წლის 26 აპრილი, გვ. 2).

23. არასოდეს არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენში ადამიანის საკეთილდღეოდ მიმდინარეობს. ჩვენ ნეგატიურ მოვლენათა მატარებელი ადამიანის წინააღმდეგ კი არ ვიბრძვით, არამედ ბრძოლას ვუცხადებთ ყოველივე არაადამიანურს ადამიანში, რათა ვიხსნათ თვით ადამიანი. ასე რომ, ანტიპოდის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს როგორც საზოგადოების საკეთილდღეოდ, ისევე ანტიპოდური მოვლენების მატარებელი ადამიანის საკეთილდღეოდაც, მისი ზნეობრივი სრულყოფისათვის, ადამიანში ყოველივე ადამიანურის აღორძინებისათვის. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 109).

24. არასწორი გადაწყვეტილება ათასია, სწორი კი მხოლოდ ერთი და ათასი ვარიანტიდან ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება რომ გამოიტანო, საჭიროა საღი გონება და მგზნებარე, კაცთმოყვარე გული, ღრმა... პრინციპულობა, ჰუმანიზმისა და სიმკაცრის სწორი შეხამება. ("კომუნისტი", №178, 1973 წლის 31 ივლისი, გვ. 2).

25. ...არც ერთი დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირება არ მომხდარა სერიოზული კატაკლიზმებისა და მძიმე ექსცესების გარეშე. დემოკრატიის კლასიკურ ქვეყნებშიც კი, რომლებიც სამოქალაქო ომებისა

და დიდი სოციალური ხანძრების შემდეგ ბოლოს და ბოლოს დაადგნენ ამ გზას, იგი ეკლიანი და მძიმე იყო. გამოსავალი დემოკრატიაზე უარის თქმა კი არ არის, არამედ დემოკრატიული ინსტიტუტების, დემოკრატიული ცხოვრების წესის ეფექტიანი და გარანტირებული დაცვაა. დემოკრატიული სახელმწიფო უნდა იყოს ძლიერი, უნდა შეეძლოს დემოკრატიის მონაპოვართა დაცვა. თუ ამას ვერ შესძლებს, მაშინ ჩნდება ნოსტალგიაც... ("საქართველოს რესპუბლიკა", №24, 1995 წლის 7 მარტი, გვ. 2).

26. (აუცილებელია — შემდგ.)... რომ ადამიანის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა საზოგადოების ცნობიერების დომინანტად იქცეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №4, 1998 წლის 6 იანვარი, გვ. 2).

27. ...აღარასოდეს დავეთანხმები იმას, რომ ადამიანის სოციალურ უფლებათა დასაცავად მისივე პიროვნული უფლებების ხელყოფაა საჭირო. ისტორიამ დაადასტურა ამგვარი მიდგომის მანკიერება, ამიტომ მიგვაჩნია უბერებლად ეს დიადი ფორმულა, რომელსაც არ სჭირდება კორექტირება და დამატება — სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №308, 1997 წლის 9 დეკემბერი, გვ. 2).

28. ახალი კონსტიტუცია ჩვენი ხალხის უდიდეს ისტორიულ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება. ეს არის ქართველი ხალხის სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი ისტორიის გვირგვინი. და ეს პოლიტიკური მეტაფორა როდია. ეს ისტორიული ჭეშმარიტებაა, რადგან ამ კონსტიტუციის მიღებით ჩამოყალიბდა თანამედროვე დემოკრატიული, ეროვნული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო საქართველოში.

ქართული კონსტიტუციონალიზმი იცნობს 1921, 1922, 1937, 1978 წლებში მიღებულ კონსტიტუციებს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი 1921 წლის დამოუკიდებელი მემკვიდრე — 1995 წლის კონსტიტუციაა.

... საქართველოს ახალი კონსტიტუცია — ეს არის 21-ე საუკუნის ქართველი ერის, საქართველოს ხალხის პოლიტიკური, სამართლებრივი და ფილოსოფიური სიბრძნის, მისი მაღალი ინტელექტის, აზროვნების კულტურის გამოხატულება, რომელიც წარმართავს არა მარტო მე-20, არამედ 21-ე საუკუნის საქართველოს ცხოვრებას და თავის კვალს დაამჩნევს ქართული სახელმწიფოს განვითარებას უფრო შორეულ პერსპექტივაშიც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №173, 1996 წლის 27 აგვისტო, გვ. 2).

29. ახალი ქვეყანა, ახალი დემოკრატიული სახელმწიფო ერთფეროვანი, სტანდარტული მიდგომით არ შეიძლება აშენდეს.

ყველა ჩვენგანი თავის ადგილს, თავის გზას ეძებს ახალ სახელმწიფოში და ჩვენი უდიდესი მონაპოვარი, ვფიქრობ არის ის, რომ არავინ არის შეზღუდული იაროს თავისი გზით და მის მიერ სწორად მიჩნეული ვარიანტი შესთავაზოს საზოგადოებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №2, 1998 წლის 4 იანვარი, გვ. 2).

30. განვამტკიცოთ დისციპლინა და განვავითაროთ ჩვენი ცხოვრების დემოკრატიული საფუძველი... ისე... რომ დისციპლინის განმტკიცება უზრუნველყოფდეს დემოკრატიის განვითარებას, ხოლო დემოკრატიის განვითარება — დისციპლინის განმტკიცებას. (“კომუნისტი”, №119, 1980 წლის 24 მაისი, გვ. 1).

31. დადგენილება კარგავს ყოველგვარ აზრს, თუ არ მოხდა მისი შესრულების შემოწმება, არ გაირკვა საკითხი რა პრაქტიკული შედეგი მოიტანა ღონისძიებამ. (“ახალგაზრდა კომუნისტი”, №30, 1959 წლის 10 მარტი, გვ. 2).

32. დემოკრატია ერთბაშად როდი მკვიდრდება... დემოკრატია იმ ადამიანთა წყობილებაა, რომლებიც ღირსეულ არჩევანს აკეთებენ. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №90, 1992 წლის 27 მაისი, გვ. 1).

33. დემოკრატია — ეს არის ხალხის ხელისუფლება. (“ლიტერატურული საქართველო”, №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 4).

34. ...დემოკრატია თავისთავად არ ვითარდება, ... ასეთი დემოკრატია ანარქიას დაემსგავსება. (“საქართველოს კომუნისტი”, №1, 1978, გვ. 58).

35. დემოკრატია, თავისუფლება, სუვერენიტეტი, კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობა — აი, ჩვენი გზა მომავლისაკენ. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №95-96, 1994 წლის 26 მაისი, გვ. 1).

36. ...დემოკრატია თვითდისციპლინის გარეშე ანარქიაა. თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე კი თვითმკვლელობას უდრის. (“კომუნისტი”, №88, 1989 წლის 15 აპრილი, გვ. 1).

37. დემოკრატია მარტო კრიტიკის უფლება როდია, დემოკრატია — ეს არის ჩვენი ცხოვრების ყველა გასაკრიტიკებელ უბანზე მდგომარეობის სრულყოფის იარაღი. (“ლიტერატურული საქართველო”, №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 4).

38. დემოკრატია მტკიცე და სტაბილურ სახელმწიფოს გულისხმობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დემოკრატიის ძირითადი ღირსება აკლდება. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №1 1998 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

39. დემოკრატია რაღაც განკერძოებული პოლიტიკური თუ ფილოსოფიური ცნება როდია. არა, დემოკრატია ვლინდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენი საზოგადოების თვითეული წევრის ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროში. (“კომუნისტი”, №33, 1974 წლის 8 თებერვალი, გვ. 3).

40. დემოკრატია, რომელსაც თავდაცვა არ შეუძლია, ხალხს ვერ დაიცავს. არ შეიძლება ქაოსისა და ანარქიის მთავრობა დემოკრატიული მთავრობა იყოს. დემოკრატია პირველ რიგში — ეს წესრიგი და კანონიერებაა. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №192, 1993 წლის 2 სექტემბერი, გვ. 3).

41. დემოკრატია, რომელსაც თავდაცვა არ ძალუძს, არაფრად არ ღირს. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №108, 1993 წლის 27 მაისი, გვ. 1).

42. დემოკრატიზაცია არ უნდა ფარავდეს ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და დამოუკიდებლობას და, პირიქით, ქვეყნის დამოუკიდებლობა არ უნდა ხორციელდებოდეს დემოკრატიის შეზღუდვის ხარჯზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 2).

43. დემოკრატიზმი და აქტიურობა ის ორი ფაქტორია, რომლებიც აამოქმდებს და აუცილებლად აამოქმედებს მესამე ფაქტორს — გააძლიერებს თითოეულის პასუხისმგებლობას, პასუხისმგებლობას არა მარტო თავის პირად მოვალეობათა შესრულებისათვის, არამედ აგრეთვე პასუხისმგებლობას საერთო საქმისათვის. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 178).

44. ...დემოკრატიზმის გაღრმავება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში... სტიმულს აძლევს მასების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის შემდგომ ზრდას, რისთვისაც ჩვენ ვილვწით.

ამ დიალექტიკურ ურთიერთკავშირს უნდა ხედავდეს და გრძნობდეს ყოველი ჩვენთაგანი. იგი განსაკუთრებით ცხადად უნდა შეიგნონ იმათ, ვინც ყოველნაირად ეწინააღმდეგება ჩვენი ცხოვრების დემოკრატიულ პროცესებს. (ე. ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 129-130).

45. დემოკრატიზმის დამკვიდრება, მუშაობის ნამდვილად დემოკრატიული ფორმების განვითარება... წარმატების განუყოფელი პირობა და განვითარებული... საზოგადოების ცხოვრების კანონია. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 98).

46. ...დემოკრატიის განვითარება და გაღრმავება, ადამიანის აქტიურობის გაძლიერება – ეს არის დისციპლინის განმტკიცების, თვითდისციპლინის გამომუშავების, შეგნებული დისციპლინის დამკვიდრების ყველაზე უტყუარი გზა. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. -- საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 182).

47. ... დემოკრატიის ერთ-ერთი საზომია ადამიანის უფლებების დაცვა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №215, 1992 წლის 20 ოქტომბერი, გვ. 2).

48. დემოკრატიის ნამდვილი ზეიმი თვით ადამიანთა ყოველდღიურ მოქმედებაში უნდა იყოს გამოხატული. ("კომუნისტი", №155, 1977 წლის 5 ივლისი, გვ. 3).

49. დემოკრატიის ქვაკუთხედი არა მარტო პიროვნების თავისუფლება და ადამიანთა უფლებების დაცვა გახლავთ, არამედ უფლებათა განსაზღვრულობაც, რა თქმა უნდა, დემოკრატიული საზოგადოების ჩარჩოებში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №163, 1996 წლის 13 აგვისტო, გვ. 2).

50. ...დემოკრატიისა და დისციპლინის პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება, დიალექტიკურად ერწყმის ერთმანეთს, შედუღაბებულია ურთიერთმოქმედების ერთიანი მექანიზმით. ("საქართველოს კომუნისტი", №7, 1980, გვ. 34).

51. დემოკრატიისაკენ მიმავალი გზა არ შეიძლება პოლიტიკანობის, ჭორების, ცილისწამების, პროვოკაციების საფუძველს ეყრდნობოდეს. ეს ყველაფერი ანტიდემოკრატიული მოვლენებია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №156, 1997 წლის 8 ივლისი, გვ. 2).

52. დემოკრატიულ სახელმწიფოში მკაცრად უნდა იყოს დაცული დემოკრატიული მონაპოვარი, სხვაგვარად ეს მონაპოვარი შეიძლება ანარქიად იქცეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №302, 1997 წლის 2 დეკემბერი, გვ. 3).

53. ... დემოკრატიულ ქვეყანაში დემოკრატიისა და სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორია ჯანსაღი, კონსტრუქციული ოპოზიცია, და არამარტო უმრავლესობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №261, 1997 წლის 21 ოქტომბერი, გვ. 2).

54. დემოკრატიული აღმშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მართლმსაჯულების თვისებრივად განსხვავებული, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი სისტემის შექმნა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №248, 1997 წლის 5 ოქტომბერი, გვ. 2).

55. დემოკრატიული კანონმდებლობა, თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ მას არ ექნება საზოგადოების პრაქტიკული მხარდაჭერა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №149-150, 1996 წლის 25 ივლისი, გვ. 3).

56. დემოკრატიული საზოგადოება არ არსებობს დემოკრატიული, თავისუფალი პიროვნების გარეშე. ("საქართველოს რეპუბლიკა", №90, 1992 წლის 27 მაისი, გვ. 1).

57. დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც გამოხატავს სუვერენული ხალხის უზენაეს ნებას, ყველა პირობას ქმნის ქრისტიანული სარწმუნოების აღორძინებისა და აყვავებისათვის, ყველა მოქალაქის სინდისის თავისუფლების რეალურად განხორციელებისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №323, 1997 წლის 26 დეკემბერი, გვ.2).

58. ...დემოკრატიული სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში მომუშავეთა შორის ურთიერთობა კორექტულობას და ურთიერთპატივისცემას უნდა ემყარებოდეს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ თანამოაზრეები ვართ და ერთად ვაშენებთ სახელმწიფოს. თუ შენ ამ სახელმწიფოს ღალატობ

და ხელი წაგიცდა იქითკენ, სადაც არა გაქვს ხელის ფათურის უფლება, მაშინ უნდა დავცილდეთ ერთმანეთს, სხვანაირად არ შეიძლება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

59. ... დეპუტატი ხალხის მსახურია. ეს ფრაზა კი არა, მოქმედების სახელმძღვანელოა თითოეული დეპუტატისათვის. მათ სული უნდა ჩაუდგან ამ ფორმულას. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური უომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 147).

60. დეპუტატის სტატუსი წარმოადგენს სახალხო ხელისუფლების ნორმების სულ უფრო ეფექტიანი გამოყენების გარანტიას. ("კომუნისტი", №133, 1974 წლის 9 ივნისი, გვ. 1).

61. დისციპლინა არა მარტო ზნეობრივი, არამედ მატერიალური კატეგორიაცაა. დისციპლინა უზრუნველყოფს დამატებითს პროდუქციას, მაღალ შრომის ნაყოფიერებასა და რენტაბელობას, ხელფასის ზრდასა და საყოველთაო კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ("საქართველოს კომუნისტი", №1, 1983, გვ. 18-19).

62. დისციპლინა და დემოკრატია გაუთიშავია. დისციპლინა დემოკრატიის გარანტია უნდა იყოს, დემოკრატია — შეგნებული დისციპლინისა. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №41, 1980 წლის 5 აპრილი, გვ. 3).

63. დისციპლინა დემოკრატიული კატეგორიაა. დისციპლინა და ორგანიზაცია ნებაყოფლობისა და დემოკრატიზმის ფარია, ფართო დემოკრატიზმისა და მასების შემოქმედების გარეშე კი შეგნებული დისციპლინა არ არსებობს. ("კომუნისტი", №293, 1982 წლის 23 დეკემბერი, გვ. 2).

64. ...დისციპლინა იწყება კაბინეტებიდან, ხელმძღვანელებიდან. ("საქართველოს კომუნისტი", №8, 1983, გვ. 9).

65. ... დისციპლინა საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე დიდი განძია. საზოგადოებას ისევე სჭირდება დისციპლინა, როგორც სხვა ყველა სოციალური და პოლიტიკური სიკეთე — თავისუფლება, დემოკრატია, წესრიგი და სხვ. ეს ღირებულებები ნამდვილად ხელმისაწვდომი, რეალურად გარანტირებული უნდა იყოს საზოგადოების თითოეული წევრისათვის: ყოველი ადამიანი მაქსიმალურად უნდა იბრძოდეს ამ ღირებულებათა დამკვიდრებისათვის. ("კომუნისტი", №159, 1976 წლის 9 ივლისი, გვ.1).

66. დისციპლინა საფუძველია, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ძლიერებას. ("კომუნისტი", №92, 1983 წლის 20 აპრილი, გვ. 2).

67. ...დისციპლინის განმტკიცება ისევე გვჭირდება, როგორც ჰაერი და წყალი, მაგრამ ჩვენ გვჭირდება დისციპლინა, რომელსაც საფუძვლად დაედება არა შიში, არამედ მაღალი შეგნება. ("კომუნისტი", №91, 1975 წლის 18 აპრილი, გვ. 3).

68. დროა, ყველა მოქალაქემ გაიგოს, რომ რწმენისათვის საქართველოში არავის ასამართლებენ და არავის სჯიან. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და დანაშაულებრივი ქმედება კი კვლავაც დაისჯება კანონის შესაბამისად და კიდევ უფრო მკაცრადაც. („საქართველოს რესპუბლიკა", №9, 1998 წლის 13 იანვარი, გვ. 2).

69. დღეს, მსოფლიოში, დემოკრატიულ პრინციპებს, რომლებიც ჩადებულია საზოგადოებრივი მოწყობის სხვადასხვა სისტემაში, ბევრი ნაირსახეობა და შეფერილობა ახასიათებს, მაგრამ უფლებისა და თავისუფლების ამ პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს მოქალაქეთა პირადი პასუხისმგებლობის ზომა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. მე ვოცნებებ სწორედ ასეთ დემოკრატიაზე საქართველოში. („საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1995 წლის 4 თებერვალი, გვ. 3).

70. ელემენტარული წესრიგის გარეშე ლაპარაკიც კი ზედმეტია დემოკრატიაზე, ვინაიდან უწესრიგო, დამშეულ ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების აშენება წარმოუდგენელია. („საქართველოს რესპუბლიკა", №47, 1992 წლის 19 მარტი, გვ. 1).

71. ...ვერანაირი სახელმწიფოებრივი ინტერესები ვერ მოგვცემს უფლებას, ვერ გვაიძულებს დავარღვიოთ ადამიანის უფლებები, უდანაშაულობის პრეზუმფცია — შევლახოთ მისი ღირსება. („საქართველოს რესპუბლიკა", №308, 1997 წლის 9 დეკემბერი, გვ. 2).

72. ვისაც არ ესმის, რომ საჭიროა ხელისუფლების შტოთა შორის ფუნქციების კონსტიტუციური კანონის საფუძველზე გამიჯვნა, ჩაურევლობა ერთმანეთის ფუნქციებში, მას დემოკრატიის საფუძვლები ცუდად ესმის. („საქართველოს რესპუბლიკა", №192, 1993 წლის 2 სექტემბერი, გვ. 2).

73. ვისაც ხალხის რჩეული ჰქვია, არც ერთი წუთით არ უნდა ივიწყებდეს იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ცხოვრების გზა ადამიანისა ყოველთვის ია-ვარდით როდია მოფენილი. („კომუნისტი", №155, 1977 წლის 5 ივლისი, გვ. 3).

74. ...ზოგიერთმა პუბლიკაციამ შეიძლება წონასწორობიდანაც გამოიყვანოს ადამიანი, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ იგი დაასკვნის, რომ კრიტიკა უსაფუძვლო არ იყო, მის გარეშე, ალბათ, რაღაც დაგვაკლდებოდა... („საქართველოს რესპუბლიკა", №2, 1998 წლის 4 იანვარი, გვ. 2).

75. ზოგს დემოკრატია ასე ესმის: რაც უფრო მეტს ილაპარაკებენ, დემოკრატია მით უფრო სწრაფად განვითარდებაო. მაგრამ ცხოვრება თავდაყირა აყენებს... ამ უმწიფარ წარმოდგენებს. დემოკრატიის ძალა უნდა ვლინდებოდეს ყოველდღიური საქმეებით, პრაქტიკულად. („კომუნისტი", №33, 1974 წლის 8 თებერვალი, გვ. 3).

76. თანასწორობა უნდა ვლინდებოდეს თანასწორ თავისუფლებაში,

ხოლო სამართლიანობა — თანასწორობის სამართლიანობაში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ვაქციოთ სახელმწიფო და პოლიცია სოციალური იძულების იარაღიდან ეროვნული და სოციალური თანხმობის საშუალებად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №282, 1997 წლის 11 ნოემბერი, გვ. 3).

77. თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ დემოკრატიის, სტაბილურობის, პროგრესის იმ ყლორტებს, ამ 2-3 წლის განმავლობაში რომ ამოიზარდა საქართველოში, მაგრამ რომლებსაც საერთო-სახალხო მზრუნველობა სჭირდებათ, რადგანაც ეს ჯერ ყლორტებია და საბოლოო შენობა არ არის აგებული. ("საქართველოს რესპუბლიკა", №62, 1997 წლის 18 მარტი, გვ. 2).

78. თვით იდეალური კონსტიტუცია და მასთან სრულ შესაბამისობაში მიღებული კანონებიც კი ფუჭი შეიძლება აღმოჩნდნენ და ვერ განახორციელონ სოციალური ცხოვრების დარეგულირების ფუნქცია, თუ არ იქნა უზრუნველყოფილი სამართლებრივი ცოდნის, მართლშეგნებისა და სამართლებრივი კულტურის შესატყვისი დონე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №17, 1996 წლის 30 იანვარი, გვ. 3).

79. თვითკონტროლი, თვითდისციპლინა, თვითაღზრდა! — ეს არის ჩვენი დევიზი. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 144).

80. ... თვითკონტროლის გარეშე არ არსებობს და არ შეიძლება იყოს შესრულების რაიმე შემოწმება! ("საქართველოს კომუნისტი", №8, 1982, გვ. 35).

81. თვითკრიტიკა თვითგანწმენდის, თვითსრულყოფის იარაღია. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 137).

82. თვითკრიტიკა, მისი განვითარების დონე ჩვენი... პოლიტიკური მომწიფებულობის კრიტერიუმია. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 136-137).

83. თუ გვინდა რეალურად ვებრძოლოთ კორუფციას და ამოვძირკვოთ ეს ავადმყოფობა, მაშინ მას მართლაც სუფთა ხელებითა და სუფთა სინდისით უნდა ვებრძოლოთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №149-150, 1996 წლის 25 ივლისი, გვ. 3).

84. თუ კანონს გადახვედი, მაშინ მისი მტერი ხდები.* ("საქართველოს კომუნისტი", №10, 1980, გვ. 7).

* თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №38, 1980 წლის 17 სექტემბერი, გვ. 2 (შემდ.).

85. თუ კრიტიკა ოდნავ მაინც ლახავს ადამიანის თავმოყვარეობას, თუ იგი უტაქტოა, ეს არ ვარგა. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 118).

86. თუ პრეზიდენტს არ ძალუძს შეასრულოს თავისი მოვალეობანი, იგი ვალდებულია უშუალოდ, პირდაპირ და თავისუფლად, დემოკრატიული ინსტიტუტების მიერ სამართავ პირობებში, ამცნოს ამის შესახებ ხალხს და თვითონვე დანიშნოს ძალაუფლების გადაცემის პროცედურა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 352).

87. ის, რაც ხელოვნურად არის შეკოწიწებული, არ უნდა არსებობდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №225, 1992 წლის 3 ნოემბერი, გვ. 1).

88. ისტორია გვასწავლის, რომ კონსტიტუციას მაშინ აქვს უძლეველი ძალა, თუ მისი იდეები ფესვს ღრმად გაიდგამს ხალხში, თუ კონსტიტუცია რეალურად მოქმედებს, იცავს სახელმწიფოს, ერს და მოქალაქეს, თუ მთელი საზოგადოება იცავს კონსტიტუციას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №144-145, 1995 წლის 18 ნოემბერი, გვ. 1).

89. ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ დემოკრატიის გზაზე დამდგარ ქვეყნებში დიქტატურის დამყარების მცდელობის პოლიტიკურ ფონს, ხშირად რეალურ სიტუაციათა ზედაპირული შეფასება წარმოადგენს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №165, 1994 წლის 15 სექტემბერი, გვ. 1).

90. იქ, სადაც არ არის მკაცრი, პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, იქ ფეხს იკიდებს რუტინა, პროვინციალიზმი, მოდუნება. ("კომუნისტი", №147, 1984 წლის 27 ივნისი. გვ. 3).

91. ...კანონები უნდა მოემსახუროს ადამიანის უფლებების დაცვას. მიმაჩნია, რომ როდესაც საზოგადოებაში გამეფებულია მექრთამეობა და ხალხს ძარცვავენ, ეს არის ყველაზე დიდი დარღვევა ადამიანის, წესიერი და ნორმალური მოქალაქის უფლებისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №57. 1997 წლის 12 მარტი, გვ. 2).

92. კანონი, როგორც იტყვიან, წმიდათაწმიდაა... კანონის ყოველგვარი უგულებელყოფა უკანონობას წარმოშობს. ("კომუნისტი", №178, 1973 წლის 31 ივლისი, გვ. 2).

93. კანონის დარღვევისათვის შურისგების გარდუვალობის შიში ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა სდევდეს ადამიანს, რომელსაც კანონიერების მიჯნის გადალახვა განუზრახავს.* ("საქართველოს კომუნისტი", №10, 1980, გვ. 7).

94. ...კანონის უზენაესობა და სამართლებრივი საზოგადოება დემო-

* თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №38, 1980 წლის 17 სექტემბერი, გვ. 2 (შემდ.).

კრატიის აუცილებელი პირობაა, რადგან დემოკრატიული ცხოვრება თითოეული მოქალაქისაგან კანონის აღსრულებას, მთლიანად საზოგადოების მაღალ სამართლებრივ კულტურას მოითხოვს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №149-150, 1996 წლის 25 ივლისი, გვ. 3).

95. კანონმა უნდა იმუშაოს და არა — განუკითხაობამ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 356).

96. კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს არა მარტო ზევიდან ქვევით, არა მარტო ქვევიდან ზევით, არამედ ჰორიზონტალურადაც. ("კომუნისტი", №267, 1974 წლის 15 ნოემბერი, გვ. 4).

97. კონტროლის საქმეში არავითარი გადაჭარბება ზედმეტი არ გახლავთ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 161).

98. კონსტიტუცია არის... ადამიანის უფლებათა დაცვის თავდები, და შემდეგ — მთელი გამა კანონებისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №308, 1997 წლის 9 დეკემბერი, გვ.2).

99. კონსტიტუცია იძლევა ქვეყნის სახელმწიფო წყობილების უმთავრეს პოსტულატს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №9, 1996 წლის 17 იანვარი, გვ. 1).

100. კონსტიტუცია ქვეყნის გვირგვინია, მისი პასპორტია... ("საქართველოს რესპუბლიკა", №89, 1995 წლის 25 ივლისი, გვ. 2).

101. კორუფციის თავიდან აცილება, გამოვლენა და აღკვეთა მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის უმთავრესი გარანტიაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №17, 1996 წლის 30 იანვარი, გვ. 3).

102. კრიტიკა ბასრი იარაღია და იგი უნარიანად უნდა გამოვიყენოთ. შეუწყნარებელია პრინციპული კრიტიკის შეცვლა ხელაღებული დემაგოგიით, რომელიც არცთუ იშვიათად ნამდვილი ცილისწამების სახეს იღებს ხოლმე. ამასაც უნდა ვებრძოლოთ და არავის არ უნდა მივცეთ იმის ნება, რომ ჩვენს დემოკრატიას ანგარების მიზნით იყენებდეს.* ("კომუნისტი", №188, 1975 წლის 12 აგვისტო, გვ. 2).

103. კრიტიკა დიდი ზნეობრივი ღირებულებაა და... პოლიტიკური სიჯანსაღის ნიშანია. (ე. ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. — საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 139).

104. ...კრიტიკა სხვადასხვანაირია ხოლმე. არის ღვარძლიანი კრიტიკა. მას გადაჭრით უარვყოფთ. არის კეთილმოსურნე, კეთილშობილური კრიტიკა. ჩვენ ასეთი კრიტიკის მომხრე ვართ...

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა", №222, 1975 წლის 10 აგვისტო, გვ. 2 (შემდგ.).

მაგრამ კეთილშობილური კრიტიკაც არის ხოლმე მკაცრი და მწვავე. კეთილშობილება უპრინციპობას როდი ნიშნავს.

ეროვნული

კეთილშობილურად გაკრიტიკება მხოლოდ კეთილშობილ კაცს შეუძლია. თუ ეს თეზისი სწორია, არ უნდა დავივიწყოთ იმ კაცის განცდებიც, ვინც აკრიტიკებს. და ეს განცდები ნაკლები კი არა, ზოგჯერ უფრო მეტია, ვიდრე გაკრიტიკებული ამხანაგისა. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 172-173).

105. კრიტიკას ან ეთანხმებიან ან უარყოფენ — თანაც, ეს, როგორც წესი, საჯაროდ კეთდება. ("კომუნისტი", №33, 1974 წლის 8 თებერვალი, გვ. 4).

106. კრიტიკის მდგომარეობასა და სოციალურ პროგრესს შორის პირდაპირი დამოკიდებულება... არსებობს. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. — საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981. გვ. 139).

107. ...კრიტიკის ჩახშობა უდიდესი ბოროტებაა, დანაშაულია... ხალხის წინაშე. ("კომუნისტი", №267, 1974 წლის 15 ნოემბერი, გვ. 4).

108. კრიტიკის ჩახშობა ჩვენ მიგვაჩნია პოლიტიკური და სოციალური საბოტაჟის რანგის ბოროტებად, რომელიც წარმოშობს მოქალაქეთა ინდიფერენტულობას. (ე. ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. — საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 140).

109. კრიტიკისა და თვითკრიტიკის უნარი მარტო თვისება კი არა, არამედ კოლექტივში, ორგანიზაციაში და, ბოლოს, საზოგადოებაში ჯანსაღი სულისკვეთების პირობაც არის. კრიტიკა და თვითკრიტიკა მომავალშიც განსაზღვრავს ჩვენში თვითგაჯანსაღების, თვითგანწმენდის პროცესს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მთელი ჩვენი წინსვლა. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა — თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. — საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 79).

110. კრიტიკისადმი შეჩვევა, ადაპტაცია სენია. არ უნდა შევეჩვიოთ კრიტიკას. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა — თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. — საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 78).

111. მართალია, საქართველოში არ გაგვაჩნია სამოქალაქო საზოგა-დოების არსებობისა და ფუნქციონირების გამოცდილება, მაგრამ ქართულ

კულტურას, ქართულ ცივილიზაციას ტრადიციულად მოსდევს ყველა ის ჰუმანისტური კომპონენტი, რომლებისგანაც შედგება სამოქალაქო საზოგადოება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

112. ... მარტოკაცი ვერაფერს შეძლებს, მაგრამ შეძლებს ყველაფერს, თუკი მარტო არ იქნება. და თუ იგი მარტო კი არ არის დანარჩენების თავზე გახელისუფლებული, არამედ — სწორედ დანარჩენებთან ერთად, სწორედ ეს არის დემოკრატია, რა თქმა უნდა, მთელი რიგი აუცილებელი მოთხოვნებისა და პირობების დაცვით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №172-175, 1997 წლის 24 ივლისი, გვ. 1).

113. მე მეგონა, რომ სიმართლე ყოვლისშემძლეა, რომ საკმარისია ის გაამჟღავნო და ის თავისით დაიწყებს ქმედით, გარდამქმნელ მუშაობას. ახლა ვხედავ, რომ სასტიკად ვცდებოდი: სიმართლის ქმედითი ძალა დიდად არის დამოკიდებული საზოგადოებაზე, საზოგადოება უნდა იყოს მზად, რომ მოითხოვოს სიმართლე, და კიდევ დამოკიდებულია იმ ადამიანთა გონებრივ და სულიერ მდგომარეობაზე, რომელთაც გაბედულად იკისრეს მართალი სიტყვის მოფენა და გავრცელება; დამოკიდებულია პუბლიცისტებზე, რომლებიც, ა.ვ. ლუნაჩარსკის თქმისა არ იყოს, საზოგადოებას წერილებს სწერენ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 303-304).

114. მე სავსებით გულწრფელი და პრინციპული ვიყავი, როცა ვთქვი, რომ ვერ ვიცხოვრებ ისეთ ქვეყანაში, სადაც პოლიტპატიმრები იქნებიან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 2).

115. მთავარია, სიღრმისეულად გავითავისოთ დემოკრატიული აზროვნებისა და ცხოვრების წესები, საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში გავატაროთ ისინი, პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი პროცესები თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეების პოზიციებიდან ვმართოთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №254, 1993 წლის 1 დეკემბერი, გვ. 1).

116. მთავრობა, ხელისუფლების ყველა იერარქიული დონე კანონგამგონე უნდა იყოს. არა პიროვნება, არა პარტია, არამედ კანონი უნდა მართავდეს ქვეყანას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 4).

117. (მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთიანი სამართლებრივი სივრცის — შემდგ.)... ქვაკუთხედი, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებათა, ადამიანის უსაფრთხოების უპირობო დაცვა უნდა იყოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №10, 1997 წლის 15 იანვარი, გვ.1).

118. მოვა დრო და ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №213, 1993 წლის 28 სექტემბერი, გვ. 1).

119. ...მომწესრიგებელი და დაცვითი ხასიათის ნორმები ქმნიან

ერთობლიობაში სრულყოფილ სამართლებრივ სისტემას. („საქართველოს რესპუბლიკა", №9, 1996 წლის 17 იანვარი, გვ.1).

120. მოქალაქეს უნდა სჯეროდეს, რომ სახელმწიფო რომელშიც იგი ცხოვრობს და რომლის მიმართაც გარკვეული ვალდებულებები აქვს, თავის მხრივ, მას არ დაუკარგავს კუთვნილს და თვითონაც შეასრულებს ვალდებულებებს მიუხედავად იმისა, თუ რომელი მთავრობა და რომელი სისტემა იქნება. („საქართველოს რესპუბლიკა", №296, 1997 წლის 25 ნოემბერი, გვ. 2).

121. მრავალპარტიულობა ავტორიტარიზმისაგან საზოგადოების დაცვის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია. („საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 3).

122. მსოფლიო ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა, თუნდაც მისი კლასიკური გაგებით (ე.ი. სახელმწიფოს მეთაურის, პრეზიდენტის პოსტის არსებობის პირობებშიც) მეტნაკლები წარმატებით ფუნქციონირებს მხოლოდ სტაბილური პოლიტიკური საზოგადოების პირობებში, სადაც ჩამოყალიბებული და პარლამენტში წარმოდგენილია კარგად გაწონასწორებული პარტიული სისტემა, სადაც მოქმედებს სხვადასხვა ინტერესთა გამომხატველი და დამცველი სოციალური ინტერესები. თუ ეს პირობები არ არის, მაშინ ასეთი სახელმწიფო ხელისუფლება სუსტია. მას უჭირს გადამწყვეტი, რეფორმისტული ხასიათის ღონისძიებათა განხორციელება, ხშირია სამთავრობო თუ საპარლამენტო კრიზისები. („საქართველოს რესპუბლიკა", №43, 1994 წლის 22 მარტი, გვ. 1).

123. ნამდვილი დემოკრატიზმი მხოლოდ უმაღლესი ორგანიზაციის პირობებშია შესაძლებელი.

მოუწესრიგებული და უდისციპლინო პიროვნება არ შეიძლება აცხადებდეს პრეტენზიას ღრმა დემოკრატიზმზე. („საქართველოს კომუნისტი", №3, 1980, გვ. 30).

124. ნამდვილი დემოკრატიის იდეას ადამიანები წლების განმავლობაში ითვისებენ. ხანდახან ათეული წლების განმავლობაში. („საქართველოს რესპუბლიკა", №174, 1993 წლის 10 აგვისტო, გვ. 1).

125. ... ნამდვილმა, ჭეშმარიტმა ეროვნულმა დემოკრატიამ უნდა აიძულოს ანტიდემოკრატიული ძალები ანგარიში გაუწიოს იმას, რასაც სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესები ჰქვია. („საქართველოს რესპუბლიკა", №174, 1993 წლის 10 აგვისტო, გვ, 1).

126. ...ნებადართული კონტროლი ყველას მიმართ უნდა იყოს თანაბარი და არავის მიმართ შეღავათი არ უნდა ვრცელდებოდეს, შეღავათი, რომელიც არ არის დაკანონებული სახელმწიფოს მიერ. („საქართველოს რესპუბლიკა", №308, 1997 წლის 9 დეკემბერი, გვ. 2).

127. ნებისმიერ სფეროში მცირე თუ დიდი მასშტაბის ამოცანა, კანონი და გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ განხორციელდება რეალურად და, რაც მთავარია, შედეგიანიც იქნება, თუ შეესაბამება დემოკრატიზაციის საერთო პროცესის შინაარსსა და სპეციფიკას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №20, 1998 წლის 25 იანვარი, გვ. 6).

128. ნებისმიერ სახელმწიფოს, ნებისმიერ ხელისუფლებას უფლება აქვს მიიღოს ყოველგვარი საჭირო ზომები თავისი იურისდიქციის მოქმედების ფარგლებში წესრიგის დასაცავად. მაშინაც კი, და მით უმეტეს, თუ ვინმე მოისურვებს კიდეც იყოს დამოუკიდებელი ამ სახელმწიფოსაგან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №14, 1995 წლის 7 თებერვალი, გვ. 1).

129. ოპოზიცია არის დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების ელემენტი, რომელიც საზოგადოების განვითარებას დინამიურს ხდის პოლიტიკურ ალტერნატივათა წამოყენების გზით. ის სახელმწიფოს ფარგლებში არსებობს და ლოიალურია სახელმწიფოსა და მის ინსტიტუტებთან დამოკიდებულებაში. (ე.შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992. გვ. 305).

130. პარლამენტარიზმი თავისებური კულტურული მოვლენაა, ანუ სამართლებრივი, ზნეობრივი, პოლიტიკური ნორმებისა და ტრადიციების სისტემაა, რომელიც ხანგრძლივი პრაქტიკით უნდა ჩამოყალიბდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 3).

131. პატიოსან მშრომელ კაცს არაფერი და არავინ ხელს არ უნდა უშლიდეს. ხელისუფლების, სახელმწიფოს წმიდათაწმიდა ვალია, გახდეს ამის გარანტი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №88, 1992 წლის 26 მაისი, გვ. 1).

132. პირადად მე, როდესაც ადამიანის უფლებებზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ ამ ცნების კლასიკურ გაგებას — ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება. ეს არის უკვდავი, კლასიკური ფორმულა. მაგრამ იგი როდი გულისხმობს ადამიანის სხვა უფლებების, მათ შორის, სოციალური უფლებების უგულებელყოფას. უფრო მეტიც, ამ სფეროში კლასიკური პრინციპების დაცვა უეჭველად განაპირობებს სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №308, 1997 წლის 9 თებერვალი, გვ.2).

133. ...პირადი გამოცდილებით ვიცი, რა ძნელია საკუთარ სახლს მოუარო, როცა ამ სახლში არსებითად უბოდიშოდ პარპაშობს ვიღაც სხვა — ყოვლისშემძლე მბრძანებელი. დღენიადაგ ვიღაცაზე ხარ დამოკიდებული, ვიღაცას ეხვეწები, ვიღაცას ეფერები*... ("კომუნისტი", №180, 1989 წლის 5 აგვისტო, გვ.3).

134. პიროვნება, მისი თავისუფლება და უფლებები ქვაკუთხედია

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავიტელსტვენი ვესტნიკ", №14-15, 1989 წლის ივლისი, გვ. 16 (შემდ.).

სახელმწიფოებრივი მშენებლობის ჩვენეული ხედვისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №149-150, 1996 წლის 25 ივლისი, გვ. 1).

135. პიროვნების უფლებათა გარანტირებული დაცვა დემოკრატიული ქვეყნის იმპერატივია, დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №177, 1997 წლის 26 ივლისი, გვ. 3).

136. ...პიროვნების უფლებათა დაცვა ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც ქვეყნის უშიშროების ერთ-ერთი მთავარი პირობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 6).

137. პლურალიზმი აზრთა სხვადასხვაობას გულისხმობს და არა განსხვავებულ აზრთა მიხედვით სახელმწიფოს გათიშვას, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ქაოსს. რა პარტია და მოძრაობაც უნდა იყოს, ყველა უნდა ემორჩილებოდეს ერთიან წესს და ამ ერთიანი წესის საფუძველი საქართველოს კონსტიტუცია უნდა იყოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №282, 1997 წლის 11 ნოემბერი, გვ. 3).

138. პოლიტიკურ მოძრაობათა მრავალფეროვნება, პოლიტიკური პლურალიზმი დემოკრატიის არა მარტო ნიშანი, არამედ მისი განვითარების აუცილებელი პირობაა.

მხედველობაში მაქვს მტრული შეურიგებელი ანტაგონიზმის დაძლევა და არსებულ წინააღმდეგობათა პოლიტიკური პაექრობის, პოლიტიკური პლურალიზმის სფეროში გადატანა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 3).

139. პოლიტიკური პლურალიზმი უნდა იყოს დემოკრატიული განვითარების, პოლიტიკური სტაბილურობის უმთავრესი გარანტი, მაგრამ მხოლოდ კონსტიტუციისა და მისგან გამომდინარე, კანონების მკაცრი დაცვით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №177, 1997 წლის 26 ივლისი, გვ. 2).

140. პოლიცია, თუკი იგი მოქმედებს კანონიერების ფარგლებში, გაგებულ უნდა იქნეს, უწინარეს ყოვლისა, მოქალაქეთა თავისუფლების უზრუნველყოფის საშუალებად, დემოკრატიის ფარად და დარაჯად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №282, 1997 წლის 11 ნოემბერი, გვ. 3).

141. ...პრეზიდენტი არა მარტო აღმასრულებელი ხელისუფლება და სახელმწიფოს მეთაურია აწმყოში, არამედ ის ობიექტურად ქვეყნის ისტორიულ დროთა კავშირის სიმბოლო და გარანტიც არის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №175, 1995 წლის 27 ნოემბერი, გვ.1).

142. პრინციპული კრიტიკის ატმოსფერო, როგორც იტყვიან, პიროვნებათა მიუხედავად — ხელმძღვანელს რგებს. ეს უნდა გვესმოდეს. ასეთი ატმოსფერო ერთი ადგილის ტკეპნის საშუალებას არ იძლევა. მაშასადამე, საბოლოო ანგარიშით ჩვენი ავტორიტეტის სასარგებლოდ მუშაობს. და პირიქით, სადაც კრიტიკა არ არის, იქ საქმე აუცილებლად

ჩიხში მოექცევა.* ("კომუნისტი", №112, 1983 წლის 15 მაისი, გვ. 1).

143. პრობლემა კეთილისა და ბოროტისა — ოდინდელი პრობლემაა კაცობრიობას რომ აწუხებს, და ჩვენ სულ უფრო მეტად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ბოროტების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა არა მარტო ჰუმანური გული, არამედ აგრეთვე მტკიცე ხელი და ძლიერი ნებისყოფა. ("კომუნისტი", №150, 1981 წლის 28 ივნისი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

144. რა თქმა უნდა, მე ვიცი რა არის ღირსება და თავმოყვარეობის გრძნობა, მაგრამ ამ გრძნობებისთვის არასოდეს დამიმორჩილებია საქმის ბედი. ნორმალურად მიმაჩნია ნებისმიერი კრიტიკა, თუ, რასაკვირველია, ის არის კონკრეტული, არგუმენტირებული. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 16).

145. რაც უფრო მეტია უწყება, მით უფრო ბევრია ბარიერებიც.** ("კომუნისტი", №11, 1984 წლის 13 იანვარი, გვ.1)

146. რაც უფრო ღრმად არის განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, მით უფრო ღრმად არის განვითარებული დემოკრატია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 6).

147. როგორმე გავძლოთ არჩევნებიდან არჩევნებამდე, მოვაგროვოთ რაც შეიძლება მეტი ხმები ნებისმიერი ხერხებით და სხვა — ბევრი ლიდერისათვის, სამწუხაროდ, ეს არის მამოძრავებელი მოტივი თანამედროვე ცხოვრებაში. ერთი შეხედვით, ეს დემოკრატიული ნორმა, ბოლოს და ბოლოს, ანტიდემოკრატიული რეჟიმის ნოსტალგიამდე მიდის და ჩვენ ამაში ვრწმუნდებით მრავალი ქვეყნის მაგალითზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №85, 1995 წლის 18 ივლისი, გვ. 2).

148. როცა დამნაშავეებთან ბრძოლა მწვავდება, ძალიან მნიშვნელოვანია დაცული იყოს კანონიერება, რომლისაგანაც პატარა გადახრაც კი შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. კანონიერების დარღვევის ერთი შემთხვევაც კი — ეს ლაქაა დემოკრატიული სახელმწიფოს სხეულზე, რომელიც მას არ სჭირდება. დემოკრატიულ სახელმწიფოს შეუძლია კანონის ფარგლებში წესრიგი დაამყაროს ქვეყანაში. მხოლოდ კანონიერი გზებით აღდგენილი წესრიგია მტკიცე და საიმედო, რადგანაც ჭუჭყიანი ხელებით დამყარებული წესრიგი არავის არ სჭირდება, იგი მხოლოდ დროებითი მოვლენა და მოჩვენებითი წესრიგია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №258, 1993 წლის 8 დეკემბერი, გვ. 1).

149. როცა კონტროლის კრიტერიუმები ნათელია, კონტროლის შედეგები ყოველთვის კონკრეტულია და ჩვენ უნდა ვისწავლოთ კონტროლის ეს კონკრეტულობა. ("კომუნისტი", №267, 1974 წლის 15 ნოემბერი, გვ. 3).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა", №134, 1983 წლის 14 მაისი, გვ. 2 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №12, 1984 წლის 12 იანვარი, გვ. 3 (შემდგ.).

150. საერთაშორისო სამართლის ვერავითარი ნორმა ვერ იგუებს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევასა და მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული საზღვრების გადასინჯვის ძალისმიერ ცდებს.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №261, 1992 წლის 24 დეკემბერი, გვ. 1).

151. საზოგადოება არასოდეს არ უნდა ივიწყებდეს მის ყველაზე დაუცველ ნაწილს. სახელმწიფოსაგან განსაკუთრებული ყურადღება და თანადგომა სჭირდებათ პენსიონერებს, ვეტერანებსა და ინვალიდებს, აგრეთვე ბავშვებს, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში მოკლებული არიან ცხოვრებისა და სწავლის აუცილებელ პირობებსაც კი. ასევე აუცილებელია მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება უმუშევრობის თანდათანობით შემცირებისა და მისი საბოლოო ლიკვიდაციისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 2).

152. საზოგადოებას უფლება აქვს, იცნობდეს ყველა მანკიერებას, რომლებიც მას ძირს უთხრიან. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 68).

153. ... საზოგადოების განვითარების ძირითადი მიმართულება... ცხოვრების დემოკრატიული საფუძვლების შემდგომი გაღრმავება-გაფართოება გახლავთ. ("კომუნისტი", №155, 1977 წლის 5 ივლისი, გვ.1).

154. საზოგადოებრივ კრიტიკას ზნეობრივი დასაბუთება და გამართლება აქვს. სწორედ ამიტომ, უნდა შევეცადოთ აღმოვფხვრათ ყველა ის მიზეზი, რომელიც აბრკოლებს კრიტიკის, როგორც სოციალური პროგრესის სტიმულატორის მოქმედებას. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 141).

155. ...საზოგადოებრივი აზრი დემოკრატიის იარაღია. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 123).

156. საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის სწორია, მაშინაც კი, როდესაც იგი ჩამორჩება მოვლენებს. ("კავკასიონი", №34, 1995 წლის 21 თებერვალი, გვ. 2).

157. საზოგადოებრივი აზრის მუდმივი სრულყოფა და შესწავლა, მოსახლეობის ინფორმირების სისტემის გაუმჯობესება ხელს უწყობს... დემოკრატიის შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოებას. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 123).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №274, 1992 წლის 22 დეკემბერი, გვ. 2 (შემდგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

158. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა — ადამიანის უფლებების დაცვაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №43, 1994 წლის 22 მარტი, გვ. 3).

159. (საკონსტიტუციო სასამართლო — შემდგ. )... ქვეყანაში დემოკრატიისა და კანონიერების ერთ-ერთ იურიდიულ გარანტად მიმაჩნია. ამ ინსტიტუტს, მის ავტორიტეტსა და პრესტიჟს ყველანი თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ და, უწინარესად, თვით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №51, 1997 წლის 5 მარტი, გვ.2).

160. სამართალი უნდა აღდგეს... ისტორიის შეცდომები უნდა გამოსწორდეს ("საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1997 წლის 5 თებერვალი, გვ. 2).

161. ...სამართალმა უნდა თქვას თავისი სიტყვა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №246, 1993 წლის 16 ნოემბერი, გვ. 1).

162. ...სამართლებრივი კულტურა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანების აღჭურვა სამართლებრივი ცოდნით, იდეებით, პრინციპებითა და ღირებულებებით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 3).

163. სამართლებრივი სახელმწიფო განუყოფლად არის დაკავშირებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნასთან. სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია სახალხო დამცველის თანამდებობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 2).

164. სამართლებრივი სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება ეს არის უპირველეს ყოვლისა თავისუფლება, კონსტიტუცია, კანონი, წესრიგი და არა ანარქია და ქაოსი, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №151, 1993 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

165. სამართლებრივი სახელმწიფო ვერ იარსებებს გამართული მართლმსაჯულების გარეშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 1).

166. სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა წარმოუდგენელია ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების მოუგვარებლად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №175, 1995 წლის 27 ნოემბერი, გვ. 2).

167. სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა წარმოუდგენელია სასამართლო ხელისუფლების ფორმირებისა და ფუნქციონირების გარეშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №175, 1995 წლის 27 ნოემბერი, გვ. 2).

168. სამართლიანობის პრინციპების გარეშე ლაპარაკი დემოკრატიულ სახელმწიფოზე მხოლოდ დემაგოგიაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1997 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

169. სამართლის დაცვას მხოლოდ სამართლიანი ადამიანი შესძლებს, ხოლო სამართლიან კაცს უნდა ეყოს ვაჟკაცობა და გამბედაობა აღიაროს ნაკლოვანებები. ("კომუნისტი", №146, 1971 წლის 27 ივლისი. გვ. 3).

170. სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის გარეშე, მით უმეტეს ისეთ მრავალეროვნულ სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 6).

171. სამოქალაქო საზოგადოება წარმოუდგენელია პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების, თავისუფალი პროფკავშირების, ახალგაზრდული და ქალთა ორგანიზაციების, მეოთხე ხელისუფლებად წოდებული — პრესის, რადიოს, ტელევიზიის, სხვა კორპორაციებისა და გაერთიანებების გარეშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1997 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

172. სამოქალაქო საზოგადოებას ქმნის სუვერენული ერი, დამოუკიდებელი ხალხი. ის არა მხოლოდ ქმნის კანონებს, არამედ ასრულებს მას. კანონი მართავს სამოქალაქო საზოგადოებას და მის წინაშე ყველანი თანასწორნი არიან. ასე უნდა იყოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1997 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

173. სამოქალაქო საზოგადოებაში მეტად აქტუალურია სახელმწიფოს, საზოგადოებისა და რელიგიის ურთიერთმიმართების, თანამშრომლობის საკითხები. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი როლის კონსტიტუციურმა დადასტურებამ, საქართველოსათვის ტრადიციული რელიგიური კონფესიების მიმდევართა უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებამ, მტკიცე საფუძველი შეუქმნა ნორმალურ თანამოქმედებას საზოგადოებრივი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი სულიერი მიმართულებით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 4).

174. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოუყალიბებლად შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 4).

175. (სასამართლო ხელისუფლებასთან კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვა — შემდგ.)... ჩვენი სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის, ადამიანის კეთილდღეობის საფუძველთა საფუძველია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №173, 1996 წლის 27 აგვისტო, გვ. 2).

176. სასამართლოს საქმიანობის უმთავრესი მიმართულება მოქალაქეთა უფლების დაცვა და მათი უზრუნველყოფის იურიდიული მექანიზმის განმტკიცებაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №149-150, 1996 წლის 25 ივლისი, გვ. 3).

177. ...საქართველოს კონსტიტუცია ის ფუნდამენტია, რომელზეც ძმობის, მეგობრობის, თანხმობის შენობა უნდა აღიმართოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №126, 1997 წლის 3 ივნისი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

178. საყოველთაოდ აღიარებული თეზისია: ჩემი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება. ეს პრინციპი ხაზს უსვამს, აგრეთვე, პიროვნების პასუხისმგებლობას მთლიანად დემოკრატიული საზოგადოების მიმართ. ამ პასუხისმგებლობამ უნდა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დამცავი მექანიზმების შექმნაც. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №308, 1997 წლის 9 დეკემბერი, გვ. 2).

179. საჭიროა სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს რეალურად არსებული იურიდიული ბაზის შემდგომი სრულყოფა. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ კანონები რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მიღებული და სრულყოფილი ფენომენია. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 3).

180. სახელმწიფო არსებობს, კონტროლიც უნდა იყოს. მაგრამ კონტროლი უნდა იყოს იმისათვის, რომ სახელმწიფო ინტერესები იყოს დაცული. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №213, 1996 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 2).

181. სახელმწიფო და ხელისუფლება... ხელს უნდა უწყობდეს შემოქმედებითი გაერთიანებების ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას. მიმაჩნია, რომ ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება სწორედ ეს არის — შემოქმედებითი სფეროსა და შემოქმედებითი ორგანიზაციების, სტრუქტურების სრული დემოკრატიზაცია. საქმით და არა სიტყვით დამოუკიდებლობა, და სწორედ საქმით უნდა ვცეთ პატივი დამოუკიდებლობას. დამოუკიდებლობა უწინარესად ხელმძღვანელის არჩევაში უნდა გამოიხატებოდეს. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №225. 1997 წლის 9 სექტემბერი, გვ. 2).

182. სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ სახელმწიფოს საძირკველს, რომელსაც ეფუძნება ქვეყნის მომავალი. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №141, 1995 წლის 13 ოქტომბერი, გვ. 1).

183. სახელმწიფო მოხელე არ შეიძლება იყოს ბიზნესმენი. თუ იგი ბიზნესიდან მოდის, იქ უნდა იყოს მისი სახსრები. მისი თანხები გაიყინება და მას იმის უფლებაც კი არ უნდა ჰქონდეს, რომ მოიკითხოს, რა ვითარებაშია იქ შენახული და დაგროვებული მისი კაპიტალი. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №146, 1996 წლის 23 ივლისი, გვ. 2).

184. სახელმწიფო უნდა იცავდეს მოქალაქეს, მოქალაქე კი — იცავდეს სახელმწიფო ინტერესებს. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №122, 1994 წლის 12 ივლისი, გვ. 2).

185. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს კიდეც სხვადასხვა სფეროს ორგანოების ერთობლივ მონაწილეობას უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 4).

186. ...სახელმწიფოებრივ და დემოკრატიულ ღირებულებათა ერთობლიობის გამოხატულება იყო ისტორიული გადაწყვეტილება, რომელიც მივიღეთ 1997 წელს – საქართველოში სამუდამოდ გაუქმდა სიკვდილით დასჯა. ამით ჩვენმა ქვეყანამ დაადასტურა, რომ ზნეობრივი თვალსაზრისით მზად არის იტვირთოს პასუხისმგებლობა, რომელსაც დემოკრატიული მსოფლმხედველობა აკისრებს ევროპულ ერებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1. 1998 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

187. (სახელმწიფოებრიობის საწყისი ძირითადი ატრიბუტებია – შემდგ.)... კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა გარანტირებული დაცვა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 2).

188. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს თავისი იდეოლოგიური პრინციპები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №149-150, 1996 წლის 25 ივლისი, გვ. 4).

189. სახელმწიფოში ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა არის მისი დემოკრატიულობის, ჰუმანურობისა და სამართლებრიობის საზომი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №249, 1996 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2).

190. სიკვდილით სასჯელის გაუქმება თავისთავად ერთჯერადი აქტია, მაგრამ ფუნქციური დანიშნულებით უაღრესად ტევადი.

დემოკრატიული ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია და დანიშნულებაა ადამიანის სიცოცხლის, როგორც უზენაესი უფლების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა. ეს უფლება თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს საზოგადოების თითოეულ წევრზე, ყოველ მოქალაქეზე. ამიტომ, სიკვდილით სასჯელის გაუქმება ნიშნავს ჰუმანიზმის განხორციელებას არა მარტო დამნაშავეთა მიმართ, არამედ საზოგადოების ყველა სხვა წევრის მიმართაც, რომელიც უნდა გამოვლინდეს მათი სიცოცხლის დაცვაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ერთდროული გაზრდით. მაშასადამე, სახელმწიფო მზად უნდა იყოს ამგვარი პასუხისმგებლობისათვის და ძირითადად ამითვე იყო განპირობებული გადაწყვეტილების მიღებისათვის შესაბამისი პირობების მომზადება.

სიკვდილით სასჯელის გაუქმება ჰუმანიზმთან ერთად არის დამნაშავეთა და დანაშაულობათა წინააღმდეგ სახელმწიფოს მზაობის სერიოზული განცხადება. მიღებული გადაწყვეტილების უპირველესი შედეგობრივი დანიშნულება გულისხმობს კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის დამკვიდრებას.

სიკვდილით სასჯელის გაუქმება არის გზა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების დემოკრატიული, სამართლიანი და ერთდროულად ჰუმანური ნორმების დამკვიდრებისაკენ; პრეზიდენტის, ქვეყნის თითოეული მოქალაქისა და ერის განაცხადი თავისუფალი,

კანონიერი და სამოქალაქო ცხოვრების უნარსა და შესაძლებლობაზე.

სიკვდილით სასჯელის გაუქმება არის ჩვენი ჰუმანისტი წინაპრების იდეალების ხორცშესხმა, ჩვენი დიდი სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო კულტურის დადასტურებაც და თითოეული ჩვენგანის მაღალი პასუხისმგებლობაც.

ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება სახელმწიფოს მზადყოფნას — განუხრელად განამტკიცოს და მაქსიმალურად უზრუნველყოს კანონისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა. მოსახლეობას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ სიკვდილით სასჯელის გაუქმება არავითარ შემთხვევაში არ გახდება თვითნებობის, უსამართლობისა და დამნაშავეობასთან შეგუების საფუძველი. ხელისუფლებისა და სახელმწიფოს უმთავრესი მიზანია ჰუმანიზმისა და კანონიერების პრინციპების განუხრელი დაცვით მყარი კრიმინოგენული, საზოგადოებრივი და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №289, 1997 წლის 18 ნოემბერი, გვ. 2).

191. სიმართლე განკურნების აუცილებელი პირობაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 4).

192. ... სიმართლე სიმართლეა და სიმართლე პიროვნულ პატივისცემაზე უფრო მაღლა დგას, ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №132, 1997 წლის 10 ივნისი, გვ. 2).

193. სიმართლის გარეშე არ არსებობს სამშობლო, არ არსებობს მომავალი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №238, 1992 წლის 19 ნოემბერი, გვ. 1).

194. ... სტატისტიკის, აღრიცხვის მოწესრიგება საფუძველთა საფუძველია ალმავლობის მიღწევის და, განსაკუთრებით, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო შემოსავლის ყველა მუხლის გამოყენების თვალსაზრისით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №80, 1997 წლის 8 აპრილი, გვ. 2).

195. უნდა ვისწავლოთ კრიტიკის სწორი აღქმა, ყველამ უნდა ვისწავლოთ. ბევრის ფსიქოლოგია ისეთია, რომ სხვებს აკრიტიკებს, თვითონ კი ხშირად მეტად მტკივნეულად რეაგირებს, როცა მას აკრიტიკებენ. არადა, უნაკლო ადამიანი ხომ არ არსებობს და მადლიერნი უნდა ვიყოთ იმათი, ვინც ამ ნაკლს დაგვანახვებს.* ("კომუნისტი", №112, 1983 წლის 15 მაისი, გვ. 1).

196. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ადამიანის აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს ჰქონდეს მხარდაჭერა და მაქსიმალური ყურადღება ეთმობოდეს სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე, ხოლო ამ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა იქცეს სახელმწიფოს წამყვან

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა", №134, 1983 წლის 14 მაისი, გვ. 2 (შემდგ.).

იდეოლოგიად და უმთავრეს მიმართულებად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

197. უოპოზიციოდ არ არსებობს დემოკრატია და პლურალიზმი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1997 წლის 1 იანვარი, გვ. 1).

198. ფული და თოფი, იარაღი და ფული არჩევნებში არ უნდა ჩაერიოს. არჩევნები უნდა მოეწყოს ისე, როგორც ადამიანს სინდისი უკარნახებს, ვისაც თვითონ აძლევენ უპირატესობას, მხოლოდ ის უნდა აირჩიოს. არავითარი ზეგავლენა, შანტაჟი და სხვა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №85, 1995 წლის 18 ივლისი, გვ. 2).

199. უწესრიგო ქვეყანაში კანონიერი არჩევნები ვერ გაიმართება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №102, 1995 წლის 15 აგვისტო, გვ. 1).

200. (ქვეყანაში — შემდგ.)... წესრიგის დამყარება უნდა დაიწყოს მაღალი ეშელონებიდან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1997 წლის 28 იანვარი, გვ. 2).

201. ღია საზოგადოების, სამართლებრივი სახელმწიფოს, ნამდვილი დემოკრატიული სტრუქტურების მოქმედების პირობებში შეცდომასაც უფრო ადვილად აიცდენ.* ("კომუნისტი", №180, 1989 წლის 5 აგვისტო, გვ. 3).

202. ყველა... სუვერენულ ქვეყანას თავისი არჩევანი აქვს და ამ უფლებებში ვერავინ შეეცილება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1997 წლის 28 იანვარი, გვ. 2).

203. ყველას გასაგონად ვიტყვი: დემოკრატია უნდა იყოს სტაბილური და ძლიერი. დაუცველი დემოკრატია, დონდლო დემოკრატია, ადვილად ხელწამოსაკრავი დემოკრატია, ქართველი კაცის თქმისა არ იყოს, "ჩირადაც არ ღირს". შინაარსობრივად, ასეთი დემოკრატია — დემოკრატია არც არის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №261, 1997 წლის 21 ოქტომბერი, გვ. 2).

204. ყოველი მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა ღირსეულ დონეზე ცხოვრება, ხელისუფლებისა და საზოგადოების მოვალეობაა ყოველი მოქალაქის საარსებო დონის ამაღლებისათვის საჭირო პირობების შექმნა, ხოლო ყოველი მოქალაქის მოვალეობაა — პირადი სოციალური აქტივობა, საკუთარი ბედის გადაწყვეტა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1997 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

205. ყოვლისშემწყნარებლობა დამნაშავეების მიმართ ანტიჰუმანურია მთელი ჩვენი საზოგადოების, პატიოსანი ადამიანის მიმართ და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. ("კომუნისტი", №52, 1980 წლის 2 მარტი, გვ.2).

206. შეიძლება იცვლებოდეს ხელისუფლება — ეს დემოკრატიის ჩვეული ნორმაა, მაგრამ პოლიტიკური ცვლილებები არ უნდა გახდეს

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავიტელსტვენი ვესტნიკ", №14-15, 1989 წლის ივლისი, გვ. 16 (შემდგ.).

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების დესტაბილიზაციის, მოსახლეობის უბედურების საფუძველი. („საქართველოს რესპუბლიკა", №177, 1997 წლის 26 ივლისი, გვ. 2).

207. შემოწმება და კონტროლი ქმედითი, ეფექტიანი, შედეგიანი უნდა იყოს. საკმარისი არ არის გამოვავლინოთ ნაკლოვანებები და დავსაჯოთ დამნაშავენი. მთავარი მიზანია გამოვასწოროთ მდგომარეობა, აღმოვფხვრათ შეცდომები და ნაკლოვანებები. („კომუნისტი", №267, 1974 წლის 15 ნოემბერი, გვ. 3).

208. ჩადენილი ბოროტმოქმედების კვალის დაფარვისა და მართლმსაჯულებისაგან თავის დაღწევის იმედი რომ არ არსებობდეს, დანაშაულთა რაოდენობა კიდევ უფრო შემცირდებოდა. („კომუნისტი", №146, 1971 წლის 27 ივნისი, გვ. 3).

209. ჩვენ გვჭირდება მხოლოდ სიმართლე და არაფერი, გარდა სიმართლისა... ჩვენი უმთავრესი იარაღი სიმართლეა. სიმართლე უნდა ვეძებოთ, ვიპოვოთ, გავაანალიზოთ და არამც და არამც არ ვიჩქაროთ დასკვნების გამოტანა.* („ლიტერატურული საქართველო", №45, 1983 წლის 4 ნოემბერი, გვ. 3).

210. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კანონების მტკიცედ დაცვა — ეს არის სახელმწიფოს ჰუმანურობის გამოვლინება, რომ თვით კანონის სიმკაცრეც ჰუმანურია, თუ იგი ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს, მშრომელი კაცის ინტერესებს, მიზნად ისახავს სოციალური ბოროტების დათრგუნვას... ჩვენთვის მთავარია არა დასჯა, არამედ პიროვნებაზე ზემოქმედების საბოლოო სოციალური ფაქტორი. („კომუნისტი", №296, 1981 წლის 26 დეკემბერი, გვ. 2).

211. ჩვენ მუდამ უნდა ვითვალისწინებდეთ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც მშრომელთა ინტერესებისა და საზრუნავის, ფიქრების, მისწრაფებებისა და განწყობილების განმსაზღვრელი უზუსტესი ბარომეტრია. („კომუნისტი", №150, 1981 წლის 28 ივნისი, გვ. 2).

212. ჩვენ უნდა ავაშენოთ ცივილიზებული სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც დაემორჩილება არა რომელიმე პიროვნების ნებას, არამედ კონსტიტუციასა და კანონს. („კავკასიონი", №203, 1995 წლის 17 ნოემბერი, გვ. 2).

213. ჩვენ შევქმენით საქართველოს მოქალაქეთა თანაცხოვრების უზენაესი კანონი — ქვეყნის კონსტიტუცია. ყველამ უნდა დავიცვათ ეს კანონი და სწორედ ეს არის ის აუცილებელი მოთხოვნა, რომელიც უნდა შეასრულოს ყველამ, ვინც ახლა საქართველოში ცხოვრობს და ვინც დაბრუნდება, ყველამ, ვისაც გული შესტკივა თავის ქვეყანაზე. („საქართველოს რესპუბლიკა", №150, 1997 წლის 1 ივლისი, გვ. 2).

* თარგმნილია გაზეთიდან: „მოსკოვსკიე ნოვოსტი", №44, 1983 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 12. (შემდგ.).

214. ჩვენი კანონმდებლობის კურსი — ადამიანისადმი ჰუმანური დამოკიდებულების პრინციპების გაღრმავებისა და გაფართოების კურსი, როდი მოასწავებს ლიბერალიზმს საშიშ დამნაშავეთა მიმართ. ("კომუნისტი", №287, 1971 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2).

215. ჩვენი... ლოგიკა ასეთია: რაც უფრო მეტია მიღწევები, მით უფრო მეტად უნდა ვავითარებდეთ პოლიტიკურ სიფხიზლეს, კრიტიკასა და თვითკრიტიკას, თვითკონტროლს, რათა არ შემოგვეპაროს თვითკმაყოფილების ბაცილა. რაც უფრო მტკიცე ფუნდამენტზე ვდგავართ, მით უფრო გაბედულად უნდა შევუტიოთ ნაკლოვანებებს, ავადმყოფურ მოვლენებს. იმის შეგნებამ, რომ ბევრი გაკეთდა, ბურუსის ფარდა კი არ უნდა ჩამოაფაროს იმას, რაც არ გაკეთდა, არამედ მეტი პრინციპულობით გააშიშვლოს ნაკლოვანებანი, დაგვანახვოს მათი გადალახვის გზები და საშუალებანი. ("კომუნისტი", №155, 1977 წლის 5 ივლისი, გვ. 2).

216. ...ჩვენი საზოგადოება კონსტიტუციას მართლაც თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეს, რადგან იგი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მდგრადობის, დემოკრატიული სტაბილური განვითარებისა და წინსვლის უმთავრესი გარანტიაა. მხოლოდ მის საფუძველზე უნდა წარიმართოს ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №201, 1997 წლის 19 აგვისტო, გვ. 2).

217. ჩვენი ქვეყნის განვითარების, მისი ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცების ინტერესები უპირველეს ყოვლისა მოითხოვს უმტკიცეს დისციპლინას, თანაც შეგნებულ დისციპლინას, მაღალ საშემსრულებლო კულტურას, რომელიც თითოეული ადამიანის ქცევის ორგანული ნაწილი უნდა გახდეს. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. — საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 183).

218. ჩვენი წარსული აღზრდის საზომით არის ბურჟუაზიული დემოკრატია, არის სოციალისტური. ჩემთვის კი გაცილებით ახლოა დემოკრატიის ისეთი თანამედროვე განმარტება, რომელიც მას მიანიჭებს სამ პრინციპ-ნიშანს: ჰუმანიზმს, უნივერსალურობას, მრავალფეროვნებას. პირველი ნიშნავს ადამიანის ცხოვრებისა და პირობების უმთავრესობას. მეორე — კანონთა მოქმედების საყოველთაობასა და დემოკრატიის დამყარებას, რომელიც არ სცნობს ვინმესთვის რაიმეს ჩამორთმევა — გამორიცხვას; მესამეც — იმის აღიარებას, რომ თითოეულ ჩვენგანს აქვს "სხვა რამის" უფლებაც, ეს იქნება არჩევანი, აზრი თუ ცხოვრების წესი. თანაც კანონის სავალდებულო დაცვით. თავისუფლება არის — მოწესრიგებული ნება. ჩემი უფლებები იქ მთავრდება, სადაც იწყება

სხვისი უფლებები.* („ცხოვრება“, №55, 1991 წლის 10 აგვისტო, გვ. 3).

219. ცხოვრებამ გვასწავლა, რომ მხოლოდ მაღალი დისციპლინისა და ორგანიზებულობის ვითარებაში შეიძლება მივიყვანოთ ლოგიკურ დაბოლოებამდე ყოველივე ის საუკეთესო, რასაც წარმოშობს დემოკრატიის გაღრმავების პროცესი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. (ე.ა. შევარდნაძე, „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს“, თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1981, გვ. 132).

220. ...ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კრიტიკა კონსტრუქციული იყოს. ჩვენ არ გვჭირდება კრიტიკა მოჩვენებითი ეფექტისა და სიმწვავისათვის. და კიდევ, მარჯვედ უნდა გამოვიყენოთ კრიტიკის იარაღი, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, – გონივრულად გამოვიყენოთ სხვათა გაკრიტიკების უფლება. (ე.ა. შევარდნაძე, „კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს“, თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1980, გვ. 117-118).

221. ძლიერი პარლამენტი არ გამორიცხავს ძლიერ ხელისუფლებას. დემოკრატიას დაცვა სჭირდება. („საქართველოს რესპუბლიკა“, №221, 1992 წლის 27 ოქტომბერი, გვ. 1).

222. ცივილიზებული კაცობრიობა მართლაც ვერ ჰპოვებს სულიერ სიმშვიდეს მანამ, სანამ უკლებლივ ყველა ლტოლვილი არ დაუბრუნდება მშობლიურ კერას. ისინი კი, ვინც სამართლიანობის აღდგენას ეწინააღმდეგება, ვინც უნდა იყვნენ, რა ძალებსაც არ უნდა წარმოადგენდნენ, ან ვისი მხარდაჭერითაც უნდა სარგებლობდნენ, ვერ გაექცევიან იზოლაციას და საყოველთაო ბოიკოტს, საბოლოოდ კი სამართლიან სასჯელსაც. („საქართველოს რესპუბლიკა“, №4, 1998 წლის 6 იანვარი, გვ. 2).

223. წესრიგი დემოკრატიის გარანტიაა, დემოკრატია წესრიგის გარანტიაა. („კომუნისტი“, №26, 1980 წლის 1 თებერვალი, გვ. 2).

224. წვრილმანი და დამამცირებელი კი არა, არამედ საგულდაგულო და თავაზიანი კონტროლი, რომელიც აღნიშნავს ოდნავ წინსვლასაც კი, – ასეთი კონტროლი არ ადუნებს პასუხისმგებლობის გრძნობას, პირიქით, თითქოს წვრთნის, სტიმულს აძლევს მას.** („კომუნისტი“, №82, 1974 წლის 7 აპრილი, გვ.2).

225. (ჭეშმარიტების დასადგენად – შემდგ.) არაფერი არ უნდა იყოს დამალული. („საქართველოს რესპუბლიკა“, №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 5).

226. ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი ცხოვრება მხოლოდ მაშინაა

---

* თარგმნილია გაზეთიდან: „კომსომოლსკაია პრავდა“, №176-177, 1991 წლის 3 აგვისტო, გვ. 3 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: „იზვესტია“, №81, 1974 წლის 6 აპრილი, გვ. 2 (შემდგ.).

შესაძლებელი, როცა ყველა სფეროში პროფესიონალები იღვწიან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №71, 1993 წლის 6 აპრილი, გვ. 2).

227. ჭორების სიმრავლე, საერთოდ უნდა ვთქვა, ახალფეხადგმული დემოკრატიული საზოგადოების თანმდევი მოვლენაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №153, 1996 წლის 30 ივლისი, გვ. 2).

228. ხალხის სახელით ლაპარაკის უფლება აქვს მხოლოდ იმას, ვინც თავდადებით შრომობს ხალხთან ერთად და ხალხის საკეთილდღეოდ. ამიტომ ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, სრულვყოთ დემოკრატიული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის კულტურა მოქალაქეობრივ მოვალეობათა კეთილსინდისიერ შესრულებასთან განუყრელი შეხამებით. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 134).

229. ხალხს უნდა ვენდოთ, ამომრჩეველს უნდა ვენდოთ და მივცეთ სრული თავისუფლება, შევქმნათ იმის გარანტიები, რომ მან შეძლოს თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №135, 1995 წლის 5 ოქტომბერი, გვ. 1).

230. ხელისუფლება უნდა ემსახურებოდეს ხალხს და იყენებდეს ყველა ფორმასა და მეთოდს, რომლიც დემოკრატიული აზროვნების და დემოკრატიული თანაცხოვრების ფარგლებში თავსდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №194, 1994 წლის 1 ნოემბერი, გვ. 2).

231. ხელისუფლების აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს და, ალბათ, არც უნდა არსებობდეს. ("კავკასიონი", №203, 1995 წლის 17 ნოემბერი, გვ. 2).

232. ხელისუფლების წყარო არის ხალხი და, შესაბამისად, უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლებაც ერთიანია.. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 4.).

233. 10 დეკემბერს აღინიშნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე. 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ეს დოკუმენტი ათწლეულების მანძილზე იქცა საერთაშორისო თანამეგობრობის ჭეშმარიტ მორალურ კოდექსად, რომლის ნორმების განუხრელი დაცვა ნებისმიერი სახელმწიფოს ღირსების საქმედ არის მიჩნეული.

დეკლარაციის მიღებიდან გასულ 48 წელიწადში, განსაკუთრებით კი ბოლო ათწლეულში, მსოფლიო პოლიტიკაში ტექტონურ ძვრებს ჰქონდა ადგილი. ბერლინის კედლის მსგავსად დაინგრა ათობით დიქტატორული და ავტორიტარული რეჟიმი, შეიქმნა ახალი დემოკრატიული ქვეყნები. მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობაში ადამიანის უფლებები

აღიარებულია, როგორც უმაღლესი ღირებულება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 1).

234. ...демократия помогает любому режиму и любому народу. Она поддерживает народ, избравший определенный путь. ("იბერია-სპექტრი", №54. 1992 წლის 27 ოქტომბერი-2 ნოემბერი, გვ. 5).

235. Есть стены, которые можно разрушить в считанные дни. Сложенные из кирпича и камни, они легко поддаются напору воли и силы. Но есть иные стены, которые невозможно устранить в одночасье. Сложенные из глыб идеологии, представлений, недоверия и страха, они непоколебимо стоят в сознании людей, разделяя, скрывая и отделяя их друг от друга. ("Свободная Грузия", №44, 2 апреля 1992, стр.1)

236. Ничто и никто не должны мешать честному трудовому человеку. И святой долг властей, государства стать гарантом этому. ("Литературная Грузия", №4-5, 1992 года, стр.303)

# IV. საქართველოს, ქართველობის, ქართული ენის, სამშობლოს, მამულის, მამულიშვილობის, ქრისტიანობის, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, ტრადიციების, რუსეთ-საქართველოს, ქართულ-ებრაული, საქართველოსა და ქართველ ერთან სხვა ხალხების ურთიერთობების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ადათისამებრ, ოდას მთელი სოფელი აშენებს. ამას ჩვენში ჰქვია "ნადი"... ამ დროს, ჩვეულებრივ, მღერიან "ნადურს" — ხალხურ შრომის სიმღერას. მასში ყველას თავისი ხმა, თავისი სიმღერა აქვს. ყველანი ერთად კი საუცხოოდ გამართულ პოლიფონიურ ერთობას ქმნიან.

ამ მრავალხმიანობაში იყო დიდი საიდუმლოება, რომლის წვდომა მაშინ (ბავშვობის წლებში — შემდგ.) არ შემეძლო. წლების შემდეგღა მივხვდი, რაც ხდებოდა: არ კმარა, ხმა გქონდეს, ეგ შენი ხმა სხვათა ხმებს უნდა შეუფარდო. უამისოდ არაფერი გამოვა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 31).

2. ადამიანს წაართვა ყველაფერი, რაც მისთვის ძვირფასია, შენთვის კი საძულველი, და თავს მოახვიო შენი წესი — ისტორია საუკუნეების მანძილზე დაახლოებით ამ სქემით, ცეცხლითა და მახვილით, რკინითა და სისხლით წარიმართებოდა. ძლიერის უფლებამოსილება სუსტის უუფლებობას ნიშნავდა. ასე იყო საქართველოშიც, ხშირად გვირგვინოსნებიც კი იზიარებდნენ თავიანთი ქვეშევრდომების ხვედრს. უტახტოდ დარჩენილი ხელმწიფენი ისეთ საქმიანობას ჰკიდებდნენ ხელს, რაც მათ წოდებასა და მისიას თითქოს სულაც არ შეეფერებოდა.

ცდილობდნენ უცხოეთში წიგნების ბეჭდვისთვის მოებათ თავი, ან ლექსებსა და პოემებს წერდნენ. მე თუ მკითხავთ, ცდილობდნენ მიეღწიათ თავისუფალი აზრის მეუფებისთვის. ამიტომ ხომ არ ამბობდნენ ქართველებზე, მათი მეფეები პოეტები იყვნენ, მათი პოეტები კი მეფობდნენო? მაგრამ ყველასთვის — მეფეებისთვისაც და პოეტებისთვისაც დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა იდგა სხვა ყველაფერზე მაღლა.

ისეთი ძლევამოსილი და განათლებული სახელმწიფოს მზის ჩასვენების შემდეგ, როგორიც იყო XII საუკუნის საქართველო, იწყება გარედან მხარდაჭერის ძიების უსასრულო პროცესი. საშველს ეძებდნენ დასავლეთში, მაგრამ პატარა ქრისტიანული ქვეყნის დასახმარებლად ევროპელმა

მონარქებმა არ ისურვეს დიდი პოლიტიკის ინტერესების რისკზე შეგდება. მით უმეტეს, რომ საეჭვო იყო აქედან მათთვის რაიმე სარგებლობის მიღება. საქართველოს მეზობლები აკონტროლებდნენ მნიშვნელოვან სავაჭრო გზებს და ევროპის დიდ ქალაქებში არჩიეს იმ ქვეყნებს არ წაჰკიდებოდნენ. იდეოლოგიას, — ამ შემთხვევაში, ქრისტიანულ რწმენას, იოლად შეელიენ, დასავლეთთან კავშირი ვერ გაიბა.

ერთი იმედიღა რჩებოდა და ის ჩრდილოეთში სუფევდა. მზერა სულ უფრო და უფრო ხშირად მიემართებოდა ერთმორწმუნე რუსეთისკენ. მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ დახმარება მხოლოდ იქიდან შეიძლებოდა მოსულიყო. პრაქტიკულად რამდენიმე საუკუნის მანძილზე საქართველოს წარგზავნილნი მეტნაკლები წარმატებით კვალავდნენ მოსკოვისკენ გზებს. კარგა ხანს რჩებოდნენ იქ, ფეხს იკიდებდნენ, თავიანთ დასახლებებს აარსებდნენ. ქუჩები ბოლშაია გრუზინსკაია და მალაია გრუზინსკაია იმ ხანებიდან არის შემორჩენილი. იმდროინდელია დონის დიდი მონასტრის მირქმის ეკლესიის ნეკროპოლიც, სადაც დაკრძალული არიან რუსეთთან დაახლოებისთვის მაშვრალი ქართველი მოღვაწეები, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენლები. მათ ბევრს მიაღწიეს, მაგრამ თავიანთი სამშობლოს თავისუფლებას ვერ მოესწრნენ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 35-36).

3. ალბათ, ეს სასწაული იყო ორჯერ გადარჩენა (იგულისხმება 1995 წლის 29 აგვისტოსა და 1998 წლის 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილი ტერორისტული აქტების დროს ედუარდ შევარდნაძის უვნებლად გადარჩენა — შემდგ.). ეს სასწაულია და სასწაული ხდება მხოლოდ უზენაესის ნებით. ალბათ, უზენაესი ხედავს, რომ არც ძალას, არც ენერგიას, არც ცოდნას, არც გამოცდილებას არ ვიშურებ ჩემი ქვეყნისათვის, ჩემი ხალხისათვის. და ეს, როგორც იტყვიან, მშველის ასეთ ურთულეს და კრიზისულ სიტუაციაში. ("სამხედრო გაზეთი", №7, 1998 წლის 13-19 თებერვალი, გვ. 1).

4. ამ რამდენიმე წელიწადში, რომლებიც დაემთხვა შეიარაღებულ კონფლიქტებს ქვეყნის ტერიტორიაზე, საქართველომ გამოიარა გზა საყოველთაო ქაოსიდან საყოველთაო სტაბილიზაციამდე თუ, რა თქმა უნდა, არ ვიგულისხმებთ მისი სხეულის სისხლიან იარას — აფხაზეთს.

მაგრამ, შეუძლებელია არ იგულო და არ იგულისხმო იგი, ვინაიდან, სანამ ეს იარა გვექნება, ვერავითარი ჩვენი ბოლო წლების შენაძენნი ვერ უზრუნველყოფენ ვერც საქართველოს და ვერც მთლიანად რეგიონის მშვიდობასა და უშიშროებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №176, 1997 წლის 25 ივლისი, გვ. 1).

5. ...ამერიკის სახით საქართველოს ჰყავს ძლიერი მეგობარი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ხელსაც შეგვაშველებს და საჭირო რჩევასაც მოგვცემს. („საქართველოს რესპუბლიკა", №209, 1997 წლის 26 აგვისტო, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. არ არსებობს ძალა, რომელიც საქართველოს დააჩოქებს, გადაახვევინებს მას ტაძრისაკენ მიმავალი გზისგან. („ლიტერატურული საქართველო", №25, 1993 წლის 18 ივნისი, გვ. 2).

7. ...არ კმარა მარტოოდენ გსურდეს დაიცვა მამული. უნდა შეგეძლოს მისი დაცვა, შეგეძლოს — პროფესიულად. („კომუნისტი", №103, 1985 წლის 4 მაისი, გვ. 2).

8. არ მახსოვს არც ერთი საერთაშორისო ფორუმი... რომელზეც უკრაინას მხარი არ დაეჭიროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, მაშასადამე, მხარი არ დაეჭიროს სამართლიანობისათვის. („საქართველოს რესპუბლიკა", №269, 1997 წლის 29 ოქტომბერი, გვ. 2).

9. ...არ უნდა დავივიწყოთ, თუ რა საძირკველზე დავიწყეთ დღევანდელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. უფრო სწორად — საძირკველი არ იყო. ვერავის დავაბრალებთ ამას. ჩვენ თვითონ დავანგრიეთ და დავარბიეთ ის, რაც შეიძლებოდა საფუძვლად გამომდგარიყო („საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

10. არ შემიძლია, განსაკუთრებული მადლიერების სიტყვებით არ მივმართო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ლიდერებს, რომლებიც განუწყვეტლივ რეკავენ, გზავნიან დეპეშებს, რომლებშიც გამოთქმულია არა მარტო პირადი მხარდაჭერა საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, არამედ, აგრეთვე, დიდი სიმპათიები ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისადმი. ჩვენი დიდი მონაპოვარია, რომ ლაპარაკობენ არა ერთ კაცზე, არამედ ქვეყანაზე, ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, რომლებიც იმსახურებენ მსოფლიო საზოგადოებრიობის მხარდაჭერას. („საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 1).

11. არ შემიძლია ერთხელ კიდევ არ გამოვხატო აღფრთოვნება, გნებავთ, ადამიანური გაოცება იმ გმირობის გამო, საქართველოს შვილების სახელთან რომ არის დაკავშირებული. მათი სახელები წმინდაა და წმინდა იქნება... მინდა ვთხოვო ჩემს მეგობრებს, ვეტერანებს: იყავით სულგრძელნი, ნუ უსმენთ ცალკეულ უმადურთა და უგუნურთა ლაყბობას. სამშობლო ამაყობს თქვენით და რაც უფრო დავცილდებით სამამულო ომის დღეებს, მით უფრო ნათელი შარავანდედით განათდება თქვენი გმირობა და თქვენი ცხოვრება! („სამხედრო გაზეთი", №5, 1995 წლის მაისი, გვ. 1).

12. არაერთგზის მითქვამს: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, ორმხრივი კეთილმოსურნეობის თვალსაზრისით არ არსებობს გადაუწყვეტელი პრობლემა, სტრატეგიული ხასიათის წინააღმდეგობა. შესაბამისი

სამართლებრივი ბაზაც შექმნეს ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა. მინდა მჯეროდეს, რომ ორივე ვუერთგულებთ ჩვენს სიტყვას და ჩვენს შეთანხმებას, რომელსაც საარსებო მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №308, 1997 წლის 9 დეკემბერი, გვ. 2).

13. არაერთხელ გვითქვამს და ვამბობთ: ქართული კულტურა უნიკალური მოვლენაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №95-96, 1994 წლის 26 მაისი, გვ. 2).

14. ...არაერთხელ მითქვამს: სამეგრელო არის ქართველთა ერთიანობის ხერხემალი, სამეგრელოა ჩვენი სამშობლოს ძლიერების, რწმენის ქვაკუთხედი, ჩვენი თვალის სინათლე და ჩვენი სიამაყე. რა თქმა უნდა, მე ასეთ სიტყვებს მოვძებნი ყველა მხარის მიმართ, რადგან ეს ჩვენი სამშობლოა, ჩვენი მიწა-წყალია და ჩვენი სიყვარულია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №45, 1998 წლის 24 თებერვალი, გვ. 2).

15. არასოდეს, ჩემი მოღვაწეობის არც ერთ ეტაპზე პირადად მე აჭარის ავტონომიის არსებობა ეჭვქვეშ არ დამიყენებია. პირიქით... ხშირად ჩემს გამოსვლებსა თუ ინტერვიუებში ხაზს ვუსვამდი აჭარის ავტონომიის — როგორც სახელმწიფო წარმონაქმნის — თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით განვითარების აუცილებლობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №268, 1997 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

16. არიან ადამიანები, რომლებმაც, დატოვეს რა დიდი შემოქმედებითი, მეცნიერული თუ პოლიტიკური მემკვიდრეობა, მსოფლიოს ხალხთა გულში სამარადისო უკვდავება დაიმსახურეს.

მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა სახელებს, მართალია, არ შემოუვლიათ მსოფლიოს ყოველი კუთხე, მაგრამ მეტეორივით გაიელვეს მშობელი ხალხის ისტორიაში და მშრომელი ადამიანისადმი უდიდესი სიყვარულით, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისადმი თავდადებით და თავგანწირვით, პირადულის საერთო-სახალხო საქმეზე მსხვერპლად მიტანით ხალხის გულში ჰპოვეს სამარადჟამო ნავთსაყუდელი. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №99, 1960 წლის 18 აგვისტო, გვ. 2).

17. არსებობდა თუ არა ქართული ეროვნული დიპლომატია საბჭოთა პერიოდში? კლასიკური სახით — არა. მაგრამ არსებობდა პოლიტიკა, გაანგარიშებული ეროვნული თვითმყოფადობის, ეროვნული კულტურის, ხელოვნების განვითარებაზე, ეროვნული მეურნეობრიობის საკუთარი ფუძის მშენებლობაზე, ეროვნული კადრების მომზადებაზე, ეროვნული მეცნიერების განვითარებაზე, ეროვნული ენერგიის საჭირო მიმართულებით, სამომავლო ინტერესების შესაბამისად გამოღვიძებასა და წარმართვაზე. დასახული მიზნების რეალიზაცია, სასურველ შედეგამდე მისვლა

მოითხოვდა ალესილი სამართებლის პირზე სიარულს, ვინაიდან მთელი ეს ურთულესი სამუშაო ისე უნდა წარმართულიყო, რომ არ გამოეწვია ცენტრის მწვავე რეაქცია. ცენტრი უნდა დაგვერწმუნებინა, რომ ეს მის ინტერესებში არის, რომ ეს სრულ ჰარმონიაშია ერთიანი კავშირის ინტერესებთან. განსაკუთრებული სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ ამ პოლიტიკას, მე ასე ვიტყოდი, უმაღლესი რანგის დიპლომატიას, ოფიციალური სახე არ ჰქონდა, მას არ ქმნიდა ადამიანთა, თანამოაზრეთა გუნდი. ჩანაფიქრის თუ ნააზრევის გამხელა მხოლოდ საკუთარ თავთან შეიძლებოდა ...იმხანად თავის ქვეყანაზე, მის აწმყოზე და მომავალზე მზრუნავ მოღვაწეს არა მარტო გონების დაძაბვა, არამედ პოლიტიკის და დიპლომატიის ხელოვნების ურთულეს ლაბირინთებში უხდებოდა გზის გაკვლევა. („საქართველოს რესპუბლიკა", №38, 1996 წლის 5 მარტი, გვ. 1).

18. არსებობს გარკვეული ისტორიული კანონზომიერება – ქართული კულტურა, მეცნიერება, საზოგადოდ ცივილიზაცია განვითარების კულმინაციას უპირატესად მაშინ აღწევდა, როცა საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო იყო.

ძლიერი სახელმწიფო მუდამ ქმნიდა ყველა პირობას ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისა და მსოფლიო ცივილიზაციის მონაპოვართა შემოქმედებითად ათვისებისათვის. ამ თვალსაზრისით კლასიკურია დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანის საქართველო, როდესაც არნახულად აყვავდა ქვეყნის მატერიალური და სულიერი კულტურა. („საქართველოს რესპუბლიკა", №207, 1996 წლის 15 ოქტომბერი, გვ. 4).

19. ...აფხაზები და ქართველები საუკუნეების განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ და კვლავაც ერთად იცხოვრებენ, ეს ყველამ უნდა იცოდეს. („საქართველოს რესპუბლიკა", №146, 1993 წლის 8 ივლისი, გვ. 1).

20. აფხაზებს ომი არ უნდათ, ეს მათთვის თვითმკვლელობაა. ომი არც ჩვენ გვინდა. გვეყო ამდენი მსხვერპლი და ნგრევა. გამოსავალი ერთია: დაიწყოს აქტიური შერიგების პროცესი ქართველებისა და აფხაზებისა. („საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 4).

21. აფხაზეთი საქართველოა. ასევე სწორია ისიც, რომ საქართველო აფხაზეთია, და არ არის და არც იქნება საქართველო უაფხაზეთოდ. („საქართველოს რესპუბლიკა", №238, 1992 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

22. (აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გასაღები – შემდგ.)... როგორც არაერთხელ აღნიშნულა, რუსეთის ხელშია. სხვათა შორის, იმის თქმა, რომ კონფლიქტის გადაწყვეტის გასაღები, რომელიმე სახელმწიფოს ხელშია, სრულიადაც არ არის უცნაურობა.

... ეს არ უნდა იწვევდეს ვინმეს რაღაც ირონიას, როცა ვამბობთ, გასაღები სხვის ხელშიაო. როგორც დაიკარგა აფხაზეთი სხვა ძალების

ხელშეწყობითა და მონაწილეობით, ასევე, ალბათ, ამ ეტაპზე, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამას ხაზს ვუსვამთ, ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული სწორედ რუსეთის ფაქტორზე და ეს ყველამ უნდა შეიგნოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №80, 1997 წლის 8 აპრილი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. აფხაზეთის პრობლემა რომ ჩვენი სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხია, არავითარ დავას არ იწვევს და ჩვენ ყველანი — საქართველოს მოქალაქენი — ასე ვფიქრობთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №85, 1997 წლის 15 აპრილი, გვ. 2).

24. აფხაზთა კულტურული თავისთავადობის შენარჩუნება ქართველების, როგორც უფრო მრავალრიცხოვანი ხალხის მოვალეობაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №7, 1996 წლის 13 იანვარი, გვ. 1).

25. აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობას საუკუნეებში აქვს გადგმული ფესვი.

ჩვენ ერთი ისტორიული ბედი გვქონდა და გვაქვს.

ერთი ცა და ერთი მიწა გვაერთიანებდა. ("კომუნისტი", №133, 1978 წლის 7 ივნისი, გვ. 2).

26. აფხაზი და ქართველი ხალხი საერთო ენას მოძებნის და იცხოვრებს ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველოს ფარგლებში. რა თქმა უნდა, ცალკეულ შემთხვევებში რუსეთის დადებით როლსა და საკუთარ შეცდომებსაც გავითვალისწინებთ. ("7 დღე", №44, 1992 წლის 3-9 დეკემბერი, გვ. 2).

27. დავით აღმაშენებლის სახელმწიფოში იმდენი ენა ჰყვაოდა, რამდენიც ტომ-თესლი იყო, მაგრამ სახელმწიფოებრივი ენა "ნიკოფსიით დარუბანდამდის" — იყო ქართული ენა. ქართული ენა სახელმწიფოში უნდა სცოდნოდა ყველას — ქართველსაც და არაქართველსაც, ეს პატივიც იყო, საჭიროებაც, სინდისიც და მოვალეობაც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №126, 1995 წლის 22 სექტემბერი, გვ. 1).

28. აღმოსავლეთისა და დასავლეთის, აზიისა და ევროპის მიჯნაზე საქართველო ხიდის მისიას ასრულებდა. კაცობრიობის დიდ აბრეშუმის გზაზე იგი დანტესა და ფირდოუსის შეხვედრის ადგილი ხდებოდა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №83, 1995 წლის 14 ივლისი, გვ. 2).

29. აწმყოში წარსულის კვალია და მომავლის ფესვები. გაუფრთხილდეთ იმ კვალს და იმ ფესვებს. ის ილიას კვალია, აღმაშენებლის, გორგასლის, რუსთველის კვალია. და ის იმ მომავლის ფესვია, რომელსაც ჩვენი შვილის სახე აქვს და ჩვენი შვილიშვილის ხმა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №2, 1995 წლის 4 იანვარი, გვ. 1).

30. ...ახალ საუკუნეში საქართველო შეაბიჯებს როგორც სრულიად ახალი ქვეყანა, რომელსაც სრულიად სხვა საზოგადოება ეყოლება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №222, 1992 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2)

31. ახალ ქართულ სახელმწიფოს, რომელიც ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას და ტრადიციებს ეყრდნობა, უდავოდ, უნდა გააჩნდეს მკაფიო ორიენტირები თავისი რაობის, თავისუფალ ხალხთა და ქვეყანათა მსოფლიო თანამეგობრობაში თავისი ადგილის, განვითარების გეზისა და მიმართულებათა თაობაზე, როგორც მიმდინარე ეტაპისათვის, ასევე ხილული და შორეული ისტორიული პერსპექტივისათვის.

ასეთი ეროვნული მსოფლმხედველობა, ასეთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების კონცეფცია უნდა დაეფუძნოს ჩვენი ისტორიისა და თანამედროვეობის უნიკალურობას, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს კონსტიტუციას. ასეთი მსოფლმხედველობა უნდა ეყრდნობოდეს და ითვალისწინებდეს საქართველოს მოსახლეობის მრავალეროვნულობას, სახელმწიფოებრივი მოწყობის თავისებურებებს, სხვადასხვა რელიგიური მრწამსის ადამიანების მშვიდობიანი თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 3).

32. ახალი, ერთიანი საქართველოს აღმშენებლობა, — ეროვნული და სახელმწიფოებრივი... ყველა ჩვენგანზე, ყოველგვარ მოძრაობაზე, ყოველგვარ იდეოლოგიაზე მაღლა დგას. გვეყო ნგრევა, ქაოსი, შიმშილი და განუკითხაობა, შევთანხმდეთ, რომ ყველაფერი ეს უკან დარჩა და საქართველო ამ სისხლიან, სამარცხვინო შარაგზას, რომელიც უკვე გავიარეთ, აღარასოდეს მიუბრუნდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №74, 1997 წლის 1 აპრილი, გვ. 2).

33. ახლა ასეთი კითხვის შესახებ: მაინც, რას ერჩიან შევარდნაძეს? რა დააშავა ასეთი?.. რატომ უნდათ, იძიონ შური. მინდა ჩემმა ხალხმა ეს იცოდეს და თუ დამნაშავე ვარ, მითხრას: — "დამნაშავე ხარ და უნდა გადადგე, წახვიდე". მოგეხსენებათ, გადადგომის გამოცდილება მაქვს...

მე დავაშავე ის, რომ ავირჩიე გზა, რომელსაც ტოტალიტარული სახელმწიფოს ნგრევა ჰქვია. ეს გზა ათასებისათვის, მილიონებისათვის მიუღებელი იყო. მაგრამ არ ვნანობ, რომ ეს გზა ავირჩიე.

მე ავირჩიე საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზა. ავირჩიე ეს გზა ჩემს მეგობრებთან, თანამოაზრეებთან ერთად, ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის გზა, კომპრომისების, დათმობის ხარჯზეც, მაგრამ მაინც, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზა. მე ავირჩიე ეს გზა, რათა საქართველო გახდეს ნამდვილად დამოუკიდებელი და მჯერა, მომავალში აყვავებული ქვეყანა, რომელსაც ანგარიშს გაუწევენ არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოში.

ვიღაცის ინტერესები შეილახა. ახლა ბევრს ლაპარაკობენ, "ნავთობსადენები

რომ არ წამოგვეწყო, მაშინ შეტაკება არ მოხდებოდა. რომ არ წამოგვეყენებინა " აბრეშუმის გზის" იდეა, მშვიდად და კარგად ვიქნებოდით. ევრაზიის დერეფანი, "ტრასეკა" რომ არ ყოფილიყო" და ა. შ.

ბიბლიოთეკა

ეს ერთი კაცის მონაგონი არ არის. ეს არის ჩვენი სტრატეგიული ინტერესები. ეს საქართველოს კეთილდღეობის წყაროა. ჩვენ არც ნერვებმა უნდა გვიღალატოს და არც მუხლები უნდა აგვიკანკალდეს მაშინ, როცა შეგვებრძოლებიან. შეგვებრძოლებიან, რადგანაც ვიღაცის ინტერესები ილახება და ვიღაცას პირდაპირ ვეუბნებით: — "ვიცხოვროთ მეგობრულად, მეზობლურად, მაგრამ არის კანონზომიერება, რომელსაც ვეღარ გადავუხვევთ, რომლის იგნორირება ვეღარ მოხდება. დღეს სხვა მსოფლიოა".

კიდევ: რატომ ებრძვიან შევარდნაძეს? არის ბერლინის კედელი, არის ავღანეთი, არის ევროპის განთავისუფლება... მეუხერხულება ლაპარაკი, მაგრამ, ალბათ, ისევ მე უნდა ვთქვა... ამერიკის შეერთებული შტატების სენატში გაკეთებულ განცხადებაში ითქვა, — "ამ კაცმა შეცვალა მსოფლიო", მაგრამ ამ შეცვლილ მსოფლიოში ყველას ინტერესები ხომ არ არის დაცული? მთელი კლანების, მთელი კლასების, მთელი ფენების ინტერესები შეილახა არა ერთ, არამედ რამდენიმე ქვეყანაში, ჩვენზე ასჯერ და ათასჯერ დიდ ქვეყნებში.

ამიტომაც, ვიღაცას ძალიან სჭირდება დასაჯოს საქართველოს პრეზიდენტი. მაგრამ მე მაინც მიმაჩნია, რომ პასუხისმგებლობისაგან გაქცევა არ შეიძლება. მას შემდეგ, რაც საქართველოში ჩამოვედი, მხოლოდ ერთხელ მივეცი საკუთარ თავს უფლება, გამეკეთებინა განცხადება გადადგომის შესახებ. ეს იყო მხოლოდ პიროვნული შეურაცხყოფის შემდეგ. ამის გარდა, ერთი დღე, ერთი საათი, ერთი წუთი ჩემი ხალხისათვის არ მიღალატია და არც ვუღალატებ, სანამ სული მიდგას, სანამ შრომა, სანამ ბრძოლა, სანამ აზროვნება შემიძლია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

34. ბაზალეთის ტბა ჩვენს ცხოვრებაში ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენას უკავშირდება — ერთი მხრივ, ძმათა შორის უთანხმოებასა და გაუტანლობას, ხოლო მეორე მხრივ, იმედის სიმბოლოს — ლეგენდებითა და დიდი მწერლის შემოქმედებით უკვდავყოფილ ოქროს აკვანსა და ყრმას — მომავალ მხედაბუკს.

ხალხმა იმიტომაც უნდა იცოდეს საკუთარი ისტორია, რომ წარსულის შეცდომები აღარ გაიმეოროს. ბაზალეთის ტბა მარადიულად გვახსენებს, რომ ჩვენი გადარჩენა, ჩვენი ძლიერება მხოლოდ ერთად ყოფნაში, ერთმანეთის ერთგულებასა და სიყვარულშია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №184, 1997 წლის 2 აგვისტო, გვ.1).

35. ბედნიერი ვარ, რომ საკუთარი მოკრძალებული წვლილი მაქვს შეტანილი როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებში, რის დადებით შედეგებს ჩვენი ქვეყანა უკვე იმკის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1998 წლის 27 იანვარი, გვ. 2).

36. ბერძნებმა და ქართველებმა პრომეთესა და არგონავტების ლეგენდარული ეპოქიდან მოყოლებული, ერთმანეთთან ურთიერთობის თითქმის ოთხი ათასწლოვანი გზა განვლეს და ამ გზაზე ჩვენ შევძელით ორი ხალხის მჭიდრო, ხანგრძლივი და უწყვეტი ურთიერთობის მშვენიერი პარადიგმა შეგვექმნა, სულიერი კავშირის სიღრმითა და ინტენსივობით საყოველთაო გაოცებას რომ იმსახურებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №233, 1997 წლის 17 სექტემბერი, გვ. 1-2).

37. გავუფრთხილდეთ კულტურის ძეგლებს, დავიცვათ ისინი — ეს ყოველი ჩვენთაგანის პატრიოტული მოვალეობაა! ("კომუნისტი", №275, 1978 წლის 25 ნოემბერი, გვ. 4).

38. განგებამ ასე ინება, პატარა ქვეყნის, მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენელი იმ გიგანტური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ოლიმპზე აღმოჩნდა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა. ამ უმაღლესი გადასახედიდან, მთელი პლანეტა რომ ხელისგულივით მოჩანდა, ჩემი თვალმარგალიტი, ჩემი საქართველო თავისი თვალისმომჭრელი კიაფით შემახსენებდა თავს. იგი მეუბნებოდა: იყავ ფრთხილად, იმოღვაწე ღირსეულად, აკეთე სხვა ხალხებისათვის ის, რასაც შენი ქვეყნისათვის მოიმოქმედებდიო. ღმერთმანი, ვცდილობდი ამ შეგონების ერთგული ვყოფილიყავი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 5).

39. გასათვალისწინებელია, რომ აფხაზეთში კონფლიქტის პრობლემა მხოლოდ საქართველოს საშინაო საქმე არ არის, როგორც ამას ზოგიერთი ჩემი ოპონენტი ირწმუნება. იგი სერიოზული რეგიონული და საერთაშორისო პრობლემაა და მისი ინტერნაციონალიზაცია, ამ თვალსაზრისით, სავსებით მიზანშეწონილი და გამართლებულია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №180, 1997 წლის 29 ივლისი, გვ. 2).

40. ...გაუტეხელია ქართველი კაცის უსაზღვროდ კაცთმოყვარე გული და ამაყი ნება, მტკიცეა მისი მამა-პაპური ადათი, ზნე, სჯული და ხასიათი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №2, 1995 წლის 4 იანვარი, გვ. 1)

41. გეორგიევსკის ტრაქტატმა, ხოლო შემდგომ რუსეთთან საქართველოს შეერთებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი ერის ისტორიაში. ამ აქტმა საქართველო გადაარჩინა ფიზიკურ და სულიერ გადაშენებას, შესაძლებელი გახდა ქართველი ერის საბოლოო კონსოლიდაცია. ("კომუნისტი", №97, 1982 წლის 25 აპრილი, გვ. 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

42. გერმანელ ხალხთან საქართველო ნამდვილ, გულწრფელ მეგობრულ ურთიერთობას აშენებს. ამ ქვეყანამ ძალიან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლაში. („საქართველოს რესპუბლიკა", №222, 1996 წლის 5 ნოემბერი, გვ. 2).

43. გვახსოვდეს, სამშობლოს სიყვარული ცოდნით, განათლებით, მაღალი კულტურით, ჯანსაღი რწმენით გამოხატული ის ძალაა, სასწაულების მოხდენა რომ შეუძლია. („დროშა", №1, 1982, გვ. 1).

44. გორი ქართლის დედაგულია, გორი საქართველოს სიამაყეა. უნიჭიერეს ადამიანთა სიმრავლით თუ ვიმსჯელებთ, ღმერთმა თავისი კალთა სწორედ გორს დააბერტყა. დიდი კაცნი, დიდი მოღვაწენი, ცნობილნი საქართველოში და მთელ მსოფლიოში, გორის მიწაზე იშვნენ. რადიკალურად განსხვავდება მათი ადგილი საქართველოს და მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ გენიოსი ხომ მაინც გენიოსია, როგორი მსოფლმხედველობითაც არ უნდა იყოს განმსჭვალული. („საქართველოს რესპუბლიკა", №148-149, 1995 წლის 21 ოქტომბერი, გვ. 1).

45. გრიბოედოვი, ისევე, როგორც რუსეთის დიდი კულტურა — სულიერი თუ პოლიტიკური — მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან. XX საუკუნის დამლევსა და XXI საუკუნის დამდეგიდან ორი ხალხის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება. ეს იქნება ორი საუკუნის ტიტანების — ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე პუშკინის, აკაკი წერეთლის, მიხეილ ლერმონტოვის, და, რა თქმა უნდა, ალექსანდრე გრიბოედოვის იდეალების ხორცშესხმის ეპოქა. („საქართველოს რესპუბლიკა", №7, 1995 წლის 17 იანვარი, გვ. 1).

46. ...გულწრფელად, გულახდილად მინდა ვილაპარაკო დისიდენტურ მოძრაობასთან ჩემს დამოკიდებულებაზე. ამის თაობაზე, ჩემი მისამართით, ბევრი კრიტიკული აზრი გამოითქვა უცხოეთის ბეჭდვით ორგანოებსა და ბოლოდროინდელ ქართულ პრესაში. შემეძლო საკამათოდ არ გამეხადა და პირდაპირ მეთქვა: დიახ, ასე იყო. მაგრამ ამჟამად არ მიმაჩნია საკმარისად მხოლოდ ამის თქმა.

სხვაგვარ აზროვნებასთან ბრძოლა მთელ ქვეყანაში წარიმართებოდა ანტისოვეტიზმთან და ნაციონალიზმთან ბრძოლის დროშით. რასაკვირველია, ეს იყო საერთო-სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ფართოდ იყენებდა რეპრესიულ და პროპაგანდისტულ აპარატს. შემეძლო თუ არა მე მისი თავიდან აცილება ან შეჩერება? რასაკვირველია, არ შემეძლო. მოვალე ვიყავი, პროტესტი განმეცხადებინა. მაგრამ მაშინ, სამოცდაათიან წლებში, არც შინაგანად, ფსიქოლოგიურად, არც პოლიტიკურად ამისათვის მზად არ ვიყავი.

საქართველოს დისიდენტური მოძრაობის ბევრ მონაწილეს კარგად

ვიცნობდი, ზოგიერთ მათგანთან არაერთხელ მისაუბრია. სიტყვა "დისიდენტი" იგივე იარლიყია, რომლის უკან პიროვნების ჭეშმარიტი მისწრაფებები იმალება. ისინი არავითარი დისიდენტები არ ყოფილან, — ჩვეულებრივი, ნორმალური, მაგრამ არსებული ვითარებით განრისხებული ადამიანები იყვნენ. ჩვენ უიარლიყებოდ ვსაუბრობდით და ბევრ რამეში ვეთანხმებოდი მათ, მაგალითად: დავით გარეჯის უდაბნოს უნიკალური სამონასტრო კომპლექსიდან სატანკო-საარტილერიო პოლიგონის შორს გადაწევის აუცილებლობაში. ამ სამონასტრო კომპლექსს ხომ დეტონაცია ანგრევდა; ასევე ვეთანხმებოდი ფასდაუდებელ ძველ ხელნაწერთა უკეთ შენახვისა და დაცვის მოთხოვნას. ყველაფერი ეს, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ, რაზეც ეს ადამიანები მელაპარაკებოდნენ, ჩემი საზრუნავიც იყო, მაგრამ ირკვეოდა, რომ მათი მოგვარების ძალა არ შემწევდა. ვერაფრით ვერ ვახერხებდი შესაბამისი ცენტრალური უწყებების დარწმუნებას, რომ აუცილებელია პოლიგონის სხვა ადგილას გადატანა და ხელნაწერთა თანამედროვე საცავის მშენებლობისთვის ასიგნებათა გამოყოფა.

მე არ შემეძლო დაცვა იმ პირგამეხებული კაცებისა და ქალებისა, რომლებიც არსებული მანკიერებების გაკილვასა და მხილებას სულაც არ სჯერდებოდნენ და ისეთ ნაბიჯებს დგამდნენ, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების თანახმად, სულაც არ იყო უწყინარი. მაგრამ იყვნენ ასობით ახალგაზრდები, — სტუდენტები, მეცნიერ მუშაკები, მწერლები, — რომლებისთვისაც სასჯელის აცდენა მომიხერხებია. ჩვენ ღია დისკუსიებს ვუწყობდით ერთმანეთს. ყოველი მათგანი სისხლის სამართლის კოდექსის გარკვეულ მუხლს ექვემდებარებოდა, მაგრამ ეს მუხლები არ ამოქმედებულა.

ყოველ პიროვნებასთან მიმართებაში ჩემი პოზიცია ჩემს თავთან მძიმე შინაგან ბრძოლაში ყალიბდებოდა. შესაძლოა, სწორედ ამ შინაგანი ბრძოლის შედეგად მივედი იქამდე, სადამდეც მივედი და რამაც გარდაქმნის აქტიურ მომხრედ მაქცია. ამ ბრძოლამ, ისევე როგორც ქვეყნის მდგომარეობის შესახებ სიმართლის ცოდნამ, მიმიყვანა დასკვნამდე, რომ არსებულ ბოროტებათა ფესვები ცალკეულ ადამიანებში კი არ არის, არამედ სისტემაშია. და ადამიანები ამ სისტემისადმი იმიტომ არიან მტრულად განწყობილი, რომ ის ულმობელია ადამიანის პიროვნებისადმი, რომ ტოტალიტარიზმის პირობებში შეუძლებელია ადამიანის უფლებათა, მისი თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია ქვეყნის ნორმალური განვითარების უზრუნველყოფა.

"ყველაფერი დალპა. ყველაფერი უნდა შეიცვალოს", — მე ეს ნამდვილად

ვუთხარი გორბაჩოვს ბიჭვინთაში 1984 წლის ზამთრის ერთ საღამოს და ამ სიტყვებზე არც დღეს ვამბობ უარს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ, 78-80).

ეროვნული ბიბლიოთეკა

47. გულწრფელად გეტყვით, ამ დღესასწაულში ("თბილისობაში" – შემდგ.) ყველაზე მეტად ის მახარებს და ერთგვარად მეამაყება კიდეც (რაკი თბილისობის ერთ-ერთი ინიციატორი გახლდით თავის დროზე), რომ იგი ასე აიტაცა და შეისისხლხორცა, გაითავისა ჩვენმა ხალხმა, თბილისელებმა, მთელმა საქართველომ. თბილისობა ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულად იქცა და დარწმუნებული ვარ, ისეთივე ტრადიციული გახდება, როგორც უძველესი "მცხეთობა"... ეს ჩვენი დედაქალაქის დღეა, თბილისისა და სრულიად საქართველოს ერთობის ზეიმია. რამ გაყო თბილისი და სრულიად საქართველო, მისი ნებისმიერი კუთხე, ისინი ხომ "ერთ სულ და ერთ ხორც" იყვნენ, არიან და იქნებიან მარად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №268, 1997 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

48. დავითისა და თამარის დიდი ეპოქის შემდგომმა უმძიმესმა და ურთულესმა შვიდმა საუკუნემ, საქართველოს დამოუკიდებლობის არაერთგზისმა ხელყოფამ და შემდგომში სხვა ქვეყნის მიერ ჩვენი სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ, გარკვეული უნდობლობა ჩაუსახა ადამიანებს საკუთარი ერის სასიცოცხლო პოტენციისადმი. ასეთი ნიჰილისტები დღესაც არიან ჩვენში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახელმწიფოთა არსებობის ფორმები ბევრადაა განპირობებული მსოფლიოში მიმდინარე ზოგადსაკაცობრიო პროცესებით. საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვა მე-19 საუკუნის დასაწყისში ლოგიკური დასასრული იყო პროცესისა, რომელიც დაიწყო ცნობილი მოვლენებით, მათ შორის, საქართველოს მოწყვეტით ევროპისა და ქრისტიანული ცივილიზაციისაგან, რომლისთვისაც იგი აღმოსავლეთით წაწეული ფორფოსტისა და ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ხიდის როლს ასრულებდა. ამ თვალსაზრისით, დღევანდელი საქართველოს აღორძინება პირდაპირ უკავშირდება მისი ოდინდელი ფუნქციის, ანუ ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდის როლის აღორძინებას, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია ევრაზიის კონტინენტზე ცივი ომის დამთავრებით, გერმანიის გაერთიანებით, ჩვენი მეზობლების ჩაბმით საერთო-ევროპულ პროცესებში, საქართველოსა და მთლიანად კავკასიის როლის ზრდით, საბჭოთა კავშირის რღვევითა და ახალი რეალობების ჩამოყალიბებით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №161, 1997 წლის 13 ივლისი, გვ. 1-2).

49. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი და უმთავრესი ატრიბუტი – ეს არის ჯარი, შეიარაღებული ძალები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №149-150, 1996 წლის 25 ივლისი, გვ. 4).

50. დამოუკიდებლობისათვის ეროვნული და ადამიანური ღირსებისათვის

ბრძოლაში, რომელსაც მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე განუწყვეტლივ ეწეოდა ქართველი ერი, ხან ბერძენი კოლონიზატორებისა და რომის იმპერიის ლეგიონერების წინააღმდეგ, ხან მონღოლ და არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ და ბოლოს, შაჰის ირანისა და სულთნის თურქეთის წინააღმდეგ, ყალიბდებოდა და იწრთობოდა ხალხის თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთება. ამ სულისკვეთებამ გამოხატულება ჰპოვა თავისთავად კულტურაში, მრავალფეროვან ხალხურ ტრადიციებში, ძველთაძველ ფილოსოფიურ სკოლებში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომანტიკულ პოეზიაში, ასე დიდებულად რომ უმღერდა სიყვარულს, მეგობრობასა და ძმობას, სიკეთისა და ჰუმანიზმის მძლეთამძლეობის უშრეტი რწმენით რომ არის აღსავსე.* ("საქართველოს კომუნისტი", №9 1981, გვ. 10-11).

51. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყანას თავისი უნიკალური გეოპოლიტიკური მდებარეობით და ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ხალხთა, კულტურათა, რელიგიათა მშვიდობიანი თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით შეუძლია ბევრი რამ არგოს მშვიდობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №90, 1992 წლის 27 მაისი, გვ. 1-2).

52. დაუვიწყარია რუსეთის პროგრესული როლი კავკასიისა და მიმდებარე რეგიონების ხალხთა ბედ-იღბალში. აქ... დაისადგურა დიდი ხნის ნანატრმა მშვიდობამ. ჩვენ კანონიერად ვამაყობთ, რომ საქართველომ ღირსეული წვლილი შეიტანა ამ ისტორიულ პროცესში, რომ ქართველებმა პირნათლად შეასრულეს მეგობრობისა და ძმობის მისია, რომელიც მას ისტორიამ დააკისრა. ჩვენი ხალხი მუდამ მხარდამხარ იდგა დიდ რუსეთთან, როგორც მძიმე განსაცდელის, ისე სახელოვან გამარჯვებათა წლებში. (ე.ა. შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 122-123).

53. დეკლარაციული პატრიოტიზმი, რომელიც კითხვების დასმითა და ბრალდებების წამოყენებით ბაქიობს, — უნაყოფოა. პატრიოტიზმი თუ ჭეშმარიტია, მან უნდა იმოქმედოს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 213).

54. დემოკრატიას და მის ღირებულებას ვერ ჩადებ სტანდარტულ საექსპორტო კოლოფში, რომელსაც ახლავს სტერეოტიპული წარწერა: "ყველაფერი, რაც გამოგვადგება ჩვენ, გამოადგება დანარჩენ სამყაროსაც". აქ აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა მისი მთავარი პრინციპითურთ: სანამ შეუდგებოდე სწავლებასა და სწავლას — უნდა იცოდე, რომ შენი საწყაოთი არ აიწყვება ყოველივე ამ ქვეყანაზე. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს მიმართ, სადაც საუკუნეების მანძილზე

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ვოპროსი ფილოსოფიი", №6, 1981, გვ. 6 (შემდ).

თავგადასარჩენი ბრძოლის შედეგად ჩამოყალიბდა თავისუფლების იდეალი, რომელიც ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობის ტრადიციებს განასახიერებს. სადაც, ამავე დროს, თავდაჯერებული მასწავლებლის თითის ქნევა იწვევს ამ თითის ძირში წაცლის სურვილს. საუკუნეების მანძილზე გვიქნევდნენ თითს სამხრეთიდან თუ აღმოსავლეთიდან, ბოლოს – ჩრდილოეთიდან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №172-175, 1997 წლის 24 ივლისი, გვ.23).

55. ...დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის გზაზე მდგარი საქართველო ისტორიულად იყო, არის და დარჩება ტოლერანტობის, ეროვნულ-რელიგიური შემწყნარებლობის ქვეყნად, რომელსაც ვერც ისტორიული ძნელბედობა და ვერც პოლიტიკური უსამართლობა ვერ გააბოროტებს და ვერ შეაქმნევინებს ვერც ერთი ხალხისაგან, დიდი იქნება იგი თუ მცირე, მტრის ხატს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №240, 1997 წლის 25 სექტემბერი, გვ. 1).

56. ...დესტრუქციული ძალები ქვეყნის შიგნითაც არიან და ქვეყნის გარეთაც. ეს არც არის გასაკვირი. ქვეყნის გარეთ არიან ძალები, რომელთაც გარკვეული ინტერესები აქვთ რეგიონში, საქართველოში და ყველა ხერხითა და გზით ცდილობენ თავიანთი მიზნების განხორციელებას. ამიტომ საჭიროა ყველა ვიყოთ ძალიან ფხიზლად მობილიზებული, რათა საფრთხე არ შეექმნას ყველაზე დიდ კაპიტალს, რომელიც საქართველომ დააგროვა. ეს არის პოლიტიკური სტაბილურობა, ეროვნული, საერთო სახალხო კონსენსუსი ჩვენს საერთო მიზანთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობას, ეკონომიკის აღმავლობას, საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლას, ფინანსების გაჯანსაღებასა და ა. შ. ეს საკითხთა საკითხად მიმაჩნია... ("საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 2).

57. (დიდ სამამულო ომში საქართველოს მიერ გაღებული მსხვერპლი – შემდგ.)... – საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის მიერ გაღებული წმინდა მსხვერპლია – მომავალი თაობების ბედნიერებისათვის, თუნდაც, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის გაღებული მსხვერპლი. რომ არ ყოფილიყო ის დიდი გამარჯვება, არ იქნებოდა თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №106, 1997 წლის 10 მაისი, გვ. 2).

58. ...დიდი "აბრეშუმის გზის" აღორძინების ერთ-ერთი ინიციატორი საქართველო იყო. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა წამოაყენა ეს იდეა 1993 წელს ბრიუსელის შეხვედრაზე. მაშინ იქნებ მეტისმეტად ოპტიმისტურად და არარეალურადაც კი მოეჩვენა იგი ზოგიერთს, მაგრამ დღეს (სულ რაღაც ოთხი წლის შემდეგ) საერთაშორისო ურთიერთობა, ყოველ შემთხვევაში, ევრაზიაში, წარმოუდგენელიც კი ხდება ამ იდეის, ამ "საუკუნის პროექტების"

გარეშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №308, 1997 წლის 9 დეკემბერი, გვ. 2).

59. დიდი ადამიანები ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ მხოლოდ დიდ კითხვათა პასუხებს კი არ გვიტოვებენ შთამომავლობას, არამედ დიდ კითხვებსაც, რომლებზეც პასუხის გაცემა ჩვენი ვალია.

და უკვე ჩვენს პასუხებზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის ბედი.

შევძლოთ ეს — ამ კითხვებზე პასუხის გაცემა.

ვიყოთ ღირსეული შთამომავალნი ჩვენი დიდი წინაპრებისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №173, 1995 წლის 22 ნოემბერი, გვ. 1).

60. დიპლომატიური ბრძოლის, მანევრირების საუკუნოვან გამოცდილებას არაერთხელ უხსნია ქართველი ხალხი განსაცდელისაგან. საქართველოს ისტორიაში ბევრია მაგალითი, როცა მტრების ბანაკში გაჩენილ პატარა ბზარსაც ოსტატურად იყენებდნენ ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1983, გვ. 16).

61. დემოკრატიული საქართველო არა მარტო ქართველთა, ყველა ეროვნებისა და კონფესიის ადამიანთა, რესპუბლიკის ყველა მოქალაქის სამშობლოა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №95-96, 1994 წლის 26 მაისი, გვ. 2).

62. დიდი პრობლემაა საქართველო და ევრაზიის დერეფანი, დიდი აბრეშუმის გზა.

ევროპა-აზიის შემაერთებელ სატრანსპორტო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს "დიდ აბრეშუმის გზას", რომელიც სათავეს იღებს ჩინეთის აღმოსავლეთ ნავსადგურებიდან, ცენტრალური აზიის გავლით მიემართება ევროპისაკენ და 8000 კმ-ით ამცირებს სუეცის არხის გავლით საზღვაო მარშრუტებს. წარმოიდგინეთ, რამდენად მაღალია ეფექტიანობა! აქედან მოდის ევროპის, იაპონიისა და ჩინეთის განსაკუთრებული დაინტერესება აბრეშუმის გზის აღორძინებით...

მე გამოვედი ინიციატივით ახალი აბრეშუმის გზის სამიტის ჩატარების შესახებ.

ასეთივე ინიციატივა წამოაყენა ჰ. ალიევმა.

"დიდი აბრეშუმის გზას" დიდი პერსპექტივა აქვს...

... საქართველო ერთ-ერთ ცენტრალურ ქვეყნად არის აღიარებული აბრეშუმის გზის განვითარების თვალსაზრისით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 6).

63. დიდი ფილოსოფიაა ჩაქსოვილი ხალხურ ტრადიციებში. უძველესი ქართული და კავკასიური ტრადიციაა: მოსისხლე მტერი თუ მოვიდოდა შენს ჭერქვეშ და თავშესაფარს გთხოვდა, ის ხელუხლებელი იყო. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ამ პარადოქსში დიდი ფილოსოფიური და პოლიტიკური სიბრძნე იყო ჩაქსოვილი. ჭერისა და უსაფრთხოების

უფლება, სიცოცხლის უფლება მუდამ შეუვალი იყო კავკასიაში. ასეთი იყო მსოფლიოს ბევრი ხალხის ტრადიცია, ჩვევა და ადათი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №205, 1996 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

64. დიდია ცხრა აპრილის ისტორიული მნიშვნელობა. ეს დღე საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ გამოცხადდა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში ცხრა აპრილს ქართველმა ერმა ერთხმად და თამამად გამოხატა თავისი ნება—ნება თავისუფლებისა, ნება დამოუკიდებლობისა, ნება თავისთავადი განვითარებისა, რაც მთავარია, საქართველომ უმანკო, უდანაშაულო სისხლის ფასად სწორედ იმ ტრაგიკულ ღამეს ახალი ძალით შეიგრძნო ერთიანობისა და ერთსულოვნების ფასი და მნიშვნელობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №73, 1993 წლის 8 აპრილი, გვ. 1).

65. დღევანდელ საქართველოს ერისა და ბერის ერთობა სჭირდება... ... მთელი ხალხი, მორწმუნენიც და არამორწმუნენიც, რომლებსაც პატრიოტული სულისკვეთება ასაზრდოებთ და ამოძრავებთ, მხარში უნდა ამოუდგნენ საქართველოს საპატრიარქოს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, რომლის ავტორიტეტმა და ლოცვა-კურთხევამ, ღვთის მიერ შექმნილმა, უკვე ბევრი სიკეთე მოუტანა საქართველოს. ასე სჭირდება ქვეყანას, მის სიძლიერეს, გაერთიანებას და გამთლიანებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №201, 1997 წლის 19 აგვისტო, გვ. 2).

66. დღეს არავინ დაობს იმაზე, რომ საქართველო მძლავრი სატრანზიტო არტერია ხდება. თავისთავად ამის აღიარება ბევრს ნიშნავს არა მხოლოდ პირდაპირი შემოსავლების თვალსაზრისით. მას უკავშირდება ტურიზმის განვითარების პერსპექტივა, შესაბამისი ინფრასტრუქტურების შექმნა. თუ ამას დავუმატებთ ნავთობსადენების პესპექტივასაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოესი 2-3 წელი საქართველოსათვის ძალზე ინტენსიური საქმიანობის წლები იქნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 2).

67. ...დღეს საქართველო აღარ არის ის ქვეყანა, რომელიც გუშინ იყო... ხვალ კიდევ უფრო სტაბილური და კიდევ უფრო ძლიერი ქვეყანა იქნება. ამ პერსპექტივას ჩვენ ყველანი ვხედავთ. იგი არის სამშობლო სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა, რომლებიც კონსტიტუციურად და პრაქტიკულად თანასწორუფლებიანნი არიან და რომელთა შორის შუღლსა და მტრობას ვეღარავინ ჩამოაგდებს. მჯერა, რომ საერთო ენას იპოვიან ქართველები და აფხაზები, ქართველები და ოსები და საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო ყველა ხალხის, ყველა მოქალაქის, ყველა ეროვნების წარმომადგენელთა ინტერესების ჭეშმარიტი დამცველი იქნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №85, 1997 წლის 15 აპრილი, გვ. 2).

68. ... დღეს საქართველო სახელმწიფოა, ნამდვილად დამოუკიდებელი, დემოკრატიული და თავისუფალი. მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველო არჩეულ გზას არ გადაუხვევს. ეს არის გზა ევროპისაკენ, მსოფლიო თანამეგობრობისაკენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №31, 1997 წლის 8 თებერვალი, გვ. 3).

69. დღეს საქართველოსკენ მრავალი დიდი ქვეყნისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მზერაა მიპყრობილი. საიმედო პარტნიორის სახელის დამკვიდრებასთან ერთად ამას ჩემი სამშობლოს, როგორც კავკასიის ერთ-ერთი სახელმწიფოს, გეოპოლიტიკური მდგომარეობაც განაპირობებს. საქართველოში სულ უფრო და უფრო მეტად იყრის თავს ის სტიმულები, რომლებიც ეთნიკურად, რელიგიურად, ენობრივად ესოდენ ჭრელ, მაგრამ უნიკალურ კავკასიურ რეგიონს დაპირისპირებისა და სისხლისღვრის სტიქიიდან, მშვიდობიანი და სტაბილური კავკასიური ერთობის შექმნისაკენ წარმართავს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №233, 1997 წლის 17 სექტემბერი, გვ. 2).

70. ...ევროპა ჩვენი თავშესაფარია, ჩვენი თვითმყოფადობის, ჩვენი ენის შენარჩუნების ყველაზე საიმედო გარანტიაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 2).

71. ევროპასთან დაახლოება ქართველი მოღვაწეებისათვის არასდროს ყოფილა უბრალო ახირება. ისინი ნათლად აცნობიერებდენ იმ უცილობელ ჭეშმარიტებას, რომ ბოლო საუკუნეების მანძილზე სწორედ აქ ჩაისახა და ვითარდებოდა აზროვნების ის პარადიგმი, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობდა ადამიანთა მოდგმას განთავისუფლებულიყო მისივე ხელით შექმნილი ბორკილებისაგან და უკუეგდო საუკუნოვანი, დახავსული ქიმერები, რომლებმაც უთვალავი ადამიანის ბედნიერება და სიცოცხლე შეიწირეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №76, 1996 წლის 23 აპრილი, გვ. 1).

72. ევროპული ოჯახის წევრობა საქართველოს დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის საიმედო თავშესაფარია..., დამოუკიდებლობის, თავისუფლების, თავისთავადობის (მე ასე ვიტყოდი) და საკაცობრიოსთან შერწყმის საიმედო გარანტიაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 2).

73. ევროპული უშიშროებისა და თანამშრომლობის, თანაცხოვრების პრინციპებთან შეუთავსებელია ეთნოწმენდა. ეს კი აფხაზეთის რეალობაა, რაც აღიარებულია ეუთოს ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტებზე. ნურავის დაავიწყდება სოხუმშიც და თბილისშიც, რომ ჩვენ ევროპული სივრცის ნაწილი ვართ და ეს სივრცე დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა უპირობო აღიარების თვალსაზრისით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №9, 1998 წლის 13 იანვარი, გვ. 2).

74. ევროსაბჭოში და შემდეგ ევროკავშირში გაწევრიანება... ყველაზე საიმედო თავშესაფარი იქნება ჩვენი მომავალი თაობებისათვის, რადგანაც

ეს პროცესი შექმნის იმის გარანტიას, რომ საქართველო მომავალში მხოლოდ დამოუკიდებლობის განმტკიცების გზით ივლის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 4).

75. ერის გადარჩენაში უდიდესია ქართველ პოლიტიკოსთა, საქართველოს მეფეთა დამსახურება, რომელთაც თავიდანვე ჰქონდათ შემეცნებული უძველესი ჭეშმარიტება, რომ პოლიტიკა შესაძლებლის მაქსიმუმის კეთების ხელოვნებაა. ეს ფორმულა დღესაც აქტუალურია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №161, 1997 წლის 13 ივლისი, გვ.2).

76. ერის მომავალზე, მის გამრავლებაზე ზრუნვა ყოველი ახალგაზრდა ოჯახის ჭეშმარიტად მამულიშვილურ ვალად უნდა მივიჩნიოთ. ("კომუნისტი", №35, 1985 წლის 10 თებერვალი, გვ. 3).

77. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს კიდევ უფრო უნდა განუმტკიცდეთ იმის შეგრძნება, რომ საქართველო მათი სამშობლოა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო თანაბრად იცავს ყველა ადამიანის ინტერესებს, ეროვნული წარმოშობის მიუხედავად, აუცილებელია მათი ფართოდ მოზიდვა ქვეყნის მმართველობის საქმეში, ქვეყნის ბედზე უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღებისას მათი თანასწორუფლებიანი მონაწილეობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 2).

78. ეროვნული ერთიანობა საქართველოს ისტორიის, ჩვენი ცხოვრების ყველა ეტაპზე, ჭირშიც და ლხინშიც, ყველაზე უმთავრესი საზრუნავი იყო ყველა დროის ხელისუფლებისა და ყველა ეპოქის მოქალაქეთათვის. ასეა დღესაც და დარწმუნებული ვარ ასე იქნება მომავალშიც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №74, 1993 წლის 9 აპრილი, გვ. 1).

79. ეროვნული ნიჭი და ენერგია, პირველ რიგში, სამშობლოს უნდა მოხმარდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №209, 1996 წლის 17 ოქტომბერი, გვ. 3).

80. ეს თარიღი (26 მაისი — შემდგ.) არა მარტო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, არა მხოლოდ შავბნელ საუკუნეებში ნაწილ-ნაწილ დაგლეჯილი საქართველოს ტერიტორიულ გამთლიანებას, ერისა და სახელმწიფოს არა მხოლოდ ნომინალურ დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტის მოპოვებას, არამედ თვისებრივად ახალ ისტორიულ ეტაპზე ასვლას — საქართველოს რესპუბლიკის, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას აღნიშნავს.

ამიტომ ამ დღეს დიდი ისტორიული საზრისი, კონტექსტი და ქვეტექსტი აკავშირებს არა მარტო დღევანდელ, არამედ მომავალ საქართველოსთან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №120, 1997 წლის 27 მაისი, გვ. 3).

81. ... ეს ქვეყანა (საქართველო — შემდგ.) კავკასიის ყველაზე მგრძნობიარე ნერვი იყო და არის, რომლის გაწყვეტა კატასტროფულ შედეგებს უქადის მთელ კავკასია-შავი ზღვის რეგიონს. ("საქართველოს რესპუბლიკა",

№150, 1995 წლის 24 ოქტომბერი, გვ. 1).

82. ვამაყობ იმით, რომ ქართველები და ებრაელები 26 საუკუნეა ცხოვრობენ როგორც ძმები და მეგობრები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №265, 1993 წლის 17 დეკემბერი, გვ. 1).

83. ვამაყობ, რომ საქართველოში არის ასეთი კუთხე — მისი ერთიანობის ხერხემალი. თუ საქართველოს რომელიმე რეგიონს ქვეყნის, ერის, მისი სახელმწიფოებრიობის გადარჩენაში წვლილი მიუძღვის, ერთ-ერთი უპირველესი მათ შორის სწორედ სამეგრელოა. ჩვენ თვითონ რომ არ მიგვეყენებინა მისთვის დარტყმა, არც აფხაზეთი დაიკარგებოდა. ამიტომ ნურავინ წამოჰკრავს მას ადვილად ხელს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №45, 1998 წლის 24 თებერვალი, გვ. 3).

84. ვერ დავიჯერებ, რომ ეგრეთ წოდებული "ზვიადისტების" უმრავლესობას საქართველოს მტრობა ჰქონდეს ჩაფიქრებული. დავა და შეურიგებლობა იმ გზებზეა, რომლებითაც უნდა მივიდეთ ბედნიერ საქართველომდე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 3).

85. ვერავითარი დემოკრატია ვერ დამკვიდრდება პიროვნების გადამწყვეტი როლის გარეშე. გარდამავალ ეტაპზე დემოკრატია ლიდერთა სცენაა. ამიტომაც პირადი ფაქტორი ავტორიტარული ცნების გათვალისწინებით, ძალიან მნიშვნელოვანია. მე არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა შეუძლებელი იქნებოდა ულიდეროდ, რომელსაც აქვს გარკვეული რეპუტაცია და რომელსაც ხალხი ენდობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №152, 1997 წლის 3 ივლისი, გვ. 3).

86. ...ვერც ერთი თაობა ვერ იქნება ბედნიერი, თუკი არ ფიქრობს წინა თაობის კეთილდღეობაზე და დაფასებაზე, რადგანაც უფროსი თაობა მთელ ჩვენს წარსულთან, მთელ ჩვენს საგმირო საქმეებთან დამაკავშირებელი ხიდია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №106, 1997 წლის 10 მაისი, გვ. 2).

87. (ვინც აჭარის სეპარატიზმზე ზღაპრებს თხზავს — შემდგ.)... ისინი საცოდავი პოლიტოლოგები და საცოდავი პოლიტიკოსები არიან, და ისიც კი არ იციან, რომ აჭარაში ძირძველი ქართველობაა, დედასამშობლოზე თავდავიწყებამდე შეყვარებული ხალხი ცხოვრობს და მათი პროგნოზები მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №85, 1997 წლის 15 აპრილი, გვ. 2).

88. ვინც საქართველოს ისტორია იცის დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ხალხი ფიზიკურ და სულიერ განადგურებას დედამ გადაარჩინა, ქართვლის დედამ, "რომელიც მამულს უზრდიდა შვილსა"... მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა. ("დროშა", №1, 1982, გვ. 2).

89. ვისაც საქართველოს თავზე გადაუფრენია, შეამჩნევდა, რომ

ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მიუვალ მთებს შორის მოქცეული ბარი ორ ნაპირს შორის გამდინარე სრუტეს გავს. ამასწინათ, ჩემთან საუბარში ერთმა მსხვილმა ამერიკელმა ბიზნესმენმა ის გიბრალტარის სრუტესაც კი შეადარა. ჩანს, თვით ბუნებამ მიანიჭა საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია. ამით სარგებლობდნენ ძველი სოვდაგრები, რომლებიც მშვიდობიანობის დროს ამ ბუნებრივ დერეფანს შუა საუკუნეების აბრეშუმის გზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთად იყენებდნენ. („საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

90. ვფიქრობ, რომ პლანეტის ვერც ერთი მოქალაქე ვერ შეძლებს მშვიდად და აუღელვებლად ილაპარაკოს იერუსალიმის მიწაზე, მაგრამ, შესაძლოა, ქართველები განსაკუთრებული მგრძნობიარობით გამოვირჩევით... აქ იშვნენ კაცობრიობის დიდი მამები, საუკუნეთა მანძილზე აქეთკენ მოისწრაფოდნენ ჩემი წინაპრები, რომელთაგან მრავალმა საუკუნო სასუფეველი ჰპოვა, გენიალური რუსთაველის სული აქ მიიბარა უფალმა.

უნიკალურია ჩვენი ხალხების ურთიერთობის ეს ისტორია, მაგრამ მხოლოდ წარსულით ცხოვრება, რასაკვირველია, არ შეიძლება, მომავალზეც უნდა ვიფიქროთ. ჩვენ ვიმყოფებით იმ ეტაპზე, როცა შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩვენს ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის განსაკუთრებული ურთიერთობის დამყარებაზე. („საქართველოს რესპუბლიკა", №12, 1998 წლის 16 იანვარი, გვ. 2).

91. ვფიქრობ, უნდა ვიმოქმედოთ საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით ისე და იმგვარად, რომ არ უგულებელვყოთ თანამეგობრობის ქვეყნების წინაშე და საერთოდ, თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. და ჩვენ არც ერთ პუნქტში, არც ერთ მუხლში ამ ვალდებულებებს არ ვღალატობთ. („საქართველოს რესპუბლიკა", №56, 1997 წლის 11 მარტი, გვ. 2).

92. ...ვფიქრობ, 2000 წლისთვის საქართველო მეტად საინტერესო ქვეყანა იქნება თავისი შესაძლებლობებით. აღარაფერს ვამბობ იმის თაობაზე, რომ საქართველოს შეუძლია თავისი წვლილის შეტანა დიდი პოლიტიკის ფორმირებაში. („კავკასიონი", №203, 1995 წლის 17 ნოემბერი, გვ. 2).

93. ...თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე არაერთი ტრიუმფიც უზეიმია და მარცხიც განუცდია. ჩვენი დიდი პოლიტიკოსების გამოცდილება გვასწავლის, რომ განგების მიერ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო შფოთიან რეგიონში განლაგებული ჩვენი ქვეყანა მაშინ აღწევდა გამარჯვებებს, როცა მისი საგარეო პოლიტიკის უზენაესი მიზანი სახელმწიფოს უსაფრთხოება და მოქალაქეთა კეთილდღეობა იყო და, პირიქით, მარცხი თან გვდევდა, როცა ჩვენს მიერვე გამოგონილი ან თავს მოხვეული

ქიმერების ტყვეობაში აღმოჩნდებოდით ხოლმე. საქართველოს უახლესმა ისტორიამ სხვასთან ერთად ეს გაკვეთილიც ჩაგვიტარა. („საქართველოს რესპუბლიკა", №38, 1996 წლის 5 მარტი, გვ. 2).

94. თავისი ხალხის, თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი, ნამდვილი ხელმძღვანელი, ნამდვილი ლიდერი პირველი უნდა აღუდგეს წინ ტანკებს, შეიარაღებულ ძალას, რომელიც ქვეყნის სიცოცხლესა და თავისუფლებას ემუქრება. („საქართველოს რესპუბლიკა", №68, 1996 წლის 11 აპრილი, გვ. 1).

95. თაობა, რომელმაც შეგნებულად აირჩია დამოუკიდებლობის მოპოვების რთული და საპატიო გზა, საკუთარ თავზე მაღლა უნდა დადგეს... შეუძლებელი უნდა შევძლოთ — ეს ჩვენი ისტორიული ხვედრია. არავინ არ მოვა ჩვენი საქმის საკეთებლად, ვერაფრით ვერ გავექცევით რეალურ სინამდვილეს. („საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 3).

96. თბილისი ასამდე ეროვნების წარმომადგენელთა მეგობრობისა და ძმობის ქალაქია. აურაცხელ დამპყრობს მრავალგზის გადაუწვავს და გაუპარტახებია იგი. მაგრამ ლეგენდარული ფენიქსივით კვლავ აღმდგარა ფერფლიდან და ნანგრევებიდან. აგიზგიზებულ სანგარში კი ადამიანთა მარადიული ძმობა იწრთობოდა. (ე.ა. შევარდნაძე, „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 82).

97. თბილისი ოდითგანვე დიდი ინტერნაციონალური ტრადიციების ქალაქი იყო. ქალაქი, სადაც ერთმანეთს მჭიდროდ ჩაეწნა სხვადასხვა ეროვნების საზოგადო და ლიტერატურულ მოღვაწეთა ბედი. საქართველო ნათელ ფურცლად შევიდა ბევრი რუსი და უკრაინელი, სომეხი თუ აზერბაიჯანელი პოეტისა და მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, ზოგიერთი მათგანისათვის კი მეორე სამშობლოდ იქცა.* („კომუნისტი", №208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ. 2).

98. თბილისი, სრულიად საქართველოს დედაქალაქი, გარანტი ქვეყნის მთლიანობისა, საქართველოს ყოველი მოქალაქის მთავარი ქალაქია, მისიც, ვინც დღეს აღარ არის და მისიც, ვინც ხვალ დაიბადება ამ მშვენიერი ქვეყნის, საქართველოს შვილად. („თბილისი", №82, 1997 წლის 17 ივლისი, გვ. 1).

99. „თბილისის გული თბილია, მიტომ ეწოდა თბილისიო" — მღერის ქართველი ხალხი. ამ გულის სითბოს სიმბოლოა თასი ქართლის დედის ხელში. თბილისი მუდამ მედგრად ებრძოდა მტრებს. და იმ ბრძოლის სიმბოლოა ქართლის დედის ხელში მახვილი. ერი მტერს — მტრულად, მოყვარეს ძმურად ხვდებოდა. („საქართველოს კომუნისტი", №11,

* თარგმნილია ჟურნალიდან: „ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7 1979, გვ. 5(შემდგ.).

1983, გვ. 38).

100. (თბილისის — შემდგ.) ...სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საზოგადოებრივი აზრის საზომი საქართველოში.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №91, 1993 წლის 4 მაისი, გვ. 1).

101. (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — შემდგ.) ... საქართველოს სინდისს განასახიერებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №97, 1993 წლის 11 მაისი, გვ. 1).

102. (თბილისის სახელმწიფო — შემდგ.) ...უნივერსიტეტს ენიჭება უნიკალური როლი ერის ერთობაში, პოლიტიკურ სტაბილიზაციაში, ეკონომიკისა და განათლების აღმავლობაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №48, 1992 წლის 21 მარტი, გვ. 2).

103. ვერ გეტყვით, არის კი სადმე დედამიწაზე უფრო ლამაზი და სტუმართმოყვარე კუთხე, ვიდრე სამეგრელოა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №142-143, 1993 წლის 3 ივლისი, გვ. 1).

104. "თვალებახვეული" პატრიოტიზმი, რომელიც თავის გარშემო არ იყურება, უნაყოფოა.** ("ლიტერატურული საქართველო", №28, 1973 წლის 13 ივლისი, გვ. 2).

105. თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ საკუთარი ხალხის ისტორიას, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს და ასევე სათუთი ვიყოთ სხვა ხალხების მიმართ. ("სამშობლო", №1, 1983 წლის იანვარი, გვ. 3).

106. თითზე ჩამოსათვლელია შემთხვევები, როდესაც ისეთი ქვეყნები, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და, რა თქმა უნდა, რუსეთიც, — ერთობლივ ჯგუფს ქმნიდნენ რაიმე რეგიონული პრობლემის გადასაჭრელად: საქართველოსთან დაკავშირებით კი მათ შექმნეს ასეთი ორგანიზაცია, რაც (გადაუჭარბებლად ვიტყვი) ქართული დიპლომატიის, ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის უდავო წარმატებაა (და იგი შეიქმნა იმ წლებში, როცა საქართველოს წინააღმდეგ ძლიერი საინფორმაციო ომი მიმდინარეობდა). ახლა იგი უკვე ძალას იკრებს, ამისათვის დრო იყო საჭირო...

ან ბეცი უნდა იყო ან გულღრძო, რომ ეს ვერ დაინახო, ამ ცვლილებების მნიშვნელობა რომ ვერ შეაფასო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №296, 1997 წლის 25 ნოემბერი, გვ. 2).

107. თუ გვინდა, რუსეთმა ნეგატიური როლი არ შეასრულოს ჩვენს ცხოვრებაში, უნდა ვიფიქროთ მასთან ნორმალურ ურთიერთობაზე.

---

* დაახლოებით იგივე აზრი იხ.: "საქართველოს რესპუბლიკა", №97, 1993 წლის 11 მაისი, გვ. 1 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "სოვეტსკაია კულტურა", №54, 1973 წლის 6 ივლისი, გვ. 2 (შემდგ.).

(“საქართველოს რესპუბლიკა”, №162, 1993 წლის 27 ივლისი, გვ. 2).

108. თუ ერთად იქნება ერი და ბერი, თუ ერთად იქნება ხელისუფლება და ხალხი, საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი გაერთიანდება, ჩვენ დავიბრუნებთ აფხაზეთს, ჩვენ გავაერთიანებთ ჩვენ სამშობლოს და ოცდამეერთე საუკუნეში საქართველო შევა, როგორც ერთიანი, მთლიანი და ბედნიერი ქვეყანა. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №85, 1997 წლის 15 აპრილი, გვ. 1).

109. თუ მიწა სარეველებისაგან არ გამარგლე, თესლი აღმონაცენს ვერ მოგცემს, დაიჩაგრება. დროა, განვიწმინდოთ. ყოველივე იქიდან, რაც საქართველომ ამ ბოლო ხუთი-ექვსი საშინელი წლის მანძილზე გადაიტანა, იგი განწმენდილი გამოვა, მაგრამ კათარზისი შესაძლებელია მხოლოდ ზნეობის ყველა წესის დაცვის პირობებში. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №139, 1995 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 1).

110. თუ საქართველო XXI საუკუნეში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო არტერიად გადაიქცევა ევრაზიისათვის, უახლესი საკომუნიკაციო ქსელით მისი უზრუნველყოფა უკვე გლობალური დაინტერესების საგანი გახდება. მოგეხსენებათ, მომავალ საუკუნეს ინფორმაციის საუკუნე უწოდეს და, დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ საქართველო არ ჩამორჩება პროცესს და თავადაც აჰყვება ამ გრანდიოზულ ტალღას სხვა ცივილიზებულ, განვითარებულ ქვეყნებთან ერთად. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №249, 1997 წლის 7 ოქტომბერი, გვ. 2).

111. თუ საქართველოს არ ექნება მრავალპროფილიანი დიდი პოლიტიკა, იგი ვერ იარსებებს. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №33, 1993 წლის 18 თებერვალი, გვ. 1).

112. თუ ჩვენ გვინდა ვიყოთ ცივილიზებული მსოფლიოს ნაწილი, ანგარიშს უნდა ვუწევდეთ იმას, თუ როგორ აღიქმება ჩვენი საქმენი და სიტყვანი. (“კომუნისტი”, №245, 1989 წლის 25 ოქტომბერი, გვ. 1).

113. თურქმენეთი (ისევე, როგორც საქართველო) მზარდი ქვეყანაა. საბედნიეროდ, მან თავიდან აიცილა ნგრევა, სამოქალაქო ომი, ძმათა კვლა, და არავის მისცა საშუალება მის ტერიტორიაზე აემოქმედებინა “მართვადი ქაოსის” დოქტრინა. ამდენად, სერიოზული კატაკლიზმების გარეშე გადის გარდამავალ პერიოდს ეს ქვეყანა, რაც საშუალებას აძლევს სრულად გამოიყენოს ბუნებრივი სიმდიდრე, ეკონომიკური პოტენციალი. ძნელი მისახვედრი არ არის, ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური და დემოკრატიული პოტენციალის გათვალისწინებით, რამდენად მეტს მივაღწევდით, ასევე გონივრულად რომ გვემოქმედა თავის დროზე, — ეს არაერთგზის მითქვამს, მაგრამ კვლავაც ვიმეორებ, რათა არასოდეს

დავივიწყოთ მწარე გაკვეთილი — საკუთარ შეცდომებზეც ვისწავლოთ და სხვის წარმატებებზეც. ამაში სათაკილო არაფერია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №308, 1997 წლის 9 დეკემბერი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

114. თუ ხარ, უნდა იბრძოლო — ახალი სახელმწიფოს მშენებლობა მსხვერპლს მოითხოვს. შეიძლება შეეწირო კიდეც, მაგრამ უნდა იბრძოლო იმისათვის, რომ ქვეყანა აშენდეს და ხალხის ინტერესები დაიცვა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი. გვ. 3).

115. თქმულა, ყველა გზა რომში მიდისო. და რომის ყველა გზა მიდის პალატინის მარადიული ქალაქის სათავისა და დასაბამისკენ.

დიდი ფილოსოფოსის სიტყვები რომ ვიხმაროთ, რომმა ლაციოს მოსახლეობა შეაკავშირა ერთიან სოციალურ სხეულად, რის შემდეგაც დაიწყო ერთიანი იტალიის სამყაროს შენება. და თუ ნებას მომცემთ, რაიმე დავსძინო ამ სიტყვებს, მაშინ ვიტყვი: მიუხედავად ექსპანსიისა თუ შემოერთებისა, რომი რაზმავდა ყველას, ვინც მის გზას ირჩევდა.

ისინი ჩემს სამშობლოსაც გადმოსწვდნენ. რომაელთა ნაკვალევი დატოვეს ქართულ მიწა-წყალზე პომპეუსის ლეგიონერებმა და ადრიანესა და ანტინოეს, ავგუსტოსის და დომიციანეს რელიეფურმა სახეებმა. ჩემმა სამშობლომაც — საქართველომ, ანტიკურ ხანაში — იბერიამ და კოლხეთმა — ასევე დააჩინა თავისი კვალი ძველი რომის გზებს. ამ თვალსაზრისით სწორი იქნებოდა გვეთქვა, საქართველოს გზებს ისიც რომში მიჰყავდა.

იბერთა მეფემ ფარსმანმა გააოცა იმპერატორი ადრიანე ოქრომკერდით გაწყობილი ფარჩა-ატლასითა და მხედრული ხელოვნებით, რისთვისაც ღირსჰყვეს მარსის ველზე ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკების დადგმით და კაპიტოლიუმში ღმერთებისათვის ზვარაკის შეწირვის უფლებით.

ჩვენმა დიდმა თანამემამულემ სულხან-საბამ, რომელიც ევროპაში საქართველოს მეოხებას დაეძებდა, 1711 წლის 29 ივნისს შემოდგა ფეხი რომში და იმავ დღეს მიაგო პატივი ძუ მგელს, რომულსა და რომულუსს რომ აწოვებს ძუძუს...

პოლიტიკოსისა და დიპლომატის გზამ მეც რომს მომიყვანა. არასდროს დამავიწყდება 1991 წლის 15 მარტი, როდესაც... რომში, იტალიის პარლამენტის ჯგუფების დარბაზში პრეზენტაცია გაუმართეს ჩემს წიგნს — "ხელისუფლების კრიზისი და საერთაშორისო დიპლომატია".

მე მაშინ ვთქვი: ბედნიერი ვარ, რომ იგი გამოიცა ქალაქში, სადაც მრავალი საუკუნის წინათ პირველად აიწყო ჩვენი პირველნაბეჭდი წიგნი ("ქართული გრამატიკა" — შემდგ.). ("საქართველოს რესპუბლიკა", №114, 1997 წლის 20 მაისი, გვ. 2).

116. (იმედი, რომელიც – შემდგ.) ...მასულდგმულებს: ეს არის ჩემი ხალხის სიბრძნე, მისთვის დამახასიათებელი თავგადარჩენის ინსტინქტი. ამ ორი ფაქტორის ერთობლიობა მაბედვინებს მე... ოპტიმისტად ვიყო.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №59, 1992 წლის 11 აპრილი, გვ. 2).

117. იმის უფლებას, რასაც ცეცხლთან თამაში და ერებსა და ხალხებს შორის ღვარძლის გაღვივება ჰქვია, არავის მივცემთ. ჯერ სამშობლოზე იფიქრეთ და მერე იმაზე, ამბიციები როგორ დაიკმაყოფილოთ. შეიძლება მთლად სამართლიანი არ ვარ, მაგრამ ძალიან მაშფოთებს ეს ამბავი. ჩვენ ყველამ ერთიანი, მთლიანი და განუყოფელი საქართველო უნდა ავაშენოთ, და ნურავინ შეგვიშლის ამაში ხელს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 2).

118. ინტერნაციონალიზმი ერის სულიერი ცხოვრების უმაღლესი ფორმაა.** ("კომუნისტი", №253, 1983 წლის 1 ნოემბერი, გვ.2).

119. ინტერნაციონალიზმი ვითარდება და მკვიდრდება მხოლოდ ხალხთა სრული ორმხრივი ნდობის პირობებში. (ე. ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 104).

120. ინტერნაციონალიზმი უეროვნო მოვლენა როდია. სწორედ ამიტომ არავითარი წინააღმდეგობა არ არის ამა თუ იმ ხალხის ჭეშმარიტ ეროვნულსა და ინტერნაციონალურ ინტერესებს შორის. (ე.ა. შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1983, გვ. 147).

121. ინტერნაციონალიზმი ჩვენი კრედო, ჩვენი დროშა, ჩვენი ცხოვრების წესია და ამასთანავე ჩვენ პატრიოტები ვართ. აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის, ვინაიდან პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი განუყრელია საზოგადოებაში, სადაც თითოეულის კეთილდღეობა საყოველთაო კეთილდღეობად იქცევა. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 76).

122. ინტერნაციონალიზმი, ხალხთა მეგობრობა და ძმობა მთელი ჩვენი ისტორიის, ჩვენი კულტურის ლაიტმოტივია. ("კომუნისტი", №125, 1980 წლის 31 მაისი, გვ. 2).

123. ირანი ჩვენი ძირძველი მეზობელია. ქართველთა ეთნოგენეზის მთელი პერიოდის მანძილზე ირანის ფაქტორი ყოველთვის თამაშობდა გარკვეულ როლს. ეს ურთიერთობები პრეისტორიული ეპოქიდან იღებს სათავეს. ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენს შორის ყველაფერი ყოფილა: მეგობრობაც, მჭიდრო კულტურული ურთიერთობებიც, თანამშრომლობაც

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №82, 1992 წლის 7 აპრილი, გვ. 3 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა", №302, 1983 წლის 29 ოქტომბერი, გვ. 2 (შემდგ.).

და მტრობა-ქიშპიც, ისე, როგორც ყველგან, მეზობლებს შორის ბოლო სამი ათასწლეულის მანძილზე. იყო მარტყოფიც, იყო მარაბდაც, იყო თამარი... ეს ყველაფერი იყო. დღეს ახალი ერა იწყება ამ ურთიერთობებში. ("სოფლის ცხოვრება", №23-24, 1993 წლის 27 მარტი, გვ. 2).

124. ის, რაც ცუდია პატარა საქართველოსათვის — კარგი არ უნდა იყოს დიდი რუსეთისათვის. ის, რაც ცუდია რუსეთისათვის — ასევე ცუდია საქართველოსთვისაც. ასე იყო ეს ისტორიულად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №52, 1995 წლის 11 მაისი, გვ. 2).

125. ის საზოგადოება, რომლის აშენებასაც ვესწრაფვით, პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა შერწყმას, მათს თავისუფალ ნებას ეფუძნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №268, 1997 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

126. ისეთ ქვეყანას, როგორც საქართველოა, რელიგიური თანაარსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება აქვს. ამ პატარა ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა სულ რაღაც 5 მილიონს შეადგენს, საუკუნეების განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ მართლმადიდებლები, მუსულმანები, გრიგორიანელები, კათოლიკეები; 26 საუკუნეა ქართველები და ებრაელები ერთად ცხოვრობენ და არასოდეს ყოფილა მათ შორის კონფლიქტი რელიგიურ ან სხვა ნიადაგზე. ზუსტად იმან, რომ ჩვენ ისლამისა და ქრისტიანობის გასაყარზე ვართ, ისტორიამ დაგვიგროვა გამოცდილება, რის საფუძველზეც შემიძლია ვთქვა, ქართველი ყველა რელიგიის ხალხთან მშვიდობიანად იცხოვრებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №4, 1994 წლის 6 იანვარი, გვ. 2).

127. ... ისეთი ქვეყნის ურმის თვალზე გაკვრა და გლეჯა, როგორიც საქართველოა, ნიშნავს ცოცხლად დაკეპო ხალხის, თაობების, ოჯახის ცხოვრება, თანამედროვეობა და ისტორია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №170, 1992 წლის 4 სექტემბერი, გვ. 2).

128. ისტორია თითქმის არასოდეს არ გვიყურებდა მოწყალე თვალით, არ გვანებივრებდა.* ("საქართველოს კომუნისტი", №9, 1981, გვ. 11).

129. ისტორია ქართველი ხალხის, ისე როგორც სხვა ხალხების წინაშე, აყენებდა მსოფლიო ცივილიზაციის, მეცნიერებისა და ხელოვნების მონაპოვართა დაუფლების ამოცანას, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ერის ყოფნა-არყოფნისათვის. ამ სულიერი საგანძურისაკენ გზის გავლა, როგორც ჩვენი შორსმჭვრეტელი წინაპრები ვარაუდობდნენ, შეიძლებოდა მხოლოდ დიდი რუსეთის დახმარებით. სხვაგვარ არჩევანს ერი შუასაუკუნეობრივი სიბნელის, ჩამორჩენილობის, ფიზიკური და სულიერი გადაშენებისაკენ მიჰყავდა. (ე.ა.შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 122).

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ვოპროსი ფილოსოფიი", №6, 1981, გვ. 6 (შემდ.).

130. ისტორიულ პირთა ნაღვაწის შეფასებისას, უნდა გამოვრიცხოთ პრობლემებისადმი ხელაღებით მიდგომა და სუბიექტივიზმი. (“საქართველოს კომუნისტი”, №11, 1983, გვ. 17).

ეროვნული ბიბლიოთეკა

131. ...ისტორიული და პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ გრანდიოზულ ქვეყანასთან, ჩინეთის უკიდეგანო ცივილიზაციასთან საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივა მართლაც რომ უსაზღვროა. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №209, 1997 წლის 26 აგვისტო, გვ. 2).

132. ისტორიული პირობების გამო საქართველოში ოდითგან ცხოვრობდნენ და შრომობდნენ მრავალი ეროვნების წარმომადგენლები. ისტორიულმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მეფის თვითმპყრობელობა ობიექტურადაც და სუბიექტურადაც უწყობდა ხელს მათს გათიშვას, აგდებდა შუღლს, უნდობლობას, განხეთქილებას მათ შორის. (ე.ა. შევარდნაძე, “საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი”, თბილისი, გამ-ბა “საბჭოთა საქართველო”, 1981, გვ. 69).

133. იტალიაც და საქართველოც სამხრეთევროპული, ხმელთაშუა ზღვის კულტურის ქვეყნებია და შესაბამისად, ჩვენს ხალხებს ანტიკური ეპოქიდან დღემდე ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. საერთო კულტურული ღირებულებები, მსგავსი ტემპერამენტი, ცხოვრების წესი, ტრადიციები, სოციალური ინსტიტუტები და სულიერი სიახლოვე კარგ საფუძველს ქმნიან ჩვენი ურთიერთობების განმტკიცებისა და გაღრმავებისათვის, იმისათვის, რომ ეს ურთიერთობები იდეალური იყოს. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №113, 1997 წლის 18 მაისი, გვ. 3).

134. იქნებ ვცდები, მაგრამ დღესაც მინდა მთელი გაბედულებით ვთქვა: მართალი ვიყავი, როცა 1992 წელს, სამოქალაქო ომის დროს, შეწყალების მანიფესტი გამოვაქვეყნე რესპუბლიკის მოედანზე. შესაძლოა, იმ ომის მონაწილეებს ბევრად არ წაადგათ, ჭკუა ვერ ისწავლეს, მაგრამ მათ ზურგს უკან ათეულ ათასები და ასეულ ათასები იდგნენ. სწორედ მათზე იმუშავა მანიფესტმა. ეს იყო ჩემი პირველი ნაბიჯები შერიგებისაკენ.

... ხშირად მეკითხებიან, — “სად არის ეს შერიგება?” შერიგება პროცესია. ის არც ერთ დღეში მოხდება, არც ერთ თვეში და, შესაძლოა, წლებიც დასჭირდეს. მაგრამ ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის, მე სუფთა სინდისით გავუწოდე ყველას ხელი: “გადავდოთ პიროვნული გვერდზე, პოლიტიკური ბრძოლა — პოლიტიკურ ბრძოლად, პლურალიზმი — პლურალიზმად, მაგრამ როცა ქვეყნის ინტერესების საკითხი წყდება, ჩვენ ყველა ერთად უნდა ვიყოთ, როგორც ერთი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები, მიუხედავად ეროვნების და სარწმუნოებისა”. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

135. კავკასიელ ხალხებთან ჩვენი ურთიერთობა არც ერთი ქვეყნის წინააღმდეგ არ არის და არც შეიძლება იყოს მიმართული. („საქართველოს რესპუბლიკა", №187, 1997 წლის 5 აგვისტო, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

136. კავკასიის და კერძოდ, საქართველოს გავლით სატრანზიტო დერეფნის, აზიისა და ევროპის ოთხივე მიმართულებით დამაკავშირებელი პროექტის განხორციელებაში პარტნიორული თანამშრომლობისათვის კარი ნებისმიერი ქვეყნის, ნებისმიერი სტრუქტურისთვის ღიაა. („საქართველოს რესპუბლიკა", №56, 1997 წლის 11 მარტი, გვ. 2).

137. კავკასიის თემა საერთოდ, უაღრესად აქტუალურია ევროპისათვის, აქტუალურია მთელი მსოფლიოსათვის, და, რა თქმა უნდა, ჩვენი რეგიონისათვისაც, განსაკუთრებით და, უწინარესად, საარსებო მნიშვნელობისა თვით კავკასიელებისათვის. ჩვენ დღეს კავკასიის ყველა ხალხთან გვაქვს აქტიური დიალოგი, ხოლო სახელმწიფოებთან (მხედველობაში მყავს ჩვენი უახლოესი მეზობლები — აზერბაიჯანი და სომხეთი) — განსაკუთრებული ურთიერთობა, ისევე როგორც რუსეთთან გვაკავშირებს განსაკუთრებული ურთიერთობა. („საქართველოს რესპუბლიკა", №126, 1997 წლის 3 ივნისი, გვ. 2).

138. კარგია, როცა ჩვენ (ქართველებს და სომხებს — შემდგ.) გვახსოვს წარსულის გაკვეთილები, რომლებიც გვკარნახობს — როცა ერთად ვართ, ვიმარჯვებთ. თუ ჩვენ რამე შეგვეშლება და აგვერევა, ვნება ადგება ქართველ ხალხსაც და სომეხ ხალხსაც.

დარწმუნებული ვარ, იგივე შეიძლება ვთქვათ კავკასიის ყველა ხალხის მიმართაც.

დადგება დრო, როდესაც მრავალტანჯული კავკასიის მიწაზე მშვიდობა დაისადგურებს. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი ხალხების მეგობრობა და განსაკუთრებული ურთიერთობა მთელ კავკასიაში მშვიდობის დამყარებისა და მისი აყვავების გადამწყვეტი ფაქტორი გახდება. („საქართველოს რესპუბლიკა", №104, 1997 წლის 8 მაისი, გვ. 2).

139. ... კაცთმოყვარეობა საქართველოსა და კავკასიაში მუდამ იდგა კონფლიქტებსა და სიკვდილზე მაღლა. ეს კი ფილოსოფიურ ღირებულებათა იერარქიაა ხალხურ დონეზე გააზრებული. ასეთი ღრმა იყო მუდამ ქართული ჰუმანიზმი, კავკასიური ჰუმანიზმი, რომელიც ათასწლეულების მანძილზე აქრობდა კონფლიქტებს კავკასიაში და რომლითაც მყარდებოდა მშვიდობა და თავისუფლება კავკასიის ერებს შორის. („საქართველოს რესპუბლიკა", №205, 1996 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 3).

140. კახეთი ჩვენი სიამაყეა. ეს დემაგოგია და პოპულიზმი როდია, როცა ვამბობ, რომ კახეთი საქართველოს ძლიერების ბურჯია. მინდა, რომ კახეთმა შეინარჩუნოს მისთვის ისტორიულად დამახასიათებელი კოლორიტი, საოცარი შრომისმოყვარეობა, გამტანობა და სიმდიდრე.

("საქართველოს რესპუბლიკა", №50, 1995 წლის 4 მაისი, გვ. 2).

141. კახელი მევენახეები და თუში მეცხვარეები დღემდე არ იცილებენ შავი ნაბდის ქუდებს. მათ რომ ვუყურებ, ყოველთვის წამომაგონდება ხოლმე: ეს ოდესღაც უბრალო ქუდი კი არ იყო, არამედ მუზარადის ქვეშ ამოსაფენი: მხვნელ-მთესველი თუ მწყემსი ნებისმიერ წუთს მზად იყო სამუშაო სამოსელზე საომარი აღჭურვილობა მოერგო. მას მეომრის ჩაჩქანი მუდამ ხელთ ჰქონდა — ასეთი იყო ჩვენი სინამდვილე. (ე შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 33.).

142. კიდევ და კიდევ მივმართავ ჩემს თანამემამულეებს: ჩვენ ავირჩიეთ კურსი, რომელსაც არ გადავუხვევთ. ეს არის დემოკრატიის, ეს არის შერიგების, ეს არის ეროვნული, სახელმწიფოებრივი თანხმობის კურსი და ყველა ჩვენგანის აზროვნებასა და გონებაში უნდა ჩაიჭედოს — საქართველო ერთიანი იქნება, თუ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები და სხვები, ვინც ამ მიწაზე ცხოვრობს, იქნებიან ერთიანი შემადგენელი ნაწილი ერთიანი საქართველოსი. მაშინ ჩვენ გაცილებით იოლად დავიბრუნებთ აფხაზეთს. მთელი საქართველოს გასაგებად ვამბობ: ჩვენ შევრიგდებით, მიუხედავად დაღვრილი სისხლისა და უბედურებისა. ამ ორ ხალხს სხვა გზა არა აქვს — ერთად უნდა იცხოვროს. შევრიგდებით ქართველები და ოსები. ცოტა ჩვენც უნდა დავთმოთ, ცოტა — მათ და ეს ტკივილები მოვიშუშოთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

143. ...კონსტიტუციური დებულებაა, რომ ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. მაგრამ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და ქართველი ხალხის ინტერესები არასოდეს ყოფილა გაყოფილი. საქართველო, ასე ვიტყოდი, აწამეს ქრისტიანობისათვის და ქრისტიანობამ საქართველო გადაარჩინა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №114, 1997 წლის 20 მაისი, გვ. 2).

144. კორუფციის დაძლევა ერთ-ერთი უდიდესი რეზერვია. მიმაჩნია, რომ ეს მთავარი თემაა არა იმიტომ, რომ საქართველო ყველაზე უფრო კორუმპირებული ქვეყანაა, არამედ იმიტომ, რომ ეს არის დიდი საფრთხე. საქართველო აღიარებულია როგორც დემოკრატიული განვითარების გზაზე მდგომი, რეფორმატორული ქვეყანა. ამის გამო გვეხმარებიან, მხარს გვიჭერენ არა მარტო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, ევროკავშირი და სხვები, არამედ ცალკეული სახელმწიფოებიც... თუ ქვეყანას კორუმპირებულის სახელი დაუმკვიდრდა, ვერც ერთ დოლარს ვეღარ მივიღებთ, ყველა ზურგს შემოგვაქცევს. რუსეთისათვის ზურგის შექცევა ძნელია, რადგან მისი არასტაბილურობა ევროპისა და აზიის არასტაბილურობას ნიშნავს. საქართველოს კი იოლად შეაქცევენ ზურგს...

("საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 2).

145. კულტურა ვაზიდან აღმოცენდა. მისგან მომდინარეობდა ჩუქურთმის მოტივები, ასოთა მოხაზულობა და, რაც მთავარია, ვაზი ქმნიდა დოვლათს – ხალხის თვითმყოფობის მატერიალურ საფუძველს. ურჯულო მოძალადეები პირველ რიგში ვაზს უტევდნენ. ამიტომაა, რომ ქართველი ვაზს ისე ელოლიავება, როგორც ღვიძლ შვილს.

ამასთან დაკავშირებით, არ შემიძლია ახლო წარსულისკენ არ მივიხედო. 1985 წელს, როცა მივიღე ცნობა, რომ "ანტიალკოჰოლური" კანონები მზადდებოდა, შევძრწუნდი. გარდაქმნა იწყებოდა შეცდომით, სავალალო შეცდომით, ყოველ შემთხვევაში ჩვენი რესპუბლიკის დამაქცევარი შეცდომით. მორიგ "ბოროტებასთან" მორიგი "ბრძოლის" დირექტივა გარდუვალ ზარალს უქადდა სამრეწველო მევენახეობას – ჩვენი ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ საფუძველს. ამ ზარალის პროგნოზირება და დაანგარიშება შეიძლებოდა, მაგრამ არავითარ ძალას არ შეეძლო ამ ზიანის გათვლა და პროგნოზირება, რომელსაც მბრძანებლური სისტემა უმზადებდა ჩვენთვის, ყველასთვის, საფიცარ ცნებებს.

უნდა ვაღიარო: ამის თავიდან ასაცილებლად მე არაფერი არ გამიკეთებია. მხოლოდ შევეცადე, გამომეძებნა საშუალებები ჩვენს მევენახეობასა და მეღვინეობაზე დარტყმის ძალის შესასუსტებლად.

პირდაპირ უნდა ვთქვა: მე ადრეც ხმას ვაძლევდი ამგვარ გადაწყვეტილებებს, თუმცა მათ შინაგანად არ ვეთანხმებოდი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 33-34).

146. მამათი სოფელია გურიაში, გურია კი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხეა. ეს კუთხეები ეთნოგრაფიულად, დიალექტებით, ბუნებრივი და კლიმატური პირობებით საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ისტორიული ბედისა და მისწრაფებების თვალსაზრისით, ეს მაინც მწყობრი და ერთიანი მრავალხმიანობაა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მელოდიით შეკრული.

საკმარისია საქართველოს რუკისთვის თვალის ერთი შევლებაც კი, რომ ეს გასაგები გახდეს. ჩემი ქვეყანა მდებარეობს ევროპისა და აზიის მიჯნაზე. ხალხთა და ცივილიზაციათა ძვრების უმნიშვნელოვანეს და უძველეს გზაჯვარედინზე. იქ, სადაც თავს იყრიდნენ და ერთმანეთში ცილობა ჰქონდათ კულტურებს, სარწმუნოებებს, ამა ქვეყნის ძლიერთა სტრატეგიულ ინტერესებს. ამან საქართველოს განუმზადა შესაშური, დიდებული, მაგრამ, ამასთანავე, მოწამებრივი ხვედრი. სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის მიღებამ (IV ს.) წინასწარვე განსაზღვრა ეროვნული თვითმყოფობის, მისი მთავარი ბურჯების – ენის, დამწერლობის,

სარწმუნოების — შენარჩუნებისთვის ბრძოლის არჩევანიც. ქვეყანას უწევდა ბრძოლა ძლიერ მეზობლებთან, რომლებიც ესწრაფოდნენ საქართველოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი არეალის დაუფლებას. ამიტომ ცდილობდნენ აქ უცხო სარწუნოების დამკვიდრებას, ქვეყნის ძალდატანებით ასიმილირებას, მისი კულტურისა და მეურნეობის წესის მოსპობას. საქართველოს მოწამებრივი გზა აისახა ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ძეგლში — "წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი", ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, რომელშიც გაცხადებულია, რომ სარწმუნოებისთვის ტანჯვა-წამებამ ვერ გატეხა სულიერი თავისუფლების მაძიებელი ადამიანი. ნაწარმოები დაიწერა V საუკუნეში, მაგრამ გაცილებით ადრეა შექმნილი ქართული დამწერლობა — ორიგინალური, ყოველგვარ ნასესხობათა და გავლენათაგან თავისუფლი ანბანი. თანაც, ასე ახლოს იყო ანტიკური და ელინური სამყარო, რომელთანაც საქართველოს აქტიური სამეურნეო და კულტურული კავშირი ჰქონდა. მითი კოლხურ ოქროს საწმისზე სულაც არ არის მითი იმ აზრით, რა აზრსაც აქსოვდნენ ლამაზი და ბარაქიანი მიწის ძახილის გამომხატველ ამ სიუჟეტში. კოლხეთში დაცული იდუმალი სიბრძნისკენ ელინთა სწრაფვასაც გვიმხელდა იგი. ღირდა დავა, ცილობა წმინდა ვერძის საწმისისათვის, რომელიც აჰრელებული იყო მაგიური წარწერებით. და დავობდნენ, ცილობდნენ; ერთნი "არგოს" აღჭურავდნენ სამოგზაუროდ, სხვები დამპყრობელთა ურდოებს — საიერიშოდ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 32-33).

147. მაღალი კულტურით უნდა მიიპყროს ქართველმა ხალხმა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება. კულტურის ავტორიტეტით იმკვიდრებს საქართველო ღირსეულ ადგილს ცივილიზებულ სამყაროში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №118-119, 1992 წლის 1 ივლისი, გვ. 1).

148. მე არ ვიცნობ სხვა დედაქალაქს, სადაც ძეგლი ედგას დედაენას. თბილისში ქართულ ენას ძეგლი უდგას. მაგრამ ეს მემორიალი კი არ არის, სიმბოლოა. და კიდევ, მოწოდებაა: გიყვარდეთ დედაენა, მოუფრთხილდით მას, დაიცავით, განავითარეთ, გააუმჯობესეთ მისი შესწავლა და სწავლება! ამისთვის საგანგებო საკანონმდებლო აქტები მივიღეთ, შემოვიღეთ საერთო-რესპუბლიკური პროგრამა. მაგრამ ამასთან ერთად დაისვა რესპუბლიკის სხვა ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების მშობლიურ ენათა შესწავლის და სწავლების გაუმჯობესების საკითხიც. ასე მაგალითად, პონტოელი ბერძნების კომპაქტური დასახლების რაიონებში შემოვიღეთ ახალბერძნული ენის სწავლება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 72).

149. მე არაერთგზის მითქვამს და დღესაც ვიმეორებ — „სამეგრელო საქართველოს ხერხემალია". ჩვენი სამშობლოს მთლიანობის აღდგენა და მისი განმტკიცება, დემოკრატიული აღმშენებლობა და ქვეყანაში ახალი სამოქალაქო წესრიგის დამკვიდრება დიდად არის დამოკიდებული სამეგრელოს და მისი შვილების პოტენციისა და შინაგანი ენერგიის სრულ ამოქმედებაზე. („ლიტერატურული საქართველო", №49, 1997 წლის 5-12 დეკემბერი, გვ. 1).

150. მე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ მწამს ჩემი სამშობლოს ბედნიერი მომავლისა. სხვაგვარად არც ჩავუდგებოდი სათავეში საქართველოს ხელისუფლებას. („საქართველოს რესპუბლიკა", №256, 1993 წლის 3 დეკემბერი, გვ. 2).

151. მე არაერთხელ განმიცხადებია, რომ საქართველოს უფლება აქვს მიიღოს შავი ზღვის ფლოტის თავისი წილი... თანაც მე პირდაპირ მინდა ვთქვა, რომ საქართველო არ მოითხოვს რაღაც ისეთ წილს (ჩვენ ამის შენახვაც კი გაგვიჭირდება), მაგრამ სიმბოლური მონაწილეობა, სიმბოლური წილი საქართველომ აუცილებლად უნდა მიიღოს. („საქართველოს რესპუბლიკა", №56, 1997 წლის 11 მარტი, გვ. 2).

152. მე არაერთხელ მითქვამს, რომ სამშობლოში დავბრუნდი მთელი ჩემი განვლილი გზით, დამსახურებებითა და შეცდომებით, მთელი ჩემი ტვირთითა და პოლიტიკური კაპიტალით. ყველაფერი, რაც გამაჩნია, რასაც შევქმნი და რასაც დავწერ, საქართველოს კუთვნილებაა. დავბრუნდი იმისათვის, რომ აღარასოდეს დავტოვო ჩემი ქვეყანა, მოვახმარო მას დარჩენილი ძალები, ცოდნა, გამოცდილება, სახელი და აღიარება ჩემი (თუკი ასეთი ფენომენი არსებობს მსოფლიოში). (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 6).

153. ...მე ბედნიერი ვარ, რადგან ვიცი ვაკეთებ იმას, რაც ჩემს ხალხს სჭირდება. („სარანგი", №3, 1993 წლის 18 მარტი, გვ. 7).

154. მე... დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობის, მისი ანდერძის ერთგული ვარ ისევე, როგორც ყველა ქართველი. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ტოლერანტობის ის გზა, რომლის საუკეთესო მაგალითები საქართველოს დიდმა მეფემ გვიჩვენა. („საქართველოს რესპუბლიკა", №157, 1995 წლის 31 ოქტომბერი, გვ. 2).

155. მე ვიცი... თუ რა დაუჯდა საქართველოს ის, რომ რუსეთს არ გააჩნდა, ან ცუდად ჰქონდა განსაზღვრული თავისი პოლიტიკა კავკასიაში. არანაკლებ ძვირად დაუჯდა ეს თავად რუსეთსაც. არაერთხელ განმიცხადებია და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: რომ არ ყოფილიყო აფხაზეთი, არ იქნებოდა არც ჩეჩნეთის ტრაგედია. („საქართველოს რესპუბლიკა", №196, 1996 წლის 28 სექტემბერი, გვ. 2).

156. მე თუ გადავრჩი და შევიტანე ჩემი წვლილი ჩემი ქვეყნის გადარჩენაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ნაკლებს ვფიქრობდი ჩემს პირად გადარჩენაზე. ამას ხედავს და ხედავდა ჩემი ხალხი, არა მხოლოდ ახლა, არამედ საბჭოთა პერიოდშიც. უწინარესად უნდა შეგეძლოს თავგანწირვა, თუ ეს საბოლოოდ შენს ქვეყანას გადაარჩენს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №152, 1997 წლის 3 ივლისი, გვ. 3).

157. მე იმის მომხრე ვარ, რომ საქართველო აქტიური ნეიტრალიტეტის ქვეყანა იყოს. ("იბერია-სპექტრი", №39, 1992 წლის 16-22 აპრილი, გვ. 3).

158. მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ საქართველოზე დიდი ქვეყანა მთელ დედამიწის ზურგზე არ არის.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №48-49, 1996 წლის 16 მარტი, გვ. 3).

159. მე მიმაჩნია, რომ როდესაც ქვეყანას წალეკვას უქადის ანარქიისა და ქაოსის ტალღა, როდესაც იღუპებიან ადამიანები, ზოზინი დაუშვებელია.** ("საქართველოს რესპუბლიკა", №59, 1992 წლის 11 აპრილი, გვ. 2).

160. მე მივიღებ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ნებისმიერ ვარიანტს, ოღონდ ერთი პირობით: საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს აღდგენისა და შენარჩუნების პირობით, რა თქმა უნდა, ამასთან უნდა გვქონდეს შეთანხმების ქმედითობის მკაფიო და მტკიცე გარანტიები.*** ("საქართველოს რესპუბლიკა", №141, 1997 წლის 20 ივნისი, გვ. 2).

161. მე მინდა ჩემი ერი ყველაზე მდიდარი და ბედნიერი ერი იყოს მსოფლიოში, უღრუბლო იყოს მისი ხვალინდელი ზეცა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 5).

162. მე... მწამს და მჯერა, რომ ფოლადივით უდრეკი იქნება მუდამ ქართველი კაცის ნება, არასოდეს კაცთმოძულე არ გახდება მისი კაცთმოყვარე გული, მუდამ წმინდა იქნება მისი კათარზისით მოცული სული, ამოუწურავი — მისი ეროვნული, სინამდვილის სასიკეთოდ გარდამქმნელი ენერგია, გამორჩეული — მისი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1993 წლის 1 იანვარი, გვ. 1).

163. მე პროფესიით და მოწოდებით ისტორიკოსი და პედაგოგი, პოლიტიკოსი და დიპლომატი გახლავართ, ადამიანური არსებით — პატრიოტი, ჰუმანისტი, მამულიშვილი. ჩემი ოპონენტების გასაგონად მინდა ვთქვა, როგორც დიდი გალაკტიონი იტყოდა: წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართველის. ქართულია ჩემი სიტყვაც, გრძნობაც და საქმეც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 5).

164. მე საქართველოს, ასე ვთქვათ, შიგნიდანაც ვხედავ და ასე მგონია, ვხედავ კარგად. ვხედავ გარედანაც, მთელი თავისი შუქ-

* თარგმნილია გაზეთიდან: "სეგოდნია", №37, 1996 წლის 6 მარტი (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №82, 1992 წლის 7 აპრილი, გვ. 3 (შემდგ.).

*** თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №111, 1997 წლის 18 ივნისი, გვ. 5 (შემდგ.).

ჩრდილებით. საქმეში ჩახედული ჩვენი უცხოელი მეგობრები, ანალიტიკოსები, პოლიტოლოგები საქართველოს სწრაფად განვითარებად, დემოკრატიულ, უაღრესად თვითმყოფად ქვეყნად აღიქვამენ. ჭეშმარიტი გულშემატკივარნი, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებში, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც ევროპული და მსოფლიო ცივილიზაციის მაგისტრალზე გადის, არ დაკარგოს ის, რაც საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულა და რასაც ქართული ეროვნული ფენომენი ჰქვია. („საქართველოს რესპუბლიკა", №187, 1997 წლის 5 აგვისტო, გვ. 2).

165. ...მე ქართველი მოღვაწე ვარ და ვთვლი, რომ ჩემი პოლიტიკის დასაყრდენი ძალები შეიძლება ყველგან იყვნენ — რუსეთშიც, თურქეთშიც, ევროპაშიც და ამერიკაშიც... („საქართველოს რესპუბლიკა", №31, 1993 წლის 16 თებერვალი, გვ. 1).

166. მეც და ჩემი ხალხიც მართლმადიდებლები ვართ. ამავე დროს, ქართველი ერი ტოლერანტი ერია და ამით ჩვენ ვამაყობთ. („საქართველოს რესპუბლიკა", №268, 1997 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

167. ...მთავარია არ შევდრკეთ, სასოწარკვეთას არ მივეცეთ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთს გავუფრთხილდეთ, ერთმანეთი დავინდოთ.

საქართველო ღვთისწილი ქვეყანაა, მას გადაშენება არ უწერია. მე ღრმად მწამს, რომ ჩვენ ვივლით ჰუმანიზმის, დემოკრატიის გზით და ავაშენებთ ახალ, თავისუფალ, დამოუკიდებელ და ბედნიერ სახელმწიფოს. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 6).

168. მთავრობა, რომელიც საქართველოს 1918-1921 წლებში მართავდა, ძირითადად სოციალ-დემოკრატიული და, გარკვეულწილად, „მონონაციონალური" იყო. მონონაციონალურს იმიტომ ვსვამ ბრჭყალებში, რომ ეს მთავრობა, რასაკვირველია, თავისი ეროვნული შემადგენლობით სავსებით ერთგვაროვანი გახლდათ, მაგრამ მისი ბევრი წევრი გურიიდან იყო. გურულები ცოტანი არ იყვნენ მათ შორისაც, ვინც ბოლშევიკურ ფრთას ეკუთვნოდა და ვინც აქტიურად გაისარჯა თავისი თვისტომი მენშევიკების დასამხობად. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 37).

169. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სადაც არ უნდა ვიყო, ვიყავი და ვიქნები სისხლი და ხორცი ჩემი ხალხისა. („საქართველოს რესპუბლიკა", №201, 1993 წლის 15 სექტემბერი, გვ. 1).

170. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სტაბილური საქართველო სწრაფად აღორძინდება, სწრაფად გადაწყვეტს სოციალურ და სხვა პრობლემებს, უზრუნველყოფს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რადგან ასეთ ამოცანასთან შეჭიდება მხოლოდ ეკონომიკურად

ფეხზე მდგომ და სტაბილურ სახელმწიფოს შეუძლია.

...არასტაბილურობის ყოველგვარი სიმპტომები კი ისევ იმ ჭაობში ჩაგვითრევს, საიდანაც ამოსვლა ამდენი სისხლის, ამდენი ადამიანის სიცოცხლის ფასად დაგვიჯდა, და ამდენი დავანგრიეთ და გავანადგურეთ. დასკვნა უნდა გამოვიტანოთ. ცოტა ძველდროინდელს მაგონებს ასეთი ფრაზა, რომელიც ახლა უნდა წარმოვთქვა:

მაშ, გავუფრთხილდეთ, განვამტკიცოთ ქვეყნის სტაბილურობა — საქართველოს აღმავლობის, დამოუკიდებელი სახელმწიფოს განმტკიცების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ეს უმთავრესი პირობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №80, 1997 წლის 8 აპრილი, გვ. 2).

171. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ქვეყანა დიდ გზაზე გავიდა, მას დიდი მომავალი აქვს. მაშ, ყველამ ერთად, სხვადასხვა შეხედულებათა, თუნდაც ინტერესთა მიუხედავად, არ შევანელოთ, არა გვაქვს უფლება შევანელოთ, ახალი, ერთიანი საქართველოს აღმშენებლობა, — ეროვნული და სახელმწიფოებრივი ხომ ყველა ჩვენგანზე, ყოველგვარ მოძრაობაზე, ყოველგვარ იდეოლოგიაზე მაღლა დგას. გვეყო ნგრევა, ქაოსი, შიმშილი და განუკითხაობა, შევთანხმდეთ, რომ ყველაფერი ეს უკან დარჩა და საქართველო ამ სისხლიან, სამარცხვინო შარაგზას, რომელიც უკვე გავიარეთ, აღარასოდეს მოუბრუნდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №74, 1997 წლის 1 აპრილი, გვ. 2).

172. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ 14 აპრილი (1978 წ. — შემდგ.) უნიკალური მოვლენაა საქართველოს ისტორიაში... იმ დღეს ჩვენმა ხალხმა იმპერიის ერთი კედელი მოანგრია, ყოველ შემთხვევაში, საქართველოსათვის და დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. ეს იყო ერთსულოვნების, სიმამაცის, სიბრძნის ნამდვილი ზეიმი. ბედნიერი ვარ, რომ მეც და იმდროინდელი ხელმძღვანელობიდან ჩემი კოლეგებიც, თუ გადაჭარბებული არ იქნება ასე ვიტყოდი, ისტორიული ამოცანის დონეზე აღმოვჩნდით. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მადლიერებით ვიხსენებთ ჩვენს ინტელიგენციას და ახალგაზრდობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №71, 1996 წლის 17 აპრილი, გვ. 1).

173. მიმაჩნია, რომ უკრაინასთან დამეგობრება, დაძმობილება საქართველოსთვის უზარმაზარი მნიშვნელობის მოვლენაა. ტრადიციულად, ჩვენი ურთიერთობა არც წარსულში, არც აწმყოში შელახული არ ყოფილა. დღეს ორივე ქვეყნის მიზნები, ამოცანები და ოცნებები თანხვედრია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №275, 1997 წლის 4 ნოემბერი, გვ. 3).

174. მინდა განვაცხადო, რომ არავის აქვს ხელშეუხებლობის იმუნიტეტი, არავის! მე ბრალს მდებენ: შევარდნაძე ვიღაც-ვიღაცეებმა ჩამოიყვანეს, იცით, ვისზეც არის ლაპარაკი, და მერე მან ეს ხალხი

არ დაინდო და ციხეში ჩასვაო. ჯერ ერთი, მე არ ჩამისვამს. არსებობს შესაბამისი სტრუქტურები და მოქმედებს კანონი. მაგრამ ისიც მინდა ვთქვა, რომ მე საქართველოში ჩემს ხალხთან ერთად სახელმწიფოს ასაშენებლად, შესაქმნელად ჩამოვედი. ვინც სახელმწიფოს შექმნას ხელს შეუშლის, არც მომავალში დავინდობ. და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ მე ხალხის მანდატი მექნება. ეს ჩემი სინდისის კარნახი და ჩემი კრედო გახლავთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 3)

ეროვნული ბიბლიოთეკა

175. ... მინდა განვაცხადო ჩვენი საზღვარგარეთელი მეზობლებისა და მეგობრების საყურადღებოდ: ჩვენი ქვეყანა მთელი თავისი წარსულით, უდიდესი გამოცდილებით, უდიდესი სიმდიდრით — თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, თავისი უდიდესი კულტურით, მეცნიერული პოტენციალით ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მხარში ამოგიდგეთ, როგორც ღირსეული, დემოკრატიული ქვეყანა. მჯერა, რომ ეს ასე იქნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

176. მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა თვით რუსეთის მიერ მოპოვებული სუვერენიტეტის ფონზე გახდა შესაძლებელი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №50, 1996 წლის 19 მარტი, გვ. 1).

177. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ გახლეჩილია, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა (ღრმად ვარ დარწმუნებული, უახლოეს მომავალში ეს უნდა გაკეთდეს — სამართლიანობამ უნდა იზეიმოს), ამდენი სისხლისღვრისა და უბედურების შემდეგ, იმ წლების შემდეგ, როცა ისეთი შეცდომებიც გვაქვს დაშვებული, რომლებიც არ ეკადრება განათლებულ ხალხსა და განათლებულ ერს, ჩვენ მაინც გავედით, საბოლოოდ და მყარად დავადექით იმ გზას, რომელიც მრავალი თაობის ნაოცნებარ ტაძრამდე მიგვიყვანს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №78, 1997 წლის 5 აპრილი, გვ. 1).

178. მიწა, სადაც გადმოცემით დაიბადა წმინდა გიორგი, რომლის სახელიც ჩვენი ქვეყნის სახელწოდებას ფუძედ დაედო, მსოფლიოს ყველა რელიგიის წმინდანთა პანთეონისათვის კეთილი გახდა. ქრისტიანობის ყველა შტო აქ გადაეჭდო ერთმანეთს, ისლამის ყველა დინება მშვიდობიანად თანაარსებობდა მათთან. დევნილმა იუდაიზმმა აქ ჰპოვა თავშესაფარი ტაძრის პირველი დანგრევის დღიდან. 26 საუკუნე შეუსრულდა ამ თანაარსებობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №83, 1995 წლის 14 ივლისი, გვ. 1-2).

179. მიწის საკითხი ქართველი კაცისათვის ყოფნა-არყოფნის დონეზე აღიქმება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №30, 1996 წლის 20 თებერვალი, გვ. 1).

180. ...მომავალი საქართველოს ეკონომიკურ ძლევამოსილებას ველა-რაფერი შეარყევს. ქვეყნის ეკონომიკური ძლევამოსილება და სიმდიდრე კი უწინარესად მოქალაქეთა შეძლებულ თავისუფალ ცხოვრებას ნიშნავს, ნიშნავს სოციალური დაცვის მძლავრ სისტემას, საყოველთაო უფასო განათლებას, კულტურას, მეცნიერების აყვავებას და (ესეც უნდა ითქვას) მძლავრ არმიას, ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესთა უზრუნველყოფას და სანიმუშო წესრიგს.

სწორედ მაშინ გახდება საქართველო ჭეშმარიტად ევროპული სახელმწიფო, როცა მისი თითოეული მოქალაქის ცხოვრების დონე ევროპულ სტანდარტებს გაუტოლდება და გაუთანაბრდება. ოღონდ ამ მიზნის მისაღწევად ყველას მუხლჩაუხრელი შრომა და სახელმწი-ფოებრივი შეგნების, პასუხისმგებლობის მაღალი დონე გვმართებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №261, 1997 წლის 21 ოქტომბერი, გვ. 2).

181. მსოფლიო ისტორიაში, ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ორი ერის ისეთი სულიერი ერთიანობა, როგორიც ებრაელი და ქართველი ხალხების უნიკალური ძმობა და მეგობრობაა. ქართველებს და საქართველოს ებრაელებს იმდენი რამ აქვთ საერთო, რომ ხანდახან ძნელი გასარჩევია, სად მთავრდება ქართული და სად იწყება ებრაული ხასიათი, ტრადიცია, ჩვეულება. საქართველოს ებრაელთა თითქმის სამიათასწლოვანი ისტორია საქართველოს ისტორიის ნაწილია და ყოვლად წარმოუდგენელია საქართველოს ისტორიის სრულად წარმოჩენა ქართველ ებრაელთა ისტორიის გარეშე.

... ამ ორი ერის მეგობრობა უნიკალური ფენომენია.

...საქართველოსთვის უმძიმეს წლებში, როცა ქვეყანაში აულაგმავად თარეშობდნენ ბანდიტური დაჯგუფებები, როცა განუკითხაობასა და ქაოსში ჩვეულებრივ ამბად იქცა ოჯახების რბევა და დაწიოკება, საფლავების გაძარცვა, ქართველ ებრაელობაშიც წამოყო თავი ეჭვმა ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობაში რაღაც ბზარის გაჩენის შესახებ. მაგრამ ამ ეჭვს თავად ქართველმა ებრაელობამ არ მისცა გასაქანი. მან, როგორც საქართველოს ისტორიის განუყოფელმა ნაწილმა, საქართველოში დატრიალებული უბედურება ასევე მიითვალა თავის თავზე, როგორც ნებისმიერმა ქართველმა და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცა რომ ბიბლიისა და "ვეფხისტყაოსნის" შემქმნელ ერებში ბოროტებისა და კაცთმოძულეობის თესლი ვერ გაღვივდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №321, 1997 წლის 24 დეკემბერი, გვ. 2).

182. მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში საქართველო ღირსეულ ადგილს ვერ მოიპოვებს, როგორც ერი და დემოკრატიული სახელმწიფო, თუ იგი არ იქნება მოწესრიგებული პოლიტიკური ორგანიზმი. თანამედროვე

და მომავლის ცივილიზაციასთან ზიარების გასაღები ქვეყნის მთლიანობაში, მის ერთიანობაშია.* („საქართველოს რესპუბლიკა", №121, 1997 წლის 28 მაისი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

183. (მუდამ უნდა გვახსოვდეს – შემდგ.) ... ის განსაკუთრებული ფუნქცია, რომელიც ისტორიულად კი ჰქონდა საქართველოს, მაგრამ არ იყო ამოქმედებული. ეს არის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდი. ამ განსაკუთრებულ ფუნქციაში უამრავი სიკეთეა, მაგრამ თუ ფხიზლად არ ვიქნებით, ასევე უამრავ ნეგატიურ მოვლენას მოგვიტანს. უწინარეს ყოვლისა, ეს იქნება ნარკობიზნესი და ნარკოტიკებით მოვაჭრეთა შემოსევა. ეს იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ არა მარტო შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები, არამედ მთელი მოსახლეობა, მთელი ქვეყანა ყოველმხრივ მზად უნდა იყოს. („საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 2).

184. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ნამდვილ პატრიოტულ პოზიციებს შეიძლება ადგნენ ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტები, ადამიანები, რომლებსაც სწამთ, რომ პატრიოტიზმი უინტერნაციონალიზმოდ ცრუპატრიოტიზმია. (ე.ა. შევარდნაძე, „კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 76).

185. მძიმე იყო ქართველი ხალხის ისტორიული წარსული. ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა მტერი ჩვენი მადლიანი მხარის მოსპობას, უნდოდა გადაებუგა, პირისაგან მიწისა აღეგავა, გაეცამტვერებინა იგი, ნაცარტუტად ექცია ჩვენი უნიკალური, თავისთავადი ეროვნული კულტურის საგანძური, მოესპო ქართული ენა... მაგრამ... ჩვენი ქვეყანა ზღაპრული ფენიქსივით ცოცხლდებოდა და კვლავ ყვაოდა მისი ბაღვენახები, გუთნისდედები ხნავდნენ მიწას, ხუროთმოძღვრები აგებდნენ ქალაქებსა და ტაძრებს, დედები კი შვილებს მშობლიურ ენას ასწავლიდნენ. („კომუნისტი", №251, 1983 წლის 30 ოქტომბერი. გვ. 2).

186. ნაციონალიზმი, არსებითად, კეთილშობილური ცნებაა, ჩვენ ყველანი ნაციონალისტები ვართ გარკვეული თვალსაზრისით. მაგრამ არის ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმები. მე მათ ადგილობრივ შოვინიზმს ვუწოდებ. სწორედ იგი იძენს ფაშიზმის ნიშნებს... სალი აზრით კი ნაციონალიზმი ადამიანის ნორმალური მდგომარეობაა. ნაციონალიზმი, რომელსაც მე ვიზიარებ, მრავალეროვან სახელმწიფოში

* ეს ფრაგმენტი ამოღებული გვაქვს ედუარდ შევარდნაძის მიერ 1992 წლის 4 აგვისტოს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე გამოცხადებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მანიფესტიდან: „სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნული თანხმობისათვის!" (შემდგ.).

მთლიანად გამორიცხავს დისკრიმინაციულ მიდგომას სხვა ერების და ეროვნებებისადმი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №192, 1994 წლის 28 ოქტომბერი, გვ.1).

187. ნებისმიერი მოვლენა, წინააღმდეგობრივია. თუ წინასწარ, ვიდრე რაიმე სერიოზულს გადაწყვეტდე, ყოველმხრივ იდეალურ ვარიანტს დაელოდე, ვერასოდეს ვერაფერს მიაღწევ. ასეთი, შინაგან წინააღმდეგობათაგან თავისუფალი ვარიანტი, უბრალოდ, არ შეიძლება არსებობდეს. ბუნებრივია, რომ ასეთი არც გეორგიევსკის ტრაქტატი შეიძლებოდა ყოფილიყო. მასაც ჰქონდა როგორც ნათელი, ისე ჩრდილოვანი მხარეები. იმდროინდელი საქართველოს შორმსჭვრეტელი საზოგადო მოღვაწენი ამაზე თვალს როდი ხუჭავდნენ. ასევე ვიქცევით ჩვენც ორი საუკუნის შემდეგ. თანაც ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, ობიექტურად გავაანალიზოთ არა მარტო თვით დოკუმენტი, არამედ მისი ისტორიული შედეგებიც.* ("ლიტერატურული საქართველო", №45, 1983 წლის 4 ნოემბერი, გვ. 2).

188. ნურავინ ეძებს რაღაც წინააღმდეგობას ეროვნულსა და ინტერნაციონალურს შორის. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 28).

189. ნურავინ შეეცდება უკუღმა შეატრიალოს ისტორიის ჩარხი. საქართველომ დაიმკვიდრა სტაბილური, დემოკრატიული ქვეყნის სახელი. ჩვენ გვიცნობენ, გვეხმარებიან, ანგარიშს გვიწევენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №74, 1997 წლის 1 აპრილი, გვ. 2).

190. (ოდითგანვე — შემდგ.)... ისტორიულად საქართველო ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ყველაზე მოსახერხებელი და მოკლე მონაკვეთი იყო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №29, 1997 წლის 6 თებერვალი, გვ. 1).

191. ომი აფხაზებისთვის, როგორც ერისთვის, ფაქტობრივად, განადგურებას ნიშნავს, რაც არ უნდა საქართველოს ხელისუფლებას... ამიტომ ჩვენ — ქართველები და აფხაზები — უნდა დავუფიქრდეთ იმას, რაც გარდაუვალია — ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ და უნდა შევთანხმდეთ გარდამავალი ეტაპის პირობებზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №116, 1997 წლის 22 მაისი, გვ. 2).

192. ოცდაათიანი წლების რეპრესიები საქართველოს განსაკუთრებული სისასტიკით დაატყდა თავს, თუმცა, იოსებ ჯუღაშვილს, რომელსაც მსოფლიო უფრო სტალინად იცნობდა, თავისი პატარა სამშობლოსადმი თითქოს ლმობიერება უნდა გამოეჩინა. ეს თვალსაზრისი ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ იგი საფუძველშივე მცდარია. კლასობრივი ბრძოლის ამოცანები და ინტერესები უგულებელყოფენ ეროვნულ

* თარგმნილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №44, 1983 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 12 (შემდგ.).

გრძნობებს. თეორია, რომლის ჩამოყალიბებაშიც სტალინმა "ფასდაუდებელი წვლილი" შეიტანა, პრაქტიკულად დადასტურებას მოითხოვდა. თანაც, ბევრ თანამემამულესთან სტალინს თავისი ანგარიშები ჰქონდა გასასწორებელი. რა დაავიწყებდა მას, მაგალითად, ე. წ. "ქართულ საკითხს", როცა მისი თანაპარტიელების ჯგუფმა, საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მისეული "ავტონომიზაციის" გეგმის განხორციელებას. ეს გეგმა უნიტარული სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებდა და მასში შემავალ ეროვნულ რესპუბლიკებს არანაირ დამოუკიდებლობას არ უტოვებდა. "ქართული საკითხი" გადაიზარდა საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმის შესახებ პოლემიკაში; ეს პოლემიკა კი თანდათან გადაიქცა "ნაციონალურ-უკლონისტებთან", როგორც სტალინის ოპონენტები მონათლეს, ანგარიშსწორებად. სტალინს სხვა პოლიტიკური ყაიდის მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. ის, რომ იტყვიან, სახით იცნობდა მათ, იცოდა, რომ საქართველოში შემორჩა წინააღმდეგობის ბირთვი და, თუმცა ქართველთა უმეტესობისათვის სტალინი დიდი თანამემამულე იყო, რეპრესიათა ჯაჭვური რეაქცია მაინც განურჩევლად მოქმედებდა. მან მოიცვა ორმოციანი წლების მიწურულიცა და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისიც. ცნობილია საქართველოდან თურქ-მესხთა დეპორტაციის ფაქტი. ცნობილია რამდენიმე ათასი ქართული ოჯახის გასახლება ერთადერთი მოტივით: უცხოეთში ნათესავები ჰყავდათ. ეს... 1951 წელს მოხდა.

ემიგრანტებსაც "ხალხის მტრებთან" აიგივებდნენ ისევე, როგორც მტრებად თვლიდნენ ათასობით უდანაშაულო ადამიანსაც, როგორიც იყვნენ, თუნდაც მამაჩემი და ნანულის (ე. შევარდნაძის მეუღლის — შემდგ.) მამა. "ხალხის მტრების" შესამუსრად დატრიალებული ტერორის ბორბალი ახლა "მტერი ხალხებისკენ" მიექანებოდა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 53-54).

193. ოცდამეერთე საუკუნის მაგისტერიუმი უნდა იყოს მაღალი ინტელექტისა და მაღალი ზნეობის ღვთიური ნაერთი. ჩვენ უნდა გავაერთიანოთ საკაცობრიო ცივილიზაციის სულიერი პოტენციალი კაცობრიობის გონებრივ პოტენციალთან. ვფიქრობ, აქ ქართულმა უნივერსიტეტმა თავისი სიტყვა უნდა თქვას. ეს მისი უმაღლესი დანიშნულებაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №97-98, 1994 წლის 27 მაისი, გვ. 2).

194. პატრიოტი იმდენად ის კი არ არის, ვისაც თბილისი ყველაზე ლამაზი ქალაქი ჰგონია, არამედ ის, ვინც იბრძვის იმისათვის, რომ ჩვენი ქალაქი ჭეშმარიტად ულამაზესი იყოს. ("კომუნისტი", №133, 1974 წლის 9 ივნისი, გვ. 2).

195. პატრიოტობა როდი ნიშნავს უკვე მიღწეულით ბაქიაობას და ტკბობას, არამედ იგი ნიშნავს საქმით და მოქმედებით საკუთარი ნაკლის გამოსწორებას. ("კომუნისტი", №133, 1974 წლის 9 ივნისი\, გვ. 2).

196. პატრიოტს აყალიბებს არა მარტო სამშობლოს სახელოვანი წარსულის ცოდნა, არამედ დროის ყველაზე მოწინავე მიჯნებისაკენ სამშობლოს წინსვლასთან წილნაყარობის შეგნებაც. ("კომუნისტი", №94, 1986 წლის 23 აპრილი, გვ. 2).

197. პერგამენტზე, პაპირუსსა და ქაღალდზე დაწერილი უძველესი ქართული წიგნები ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ბევრ წიგნთსაცავში ინახება. ჯერ კიდევ ახალი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ქართულ წიგნთსაცავებს შეხვდებოდით არა მარტო საქართველოში, არამედ ბიზანტიაში, სირიაში, პალესტინაში და ა. შ. (ე.ა. შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 87).

198. პირდაპირ გეტყვით, რაც არაერთხელ მითქვამს.. მე შემეძლო, როცა დავბრუნდი ჩემს სამშობლოში, გამომეცხადებინა: — "მზად ვარ ავიღო მთელი ხელისუფლება, ქვეყანა ვმართო, როგორც დიქტატორმა", და მიმეღო ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა, დამემყარებინა ავტოკრატიული რეჟიმი. ეს არ გავაკეთე. მაშინ, ბევრი ჩემი მეგობარი, კოლეგა, ზოგიერთი თანამოაზრე, გულშემატკივარი მოდიოდა და მეუბნებოდა, — "ეს ერთადერთი გზაა, სხვა მხრივ, საქართველოს საშველი არ არის". ხშირად პინოჩეტს მისახელებდნენ, — "გახსოვს, რა გააკეთა პინოჩეტმა? არეული, დანგრეული ქვეყნისაგან, აყვავებული სახელმწიფო შექმნა".

ნურავის დაავიწყდება — პინოჩეტს აყვავებული სახელმწიფოსკენ მიმავალი გზა რომ აერჩია, ალიენდე უნდა მოეკლა და ის ხალხი გაენადგურებინა, ვისაც დემოკრატიისაკენ მიჰყავდა ქვეყანა.

ამიტომ, მიუხედავად ქვეყანაში არსებული წინააღმდეგობებისა, მე მოვახდინე არჩევანი, დემოკრატიის, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების სასარგებლოდ, და — არა მარტო საქართველოში.

ეს არჩევანი მოვახდინე უკვე 80-იან წლებში, ცოტა უფრო ადრეც. მე იმ ტრიბუნებთან ვიდექი, სადაც უნდა მდგარიყო ჭეშმარიტი დემოკრატი. ეს მოსკოველებს კარგად ახსოვთ და იმათ, ვინც ალმაცერად უყურებს საქართველოს, ეჭვი არ უნდა ეპარებოდეთ, რომ საქართველოს წარმომადგენელი იყო რუსეთში ჭეშმარიტად დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი. მე ვიყავი ერთ-ერთი ინიციატორი დემოკრატიული რეფორმების მოძრაობის შექმნისა, რომელმაც ჩემთან ერთად ორი დღით ადრე იწინასწარმეტყველა 19 აგვისტოს პუტჩი. ასე რომ, ეს ძველი არჩევანია და ემყარება იმის რწმენას, რომ

მხოლოდ დემოკრატიას, მხოლოდ დემოკრატიულ გზას შეუძლია მოუტანოს ქვეყანას ჭეშმარიტი, ღირებული დამოუკიდებლობა და თავისუფლება, მხოლოდ ეს გზა ჩაგვაყენებს ჩვენ იმ ქვეყნების რიგში, რომლებიც ქმნიან მსოფლიოს ცივილიზაციას. ჩვენ ეს გზა ავირჩიეთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

199. პირდაპირ ვიტყვი, ურუსეთოდ, კეთილი მეზობლის, ღირსეული პარტნიორისა და სახელმწიფოს გარეშე, რომლის ხალხთანაც დაკავშირებულია ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი ათწლეულები, საქართველო დაზღვეული არაა სერიოზული კატაკლიზმებისაგან, ძვრებისაგან.* ("ლიტერატურული საქართველო", №3, 1994 წლის 14 იანვარი, გვ. 5).

200. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი 1629 წელს რომში გამოვიდა. 1703 წელს მოსკოვში დაარსდა ქართული სტამბა. ასე ეყრებოდა საძირკველი ქართული ნაბეჭდი წიგნის რეგულარული გამოცემის საქმეს. 6 წლის შემდეგ თბილისში გაიხსნა პირველი ქართული სტამბა. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი გახდა 1712 წელი, როდესაც გამოვიდა გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის პოემა "ვეფხისტყაოსანი", რომელიც მანამდე ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა. (ე.ა. შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 100).

201. პიროვნების, სიტყვის თავისუფლების, პოლიტიკური პლურალიზმის პირველ წლებს თან სდევს აღვირახსნილობა, ცილისწამების, ადამიანურ ღირსებათა შელახვის მთელი ნიაღვარი. რა თქმა უნდა, საქართველო გამონაკლისი არ არის.

რა მოგვიტანა დრომ, როცა "ყველა ყველას მტერი იყო", კარგად ვიცით.

ეს შავი ნიაღვარი უნდა დაიწრიტოს და მჯერა, დაიწრიტება კიდევაც და ქვეყანაში მართალი, ობიექტური სიტყვის უზენაესობა, კაცთმოყვარეობა და კეთილმოსურნეობა დაისადგურებს.

..."სტაბილურობა ხვალინდელი წარმატების წინაპირობაა" — ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ყველამ კარგად უნდა გავაცნობიეროთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1998 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

202. (პოლიტიკურ და დიპლომატიურ სარბიელზე მოღვაწეობისას — შემდგ.) მე მქონდა ჩემი პირადი ტვირთიც — ევროპისა და აზიის საზღვარზე მცხოვრები ჩემი ხალხის მიერ საუკუნეებში გამოტარებული ისტორიული მეხსიერება. როგორც უკვე მოგახსენეთ, ამან ჩემს ხალხს ბევრი განსაცდელი მოუტანა წარსულში და არც ახლა აღუთქვამს სიმშვიდეს. მაგრამ ცივილიზაციათა, კულტურათა, რწმენათა, ენათა

* თარგმნილია გაზეთიდან: "ნეზავისიმაია გაზეტა", №216, 1993 წლის 11 ნოემბერი, გვ.5 (შემდგ.).

ურთიერთმოქმედებამ ერის სულსა და ხასიათში ძვირფასი შენადნობივით ჩალექა მთელ მსოფლიოსთან საოცარი ერთიანობის განცდა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 280).

203. ... პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც რუსეთს ისევე სჭირდება საქართველო, როგორც საქართველოს — რუსეთი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №156, 1993 წლის 20 ივლისი, გვ. 1).

204. (პოლიტიკური სტაბილურობა — შემდგ.)... არის ჩვენი მომავალი წინსვლისა და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის მთავარი საფუძველი.

საკმაოდ ხშირად გაისმის ხოლმე თვითკმაყოფილების გამომხატველი ფრაზები, რაც დამღუპველია. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ საბოლოოდ სტაბილური ქვეყანა. მანამ, სანამ კიდევ არსებობს სოციალური დაძაბულობა, სანამ ძალებს, რომლებსაც სურთ ხალხის წონასწორობიდან გამოყვანა, გარკვეული გავლენა აქვთ, ჩვენ თვითდამშვიდების უფლება არ გვაქვს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 1).

205. პოლიტიკური სტაბილურობა ჩვენი საზოგადოების ტრანსფორმირების უპირველესი პირობაა. იგი არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ბოლომდე მიყვანის საშუალება, არამედ დემოკრატიული, პოლიტიკური ცხოვრების ნორმაცაა. სხვაგვარად ჩვენ ვერ შევძლებთ დასახული მიზნის მიღწევას — ჭეშმარიტად თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნის აშენებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №177, 1997 წლის 26 ივლისი, გვ. 2).

206. პრაგმატიკოსებიც ოცნებობენ, ოღონდ სხვაგვარად, ვიდრე ოცნების კოშკების მშენებლები. ჩემი "კოშკი" საქართველოა, რომელიც არც კარგავს და არც სხვებისაგან იღებს, არამედ იძენს და ასაჩუქრებს. დასაჩუქრება მისი ოდინდელი სტატუსია. მინდა მისი აღდგენა, თუ ხორცს შეისხამს აბრეშუმის გზის იდეა — ოდინდელი ოცნება. ამაზე ჯერ კიდევ საბჭოთა დროში ვლაპარაკობდი ვლადივოსტოკის კონფერენციაზე — საქართველო ყველასათვის საჭირო და სასარგებლო იქნება, ვისაც ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანთან ინტეგრაცია აინტერესებს.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1998 წლის 27 იანვარი, გვ. 3).

207. რა პროგნოზებს არ აკეთებენ ჩვენი "მეგობრები" სხვადასხვა ქვეყნებში. ორიენტაციაა იმაზე, რომ ჯავახეთი აუფეთქდება საქართველოს და საქართველოც დაემორჩილება ბედს. ისიც კი მოახერხეს, რომ აჭარაზე თქვეს: აჭარაში სეპარატიზმი განვითარდება და საქართველოს იქ პრობლემები შეექმნებაო. ვერავინ მოესწრება ვერც რუსეთში და ვერც საქართველოში იმას, რომ აჭარაში სეპარატიზმი განვითარდეს.

* თარგმნილია გაზეთიდან: "ნოვიე იზვესტია", 1998 წლის 22 იანვარი (შემდგ.).

ეს გამორიცხულია. ეს მხოლოდ იმას შეუძლია თქვას, ვისაც ქართული სულის არაფერი გაეგება, ვინც არ იცის, რა არის ქართველებისა და სომხების, ქართველებისა და აზერბაიჯანელების ძმობა და მეგობრობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 2).

208. რაგინდ პატარაც უნდა იყოს ესა თუ ის ქვეყანა — საქართველო კი პატარა ქვეყანაა — იგი მოვალეა დაიმკვიდროს თავი მსოფლიოში ადამიანის სიცოცხლის ღირებულების, პიროვნების თავისუფლების, უმცირესობათა უფლებების დაცვის პრიორიტეტების მეშვეობით. მხოლოდ მაშინ, როცა უპირატესობას მიანიჭებს ადამიანურ ღირსებას, იგი დაიმკვიდრებს ადგილს ცივილიზებულ ერთა ოჯახში და დაიცავს თავს, როგორც ეროვნული მთელი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №126, 1992 წლის 10 ივლისი, გვ. 1).

209. ...რამდენი მეგობარიც უნდა გყავდეს მსოფლიოში, მეზობლების (იგულისხმება საქართველოს ყველა მეზობელი სახელმწიფო — შემდგ.) მეგობრობას ვერაფერი შეცვლის. ("ზანკი", №5, 1993 წლის 6 თებერვალი, გვ. 2).

210. ...რაღაც საზარელი დამთხვევის შედეგად, ციფრი 9, რომელსაც ქართულ ცნობიერებაში, ქართულ ტრადიციაში მხოლოდ ნათელი, საკრალური მნიშვნელობა აქვს, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, სამწუხაროდ, ახალ შინაარსს იძენს... 9 მარტი, 9 აპრილი, 9 თებერვალი, ალბათ, ესეც გარკვეული ნიშანია, ესეც განგების, ასე ვთქვათ, ნებაა და მინიშნება იმისა, რომ რაღაც ძალა, კეთილშობილი, საქართველოს მფარველი ძალა ებრძვის ხოლმე მომხდურ ბოროტებას ამ დღეს და ჩვენც მოგვიწოდებს უფრო მეტად მივაპყროთ თვალი ისტორიას, ჩვენს ტრადიციებს, მამა-პაპათა გამოცდილებას, ავსა და კარგს, რაც დამახასიათებელი იყო ჩვენი ცხოვრებისათვის, უფრო სწორად, ჩვენი ისტორიისათვის.

იმას, რაც 9 თებერვალს მოხდა (იგულისხმება 1998 წლის 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე მოწყობილი შეიარაღებული თავდასხმა — შემდგ.), მე მოკლედ ასე დავახასიათებდი: ეს არის ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. ეს არის "მარად გუშინდელთა" (მოგეხსენებათ, არსებობს ასეთი ტერმინი ევროპულ ლიტერატურაში) ბრძოლა იმ ძალებთან, რომლებიც ხვალინდელი საქართველოსათვის, ახალი საქართველოსათვის იღვწიან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №39, 1998 წლის 17 თებერვალი, გვ. 2).

211. რაც არ უნდა თქვან ჩემზე ჩემმა თანამემამულე კრიტიკოსებმა, რესპუბლიკის, — სსრკ კონსტიტუციის მიხედვით, დამოუკიდებელი სახელმწიფოს, — რეალური სუვერენიტეტის მიღწევის პრობლემა ყოველთვის იდგა ჩემს წინაშე.

საგანგებო თემაა, თუ როგორ ვცდილობდი მე ამ პრობლემის გადაწყვეტას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 65-66).

212. რაც უფრო მტკიცე და საიმედო იქნება როგორც რუსეთთან, ასევე თურქეთთან საქართველოს კავშირურთიერთობა, მით უფრო აქტიური იქნება ჩვენი როლი მშვიდობიანი კავკასიისათვის ბრძოლაში. რასაკვირველია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი უპირველესი ამოცანაა განვავითაროთ ჭეშმარიტად ძმური ურთიერთობა უახლოეს მეზობლებთან – აზერბაიჯანთან და სომხეთთან. ვფიქრობ, ეს ყველა ჩვენს მოქალაქეს კარგად ესმის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №67, 1996 წლის 9 აპრილი, გვ. 1).

213. რეაქციული რუსეთი საქართველოს დასამარებას ნიშნავს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №253, 1993 წლის 30 ნოემბერი, გვ. 1).

214. რეგიონული პრობლემების, მათ შორის კონფლიქტების მოგვარება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. საქართველოს მოუშუშებელ ჭრილობად კვლავ რჩება კონფლიქტი აფხაზეთში, დანაშაულებრივი სეპარატისტული რეჟიმის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის, უპირატესად ქართველთა მასობრივი განადგურება და მათ წინააღმდეგ მიმართული ეთნიკური წმენდა დაგმეს ეუთოს ბუდაპეშტისა და ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრებმა. გაეროს უშიშროების თხუთმეტზე მეტმა რეზოლუციამ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს სხდომებმა მკაფიოდ დაადასტურეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და უკლებლივ ყველა იძულებით ადგილნაცვალი პირისა და ლტოლვილის უპირობო უფლება დაუბრუნდნენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. მიუხედავად ამისა, სეპარატისტთა დესტრუქციული პოზიციის გამო, კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი ადგილიდან არ იძვრის. გარდა იმისა, რომ ამას აუტანელი ტანჯვა მოაქვს 300 ათასი ლტოლვილისა და კონფლიქტის ზონაში დარჩენილი მოსახლეობისათვის, ეს სერიოზულად აფერხებს აღმავლობის გზაზე დამდგარ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და ძალზე სერიოზულ სოციალურ პრობლემებს გვიქმნის. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ეძიოს კონფლიქტის პოლიტიკური გადაჭრის გზები ნებისმიერი ფორმატით, იქნება ეს მოსკოვში მიმდინარე კონსულტაციები, თუ გაეროს ეგიდითა და ეუთოსა და "საქართველოს მეგობრების ჯგუფის" (ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი) მონაწილეობით გამართული მოლაპარაკება. აფხაზეთს ჩვენ ვთავაზობთ მსოფლიოში მიღებულ ყველაზე მაღალ ავტონომიას, რომლის პირობებშიც მას ექნება თავისი კონსტიტუცია, პარლამენტი, მთავრობა, დროშა, გერბი, ჰიმნი და ასე შემდეგ. ("საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

215. რელიგიური შემწყნარებლობა, ტოლერანტობა, ყოველთვის იყო ის თვისება, რითაც ამაყობდა ჩვენი ხალხი.

ვუთმობთ რა განსაკუთრებულ ყურადღებას, განსაკუთრებულ ადგილს კონსტიტუციის შესაბამისად მართლმადიდებლურ ეკლესიას, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენთან მოქმედებს ისლამი, ჩვენთან არიან გრიგორიანელები, მორწმუნე ებრაელები, არიან კათოლიკები და სხვა რელიგიებისა და კონფესიების წარმომადგენლები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 6).

216. როგორი მოდელიც უნდა ვაღიაროთ ჩვენი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საფუძვლად, ეს იქნება ერთიანი, განუყოფელი დემოკრატიული სახელმწიფო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 4.).

217. როგორც არ უნდა შევაფასოთ 70-წლიანი კომუნისტური რეჟიმის ჩვენს ქვეყანაში არსებობა, ფაქტი ერთია, რომ ამ წლებში ეყრებოდა საფუძველი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას — მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარებას, გზების, ხიდების, რკინიგზების, დიდი უნიკალური ობიექტების მშენებლობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №273, 1997 წლის 2 ნოემბერი, გვ. 1).

218. როგორც ოსების, ასევე აფხაზების ხსნაც, ისევ ქართველებისკენ შებრუნება და დამოყვრებაა. სხვა გზა მათთვის მძიმე იქნება. თუ აფხაზეთის მიწა-წყალზე ქართველები არ დაბრუნდებიან, ვიღაც გადამთიელები მათ ადგილზე დაფუძნდებიან, ისინი კი უწინარესად აფხაზებისთვის იქნებიან უცხონი. აფხაზებისა და ქართველების უმრავლესობა კი ნათესაური კავშირით არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული. ("საქართველოს რესპუბლიკა", №38, 1995 წლის 8 აპრილი, გვ. 1).

219. როგორც პრეზიდენტი, რადაც უნდა დამიჯდეს, არ დავუშვებ ქვეყანაში იჭვნეულობის, "კუდიანებზე ნადირობის", დევნის ატმოსფეროს დამკვიდრებას. არც ერთი უდანაშაულო არ უნდა დაისაჯოს მხოლოდ რწმენის, მხოლოდ პოლიტიკური პოზიციისათვის. აუცილებლად გაგრძელდება ეროვნული შერიგების პროცესი — ჩვენ ვურიგდებით და კვლავაც შევურიგდებით ყველას, ვისაც სურს შერიგება. სხვათა შორის, ეს ეხება აფხაზებსაც, ოსებსაც... ყველა შერიგების მსურველს მივესალმები. სხვა რაღა ვთქვა? ცალმხრივად შერიგება?! შერიგება ორმხრივი მოძრაობა უნდა იყოს, ცალმხრივად შერიგება არ შეიძლება, ეს ორმხრივი პროცესია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №39, 1998 წლის 17 თებერვალი, გვ. 2).

220. როდესაც დედამიწის ზურგზე ვმოგზაურობთ, ჩვენ განსაკუთრებით

ყურადღებით ვაკვირდებით უცხო ქვეყნების იერსახეს და, ჩვენდა უნებურად, ვადარებთ სამშობლოსას, რატომღაც ჰგონიათ, რომ ჩვენ განსხვავებას ვეძებთ. სინამდვილეში კი მიმდინარეობს [illegible] გამომხატველი ნიშნების ინსტინქტური ძიება. („საქართველოს რესპუბლიკა“, №115, 1997 წლის 21 მაისი, გვ. 2).

221. რომელი ქართველია, ვაზი და თავისი დაწურული ღვინო რომ არ ჰქონდეს! მაგრამ ვაზი მარტოოდენ ღვინო ხომ არ არის. თავისი გასაოცარი თვისებებითა და გამძლეობით იგი უნებლიედ დაგაფიქრებს წუთისოფელზე, სიცოცხლეზე, გარდაცვალების შემდეგაც რომ გრძელდება. ერთი წავა და სხვა მოვაო... მოვა ვიღაც შენს შემდეგ და მოუვლის შვილივით ნაზარდ ვაზს, თავს შემოევლება და შენც შეგაწევს მოსაგონარს...* („კომუნისტი“, №67, 1990 წლის 23 მარტი, გვ. 3).

222. როცა ვლაპარაკობთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, კარგად უნდა გავაანალიზოთ წარსულის გაკვეთილები, თვალი გავუსწოროთ აწმყოს და შეუცდომლად განვჭვრიტოთ მომავალი. („საქართველოს რესპუბლიკა“, №238, 1992 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

223. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას დიდი ხნის ვრცელი ისტორია აქვს, რომელიც, უნდა ითქვას, მოწმობს, რომ ურთიერთობა ყოველთვის როდი იყო თანასწორუფლებიანი, როდი ითვალისწინებდა ორმხრივ ინტერესებს.** („საქართველოს რესპუბლიკა“, №261, 1992 წლის 24 დეკემბერი, გვ. 1).

224. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კვლავაც და კვლავაც აღმავლობის გზით ივლის, რა თქმა უნდა, თუკი მისი საფუძველი იქნება თანასწორობა, ურთიერთპატივისცემა, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება. („საქართველოს რესპუბლიკა“, №268, 1997 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

225. რუსეთთან კარგი ურთიერთობის გარეშე ჩვენი ჩრდილოეთის საზღვრების დაცვა წარმოუდგენელია. პრინციპული პოზიცია ყოველთვის მთავარი უნდა იყოს ჩვენს პოლიტიკაში, მაგრამ რეალურობის შეგრძნება, ერთადერთი რეალური გზის მოძებნის უნარი არ უნდა დავკარგოთ. („საქართველოს რესპუბლიკა“, №203, 1992 წლის 6 ოქტომბერი, გვ. 2).

226. ... რუსეთთან საქართველოს ურთიერთობა ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის კარდინალური საკითხია. სხვათა შორის, ასე იყო ისტორიულად, საუკუნეების მანძილზე და ასეა დღესაც. („საქართველოს რესპუბლიკა“, №202, 1996 წლის 8 ოქტომბერი, გვ. 2).

227. რუსეთთან საქართველოს შეერთებას უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველო სამუდამოდ განთავისუფლდა შინაომებისა და გამაჩანაგებელი შემოსევებისაგან, მას ეკონომიკისა და

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: „ოგონიოკ“, №11, 1990, გვ. 6 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: „იზვესტია“, №274, 1992 წლის 22 დეკემბერი, გვ. 2 (შემდგ.).

კულტურის განვითარების სასიკეთო შესაძლებლობანი შეექმნა. ქართველი ხალხი უაღრესად მადლიერია დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარების და მხარდაჭერის, კაცობრიობის ისტორიაში არნახული მეგობრობისათვის. მადლიერების ეს გრძნობა ამოძრავებდათ ქართველი ხალხის წარმომადგენლებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ 1812 წლის სამამულო ომში და უჭკნობი დიდების შარავანდედით შემოსეს რუსული იარაღი. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო" 1981, გვ. 76).

228. რუსეთთან სწორი, დაბალანსებული, აწონილ-დაწონილი პოლიტიკის გატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რუსეთის ფაქტორის იგნორირება ისევე დაუშვებელია, როგორც საკუთარი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უგულებელყოფა. მსოფლიო და ევროპული პროცესები კანონზომიერი მიმართულებით ვითარდებიან, ჩვენც და რუსეთიც ამ პროცესების განუყოფელი ნაწილები ვართ და ვიქნებით.

საკუთარი ღირსების, დამოუკიდებლობის შენარჩუნებით ჩვენ ავაშენებთ ახალ ურთიერთობებს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან.

ასეთია ჩვენი გენერალური კურსი ამ საკითხში.

ეს ისტორიული პროცესია, რომელიც თავისი შინაგანი ლოგიკით ვითარდება და აქ აჩქარება და სუბიექტივიზმი დაუშვებელია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 5).

229. რუსეთთან ურთიერთობა, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, კვლავაც იქნება ქართული საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხი. მაგრამ, არ მესმის, რატომ უნდა იწვევდეს გაღიზიანებას ჩვენი ხაზგასმულად კარგი ურთიერთობა უკრაინასთან, აზერბაიჯანთან (ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და ა. შ. — შემდგ.)... განა ასეთ ურთიერთობათა განვითარება თანამშრომლობის ინტერესებს არ შეესაბამება? ("საქართველოს რესპუბლიკა", №56, 1997 წლის 11 მარტი, გვ. 2).

230. რუსეთთან ჩვენი განსაკუთრებული ურთიერთობის საფუძველი სტრატეგიული ინტერესების დამთხვევაა. როცა ცალმხრივი მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად ირღვევა ინტერესთა ბალანსი, ბუნებრივია, იწყება დისკუსია ურთიერთობათა ხასიათის შესახებ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №197, 1996 წლის 1 ოქტომბერი, გვ. 2).

231. ...რუსეთი არასდროს შეეგუება საქართველოს გახლეჩას, ეს არ შეესაბამება მის სტრატეგიულ ინტერესებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №163, 1996 წლის 13 აგვისტო, გვ. 1).

232. რუსეთი იყო და კვლავაც რჩება ჩვენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს

პარტნიორად როგორც საზღვრო საქმეში, ისე საერთო სივრცეში მშვიდობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ჩვენ ვაკრიტიკებთ რუსეთს არა იმიტომ, რომ სიძულვილის ან შეუთავსებლობის გრძნობა გვამოძრავებს, არამედ ვაკრიტიკებთ კეთილი სურვილებით, რადგანაც გვსურს გვყავდეს სამართლიანი და ობიექტური პარტნიორი. გვსურს, რომ იმ ქვეყანამ, რომელზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, არ დაუშვას უსამართლობა იმ სივრცეში, რომელსაც ახალი თანამეგობრობა ეწოდება. რაც უფრო მეტ უსამართლობას დაუშვებს იგი, მით უფრო მძიმე ბუმერანგად დაუბრუნდება, ისევე, როგორც ეს მოხდა აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №275, 1997 წლის 4 ნოემბერი, გვ. 3).

233. რუსეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და ჩვენ ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც ვიკისრეთ ხელშეკრულებებით, ვასრულებთ და მომავალშიც უფრო ნაყოფიერად და პატიოსნად შევასრულებთ.

მაგრამ არ შეიძლება სახელმწიფოსთან გქონდეს სტრატეგიული ურთიერთობა და თვლიდე მას, ასე ვთქვათ, უმცროს პარტნიორად, რომელსაც შეგიძლია მოუსმინო ან არ მოუსმინო, გაითვალისწინო ან არ გაითვალისწინო მისი ტკივილი, უგულებელყოფდე მის სამართლიან მოთხოვნებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 5).

234. რუსეთისა და საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა კავკასიის რეგიონში სტაბილურობის გადამწყვეტი ფაქტორია.

მაგრამ კეთილმეზობლობა შესაძლებელია, თუ არის ურთიერთპატივისცემა, თანასწორი უფლებები და თანასწორი ვალდებულებანი. როგორც ცნობილია, ჯოჯოხეთის გზა კეთილი ზრახვების ფუჭი დაპირებებით არის მოკირწყლული.* (საქართველოს რესპუბლიკა", №261, 1992 წლის 24 დეკემბერი, გვ. 1).

235. რუსეთისათვის ზურგის შექცევის ორიენტაცია საქართველოს მიაყენებს უდიდესი მასშტაბის ზიანს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №238, 1992 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

236. რუსეთისათვის კავკასიის ფაქტორი — ეს არის საკუთარი ქვეყნის სამხრეთის უზარმაზარი სივრცეებისა და საარსებო ცენტრების სტაბილურობის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარანტი. არასტაბილური საქართველო მიუღებელია რუსეთის ეროვნული ინტერესებისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1994 წლის 8 თებერვალი, გვ. 1).

237. რუსეთში არიან საქართველოს მეგობრები, მათ შორის, ხელმძღვანელობაშიც. ისინი ბევრჯერ იყვნენ ჩვენს მხარეს. რა თქმა უნდა, არიან რეაქციული ძალებიც, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენენ არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ რუსეთისთვისაც, მაგრამ

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №274, 1992 წლის 22 დეკემბერი, გვ. 2 (შემდ.).

ისინი ჩვენ გვეხმარებიან, რადგანაც თავიანთი არსებობით გვახსენებენ, რომ თავისუფლება არ არის ისეთი ცნება, რომლის უკან დაბრუნება ან მოცემა შეიძლებოდეს და ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ. ხსენებული ძალებისათვის საქართველო ძალიან საინტერესო ქვეყანაა. („საქართველოს რესპუბლიკა", №152, 1997 წლის 3 ივლისი, გვ. 3).

238. რუსი და ქართველი ხალხები საუკუნეთა მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ. ისინი მონათესავე, სულისკვეთებით, ტრადიციებით ახლობელი ხალხები არიან. („საქართველოს რესპუბლიკა", №79, 1993 წლის 17 აპრილი, გვ. 1).

239. საგარეო პოლიტიკას საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევს ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად.

...საქართველოს საგარეო პოლიტიკური დოქტრინა ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის, როგორც საიმედო და სანდო პარტნიორის, ხატის შექმნას. („საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 5).

240. (სამეგრელოში — შემდგ.)... ძმობა, მეგობრობა, სტუმართმოყვარეობა იდეალის რანგში იყო აყვანილი ყველა დროში. („ახალგაზრდა ივერიელი", №46-47, 1992 წლის 15 აგვისტო, გვ. 2).

241. სამშობლო და ხალხი ისე უნდა გვიყვარდეს, რომ ჩვენი სიყვარული ჩვენი სამშობლოს და კულტურისადმი კი არ შეურაცხყოფდეს, პირიქით, ადასტურებდეს სხვა ხალხების ეროვნული გრძნობების ღრმა და შეგნებულ პატივისცემას. („კომუნისტი", №33, 1974 წლის 8 თებერვალი, გვ. 4).

242. სამშობლო — ეს აბსტრაქტული კი არა, სავსებით კონკრეტული ცნებაა, და სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობა, მისდამი სიყვარული ასევე არ გახლავთ განყენებული ცნებები. („კომუნისტი", №107, 1980 წლის 9 მაისი, გვ. 2).

243. სამშობლო ის განძი არ არის, ერთეულ ხელმოცარულთა პატივმოყვარეობის დაოკების საგნად რომ გამოდგეს. („დროშა", №1, 1982, გვ. 2).

244. სამშობლო, სამშობლოსადმი სიყვარული ფასდაუდებელი განძია, თაობიდან თაობას მემკვიდრეობით რომ გადაეცემა.

... განძი იგი უმშვენიერესია და ულამაზესი. იგი შეგიძლია ხატო, შეამკო, უსასრულოდ უმღერო, მაგრამ ეს საკმარისი როდია. სამშობლოს სიყვარულის განცდა ყველაზე დიდი ბედნიერება კი არის, მაგრამ ამ ბედნიერებას რომ ეზიარო, ტვირთი უნდა ზიდო, მსხვერპლიც უნდა გაიღო, ამ ტვირთს მოვალეობა ჰქვია.

სამშობლო ისეთი განძია, თუ ზრუნვა მოაკლდა, ჟანგი მოეკიდება, ჟანგი კი რკინასაც ჭამს...

ყოველმა ახალმა თაობამ ისე უნდა იცხოვროს, რომ ამ სათაყვანებელ

განძს ახალი თვისება შესძინოს, ახალი ელვარება შემატოს.

მხოლოდ იმას აქვს უფლება დატკბეს სამშობლოს სიყვარულით, განცდილი ბედნიერებით, ვისაც ტვირთის ტარება, მოვალეობის შესრულება, მსხვერპლის გაღება შეუძლია. ("დროშა" №1, 1982, გვ.1).

245. სამშობლო, უწინარეს ყოვლისა, ხალხია. მაგრამ სამშობლო ის დიდებული ტაძარია, რომელსაც თაობები საუკუნეთა განმავლობაში აგებდნენ. სად თქმულა ძლიერი სამშობლო დიდი მატერიალური და სულიერი დოვლათის გარეშე. დოვლათის შექმნა ყველა საზოგადოების, ყველა თაობის უპირველესი ამოცანაა. ("დროშა", №1, 1982, გვ. 1).

246. სამშობლოს სიყვარულს წარმოშობს მშობლიური სახლის, იმ ქალაქისა თუ სოფლის სიყვარული, სადაც შენ გაჩნდი და იზარდე, იმ ეზოსა და იმ ქუჩის სიყვარული, სადაც შენი სიყრმის მეგობრები, შენი ტოლსწორები ცხოვრობენ... იმ ხის სიყვარულით, რომელიც შენ დარგე და ახარე, ყოველივე იმის სიყვარული, რაც შენთვის ძვირფასი და ახლობელია და ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია. აი, რითი იწყება სამშობლო! ("კომუნისტი", №107, 1980 წლის 9 მაისი, გვ. 2).

247. სამშობლოსთან მიმართებაში სიტყვა "ვერ მოვიცალე" არ უნდა არსებობდეს... როგორი სირთულეც უნდა იყოს, უნდა გადალახო და მსხვერპლი გაიღო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №85, 1995 წლის 18 ივლისი, გვ. 1).

248. სამწუხაროდ, რუსეთში ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში ეგრეთ წოდებული ანტირუსული ისტერია დაიწყო. მე კატეგორიულად უარვყოფ ამას: ხალხი, უბრალოდ, სიმართლეს ამბობს, სიმართლის თქმას კი ისტერიას ვერ უწოდებ.

ზოგიერთები რუსეთში (მე ესეც უნდა აღვნიშნო) ვერაფრით ვერ შეჰგუებიან იმ აზრს, რომ ჩვენი ურთიერთობა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, სახელმწიფოთა შორის კავშირია, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაა და არა თანამშრომლობა ცენტრსა და პროვინციას შორის, და იმასაც ვიტყვი, ბევრს ავიწყდება, რომ საქართველო ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყანაა და პირს ვერავის ავუკრავ, არც სადირიჟორო ჯოხი ახდენს ეფექტს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №202, 1996 წლის 8 ოქტომბერი, გვ. 2).

249. საუკუნეების მანძილზე აფხაზეთი, საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, იყო დიდი კერა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული კულტურისა. ("ლიტერატურული საქართველო", №39, 1993 წლის 24 სექტემბერი, გვ. 2).

250. საუკუნეთა მანძილზე საქართველოს მრავალტანჯულ მიწა-წყალს თავიანთი სისხლით რწყავდნენ გმირი მამულიშვილები, მკერდით რომ უკრავდნენ გზას უცხოელ დამპყრობთ. ბერძენ კოლონიზატორებს, რომის იმპერიის ლეგიონერებს, არაბ და მონღოლ მძარცველებს და თურქ ასიმილატორებს ქართველი ხალხისათვის გამუდმებით მოჰქონდათ

ტანჯვა და ძალადობა, დამონებისა და გენოციდის საფრთხე. ხალხის გენია, რომელიც უნდა აშენებდეს და მშვენიერებას ქმნიდეს, გაუთავებელ ომებში გამოჩენილი გმირობით ისხამდა ხორცს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველმა ხალხმა, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლებში და ფიზიკური და სულიერი განადგურების პირას იდგა, მზერა მიაპყრო დიდ და მეგობარ რუს ხალხს.

1783 წელს დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის თანახმად, საქართველო რუსეთის პროტექტორატს დაექვემდებარა. (ე.ა. შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 11-12).

251. საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელიც ძალით ემუქრება ვინმეს, მით უმეტეს, საკუთარ ხალხს, საკუთარ მოქალაქეებს. მისი მშვიდობიანი პოლიტიკის დამადასტურებელია თუნდაც მშვიდობიანი კავკასიის იდეა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 2).

252. საქართველო არასოდეს არ შეურიგდება თავისი ტერიტორიის ძალადურ გახლეჩას... ("საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1996 წლის 24 იანვარი, გვ. 1).

253. საქართველო დღეს იმკვიდრებს სახელს მსოფლიოში როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ჩვენზე მხოლოდ ზუსტი და ობიექტური ინფორმაცია ვრცელდებოდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №56, 1997 წლის 11 მარტი, გვ. 2).

254. საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე შავიზღვისპირა პატარა ქვეყანაა. აქ, ისევე როგორც მთელ კავკასიაში, ადამიანისა და სასიცოცხლო გარემოს მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთქმედებამ არ განაპირობა ბუნებრივი ფენომენების დიდმასშტაბიანი გაქრობა და გარემოს წონასწორობის დარღვევა.

ქართველი ხალხი თავისი ისტორიის თანამედროვე დინამიურ ეტაპზეც ცდილობს შექმნას ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარების პროგრესული სამართლებრივი საფუძველი. ჩვენი პარლამენტი აკანონებს გარემოს დაცვის მაღალ სტანდარტებს, დაცული ტერიტორიების დაარსების პროცედურებს და გარეულ ცხოველთა შენარჩუნების მკაცრ ნორმებს.

...საქართველო ფართოდ უღებს კარს გარემოს დაცვითი ორიენტაციის საერთაშორისო წამოწყებებს, უერთდება მნიშვნელოვან კონვენციებს და შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონებში თვითონაც გამოდის ბუნების დაცვის საქმეში თანამშრომლობის ინიციატივებით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №97, 1997 წლის 27 აპრილი, გვ. 2).

255. საქართველო ევროპისაკენ ისწრაფის იმიტომ, რომ ეს ქართული კულტურის შინაარსზე დაფუძნებული მისი ისტორიული და სულიერი

ლტოლვაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №249, 1997 წლის 7 ოქტომბერი, გვ. 2).

256. საქართველო ერთ-ერთი ისეთი ქვეყანაა, სადაც რელიგიათა თანაარსებობის დიდი გამოცდილებაც დაგროვდა და ტრადიციაც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №178, 1992 წლის 15 სექტემბერი, გვ. 2).

257. საქართველო, ეს დედაა! ეს ცნებები — დედა და საქართველო ჩვენთვის განუყოფელია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №38, 1995 წლის 8 აპრილი, გვ. 1).

258. ...საქართველო თავისი ადგილმდებარეობითა და ისტორიით კავკასიის ყველაზე მგრძნობიარე სიმია. ("კავკასიონი", №34, 1995 წლის 21 თებერვალი, გვ. 2).

259. საქართველო ინტელექტუალურად მზად არის ევროპული ინტეგრაციისათვის და სწორედ ინტელექტუალური პოტენციალია ის მთავარი საგანძური, რომლითაც იგი ემზადება ევროპის დიდ ოჯახში შესასვლელად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 4).

260. საქართველო, ისევე როგორც, ალბათ, ამიერკავკასიის ყველა ქვეყანა მიესალმება ყველა სახელმწიფოს აქტიურობას, თუკი იგი მიზნად ისახავს რეგიონში სტაბილურობის დამყარებას, მშვიდობის განმტკიცებას და ასე შემდეგ. კერძოდ, რა თქმა უნდა, რუსეთის აქტიურობასაც, რომელიც კეთილ ნებას ეფუძნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №156, 1997 წლის 8 ივლისი, გვ. 2).

261. (საქართველო — შემდგ.) ისტორიულად... არის კავკასიის გასაღები. სტაბილური საქართველო — სტაბილური კავკასია, სხვაგვარად შეუძლებელია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1994 წლის 17 მარტი, გვ. 1).

262. საქართველო კაკლის კულტურის ერთ-ერთ უძველეს კერად ითვლება. საუკუნეთა მანძილზე ჩვენმა ხალხმა, ვაზისა და ხორბლის არ იყოს, კაკლის უხვმოსავლიანი, თხელნაჭუჭიანი, გულის მაღალი გამოსავლიანობისა და სხვა საუკეთესო თვისებების მქონე სახეობები გამოიყვანა. ზოგიერთი მათგანი ბევრად სჯობს მსოფლიოში განთქმულ კაკლის ჯიშებს. ("კომუნისტი", №91, 1982 წლის 18 აპრილი, გვ. 1).

263. ... საქართველო კურორტების მადლიანი მხარეა. (ე.ა. შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 81).

264. საქართველო მაღალხარისხოვანი მევინეობის ქვეყანაა. და ჩვენ მოვალენი ვართ შევუნარჩუნოთ მას ეს სახელი. (ე. შევარდნაძე, "მეცნიერება — ადამიანის, სახალხო მეურნეობის სამსახურში! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება. 1982 წლის 13-14 მაისი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 36).

265. საქართველო, მნიშვნელობა არა აქვს დიდია თუ პატარა, საზღვაო სახელმწიფოა. ("სამხედრო გაზეთი", №41, 1997 წლის 21 ოქტომბერი, გვ. 2).

266. საქართველო მომავალში, როგორც ქვეყანა, მუზეუმი და ნაკრძალი

იქნება თავისი მდებარეობით, კლიმატით, კულტურის ძეგლებით. მას ამის პრეტენზიის უფლება აქვს. („საქართველოს რესპუბლიკა" №5, 1997 წლის 9 იანვარი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

267. საქართველო მომავლისკენ იყურება და არ მისტირის წარსულს. („საქართველოს რესპუბლიკა", №5, 1997 წლის 9 იანვარი, გვ. 1).

268. საქართველო მრავალეროვანი რესპუბლიკაა, ყველა ეროვნების ბავშვებს უფლება და შესაძლებლობა აქვთ მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე. სწავლება მიმდინარეობს ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ქურთულ ენებზე. (ე.ა. შევარდნაძე, „საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 88).

269. საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურის კერაა. ქართული ანბანი, ქართული დამწერლობა, მატიანის მონაცემებით, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე შეიქმნა. ჩვენამდე მოღწეული პირველი მხატვრული ნაწარმოები ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნით თარიღდება. 1978 წელს აღინიშნა ქართული ლიტერატურის პირველი ძეგლის 1500 წლისთავი. (ე.ა. შევარდნაძე, „საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 86-87).

270. საქართველო ორი კონტინენტის — ევროპისა და აზიის — საზღვარზე მდებარეობს, რასაც მარტო გეოგრაფიული ცნების მნიშვნელობა როდი აქვს. ჩვენი ხალხის მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა ფორმირებაში ამ ფაქტორს მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება. ჩვენი ერის კულტურა ვაკუუმში როდი იქმნებოდა. ის ცოცხალი ისტორიული პროცესის ნაყოფია. მასზე თავისი გავლენა იქონია სხვა ხალხების კულტურებმაც. ისევე როგორც ქართული აზრი, ქართული კულტურა მნიშვნელოვან ფენომენს წარმოადგენს სხვა კულტურათა განვითარებაში. („საქართველოს კომუნისტი", №11, 1983, გვ. 23).

271. საქართველო პატარა ქვეყანაა და მუდმივი ძალისხმევა სჭირდება, რათა მისი პრობლემები და ტკივილები მსოფლიო თანამეგობრობის ზრუნვის საგნად იქცეს. („საქართველოს რესპუბლიკა", №253, 1996 წლის 18 დეკემბერი, გვ.1).

272. საქართველო, რომელსაც თავისმა ხანგრძლივმა ისტორიამ აჩვენა, რომ მისი უბედურების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ყოველთვის მეზობლებთან აშლილობა, ხოლო კეთილდღეობისა — მათთან თანხმობა იყო, დღეს მტკიცედ ადგას, უწინარეს ყოვლისა, მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას.

...გვახარებს ისიც, რომ საქართველოს მეგობარ ქვეყნების წრე არ შემოიფარგლება ჩვენი მეზობელი სახელმწიფოებით და, ფაქტობრივად, მსოფლიოს ყველა კონტინენტს მოიცავს. („საქართველოს რესპუბლიკა", №233, 1997 წლის 17 სექტემბერი, გვ. 2).

273. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ნებისმიერ სფეროში უნდა იქცეს კულტურით, სულიერებით, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტერესებით ახლო მდგომი ხალხებისა და სახელმწიფოების იმ თანაბარუფლებრივ ურთიერთობად, რომელსაც საფუძვლად სწორედ რომ სიყვარული უნდა დაედოს — საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ხალხის, ღვთისა და ადამიანის სიყვარული. ("საქართველოს რესპუბლიკა", №65, 1995 წლის 13 ივნისი, გვ. 1).

274. საქართველო უაღრესად მგრძნობიარეა ყველა მოვლენის მიმართ, რომელმაც შეიძლება სასიკეთო, ანდა, პირიქით, ნეგატიური გავლენა მოახდინოს რეგიონის მდგომარეობაზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №187, 1997 წლის 5 აგვისტო, გვ. 2).

275. საქართველო ძველი და მაღალი კულტურის, ხელოვნებათა დარგში უმდიდრესი ტრადიციების ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე აღრიცხულია არქიტექტურისა და ფერწერის მრავალი ათასი ძეგლი. ჩვენს მუზეუმებში ინახება ხალხის მატერიალური კულტურის ფასდაუდებელი ექსპონატები: ჭედური ხელოვნების, მინიატურების, ხელნაწერების კრებულები.* ("ლიტერატურული საქართველო", №28, 1973 წლის 13 ივლისი, გვ. 2).

276. საქართველო წარმოუდგენელია თეატრის გარეშე. იქნებ ეს ქართული ფენომენის ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაც იყოს — ორგანული შერწყმა ხელოვნებასთან, საერთოდ, კულტურასთან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №8, 1996 წლის 16 იანვარი, გვ.2).

277. საქართველომ მეოთხე საუკუნეში მიიღო ქრისტიანობა, ფაქტობრივად კი ზოგიერთმა რეგიონმა უფრო ადრეც. საქართველოსათვის ამ ფაქტმა ერთის მხრივ, გიგანტური როლი შეასრულა კულტურის, ზნე-ჩვეულების, ლიტერატურის და, ბოლოს, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, მეორე მხრივ, საქართველომ საუკუნეების მანძილზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გზა განვლო მუსულმანური ქვეყნების გარემოცვაში... ამ პროცესების შედეგად, მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი და უსასტიკესი ბრძოლისა, ცხოვრებამ თავისი ქნა და საქართველოში ჩამოყალიბდა სხვადასხვა რელიგიების თანაარსებობის უნიკალური ფენომენი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №259, 1992 წლის 22 დეკემბერი, გვ. 1).

278. საქართველოს არჩევანი დემოკრატიული, სამართლებრივი, სამოქალაქო საზოგადოების შენებისა, საბოლოოა, კონსტიტუციის მიღება და კონსტიტუციური ინსტიტუტების შექმნა უდიდესი შემობრუნებაა საქართველოს სამიათასწლოვან ისტორიაში. ჩვენი ქვეყანა არ გახლავთ გარიყული კუნძული, იგი მსოფლიო დემოკრატიის სივრცეში ცხოვრობს,

* თარგმნილია გაზეთიდან: "სოვეტსკაია კულტურა", №54, 1973 წლის 6 ივლისი, გვ. 2 (შემდგ.).

რომლის უმაღლესი მიზანია დემოკრატიული ცხოვრების წესების დამკვიდრების გზით ხორცი შეასხას ზოგადსაკაცობრიო იდეალებს, რაც ყოველ სახელმწიფოს, ყოველ მოქალაქეს განუმეორებელ მისიას მიაკუთვნებს ჩვენს პლანეტაზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №149-150, 1996 წლის 25 ივლისი, გვ. 1).

279. საქართველოს ბედი გარკვეული თვალსაზრისით სამაგალითოა. ქართველ ხალხს თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ თავდაუზოგავი ლტოლვა ძვირად დაუსვეს ყველა ჯურის რეაქციონერებმა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №256, 1993 წლის 3 დეკემბერი, გვ. 2).

280. საქართველოს ბედი ჩემი ბედიცაა... საქართველო თუ აღარ იქნება, დაე, მეც ნუღარ ვიქნები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1994 წლის 2 თებერვალი, გვ. 1).

281. საქართველოს ბედნიერება და მშვენიერება მის კუთხეთა მრავალფეროვნებაშია, საქართველოს მრავალფეროვან კუთხეთა ბედნიერება — საქართველოს ერთიანობაშია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №142–143, 1993 წლის 3 ივლისი, გვ. 1).

282. (საქართველოს — შემდგ.)...ბევრი ტკივილი აქვს, ბევრი გადაუჭრელი პრობლემა, მაგრამ მთავარი მაინც გაკეთდა, შეიქმნა საფუძველი იმისა, რომ განვაცხადოთ: სამუდამოდ დავცილდით ძველ წყობას, ხოლო ის გზა, რომელიც ავირჩიეთ, დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში, 2-3 წელიწადში მიგვიყვანს იმ სტატუსამდე, რომელსაც ჰქვია ჭეშმარიტად დემოკრატიული, ჭეშმარიტად თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი, მთლიანი და მაღალგანვითარებული სახელმწიფო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №2, 1998 წლის 4 იანვარი, გვ. 2).

283. საქართველოს ბუნება მარტო ლამაზი კი არა, მკაცრიცაა. ("საქართველოს ბუნება", №1, 1979, გვ. 5).

284. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა... არის ერთგვარი "ხიდი" გეოპოლიტიკურ "დასავლეთსა და აღმოსავლეთს", "ჩრდილოეთსა და სამხრეთს" შორის... ("საქართველოს რესპუბლიკა", №16, 1995 წლის 11 თებერვალი, გვ. 4).

285. საქართველოს დაბრუნება ცივილიზებულ ერთა ოჯახში, უწინარესად, იმ ღირებულებათა აღიარებას ნიშნავს, რომელთაც ეს ოჯახიც აღიარებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, ინდივიდის თავისუფლებაზე, კერძო ინიციატივასა და სამართლებრივ, დემოკრატიულ, სოციალურ სახელმწიფოზე ყოველგვარი ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ლიტონი სიტყვები იქნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №243, 1997 წლის 30 სექტემბერი, გვ. 2).

286. საქართველოს დემოკრატიული განვითარება შეუქცევადია და, რახან ეს ასეა, ქვეყანას აქვს მომავალი. ("საქართველოს მოქალაქეთა კავშირი",

1994 წლის 19 მარტი, გვ. 1).

287. ...საქართველოს დიდი ინტელექტუალური რესურსი აქვს და ეს ჩვენი ყველაზე დიდი სიმდიდრეა. („საქართველოს რესპუბლიკა", №45, 1998 წლის 24 თებერვალი, გვ. 2).

288. საქართველოს თავისი სახელმწიფოებრიობის მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში არასდროს პირველს არ გამოუცხადებია ომი. არასდროს არ უძებნია მტრები და არავისთვის არ უთქვამს უარი თავშესაფარზე, სითბოსა და მასპინძლობაზე. ასეთია, საბედნიეროდ, ზოგჯერ კი მისთვის საუბედუროდ, ამ ქვეყნის ხასიათი, მისი გენეტიკური მენტალიტეტი. ასეთი იქნება იგი კვლავაც ყველასთვის, ვინც ჩვენთან მშვიდობით მოვა. („საქართველოს რესპუბლიკა", №262, 1992 წლის 26 დეკემბერი, გვ. 2).

289. საქართველოს ინტერესები განუყოფელია მსოფლიო საზოგადოებრიობის ინტერესებისაგან — ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის მორალური, ზნეობრივი კოდექსი საკაცობრიო ღირებულებათა, კაცობრიობის ეთიკური სისტემის ნაწილია. („საქართველოს რესპუბლიკა", №45, 1998 წლის 24 თებერვალი, გვ. 2).

290. საქართველოს ინტერესებშია ჩვენ საქმე გვქონდეს სტაბილურ რუსეთთან, სადაც განვითარებას ტონს აძლევენ დემოკრატიული ძალები. („იბერია-სპექტრი", №71, 1993 წლის 16-22 მარტი, გვ. 3).

291. საქართველოს ისტორიას მთელი ქართველი ერი ქმნის. („საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 2).

292. საქართველოს მთავარი შეცდომა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობის უგუნური კურსის ფორმირება იყო. ეს გახლდათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, არა სახელმწიფოებრივი, არამედ ქუჩური დიპლომატია. სწორედ ეს კურსია ამ სფეროში ყველა ჩვენი უბედურების უმთავრესი მიზეზი. („საქართველოს რესპუბლიკა", №112, 1994 წლის 21 ივნისი, გვ. 1).

293. საქართველოს, მისი სახელმწიფოებრიობის ცივილიზაციისა და კულტურის ისტორია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. XX და XXI საუკუნეების, ქრისტეს აქეთ მეორე და მესამე ათასწლეულების გზაგასაყართან, 2000 წლამდე — უახლოეს ორ-სამ წელიწადში ჩვენ საზეიმოდ აღვნიშნავთ საქართველოს მრავალსაუკუნოვან იუბილეს...

ამ ოცდაათი საუკუნის მანძილზე მრავალტანჯულმა საქართველომ გამოიარა, ხატოვნად რომ ვთქვათ, დანტეს ჯოჯოხეთის ყველა ცხრა წრე, გოლგოთას სისხლიანი ჯვარცმა, მაგრამ ერის ისტორიამ, ერის გაუტეხელმა ნებამ და აღმშენებელმა, ჰეროიკულმა სულმა მაინც გააცხადა ისტორიის ფილოსოფიური საზრისი და სტრატეგიული მიზანი: ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია. („საქართველოს რესპუბლიკა", №120, 1997 წლის 27 მაისი, გვ. 1, 3).

294. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, როგორც პოლიტიკური პარტია, თავისი წესდებით, პროგრამით, პირადი შემადგენლობით, თავისი პოლიტიკური, ფილოსოფიური, კულტურული და რელიგიური იდეებით, თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიო პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური მოძრაობების ქართული ანალოგია. („თბილისი", №19, 1998 წლის 24 თებერვალი, გვ. 1).

295. საქართველოს მოქალაქეთა კავშირი ჩვენი ქვეყნის სტაბილურობის ერთ-ერთი უმთავრესი ბირთვია და სწორედ ამიტომ გაიმარჯვა არჩევნებში. არათუ ვნანობ, არამედ ვამაყობ იმით, რომ ვიყავი საქართველოში ასეთი პარტიის დაფუძნების ინიციატორი, რომლის იდეოლოგია სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა გახდა. გამოუსწორებელ შეცდომას დავუშვებდი, ასეთი კავშირის, მოძრაობის დაფუძნებაზე რომ უარი მეთქვა. („საქართველოს რესპუბლიკა", №261, 1997 წლის 21 ოქტომბერი, გვ. 2).

296. საქართველოს მრავალეროვანმა ხალხმა საკუთარი მწარე გამოცდილებით იცის, რა ძვირად უჯდება ქვეყანას პოლიტიკური პრობლემების ძალადობრივი მეთოდებით გადაწყვეტა.

... საქართველომ მხოლოდ კონსტიტუციური გარანტიებით განმტკიცებულ განვითარების დემოკრატიულ გზაზე დადგომით მოიპოვა კვლავ რწმენა და საზოგადოებრივი სტაბილურობა.

ამ გზისთვის კი მიუღებელია ძალადობა და შეურიგებლობა. („საქართველოს რესპუბლიკა", №196, 1996 წლის 28 სექტემბერი, გვ. 1).

297. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე სახელმწიფოს წინაშე მდგომ პრობლემათაგან ყოველთვის ყველაზე რთული იყო მეზობლებთან ურთიერთობის პრობლემა. მის მოუგვარებლობასთან არის დაკავშირებული ქვეყნის ისტორიის ყველაზე შავბნელი ეპიზოდები — სახელმწიფოს დანაწევრება, სახელმწიფოებრიობის ნგრევა, ასიათასობით ქართველის განადგურება და სხვა ქვეყნებში ყმებად გარეკვა. ამდენად, შესანიშნავი ურთიერთობა მეზობლებთან დღევანდელი საქართველოსათვის უდიდესი მონაპოვარია. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ, ვცხოვრობთ რა მსოფლიოს ერთ-ერთ ურთულეს რეგიონში, სამაგალითო ურთიერთობა გვაქვს უკლებლივ ყველა მეზობელთან — აზერბაიჯანთან, სომხეთთან, რუსეთთან, ირანთან, უკრაინასთან, ბალკანეთის ქვეყნებთან. ეს განსაკუთრებული კაპიტალია და ჩვენ მას თვალისჩინივით ვუფრთხილდებით. („საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

298. საქართველოს რეგიონთა შორის, გამორჩეულია აჭარა, როგორც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, თვალნათელი მაგალითი სტაბილურობისა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აჭარა ქართული

სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ბურჯი იყო და იქნება მუდამ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1998 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

299. საქართველოს, როგორც სატრანსპორტო საკვანძო ქვეყანას, დიდი მომავალი აქვს, რაც განაპირობებს მისდამი და მთელი კავკასიის რეგიონისადმი სხვა ქვეყნების ინტერესების გაზრდას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №195, 1997 წლის 13 აგვისტო, გვ. 1).

300. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ახალი ურთიერთობის მშენებლობა რუსეთთან. უაზრობა იქნება, თუკი ვინმე შეეცდება რუსეთის როლის იგნორირებას თანამედროვე მსოფლიოში. რუსეთს შეუძლია უნიკალური მისია შეასრულოს კავკასიაში სტაბილურობისა და მშვიდობის დამკვიდრებაში. არა გვგონია, კავკასიაში უკანასკნელ ხანს განვითარებული დრამატული მოვლენების გათვალისწინებით, ჩვენს დიდ ჩრდილოელ მეზობელს საგარეო პოლიტიკაში ჰქონდეს იმაზე უფრო დიდი საზრუნავი, ვიდრე ის, რომ თავის სამხრეთ საზღვრებზე ჰყავდეს ძლიერი, სტაბილური, ეკონომიკურად აყვავებული, განჭვრეტადი და სამეგობროდ განწყობილი მეზობლები. მხოლოდ სტაბილური, სწრაფად განვითარებადი სამხრეთ კავკასია უნდა შეესაბამებოდეს რუსეთის სადღეისო და სახვალიო ინტერესებს. მე, უწინარეს ყოვლისა, საქართველო მაქვს მხედველობაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1997 წლის 20 თებერვალი, გვ. 2).

301. საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე ყოველთვის დიდ გავლენას ახდენდა და მომავალშიც მოახდენს მეზობელი დიდი სახელმწიფოების ან სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებების გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი ინტერესები და პოლიტიკური კურსი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №16, 1995 წლის 11 თებერვალი, გვ. 4).

302. საქართველოს სახელმწიფოებრიობის წერილობითი ისტორია 25 საუკუნეზე მეტს ითვლის, მაგრამ ჩვენს ხალხს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები გააჩნდა ჯერ კიდევ ჰომეროსის ეპოქაში. ამაზე მეტყველებენ ელინური, რომაული, ბიზანტიური და სხვა უცხოური ძეგლები. როგორც წყაროები ადასტურებენ, 2300 წლის წინათ შეიქმნა პირველი ქართული ანბანი. მეოთხე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა. ამავე ეპოქაში დაფუძნდა მსოფლიოში ცნობილი ფაზისის აკადემია. მეთორმეტე საუკუნეში დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე შოთა რუსთაველი დგება აღმოსავლური რენესანსის სათავეებთან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №108, 1993 წლის 27 მაისი, გვ. 1).

303. საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის. ეს ბრძოლა მრავალი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა თავისთავადი ეროვნული კულტურის ჩამოყალიბების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარწმუნოებისა და ენის დაცვის ერთიანი კალაპოტით. ჩვენი წელთაღრიცხვის 337 წელს ქრისტიანობამ, როგორც სახელმწიფო რელიგიამ, დალოცა საერთო საზღვრებში გასაერთიანებლად შემართული ქვეყანა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №194-195, 1992 წლის 29 სექტემბერი, გვ. 1).

304. საქართველოს სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შევძლებთ ჩვენ ძმურად, მეგობრულად, როგორც თანამოქალაქეებმა, ვიცხოვროთ ყველა ხალხთან, რომლებიც დღეს საქართველოში რეალურად ჩვენთან ერთად ცხოვრობენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №63, 1994 წლის 19 აპრილი, გვ. 2).

305. საქართველოს სურს კეთილმეზობლური, მეგობრული, თანამშრომლობაზე დამყარებული კავშირი ჰქონდეს ყველა მეზობელ ქვეყანასთან და იმ სახელმწიფოებთან, რომლებსაც უდიდესი პოტენციალის გამო შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ჩვენს რეგიონში ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების განვითარებაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №194, 1997 წლის 12 აგვისტო, გვ. 2).

306. საქართველოს ულამაზესი ბუნების დაცვა, სამონადირეო მეურნეობის შემდგომი განვითარება, სასარგებლო ნადირ-ფრინველის გამრავლება, ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლა დიდი ეროვნული საქმეა. საჭიროა... ნამდვილ სახალხო საქმედ ვაქციოთ ბუნების დაცვა და მოვლა-პატრონობა. ("საქართველოს ბუნება", №5, 1968, გვ. 11).

307. საქართველოს უნიკალური გეოპოლიტიკური მდებარეობა უჭირავს. ამიტომ მოგვიხდა უამრავი ომის გადატანა, რათა გაგვეძლო და არსებობა შეგვენარჩუნებინა. ("სოფლის ცხოვრება", №23-24, 1993 წლის 27 მარტი, გვ. 2).

308. საქართველოს ქალაქთა დედა — თბილისი ოდითგანვე ძმობისა და მეგობრობის ისტორიული ქალაქი იყო კავკასიისა და ამიერკავკასიის ყველა ხალხისათვის. თბილისი XIX საუკუნეში, საქართველოსა და კავკასიის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ამიერკავკასიისა და კავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1983, გვ. 38).

309. საქართველოს, ქართველი ერის, ქართული ცივილიზაციის ისტორია, ქართული ეზოთერული ცოდნა, ქართული მითოსი, ქართული მართლმადიდებელი ქრისტიანობის ისტორია, სახელმწიფოებრიობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის გამოცდილება, რუსთაველის ფილოსოფია, ილიას მოძღვრება, ხალხის, რიგითი მოქალაქეების გმირული ცხოვრება და მოწამეობა, ქართველი მოაზროვნეების მემკვიდრეობა, საქართველოს დიდთა მეფეთა, ქართველი პოლიტიკოსების თავდადებული მოღვაწეობა — ის ამოუწურავი და უკიდეგანო, უშრეტი საგანძურია, რომლის ჩამოქნაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მსოფლმხედველობად სავსებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგვიძლია და წლების განმავლობაში მას უნდა მივაღწიოთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 3).

310. ...საქართველოს ყველა მოქალაქე, ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელი თანასწორია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №104, 1997 წლის 8 მაისი, გვ. 2).

311. საქართველოს წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში დიდია, რაც, შეიძლება, ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული. ("საქართველოს რესპუბლიკა", №78, 1997 წლის 5 აპრილი, გვ. 1).

312. საქართველოს ხელისუფლებას აქვს ძალაც და უფლებაც დაიცვას სტაბილურობა და ამით დაიცვას ქართული დემოკრატია, რომელიც (გადაუჭარბებლად ვიტყვი) უკვე მსოფლიო დემოკრატიული ფენომენის ნაწილად იქცა (თუნდაც ქაოსიდან, კრიმინალური ანარქიიდან, სამოქალაქო ომიდან გამოსვლის, უმძიმეს ჭრილობათა მოშუშების განსაცვიფრებლად სწრაფი ტემპით). ეს მხოლოდ საქართველოს ღირსება როდია — ეს ღირსებას მატებს ზოგადად დემოკრატიულ ფენომენს, დემოკრატიულ მსოფლმხედველობას. — საქართველოს მაგალითი ამტკიცებს, რომ სავსებით შესაძლებელია დემოკრატიული პრინციპების დაურღვევლად, ადამიანის უფლებათა პატივისცემის პირობებში, საგანგებო ზომების, დემოკრატიის თუნდაც დროებითი შეზღუდვის გარეშე, ქვეყანამ დაძლიოს არასტაბილურობა და სამოქალაქო ომის შედეგი. დემოკრატიის შეუზღუდველობაზე რომ ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს კონსტიტუციური უფლებები, კონსტიტუციის დაცვა, დემოკრატიული წყობის კონსტიტუციური საფუძვლები. ამ ზნეობრივ მონაპოვარს არავის დავუთმობთ. არც ძალა გვაკლია და არც ნებისყოფა. დარწმუნებული ვარ, მხარს დაგვიჭერს მთელი საზოგადოება, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქართული დემოკრატიის მონაპოვარი. არავის მივცემთ უფლებას შეურაცხყოს ერის ნება, ხალხის ნება. ამიტომ ვიმოქმედებთ მტკიცედ, პრინციპულად, ოღონდ კანონისა და კონსტიტუციით მინიჭებული უფლება-მოვალეობის ფარგლებში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №261, 1997 წლის 21 ოქტომბერი, გვ. 2).

313. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მრავალი ხიდია გადებული და ერთ-ერთი მთავარი მათ შორის ჩვენი აზერბაიჯანელი თანამემამულეები არიან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №109, 1997 წლის 14 მაისი, გვ. 1).

314. საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ბოლოდროინდელი ურთიერთობაც მაგალითია, კერძოდ იმისა, თუ როგორი უნდა იყოს დიდი და მცირე ქვეყნის დამოკიდებულება. ბოლო წლების საქართველო მაგალითია აგრეთვე იმისა, თუ რა შედეგები მოაქვს დანაწევრების პირას მისული, დანგრეული და გაპარტახებული, მაგრამ დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის, ადამიანის უფლებებისა და

პიროვნების თავისუფლების ერთგული ქვეყნისათვის უდიდესი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ზნეობრივ თანადგომას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

315. საქართველოსა და თურქეთს შორის ძმური ურთიერთობა არის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №165, 1995 წლის 8 ნოემბერი, გვ. 1).

316. საქართველოსა და ირანის ხალხები მთელი პერიოდის მანძილზე უახლოესი ძაფებით იყვნენ გადაბმულნი... და ამიტომ სრულიად ბუნებრივია ისიც, რომ საქართველოს სულიერ და კულტურულ მემკვიდრეობაში მრავლად მოიპოვება სპარსული კულტურის ელემენტები. ქართველ ხალხსაც არცთუ მცირე როლი შეუსრულებია ირანის ისტორიაში. საქართველო-ირანის ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან გზაზე იყო როგორც უაღრესად გულითადი მეგობრობის, ისე გარკვეული სირთულეებით აღსავსე პერიოდები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №11, 1993 წლის 17 იანვარი, გვ. 1).

317. საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობას მე ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი. ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობას ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ სფეროებში, მეცნიერებაში ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს, ვინაიდან ქართველი და ებრაელი ხალხების გულწრფელი მეგობრობისა და ურთიერთსიმპათიის ათასწლოვან ტრადიციას ეფუძნება.

...საქართველოსა და ისრაელის თანამშრომლობა, შეიძლება, გადაიქცეს ხიდად კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №16, 1998 წლის 21 იანვარი, გვ. 2).

318. საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თანასწორობისა და პარტნიორობის საფუძველზე ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობას რუსეთთან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 3).

319. საქართველოში ადამიანთა უფლებათა დაცვა ჩვენი ერის ჰუმანურ ტრადიციას ემყარება და გარანტირებულია საქართველოს ახალი კონსტიტუციით, რომელშიც ასახვა ჰპოვა კაცობრიობის ყველაზე მოწინავე გამოცდილებამ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 1).

320. ...საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ჩვენი ერის ჰუმანურ ტრადიციებს ემყარება და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით... ამ სფეროში საკონსტიტუციო მოთხოვნის შესრულება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №91, 1997 წლის 22 აპრილი, გვ. 2).

321. ... საქართველოში არ არის არაქართული მიწები, ამიტომ ყოველთვის აღვკვეთთ ჩვენი საზღვრების შეცვლისა და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ცალმხრივ ცდებს. („საქართველოს რესპუბლიკა", №127, 1992 წლის 11 ივლისი, გვ. 2).

322. საქართველოში არ არის არაქართული მიწები, და ეს ყველამ უნდა შეიგნოს. („საქართველოს რესპუბლიკა", №143, 1992 წლის 31 ივლისი, გვ. 2).

323. საქართველოში არასოდეს არ შეწყდება იმაზე კამათი, მართებული იყო თუ არა ერეკლე მეფის პოლიტიკური ნაბიჯი — რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატის დადება. რა იყო ეს — ისტორიის ფატალური ნების გამოვლენა თუ ქართული სახელმწიფო პოლიტიკის მარცხი? ან, იქნებ, ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენის ერთადერთი გზა?

ვიფიქროთ ამაზე — რადგან ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის მოქცეული საქართველო მართლა იდგა ყოფნა-არყოფნის წინაშე.

ასეა თუ ისე, სწორედ ერეკლეს ამ ნაბიჯის წყალობით ჩვენ გადავრჩით და დღემდე მოვედით. („საქართველოს რესპუბლიკა", №173, 1995 წლის 22 ნოემბერი, გვ. 1).

324. საქართველოში არიან დიდი მოაზროვნენი. დიახ, არიან დიდი მოღვაწენი, რომლებიც ნათლად ხედავენ ქვეყნის დღევანდელობის ავკარგს, ხვალინდელ დღეს. სწორედ ისინი ჰყავთ მხედველობაში ჩვენს საზღვარგარეთელ გულშემატკივრებს, როცა გაოცებას გამოხატავენ ჩვენი ხალხის მაღალი ინტელექტუალური დონით, მსოფლიო მოვლენათა შემეცნების საოცარი უნარით, ურთულეს მოვლენებში ღრმად ჩახედვისა და სწორი ორიენტირების ნიჭით, საკუთარი ღირსების დაფასებით, სხვათა არდაკნინებით, მათი პატივისცემითა და თავისი ტოლერანტობით. („საქართველოს რესპუბლიკა", №187, 1997 წლის 5 აგვისტო, გვ. 2).

325. საქართველოში არსებობს სხვადასხვა რელიგიების თანაარსებობის უნიკალური ცხოვრებისეული გამოცდილება. ჩვენთან ნებისმიერი რელიგიის სრული თავისუფლებაა. ისლამის რელიგიის ასიათასობით მორწმუნეა. 26 საუკუნეა, რაც ებრაელები ცხოვრობენ საქართველოში. აქ არიან კათოლიკეები, გრიგორიანელები — და სხვა. („საქართველოს რესპუბლიკა", №259, 1992 წლის 22 დეკემბერი, გვ. 1).

326. ...საქართველოში გამოქვეყნებული მასალა რუსეთს დიდ ზიანს ვერ მიაყენებს. იქ გამოქვეყნებული მასალები და იქ ჩამოყალიბებული კონცეფციები და, ასე ვთქვათ, დოქტრინები, რომლებიც ოფიციალურ პრესაში ქვეყნდება და თანაც ბევრ მათგანს ხელს აწერენ ცნობილი მოღვაწეები, ეს უკვე თუ სახელმწიფო პოლიტიკა არა, პოლიტიკასთან მიახლოებული კურსია. („საქართველოს რესპუბლიკა", №85, 1997 წლის 15 აპრილი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

327. (საქართველოში – შემდგ.) ერების სულიერი განვითარებისა და დაახლოების საქმეს მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრება, რომელიც ინტერნაციონალიზმითა და პატრიოტიზმით არის განმსჭვალული. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 71).

328. (საქართველოში – შემდგ.)... მართალია, ხშირად გაწყვეტილა პოლიტიკურ დროთა დენა, – ხან ერთი, ხან მეორე ორიენტაციით, – მაგრამ ისტორიულ და ეროვნულ დონეზე მარად უწყვეტია დროთა კავშირი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №175, 1995 წლის 27 ნოემბერი, გვ. 1).

329. საქართველოში მუდამ თანაარსებობდნენ სხვადასხვა რელიგიები: ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი – ეკლესია, სინაგოგა, მეჩეთი.

ქრისტიანი მეფის დავით აღმაშენებლის კარზე მოღვაწეობდნენ მაჰმადიანი პოეტები, ფილოსოფოსები, მოაზროვნენი. ეს ქართული ისტორიული ტრადიციაა და ისტორიული გაკვეთილია. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა რელიგიათა თანაარსებობა, ჰუმანიზმისა და კაცთა მოდგმის გადასარჩენად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 5).

330. საქართველოში პოლიეთნიკური ძმობის ტაძარი ისევე ამაყად დგას, როგორც იდგა, მისი შემუსვრის აურაცხელი ცდების მიუხედავად.

დრო-ჟამმა ვერაფერი დააკლო ჩვენს ეროვნულ თავისთავადობას, რომელიც დიდი კულტურული მემკვიდრეობის ზღვარზე აღმოჩნდა და რომელსაც ქართველები იარაღით ხელში იცავდნენ ათასწლეულების მანძილზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 3).

331. საქართველოში ტრადიციულად ძალიან დიდი ყურადღება ექცევა ქართველთა და ებრაელთა 26-საუკუნოვანი თანაცხოვრების ზოგად-საკაცობრიო მნიშვნელობის ფენომენს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №9, 1998 წლის 13 იანვარი, გვ. 2).

332. (საქართველოში – შემდგ.) უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობისა და მათი განვითარებისათვის ტრადიციული ზრუნვა, განათლების შვიდ ენაზე მიღების გარანტიები, მოქალაქეობრივ თავი-სუფლებათა დაცვის მთელი რიგი კანონები – ეს ის მაჩვენებელია, მაღალ, ევროპულ სტანდარტებს რომ გვაახლოებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 3).

333. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ჩვენ განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს რუსეთთან, თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან. ჩვენ ყველანი ერთად ერთიანი ევრაზიული სივრცის ფორმირებისაკენ ვისწრაფვით. სწორედ რუსეთია ამ მხრივ ყველაზე დაწინაურებული და ეს კარგია. უამპროცესოდ ლაპარაკი "საქართველოს ევროპულ სა-

ხალხზე", — როგორც ადრე იყო ეს მიღებული, თუ "ევროპულ არქიტექტურაზე", როგორც ახლა უყვართ საუბარი, მხოლოდ დემაგოგია იქნება. ახალ სივრცეში ყველა ქვეყანას თავისი ადგილი ექნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №33, 1997 წლის 11 თებერვალი, გვ. 1).

334. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ღრმა ისტორიული ფესვები აქვს ჩვენი ორი უძველესი ხალხის (ბერძენი და ქართველი ხალხის — შემდგ.) ურთიერთობას. იგი ფართოდ არის ასახული ისტორიულ წყაროებში, ლეგენდებში, მითოლოგიაში. ამდენად, შეიძლება ითქვას, გლობალურ ფასეულობას წარმოადგენს და ამიტომაც დაწვრილებით არის შესასწავლი არა მარტო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №238, 1997 წლის 23 სექტემბერი, გვ. 2).

335. სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან, მაგრამ თავისთავად საქართველოში სახელმწიფო მუდამ ზრუნავდა ეკლესიაზე და ეკლესია — სახელმწიფოზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №323, 1997 წლის 26 დეკემბერი, გვ. 2).

336. სახელმწიფო ენა ყველამ უნდა ისწავლოს, მაგრამ ჩვენ უნდა შევქმნათ პირობები იმისათვის, რომ ამ ენისადმი, კულტურისადმი, პატივისცემას მივაღწიოთ სხვა ერებისა და ენებისადმი ჩვენი პატივისცემითაც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №37, 1996 წლის 2 მარტი, გვ.3).

337. სვანეთი მართლაც საქართველოს ციხე-სიმაგრე და მისი თვალმარგალიტია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №119, 1995 წლის 12 სექტემბერი, გვ. 2).

338. ...სისხლიან წლებში იშვიათად გამოერეოდა ხოლმე მშვიდობიანობის ხანა და სწორედ მაშინ გაიბრწყინა XI-XIII საუკუნეებმა, როცა საქართველომ უცხოელ დამპყრობთა უღელი მოიცილა და შეუდგა აკადემიების მშენებლობას, ხელოვნებისა და ხელოსნობის წახალისებას. ეს იყო რუსთაველის ხანა, ქართულ კულტურაში მეგობრობისა და სიყვარულის, მეცნიერების და ჰუმანისტური სიკეთის აყვავების ხანა. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 75).

339. სიტყვიერი ტრაფარეტები და შტამპები სტიმულს არ აძლევს პატრიოტული მოვალეობის გრძნობას... ნამდვილი პატრიოტიზმი გონებისა და სულის ყოველდღიური დაძაბული მუშაობა, ყოველდღიური მამაცობაა, რომელიც უარყოფს იოლ გზებსა და გადაწყვეტილებებს. იგი არ სჯერდება საშუალო დონეებს, ესწრაფვის ყველაზე დიდ სიმაღლეებს ნებისმიერ საქმეში. ("კომუნისტი", №94, 1986 წლის 23 აპრილი, გვ. 2).

340. სიყვარული უნდა მეფობდეს საქართველოში — ეს ქვეყანა ხომ სიყვარულისთვის, შრომისთვის, შემოქმედებისთვის, სიმღერისთვის, სილამაზისთვის არის შექმნილი. შეუთავსებელია სიძულვილი, ზიზღი,

ბოლმა საქართველოსთან. საქართველოში მხოლოდ სიყვარული და სიკეთე გაიმარჯვებს, დარწმუნებული ვარ, ვერ იზეიმებს ბოროტება ჩვენს ქვეყანაში, რადგან იმდენი უბედურება გადავიტანეთ, რომ, ვფიქრობ, ყველა თაობამ გამოიტანა დასკვნები და ამ მადლიან მიწაზე ბოროტებას გაცილებით ნაკლები ძალა აქვს, ვიდრე სიკეთეს. („საქართველოს რესპუბლიკა", №39, 1998 წლის 17 თებერვალი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

341. სიცოცხლის უფლებასთან განუყრელად არის დაკავშირებული სიკვდილით დასჯის საკითხი. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს უძველესი ჰუმანური ტრადიცია. მე-12 საუკუნის საქართველო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო ევროპაში, სადაც არ გამოიყენებოდა სასჯელის ეს ფორმა. ამ ტრადიციამ თავისი გაგრძელება ჰპოვა დემოკრატიულ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში, რომელმაც მთლიანად გააუქმა სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის სახე. („საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 1).

342. (სოხუმის დაცემის შემდეგ — შემდგ.) შეიძლებოდა, იმ გზით წამოვსულიყავი, რომელიც ათიათასობით ლტოლვილმა აირჩია (სვანეთის მთები მაქვს მხედველობაში, ან აქეთ, სამეგრელოსაკენ), ანდა ისევე გამეწირა თავი, როგორც ეს გენერალმა გენო ადამიამ გააკეთა და სხვებმა და სხვებმა. მაგრამ მაშინ ეს სამშობლოს ღალატი იქნებოდა. ჰაერში უკვე ტრიალებდა სამოქალაქო ომის დენთის სუნი. („საქართველოს რესპუბლიკა", №268, 1997 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

343. სტაბილიზაციის, აღორძინებისა და აღმავლობის პროცესი საქართველოში შეუქცევადია. ამ პროცესს მხარს უჭერს ყველა კეთილგონიერი ადამიანი და ყველა კეთილგონიერი პოლიტიკური მოღვაწე, განურჩევლად პოლიტიკური მრწამსისა — ოპოზიციონერი იქნება იგი თუ ხელისუფლების მომხრე. („საქართველოს რესპუბლიკა", №261, 1997 წლის 21 ოქტომბერი, გვ. 2).

344. სტაბილური, დემოკრატიული და განუყოფელი რუსეთი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს ინტერესებს შეესაბამება. („საქართველოს რესპუბლიკა", №212, 1996 წლის 22 ოქტომბერი, გვ. 2).

345. ...სულგრძელობა და მიმტევებლობა... ქართველ კაცს ოდითგანვე ახასიათებდა. („საქართველოს რესპუბლიკა", №48, 1992 წლის 21 მარტი, გვ. 2).

346. სხვათა შორის, სტრასბურგიდან დაბრუნების შემდეგ (1997 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში — შემდგ.) პრესის წარმომადგენლებს გავუზიარე ჩემი შთაბეჭდილებები და მოსაზრებები: რას ნიშნავს ევროპულ ინტეგრაციაში ჩართვა. ეს არის, პირველ ყოვლისა, ცხოვრების დონის გათანაბრება, ჩვენი ცხოვრების პოლიტიკური დონის, პოლიტიკური კულტურის ამაღლება, ჩვენი თვითმყოფადობის, ეროვნულობის, ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, ჩვენი კულტურული ფენომენის შენარჩუნება

და გადარჩენა. სტრასბურგი ახალი მოვლენა იყო არა მარტო საქართველოსთვის, არამედ საერთოდ ევროპული ცხოვრებისათვის. ამიტომაც მოძრაობას საერთაშორისო ევროპული ინტეგრაციისაკენ უნდა მიეცეს უფრო მიზანმიმართული ხასიათი და ეს იდეალები თითოეული მოქალაქის კუთვნილებად უნდა იქცეს. („საქართველოს რესპუბლიკა", №263, 1997 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 3).

347. ტყე საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის უმნიშვნელოვანესი რგოლი და ეროვნული სიმდიდრის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ტყით დაფარულია (ბევრს შეიძლება აღარც ახსოვს) ქვეყნის საერთო ფართობის ორმოცი პროცენტი, მერქნის საერთო მარაგი კი 450 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. ასეთი რესურსებით მდიდარი ბევრი ქვეყანა არ არის, მათ შორის ჩვენს რეგიონშიც. („საქართველოს რესპუბლიკა", №177, 1996 წლის 3 სექტემბერი, გვ. 2).

348. ტყეზე და მცენარეებზე ზრუნვა მე ოჯახიდან მომდევს. სისხლში მაქვს, თუ შეიძლება ითქვას... ჩემი ოცნება იყო საქართველო კაკლების ქვეყანა გამხდარიყო და ეს დღესაც ჩემს ოცნებად რჩება, არა მარტო იმიტომ, რომ ლამაზია ან ბუნების დაცვის თვალსაზრისით, არამედ ცხიმებით ისეთი ღარიბი ქვეყნისათვის, როგორიც არის საქართველო, კაკალი შეიძლება საქართველოს ეროვნულ სიმბოლოდაც კი იქცეს. („დედამიწა", №8, 1993 წლის 22 აპრილი, გვ. 2).

349. ... უნდა გვესმოდეს, რომ სხვების დამოკიდებულებაც იმისადმი, რაც ჩვენში ხდება, შექმნის ჩვენს გარემომცველ პოლიტიკურ და ფიზიკურ გარემოსაც. („კომუნისტი", №245, 1989 წლის 25 ოქტომბერი, გვ. 1).

350. ურყევად მჯერა: აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემა შეიძლება გადაწყდეს და გადაწყდება ქართველ, აფხაზ, ოს ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრების საუკუნოვან ტრადიციებზე დაყრდნობით.

აფხაზი და ოსი ხალხის თავისუფალი, ბედნიერი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ქართველ ხალხთან ერთად, ერთიან ფედერაციულ საწყისებზე აგებული სახელმწიფოს ფარგლებში, რომელშიც თანაბრად იქნება დაცული და გათვალისწინებული ყოველი მოქალაქის უფლება, განურჩევლად ეროვნებისა, როგორც ეს განსაზღვრულია უმაღლესი საერთაშორისო ნორმებით.

ჩვენი ქვეყანა საუკუნეთა განმავლობაში რელიგიური და ეთნიკური შემწყნარებლობის მაგალითი იყო. ამ ტრადიციას არასდროს ვუღალატებთ. („საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1998 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

351. უძველესი ქართული, კავკასიური ტრადიციაა — ქალის მიერ მანდილის ჩაგდება ორ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმულ მეომარს შორის. იგი წყვეტდა სისხლისღვრას. ქალის მანდილი ოდითგანვე საქართველოში მშვიდობის სიმბოლო იყო. („საქართველოს რესპუბლიკა", №205,

1996 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 3).

352. ფართოდ არის ცნობილი ის ისტორიული ფაქტი, რომ თავის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქართველი ხალხი... მოწინავე ქართველი საზოგადო მოღვაწენი, იბრძოდნენ რა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, მუდამ იყვნენ, დიდი ქართველი პოეტის — აკაკი წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალგაზრდა, სინათლისაკენ მიმსწრაფი რუსეთის მიმდევარნი. (ე. ა. შევარდნაძე, "საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 15).

353. ფარსმანის შემდეგ 18 საუკუნის განმავლობაში მისი რანგის (ქართველი — შემდგ.) მოღვაწე რომში არ ყოფილა.

იტალიის პრემიერ-მინისტრის მიღებაზე (1997 წლის 15 მაისს — შემდგ.) ვთქვი, რომ ქართველები ალღოიანი ხალხი ვართ. 18 საუკუნის წინათ იცოდა ჩვენმა წინაპარმა, რომ ყველა გზა რომისკენ მიდის. ჩვენც დღეს დავუბრუნდით ამ ჭეშმარიტებას, და მოვუწოდებთ ხალხებს, რომლებსაც დავიწყებული აქვთ იგი, რაც შეიძლება სწრაფად მიბაძონ ჩვენს მაგალითს... ("საქართველოს რესპუბლიკა", №113, 1997 წლის 18 მაისი, გვ. 1).

354. ...ფაშიზმის განადგურება უმნიშვნელოვანესი ეტაპია ცივილიზაციის, დემოკრატიის განვითარების ისტორიაში. ქართველი ხალხის მონაწილეობა ფაშიზმზე გამარჯვებაში უნდა განვიხილოთ, როგორც ცივილიზაციისა და დემოკრატიის განვითარებაში შეტანილი უნიკალური წვლილი. რაც შეეძლო მცირერიცხოვან ხალხს გაეკეთებინა, იმაზე მეტი გააკეთა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს არის უნიკალური წვლილი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №22, 1995 წლის 28 თებერვალი, გვ. 2).

355. ...ფოთი საქართველოს ჭიშკარია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 2).

356. ქართველ და აზერბაიჯანელ ერთა მეგობრობას კეთილგანწყობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების მტკიცე ტრადიცია უდევს საფუძვლად. ბოლო დროს კი ამ მეგობრობამ ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ხასიათი შეიძინა. ჩვენ გვაკავშირებს არა მხოლოდ წარსული და აწმყო, არამედ მომავლის იმედიც — ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საერთო ძალისხმევით აშენდება ერთა და კულტურათა დამაკავშირებელი "ევრაზიული ხიდი", — კავკასია იქცევა კონსტრუქციული რეგიონული თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს ცენტრად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1997 წლის 1 იანვარი, გვ. 4).

357. ქართველ ერს ტოლერანტობის ხანგრძლივი და საამაყო ისტორია აქვს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 2).

358. (ქართველ ერში — შემდგ.)... სანამ შემოქმედებითი სული არ ჩამქრალა, და დარწმუნებული ვარ, რომ არც ჩაქრება, საქართველო იცოცხლებს და გაიმარჯვებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №91-92, 1994 წლის

24 მაისი, გვ. 1).

359. ქართველ ხალხს საუკუნეების მანძილზე პატრიოტიზმის, ძმობის, მეგობრობის, ჭირში ერთმანეთის გატანის, ქალისადმი პატივისცემის, სტუმართმოყვარეობის ბევრი კარგი ტრადიცია აქვს შემუშავებული. მათ ფართო პროპაგანდა უნდა გავუწიოთ. ამ ტრადიციებზე მომავალი თაობის აღზრდა დამნაშავეობის აღკვეთის მნიშვნელოვანი პირობაა. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1966, გვ. 50).

360. ქართველების ბედი ქართველთა ხელშია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №101, 1993 წლის 18 მაისი, გვ. 3).

361. ქართველებისათვის, ისე როგორც სხვა ხალხებისათვის, რომლებიც ცნობილი არჩევანის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდნენ, მთავარი და განმსაზღვრელი, რაც იზიდავდა მათ რუსი ხალხისაკენ, უნდა ვეძებოთ მის ბუნებასა და ხასიათში, მრავალი საუკუნის მანძილზე რომ ყალიბდებოდა. (ე.ა. შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 121).

362. ...ქართველებმა ძალიან კარგად ვიცით (ისევე, როგორც სხვებმა, მაგრამ ამჯერად ქართველებზე ვლაპარაკობ) ეროვნულ ღირებულებათა განსაკუთრებული ფასი, ამ ფენომენის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ის, რაც სხვა ერის კუთვნილებაა და ძალით არის წართმეული, მასვე უნდა დაუბრუნდეს. ასეთია სამართლიანობის პრინციპი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №222, 1996 წლის 5 ნოემბერი, გვ.2).

363. ქართველთა და აფხაზთა მომავალი თვით ამ ხალხებმა უნდა განსაზღვრონ, თავიანთი ბედი თვითვე უნდა გადაწყვიტონ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №162, 1993 წლის 27 ივლისი, გვ. 1).

364. ქართველთა და აფხაზთა შორის არ არის და არც შეიძლება იყოს არც ერთი გადაულახავი წინააღმდეგობა, არც ერთი პრობლემა, რომლის გადაჭრაც შეუძლებელი იქნებოდა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №114, 1994 წლის 24 ივნისი, გვ. 1).

365. (ქართველი დედები, ქართველი ქალები — შემდგ.) ...ერთ-ერთი უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა ჩვენი საზოგადოებისა, ჩვენი ძარღვია, როგორც იტყვიან, ჩვენი ძლიერების წყაროა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 4).

366. ქართველი ერი მუდამ იყო განთქმული თავისი ზნეობით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №101, 1993 წლის 18 მაისი, გვ. 3).

367. ...ქართველი ერი უმდიდრესი ტრადიციების მქონე ერია. ეს უზარმაზარი სიმდიდრე, რომელსაც ფასი არა აქვს, ჩვენი ხალხის უკვდავებისა და მისი აყვავების საწინდარი არის და იქნება, მე ამაში დარწმუნებული ვარ. ერთი წყება ამ ისტორიული ტრადიციებისა სხვა

ხალხებთან ურთიერთობის გენიალური ნიჭი, თანაცხოვრების უნარი და ჩვენი ხალხის ტოლერანტობა გახლავთ. („საქართველოს რესპუბლიკა", №123, 1995 წლის 19 სექტემბერი, გვ. 2).

368. ქართველი ერი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის შემქმნელი ერია. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია უხსოვარ დროში იღებს სათავეს. („საქართველოს რესპუბლიკა", №95-96, 1994 წლის 26 მაისი, გვ. 1).

369. ქართველი ერის ისტორიულ სვე-ბედში გეორგიევსკის ტრაქტატის მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ ეს მეგობრული ხელშეკრულება მოასწავებდა საქართველოს ისტორიის იმ ხანგრძლივი პერიოდის დასასრულს, როცა ჩვენი ხალხის მთელი ძალები ძირითადად ხმარდებოდა ეროვნული არსებობის შენარჩუნებას, ურიცხვი მტრის ურდოების ბარბაროსულ შემოსევათაგან თავდაცვას, მოასწავებდა ახალი პერიოდის დადგომას — რუს ერთან და რუსეთის სახელმწიფოს სხვა ხალხებთან ერთად მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური შემოქმედების ასპარეზზე გასვლას.

სწორედ ეს არის ტრაქტატის მთავარი სოციალური დედააზრი, მისი მთავარი პროგრესული მნიშნელობა. („კომუნისტი", №251, 1983 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 3).

370. ქართველი კაცი აკვნიდანვე იზრდებოდა სამშობლოს დამცველის, მეომრის სულისკვეთებით. მისი გონებრივი და ფიზიკური სრულყოფისაკენ მიმართული ცდის მიზანი სწორედ ჯარისკაცად — პროფესიონალ მეომრად ჩამოყალიბება იყო. ქართველ მხედართმთავართა და მეომართა გონიერებამ, პროფესიონალიზმმა, გმირობამ მისცა საშუალება მცირერიცხოვან საქართველოს გაეძლო ასჯერ მეტი მტრის ურიცხვი შემოსევებისათვის. ჩვენმა ქვეყანამ სამიათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში გადაიტანა ათასობით ომი, ჰქონდა აღზევებისა და დაცემის პერიოდები, მაგრამ არ დაუკარგავს სამშობლო და არ უქცევია თავისი ხალხი დედამიწის ზურგზე მოხეტიალე ერად. ეს, უპირველესად, ქართველი მეომრისა და სარდლის გონიერებისა და სიმამაცის დამსახურებაა. („საქართველოს რესპუბლიკა", №161, 1997 წლის 13 ივლისი, გვ. 1).

371. ქართველი კაცის გულსა და გონებაში ოდითგანვე გაერთიანებული იყო რწმენა და მამულის სიყვარული. რწმენამაც გადაგვარჩინა. მტერს ყოველთვის ესმოდა ეს და, ალბათ, ამიტომაც ისტორიულად მისი მახვილი უპირველესად ქართული ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული. გაუძლო საქართველომ ჟამთა სვლის მსახვრალ ხელს, ისტორიულ ძნელბედობას გაუძლო. და ეს, ალბათ, უწინარეს ყოვლისა, ისევ და ისევ ქართული ეკლესიის დამსახურებაა, რადგან სწორედ ეკლესია და

ჯვარი გახლდათ ის ძალა, რომელიც პატარა და დაუცველ საქართველოს ერთ მუშტად კრავდა განსაცდელის წინაშე. („საქართველოს რესპუბლიკა", №2, 1993 წლის 5 იანვარი, გვ. 1).

372. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც ამ კეთილშობილური საქმის (საქართველოს ბავშვებისათვის ჰუმანიტარული დახმარების — შემდგ.) განხორციელებაში მიუძღვის დიდ გერმანელ ხალხს. („საქართველოს რესპუბლიკა", №95 1997 წლის 26 აპრილი, გვ. 1).

373. ...ქართველი ხალხი, თუ არ დაკარგავს მადლიერების გრძნობას, — ასეთი რამ კი არასოდეს არ მოხდება, — მუდამ მადლიერი იქნება რუსეთისა, რომელმაც იხსნა ერი ფიზიკური და სულიერი განადგურების რეალური საფრთხისაგან.

რუსეთ-საქართველოს მეგობრობა გაცისკროვნებულია ბრწყინვალე სახელების, რუსი და ქართველი ხალხების ღირსეული შვილების მთელი თანავარსკვლავედით. („კომუნისტი", №234, 1973 წლის 6 ოქტომბერი, გვ. 4-5).

374. ...ქართველი ხალხი... ოდითგანვე აფასებდა ადამიანურ კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხედრულ მამაცობასა და ერთგულებას მეგობრობაში. (ე.ა. შევარდნაძე, „საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1983, გვ. 15).

375. ქართველი ხალხის სამხედრო გენია საქვეყნოდ არის აღიარებული. დავით აღმაშენებლის არმია არა მარტო სამხედრო თვალსაზრისით იყო უძლიერესი, არამედ მორალური თვალსაზრისითაც. („საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 5).

376. ქართველი ხალხის სული, ხასიათი, ნებისყოფა ყალიბდებოდა სამშობლოსათვის ათასწლოვან ომებში, იგი იწრთობოდა და იჭედებოდა ხმლითა და კალმით, გარჯითა და ნიჭით, იგი მდიდრდებოდა საუკუნეების მანძილზე სხვა ხალხებთან სამეურნეო, სამხედრო, კულტურული ურთიერთობების პირობებში. („საქართველოს კომუნისტი", №11, 1983, გვ. 14).

377. ქართველი ხალხის წვლილი ფაშიზმზე გამარჯვებაში განსაკუთრებულია, დაწყებული რიგითი ჯარისკაცით — მხედველობაში მყავს მელიტონ ქანთარია და არა მარტო იგი, — დამთავრებული უმაღლესი მთავარსარდლით, 700 ათასი ომის მონაწილით, 300 ათასი გმირულად დაღუპულით და ასე შემდეგ. („საქართველოს რესპუბლიკა", №42, 1995 წლის 18 აპრილი, გვ. 1).

378. (ქართველმა ერმა — შემდგ.)... საუკუნეთა ქარტეხილებს გაუძლო, ათასი ჭირ-ვარამი გამოიარა, ყველაფერი აიტანა და მაინც არ დაარღვია ფუძე, არ წააქცია დედაბოძი... და ღირსეულად ეზიარა საკაცობრიო კულტურის ყველა მონაპოვარს. ამის დასტურად იკმარებდა გვეხსენებინა

რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია, ვაჟა, გალაკტიონი, გვეხსენებინა ტკბილი ქართული სიმღერები, მოხდენილი, ღრმა შინაარსითა და დიდი აზრით სავსე ქართული ცეკვები, საქართველოს მთებსა და ველებზე მოფენილი ტაძრები — საოცარი ფრესკებითა და ჩუქურთმებით.

უძველესი კულტურის მქონე ქართველ ხალხს მუდამ სჯეროდა ახლის, მუდამ დროზე იძენდა მოწინავესა და პროგრესულს. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №56, 1961 წლის 12 მაისი, გვ. 2).

379. ქართველმა კაცმა ქრისტიანობა რომ იწამა, და ეს მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, მას ბრძოლა არ გამოუცხადებია სხვა რწმენისათვის, სხვა ხალხების ღმერთების წინააღმდეგ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №73, 1994 წლის 4 მაისი, გვ. 1).

380. ქართველმა ხალხმა დიდი ძნელბედობა გამოიარა. მრავალტანჯულ ქართულ მიწას ბევრი უცხოელი დამპყრობელი ახსოვს — ბერძენი და რომაელი კოლონიზატორები, არაბი და მონღოლი მძარცველები, ირანელი და თურქი ასიმილატორები. ჩვენი მიწის ყოველი მტკაველი უხვად არის მორწყული მამულის დამცველთა სისხლით.

მაგრამ საქართველო ზღაპრული ფენიქსივით კვლავ და კვლავ აღსდგებოდა ხოლმე ნანგრევებიდან და ნაცარტუტიდან. ("კომუნისტი", №260, 1977 წლის 6 ნოემბერი, გვ. 3).

381. ქართველმა ხალხმა იცის მეგობრობის ყადრი, უფრთხილდება მას და მეგობრობას მეგობრობითვე უპასუხებს. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვრი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 120).

382. ქართულ ენაში ყველა ძირითადი ცნება შემთხვევით როდია დაკავშირებული სიცოცხლის საწყისთან, — "დედასთან". დედამიწა, დედაენა, დედაქალაქი, დედასამშობლო. ეს ცნებები აღვივებდნენ თავისუფლების ხულისკვეთებას, ზღუდეებ აღიმართებოდნენ სამტროდ მოსულთა წინაშე, მოითხოვდნენ შვილის ერთგულებას, დედის სიყვარულს, მისი ღირსების და სიმშვიდის ხელმყოფლებთან შეურიგებლობას.

ასევე, ქართულ ენაში სიტყვა "გამარჯვება" შემთხვევით როდი დამკვიდრებულა, როგორც მისალმება: "კარგად იყავ" კი არა, არამედ "გამარჯვება". კარგად ყოფნა გამარჯვებას ნიშნავდა. ხალხს სხვა არაფერი სჭირდებოდა ისე, როგორც გარედან თავსდატეხილ საფრთხეზე და ისტორიულ ხვედრის უკულმართობაზე გამარჯვება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 33).

383. ქართული ეროვნული სულის ფენომენი კულტურაა, კულტურულობისაკენ მუდმივი სწრაფვა და ხორცშესხმა, სხვა მიზანი ჩვენს ხორციელ არსებობას არ შეიძლება ჰქონდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა",



ეროვნული ბიბლიოთეკა

№118-119, 1992 წლის 1 ივლისი, გვ. 1).

384. ქართული თეატრალური ხელოვნებით, კულტურით, მეცნიერებითა და სულიერი სიმდიდრით მსოფლიოს მრავალჯერ უნდა შევახსენოთ თავი. გავახსენოთ, რომ ჩვენ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა საგანძურში ღირსეული ადგილი გვიკავია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №234, 1996 წლის 21 ნოემბერი, გვ. 2).

385. ...ქართული კულტურა უკვდავია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1997 წლის 28 იანვარი, გვ. 2).

386. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ერთ-ერთი უძველესია ქრისტიანულ მსოფლიოში და დღეს ეს ასახულია მსოფლიო საეკლესიო კრების პრიორიტეტებში. შემთხვევითი არ არის, რომ ქრისტეს დაბადების პირველსავე წლებში საქართველოში ქრისტიანობას ავრცელებდა თავად ქრისტეს მოციქული წმიდა ანდრია პირველწოდებული, ხოლო ქრისტეს აქეთ მეოთხე საუკუნეში ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

ქართულმა ეკლესიამ აქცია ქართული ენა — ღმერთთან სალაპარაკო ენად და ქართულმა ეკლესიამ დაამკვიდრა ქრისტეს მცნება ხალხში, ქრისტიანული ცივილიზაციის მონაპოვარი — საქართველოში, ქრისტიანული მორალი და ქრისტიანული კაცთმოყვარეობა — "არა კაც ჰკლა!" ("საქართველოს რესპუბლიკა", №323, 1997 წლის 26 დეკემბერი, გვ. 2).

387. ქართული ნიჭიერება, უწინარესად, საქართველოს უნდა ემსახურებოდეს, ისევე როგორც მთელ მსოფლიოს და კაცობრიობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №194, 1997 წლის 12 აგვისტო, გვ. 2).

388. ქართული სამხედრო აკადემიის დაარსება, მისი პირველი გამოშვება თავისი მნიშვნელობით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უშიშროების თვალსაზრისით, თბილისის უნივერსიტეტის დაარსებას მოგვაგონებს, უნივერსიტეტისა, რომლის შექმნამ დააგვირგვინა ქართული კულტურის, ქართული მეცნიერების, ქართული სულიერების აღორძინებისა და გადარჩენისათვის მე-19 საუკუნეში დიდი ილიას მიერ წამოწყებული ბრძოლა.

სამხედრო აკადემიის დაარსება, მისი პირველი გამოშვება გვირგვინია ქართული არმიის შექმნისა და ჩამოყალიბებისათვის მიმართული მთელი ჩვენი ხალხის ძალისხმევისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №161, 1997 წლის 13 ივლისი, გვ. 1).

389. ქართული სულიერი კულტურა შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი ცოცხალი ენაა ჩვენს პლანეტაზე. ქვეყანაში, რომელმაც შოთა რუსთველის გენია მოუვლინა მსოფლიოს, პოეტური სიტყვის ამაღლებული ნიმუშები შექმნა, მხატვრულ ლიტერატურას უმდიდრესი ტრადიციები აქვს. ქართულ ხალხურ თეატრს,

ხუროთმოძღვრებას, ხალხურ გამოყენებითს ხელოვნებას, ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს, რომლებშიც ასახულია სიყვარულის, სილამაზის, სიკეთისა და მშვიდობის იდეალები მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. ჩვენმა წინაპრებმა შეძლეს არა მარტო შეექმნათ, არამედ შეენარჩუნებინათ კიდეც თავისთავადი, მრავალი თვალსაზრისით უნიკალური ეროვნული კულტურა.* ("ლიტერატურული საქართველო", №40, 1982 წლის 1 ოქტომბერი, გვ. 2).

390. ...ქვეყნისთვის თავგანწირვა ყველას ერთნაირად ევალება, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, პარტიულსა თუ უპარტიოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №73, 1994 წლის 4 მაისი, გვ. 1).

391. ქრისტიანული მორალი კაცობრიობის ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვარია. მე მივმართავ ყველას, ვისაც სწამს ღმერთი: გიყვარდეთ მოყვასი თქვენი! ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 5).

392. ქრისტიანულმა რელიგიამ მოიტანა ქართული მესიანური სული და ქართველის რწმენა ეროვნული ძალებისადმი... ამ რწმენამ რომ გადაარჩინა ქართული ენა, ქართველი ერი — ეს ფაქტია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 5).

393. ყველაზე საპატიო, რის გადასაწყვეტადაც მიღვაწია ჩემს სიცოცხლეში, ეს არის საქართველოს ახლანდელი პრობლემები. მე ვიცოდი სად ვბრუნდებოდი. მაგრამ მე მეორეც ვიცოდი: რომ არ დავბრუნებულიყავი, ქვეყანა დაიღუპებოდა. მე შევძელი გადამერჩინა ქვეყანა, და ამიტომ თავს უბედნიერეს კაცად ვრაცხ. ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელსაც ანგარიშს უწევენ და რომელსაც პატივს სცემენ.** ("საქართველოს რესპუბლიკა", №48-49, 1996 წლის 16 მარტი, გვ. 3).

394. ყველამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს არც ერთი თაობა არავითარ პირობებში არ შეეგუება ქვეყნის გახლეჩას და ყოველგვარი მოქმედება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით საერთაშორისო ნორმების ფარგლებში მოთავსდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 4).

395. ყველას პატივს ვცემ, ყველა მიყვარს, მაგრამ საქართველოზე მეტად — არავინ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №37,1996 წლის 2 მარტი, გვ. 3).

396. ყველაფერი, რასაც ჩვენ იმ წლებში (ე. წ. "უძრაობის" ხანაში — შემდგ.) საქართველოში ვაკეთებდით, გაბატონებული იდეოლოგიის საზომებით იოლად შეიძლებოდა ანტისაბჭოურ აქციებად ჩათვლილიყო და ამის მოსურნე საკმაოზე ბევრი იყო. ამიტომ ჩვენი ინიციატივა, ექსპერიმენტირების ჩვენი უფლება საიმედოდ უნდა ყოფილიყო დაცული.

* თარგმნილია ჟურნალიდან: "სოვეტსკი სოიუზ", №9, 1982, გვ. 8 (შემდგ.)

** თარგმნილია გაზეთიდან: "სეგოდნია", №37, 1996 წლის 6 მარტი (შემდგ.).

უფრო ფართოდ თუ შევხედავთ, დაცული უნდა ყოფილიყო რესპუბლიკის მიერ რეალური სუვერენიტეტის მიღწევის გზათა ძიების უფლება, თუნდაც არსებული სისტემის ფარგლებში. რეფორმატორობა არც ჩვენი თვითმიზანი ყოფილა და არც უფროსობის გულის მოსაგებად მგზნებარე მოღვაწეობის იმიტაცია. არა, ჩვენ რეფორმები კონკრეტული მიზნებისთვის წამოვიწყეთ და ღირდა მათთვის იმ საშუალებების გამოყენება, რომელთაც მივმართავდით. "ფეოდალური" ვერტიკალური დაქვემდებარების პირობებში მე, სისტემის წესების თამაშის გარდა, სხვა გზა არ მქონდა. უნდა მომეპოვებინა სიუზერენის მხარდაჭერა.

მე მივიღე ეს მხარდაჭერა და, უპატიოსნობა იქნებოდა იმის მტკიცება, როგორც ამას ჩემი ოპონენტები ცდილობენ, თითქოს მხოლოდ ბრეჟნევის მისამართით აღვლენილი ქება-დიდებით მოვიპოვე იგი. პირფერობის დიდოსტატები მას უჩემოდაც მრავლად ჰყავდა. ჩვენ ზოგჯერ ვხვდებოდით ერთმანეთს და ვსაუბრობდით. მე ჩემს გეგმებს ვაცნობდი და ეს მას სიამოვნებდა. ზოგიერთი მისი ნათესავის საძრახისი ქცევის ფართოდ გახმაურებულ ფაქტებს მას უმალავდნენ. ერთი მათგანი გამძაფრებულ "აქტიურობას" იჩენდა ქართულ საქმეებში. მე ამის თაობაზე მოვახსენე ბრეჟნევს. ის აღშფოთდა, თქვა, რომ მე ვალდებული ვარ ისე ვიმოქმედო, როგორც საჭიროდ მივიჩნევ.

ჩემი გადადგომის დღეს სახალხო დეპუტატთა ყრილობის კულუარებში გავრცელდა ფურცლები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო ბრეჟნევზე ჩემი გამონათქვამები. შეეძლოთ ჩამოებეჭდათ სხვა გამოსვლებიც, რომლებშიც მე მას ვეუბნებოდი ფრიად პირუთვნელ რამეებსაც, — ეჩვენებინათ ისიც, რასაც არავინ აკეთებდა.

მე ოდესმე გამოვაქვეყნებ ამ გამოსვლებს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 73-74).

397. ყველაფერი, რაც კი საუკეთესო აქვს ქართველ ხალხს, მის ისტორიასა და ხასიათს, მის ფსიქოლოგიასა და სულიერ სამყაროს, მის ენერგიას, აღმშენებლობითს სულს, მის ტალანტსა და გმირობას, მუდამ ემსახურებოდა დიად სოციალურ, ადამიანურ ღირებულებას — ხალხთა მეგობრობას, ინტერნაციონალიზმს. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1979, გვ. 120).

398. ყოველ დღესასწაულს აქვს თავისი ტრადიცია, მიზანდასახულობა, თავისებურება, რომელიც მას სხვა დღესასწაულებისაგან განასხვავებს. ("კომუნისტი", №148, 1959 წლის 28 ივნისი, გვ. 3).

399. ყოველ კაცს შეუძლია და კიდეც უნდა ამაყობდეს თავისი ხალხით, თავისი სამშობლოთი... იმ მიწა-წყლით, სადაც დაიბადა.

("კომუნისტი", №23, 1979 წლის 27 იანვარი, გვ. 3).

400. ...ყოველთვის ვიყავით და ვართ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში... კულტურული კავშირების, სულიერი ურთიერთობის, ინტელექტუალური და საქმიანი თანამშრომლობის, ყოველივე იმის მემკვიდრეობითობის მომხრე, რომელიც რუსეთისა და საქართველოს საუკეთესო შვილების ნაანდერძევი ტრადიციებით არის ნაკურთხი ისტორიულად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №262, 1992 წლის 26 დეკემბერი, გვ. 2).

401. ყურძენი, ღვინო და მათგან გაკეთებული ბევრი სხვადასხვა ნაწარმი საქართველოში ოდითგანვე ითვლებოდა მაღალკალორიულ სანოვაგედ, ქართველი კაცის საარსებო საშუალებათა ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად. ("კომუნისტი", №133, 1980 წლის 10 ივნისი, გვ. 3).

402. შავი ზღვის აუზის ქვეყნების სწრაფვა ევროპული სტრუქტურებისაკენ შეუქცევადი პროცესია. იგი მიგვაჩნია საერთო-ევროპული სახლის, ახალი მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთ ქვაკუთხედად. საქართველო იმედის თვალით შეჰყურებს ევროკავშირის აღმოსავლურ პოლიტიკას, რომელიც სწორედ ამ მიზნების განხორციელებაზეა ორიენტირებული. ეს მნიშვნელოვნად მოგვიახლოვებს იმ დღეს, როდესაც კავკასიის სახელმწიფოები, როგორც ევროპის განუყოფელი ნაწილი, ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებენ თანამეგობრობაში, რომლისგანაც ჟამთა სიავის გამო საუკუნეების მანძილზე იყვნენ მოწყვეტილნი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №315, 1997 წლის 17 დეკემბერი, გვ. 2).

403. შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ საქართველოს მართლაცდა დიდი მომავალი აქვს, არჩეული გზის რეალური, კიდევ უფრო ხელშესახები შედეგები შორს აღარ არის. მთავარია, გავუფრთხილდეთ მას, რასაც უკვე მივაღწიეთ, ესე იგი, — ქვეყნის სტაბილურობას, დემოკრატიულ მონაპოვრებს, წესრიგს, პატივი ვცეთ ადამიანის უფლებებს, არავის არ მივცეთ საშუალება ქვეყანა კვლავ დაპირისპირებისა და სიძულვილის ჭაობში ჩაითრიოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №68, 1997 წლის 25 მარტი, გვ. 2).

404. ჩემთვის, როგორც ქართველი კაცისთვის, ერთნაირად ძვირფასია საქართველოს ყველა კუთხე, ყველა რეგიონი. დარწმუნებული ვარ, ჩემს გულწრფელობაში არავის შეეპარება ეჭვი, თუ ვიტყვი, რომ კახეთისადმი ჩემი განწყობა განსაკუთრებულია. ამ კუთხეს მრავალი განსაცდელი ჰქონია, მაგრამ აქაურები იყვნენ და არიან ქართველობის ქედუხრელობის განსახიერება... საუკუნეების მანძილზე საქართველოს განაპირა გოდოლის როლს ასრულებდა ეს მხარე, განუზომელი მსხვერპლი გაიღო, რათა დღემდე მოვსულიყავით. ("სოფლის ცხოვრება", №23-24, 1993 წლის 27 მარტი, გვ. 2).

405. ჩემთვის ყველა სიტყვა და ყველა ფრაზა ძვირფასია პლანეტის რომელი კუთხიდანაც არ უნდა იყოს გამოგზავნილი ბარათი, მაგრამ ყველაზე ძვირფასი და ამაღელვებელი ჩემთვის ჩემი თანასოფლელების უბრალო და გულში ჩამწვდომი სიტყვებია. ("უწყებანი", №13-14, 1992 წლის 24 ოქტომბერი, გვ. 1).

406. ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე საზარელი შედეგი იმ ომისა, რომელიც გადავიტანეთ (იგულისხმება ქართულ-აფხაზური კონფლიქტი – შემდგ.), იყო და, სამწუხაროდ, დღესაც არის მტრის ხატის ჩამოყალიბება. იგი ჩამოყალიბდა ორივე მხრიდან და, მე ვიტყოდი, რომ ორივე მხარე ამით ერთნაირად დაზარალდა, ვინაიდან, ისტორიულად ახლობელი ხალხის ამგვარი ხატის ჩამოყალიბება ნაწილობრივ იმ ღირებულებებზე უარის თქმასაც ნიშნავს, რომლებსაც საუკუნეთა განმავლობაში ეფუძნებოდა ჩვენი მშვიდობიანი თანაცხოვრება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №201, 1997 წლის 19 აგვისტო, გვ.2).

407. ჩემი დასაყრდენი ჩემი ხალხია და მე ვამაყობ ჩემი ხალხით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №162, 1993 წლის 27 ივლისი, გვ. 2).

408. ჩემი თანამემამულე მითთა მთხზველები ჩემს ცხოვრებას თავშესაქცევი თქმულებებითა და ზღაპრებით რთავდნენ ხოლმე. ზოგ მათგანში სიკეთეა, ზოგში – ღვარძლი; ზოგი მომწონს, ზოგი – არც მაინცდამაინც. (ე.შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 130).

409. ჩემი სამყარო დღეს და სამარადჟამოდ საქართველოა. მცირეცა და უსასრულოც ერთდროულად. წვეთი, რომელშიც ოკეანე ირეკლება. კაცობრიობის თანამედროვე ქარტეხილთა ოკეანე. პრიზმა, რომელშიც თავს იყრის ყოველივე დანარჩენი. ("საქართველოს რესპუბლიკა",№90, 1992 წლის 27 მაისი, გვ. 1).

410. ჩემი ქვეყანა პატარაა, იგი წვეთი წყალივით არის, მაგრამ მთელ ოკეანეს ირეკლავს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №243, 1996 წლის 4 დეკემბერი, გვ. 1).

411. ჩემმა კეთილმა მეგობარმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა თბილისში ყოფნისას, მის მშობლიურ ქალაქ ჰალეში ჩვენი მოგზაურობა გაიხსენა. მე მას მართლაც მივმართე სევდიანმა და გულდაწყვეტილმა (რაზეც ვიყავი გულდაწყვეტილი, სხვა დროს ვიტყვი), მეღირსება კი საქართველოში გიმასპინძლო-მეთქი? იმასაც ვიტყვი და გენშერიც დამიდასტურებს: როცა ჩვენ თანამედროვეობის ურთულეს პრობლემებს ვიხილავდით, დაუჯერიათ მომენტები, როცა მე განსახილველი საკითხის ნაცვლად სხვა საგანზე გადამიტანია ფიქრი. მქონდა ასეთი "ფიქრიანი პაუზები" დიდი დიალოგის დროსაც კი და მე გენშერისათვის გამიმხელია,

რომ ამ წამიერი "გამოთიშვის" მიზეზი ჩემი სამშობლოა-მეთქი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

412. ...ჩემს ერს ბევრი მეგობარი ჰყავს რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში, მეზობელ სახელმწიფოებში, ბევრი მეგობარი ჰყავს მსოფლიოში. ვინ იცის, ეგებ სწორედ ეს არის ყველაზე დიდი სიმდიდრე და ყველაზე დიდი რეზერვი.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №59, 1992 წლის 11 აპრილი, გვ. 2).

413. ჩემს კაბინეტში (საქართველოს კპ ცკ-ის შენობაში — შემდგ.) ეკიდა საქართველოს რელიეფის რუკა. მის ყოველ სანტიმეტრს ხელის ფათურით ვცნობდი თვალდახუჭული. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 81).

414. ... ჩემს უძვირფასეს "საგანს"... საქართველო ჰქვია.

მთელი ჩემი სიცოცხლე ამ "საგანში" ვაბარებ გამოცდას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №29, 1997 წლის 6 თებერვალი, გვ. 1).

415. ჩვენ არ გვეშინია საკუთარი საქმიანობის კრიტიკული შეფასებისა. არ გვეშინია, რომ ხელისუფლების საქმიანობის თვითკრიტიკულ ანალიზს "ხელზე დაიხვევენ" პოლიტიკური ოპონენტები (ეს ჩვეულებრივი მოვლენაა) და თავიანთ არგუმენტაციას გააძლიერებენ.

ხელისუფლება გულწრფელი უნდა იყოს ხალხთან, ამომრჩეველთან. ხალხი კი ბრძენია და არ შეცდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 3).

416. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს არც ერთი დღე ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან. არც უძველესი, არც ძველი და არც ახალი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №68, 1996 წლის 11 აპრილი, გვ. 1).

417. ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია, რომ საგარეო პოლიტიკაში საქართველოს აქვს ერთადერთი პრიორიტეტი — საუკეთესო, მეგობრული ურთიერთობა მსოფლიო თანამეგობრობის ყველა ქვეყანასთან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1997 წლის 20 თებერვალი, გვ. 1).

418. ...ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხე მკვეთრად თავისებურია ისტორიაში თავისი განსხვავებული ტკივილებით, დღევანდელობაში განსხვავებული ინტერესებით და ყოველივე ამის გათვალისწინება აუცილებელია, თუ ჩვენ პოლიტიკოსები ვართ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №272, 1997 წლის 1 ნოემბერი, გვ. 2).

419. ჩვენ ბევრი მეგობარი და თანამდგომი შევიძინეთ მთელ მსოფლიოში. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის უდიდესი დახმარების, მატერიალური, ფინანსური, მორალური, პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე. ჩვენ ეს ტენდენციები

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №82, 1992 წლის 7 აპრილი, გვ. 3 (შემდგ.).

უნდა განვამტკიცოთ... მე ბედნიერი ვიქნები, თუ შემეძლება თუნდაც მცირედი, სულ მცირედი წვლილი შევიტანო სახელმწიფოთა შორის მეტ ურთიერთგაგებაში. („საქართველოს რესპუბლიკა", №156, 1997 წლის 8 ივლისი, გვ. 2).

420. ...ჩვენ გვინდა ვითანამშრომლოთ და ვიმეგობროთ რუსეთთან, ჩვენს დიდ მეზობელთან, მის შეიარაღებულ ძალებთან. ჩვენ გვინდა ეს თანამშრომლობა, მხოლოდ ერთი პირობით — ჩვენი ურთიერთობა იქნება პატიოსანი, თანასწორუფლებიანი. ორივე მხარე ერთგული უნდა იყოს ნაკისრი ვალდებულებებისა. („საქართველოს რესპუბლიკა", №106, 1997 წლის 10 მაისი, გვ. 2).

421. ჩვენ გვინდა მეგობრობითა და თანხმობით ვიცხოვროთ კავკასიის ხალხებთან და ვეუბნებით მათ: კავკასიონის ქედი კი არ გვთიშავს, არამედ გვაერთიანებს ჩვენ. („საქართველოს რესპუბლიკა", №164, 1993 წლის 29 ივლისი, გვ. 1).

422. ...ჩვენ გვინდა, რომ ტაქსის მძღოლმა იცოდეს არა მარტო მანქანის კარგად ტარება, არამედ იცნობდეს მშობლიური ქალაქის ისტორიას, მის ღირსშესანიშნაობებს, იყოს ერთგვარი ექსკურსიამძღოლიც. („საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 82).

423. ჩვენ გვჭირდება პროფესიული არმია, მისთვის კი აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოება, რომელშიც სამხედროფორმიანი მოქალაქე იგრძნობს და შეიცნობს თავის თავს პიროვნებად და იცხოვრებს ყოველმხრივ, — სოციალური, მატერიალური თუ სულიერი თვალსაზრისით, — ღირსეული ცხოვრებით. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 251).

424. ჩვენ გულწრფელად ვამაყობთ მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ერთან (ებრაელ ერთან — შემდგ.) მეგობრობით... მე არაერთხელ მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ, რომ ებრაელობამ ბევრი რამ ასწავლა კაცობრიობას, დაანახა ისეთი განსაკუთრებული მოვლენაც, როგორიცაა ებრაელთა სოლიდარობა, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრება და ძმობა. („საქართველოს რესპუბლიკა", №145, 1997 წლის 25 ივნისი, გვ. 1).

425. ჩვენ დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანას ვაშენებთ, სადაც ადამიანის უფლებები უზენაესი იმპერატივის რანგშია აყვანილი.

ქართული ეროვნული სახელმწიფო შენდება ადამიანისათვის, მოქალაქისათვის, მისი მისწრაფებების ხორცშესხმის ხელშეწყობისათვის და არა — პირიქით.

დემოკრატიულ საქართველოში ადამიანი არასდროს იქნება მიზნის

მიღწევის საშუალება. სწორედ ამიტომ ვაცხადებთ მთელი პირდაპირობით და სერიოზულობით, რომ საქართველოში არ იქნებიან პოლიტპატიმრები, არ იქნება დევნა შეხედულებებისათვის, ადგილი არ ექნება რელიგიურ შეუწყნარებლობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

426. ჩვენ დიდი ხალხი ვართ, ისტორიულად წინააღმდეგობრივი, რთული, მაგრამ მაინც დიდი ხალხი, დიდი სულიერების, ვაჟკაცობის, მხნეობის... ("განათლება", №4, 1994 წლის 3 მარტი, გვ. 1).

427. ჩვენ ვართ ქვეყანა ამაყი ადამიანებისა, რომლებიც ხშირად შეუპოვარ შეურიგებლობას იჩენენ და უდრეკი მიზნები აქვთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №60 1992 წლის 14 აპრილი, გვ. 1).

428. ჩვენ ვამკვიდრებთ ჭეშმარიტ დემოკრატიულ, ჰუმანისტურ ღირებულებებს, ვაშენებთ ქვეყანას, სადაც ნიჭიერნი და ძლიერნი იქნებიან თავიანთი სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქენი და პატრიოტები, სუსტნი და ხელმოცარულნი კი, საიმედოდ დაცულნი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №187, 1997 წლის 5 აგვისტო, გვ. 2).

429. ჩვენ ვერ გავუწევთ ვერანაირ შეღავათს ფუნდამენტალისტურ ცნობიერებას. პირიქით, ქართველური ჰუმანიზმი უნდა გახდეს დოგმატიზმსა და ყოველგვარ ფუნდამენტალიზმზე აღმატებულობის მთავარი არგუმენტი.

სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც ვაშენებთ, უნდა გახდეს კეთილგანწყობისა და ძმური კონტაქტების გაღრმავების საწინდარი ჩვენი მეგობრებისა და მეზობლებისათვის, ხოლო მისი პრინციპები, კონსტიტუციაზე დაფუძნებული და კონსტიტუციიდან გამომდინარე, უნდა წარმოადგენდეს საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების, ეროვნული უმცირესობებისათვის საკუთარი ეროვნული და პიროვნული ღირსების, საკუთარი პიროვნული და ეროვნული იდეალებისა და მიზნების რეალიზაციის აბსოლუტური გარანტიის საფუძველს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 3).

430. ჩვენ თუ ხელი ავიღეთ ისტორიულ მეზობლებთან (რუსეთთან, თურქეთთან, უკრაინასთან, ირანთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან) თანაარსებობაზე, თვითონ ვერ ვიარსებებთ.

...ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობის გამწვავება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 4).

431. ჩვენ ის ერი არა ვართ, სხვისი ტკივილი არ გავიზიაროთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 5).

432. ჩვენ კარგად უნდა განვუმარტავდეთ და ვასწავლიდეთ ახალ-

გაზრდობას, რომ ინტერნაციონალიზმი... საკუთარი ხალხის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე დგომასაც ნიშნავს. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 29).

433. ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ ეროვნული ნიჰილიზმისა, ჩვენ ღირსეულად ვაფასებთ ქართველი ხალხის, ისევე როგორც ყველა ხალხის, შემოქმედებით გენიას, მის მიერ დედაენის, კულტურის, სამშობლოს თავისთავადობის შენარჩუნებისა და თვითდამკვიდრების უნარს, მაგრამ ამავე დროს დიდად ვაფასებთ სხვა ხალხებთან ისტორიულ მეგობრობას და ამ მეგობრობის სიკეთეს ეროვნული ცხოვრების, ხალხის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმეში. ("სამშობლო", №1, 1983 წლის იანვარი, გვ. 2).

434. ...ჩვენ მადლიერი ვართ ამერიკის შეერთებული შტატებისა. ამ ქვეყნის დახმარება რომ არ ყოფილიყო, საქართველო შიმშილით ამოწყდებოდა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №168, 1997 წლის 20 ივლისი, გვ. 2).

435. ჩვენ მდიდარი ვართ ნიჭიერი ადამიანებით. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 52).

436. ჩვენ მოვალენი ვართ მომავალ თაობას – ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს – გადავცეთ... უზარმაზარი სიმდიდრე, ერთი უმთავრესი ძარღვი ქართველების ყოფნა-არყოფნისა, ქვეყნის სიძლიერისა – ჩვენი მშობლიური ქართული ენა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №85, 1997 წლის 15 აპრილი, გვ. 1).

437. ...ჩვენ მტკიცედ გვწამდა და გვწამს: მხოლოდ დემოკრატიული გზით, მხოლოდ შერიგებით, მხოლოდ ადამიანის უფლებათა, სიტყვისა და რწმენის თავისუფლების პატივისცემით, განსხვავებული აზრისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებით შეიძლება ჭეშმარიტად ბედნიერი, თავისუფალი ქვეყნის აშენება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №45, 1998 წლის 24 თებერვალი, გვ. 2).

438. ჩვენ მხარს ვუჭერთ მხოლოდ პროგრესს, ცივილიზაციას, ჩვენ უნდა ვიაროთ ჩვენი მშობელი ხალხის ინტელექტუალური და ფიზიკური უნარის სრული გაფურჩქვნის გზით, ამისაკენ კი მივყავართ მხოლოდ ხალხთა მეგობრობასა და ინტერნაციონალიზმს. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ, 121).

439. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მოვიხვეჭთ ავტორიტეტს და

სანდო ქვეყნისა და პარტნიორის სახელს, როცა წესრიგი დამყარდება. ეს ყველაფერი ერთად აღებული არის ფული, ეს არის შემოსავლები, პენსიები, სტიპენდიები, ხელფასები, ჯარი, ქვეყნის კეთილდღეობა და სახელმწიფოს მშენებლობა. („საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

440. ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ ბედნიერი და დემოკრატიული ქვეყნის აშენებას, თუ საქართველო აქ მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების მოქალაქეთა ნამდვილი სამშობლო გახდება. („საქართველოს რესპუბლიკა", №30, 1995 წლის 22 მარტი, გვ. 2).

441. ჩვენ ორი საუკუნის — XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე ვიმყოფებით. ასეთი რამ საუკუნეში და ათასწლეულში ერთხელ ხდება. ვიყოთ ღირსი ამ უნიკალური ისტორიული ეპოქისა, რომელშიც ისტორიულმა ბედმა და განგებამ გვარგუნა შრომა და მოღვაწეობა. გავამთლიანოთ — და დარწმუნებული ვარ ეს ასე იქნება, — ერის გაბზარული ცნობიერება, აღვადგინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ასეთია ჩვენი მიზანი. („საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 6).

442. ჩვენ რუსეთთან გვინდა მეგობრობა, ძალიან ახლო ურთიერთობა, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ასევე გვჭირდება ურთიერთობა მთელ გარემომცველ სამყაროსთან. („საქართველოს რესპუბლიკა", №44, 1994 წლის 23 მარტი, გვ. 1).

443. ჩვენ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრენი ვართ, მიგვაჩნია, რომ პოლიტიკა კომპრომისების სფეროა, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ ჩვენგან კომპრომისებს მოითხოვდნენ საქართველოს ეროვნული ინტერესების უგულებელყოფის სანაცვლოდ. აქ ჩვენ ვიქნებით უკომპრომისონი. მე ვიმედოვნებ, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და ეს ურთიერთობები ცივილიზებული იქნება. („სოფლის ცხოვრება", №23-24, 1993 წლის 27 მარტი, გვ. 2).

444. ჩვენ (საქართველო და აზერბაიჯანი — შემდგ.) ... უძველესი სახელმწიფოები ვართ, უძველესი ისტორიითა და უმდიდრესი მემკვიდრეობით.

დრომ, განგებამ ასე ინება, რომ ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა ამ ბოლო წლებში მოგვეპოვებინა. აზერბაიჯანმა და საქართველომ დიდი ტკივილები გადავიტანეთ, დიდი დანაკარგები განვიცადეთ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მოხდა ისე, რომ ორივე ქვეყანა ღრმა კრიზისსა და ნახევრად ქაოსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

დღეს უდიდესი სიამაყის გრძნობით უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველო და აზერბაიჯანი გამოდიან კრიზისული სიტუაციიდან, და

წარმატებით მიმდინარეობს ჩვენი სახელმწიფოებრივი მშენებლობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №53, 1997 წლის 7 მარტი, გვ. 2).

445. ჩვენ უდავოდ ბედნიერნი ვართ იმით, რომ უამრავი მეგობარი შევიძინეთ მსოფლიოში. ჩვენ ანგარიშს გვიწევენ, გვეთათბირებიან, მხარში გვიდგანან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში. მხარში გვიდგანან ჭეშმარიტი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში. ნუ გავაუფასურებთ და ნურც დავივიწყებთ ამას, მხარდაჭერისათვის ერთხელ კიდევ მადლობა შევუთვალოთ ჩვენს მეგობრებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

446. ჩვენ უნდა ვიამაყოთ ჩვენი სამშობლოთი, მაგრამ... ამავე დროს, უნდა ვიყოთ თვითკრიტიკულნი. თვითკრიტიკულნი არა მარტო დღევანდელობის მიმართ, არამედ იმ ათასწლოვანი ისტორიის მიმართ, რომელიც ჩვენ შევქმენით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №78, 1997 წლის 5 აპრილი, გვ. 1).

447. ჩვენ ყველა ერსა და რელიგიას პატივს ვცემთ, მაგრამ საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი მთლიანობის ხელყოფას არავის ვაპატიებთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1993 წლის 1 იანვარი, გვ. 1).

448. ჩვენ ყველამ ერთ ხატზე უნდა ვილოცოთ, იმ ხატზე, რომელიც, როგორც იტყოდა აკაკი — საქართველოა. ("იბერია-სპექტრი", №53, 1992 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 4).

449. ჩვენ ყველანი ერთად ვეკუთვნით დიდ ეროვნულ მოძრაობას. ჩვენ არავის მივცემთ "ისტორიის პრივატიზაციის" უფლებას. ერის ისტორია ეკუთვნის ყველას, მთელს ერს და არა ცალკეულ პოლიტიკურ მიმდინარეობებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №151, 1993 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

450. ჩვენ ყოველთვის ვემორჩილებით ჭეშმარიტებას. გულმოწყალე ან ულმობელი, იგი არასოდეს გვღალატობს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №83, 1995 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

451. ჩვენ ყველანი უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ დღეს სხვა საქართველოა, სხვა დროა, — შეიცვალა წყობა, ახალ წყობას კი სხვა ღირებულებათა სისტემა აქვს. თუ ეს არ მოგვწონს, თუ ამ ღირებულებებს არ ვეთანხმებით, მაშინ რატომღა ვებრძოდით იმ კომუნისტურ სისტემას, რომელიც საყოველთაო თანასწორობას ქადაგებდა?! ("საქართველოს რესპუბლიკა", №243, 1997 წლის 30 სექტემბერი, გვ. 2).

452. ჩვენ შეგვიძლია ობიექტურად ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენი პლანეტის უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის ხალხი ვართ და დღემდე მოვიტანეთ ეს უზარმაზარი მემკვიდრეობა, რომელსაც

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №237, 1996 წლის 26 ნოემბერი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

453. ჩვენ ჩვენი დამოკიდებულება გვაქვს ალექსანდრე გრიბოედოვთან. იგი ჩვენთვის მარტო კლასიკოსი კი არაა რუსული მწერლობისა, არც მხოლოდ თავისუფლად მოაზროვნე არაორდინარული პიროვნება და არც მხოლოდ რუსეთის იმპერიის დიდი სახელმწიფო მოღვაწე. იგი ქართველების ის გამორჩეული სიძე გახლდათ, რომელმაც შესანიშნავად იცოდა საქართველოსა და ქართველთა ფასი, იცოდა ფასი თავისი მშვენიერი მეუღლისა, ნინო ჭავჭავაძისა. აკი წერდა კიდეც: მთელი სამყაროს მშვენიერება ქართველშია განსახიერებულიო. სხვათა შორის, სიტყვა ქართველი მან პირდაპირ, უთარგმნელად, ქართული ჟღერადობით შეიტანა რუსულ ლექსიკონში.

ალექსანდრე გრიბოედოვი თავისი ეპოქის, თავისი ხალხისა და თავისი სახელმწიფოს ერთგული შვილი გახლდათ ისევე, როგორც ერთგული შვილი იყო თავისი ქვეყნისა და დროისა ნინო ჭავჭავაძის მამა, შესანიშნავი ქართველი პოეტი, რუსეთის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ყმაწვილობაში ამბოხებული ალექსანდრე ჭავჭავაძე, შვილი იმ გარსევან ჭავჭავაძისა, რომელიც ელჩად იყო რუსეთის სამეფო კარზე და დიდი მონაწილეობა მიიღო რუსეთ-საქართველოს ცნობილი ტრაქტატის დადებაში.

ქორწინება ალექსანდრე გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძისა, გარკვეულად, ამ ყველაფრითაც იყო განპირობებული — ორი ადამიანის სიყვარულის მიღმა აქ ორი ხალხის, ორი ქვეყნის რთული, საუკუნოვანი ურთიერთობაც ჩანს, ურთიერთობა, რომელიც დღეს და მომავალში ამ ნამდვილ ლეგენდასა და არგამოგონილ სიმბოლოებს უნდა გაჰყვეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №65, 1995 წლის 13 ივნისი, გვ. 1).

454. ჩვენ ცოტა ზედმეტად ემოციური ხალხი ვართ. ესაა ჩვენი ნაკლი. ("სოფლის ცხოვრება", №23-24, 1993 წლის 27 მარტი, გვ. 2).

455. ჩვენ ძალიან მგრძნობიარენი უნდა ვიყოთ ყოველგვარი ეროვნულის მიმართ, არა მარტო ჩვენი, ქართველების, არამედ ყველა იმ ხალხის განცდების, გრძნობების, სურვილებისა და ოცნებების მიმართ, ვინც საქართველოში ცხოვრობს. მეტიც, იმ ადამიანებისა და მოქალაქეების მიმართ, რომლებიც სხვა ეროვნებებს წარმოადგენენ, ჩვენ განსაკუთრებით მგრძნობიარენი უნდა ვიყოთ, და ეს, ასე ვთქვათ, ცხოვრებისა და მოქმედების წესად უნდა იქცეს, რადგან მრავალეროვნული სახელმწიფო ვართ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 2).

456. ...ჩვენ ხალხს არ უწერია გადაშენება, ჩვენ უნდა გადავრჩეთ, უახლოეს მომავალში ავაშენოთ ისეთი სახელმწიფო, რომელზეც ვოცნებობდით საუკუნეთა მანძილზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №222, 1992

წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

457. ჩვენ ხალხს ბუნებისა და მისი გარემოს დაცვის ოდითგანვე საუცხოო ტრადიციები აქვს.

გავიხსენოთ გენიალური რუსთაველი და დიდი ვაჟა-ფშაველა, ბუნების დიდი მეხოტბენი, ადამიანისა და ბუნების რა ჰარმონიულ ერთიანობას მიუძღვნეს საგალობლები ამ დიდმა პოეტებმა და მოაზროვნეებმა. ავთანდილის სიმღერას უსმენდნენ და ესმით. ამ სიმღერით მოხიბლულნი არიან ადამიანებიც და მხეცებიც. ეს ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიისა და ერთიანობის გენიალური, პოეტური სურათია. თუ რუსთაველის პოემაში ადამიანის ენა გასაგებია ბუნებისათვის, ვაჟა-ფშაველასთან ბრძენმა მინდიამ იცის ბუნების ენა, ფრინველებისა და მცენარეების ენა.

ასეთი გენიალური, პოეტური და ფილოსოფიური სურათები, სახეები, კონცეფციები ადამიანისა და ბუნების ერთიანობის და ჰარმონიის შესახებ შეეძლო შეექმნა მხოლოდ ხალხს, რომელიც უაღრესად დაინტერესებული იყო ამ ერთიანობითა და ჰარმონიით, რომელმაც იცოდა ყოველივე ამის ყადრი. („საქართველოს ბუნება", №1, 1979, გვ. 6).

458. ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ ახალ ქვეყანას იმპერიის ნანგრევებზე ვაშენებთ. ნანგრევები კი თავისთავად არ არის ყველაზე საუკეთესო საშენი მასალა. („კავკასიონი", №21, 1995 წლის 7 ივლისი, გვ. 1).

459. (ჩვენდა სამწუხაროდ — შემდგ.) როგორც კი რაღაცას შევაკოწიწებთ, ავაშენებთ, მაშინვე ამოძრავდებიან ძალები, რომლებსაც ეს ხელს არ აძლევთ. ისინი იმაზე ფიქრობენ, როდის აიმღვრევა წყალი, რომ შემდეგ ამ ამღვრეულ წყალში თევზი იოლად დაიჭირონ. შევარდნაძე ყოველთვის არ იქნება და მოვა სხვა ხალხი. იზრდებიან ადამიანები, ხდება ნამდვილი პოლიტიკოსების ფორმირება, მოდით და ერთად შევებრძოლოთ იმ ადამიანებს, რომლებიც სხვის წისქვილზე ასხამენ წყალს. („საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 2).

460. ჩვენი აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი და ყველა სხვა ეროვნების მოქალაქეების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ მე ისეთივე სამართლიანი და გულუხვი ვიქნები მათ მიმართ, როგორიც ქართველების მიმართ. ხელისუფლება ისეთივე მზრუნველი და ქომაგი იქნება მათი, როგორიც ქართველებისთვის. („საქართველოს რესპუბლიკა", №45, 1998 წლის 24 თებერვალი, გვ. 3).

461. ჩვენი ბედი ასეთია, რომ საქართველოს კეთილდღეობა თუ სიდუხჭირე დიდად არის დამოკიდებული ჩვენს მეზობლებზე. ამიტომ უნდა ვეძებოთ ყველაზე უფრო სწორი გზები და არ დავუშვათ სერიოზული შეცდომები. („საქართველოს რესპუბლიკა", №60, 1993 წლის 24 მარტი, გვ. 1).

462. (ჩვენი თაობის ვალია — შემდგ.)... უკეთ მოვუაროთ წარსულის საფლავებს და მომავლის აკვნებს! („საქართველოს რესპუბლიკა", №19, 1998 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

24 იანვარი, გვ. 2).

463. ჩვენი ისტორიისა და რეალობის შესაბამისად უნდა მოვძებნოთ ეროვნული თანხმობის მიღწევის ჩვენეული გზა, გავითვალისწინოთ ჩვენი დადებითი და უარყოფითი გამოცდილება.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ხალხს წილად ხვდა ქრისტესავით იყოს გაკრული გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახებათა ჯვარზე — მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამჟამინდელ სიტუაციაში ჩვენი ბედისა და მომავლის გასაღები ეროვნულ, საერთო-სახალხო თანხმობაშია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №177, 1997 წლის 26 ივლისი, გვ. 2).

464. ჩვენი კრედო, ჩვენი დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკისადმი ის არის, რომ ყველასთან მოვახერხოთ ნორმალური ურთიერთობის დამყარება. ეს არის ჩვენი ხსნის ერთ-ერთი "საიდუმლოება". ჩვენ რომ გადავრჩით ურთულეს პერიოდში, — სწორედ ასეთი პოლიტიკის წყალობით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №171, 1997 წლის 23 ივლისი, გვ. 2).

465. ...ჩვენი ოცნება, ჩვენი მთავარი და ერთადერთი ნატვრაა — დავიბრუნოთ დაკარგული და წართმეული. ნუ გვინდა ნართაული და ეზოპესეული მინიშნებანი, ჩვენ გვინდა დავიბრუნოთ და დავიბრუნებთ კიდეც! — ისტორიული კოლხეთის ნაწილს — აფხაზეთს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №234, 1997 წლის 18 სექტემბერი, გვ. 2).

466. ჩვენი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია ვიცხოვროთ მეგობრულად ყველა ქვეყანასთან და ყველა ხალხთან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 5).

467. ჩვენი სამყარო საქართველოა, მხოლოდ იმ გაგებით, რომ ჩვენი სამშობლოსთვის ადგილს ვეძებთ დიდ, ზოგადსაკაცობრიო სამყაროში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №90, 1992 წლის 27 მაისი, გვ. 1).

468. ჩვენი სამშობლო თანდათანობით იმკვიდრებს მისი დიდი წარსულის და უკეთესი მომავლის ქვეყნისთვის ღირსეულ ადგილს ევრაზიის ერთიან სივრცეში. მას უკვე აქვს თავისი ხმა, თავისი აზრი, თავისი ხელწერა, მას უსმენენ, ანგარიშს უწევენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1997 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

469. ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკური, დიპლომატიური, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობანი ჰუმანურია, მშვიდობისმოყვარულია, კეთილმეზობლურია. ორმხრივი ურთიერთობა ნებისმიერ სახელმწიფოსთან არასოდეს არ არის მიმართული მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №120, 1997 წლის 27 მაისი, გვ. 3).

470. ჩვენი სიმდიდრე ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №103, 1995 წლის 16 აგვისტო, გვ. 2).

471. ჩვენი სიძლიერე, საქართველოს მომავალი მის ერთიანობაშია. დაიწყო გამთლიანების, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ჩვენთან არიან და თუ ჩვენი შინაგანი არასტაბილურობით, ერთმანეთის მიმართ უნდობლობით ამ ისტორიულ პროცესს შევაჩერებთ, ღმერთმა იცის, კიდევ როდის მოესწრებიან მას მომავალი თაობები. გავუფრთხილდეთ ამ ისტორიულ პროცესს. ყველამ ერთად ვიშრომოთ, ვიზრუნოთ ჩვენი საყვარელი, ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს ერთიანობისათვის, მთლიანობისა და კეთილდღეობისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

472. ...ჩვენი ქვეყანა უნიკალურია თავისი ბუნებით, ფლორითა და ფაუნით. მისი დაბინძურება ყოვლად დაუშვებელია. ამიტომაც ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №11, 1998 წლის 15 იანვარი, გვ. 2).

473. (ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში სიღარიბის, სილატაკის დაძლევა — შემდგ.) — შეუძლებელია ერის, მთელი მოსახლეობის შემდგომი კონსოლიდაციის გარეშე, ესე იგი, შერიგების პროცესის გარეშე. მე სულაც არ მყავს მხედველობაში, როცა შერიგებას ვგულისხმობ, რაღაც ორი მხარე. საერთოდ მხედველობაში მაქვს ის, რომ ხელოვნურად შექმნილი, თითიდან გამოწოვილი პრობლემები არ უნდა დგებოდეს დღის წესრიგში. ხშირად, სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ბევრ დროს ვანდომებთ ასეთი პრობლემების დაძლევას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №138, 1997 წლის 17 ივნისი, გვ. 2).

474. ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით საამაყოა, რომ აქ მცხოვრები ხალხები ინარჩუნებენ და ავითარებენ საკუთარ კულტურულ ტრადიციებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №132, 1997 წლის 10 ივნისი, გვ. 1).

475. ... ჩვენი ყველაზე დიდი ღირებულება სამშობლო, ჩვენი საქართველოა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №67, 1992 წლის 23 აპრილი, გვ. 1).

476. ჩვენი ხაზგასმულად კარგი და მეგობრული კავშირურთიერთობა სხვა ქვეყნებთან კი არ ეწინააღმდეგება, არამედ გულისხმობს რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №51, 1997 წლის 5 მარტი, გვ. 2).

477. ჩვენი ხალხი ათჯერ და ასჯერ უფრო ბრძენია, ვიდრე ჩვენ, პოლიტიკოსები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №263, 1993 წლის 15 დეკემბერი, გვ. 1).

478. ჩვენი ხალხი ბრძენი ხალხია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №135, 1995 წლის 5 ოქტომბერი, გვ. 1).

479. ჩვენი ხალხის ისტორია, ხატოვნად რომ ვთქვათ, იმ ერის ისტორიაა, რომლის გუთნისდედებს — ხალხის მარჩენლებს საუკუნეთა

მანძილზე ცალ ხელში მახვილი ეპყრათ, ცალით კი გუთანი ეჭირათ, რომლის მხატვრებს — ხალხის სულიერ მოძღვართ — ცალი ხელით ფუნჯი ან საჭრეთელი ეკავათ, ხოლო მეორეთი — შურისგების მახვილი, და იგერიებდნენ რომაელთა ურიცხვ ლეგიონერებს, შემოსეულ ბიზანტიელ და არაბ დამპყრობლებს, სპარსელ და ოსმალ დამმონებლებს... ("კომუნისტი", №125, 1980 წლის 31 მაისი, გვ. 2).

480. ჩვენმა ხალხმა, სამიათასწლოვანმა ქართულმა სახელმწიფომ, სისხლის ზღვაში იცურა, ამ ზღვაში შინააშლილობისა და ღალატის შედეგად დაღვრილი თანამემამულეთა სისხლიცაა, რომელიც მდინარეებად ერთვის იმ სისხლიან ზღვას.

ნურავინ შეეცდება ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №282, 1997 წლის 11 ნოემბერი, გვ. 2).

481. ჩვენს მეზობლებთან, უკლებლივ ყველასთან, კეთილმეზობლური ურთიერთობების გარეშე, საქართველოს დამოუკიდებლობა წარმოუდგენელია. ("სოფლის ცხოვრება", №23-24, 1993 წლის 27 მარტი, გვ. 2).

482. ჩვენს სახელმწიფოთა (საქართველოსა და უკრაინას — შემდგ.) შორის პარტნიორობა ნამდვილად ურთიერთსასარგებლო და გარდაუვალი აუცილებლობაა... და იგი ტრადიციასთან ერთად, თანამედროვე რეალობებით არის განპირობებული. ("საქართველოს რესპუბლიკა", №37, 1997 წლის 15 თებერვალი, გვ. 2).

483. ჩვენს ხალხს, ისევე როგორც ყველა ხალხს, კარგი ჩვეულება აქვს: ადღეგრძელებდეს ბავშვებს, მათს ბედნიერ მომავალს. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 90).

484. ჩვენში ხშირად ამბობენ, რომ... თანამეგობრობა სრულიად უსარგებლო და უმაქნისი ორგანიზაციაა, რომ საქართველო დაუყოვნებლივ უნდა გამოვიდეს თანამეგობრობიდან და ასე შემდეგ. რატომღაც ზოგიერთი თანამეგობრობას მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კონტექსტით განიხილავს. რა თქმა უნდა, თანამეგობრობაში რუსეთს განსაკუთრებული ადგილი უკავია და მის პოლიტიკაზეა მეტწილად დამოკიდებული ამ ორგანიზაციის — რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციის ბედი, მაგრამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა მაინც უფრო ფართო ცნებაა, ფართო მოვლენაა და არ შეიძლება მისი როლი რომელიმე ქვეყანასთან ურთიერთობაში არსებული პრობლემებით განისაზღვრებოდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №275, 1997 წლის 4 ნოემბერი, გვ. 1).

485. ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის მიუხედავად, რუსეთთან საქართველოს შეერთებას უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა

ჰქონდა. რუსეთმა საქართველო იხსნა სულთანის თურქეთისა და შაჰის ირანის გამაპარტახებელი შემოსევებისაგან, დამაუძლურებელი შინაომებისაგან, ნაყოფიერი პირობები შეუქმნა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას. (ე.ა. შევარდნაძე "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 12-13).

486. ცხოვრება ურთულესი მოვლენაა და ნურავინ დაიტრაბახებს, რომ მას შეუძლია მოღალატეობისა და ერთგულების დიაგნოზის დასმა. თვით ცხოვრება გაარკვევს ამას. ჩვენ ვქმნით ისეთ სახელმწიფოს, რომელმაც ყოველივე ეს უნდა გამორიცხოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

487. (ცხოვრებასა და პოლიტიკაში ჩემი იდეალებია — შემდგ.) ცხოვრებაში ჩემი სოფლელი ნათესავები, ბოლშევიკები, მენშევიკები, ფედერალისტები... ასეთი იყო დრო და ასეთია გურია, არ შეუძლიათ პოლიტიკის გარეშე. მაგრამ, როგორც ჩანს, ინსტინქტურად აშინებდათ, არ დაშლილიყო ეს, ასე ვთქვათ, მრავალპარტიული ოჯახი. ამიტომაც გამოიმუშავებდნენ კომპრომისებისა და მოთმინების გზას. პოლიტიკაში კი დავით აღმაშენებლის ასეთივე დებულება, მეფისა, რომელმაც მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში ძლიერი ცენტრალიზებული ქართული სახელმწიფო შექმნა. ქრისტიანი მეფე არ ერიდებოდა არც მეჩეთში, არც სინაგოგაში, არც ზორო ასტრიულ საკურთხეველში შესვლას. სხვაგვარად არ შეიძლება საქართველოში, ძალიან ბევრია ხალხებისა და რწმენის წაკიდების ოსტატი.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1998 წლის 27 იანვარი, გვ. 3).

488. ძალა ერთობაშია. ასე გვიცხოვრია საუკუნეების მანძილზე, ასე უნდა ვიცხოვროთ მომავალშიც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №142-143, 1993 წლის 3 ივლისი, გვ. 1).

489. ძალიან დიდი რისკი გავწიე, როცა საქართველოში დავბრუნდი. ძალიან დიდ პოლიტიკოსებს, ჩემს კოლეგებს, მიაჩნიათ, რომ ეს დიდი შეცდომა იყო; თუმცა, მე ბედნიერი ვარ, რომ ეს შეცდომა დავუშვი და... ჩემს ხალხთან ერთად ვარ. ("კავკასიონი", №11, 1994 წლის 16 მარტი, გვ. 5).

490. ძლიერი, აყვავებული სომხეთი ჩვენს ინტერესებს შეესაბამება... ასე იყო ისტორიულად და ასეა დღესაც, ვინაიდან მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით, ერთობლივი მიდგომის გამომუშავებით შევძლებთ დავძლიოთ პრობლემები და მივაღწიოთ პროგრესს ჩვენს სახელმწიფოებში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №233, 1996 წლის 20 ნოემბერი, გვ. 1).

491. ...ძმათამკვლელ ომებს მორგებულმა კი არა, ნამდვილმა ისტორიამ ინება ისე, რომ ამ მიწა-წყალზე ოდითგან მშვიდობით, თანხმობით,

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "ნოვიე იზვესტია", 1998 წლის 22 იანვარი (შემდგ.).

სულიერი და სისხლის ნათესაობის კავშირით ცხოვრობდნენ ქართველები და აფხაზები. და თუ არიან ისტორიკოსები, რომლებმაც მოისურვეს საკამათოდ გახადონ ეს ფაქტი ბრძოლის ველზე, არის ძველი ბერძენი ავტორების მოწმობანიც, ძველი ქართული მატიანეები, არის თანამედროვეობის უაღრესად ავტორიტეტული სწავლულების ფუნდამენტური გამოკვლევები, რომელთა დასკვნა უდავოა: აფხაზეთი საქართველოს მიწა-წყლის ისეთი შემადგენელი ნაწილია, როგორც მისი სხვა ისტორიული კუთხეების მიწები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №40, 1994 წლის 15 მარტი, გვ. 1).

492. ძნელბედობა საქართველოს ისტორიული ხვედრი, მისი შინაარსია. საქართველო-გეორგია — მიწათმოქმედთა ქვეყანაა, იგი არასოდეს ყოფილა აგრესორი. აგრესიის მსხვერპლი და ობიექტი კი მრავალგზის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №252, 1992 წლის 10 დეკემბერი, გვ. 1).

493. ძნელია ლექსის წერა იმ ქვეყანაში, რომელმაც შექმნა "ვეფხისტყაოსანი", "მერანი", "განთიადი", "ლურჯა ცხენები", ძნელია პროზაული ნაწარმოების შექმნა იმ ლიტერატურაში, რომელმაც ქვეყანას მისცა "ოთარაანთ ქვრივი", "გველის პერანგი", "დიდოსტატის მარჯვენა". ("საქართველოს რესპუბლიკა", №151, 1993 წლის 14 ივლისი, გ. 1).

494. წმიდა ილია მართლის კრედო — მამული, ენა, სარწმუნოება! — დღეს ყველა ქართველის რწმენის სიმბოლოა და ეს შესაძლებელი გახდა ქართული ეკლესიის რუდუნებითა და მეოხებით.

განუზომელია საქართველოს ეკლესიის, ქრისტიანული სარწმუნოების როლი ქართველი ხალხის ფიზიკურ და სულიერ გადარჩენაში, ქართული კულტურის, წიგნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებაში.

იერუსალიმი, ათონი, სინას მთა, პეტრიწონი... საქართველოს საერო ისტორიასა და ეკლესიის ისტორიაში ღვთის ჩაუქრობელი სანთლებივით ანთია. ამ სასულიერო და კულტურულ ცენტრებს უცხოეთში გაჰქონდა ქართული კულტურა და საქართველოში შემოჰქონდა მსოფლიო კულტურის მონაპოვარი.

ეს ტრადიციები დღესაც გრძელდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №323, 1997 წლის 26 დეკემბერი, გვ. 2).

495. ჭეშმარიტი მამულიშვილის მკერდში არ შეიძლება ეგოისტის გული ფეთქავდეს. ("დროშა", №1, 1982, გვ. 1).

496. ჭეშმარიტი პატრიოტები ისინი არიან, ვინც ღირსეულად აფასებს რა როგორც წარსულს, ისე აწმყოს მიღწევებს, გაბედულად და პატიოსნად, მთელი ხალხის წინაშე ამხელს ნაკლოვანებებს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვის ჩვენი საზოგადოების ანტიპოდების წინააღმდეგ, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი დედაქალაქის, ჩვენი ცხოვრების სრულყოფა. ("კომუნისტი", №133, 1974 წლის

9 ივნისი, გვ. 2).

497. (ჭეშმარიტი პატრიოტი — შემდგ.) ...არ უნდა ყოყლოჩინობდეს მიღწეულით და ყალბად არ ესმოდეს ეროვნული ღირსების, პატრიოტიზმის, სიამაყის ცნებები. ("კომუნისტი", №133, 1974 წლის 9 ივნისი, გვ. 2).

498. ... ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო, — ბრძანებს შოთა რუსთველი და ჩვენი ერი ამ სიბრძნის ერთგულია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1993 წლის 1 იანვარი, გვ. 1).

499. ხალხთა მეგობრობა ოდითგანვე ქართველი ხალხის წმიდათაწმიდა ზნეობრივი და სულიერი ღირებულება, მისი ცხოვრებისეული კანონია. ("კომუნისტი", №152, 1983 წლის 2 ივლისი, გვ. 2).

500. ხალხთა სიყვარულის, მეგობრობის და ძმობის ყოვლისმძლე იდეებს ქართულ ლიტერატურაში აქვს საუკუნოვანი ტრადიციები, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ გამოიხატა დიდი შოთა რუსთაველის შემოქმედებაში. საუკუნეთა მანძილზე გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეები, პოეტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები თავიანთი ცხოვრებით, თავიანთი შემოქმედებით უქრობ ლამპრად ატარებდნენ და კვლავ ატარებენ მეგობრობისა და ძმობის, ქვეყნად ყველა მშრომელი ადამიანისადმი ღრმა პატივისცემისა და კეთილმოსურნეობის გრძნობას. ("საქართველოს კომუნისტი", №12, 1982, გვ. 30).

501. ... ხევსურეთი ყოველთვის იყო ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საქართველოს განუყრელი ნაწილი, მისი მიწა-წყლის მშვენება, მისი სინდის-ნამუსის ქუდი და ძარღვი. ("ლიტერატურული საქართველო", №42, 1982 წლის 15 ოქტომბერი, გვ. 2).

502. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს, მანამდე და მის შემდეგაც ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები და სხვა ხალხები კარგად ერკვეოდნენ, როგორ უნდა ეცხოვრათ ერთ სახელმწიფოში. უნდა ვუფრთხილდებოდეთ ამ დიდ ტრადიციებს არა მარტო სიტყვით და არა მხოლოდ სიტყვით. ასეთმა პრინციპმა უნდა გაიმარჯვოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №31, 1995 წლის 23 მარტი, გვ. 1).

503. ჰიმნი, დროშა, გერბი — სახელმწიფოებრიობის ისეთი ატრიბუტებია, რომელთა კულტი უნდა შეიქმნას ქვეყანაში...

ახალი, დემოკრატიული საქართველოს სიმბოლიკა ეროვნული თანხმობის მძლავრი ფაქტორი უნდა გახდეს და "დიდი საზოგადოებრივი შეთანხმების" ტვიფრს ატარებდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №9, 1998 წლის 13 იანვარი, გვ. 2).

504. ...9 აპრილი (1989 წლის — შემდგ.) ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების დღეა, რომელმაც ზარივით დარეკა და ყველა ქართველი გამოაფხიზლა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №71, 1993 წლის 6 აპრილი, გვ. 1).

505. 9 აპრილი იყო უმწარესი და უმკაცრესი გაკვეთილი საქართველოს ყველა დროის ხელისუფლებისა და ყველა თაობისათვის... მიმაჩნია, რომ ხელისუფლება რომ არ განდგომოდა თავის ხალხს და დარჩენილიყო მასთან, ეს ტრაგედია არ მოხდებოდა.

... მეორე მთავარი შეცდომა პოლიტიკოსთა პასუხისმგებლობას უკავშირდება, – როდესაც ხალხს მოუწოდებ გარკვეული მოქმედებისაკენ, უნდა გქონდეს გარანტია, რომ მისი უსაფრთხოება დაცული იქნება... ერთია, როდესაც წინ წარუძღვები ხალხს და მასთან ერთად იბრძოლებ, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც მოგყავს ათასობით ადამიანი და არ იცი, რა მოჰყვება ამას შედეგად. ეს იყო 9 აპრილის მეორე საბედისწერო შეცდომა. („საქართველოს რესპუბლიკა", №82, 1997 წლის 11 აპრილი, გვ. 1).

506. 9 აპრილი ჩვენი ქვეყნის გმირობის და თავგანწირვის მაგალითია. („საქართველოს რესპუბლიკა", №68, 1996 წლის 11 აპრილი, გვ. 1).

507. (9 აპრილი წარმოადგენს – შემდგ.) ...ამაღლებულსა და ამავე დროს, სისხლიან თარიღს საქართველოს ისტორიაში, ქართული სულის აღზევებისა და ქართული ცნობიერების გასხივოსნების თარიღს, ზნეობრივი სიმაღლითა და ეროვნული მთლიანობით შიდა და გარე მტრებზე სულიერი ამაღლების თარიღს.

... 9 აპრილი განსაკუთრებული თარიღია ჩვენს ისტორიაში იმითაც, რომ მან თავისი კვალი დატოვა საქართველოს დამოუკიდებლობის კიდევ ერთხელ აღიარებით და დადასტურებით. („საქართველოს რესპუბლიკა", №56, 1994 წლის 8 აპრილი, გვ. 1).

508. 9 მაისი (1945 წლის – შემდგ.) ნამდვილად მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღია და მას ყოველთვის აღნიშნავს მთელი პროგრესული კაცობრიობა, მათ შორის გერმანიაშიც და სხვა იმ სახელმწიფოებშიც, რომლებიც ბარიკადების მეორე მხარეს იყვნენ მეორე მსოფლიო ომში... 700 ათასი ჩვენი თანამემამულე მონაწილეობდა და 300 ათასზე მეტი ვეღარ დაუბრუნდა მშობლიურ სახლ-კარს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოში ყველა გულისტკივილით იხსენიებს იმ დროს, უწინარესად კი ჩვენი ვეტერანები და ომის საშინელებით გატანჯული ხალხი.

სამწუხაროდ, ქვეყნის საერთო-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, სახელმწიფომ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ომის მონაწილეთა და მათი ოჯახების სოციალური დაცვის სრულყოფილი ღონისძიებების შემუშავება და რეალიზაცია... იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ სათანადოდ დავაფასოთ ომის მონაწილეთა თავდადება და ღვაწლი. („საქართველოს რესპუბლიკა", №102, 1997 წლის 6 მაისი, გვ. 2).

509. 14 აპრილი (1978 წლის – შემდგ.) განსაკუთრებული დღეა

საქართველოს ისტორიაში. იგი ერთ-ერთი უბრწყინვალესია. ქართულმა ენამ ბევრი რამ განიცადა ათწლეულების განმავლობაში, იგი აკრძალული ენა იყო, საბჭოთა წლებში კი — შევიწროებული. ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა დიდმა მოღვაწეებმა შემოგვინახეს მშობლიური ენა. და 14 აპრილი, მე ასე ვხედავდი მაშინ, იყო საოცარი აფეთქება გრძნობებისა, ეროვნული ენერგიის ამოხეთქვა. 14 აპრილი იყო ამავე დროს მხნეობის, პატრიოტიზმის გამარჯვება. 14 აპრილი იყო ნამდვილი დღესასწაული და ნამდვილი გამოცდა ჩვენი ხალხისა, მისი სიბრძნის, მისი წინდახედულობის, მისი გაბედულებისა. გადაუჭარბებლად გეტყვით, რომ 14 აპრილი იყო ქართული პოლიტიკის პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვებაც, ქართველი ხალხის და ხელისუფლების ერთობის ნამდვილი დემონსტრაცია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №85, 1997 წლის 15 აპრილი, გვ. 1).

510. 14 აპრილი ერთ-ერთი სახელოვანი და ბრწყინვალე თარიღია ჩვენს ისტორიაში, და საერთოდ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით უახლეს ისტორიაში. ქართული ენის — სახელმწიფო ენის დღესთან არის დაკავშირებული ჩვენი ეროვნული თვითშეგნების გლობალური გამოღვიძება. ეს ის დღეა, როცა დარეკა ზარმა და მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა. ჩვენთან ერთად იყვნენ ქართველები და ჩვენი ქვეყნის არაქართველი მოქალაქენიც. ეს დღე დაუვიწყარია იმით, რომ ტოტალიტარული სისტემის პირობებში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა გაიმარჯვა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ეროვნულმა რწმენამ, ეროვნულმა ენერგიამ, გაიმარჯვა საღმა აზრმა და ქართულმა პოლიტიკამ, რის შედეგადაც, ამას გადაუჭარბებლად ვამბობ, ქართული ენა გადავარჩინეთ მსხვერპლისა და დანაკარგების გაუღებლად. 14 აპრილი მართლაც საოცარი ერთობის, ჭკუისა და გონების დემონსტრაცია გახლდათ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №85, 1997 წლის 15 აპრილი, გვ. 1).

511. 14 აპრილი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი დღეა. იგი იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა გაერთიანდეს ხალხი უმაღლესი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მიზნის მისაღწევად... იმ დღეების გმირი მთელი ხალხია, განსაკუთრებით ჩვენი სახელოვანი ქართველი ინტელიგენცია და ახალგაზრდობა. ნამდვილი გმირები სწორედ ისინი იყვნენ. არც ქვეყნის ხელმძღვანელობა და მისი ლიდერი ისხდნენ ჩირგვებში. მაშინ მთელი პასუხისმგებლობა ჩვენ ვიკისრეთ, ენაც გადავარჩინეთ და ხალხიც, რადგან მოსალოდნელი იყო ძალიან მძიმე შედეგები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №42, 1995 წლის 18 აპრილი, გვ. 2).

512. 20 საუკუნეზე მეტია ქართველები და ებრაელები ერთად ცხოვრობენ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, მრავალტანჯულ და მრავალჭირნახულ საქართველოში. 20 საუკუნეზე მეტია ვამაყობთ ჩვენი უძველესი ხალხების ძმობის სახელოვანი ტრადიციებით. ("საქართველოს

რესპუბლიკა", №163, 1996 წლის 13 აგვისტო, გვ. 2).

513. 26 მაისი XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში შევიდა, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის დღესასწაული. ეს ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი დიდი ისტორიული ეტაპის დამაგვირგვინებელი თარიღია და იმავე დროს საქართველოს სუვერენული, დემოკრატიული რესპუბლიკის, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ყავლაგაუსვლელი სიმბოლო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №95-96, 1994 წლის 26 მაისი, გვ. 1).

514. 1783 წელს დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის არსებითად პირველი ქარტია, რომელიც მრავალფეროვანი — პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული თანამშრომლობის საუკუნეებმა შეამზადა. ტრაქტატის თანახმად, საქართველოზე გავრცელდა რუსეთის პროტექტორატი. საქართველომ სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედ-იღბალი რუს ხალხს, ყველა იმ ხალხს, რომლებსაც რუსეთმა, როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა, მშვიდობიანობა და მოსვენება მოუვლინა. (ე. ა. შევარდნაძე, "საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 75).

515. ...1783 წელს მოაწერეს ხელი ჩრდილოეთ კავკასიაში, გეორგიევსკში, ეკატერინე II-ისა და ერეკლე II-ის ელჩებმა რუსეთსა და საქართველოს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულებას. დიდმა ჩრდილოეთის სახელმწიფომ იკისრა პატარა ერთმორწმუნე ქვეყნის მფარველობა, მაგრამ თვრამეტი წლის შემდეგ იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტით რუსეთმა ჩვენი ქვეყანა შეიერთა. საქართველოს სამეფო გაუქმდა, ამიერიდან მას მეტროპოლიის მოხელეები მართავდნენ.

ნებისმიერი თვალსაზრისით, ეს ნამდვილი კოლონიური პოლიტიკა იყო. დიახ, მან საქართველო იხსნა საგარეო ხიფათთაგან, გზებზე ჯებირები აღმართა, მაგრამ ქვეყანას თავისი იმპერიული უღელი დაადგა. ქმედება უკუქმედებას იწვევს ხოლმე. საქართველოში წარმოშობილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გადაჯაჭვული იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის პროგრესული საზოგადოებრიობისა და იმპერიის სხვა დამონებული ხალხების ბრძოლასთან. საქართველოში ბევრისთვის ეს იყო ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის.

ეს შანსი საქართველოს 1917 წელმა მისცა. რევოლუციის მიერ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებათა აღიარებამ და ბრესტის ზავის დადების შემდეგ შექმნილმა რთულმა ვითარებამ, ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და სხვა ეროვნული პარტიების ლიდერების წინაშე დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის პრაქტიკული საკითხი დააყენა.

1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. მაგრამ მან არსებობა შეწყვიტა სამი წლის შემდეგ, როცა თბილისში წითელი არმიის ნაწილების შემოსვლის შედეგად იქ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 36-37).

516. 1918 წლის 26 მაისი ერის ისტორიულ დროთა გაწყვეტილი კავშირის, ერის მოშლილი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დიდი ნიშანსვეტია, ის თვისებრივად სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისია საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. დაიბადა ახალი ტიპის სახელმწიფო, აღსდგა არა ცარიზმის მიერ გაუქმებული, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დროინდელი ფეოდალური, დამოუკიდებელ სამთავროებად დაქსაქსული ქართული სახელმწიფო, არამედ XX საუკუნის ევროპული ტიპის დემოკრატიული, ერთიანი, სუვერენული ქვეყანა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №101, 1993 წლის 18 მაისი, გვ. 1).

517. 1953 წელს გარდაიცვალა სტალინი. იმავე წელს სიკვდილით დასაჯეს ბერია.

1956 წელს გაიმართა პარტიის XX ყრილობა. მასზე "სტალინის ეპოქის" დანაშაულობებზე "საიდუმლო" მოხსენებით გამოვიდა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი. ამ მოხსენებაში მოხმობილი მონაცემები და ფაქტები ეჭვს არ იწვევდა: მათ ადასტურებდა ჩემთვის ცნობილი მრავალი ადამიანის ბედი. მაგრამ შემაძრწუნა პირდაპირმა კავშირმა ტერორის და რეპრესიების პოლიტიკასა და სტალინის მოღვაწეობას შორის. ეს იყო ცხოვრებისა და რწმენის რღვევა - საშინელებაა იმის გაცნობიერება, რომ შენ ჭეშმარიტ ღმერთს არ ეთაყვანებოდი, რომ შენ მოტყუებული ხარ.

სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკამ ტკივილი მიაყენა ჩემს ეროვნულ გრძნობას. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ სტალინი ქართველი იყო. ხრუშჩოვმა ნებსით თუ უნებლიედ, ქართველთა თავმოყვარეობის შემლახველი გამოთქმების უფლება მისცა თავს. ნიკიტა სერგის ძემ მოტანილი ფაქტები არ იკმარა, კარგა ხნის მანძილზე აბუჩად აგდებული და განაწყენებული კაცის ემოციები ნებაზე მიუშვა და მკვდარი "პატრონის" მისამართით დამამცირებელი გამოხდომები იკადრა, ის სტალინს ხატავდა არა მარტო ტირანად (ტირანი ნამდვილად იყო კიდეც), არამედ ძალიან უვიც და ჩერჩეტ კაცადაც. თუ ის ნამდვილად უჭკუო იყო, — კითხულობდნენ ბევრნი, — როგორღა შეძლო ძლევამოსილი სახელმწიფოს შექმნა და მილიონების აყოლიება? როგორ შეძლო გამხდარიყო თავისი დროის გამოჩენილ პოლიტიკოსთა ღირსეული თანამოსაუბრე და პარტნიორი? მხოლოდ ვერაგობით, სისასტიკით,

ძალმომრეობით, ეშმაკობით? ეს შეუძლებელია! ახლა ვფიქრობ, რომ 1956 წლის მარტის დღეებში ქართველი ახალგაზრდობის შფოთის მიზეზი იყო ეროვნული გრძნობის შელახვაზე ბევრად უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი რამ, ეს იყო გაუცნობიერებელი პროტესტი ბრძოლის იმ აღიარებული ხერხების წინააღმდეგ, რომლებიც ემყარებოდა უღირსი საშუალებებით ბოროტების ამოძირკვას, უსამართლობის უსამართლობით აღმოფხვრას. ბოროტების დამამხობელი იმოსებოდა წმინდანის სამოსლით, ის კი წმინდანი არ იყო და ვერც იქნებოდა.

ბევრს მაშინვე დაებადა კითხვა: მასობრივი რეპრესიების წლებში რა როლს ასრულებდა ხრუშჩოვი? ოცდაათიან წლებში მას ხომ დიდი თანამდებობები ეკავა.

ეს საკითხი დღესაც ბოლომდე არ გარკვეულა, მაგრამ მრავალი წყარო მიგვითითებს, რომ ხრუშჩოვსაც თავისი წვლილი მიუძღვის "დიდ ტერორში".

1956 წლის 9 მარტისათვის თბილისში მრავალათასიანი მიტინგები გადაიზარდა მსვლელობებსა და დემონსტრაციებში, რომლებიც განსაკუთრებით ხალხმრავალი იყო რუსთაველის პროსპექტზე. დემონსტრანტები პეტიციებითა და საპროტესტო დეპეშებით მიადგნენ კავშირგაბმულობის სახლს და მიიღეს მომაკვდინებელი პასუხი: ავტომატური იარაღის ზალპი. მტკვრის სანაპიროზე ტანკები დაიძრნენ.

ოფიციალური მონაცემებით, იმ დღეს ათობით ადამიანი დაიღუპა, მრავალი დაიჭრა.

მართალი არ არის, თითქოს მოსახლეობის წინააღმდეგ მძიმე საბრძოლო ტექნიკა პირველად ბუდაპეშტში გამოიყენეს 1956 წლის ოქტომბერში. განსხვავებული აზროვნების წინააღმდეგ არგუმენტად ტანკი პირველად გამოჩნდა თბილისში იმავე 1956 წლის მარტში.

ორმოცდაათიან-სამოციანი წლების აღმოსავლეთ ევროპის შემზარავ ამბებში, ჩემი აზრით, 1956 წლის თბილისური მარტი ირეკლება. მე და ჩემი თაობა სამუდამოდ განვიმსჭვალეთ "1956 წლის კომპლექსით", — ძალმომრეობის, როგორც პოლიტიკის მეთოდისა და პრინციპის, მიუღებლობის კომპლექსით. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 55-57).

518. 1989 წლის 7 აპრილის საღამოს გორბაჩოვი და მე ერთად დავბრუნდით ინგლისიდან. აეროპორტ ვნუკოვო-2-ში შეგვატყობინეს, რომ, საქართველოს ხელმძღვანელთა დაჟინებული თხოვნით, თბილისში გაგზავნილია შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფი, რომელიც აქამდე თბილისიდანვე იყო გადაყვანილი სომხეთში. გვითხრეს, რომ თხოვნა მოტივირებული იყო წესრიგის დაცვის აუცილებლობით, წესრიგს კი

საფრთხე შეექმნა 4 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სახლთან დაწყებული არასანქცირებული მიტინგით. ცნობამ შემაშფოთა: მეხსიერება და გამოცდილება ნებისმიერ სიტყვებზე, ნებისმიერ რწმუნებებზე ძლიერია. 1956 და 1978 წლების მოვლენებმა ჩამომიყალიბეს მტკიცე სინდრომი: პოლიტიკური კონფლიქტის გადასაწყვეტ საშუალებად ძალის კატეგორიულად მიუღებლობა, მით უფრო, ადამიანთა მასობრივი თავმოყრის პირობებში. ამიტომ გამახარა გორბაჩოვის სიტყვებმა: "რადაც არ უნდა დაჯდეს, სიტუაცია პოლიტიკური საშუალებებით უნდა განიმუხტოს. ამისთვის, თუ საჭირო შეიქმნა, შევარდნაძე და რაზუმოვსკი გაფრინდნენ თბილისში". მან შემომთავაზა, დამერეკა საქართველოს დედაქალაქში და დამედგინა, აუცილებელი იყო თუ არა ჩვენი იქ ჩასვლა...

დავრეკე. პასუხად გავიგონე: "მდგომარეობა კონტროლდება. თქვენი ჩამოსვლა აუცილებელი არ არის", რაც ვაუწყე გორბაჩოვს. შემდეგ, როგორც გავიგე, იმ მომენტში სამხედრო ქვედანაყოფები, — და არა მხოლოდ შინაგანი ჯარები, — თურმე უკვე გადაჰყავდათ თბილისში. 8 აპრილს, დილას უკვე იქ იყვნენ, ღღისით კი რუსთაველის პროსპექტზე ძალის დემონსტრირება მოახდინეს. ეფექტი განზრახულის საწინააღმდეგო იყო: დაშინების ნაცვლად ამან გამოიწვია გულისწყრომა და აღშფოთება, უფრო განმტკიცდა სურვილი შემჭიდროებულიყვნენ და ამაში ეპოვნათ ხსნა. აბსოლუტურად დამახინჯებული, შერყვნილი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ეროვნულ ცნობიერებაზე, რომ მიმართო ისეთ ზომას, როგორიც არის ტანკებითა და ქვეითი ჯარის საომარი მანქანებით "გასეირნება" დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე. ადამიანები გზაზე უწვებოდნენ მათ, იმიტომ, რომ მათ გენებში უკვე აღარ იყო წარსული წლების რეპრესიებით დათესილი შიში. არ იყო შიში. მძვინვარება უფრო ძლიერი აღმოჩნდა, რადგან ადამიანები, რომლებიც გარდაქმნას ენდნენ, დარწმუნდნენ: 1989 წელს მათ წინააღმდეგ იმავე მეთოდებით მოქმედებენ, რომლებიც მათი მამების წინააღმდეგ გამოიყენეს 1956-ში...

შეგვიძლია მათ ძველებურად ვუძახოთ "ექსტრემისტები", მაგრამ მე მოვერიდებოდი გარდასული წლების სიტყვათა არსენალით ოპერირებას, როცა ვხედავთ თვრამეტი წლის გოგონას, რომელიც უშიშრად წვება ასფალტზე მომავალი ტანკების მუხლუხების წინ, ამ შემთხვევაში ჯერ უნდა გაარკვიოთ, რა ხდება: პიროვნების ანომალიაა ეს თუ თავისუფლებას მოწყურებული სულის სტიქიური პროტესტი პათოლოგიური ძალაუფლების წინააღმდეგ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 315-317).

519. 1998 წელს საქართველო ზეიმით აღნიშნავს თავის მიწა-

წყალზე ისრაელთა დამკვიდრების 26-საუკუნოვან წლისთავს. ჩვენს საერთო მიწა-წყალზე 26 ასწლეულია, მშვიდობიანად, მეგობრულად და თანხმობით, ერთმანეთის სიყვარულითა და პატივისცემით, ერთურთის ენების, რელიგიებისა და კულტურების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულებით ცხოვრობენ ქართველები და ებრაელები. ჭირსა და ლხინში, სიხარულის თუ განსაცდელის ჟამს — ერთად არიან და ასე მოდის ორი ათას ექვსასი წელიწადია.

ვისურვებდი, ამ ისტორიას განეკურნოს თანამედროვეობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1998 წლის 17 იანვარი, გვ. 2).

520. XXI საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველოს მიეცა უნიკალური შანსი განახორციელოს წინა არაერთი თაობის მრავალსაუკუნოვანი ოცნება — ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ევროპის ინტელექტუალური სივრცის განუყოფელი ნაწილი იქნება. ჩვენ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. აი, იდეა, რომელმაც ჩვენ უნდა გაგვაერთიანოს. არავის არ ვუსურვებდი ამ იდეის განხორციელების გზაზე საწინააღმდეგო დინებით სვლას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №20, 1998 წლის 25 იანვარი, გვ. 6).

521. Абхазия - эта Грузия. Грузия не существует и не будет существовать без Абхазии! ("Литературная Грузия" 1, 1993, стр. 147).

522. Аджарская модель должна стать эталоном при решении вопроса административно-териториального устройства Грузии. ("Свободная Грузия", №103-104, 17 июля 1997 года, стр. 1).

523. В истории отношений Греции и Грузии вписано немало знаменательных страниц, но, полагаю, Афонская гора занимает совершенно особое место.

Сегодня трудно найти в Грузии человека, который не знает о Святой горе, поскольку именно здесь осуществленны многие важнейшие для грузинской духовной литературы, Грузинской православной церкви и, я бы сказал, вообще для грузинской культуры, замыслы. ("Свободная Грузия, " № 161, 24 сентября 1997 года, стр. 2).

524. В маленькой частице Земли под названием Грузия, которую история распяла на геополитическом кресте, непостижимым образом сошлись все те беды и противоречия, которые империя заложила в свой генетический код, постоянно провоцировала их и которые даже сейчас, после его гибели, продолжают сотрясать нас. Все то, о чем я думал и говорил, что предвидел и предсказывал, - сбылось в судьбе Грузии. И здесь не надо быть ясновидящим - для этого достаточно знать сис-тему, с которой имеешь дело. ("Независимая газета", №192, 6 октября 1992 года, стр.84.)

525. Грузинский народ веками мечтал о свободе своей древней земли, о расцвете ее экономики и культуры, о счастливой жизни будущих поколений. И не только мечтал, но и героически боролся против поработителей и эксплуататоров. ("Коммунист Узбекистана", №11-12, 1972, стр. 84).

526. ...Долг каждого порядочного человека - быть со своим народом. ("Новое время", №3, 1992, стр. 12).

527. Интеллектуальный потенциал нашего народа настолько велик, что в ближайшем будущем Грузия обязательно займет свое избранное место среди народов мира. ("Свободная Грузия", №23-24, 25 января 1998 года, стр. 4).

528. Исторически Грузия... многажды разорялась как внешними, так и внутренними врагами, но всегда находила в себе силы, подобно фениксу, возрождаться из пепла. И наше прошлое является опорой потому, что посредством него можно разгадать тайны удивительной жизнеспособности Грузии.

Одна из тайн, по моему глубокому убеждению, состоит в следующем: на протяжении в сей истории грузинской государственности наши предки достигали того, что сейчас называется социальной стабильностью. ("Литературная Грузия", №4-5, 1992, стр. 301-302).

529. История ее (Грузии - შემდგ.) борьбы за государственность насчитывает не одно столетие. Не одно столетие эта борьба шла в одном русле с формированием самобытной национальной культуры, защиты веры и языка. В 337 году нашей эры христианство как государственная религия благословляет порыв страны к единению в общих для нее границы.

К XI-XII векам, став мощным государством Передней Азии, Грузия создает центры своей культуры и за пределами своих границ - в Палестине и Греции.

Превратности исторической судьбы лишают ее государственности. Первый раз - когда Грузия была включена в состав Российской Империи, и во втором - в 1921 году, когда, став демократической республикой она подвергается вооруженной интервенции большевизма, насильственно водворяющего ее в унитарном государство. ("Независимая газета", №192, 6 октября 1992 года, стр.1).

530. Каждое поколение грузинского и абхазского народов обязано

оберегать уроки истории, традиции братства и дружбы этих двух народов. В истории любого народа можно отыскать прогрессивные и реакционные тенденции, но главным остается ориентир и добро, разумность, истина, человекалюбие. Этому учат нас и история, и Евангелие, и если угодно, Коран. ("Литературная Грузия", №1, 1993, стр. 90).

531. Лишь свобода личности, создание всех необходимых для охраны прав человека условий, формирование истинно гуманного общества, подкрепленные порядком, законностью и защитой демократических конституционных норм, могут гарантировать нам право гражданства в цивилизованном Мире. ("Независимая газета", №4, 9 января 1992 года, стр.3).

532. Между Грузией и Россией сохраняются человеческие контакты, но как быть дальше? Ослабли связи в экономике, науке. А у молодых все-таки другая перспектива. Они нередко глядят на Запад, ищут себя в других странах. Поэтому, если нет постоянного совместного общения, совместой заботы, то эти связи постепенно исчезнут. Вот это очень обидно.* ( "Свободная Грузия", №73, 6 июня 1997 года, стр. 1 ).

533. Мы все знаем, что история наделила Грузию почетным и в то же время трагическим уделом прибежища многих гонимых превратностями судьбы этносов. Известно также, что Грузия никогда не захватывала ничьеи земли и, за исключением завоевателей, никого не изгоняла из своих пределов. ("Литературная Грузия", №1, 1993, стр. 87).

534. Мы никому не позволим действовать вопреки истине и логике. ("Литературная Грузия", №1, 1993, стр. 88).

535. Мы пережили действительно критические годы. В глубочайшем кризисе и экономическом, и политическом, с гражданской войной, но все равно выжили. Мы выжили! Сейчас постепенно поднимаемся. Более того, убедились, что жить можно. Даже без России можно жить. Но это самая жестокая логика. Хорошая или плахая - это другой вопрос.

В нынешних условиях привязать к себе республики такими методами, как сейчас: политическими, административными, какими-то другими - это уже пройденный этап. Главными все же остаются другие каналы: экономические, научные, культурные. На другой основе надо стройть отношения. И может быть, мы будем более близкими, чем раньше. Новая ситуация создает условия для совер-

* გადმობეჭდილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №22, 1997 წლის 1-8 ივნისი, გვ. 9 (შემდ.).

шенно новых отношений-дове-рительных. Тем более, что существуют традиции. Еще в строю люди, которые о них помнят. Пока же остается такое ощущение, что есть центр, а есть какая-то периферия...* ("Свободная Грузия", №73, 6 июня 1997 года, стр. 1).

536. ... Несмотря на неимоверно тяжелую - даже трудно представить, насколько тяжелую - жизнь, счатлив, что не остался в стороне и вместе с моим народом строю новою, демократическую Грузию. ("Независимая газета", №152, 11 августа 1992 года, стр. 3).

537. Портрет Грузии будет неполон без одной весьма существенной черты. Издревле вовлеченная в движение народов, идей, культур, она утверждала расовую и религиозную терпимость как канон своего бытия. Винужденная сражаться с могущественными внешними силами, она не страдала ни ксенофобией, ни рели-гиозным фанатизмом. В ее столице Тбилиси, на площади в один квадратный километр, вы можете увидеть грузинскую православную церковь, армяно-грегорианский храм, мусульманскую мечеть, еврейскую синагогу, лютеранскую кирху. Христианка с IV века, Грузия в некоторых своих важных исторических про-винциях познала и ислам. И не было между ними вражды и розни, как не было никому отказ в праве жить по собственным представлениям и традициям. К несчастью для всех нас, на наиболее крутых маршрутах истории это единство подвергалось разрушительным ударом извне и изнутри. ("Независимая газета", №192, 6 октября 1992 года, стр. 1, 5).

538. Прямо скажем: для Грузии жизненно важное значение имеют нормальные, признанные в международной практике отношения с Россией.

Однако никто не должен понимать это как односторонний процесс. Национальным интерессам России также соответствуют добрососедские, дружеские отношение с независимой суверенной демократической Грузией. ("Литературная Грузия", №1, 1993, стр. 135).

539. Русский и грузинский народы веками жили вместе, никогда не воевали друг с другом. Эти народы родственные, близкие по духу, по традициям. ("Московские новости", №16, 18 апреля 1993 года, стр. 7).

540. Сегодня у нас у всех один Бог - это наша Родина. ("იბერია-სპექტრი", №44, 1992 წლის 21-27 მაისი, გვ. 2).

---

* გადმობეჭდილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №22, 1997 წლის 1-8 ივნისი, გვ. (შემდგ.).

541. Самый большой наш капитал - интеллектуальный потен-циал нашего народа. ("იბერია-სპექტრი", №54, 1992 წლის 27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი, გვ. 2).

542. У нас в Грузии всегда было доброе, хорошое отношение к русским. ("იბერია-სპექტრი", №44, 1992 წლის 21-27 მაისი, გვ. 2).

543. Человек, проповедующий разделение Грузии на Карт-лийское, Кахетинское, Имеретинское царство, будь то "звиа-дист", или "шеварднадзист", ничего, кроме вреди, принести не может. Такие люди есть во всех слоях. Верю, что мудрый грузинский народ разберется кто есть кто и каждому отведет свое место в истории. ("იბერია-სპექტრი" №54, 1992 წლის 27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი, გვ. 4).

544. Я думаю, что ее (новую войну между грузинами и абхазцами - შემდგ.) можно предотвратить. Абхазцы воевать не хотят, потому что новая война для абхазцев - это самоуничтожение, самоубийство. Это будет настоящая война, потому что существует серьезная армия: 30-40 тысяч вооруженных молодых ребят уже прошли солидную, серьезную подготовку и умеют обращаться с оружием. Нет, абхазцы воевать не хотят. Чеченцы больше не пойдут. Это тогда они взяли на себя основную нагрузку: 7 тысяч боевиков-чеченцев воевали в Абхазии. Не пойдут. Они говорят сейчас: "Мы вас не поддержим. Мы хотим уйти из России, а вы хотите как раз вступить в Россию - это совершенно разные вещи". Казаки уже тоже не пойдут, их же обманули - не дали им ни земли, ни домов. Мы тоже не хотим воевоть... Погибли тысячи и тысячи людей - этот ужас люди познали. Ну что, какой выход? Я думаю, если уйдут российские военные - это подтолкнет и грузин, и абхазцев к примирению. Да, будут провокации и с этой стороны, и с той. Но я все же думаю, что мир возможен.* ("Свободная Грузия", №73, 6 июня 1997 года, стр. 8).

545. Я счастлив осознавать, что жизнь не прошла бесполез-но... Для мира и я кое-что сделал. И сегодния эти ростки пожинаю не я, а вся Грузия. ( "Свободная Грузия", №25- 26, 27 января 1998 года, стр. 1).

546. Я убежден, что в рамках единого Грузинского государства все национальные и межнациональные проблемы поддаются решению. ("Независимая газета", №152, 11 августа 1992 года, стр. 3).

---

* გადმობეჭდილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №22, 1997 წლის 1-8 ივნისი, გვ. 9 (შემდგ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# V დიდი ქართველი მეფეების, ერისკაცების, მოაზროვნეების, მწერლების, პოეტების, სწავლულების, ხელოვნების დარგის წარმომადგენლების, გმირების, საერო, სასულიერო და საზოგადო მოღვაწეების შესახებ

## დავით IV აღმაშენებლის შესახებ

1. დავით აღმაშენებელი ერთიანი, ძლევამოსილი და თავისუფალი საქართველოს მარადიული სიმბოლოა. მან უდიდესი წვლილი შეიტანა უცხოელ დამპყრობთაგან ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებაში. სწორედ მისი ძალისხმევით იქნა შემომტკიცებული მტრის მიერ ქვეყნისაგან მოწყვეტილი თუ განმდგარი მხარეები.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გადაწყვეტილებით წმინდანად შერაცხულმა დიდმა დავით მეფემ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების წესად დაამკვიდრა შემწყნარებლობა ყველა ადამიანის მიმართ, — განურჩევლად ერისა, სარწმუნოებისა და ეთნიკური წარმომავლობისა. იგი თავისი დროის გამოჩენილი მოაზროვნე და დიდი განმანათლებელი იყო, რომელიც დღემდე რჩება მეცნიერთა თუ ხელოვანთა შთაგონების უშრეტ წყაროდ.

...დავით აღმაშენებელი, ისევე, როგორც საუკუნეთა განმავლობაში, ამჟამადაც ნამდვილი მედროშეა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №114, 1997 წლის 20 მაისი, გვ. 1).

2. დავით აღმაშენებელი იყო არა მარტო ერთიანი საქართველოს, დიდი სახელმწიფოს შემქმნელი, არამედ გიორგი ჭყონდიდელთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად, ღვთის წყალობით ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის რეფორმატორი და ამაღორძინებელი.

... დავით აღმაშენებელმა, არ შემიძლია ამას არ გავუსვა ხაზი, დაგვიტოვა ტოლერანტობის უდიდესი ისტორიული ტრადიციები ყველა კონფესიის მიმართ და დღევანდელი და მომავალი თაობანი ამ დიდი მემკვიდრეობის ერთგულნი დარჩებიან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №323, 1997 წლის 26 დეკემბერი, გვ. 2).

3. (დავით აღმაშენებელი — მე-12 საუკუნის გვირგვინოსანი პოლიტიკოსი, მეფე-ქრისტიანი, ქვეყნის განთავისუფლების და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამარჯვებული — შემდგ.)... რელიგიურ საფუძველზე აღმოცენებულ კონფლიქტებს თავიდან იცილებდა თავისი ტოლერანტობის ძალით. ეს იყო სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც აღიარებდა შემწყნარებლობასა და კომპრომისს, ურთიერთგაგებას და მიტევებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც პრინციპს. („საქართველოს რესპუბლიკა", №83, 1995 წლის 14 ივლისი, გვ. 2).

4. დავით აღმაშენებლის ფენომენში არის ორი ძირითადი საწყისი:

პირველი ის, რაც ეკუთვნის მის ეპოქას — კონკრეტულ ისტორიულ პერიოდს, საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანას", და მეორე ის, რაც ეკუთვნის მარადისობას, საქართველოს ისტორიის ყველა საუკუნეს, მომავალ თაობებს.

დავით აღმაშენებელმა მძლავრი, გააზრებული, შესანიშნავად გათვლილი, წინდახედული, ამავე დროს გაბედული და ყოველმხრივ უზრუნველყოფილი სახელმწიფო პოლიტიკით შეძლო გაეერთიანებინა მტრის ძალმომრეობითა და ჩვენი ქვეყნის საზარელი ისტორიული მანკით — შინააშლილობით დასუსტებული და დავრდომილი ქვეყანა.

დავითმა შთაბერა მებრძოლი სული და უძლეველობის რწმენა საქართველოს მხედრობას — თავად წარუძღვა მას ხმალშემართული და ბრწყინვალე გამარჯვებათა რიგი დედაქალაქის განთავისუფლებით დააგვირგვინა (დაიწყო ეს გზა ქუთაისში და შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ქუთაისში დაიდგა ელგუჯა ამაშუკელის უბრწყინვალესი ძეგლი).

დავით მეოთხე მთავარი შემოქმედია დიდგორისა, რომელიც საუკუნეთა მიღმაც ბრწყინავს ქართველთათვის საამაყო ძლევამოსილების შუქით და ათასწლეულთა შემდეგაც არ დაკარგავს ამ შარავანდედს.

დავითმა აღაშენა დანგრეული და დამცირებული საქართველო — ჩამოაყალიბა მტკიცე სახელმწიფო ყველა თანმდევი ატრიბუტით, ააგო ქალაქები და ეკლესიები, ქმნა ერთმთავრობა, დააფუძნა ქართული სამართალი, გაიყვანა გზები, გადო ხიდები.

დავით მეფე დიდი რეფორმატორი იყო. მან განახორციელა უმნიშვნელოვანესი საეკლესიო რეფორმა, რომლის შედეგადაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ უმტკიცეს ბურჯად იქცა.

დავითის რეფორმაცია ჩვენს დღევანდელობასაც ეხმიანება. დღესაც საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთად იღვწიან ახალი, ძლიერი, ერთიანი, განუყოფელი საქართველოსათვის. ეს არის წმიდა დავით აღმაშენებლის ანდერძის ერთგულება.

მრავალ გამორჩეულ პიროვნებას, სახელმწიფო მოღვაწესა და გმირს იცნობს კაცობრიობის ისტორია, მაგრამ ჭეშმარიტად იშვიათია ადამიანი, რომელიც ესოდენი სისრულით აერთიანებდეს ძალასა და სათნოებას, სიმტკიცესა და შემწყნარებლობას, პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს, მეფურ მედიდურობასა და ღრმად მორწმუნე ადამიანის თავმდაბლობას, მებრძოლი რაინდის ლომგულობასა და ქრისტიანის ღვთისმოშიშობას.

დავით აღმაშენებელი, ვითარცა მეფე თავისი ქვეყნისა, უპირველესი რაინდი რაინდთა შორის, წინ მიუძღოდა უძლეველ მხედრობას, იყო უშიშარი ვითარცა უხორცო და ქედმოუხრელი მტრისადმი.

დავითი — ვითარცა მორწმუნე ადამიანი, იბრალებდა დანებებულს, გულში იკრავდა სუსტსა და უპოვარს.

დავითის სიმხნევე და რკინის ნებისყოფა ქმნიდა ერთიან, ძლევამოსილ საქართველოს.

დავითის სათნოება და სიყვარული ძერწავდა ქართულ კულტურას, აფუძნებდა გელათს, აერთიანებდა საქართველოს ყველა შვილს — განურჩევლად ენისა, სარწმუნოებისა თუ ეთნიკური წარმომავლობისა, ხოლო მისი "გალობანი სინანულისანი" არის საკაცობრიო მნიშვნელობის თითქმის უმაგალითო ნიმუში სახელმწიფო-პოლიტიკური მოღვაწის ზნეობრივი კათარზისისა.

დავით მეფემ აღამაღლა მშობელი ერი უპირველესად თავისი ზნეობრივი ამაღლებით, ნიჭითა და ძალით. ქართველმა ერმა, საქართველომ სიყვარულითვე უპასუხა და უბოძა ბრწყინვალე თიკუნი—აღმაშენებელი.

დავითი — "სულით საყვარელს" ნიშნავს ქრისტეს ენაზე. დავითი და ბაგრატიონთა დინასტია ქრისტეს ნათესავია "ქართლის ცხოვრების" თანახმად. დავითი ჭეშმარიტი სულით საყვარელი მეფეა ქართველი ხალხისათვის.

იგი თავისი აღნაგობით, თავისი გონებით, თავისი ნებისყოფით, თავისი ძალითა და მოხერხებით, ნიჭითა და ალღოთი გაკვირვებასა და აღტაცებას იწვევდა იმ ეპოქაში და იწვევს ახლაც, ჩვენს თანამედროვეთა შორის.

იგი დიდი მაგალითია საქართველოსი.

იგი წმინდანია საქართველოსი.

იგი რწმენა და იმედია ჩვენი ერისა.

მისი გზა დღესაც საქართველოს გზაა, მისი ბრძოლა საქართველოს ბრძოლაა, მისი სიამაყე საქართველოს სიამაყეა...

...დაე, მისი ძალა მოგვცეს უფალმა, რათა კვლავ აღვადგინოთ და ავაღორძინოთ დიდი საქართველო, დავით აღმაშენებლის საქართველო.

...მსურს მოვიყვანო ერთი შედარება. დიდი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის ემანუილ კანტის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც გერმანიაში წარმოიშობოდა ხოლმე ერთგვარი მსოფლმხედველობრივი სიცარიელე, გერმანელები ამბობდნენ ისტორიულ ფრაზას: "წინ ემანუილ კანტისაკენ". თუ პერეფრაზირების ნება მომეცემა, მე ასე ვიტყოდი დღეს საქართველოს გასაგონად: წინ, დავით აღმაშენებლისაკენ, დიდი მხედართმთავრის, დიდი მეფისა და დიდი მოაზროვნისაკენ! ("საქართველოს რესპუბლიკა", №120, 1997 წლის 27 მაისი, გვ. 2).

5. დავით მეფემ თავისი მოუღლელი მარჯვენით საბოლოოდ გააერთიანა საქართველო და განახორციელა საარსებო მნიშვნელობის რეფორმები ცხოვრების ყველა სფეროში, მოაშენა და მოამრავლა ქვეყანა. მშენებლობის გენიაც გამოამჟღავნა ხელმწიფემ — ამას მოწმობს გელათის აშენება, აქ აკადემიის დაარსება და მისი კულტურის ცენტრად ქცევა, სადაც მოღვაწეობდნენ მისი მიერ მოწვეული დიდი ქართველები — იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი.

ქართლში კულტურის ცენტრად შიომღვიმის მონასტერი აქცია, კახეთში — იყალთოს აკადემია და მრავალი სხვა. ნიჭიერ ახალგაზრდებს უცხოეთში აგზავნიდა სასწავლებლად და აწინაურებდა თავის კარზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №126, 1995 წლის 22 სექტემბერი, გვ. 1).

6. ...დავითი, რომლის ტიტული "აღმაშენებელი", აგრეთვე "ამაღორძინებელს", "განმაახლებელს" ნიშნავს, სახელმწიფოს აშენებდა ეროვნული და რელიგიური ტოლერანტობის საწყისებზე.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №141, 1997 წლის 20 ივნისი, გვ. 2).

7. მსოფლიო ისტორიამ არ იცის სხვა მეფე, რომლისთვისაც თავის ერს ასეთი გაუგონარი და ყოვლისმომცველი სახელი ეწოდებინოს — აღმაშენებელი.

...დავით აღმაშენებლის ღვაწლია, რომ მან, ვითარცა, სახელმწიფოს ბრძენმა მესაჭემ, საქართველოს სოციალური და სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის აუცილებლობა შეიგნო. პირველი მისი დიდი სახელმწიფო გეგმიანი ნაბიჯი ქართული ეკლესიის დემოკრატიზაციის განხორციელება იყო. პირადი ღირსებებისათვის უპირატესობის მინიჭება წოდებრიობასთან შედარებით იმ დროისათვის წარმოუდგენელი გმირობის ტოლფასია. საქართველოში მუდმივი ჯარის დაარსება ქვეყნის გამთლიანების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა.

დიდი რეფორმები განახორციელა დავითმა აღმასრულებელ და მართლმსაჯულების სფეროში. საერთოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა არც ერთი დარგი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელსაც მისი ხელი და გონება არ მისწვდომოდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №126, 1995 წლის 22 სექტემბერი, გვ. 1).

8. როგორც დავით აღმაშენებლის ფართო განათლებასა და მსოფლმხედველობას შეეფერებოდა, ის სარწმუნოებრივი და ეროვნული საკითხის სფეროში ქართული ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის გამომხატველი იყო — სწორედ როგორც შეეფერებოდა ქართველი ხალხის მეფეს. ქართველთა მომეტებული სიყვარული მას ხელს არ უშლიდა ყველასათვის დაენახვებინა, რომ ის ყველა სარწმუნოების და ეროვნების წარმომადგენელს

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №111, 1997 წლის 18 ივნისი, გვ. 5 (შემდ.).

თანაბრად ეპყრობოდა, დადიოდა მაჰმადიანთა მეჩეთებში, კულტურული ცენტრი გაუხსნა მათ საქართველოს სატახტო ქალაქში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №126, 1995 წლის 22 სექტემბერი, გვ. 1).

ბიბლიოთეკა

## შოთა რუსთაველის შესახებ

1. ...მე-12 საუკუნე გაცისკროვნებულია შოთა რუსთაველის გენიით. მისი ეპიკური პოემის "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი მოიცავს კულტურათა სამყაროებს და არსად არ უხვევს მათი კეთილმოსურნე წვდომისა და გაგების გზიდან. ჩვენს წინაშეა მრავალფეროვნების პატივისცემის ხორცშესხმული იდეალი, უმაღლეს ეთიკურ პრინციპად გამოცხადებული ფენომენი კულტურის შემოქმედებითი და ზნეობრივი საწყისის ჰარმონიული აღქმისა.

ამ ქვეყნის სუვერენები იყვნენ კულტურის ვასალები.

მათი მეფენი მგოსნები არიან, მათი მგოსნები — მეფენიო. ეს ნათქვამია იმ საქართველოზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №83, 1995 წლის 14 ივლისი, გვ. 2).

2. საქართველო დიდი ჰუმანისტის, აღმოსავლური რენესანსის ფუძემდებლის, გენიალური პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის სამშობლოა. "ვინ მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერიაო" — ამბობდა დიდი შოთა რუსთველი. იგი მსოფლიო ხალხთა მეგობრობის მომღერალია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №205, 1996 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 3).

## მეფე ერეკლე II-ის შესახებ

1. ამ ერთ პიროვნებაში მადლიანად იყო შეერთებული მაღალი ნიჭი და ცოდნა მხედართმთავრისა მეომრის პიროვნულ სიმამაცესთან, ქვეყნის მშენებლის სიდინჯე და შეუპოვრობა ხალხისმოყვარე და სამართლიანი მეფის სიმკაცრესთან. დიდ და მზაკვრულ ღალატთა მიუხედავად, მას არასოდეს ტოვებდა იმედი საკუთარი ხალხის, საკუთარი ქვეყნის მომავლისა. ეტყობა, სწორედ ამ იმედმა შეაძლებინა მას ბოლომდე ექნია ხმალი და ბოლომდე სჭეროდა ხელში ქაფჩა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №173, 1995 წლის 22 ნოემბერი, გვ. 1).

2. მეფე ერეკლე მეორე მეტად რთული ისტორიული ფიგურაა. ფაქტობრივად, მან და მისმა შვილმა მეფე გიორგი მეთორმეტემ... გაასრულეს ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვანი სახელოვანი დინასტიის მეფობა საქართველოში.

...მეფე ერეკლე მეორის მხედართმთავრული ნიჭი 80-მდე დიდ თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე ომში გამოჩნდა. იგი ჯარებს სარდლობდა არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც, როგორც დიდი მხედართმთავარი.

ქრისტეს ჯვარი ამკობს ერეკლეს საფლავს სვეტიცხოველში და ჯვარს ჰგავს ერეკლეს მახვილი თელავში აღმართულ მის ქანდაკებაზე.

მძიმე იყო მეფე ერეკლე მეორის ჯვარი, მაგრამ მან თავისი მძიმე ჯვარი, მაინც აიტანა გოლგოთაზე.

ერეკლე მეორის უდიდესი ისტორიული დამსახურებაა ის, რომ მან ქრისტიანულ სამყაროს არ მოსწყვიტა საქართველო, ერს შეუნახა მამული, ქრისტეს რჯული და დედაენა.

ერეკლე მეორის ეპოქამდე გაჩნდა ევროპულ ფილოსოფიაში "დიდი და მცირე ბოროტების" კონცეფცია. გვიან XX საუკუნეში მხოლოდ იმეორებდნენ მას.

ისტორიაში "მცირე ბოროტებას" უწოდებდნენ ერეკლე მეორის მიერ რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას, მის ევროპულ ორიენტაციას, მის ისტორიულ არჩევანს.

ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა იყო და მომავალშიც იქნება.

ერეკლე მეორის მოღვაწეობა ისტორიკოსთა მიერ ბევრჯერ და სხვადასხვაგვარად შეფასებულა. ასე იქნება მომავალ საუკუნეებშიც, მაგრამ ერთი რამ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს: ისტორიული პიროვნება, ერთი მხრივ, არასოდეს არ უნდა მოვწყვიტოთ კონკრეტულ-ისტორიულ კონტექსტს, მის ეპოქას და მის საუკუნეს, მისი პერიოდის პოლიტიკურ ძალთა განლაგებას ეროვნულ და მსოფლიო ასპარეზზე და, მეორე მხრივ, პოლიტიკა მუდამ და, მაშასადამე, ერეკლე მეორის დროსაც და დღესაც, მხოლოდ შესაძლებლის ხელოვნებაა.

ერეკლე მეორეს პოსტფაქტუმ არ უნდა მოვთხოვოთ შეუძლებელი.

ერეკლე მეორის პოლიტიკაც მხოლოდ შესაძლებლის ხელოვნება იყო.

...ნიკოლოზ ბარათაშვილმა, სოლომონ დოდაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ, ნიკო ნიკოლაძემ, XIX საუკუნის სხვა კორიფეებმა მაღალი შეფასება მისცეს ერეკლე მეორის ისტორიულ გზას.

როდესაც საკუთარ აზრს გამოვთქვამთ, დიდი წინაპრების აზრიც გავიხსენოთ.

კარგადაა ნათქვამი: სირცხვილი იმ გუთნისდედას, მამა-პაპის საფლავს ხნავდეს!

ყველა დიდ ისტორიულ ფიგურაში არის მარადიული და ეფემერული, უკვდავი და მოკვდავი საწყისები.

რაც მოკვდავი იყო მეფე ერეკლე მეორეში, სვეტიცხოვლის ტაძარში მარხია, რაც უკვდავი იყო, სამარადისოდ განფენილია ქართველთა სულში.

...ჩვენ ღრმად უნდა ჩავწვდეთ ჩვენი ისტორიის არა მარტო ფაქტოლოგიას, არამედ ისტორიის სულს, ისტორიის ფილოსოფიურ საზრისსა და მიზანს.

ერეკლე მეორის მეფობას და მხედართმთავრობას ერთი მიზანი და ერთი საზრისი ჰქონდა — საქართველოს გადარჩენა.

დღეს საქართველო გადარჩენილია!

...ერეკლე მეორის გარდაცვალებიდან განვლილი ორასი წლის მანძილზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვისა და აღდგენის მშფოთვარე ისტორია გვეუბნება, რომ, ერთის მხრივ, ერის სასიცოცხლო, აღმაშენებელი ენერგია და აღმაშენებელი სული უკვდავია და არ არის მისი მომრევი ძალა ქვეყანაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ისე უნდა წარვმართოთ ისტორიის მსვლელობა, ისე უნდა ჩავწვდეთ ისტორიის საერო და საღვთო სულს, რომ სოციალური კატასტროფები და კატაკლიზმები ავაშოროთ ერს და ქვეყანაში დავამკვიდროთ მშვიდობა, სამართლიანობა და კეთილდღეობა, ვიპოვოთ გზა ტაძრისაკენ. („საქართველოს რესპუბლიკა", №19, 1998 წლის 24 იანვარი, გვ. 1-2).

3. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ქართული ისტორიის გამორჩეულ გმირზე, მეფე ერეკლეზე, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მისი გმირობა, მისი გამორჩეულობა და მისი გამარჯვებანი, და ზოგჯერ მისი მარცხიც, ქართველთა გმირობა იყო, ქართველთა გამორჩეულობა და ქართველთა მარცხი, ქართველთა ღალატიც. („საქართველოს რესპუბლიკა", №173, 1995 წლის 22 ნოემბერი, გვ. 1).

4. საქართველოს ისტორიამ იცის საარაკოდ დიდი მეფენი, რომელთა ხსოვნასაც დღესაც მადლიერებით ინახავს შთამომავლობა. მაგრამ, ალბათ, მხოლოდ ერეკლე მეორეა ის მეფე, რომლის ბიოგრაფია, რომლის ცხოვრება, რომლის სამოღვაწეო ასპარეზი, რომლის საქვეყნო პრობლემები და რომლის სახელმწიფო ნაბიჯები დღესაც ცხარე დავისა და კამათის საგნად ქცეულა, დღესაც, ჩვენს დღევანდელ ყოფაშიც პოულობს გამოძახილს და იქნებ ხსნის კიდეც დღევანდელ პოლიტიკოსთა ამა თუ იმ ნაბიჯს. („საქართველოს რესპუბლიკა", №173, 1995 წლის 22 ნოემბერი, გვ. 1).

## ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ

1. გენიალური პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელთან არის დაკავშირებული ახალი ქართული ლიტერატურის ფუძე და ჯვარი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელთან არის დაკავშირებული ქართული რომანტიზმის ამაღლება.

... ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის მძლავრი იარაღია, დიდი მამულიშვილის, დიდი ერისკაცის პოეზიაა.

... მისი პოეზია მამულისათვის, ერისათვის, კაცობრიობისათვის ზრუნვის კლასიკური მაგალითია, მარადიული, სულში ჩამწვდომი მოწოდებაა, რომელიც მუდამ პოულობდა და პოულობს ხალხის გულში მხურვალე გამოძახილს.

... ნიკოლოზ ბარათაშვილი ახალი გზების გამკვალავია პოეზიის ისტორიაში.

... ბარათაშვილი ცოცხალია და ამიტომ ჩვენი თანამედროვეა. მაშასადამე, ბარათაშვილი ეკუთვნის აწმყოს.

ბარათაშვილი უკვდავია და ამიტომ ის ეკუთვნის მომავალს, მარადისობას. ("ლიტერატურული საქართველო", №45, 1982 წლის 5 ნოემბერი, გვ. 2-3).

## ილია ჭავჭავაძის შესახებ

1. არა რომელიმე კონკრეტულ ქვეყანასთან დამოკიდებულების, არამედ ზოგადად, პოლიტიკის მრისხანე კანონთა აღქმის თვალსაზრისით, ილიას მაგალითი საგულისხმო და აქტუალურია: ილია ჭავჭავაძე ქართული ეროვნული მოძრაობის წინამძღოლი იყო ათწლეულების განმავლობაში. არავის გაუკეთებია მასზე მეტი ქართული სახელმწიფოს დაფუძნებისათვის, მაგრამ ილია არასდროს ქადაგებდა კარჩაკეტილობასა და გარე სამყაროსაგან გამიჯვნას. პირიქით, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტად გაეხსნა საქართველო მსოფლიოს პროგრესული აზრის აღსაქმელად. განურჩევლად იმისა, სად იბადებოდა ეს აზრი — შორეულ იტალიაში თუ რუსეთში, რომლის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა გუბერნიებად დანაწევრებული საქართველო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

2. დღევანდელი და ხვალინდელი საქართველო ილიას იდეების ხორცშესხმაა. და თუ რომელიმე პიროვნების გაიგივება შეიძლება ქვეყანასთან, ალბათ, მხოლოდ ილიაზე შეიძლება ითქვას, რომ ილია — საქართველოა. თავისუფალი, დემოკრატიული საქართველო მისი ნატვრის განხორციელებაა, ხოლო დღევანდელ თაობას, ყველას თანაბრად, გვმართებს, ვიყოთ ილიას მემკვიდრე, მისი ანდერძის აღმსრულებელი.

მაგრამ თუ შეიძლება დღეს ვინმე იყოს მისი უპირველესი ჭირისუფალი,

– ეს ქართული მწერლობაა, რომელსაც დიდმა მწერალმა, ილია ჭავჭავაძემ დღეისათვისაც და სამომავლოდაც განუსაზღვრა განსაკუთრებული ადგილი საზოგადოებაში, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ქვეყნის, ხალხისა და ღვთის წინაშე. („საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

3. ერთი უმთავრესი ილიასეული ანდერძი ძმობა და მეგობრობაა. ილია და აფხაზეთი, ილიასა და გიორგი შერვაშიძის სამაგალითო მეგობრობა, ილია და აჭარა ხომ ამოუწურავი თემაა, ილია და მემედ აბაშიძე, ილია და სამეგრელო, ილია და საქართველოს ყველა მხარე – დღევანდელი თაობებისთვისაც საუცხოო მაგალითია, იგივე ითქმის კავკასიის ცნობილ მოღვაწეთა მიმართ ილიას დამოკიდებულებაზე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან თანამშრომლობაზე. („საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

4. ერის მამა, დიდი ილია ჭავჭავაძე არის ჩემთვის ერისადმი მამულიშვილური სამსახურის ეტალონი. ის იყო და არის ერის გონება და სინდისი. („საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 5).

5. ეროვნული სახელმწიფოს შექმნა ილიას უმაღლესი ოცნება იყო. ჩვენ ამ გზას დავადექით და აღარასოდეს არც ერთი თაობა არ გადაუხვევს აღებულ გეზს.

მე ასე ვიტყოდი, მთელი საქართველო, გაერთიანებული და გამთლიანებული დიდი ილიას მიმდევართა ერთ ოჯახად უნდა იქცეს, მის კვალს, მის ნააზრევს და ნაფიქრალს მისდიოს, მისი იდეებით, მიზნებით სამუდამოდ შეიკრას და შედუღაბდეს. ჩვენი ვალია, აღვადგინოთ ქვეყნის შიგნით ჩატეხილი ხიდები, ქვეყნის გარეთაც, ყველა ქვეყანასთან, ყველა კონტინენტთან მეგობრობის გზები და ხიდები ვაშენოთ. („საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

6. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის ეროვნული ფენომენის გარეშე, ალბათ, არც იარსებებდა ის საძირკველი, რომელზეც ვაშენებთ ახალ, დამოუკიდებელ საქართველოს.

ამავე დროს, ილიას მოძღვრება კაცთმოყვარეობის, სოციალური თანხმობის, შემწყნარებლობისა და თანადგომის აპოთეოზია. ილია ჭავჭავაძე თავად განასახიერებდა „დიდ საზოგადოებრივ შეთანხმებას", იყო ეროვნული თანხმობის გარანტი და, რომ დასცლოდა, ალბათ, პირველი ქართული კონსტიტუციის შემოქმედიც თავად გახდებოდა.

არ არის შემთხვევითი, რომ იგი სწორედ სოციალური და საზოგადოებრივი განხეთქილების წამომწყებმა უსულგულო არაკაცებმა მოკლეს – რაკი ილია ჭავჭავაძეში ხედავდნენ ქართველთა ერთობისა და თანადგომის უმთავრეს გარანტს. („საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

ბიბლიოთეკა

7. თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაბამისობა — აი, ქართველთა გადარჩენის უმთავრესი მიზეზი, და ჩვენი პროგრამაც — სადღეისო და სამომავლო, ისევ და ისევ — ილიას ანდერძის შესაბამისად. („საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

8. ილია... ათწლეულების განმავლობაში, — ბოროტად გაღივებული თესლის მუხთლობამდე — საქართველოს სულის მესაიდუმლე, მისი ტკივილის მომშუშებელი, თანადგომისა და შემწყნარებლობის დამამკვიდრებელი იყო. სწორედ ილიას ამ მთლიანობამ და განუყოფლობამ შექმნა ჩვენი ქვეყნის მთლიანობისა და განუყოფლობის სულიერი წანამძღვრები. ილია ჭავჭავაძემ ხომ პირველმა, საუკუნეთა შემდგომ, დაინახა ერთიანი და განუყოფელი საქართველო — ის საქართველო, რომლისთვისაც ამჟამად ვიბრძვით და ვიღვწით ყველანი. („საქართველოს რესპუბლიკა", №280, 1997 წლის 9 ნოემბერი, გვ. 2).

9. ილია გვასწავლის, რომ სწორედ ერთობა ისტორიისა, ისტორიის სიღრმიდან ეროვნული მეობის გამოტარება არის ჩვენი ერთიანობის საწყისი და აუცილებელი პირობა.

ილიამ ეს შესანიშნავად ახსნა.

ჩემთვის, როგორც პოლიტიკოსისათვის, ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან აქ მხოლოდ წარსულის ლოგიკა კი არ იკითხება, არამედ აწმყოსა და მომავლისაც. („საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

10. ილია და მისი მემკვიდრეობა ჩვენი ეროვნული თვითშეგნების განუყოფელი ნაწილია და საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმითაც, რომ მან საუკუნის დასაწყისში, იმ რთულ ეპოქაში, შეძლო სრულყოფილად ჩამოეყალიბებინა საკუთარი მოსაზრებები დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობაზე, ისტორიაზე, კულტურაზე, დემოკრატიულ ყოფასა და აზროვნებაზე. („საქართველოს რესპუბლიკა", №287, 1997 წლის 16 ნოემბერი, გვ. 1).

11. ...ილია, მოძულე და შეურიგებელი რეჟიმისა, რომელშიც იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, იმ ჟანდარმული სახელმწიფოს შესაძლებლობათა გამოყენებასაც არ გაურბოდა, რათა თუნდაც ორიოდე სიტყვა ეთქვა ქვეყნისა და ერის სასარგებლოდ — სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან.

ბევრს უჭირს, წარმოიდგინოს ილია ჭავჭავაძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბაირახტარი, ამ სათათბიროს წევრად. არადა, ასე იყო საჭირო, ასე სჯობდა ხალხისათვის, იქნებ ცოტათი მაინც შეშველებოდა თავის განაწამებ სამშობლოს — ილია ხომ დიდი პოლიტიკოსი, რეალურად მოაზროვნე მოღვაწე იყო. („საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

12. (ილიამ "ოთარაანთ ქვრივში" — შემდგ.)... ქართველი ქალის სინდისი, ნამუსი, გამძლეობა განასახიერა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №280, 1997 წლის 9 ნოემბერი, გვ. 2).

13. ...ილიას ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენთვის მუდამ შეასრულებს ზნეობრივ-მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური ორიენტირის როლს. ("ლიტერატურული საქართველო", №49, 1997 წლის 5-12 დეკემბერი, გვ. 1).

14. მამული, ენა, სარწმუნოება! — ქართული ეკლესიის წმიდანის, დიდი ილია ჭავჭავაძის ეს დევიზი, ყველა თაობის დევიზია! ("საქართველოს რესპუბლიკა", №19, 1998 წლის 24 იანვარი, გვ. 2).

15. მე ვიტყოდი, არსებობს ურთულესი საზოგადოებრივი პროცესების კვლევის ილიასეული მეთოდოლოგია, რომელიც დღემდე აქტუალური და ზუსტია. ამავე დროს, ილიას გენიალობას მისი სიტყვისა და აზრის დემოკრატიულობაც გამოხატავს. იგი ერთნაირად გასაგები და მისაღებია საქართველოს ყველა აუდიტორიისათვის, — იქნება ეს თავქრილობა მის მშობლიურ ყვარელში, კახეთის მადლიან მიწაზე, საგურამოში, მის ადგილ-მამულში, თუ იმ წარჩინებულთა შეკრება, რომელმაც დღეს უნდა იმსჯელოს თანადროულობის ავ-კარგზე.

ჩემი ღრმა რწმენით... — ილია მარად თანამედროვეა, წყალობაა, რომელსაც, — როგორც თავად ილია ჭავჭავაძემ ბრძანა გაბრიელ ეპისკოპოსზე, გელათის მონასტერში დასაფლავების დღეს, — "ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილ ქვეყანას, რათა ადამიანმა მისის ხედვით და მაგალითით შესძლოს საკუთარი ზნისა და ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება..." ("საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 1).

16. მთავარი თვისება ჩვენი ეროვნულობის მტრისა, რომელიც ჩვენშივე იმყოფება, ჩვენივე სისხლი და ხორცია, ალბათ, ღალატია. ღალატია, რომელმაც ძმათა სისხლი დაღვარა და აფხაზეთი საქართველოს მოკვეთა. ეს ბერბიჭაშვილთა მოქმედებაა.

სამწუხაროდ, ოხვრითა და ვაებით ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს სინამდვილეში, ჩვენს ქვეყანაში ბერბიჭაშვილიც უკვდავი აღმოჩნდა. იმ საზარელი დღიდან დაწყებული, როცა ერის მხსნელსა და მისი სულის მეოხს მისსავე სისხლმა და ხორცმა განუგმირა გული, ლამის ყოველ დღე და ყოველ წელს ჰკლავენ ილია ჭავჭავაძეს საქართველოში. თანაც ის ადამიანები, იგივე ბერბიჭაშვილები, რომლებიც ვითომ ილიას მჯეს ფიცულობენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

17. ...მკაცრი და ზოგჯერ სასტიკიც იყო ილია ეროვნულ მანკზე მსჯელობისას. იგი ამითაც უნიკალურია... რა შეუპოვრად, უშიშრად ამხელდა ყველა იმ სიბილწეს, რომელიც სისხლიან საუკუნეთა უმძიმეს ტვიფრს ატარებდა, მაგრამ ამის გამო იოლად საპატიებელი ნამდვილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყო ილიასათვის. გავიხსენოთ, რამდენი გესლიანი ისარი ესროლეს ილიას — რად აძაგებო, თავს რად სჭრიო საკუთარ ხალხს, საკუთარ ერს.

ნურავის ჰგონია, ისტორიას ჩაბარდა თათქარიძეობა, ბერბიჭაშვილობა, შადიმანობა, კუჭატნელობა, რასაც ჩვენი წინამორბედნი თვალში თვალს უყრიდნენ, მაგრამ უძლურნი იყვნენ დაეძლიათ ეს საშინელი სნეულებანი, ვინაიდან თვით სხეული ერისა არ იყო ჯანმრთელი და არც გარედან შემოჭრილი ბაცილები ავსულობისა აკლდა ქვეყანას.

იქნებ, ვინმე ფიქრობს, რომ ბერბიჭაშვილებმა და მისთანათა იდეურმა შთამაგონებლებმა თავისი დრო უკვე მოჭამეს. არა, ეს ასე არ არის. ილიას აღწერილი სიმახინჯენი სულისა კვლავაც ჩვენი საერთო ტკივილია, მათი დაძლევა ნაწილია ეროვნული მშენებლობის ურთულესი პროცესისა.

ამიტომაც ილიას შეგონებანი ნაკლოვანებათა და ცდუნებათა დასაძლევად, აქტუალურია დღევანდელი და, იქნებ, ხვალინდელი დღისთვისაც.

ამავე დროს ილიას ყველაზე მეტად სტკიოდა მისი მკურნალი სიტყვით ერისათვის მიყენებული აუცილებელი ტკივილი და სათნოების ჟამს წარმოთქვამდა სევდითა და სინანულით: "...ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია..."

... ილიას შთამომავალნი ჩვენ მხოლოდ მაშინ შეიძლება გვერქვას, თუ თავად დავუპირისპირდებით ყოველივე ზემოთ ნახსენებ მოვლენას და ილიას მიერ მონიშნულ გზას უყოყმანოდ გავყვებით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

18. ... ნებისმიერ სახელმწიფოს სჭირდება მსოფლმხედველობა, იდეოლოგია, როგორც უმთავრეს ღირებულებათა ერთობლიობა, ძირითად სახელმწიფოებრივ და მოქალაქეობრივ პოსტულატთა სისტემა. ილიას მემკვიდრეობა ყველა ამ ღირებულებას შეიცავს.

ილიას უდიდესი ღვაწლი ის არის, რომ მან მინავლული ეროვნული ცნობიერება გააღვივა, ქართველი, ანუ საქართველოს მოქალაქე ჩააფიქრა საქართველოსა და ქართველობის მოქალაქეობის რაობაზე, ამასთან ერთად, მან მთავარზე უმთავრესი მიზანი დაუსახა თანამედროვეთ და შთამომავალთ — ქვეყნის განთავისუფლება, და ისიც განუმარტა ყოველ ქართველს, თუ რა აერთიანებდა მათ, ადუღაბებდა ერს — ამ ცნების ჭეშმარიტად ევროპული გაგებით; რას ნიშნავდა მოქალაქეობა, რა აქცევდა ქართველებს, საქართველოს მოქალაქეებს ცივილიზებულ ერად.

ილიას იდეალამდე, რა თქმა უნდა, შორსა ვართ. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ილია სახავდა სრულქმნილ მიზანს, როგორც მუდმივი სრულყოფისა და განვითარების პირობას, მაგრამ განა ამ იდეალისადმი სწრაფვა არ არის ილიას ერთგულება? ("საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

19. სიტყვა ილიაზე, პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწისათვის, წარმოსათქმელად ერთდროულად რთულიც არის და იოლიც.

იოლია, ვინაიდან დიდი ილიას ნააზრევი, მისი ინტელექტუალური და მორალური მემკვიდრეობა იმდენად ღრმა და მრავალფეროვანია, რომ საქართველოს პრობლემებზე, ჩვენი ქვეყნის ტკივილსა და ჭირ-ვარამზე მსჯელობისას ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-დემოკრატიული მოძღვრება თვითონ გვიკარნახებს როგორ მივაგნოთ ყველა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემის საწყისს, განმაპირობებელ მიზეზსა და წყაროს...

ამიტომ, სიტყვა ილიაზე, — საქვეყნო სიტყვა უნდა იყოს, ერის ტკივილს უნდა გამოხატავდეს, პირუთვნელი სიმართლით უნდა იყოს აღსავსე...

ალბათ, სწორედ ამიტომ არის ძნელი და მძიმე ილიას შესახებ საუბარი. ილიას ანდერძი გვავალდებულებს, ყოველთვის, ყველგან, განურჩევლად გარემო-ვითარებისა, განურჩევლად იმისა, ვინ როგორ გაგიგებს და აღიქვამს შენს გულისტკივილს, მხოლოდ სიმართლე ილაპარაკო, ილაპარაკო ილიას ხმით, მისივე პირუთვნელობითა და გაბედულებით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 1-2).

20. უწყვეტია ჩვენი ისტორიის დროთა კავშირი. "აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა", — ლაიბნიცის ამ სიტყვებით გვმოძღვრავს აწ და მარადის ერის მამა დიდი ილია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 5).

21. ყოველი ადამიანის ბედნიერება, — აი, ანდერძი ილიასი, რომელიც მან მეოცე საუკუნის ქართველებს დაუტოვა და რომლის აღსრულებისათვის, ოცდამეერთე საუკუნეშიც უნდა ვიღვაწოთ, ვიღვაწოთ მსოფლიოსთან ერთად, მსოფლიოს მოვლენათა შესაბამისად, რადგან ჩვენი დროითა და ადგილით პირობადებულნი ვართ და პასუხისმგებელნი არა მარტო შთამომავლობის, არამედ წინაპრების წინაშე, ილიას წინაშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

22. ჩემი აზრით, ილია ჭავჭავაძემ მისი თანდაყოლილი თავისუფლების ნიჭით შეძლო შეექმნა ქვეყნის თავისუფლების სულიერი წანამძღვრები. ამ თვალსაზრისით, ილია ჭავჭავაძე ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს დამფუძნებელია და მისი მოძღვრება დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური საფუძველია — ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

23. ჩვენ ყველანი უნდა ვიყოთ ილიას ღირსნი, ღირსნი იმისა, რომ მისი მემკვიდრენი გვერქვას და გვქონდეს უფლება, ვაშენოთ ახალი საქართველო, ილია ჭავჭავაძის მარად აქტუალური და თანადროული მოძღვრების შესაბამისად.

ილია ჭავჭავაძე ჩვენს ყველაზე დიდ თანამედროვედ რჩება. იგია შთამაგონებელი ჩვენი ქმედობისა და ჩვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯთა მკაცრი და პირუთვნელი მსაჯულიც. („საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. ილია ჭავჭავაძე არ არის ერთი რომელიმე პარტიის ან მოძრაობის კუთვნილება — იგი საერთო-ეროვნული დროშაა.

ნურავინ შეეცდება, ილიას ფენომენი, მისი მოძღვრება ორი დიდი ცნებისაგან გაჰყოს, რომელთაც იგი ემსახურებოდა და ერთგულობდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში: ესაა დამოუკიდებლობა და დემოკრატია. ამ ცნებათა ხელყოფა ილიას სინდისისა და რწმენის შეურაცხყოფაა. კიდევ უფრო დიდი უზნეობა იქნებოდა მათი დაპირისპირება. სამწუხაროდ, ამის ნიშნებიც გაჩნდა.

ილია ჭავჭავაძეს „დამოუკიდებლობა" ესმოდა, როგორც ერისა და პიროვნების განუყოფელი ერთობის გამოხატულება. ილია ამ ერთობას აღნიშნავდა ერთადერთი სიტყვა-ცნებით — „თავისუფლება". ილიას უმთავრესი მიზანი და ნატვრაც სწორედ ეს იყო: საქართველოსა და საქართველოს ყოველი შვილის განთავისუფლება. („საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

25. ილია ჭავჭავაძე იმ ეპოქაში ჭეშმარიტი სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი უპირველესი წარმომადგენელი იყო და შესანიშნავად ხვდებოდა, უკვე მაშინ იცოდა, რა ზნეობრივ პოსტულატებს უნდა დაფუძნებოდა ეს საზოგადოება. ამ თვალსაზრისით, ილიას „სარჩობელაზედ" საკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლია, რომლითაც ქართული ფენომენი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეუერთდა ცივილიზებულ ერთა მოძრაობას — სახელმწიფოს მიერ ადამიანის მკვლელობის საწინააღმდეგოდ, ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობის პრინციპის დასამკვიდრებლად.

ბედნიერი ვარ, რომ ვიყავი ინიციატორი და ხელი შევუწყვე ამ თვალსაზრისით ილიას ანდერძის აღსრულებას — საქართველოში საბოლოოდ და სამუდამოდ გაუქმდა სიკვდილით დასჯა, რითაც ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროპული ცივილიზაციის უმთავრესი პრინციპებისადმი ერთგულება, ოღონდ ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყო სწორედ ის უნდა იყოს, რომ ვმოქმედებდით, უპირველესად, ჩვენივე დიდი თანამემამულის მრწამსის შესაბამისად, რომელიც ილიას შემდეგაც ესოდენი კეთილშობილებით გამოხატა მისმა მეუღლემ. („საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

26. (ილია ჭავჭავაძე — შემდგ.)... ყველა თაობის მოძღვართ-მოძღვარი, დიდი მასწავლებელი იყო და არის. ილია ჭავჭავაძე თავად სულიერად ახალგაზრდა დარჩა სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო მისი მოძღვრება

ხომ მარად უბერებელია. („საქართველოს რესპუბლიკა", №289, 1997 წლის 18 ნოემბერი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

27. ილია ჭავჭავაძე ყოველგვარ კონიუნქტურასა და პოლიტიკურ დოქტრინაზე უფრო მეტია. იგი ისეთ ღირებულებებს ეფუძნება, რომელთა დაქუცმაცება და დაწიაწება პოლიტიკური ნიშნით იმთავითვე ბოროტი განზრახვაა. ილია მთლიანი ფენომენია, ამიტომ ყველაზე დიდი დანაშაული ერის, ქვეყნისა და თვით დიდი ილია ჭავჭავაძის წინაშე იქნებოდა მისი მომხრეების ერთგვარი სექტის შექმნა, რომელიც არათუ ილიას სიტყვით უმკურნალებდა ერს, მისი თავმდაბლობითა და ერთგულებით იმსახურებდა ქვეყნის სასიკეთოდ, საქართველოს გადასარჩენად, სულიერი ატმოსფეროს გასაჯანსაღებლად, — არამედ ილიას მრისხანე იარაღით შეიარაღდებოდა პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად. ძნელი წარმოსადგენია ამაზე დიდი მტრობა ილიას საქმისა, რომელმაც მთელი ცხოვრება და შემოქმედება საქართველოს გამთლიანებას შეალია. („საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

28. ილია ჭავჭავაძე შეურიგებელი იყო რუსული დიდმპყრობლური შოვინიზმისა თუ ქართველოფობიის თითოეული გამოვლინების მიმართ, მაგრამ ილიასათვის ორგანულად უცხოა ობსკურანტიზმი — იგი უდიდეს პატივს სცემდა რუსულ კულტურას, რუსულ დემოკრატიულ აზრს, მან სრულიად ახალი რაკურსით განიხილა რუსულ-ქართული ურთიერთობები. ილიას თვალთახედვა ამ საკითხშიც თანადროულია და უაღრესად ფასეული.

და ილიას კიდევ ერთი სიბრძნე. იგი სცილდება ქართველი ერის კონკრეტულ ეროვნულ მიზნებს და ზოგადკაცობრიული ამოცანის გადაჭრისაკენ მოგვიწოდებს, იმ ამოცანისა, რომელიც დღევანდელი მსოფლიოს უმთავრეს პრობლემად რჩება.

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე ილია წერდა: „წარსულმა საუკუნემ თავის მხრივ ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს, ხოლო საკითხავი ეს არის: დღეს უფრო ბედნიერია კაცი, თუ არა, ამოდენა სიკეთით გარემოცული და ესე წარმატებულის მეცნიერებით გალონიერებული და გაძლიერებული? არა გვგონია. მართალია, დღეს ადამიანი უკეთ არის მოწყობილი, უფრო მოხერხებულია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერებასთან გამოხმაურება, ქვეყნიერებასთან ურთიერთობის გაწევა, დღეს ადამიანი უკეთ ცხოვრობს, მაგრამ ბედნიერება კი მაინც შორს არის".

დიდი ილიას ეს სიტყვებიც საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ ქართული დემოკრატიული აზრის ურღვევ ერთობაში მსოფლიო დემოკრატიულ საზრისთან. („საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

29. ხშირად ლაპარაკობენ, გვინდა თუ არ გვინდა სახელმწიფო იდეოლოგია, უნდა გვქონდეს, თუ — არა. მე ბევრს ვფიქრობ ამ საკითხზე და, მგონია, რომ ილია ჭავჭავაძის ღრმად, საფუძვლიანად, ახალი მიდგომით შესწავლა იქნება ყველაზე დიდი იდეოლოგია. („საქართველოს რესპუბლიკა", №287, 1997 წლის 16 ნოემბერი, გვ. 1).

30. Великий Илья Чавчавадзе был дальновидным мудрецом. Он как светлая веха на пути дружбы грузин и абхазов. („Литературная Грузия", № 1, 1993, стр. 89).

## ვაჟა-ფშაველას შესახებ

1. არა მგონია, იყოს ქართველი კაცი, რომელმაც წერა-კითხვა იცის და, ვაჟა-ფშაველას არ იცნობდეს. მაგრამ, მისი ყოველი ახალი წაკითხვა, ახალი აღმოჩენაა. („საქართველოს რესპუბლიკა", №101, 1993 წლის 18 მაისი, გვ. 1).

2. ბევრი რამ, რასაც დღეს კონსტიტუციაში ვწერთ, საქართველოსა და კავკასიაში არსებობდა საუკუნეების მანძილზე როგორც ხალხური ტრადიცია, ხალხური ადათი და დაუწერელი კანონი. ამას გენიალურად აღწერს დიდი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა, კავკასიის ხალხთა სხვა მწერლები და მოაზროვნენი. („საქართველოს რესპუბლიკა", №205, 1996 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 3).

3. ვაჟას რომ კითხულობ, შემდეგ თავადვე აგრძელებ ფიქრს, თავადვე ხდები დიდი ხელოვანის თანაზიარი და თანაშემოქმედი. („საქართველოს რესპუბლიკა", №114, 1997 წლის 20 მაისი, გვ. 2).

## ნიკო ნიკოლაძის შესახებ

1. ნიკო ნიკოლაძე იმ დიდ ქართველ მოღვაწეთა პლეადას ეკუთვნის, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში თავდადებით იბრძოდნენ ქართველი ერის სულიერი, კულტურული და მატერიალური აღორძინებისათვის, სათავეში ედგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას...

... ნიკო ნიკოლაძე იშვიათი, ენციკლოპედიური განათლებისა და უშრეტი შემოქმედებითი ენერგიის მოღვაწე იყო. ის ღრმად იცნობდა მისი ეპოქის ფილოსოფიურ, ლიტერატურულ, პოლიტიკურ იდეებს, შემოქმედებითად

განავითარებდა მათ თავის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში, ქმნიდა ახალ სულიერ ღირებულებებს და ერის კულტურა, ცნობიერება, თვითშეგნება აჰყავდა კაცობრიობის მონაპოვართა დონეზე. ის ევროპას აცნობდა ქართულ ცივილიზაციასა და კულტურას, საქართველოს — ევროპის ცივილიზაციას აზიარებდა...

... ნიკო ნიკოლაძის ცხოვრება და შემოქმედება კლასიკური ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იღვწოდეს ქართველი მამულიშვილი, დემოკრატი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტი მოღვაწე ერისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ქართული იდეალების გამარჯვებისათვის.

ნიკო ნიკოლაძის ფილოსოფიური და პოლიტიკური აზროვნება ეროვნული იდეების ზოგადსაკაცობრიო იდეალებამდე ამაღლებისა და მათი ლოგიკური ურთიერთშერწყმის შესანიშნავი მაგალითია...

... ნიკო ნიკოლაძის ცხოვრება და შემოქმედება ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს სამშობლოს, ერს თანამედროვე ჰუმანისტი, დემოკრატი, მწერალი და კრიტიკოსი, პუბლიცისტი და რედაქტორი...

... ნიკო ნიკოლაძე იყო ჭეშმარიტი ახალი ადამიანი, მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიაში — სულით ხორცამდე ქართველი, ცხოვრებისა და საქმიანობის ევროპული ყაიდით, ტოლერანტული თავისი შინაგანი ბუნებით. („საქართველოს რესპუბლიკა", №180, 1994 წლის 8 ოქტომბერი, გვ. 1).

## მემედ აბაშიძის შესახებ

1. მემედ აბაშიძე, თავად შესანიშნავი მოქალაქე და ყოველივე ქართულის დაცვისათვის რეპრესირებული და დახვრეტილი, დღეს ჩვენს გვერდითაა არა მხოლოდ თავისი სახელით, არა მხოლოდ თავისი შვილიშვილით (ასლან აბაშიძით — შემდგ.), არამედ იმ მნიშვნელოვანი წვლილითაც, რომელიც დღეს შეაქვს საქართველოს უბრწყინვალეს კუთხეს აჭარას ქართული კულტურის გადარჩენასა და განვითარებაში, საქართველოში სიმშვიდის დამყარებასა და საქართველოს ერთიანობის დაცვაში. („საქართველოს რესპუბლიკა", №48, 1995 წლის 29 აპრილი, გვ. 1).

2. ნებისმიერი ერის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს მწერალსა და მეცნიერს, ხელოვანსა და მეომარს, მაგრამ მათგან ძალზე ცოტაა ისეთი, რომელიც სიმბოლოდ იქცევა ხოლმე.

მემედ აბაშიძის დროს იყვნენ ქართველნი... რომელნიც არ

ჩამოუვარდებოდნენ მას ნიჭითა და ერუდიციით, ოჯახიშვილობით, გამბედაობით, მაგრამ დრომ და ადგილმა, პირადულმა ისტორიულმა ნაბიჯებმა და გაღებულმა მსხვერპლმა დროთა ამ გადასახედიდან იგი ქართველთა ერთიანობის სიმბოლოდ აქცია. („საქართველოს რესპუბლიკა", №163, 1995 წლის 4 ნოემბერი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. (სახელოვანი — შემდგ.)... წინაპრები ყოველთვის ჩვენს დიდ თანამედროვეებად რჩებიან, ჩვენთა საქმეთა ყოველდღიურ მონაწილედ. ასეთი თანამედროვეა ჩვენთვის მემედ აბაშიძე. („საქართველოს რესპუბლიკა", №272, 1997 წლის 1 ნოემბერი, გვ. 2).

## ႨႭႱႤႡ ႱႲႠႪႨႬႨႱ ႸႤႱႠႾႤႡ

1. თუ ფაშიზმზე გამარჯვება უნიკალური წვლილია ცივილიზაციის განვითარებაში, როგორ შეიძლება გვერდი აუარო ამ გამარჯვების უმთავრეს ორგანიზატორსა და უმთავრეს მოქმედ პირს?! ამიტომაც, ბუნებრივია, რომ სტალინის პიროვნებისადმი ინტერესი თანდათან იზრდება, მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, მიუხედავად იმისა, როგორი მიუღებელიც უნდა იყოს ის დიქტატორული მეთოდები, რომლებითაც განთქმულია სტალინის მოღვაწეობის თითქმის ყველა ეტაპი. უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ის, რაც მიუღებელია, და ის დამსახურება, რომელიც ამ პიროვნებას მიუძღვის კაცობრიობის წინაშე, უწინარესად, ფაშიზმზე გამარჯვებაში. („საქართველოს რესპუბლიკა", №27, 1995 წლის 15 მარტი, გვ. 2).

2. მე არაერთხელ მითქვამს, რომ სტალინი განსაკუთრებული ფენომენია და ამ ფენომენის შესწავლა დღევანდელ და მომავალ თაობათა ვალია. როგორიც უნდა იყოს იგი — ეს არის უზარმაზარი მოვლენა მსოფლიოს ისტორიაში...

ვინ იყო სტალინი, ალბათ, ეს ცალკე საუბრის თემაა. ზოგადად მხოლოდ ასე ვიტყოდი: მსოფლიო ისტორიაში იგი ერთ-ერთი ყველაზე დიდი დიქტატორი იყო, აქედან გამომდინარე, ყველა შედეგით. („საქარფველოს რესპუბლიკა", №272, 1993 წლის 28 დეკემბერი, გვ. 1).

3. ომს იგებენ და აგებენ უმაღლესი მთავარსარდლები და არა ცალკეული მხედართმთავრები, როგორც ეს ზოგიერთ მეცნიერს ჰგონია ან ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს სურს დაინახოს. სხვაგვარი მიდგომა ძირშივე მცდარია... ჩვენ უარვყავით ის სისტემა, რომელიც სტალინმა შექმნა და ვაშენებთ სრულიად განსხვავებულ წყობას — დემოკრატიულ, პლურალისტურ საზოგადოებას, ესე იგი რადიკალურად საწინაალმდეგოს იმისა, რასაც ქმნიდა სტალინი. ჩვენ დავგმეთ ყველაფერი, რაც

დაკავშირებულია მის შეცდომებთან, მის სისასტიკესთან და ასე შემდეგ, მაგრამ ამავე დროს გაუმართლებლად მიმაჩნია მისი როლის დაკნინება დიდ სამამულო ომში. თუ ვინმემ მოიგო დიდი სამამულო ომი, – შეძლო შეუძლებელი და წარმართა ეს უზარმაზარი მოძრაობა მტერზე გასამარჯვებლად, სტალინი გახლავთ. მე მინდა, რომ ჩვენ ვიყოთ სამართლიანი (ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ სტალინი წარმოშობით ქართველია, თუმცა, სადღაც გულში კი ვფიქრობთ ამის შესახებ). სტალინის პიროვნების შესაფასებლად ძნელია მოიძებნოს უფრო დიდი ავტორიტეტები, ვიდრე ჩერჩილი, რუზველტი, დე გოლი და მე-20 საუკუნის სხვა ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეები არიან. ძნელია უფრო ობიექტური შემფასებელი მოიძებნოს მისი როლისა სამამულო ომში გამარჯვებაში, ვიდრე მარშალი ჟუკოვი, მარშალი როკოსოვსკი, მარშალი ვასილევსკი და სხვა სახელოვანი მხედართმთავრები, რომლებმაც თავიანთი მოგონებებით უნიკალური სიმდიდრე დაგვიტოვეს. მოვიდა დრო, ისტორიკოსებმა, რუსები იქნებიან, ქართველები, ფრანგები, ამერიკელები, ინგლისელები, გერმანელები თუ სხვები, იხელმძღვანელონ ცხოვრების რეალობით, შექმნან ნამდვილი ისტორია მეორე მსოფლიო ომისა, რომელშიც ყველა ხალხის, ყველა მოღვაწის როლი მეცნიერულად ობიექტურად აისახება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №106, 1997 წლის 10 მაისი, გვ. 2).

4. სტალინი, როგორც პიროვნება, როგორც მოღვაწე არ არის ჩემთვის მაგალითი, მაგრამ იგი დიდი ფიგურა იყო და საღად აზროვნებდა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №32, 1995 წლის 25 მარტი, გვ. 3).

5. Сталин в моем представлении - гениальный человек, но злой, один из самых великих диктаторов в истории. ("Вчерний Тбилиси", № 28, 13 марта 1993 года, стр. 2).

6. Я слышал: в Москве говорят, что в Грузии изменилось отношение к Сталину. Я всегда осуждал и осуждаю этого человека. Единственное, что я считаю не совсем справедливым, - это оценка его роли в отечественной войне. Здесь нельзя рисовать такие картины: один маршал, даже такой гениальный, как Жуков, выиграл, а Сталин проиграл. Такое не должно быть. Если эта война выиграна, если это победа вообще-то прогрессивного человечества, он так или иначе был организатором, хотя жестоким. Для меня совершенно неприемлемо все, что делалось при Сталине, и я говорил публично об этом и сейчас говорю: я все осуждаю в связи со Сталинным, все буквально. Что касается Отечественной войны - это особый вопрос, и если мы победили, мы должны этим гордиться, тут есть его вкад. Разве меньше он сделал, чем Рузвельт или Черчилль?* ("Свободная Грузия", № 73, 6 июля 1997 года, стр. 8).

---

* გადმობეჭდილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №22, 1997 წლის 1-8 ივნისი, გვ. 9 (შემდგ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გალაკტიონ ტაბიძის შესახებ

1. გალაკტიონი გახდა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ჭეშმარიტი რეფორმატორი. მან შთაბერა მას ახალი სული, მან გაამდიდრა უსაზღვროდ ქართული ლექსის გამომხატველი საშუალებანი. („კრიტიკა", №4, 1982, გვ. 27).

2. გალაკტიონი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა... წლები მიდის, რაც დრო გადის, მით უფრო თვალსაჩინო ხდება გალაკტიონის პოეტური გენიის ძალა და ხიბლი. მისი პოეზია საოცრად ქართულია და ამავე დროს საოცრად ინტერნაციონალური, ღრმად მწამს, რომ გალაკტიონი იმოგზაურებს ჩვენს პლანეტაზე, მისი პოეზია იქცევა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა საკუთრებად.

გალაკტიონი ისევე ამოუწურავია, როგორც ხალხის სული, გალაკტიონი ისევე უკვდავია, როგორც მისი მშობელი ხალხი, გალაკტიონი ისევე მშვენიერია, როგორც საქართველო! („კრიტიკა", №4, 1982, გვ. 32-34).

3. ... გალაკტიონი ჩემი ოცნების პოეტია. იგი რევოლუციის სიმბოლო გახლავთ. მე რომელიმე კონკრეტულ რევოლუციაზე კი არ ვლაპარაკობ, არამედ დღევანდელ, ხვალინდელ და მარადიულ გარდამქმნელ, სრულმყოფ ღირებულებებს ვგულისხმობ, რომლებითაც ჩვენ ვსაზრდოობთ და კიდევ მრავალი თაობა ისაზრდოებს. („საქართველოს რესპუბლიკა", №241, 1992 წლის 25 ნოემბერი, გვ. 2).

4. ... გალაკტიონის პოეზიას, ისევე როგორც ყველა დიდი შემოქმედის ნაწარმოებებს, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს.

იგი იძლევა პოეტურ პასუხებს კითხვებზე: ვინ არის ადამიანი? როგორია ის? რას წარმოადგენს მისი ბუნება, ხასიათი, ფსიქიკა, სული? რა არის მასში მარადიული, ზოგადკაცობრიული, ეროვნული, რა არის დადებითი, ეფემერული, წარმავალი. გალაკტიონი გვეხმარება ჩვენი საკუთარი თავის აღმოჩენაში. გალაკტიონის პოეზიაში სასწაული ხდება: ჩვენ ცხადად ვხედავთ ადამიანს სამყაროში და სამყაროს ადამიანში.

მისი პოეზია მარადიული პოეზიაა. იგი ელაპარაკება თანამედროვეობას და მომავალს. იგი პირდაპირი მემკვიდრეა ჩვენი პოეტური წარსულისა და პირველი პოეტია თანამედროვეობისა და ურყევი ფუძე და ჯვარი ჩვენი პოეტური მომავლისა. („კრიტიკა", №4, 1982, გვ. 31).

5. გალაკტიონის პოეზიაში თითქოს ერთად შედუღაბებულა ქართული პოეტური სიტყვის მრავალსაუკუნოვანი მიღწევები. მისმა ლექსმა თვისებრივად შეაჯამა ქართული ლექსის განვითარების გზა დასაწყისიდან მეოცე საუკუნემდე, რუსთველიდან გალაკტიონამდე. („კრიტიკა", №4, 1982, გვ. 31).

6. ... გალაკტიონის ყველა შედევრი, როგორც მაღალი პოეზიის

ქმნილება, სულიერად მდიდარი ადამიანის, თანამედროვე პოეტური კულტურის ადამიანის ფორმირებას ემსახურება. ("კრიტიკა", №4, 1982, გვ. 30).

7. (Галлактион Табидзе - შემდგ.) ...всегда отвечает времени, а мы в состоянии увидеть то, что позволяет нам наше время и знания, наши способности и интуиция. ("Литературная Грузия", № 11-12, 1992, стр. 4)

## ივანე ჯავახიშვილის შესახებ

1. არიან გამორჩეული ადამიანები ყველა ერის ისტორიაში... სწორედ ასეთი გამორჩეული დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა ქართველი ხალხისათვის ივანე ჯავახიშვილი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №205, 1996 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 3).

2. ვინც დაკვირვებით წაიკითხავს მის შრომებს, იქ იპოვის მშვიდობიანი კავკასიის კონცეფციის ისტორიულ პირველსაწყისებს, თუნდაც თეზისს კავკასიის ხალხთა თავდაპირველი ნათესაობის შესახებ. ამ ისტორიულ თეზისში დიდი სიბრძნეა: ნათესავ ხალხთა შორის მშვიდობა უნდა სუფევდეს. მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს დასკვნა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №205, 1996 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 3).

3. ივანე ჯავახიშვილი XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერია, ჩვენი საუკუნის ქართული მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანსვეტთაგანია, ახალი ქართული ისტორიული სკოლის ფუძემდებელი და თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელია.

მისი თხზულებების 12 ტომი 3000-წლიანი ქართული ცივილიზაციისა და კულტურის ერთ-ერთი ყველაზე კლასიკური მონაპოვარია.

... ივანე ჯავახიშვილი არა მხოლოდ ახალი ქართული ისტორიული მეცნიერების ფუძემდებელია, არამედ კავკასიის ხალხთა ისტორიის – დიდი მკვლევარიც.

ის, რაც მან შექმნა, სცილდება ქართველოლოგიის ფარგლებს, – ივანე ჯავახიშვილი კავკასიოლოგიის ერთ-ერთი მამამთავარიცაა.

მის მიერ შექმნილი საქართველოს ისტორია – მსოფლიო ისტორიის ნაწილია.

... ივანე ჯავახიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის არა მხოლოდ ისტორიის, არამედ ეთნოგრაფიის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, კულტურის ისტორიის და მრავალ სხვა მეცნიერებათა წინაშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №205, 1996 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 3).

4. ივანე ჯავახიშვილი ათას სხვა დამსახურებასთან ერთად საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, საქართველოს ეკონომიკის

ისტორიის ფუძემდებელიცაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №209, 1996 წლის 17 ოქტომბერი, გვ. 3).

5. ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის კავკასიურ პრობლემათა ასპექტით განხილვამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ დიდი მეცნიერის გამოკვლევები და დასკვნები მარტო ქართული მოვლენა არ გახლავთ. მისი სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, ხელთუქმნელი ძეგლია ივანე ჯავახიშვილისა და თანამედროვე ქართული მეცნიერების მამების სახელთა და საქმეთა უკვდავსაყოფად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №207, 1996 წლის 15 ოქტომბერი, გვ. 2).

6. ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება, მისი ბრწყინვალე მეცნიერული მოღვაწეობა იმის დასტურია, რომ საკუთარი ისტორიის, საკუთარი კულტურის, ხელოვნების შესწავლა მაგისტრალური გზაა მსოფლიო ცივილიზაციის შეცნობისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ათვისებისათვის, მსოფლიოს ინტელექტუალურ ელიტაში ადგილის დასამკვიდრებლად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №209, 1996 წლის 17 ოქტომბერი, გვ. 3).

7. ივანე ჯავახიშვილმა XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ისტორიული მეცნიერების დონეზე აიყვანა ქართული საისტორიო მეცნიერება.

მის წიგნებზე იზრდებოდნენ და მომავალშიც გაიზრდებიან ქართველთა და არა მარტო ქართველთა თაობები, მისი წიგნები ქართული ეროვნული ცნობიერების ფორმირების უშრეტი წყაროა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №205, 1996 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 3).

## ილია ვეკუას შესახებ

1. აკადემიკოსი ილია ვეკუა იმ რჩეულთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც შექმნეს მეოცე საუკუნის საქართველოს ინტელექტუალური სახე და მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი დაუმკვიდრეს ქართულ მეცნიერებას. ის იყო ღვთიური ნიჭით დაჯილდოებული მკვლევარი, ბრწყინვალე პედაგოგი და მეცნიერების შესანიშნავი ორგანიზატორი.

... მე და ბატონი ილია ბევრჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს, მათ შორის, საკავშირო აკადემიის პრეზიდენტებთან აკადემიკოს კელდიშთან და აკადემიკოს ალექსანდროვთან ერთად, რომლებიც დიდ პატივს სცემდნენ ბატონ ილიას, როგორც მეცნიერს, საზოგადო მოღვაწესა და ახლო მეგობარს. ჩვენ ერთად განვიხილავდით საქართველოს მეცნიერებათა

აკადემიის, საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის, ქართული კულტურის შემდგომი განვითარების საკითხებს.

თავის დროზე ილია ვეკუას თავის დიდ მასწავლებელთან, ჩვენი აკადემიის პირველ პრეზიდენტთან აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილთან ერთად კოლოსალური მუშაობის გაწევა მოუხდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დასაარსებლად.

აკადემიკოსი ილია ვეკუა უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო სამეცნიერო, არამედ პოლიტიკურ წრეებშიც, არც ერთი მისი თხოვნა, წინადადება, პროექტი უყურადღებოდ არ დარჩენილა.

... რაინდისათვის, ჩემი აზრით, ორი უმთავრესი თვისებაა დამახასიათებელი: გმირობა და სულგრძელობა. ამ თვალსაზრისით ილია ვეკუა მართლაც რაინდი იყო, როგორც მეცნიერი და როგორც მოქალაქე.

... ასეთი ადამიანები საუკუნეებში ერთხელ იბადებიან, მაგრამ სამარადჟამოდ რჩებიან.

მჯერა, რომ ჩვენი ისტორია საპატიო ადგილს მიუჩენს ქართული მეცნიერების რაინდს, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე წინ ჭეშმარიტება უძღოდა და ამქვეყნად ნათელი კვალი დატოვა.

... ილია ვეკუა უკვდავია ერის ხსოვნაში. ის ქართველი ხალხის საამაყო შვილია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №142, 1997 წლის 21 აპრილი, გვ. 1-2).

## ნოდარ დუმბაძის შესახებ

1. ნოდარ დუმბაძე... იყო ქართულ ლიტერატურაში ახალი გზების გამკვალავი, ნოვატორი მწერალი, რომელიც მთელ ქართველ ხალხთან ერთად, მუდამ იდგა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე, თავისი მაღალნიჭიერი შემოქმედებით წინ მიუძღოდა თავის თაობას და მთელ ხალხს ნათელი მომავლისაკენ — დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოსაკენ!

ნოდარ დუმბაძის შემოქმედება ეროვნული მოძრაობის ორგანული, განუყოფელი ნაწილია. ჩვენ დღეს ყველანი ვხედავთ თავისუფლების მზეს, რომელიც ასე შესანიშნავად დახატა ნოდარ დუმბაძემ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №151, 1993 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

2. ნოდარ დუმბაძე უბრწყინვალესი მაგალითია: როგორ უნდა გიყვარდეს თავდავიწყებით მშობელი ხალხი, როგორ უნდა განიმსჭვალო ღრმა პატივისცემით სხვა ხალხების მიმართ, როგორ უნდა ილვწოდე ერთა შორის ძმობისა და მეგობრობის განსამტკიცებლად.

ნოდარი მთაში ნაპოვნი კრისტალივით სუფთა პიროვნება იყო...

... ნოდარ დუმბაძის ცხოვრება და შემოქმედება ხელთუქმნელი ძეგლია ნიჭიერებისა, შრომისა, შეუპოვარი ბრძოლისა, ჭეშმარიტი გმირობისა, ერთგულებისა და პატიოსნებისა, კაცურ კაცობისა. („კომუნისტი", №218, 1984 წლის 21 სექტემბერი, გვ. 3).

ეროვნული

## თენგიზ აბულაძის შესახებ

1. ... თენგიზ აბულაძე ჩემთვის მარტო დიდი ხელოვანი და გამორჩეული პიროვნება კი არა, ჩემი დიდი მეგობარი და თანამოაზრეც გახლდათ.

ან იქნებ მე ვიყავი მისი თანამოაზრე და თანამებრძოლი იმ დიდსა და მშვენიერ საქმეში, რომელსაც ფილმი "მონანიება" ჰქვია და რომელსაც ჩვენი საზოგადოების, ჩვენი აზროვნების, ჩვენი ყოფის ღვთის გზაზე დაყენება ჰქონდა მიზნად.

... ბედნიერი ვარ, რომ იგი ჩემთან მეგობრობდა და "მონანიების" თანამდგომად მთვლიდა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №40, 1994 წლის 15 მარტი, გვ. 5).

2. დღეს ბევრს ბჭობენ ტოტალიტარული სისტემის მსხვრევის მიზეზებზე, მსჯელობენ კონკრეტულ პოლიტიკოსებზეც, რომლებიც ახალი მოძრაობის სათავეებთან იდგნენ, მთავარი კი ხშირად ავიწყდებათ — ის ადამიანები, რომელთა აზროვნების წესმა დაამსხვრია ტოტალიტარიზმი, რომლებმაც ერთი აზროვნების წესს დაუპირისპირეს მეორე — სამართლიანი, გონივრული, ამაღლებული და წმინდა...

ასეთი ადამიანები ბევრნი არ იყვნენ...

თენგიზ აბულაძე, მსოფლიო მასშტაბის კინოხელოვანი და დიდი ქართველი მოქალაქე, ერთი გამორჩეული გახლდათ ამ მცირედთაგან. თავისი ელიტარული ხელოვნებით, თავისი განათლებით, თავისი ნატიფი გარეგნობითა და საოცრად ხალხური თავისი ძირეული ფესვებით, სწორედ თავისი ხალხის საუკეთესო ტრადიციებიდან ამოზრდილი და თავისი ხალხის საუკეთესო თვისებების გამომხატველი.

... მარადიული იდეებითა და მოტივებით თენგიზ აბულაძემ ახალი და განუმეორებელი სამყარო შექმნა, რადგან ფაქტობრივად ყოველთვის წინ უსწრებდა დროს, ამბობდა იმას და ისე, რაც და როგორც უნდა ეთქვა ამ მართლაც ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულ დიდად განათლებულ და მაღალზნეობრივ პიროვნებას, თავისი ხალხის უპირველეს ჭირისუფალს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №40, 1994 წლის 15 მარტი, გვ. 5).

3. წყალნი წავლენ და წამოვლენ და ისტორიას ძალზე მცირე რამ შემორჩება დღევანდელი ქვიშისაგან. სწორედ ამ დიდმნიშვნელოვან მცირედში იქნება მუდამ დიდი ხელოვანი თენგიზ აბულაძე, რომელმაც

მარტო კი არ ასახა სინამდვილე, არამედ დიდი წვლილიც შეიტანა მის სასიკეთოდ მოქცევაში, გაადამიანურებასა და ღვთის გზაზე დაყენებაში.

როცა ჩვენს გარშემო ასეთი ადამიანები არიან, მაშინ ჭეშმარიტად ფიქრობ, რომ თავად სიცოცხლე მართლა მშვენიერია, რომ ადამიანი მართლა გვირგვინია ბუნებისა და ასეთი ხელოვანის მშობელ ერს მართლა არ უწერია გადაშენება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №40, 1994 წლის 15 მარტი, გვ. 5).

## ჟიული შარტავას შესახებ

1. გმირობას, გმირობის გამოვლენას სჭირდება შესაბამისი დრო, შესაბამისი სიტუაცია, შესაბამისი პიროვნება და ამ პიროვნების მზაობა გმირობის ჩასადენად.

ჟიული შარტავას შემთხვევაში ყველაფერი დაემთხვა ერთმანეთს — დრო მისი ღირსი აღმოჩნდა, ხოლო იგი დროისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №73, 1994 წლის 4 მაისი. გვ. 1).

2. მე დიდად ვაფასებ ჟიული შარტავას... იგი ჩემს ხელში გაიზარდა, როგორც მოღვაწე. ("დრონი", №69, 1993 წლის 29 სექტემბერი, გვ. 1).

## გიორგი (გია) ჭანტურიას შესახებ

1. ჩვენი ისტორიოგრაფია სამართლიანად ამაყობს ქართული პოლიტიკური აზროვნების ფენომენით, რომლის ღრმა ეროვნულ ფესვებს და ზოგადსაკაცობრიო ტრადიციებს ჯერ კიდევ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ჩაეყარა საფუძველი. სწორედ ამ ჯანსაღ ფესვებზე ამოიზარდნენ ქართული ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის კორიფეები: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, სპირიდონ კედია, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა მრავალი სამშობლოზე გულანთებული მამულიშვილი.

რვა ათეული წლის წინ ახლადდაფუძნებულმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ საჯაროდ გამოიტანა თავისი პროგრამა, რომელიც სამ ძირითად დებულებას ეფუძნებოდა: ეროვნული თვითმყოფადობა, ტერიტორიული მთლიანობა, ზოგადჰუმანური დემოკრატიული ღირებულებანი. ამავე პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ ეროვნულ-დემოკრატები პირველი ქართული რესპუბლიკის დროს არჩეული დამფუძნებელი კრების შემადგენლობაში.

სამწუხაროდ, ბედის უკუღმართობამ ისტორიის ჩარხი სხვაგვარად დაატრიალა, რასაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არაერთი

თვალსაჩინო წარმომადგენელი შეეწირა ზვარაკად. სულ ცოტა ხნის წინათ ძალადობის კიდევ ერთი მსხვერპლი გახდა გიორგი ჭანტურია. ეს ჩვენი მოურჩენელი ტკივილია. იგი მუდამ შეგვახსენებს, თუ რა თავგანწირვას მოითხოვს სიმართლისათვის ბრძოლა, იმ იდეალების ერთგულება, რომელთა დაცვა და პატრონობა ჩვენმა დიდმა წინაპრებმა გვიანდერძეს. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ არაერთხელ დაადასტურა ეს ერთგულება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №296, 1997 წლის 25 ნოემბერი, გვ. 1).

2. გია ჭანტურია მომავლის პოლიტიკოსი იყო, დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მესაჭე. ასე ვიცნობდი მას და ასე ვფიქრობდი მის მომავალზე. ასე დაიმახსოვრებს მას ჩვენი ხალხი და ქართული სახელმწიფო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №206, 1994 წლის 6 დეკემბერი, გვ. 1).

## ირაკლი ფარჯიანის შესახებ

1. (ირაკლი ფარჯიანი — შემდგ.)... ის მხატვარია, რომელმაც ბრწყინვალედ განაგრძო და გაამდიდრა უნიკალური ქართული ხატთწერისა და ფერწერის ტრადიციები.

... ფარჯიანი მხოლოდ ქართული მხატვრული კულტურის გამომხატველი არ გახლავთ, იგი ქართული სულის გამოხატულებაცაა — მშვენიერი, ღრმა, მაგრამ ხშირად დაუცველი სულის გამოხატულება.

... ირაკლი ფარჯიანის ნახატებს რომ უცქერი, რა მიუწვდომელიც უნდა იყოს ისინი, თავად შეერწყმი მათ, ისინი შენი ხდება და შენ — მათი. აქაც აგრძელებ ფიქრს ისევე, როგორც აგრძელებ ფიქრს დიდი მუსიკის მოსმენის დროს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №114, 1997 წლის 20 მაისი, გვ. 2).

2. (ირაკლი ფარჯიანიც — შემდგ.)... ისევე ღრმაა, როგორც ვაჟაფშაველას გმირები, ისევე დაუცველი და უმანკო, ისევე მშვენიერი და უშუალო, როგორც მისი უნიკალური სამყარო — მოაზროვნე ბუნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №114, 1997 წლის 20 მაისი, გვ. 2).

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის შესახებ

1. ილია მეორე, გარდა იმისა, რომ ჩვენი ერის სულიერი წინამძღვარია, ზნეობისა და თვითეროვნულობის განსახიერებაა, დიდი სახელმწიფო მოღვაწეც არის. მან უდიდესი, შეიძლება ითქვას, ჩვენი თაობისათვის

უნიკალური წვლილი შეიტანა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინების, ქართველი ერის სულიერი შეკრების, ქართული სახელმწიფოს გამთლიანების საქმეში. ამით ილია მეორე თავისი დიდი წინამორბედების წმინდა საქმის ღირსეული მემკვიდრე და განმვრცობი გახდა... მიმაჩნია, რომ ჩვენ თანამოაზრენი, გარკვეული თვალსაზრისით, თანამებრძოლნი ვართ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №320, 1997 წლის 23 დეკემბერი, გვ. 2).

2. ... მიმაჩნია და ათასჯერ მითქვამს, რომ კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე არის სიმბოლო ერის ერთიანობისა, მთლიანობისა, ერის სულიერი მამა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №32, 1995 წლის 25 მარტი, გვ. 3).

## სხვადასხვა

1. ზურაბ ავალიშვილი იმ ქართველ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ძნელბედობისა და უმძიმესი გამოცდის ჟამს მთელი თავისი უნარი და ცოდნა სამშობლოს კეთილდღეობას სრულიად უანგაროდ შეალიეს. მის გასაოცარ ნიჭს, მეცნიერულ-ენციკლოპედიურ, პოლიტიკურ-დიპლომატიურ უნარს ბადალი არ ჰყოლია...

... ბედის უკუღმართობით სამშობლოსაგან მოწყვეტილი, ჭეშმარიტი პატრიოტი ზურაბ ავალიშვილი იყო ის ადამიანი, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრსა და ზრუნვაში დალია სული. ("საქართველოს რესპუბლიკა", №104, 1993 წლის 21 მაისი, გვ. 1).

2. პეტრე ბაგრატიონის მხედართმთავრული მოღვაწეობა სამხედრო ხელოვნების ოქროს ფონდს განეკუთვნება. იგი ღირსეულად უმშვენებდა მხარს დიდ რუს მხედართმთავრებს – სუვოროვსა და კუტუზოვს. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1983, გვ. 19).

3. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, როცა მოკლებული ვიყავით საკუთარ სახელმწიფოებრიობას, ქართველები რუსეთის არმიის შემადგენლობაში საკუთარი ჯიშისა და გენის ძლიერებას ადასტურებდნენ. რუსული არტილერიის მამა ქართველი ბაგრატიონი გახლდათ. პეტრე ბაგრატიონის მამაცობასა და მხედრულ გენიაზე აღფრთოვანების გარეშე საუბარი შეუძლებელია. ათასობით ქართველ გენერალსა და ოფიცერს უბრძოლია რუსეთის სასახელოდ, უსახელებია რუსული იარაღი და ქართველობა! ("საქართველოს რესპუბლიკა", №161, 1997 წლის 13 ივლისი, გვ. 2).

4. გამორჩეული და ღირსეული პიროვნების სიკვდილი ყოველთვის დიდ ტკივილად გახმიანდება ხოლმე ადამიანის სულში, მით უფრო, თუ ასეთ პიროვნებასთან თანამშრომლობისა და ერთად ბრძოლის წლები

გაკავშირებს, მაგრამ ეს ტკივილი ბევრად მძაფრია და გაუსაძლისი, თუ ამ სიკვდილთან შეჩვევაც ვერ მოასწარი. როდესაც არჩილ სულაკაურის მოულოდნელი გარდაცვალების ამბავი შევიტყვე, სწორედ ამ მძაფრმა და გაუსაძლისმა ტკივილმა ამავსო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №272, 1997 წლის 1 ნოემბერი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. გლეხთა აჯანყებები გურიაში გამოირჩეოდა განსაკუთრებული მასშტაბურობით, გაქანებითა და მათი ჩახშობის სისასტიკითაც. 1905 წლის რევოლუციის დროინდელი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი აჯანყება ისტორიაში ნასაკირალის ბრძოლის სახელით შევიდა. გლეხთა შეიარაღებულ რაზმს მეთაურობდა მამაჩემის ბიძაშვილი, დავით შევარდნაძე. აჯანყების დამარცხების შემდეგ ის მთის ტყეებში გავარდა ფირალად. მისი მოკვლისთვის დიდი თანხა იყო დაწესებული. დამსჯელი ექსპედიციის ალყაში მოქცეული დავითი ამხანაგების მცირე ჯგუფით დამსჯელ რაზმს შეებრძოლა. ერთმა უახლოესმა თანამებრძოლმა, ყველაზე საიმედო მეგობარმა, გახურებული ბრძოლის დროს სასმელი მიაწოდა. ეს საწამლავი იყო...

ლეგენდას ჰგავს, მაგრამ ნამდვილი ამბავია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 38).

6. დავით გურამიშვილმა, "ამ ქართველმა პოეტმა, რუსმა მეომარმა და უკრაინელმა მიწათმოქმედმა", როგორც კარგად თქვა მასზე ერთ დროს გიორგი ლეონიძემ, თავისი საოცარი ბედით ქართული პოეზია გაამდიდრა ქართველთა, რუსთა და უკრაინელთა მეგობრობის თემით, რომლის ბადალი ჟღერადობით, ისტორიული შინაარსითა და ემოციური სიმდიდრით იშვიათად მოიძებნება. ("კომუნისტი", №256, 1978 წლის 31 ოქტომბერი, გვ. 3).

7. ცოტნე დადიანი ის გმირია, რომელიც თავის პიროვნებაში სიმბოლურად განასახიერებს საქართველოს ერთიანობას, ერთიან საქართველოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №237, 1996 წლის 26 ნოემბერი, გვ. 1).

8. დიდი მემკვიდრეობა დაუტოვა იაკობ გოგებაშვილმა თავის ქვეყანას, – "დედა-ენა", ბავშვებისათვის გარდათქმული ბიბლია, "ბუნების-კარი", – სამი დიდი სვეტი თავისი მოძღვრებისა – ყმაწვილთათვის ცოდნა, ადამიანთათვის ღვთისკენ სავალი გზა და ბუნებასთან ადამიანის ერთიანობის მისეული ხედვა.

ყველა დროისათვის და ყველა ეპოქისთვის უბერებელია მისი საყმაწვილო შეგონებანი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №148-149, 1995 წლის 21 ოქტომბერი, გვ. 1).

9. დიდი დავით აღმაშენებელი და საქართველოს პირველი რესპუბლიკის ზნეობრივი და სულიერი წინასწარმეტყველი – დიდი ილია ჭავჭავაძეც...

ქართული სახელმწიფოებრიობისა და სულიერების ნიშანსვეტნი არიან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №120, 1997 წლის 27 მაისი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. დიდი მამის შვილობა ძალზე ძნელია, მისი ჩრდილიდან გამოსვლა კი უფრო ძნელი. ძნელია იმ პასუხისმგებლობის ზიდვა, რომელსაც არა მხოლოდ სახელოვანი მამა, არამედ საქართველოს უძველესი გვარიც გვავალდებულებს.

ლალი (ალექსანდრე – შემდგ.) ჯავახიშვილმა, ჭეშმარიტმა ინტელიგენტმა, დიდად განათლებულმა შესანიშნავმა მეცნიერმა და მართლაც უმწიკვლო პიროვნებამ არა მარტო სანაქებოდ შესძლო დიდი მამის შვილობა, არამედ თავისი კვალი დააჩნია როგორც ქართულ ისტორიულ მეცნიერებას, ისე თანამედროვე ქართულ ცხოვრებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №266, 1997 წლის 26 ოქტომბერი, გვ. 4).

11. დრომ და საქართველოს ბედმა ინება, რომ გასული საუკუნის ეროვნული გამთლიანების გზაზე საქართველოს ერთი მხრივ ილია და მისი დასი მოვლენოდა, მეორე მხრივ კი – მემედ აბაშიძე და მისი თანამებრძოლები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №272, 1997 წლის 1 ნოემბერი, გვ. 2).

12. თავისი დროის ერთ-ერთი უნიჭიერესი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე იყო გიორგი სააკაძე... რამდენი იომა, რამდენი იბორგა დიდმა მოურავმა, რათა თავისი ხალხის მოსისხლე მტრის ნდობაც კი მოეხვეჭა, მისივე ხელით და მისი დახმარებით საქართველოს ერთიანობისათვის მიეღწია! ან დაღუპვა, ან ერთიანობა! ასეთი იყო განწირულის სულისკვეთება. საქართველოს გაერთიანება ვერ შეძლო, სიცოცხლე კი ტრაგიკულად დაასრულა ძმათა მოღალატედ შერისხულმა და სამშობლოდან გადახვეწილმა. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1983, გვ. 16).

13. (ანთიმოზ ივერიელის – შემდგ.)... სულიერი სიდიადე ყოველი ჩვენგანისათვის სამაგალითო უნდა იყოს. მინდა ვისურვო, რომ ჩვენ, მისი შთამომავალნი, დიდი ქართველისა და რუმინული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანის საქმეთა ღირსეული გამგრძელებელნი ვყოფილიყავით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №312, 1997 წლის 13 დეკემბერი, გვ. 2).

14. ბატონი ირაკლის (აბაშიძის – შემდგ.) პიროვნება, მისი დიდი შემოქმედება ანარეკლია საქართველოს უახლესი ისტორიისა.

იგი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია მშობელი ხალხისა.

... ბატონი ირაკლის დიდი შემოქმედება უნიკალური მეგზურია ყველასათვის, ვისაც ჭეშმარიტად სურს გზა გაიკვლიოს ბოლო შვიდი -რვა ათწლეულის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ურთულეს ლაბირინთებში, ნათლად წარმოადგინოს საზოგადოება, რომლის განვითარებას თან სდევდა ოცნება და იმედთა გაცრუება, ენთუზიაზმი და ურწმუნოება, შენება – მსხვრევა, თანადგომა

— ზურგშექცევა, მეგობრობა და ღალატი, დანდობა და სისასტიკე. ("ლიტერატურული საქართველო", №2, 1992 წლის 24 იანვარი, გვ. 5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

15, კრწანისის ველზე ბრძოლისას თბილისელ მოქალაქეებს წინ უძღოდნენ მსახიობი მაჩაბელი და პოეტი საიათნოვა. მე არ მეგულება სხვა ამაზე უკეთესი განსახიერება კულტურის მზადყოფნისა მოიგერიოს ბოროტების შემოსევა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №83, 1995 წლის 14 ივლისი, გვ. 2).

16. მეორე მსოფლიო ომის დროს... 500-ზე მეტ ქართველ პარტიზანს წილად ხვდა პატივი, ებრძოლათ იტალიის თავისუფლებისათვის. ჩვენ ვამაყობთ, რომ მათ პირნათლად შეასრულეს ჩვენი დიდი წინაპრის (ილია ჭავჭავაძის — შემდგ.) ანდერძი, ყველგან და ყოველთვის ყოფილიყვნენ თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლთა მხარეზე... მრავალმა მათგანმა სამუდამო სამყოფელი იტალიის მიწაზე ჰპოვა. მათ შორის იყო ფორე მოსულიშვილი, ...რომელსაც იტალიის პრეზიდენტმა ჯუზეპე სარაგატიმ 1969 წლის დეკრეტით სიკვდილიდან 25 წლის შემდეგ მიანიჭა იტალიის უმაღლესი ჯილდო — "ოქროს ვარსკვლავი მხედრული მამაცობისათვის". ("საქართველოს რესპუბლიკა", №113, 1997 წლის 18 მაისი, გვ. 3).

17. ...მომავლის მწვერვალებს ადამიანები ქმნიან, ის ადამიანები, რომლებიც ღმერთმა მშვენიერების დიდი შემოქმედების საიდუმლოებათა სამყაროში შეიყვანა და ხელოვნების სასწაულთა საიდუმლოს აზიარა. ისინი, ღვთის მიერ ბოძებული ნიჭის წყალობით, თვით წარმოადგენენ სიმაღლეებს, მწვერვალებს, რომელთა მიწვდომაზეც მომავალი თაობებიც იოცნებებენ.

საბედნიეროდ, ჩვენი სამშობლო, პატარა საქართველო, ასეთ ადამიანთა რიცხოვნებით გამორჩეული შუქურაა მსოფლიოს ხალხთა თანავარსკვლავედში და ესაა ჩვენი უკვდავების საწინდარი.

ერთი ასეთი სიმაღლე ბატონი აკაკი გახლავთ...

... აკაკი ხორავა თავისი არსებით, მთელი თავისი შემოქმედებით, მთელი თავისი გიგანტური ფიგურით ქართულ ხელოვნებაში ეროვნულ თვითშეგნებას აყალიბებდა, ეროვნულ სულს აღვიძებდა და ელოლიავებოდა, ქართული სიტყვის მადლს გვაზიარებდა და ისტორიულ საქმეს აკეთებდა. ("ლიტერატურული საქართველო", №41, 1995 წლის 13-20 ოქტომბერი, გვ. 1).

18. რუს ეგოროვთან ერთად, რაიხსტაგზე ქართველმა ჯარისკაცმა მელიტონ ქანთარიამ აღმართა გამარჯვების დროშა, რაც სიმბოლურად იმ წვლილის გამოხატულებაა, რომელიც საქართველომ ამ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში შეიტანა. მე ასე მიმაჩნია: ყველა და ყველაფერი უნდა დაფასდეს, რაც დაკავშირებულია წმიდათაწმიდა ომთან, ქვეყნებისა და ხალხების თავისუფლებასთან და დამოუკიდებლობასთან. ("საქართველოს

რესპუბლიკა", №106, 1997 წლის 10 მაისი, გვ. 2).

19. სამეგრელოში პირველად ჩამობრძანებულ ბრძენკაცს (ილია ჭავჭავაძეს — შემდგ.) შემთხვევით არ უთქვამს — "სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავ". ერის წინამძღვარმა შესანიშნავად უწყოდა ჩვენი ქვეყნის ამ ძირძველი კუთხის ისტორიული, თანამედროვე და სამომავლო მნიშვნელობა.

ამ კუთხემ, ისტორიულმა ოდიშმა მისცა ქვეყანას ბევრი დიდი მამულიშვილი, მწერალი, მეცნიერი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. დღეს... არ შეიძლება პირველ რიგში არ გავიხსენოთ დიდი გიორგი ჭყონდიდელი, რომელსაც თვით დავით აღმაშენებელი უწოდებდა თავის სულიერ მამას.

მან უდიდესი წვლილი შეიტანა ერთიანი, ძლიერი, განუყოფელი საქართველოს შექმნაში.

არ შეიძლება დღეს არ გავიხსენოთ ქართველი ხალხის ეროვნული გმირი, დიდი ისტორიული ფიგურა ცოტნე დადიანი.

ერის მამა ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა როგორც გიორგი ჭყონდიდელს, ასევე ცოტნე დადიანს, სხვა ეროვნულ გმირებსა და თავდადებულ მამულიშვილებს.

ილია ჭავჭავაძის დიდი სახელმწიფოებრივი სიბრძნე, გიორგი ჭყონდიდელის საერო და სასულიერო ღვაწლი, ცოტნე დადიანის გმირობის, მისი უკვდავი სულის გამონათება, მისი გამწმენდი ძალა — დაე, მარად გვინათებდეს გზას მშვენიერი მომავლისათვის, ერის გაბზარული ცნობიერებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ისტორიული ბრძოლის გზაზე. ("ლიტერატურული საქართველო", №49, 1997 წლის 5-12 დეკემბერი, გვ. 1).

20. საქართველოს შვილები მამაცურად იბრძოდნენ უკრაინაში, ბელორუსიაში, სხვა რესპუბლიკების ტერიტორიაზე. ისინი მონაწილეობდნენ პარტიზანულ ბრძოლებში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთელ ფრონტზე, კერძოდ, საფრანგეთში, იტალიაში, პოლონეთში, ჰოლანდიაში. "ქართველი პოლეტაევი" უწოდეს იტალიაში პარტიზანული ბრძოლების გმირს ფორე მოსულიშვილს, რომელსაც სიკვდილის შემდეგ იტალიის რესპუბლიკის მთავრობის უმაღლესი ჯილდო მიენიჭა. (ე. ა. შევარდნაძე "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 24).

21. საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ზნეობრივი და ინტელექტუალური საფუძველი იყო ილია ჭავჭავაძის მოწოდება უწყვეტი, მჩქეფარე, მაცოცხლებელი მოძრაობის შესახებ. განუწყვეტელი მოძრაობა, ბრძოლა და აღმშენებლობა იყო დავით მეფის უმთავრესი

თვისებაც, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა და პატრიოტული რწმენით აღსავსე ადამიანისა. („საქართველოს რესპუბლიკა", №120, 1997 წლის 27 მაისი, გვ. 2).

22. (დავით სოსლანმა – შემდგ.)... საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. ეს იყო თავისი დროისათვის დიდად განათლებული კაცი. ისტორიაში იგი დარჩა როგორც ბრწყინვალე მხედართმთავარი, რომელმაც სახელი გაითქვა საერთო მტრების (ქართველი და ოსი ხალხის საერთო მტრების – შემდგ.) წინააღმდეგ ბევრ დიდ შეტაკებაში. („კომუნისტი", №150, 1982 წლის 27 ივნისი, გვ. 3).

23. ... ზურაბ სოტკილავას სახით საქართველოს კულტურას უცხოეთში შეუდარებელ დესპანად ჰყავს ის მომღერალი, რომელმაც არა მარტო დიდი თეატრის სცენაზე გააგრძელა დიდი ქართველების ტრადიციები, არამედ იტალიაშიც ღირსეულად წარმოაჩინა ქართული ვოკალური ხელოვნება, დესპანი, რომელიც დღენიადაგ თავისი ქვეყნის ტკივილითა და სიხარულით ცხოვრობს, დესპანი, რომელსაც მართლაც რომ ქართულ მიწაზე უდგას ფესვები. („საქართველოს რესპუბლიკა", №59, 1997 წლის 14 მარტი, გვ. 1).

24. ფართოდ არის ცნობილი ის ისტორიული ფაქტი, რომ მოწინავე ქართველი მოღვაწენი შეძლებისდაგვარად უჭერდნენ მხარს დეკაბრისტებს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, სოლომონ დოდაშვილსა და ჩვენი ხალხის ბევრ სხვა გამოჩენილ წარმომადგენელს შთააგონებდა იგივე იდეალები, რომელსაც თავიანთი სიცოცხლე უძღვნეს ალექსანდრე პუშკინმა, ალექსანდრე გრიბოედოვმა და მიხეილ ლერმონტოვმა. (ე. ა. შევარდნაძე, „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 15).

25. ფართოდ არის ცნობილი ის ისტორიული ფაქტი, რომ ქართველმა სამოციანელებმა – ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ნიკო ნიკოლაძემ და სხვებმა, რომლებმაც ალექსანდრე გერცენის, ბესარიონ ბელინსკის, ნიკოლოზ ჩერნიშევსკის, ნიკოლოზ დობროლიუბოვის უდიდესი გავლენა განიცადეს, შეადგინეს სრულიად რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის მძლავრი ქართული რაზმი, გამოხატავდნენ დემოკრატიული საქართველოს ინტერესებსა და მისწრაფებებს. (ე. ა. შევარდნაძე,"საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 15).

26. ქართველი ერის... მოამაგეთა და მოჭირნახულეთა რიცხვს მიეკუთვნება ანტონ ბაგრატიონი (ანტონ პირველი კათალიკოსი) – თავისი დროის შესანიშნავი მეცნიერი და განმანათლებელი, ქართული ენათმეცნიერების მესაძირკვლე, დაუღალავი საზოგადო მოღვაწე...

გასაოცარია და მისაბაძი ის უზარმაზარი ენერგია და პატრიოტული

შემართება, რომლითაც ანტონ პირველი ქართული სახელმწიფოებრივი ძლიერების განმტკიცებისა და ქართული მეცნიერების აღორძინებისათვის იბრძოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაოცარია ინტერესთა ის მრავალფეროვნებაც, რომელსაც ანტონ პირველი იჩენდა მეცნიერების სხვადასხვა დარგის და საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროს მიმართ, მისი დაუღალავი საქმიანობა საქართველოში ეკლესიის ძლიერების აღსადგენად, სწავლა-განათლების ევროპულ ყაიდაზე გარდასაქმნელად, მისი ბრძნული და შორსმჭვრეტელური დიპლომატიური მოღვაწეობა. სწორედ ამიტომაც, მე-18 საუკუნეს ანტონ პირველის საუკუნეს უწოდებენ და ეს შეფასება სრულიად სამართლიანია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №211, 1996 წლის 19 ოქტომბერი, გვ. 1).

27. ...ქართული ოჯახი, ქართული კულტურა, ქართული ფენომენი განუყოფელია იაკობ გოგებაშვილისგან, ისევე, როგორც გენიალური შოთა რუსთველისგან, დიდი ილიასგან, დავით გურამიშვილისგან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №148-149, 1995 წლის 21 ოქტომბერი, გვ. 1).

28. ქართული სამხედრო ხელოვნების მაღალი დონის დამადასტურებელი არაერთი ისტორიული დოკუმენტი მოიპოვება ქართულ და ისტორიულ წყაროებში. ჩვენ ამის შესახებაც უნდა ვილაპარაკოთ და ვესაუბროთ ჩვენს მომავალ თაობებს. გამოჩენილი ქართველი მეფეები — ვახტანგ გორგასალი, დავით კურაპალატი, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, ერეკლე მეორე არა მარტო დიდი პოლიტიკოსები, არამედ უდიდესი სტრატეგები და მხედართმთავრები იყვნენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №161, 1997 წლის 13 ივლისი, გვ. 1).

29. ... ქეთევან წამებული, ჩვენი წმინდანი და მაგალითი, მართლა ღირსია იმისა, რომ მასზე მუდამ იფიქროს თაობებმა და მისით მუდამ შთაგონებული იყოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №246, 1996 წლის 7 დეკემბერი, გვ. 1).

30. ყველაზე ძვირფასი, ყველაზე ამაღლებული, ყველაზე მშვენიერი, რაც კი რამ შეუქმნიათ ქართველ დიდოსტატებს, — ხუროთმოძღვრების შედევრები: ქალაქები, ტაძრები, ციხე-კოშკები, ფრესკები, ლეგენდარული არსაკიძის არქიტექტურული გენია; აღორძინების ეპოქის ოქრომჭედლობის — ოპიზრების ქმნილებები, V საუკუნის საქვეყნოდ ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის პეტრე იბერიელის ფილოსოფიური შედევრები, რუსთაველის გენიალური პოემა და ფილოსოფიური აზროვნება, რომელიც აღმოსავლეთის რენესანსის დაბადებას მოასწავებდა დანტე ალიგიერიმდე ასი წლით ადრე, დავით გურამიშვილის ნაწარმოებები, რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობისა და ძმობის სიმბოლოდ რომ იქცა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონ ტაბიძის, ფალიაშვილისა და ფიროსმანის, გუდიაშვილისა

და ნიკოლაძის უკვდავი ქმნილებები, სხვა უთვალსაჩინოესი ღირებულებანი ჩვენი ხალხის ეროვნულ ენერგიასა და ნიჭს რომ შეუქმნია, — ეროვნულ ქმნილებებად რჩება და ამავე დროს ამდიდრებს ხალხთა ინტერნაციონალურ საგანძურს. ("კომუნისტი", №125, 1980 წლის 31 მაისი, გვ. 2).

31. ჩვენ, ალბათ, ჯერ კიდევ კარგად არა გვაქვს გაცნობიერებული, როგორი შვილის გამზრდელია ჩვენი სამშობლო... მე ბედნიერება მქონდა, მისთვის სხვა ქვეყნებში მომესმინა. და თუ ვინმეს საზღვარგარეთ გააქვს საქართველოს სახელი, აცნობს ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და თანამედროვეობას, ვინც საფუძველს უყრის საქართველოს დიდ მომავალს — პაატა ბურჭულაძეა, — ჩემი პაატა — მივცემ თავს უფლებას ასე ვთქვა. იგი არის მსოფლიო მასშტაბის მოვლენა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №248, 1997 წლის 5 ოქტომბერი, გვ. 1).

32. ჩვენი ისტორია... წარმოუდგენელია ქართველი ქალის აქტიური მოღვაწეობის გარეშე, როგორც პოლიტიკურ სარბიელზე, ისე კულტურის სფეროში. ჩვენ მარტო თამარ მეფეც გვეყოფოდა. საბედნიეროდ, ეპოქამ შემოგვინახა ორი წარჩინებული მანდილოსნის ხუაშაქ ცოქალისა და კრავაი ჯაყელის სახელებიც, რომელთა დიპლომატიური ნიჭისა და უნარის წყალობით სამეფო კარმა ერის შიგნით დიდი სისხლისღვრა აიცილა თავიდან. გნებავთ, დედოფალი ქეთევანი გავიხსენოთ. მისი საქციელი მხოლოდ რჯულის დაგდების საწინააღმდეგო პროტესტს როდი ნიშნავდა, ამით ის თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობასაც იცავდა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №38. 1995 წლის 8 აპრილი, გვ. 1).

33. ძალიან ძნელია გამოვიდეს კაცი დიდი წინამორბედის ჩრდილიდან... მემედ აბაშიძეს შესანიშნავი შთამომავალი ჰყავს (ასლან აბაშიძე — შემდგ.) და მას არ სჭირდება არავითარი ჩრდილი. ის თავისთავად არის ღირსეული ლიდერი თავისი ხალხისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №272, 1997 წლის 1 ნოემბერი, გვ. 2).

34. ჭადრაკში პირველი ქართული მსოფლიო გარდამავალი თასის დაწესებას, რომელიც ნონა გაფრინდაშვილის სახელს ატარებს, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ჭადრაკი მაღალინტელექტუალური სპორტია. ამ სახეობაში ჩვენი თანამემამულის, მართლაც ლეგენდარული ადამიანის სახელობის ჯილდოს დაწესება ისტორიული მოვლენაა, განსაკუთრებით ისეთი არამრავალრიცხოვანი ერისათვის, როგორიც საქართველოა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №256, 1997 წლის 16 ოქტომბერი, გვ. 1).

35. მე-20 საუკუნის დიდი შემოქმედი, თბილისელი სერგი ფარაჯანოვი, მსგავსად საიათნოვასი, გახდა შესანიშნავი მოვლენა არა მარტო საქართველო-სომხეთის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში, არამედ იმის დიდი მაგალითიც, თუ როგორ შეიძლება გააერთიანოს ადამიანები

ჭეშმარიტმა სიყვარულმა და ხელოვნებამ... სერგი ფარაჯანოვის შემოქმედება ნამდვილად საოცრებაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. 650 ათასზე მეტი ქართველი მეომარი მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. მათ შორის – საბჭოთა კავშირის გმირები გიორგი მაისურაძე, შოთა გამცემლიძე, მელიტონ ქანთარია, რომელმაც მიხეილ ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა გერმანიის რაიხსტაგის თავზე 1945 წლის 30 აპრილს, და ბევრი სხვა. საქართველოდან 138-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. (ე. ა. შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა"საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 22).

# VI. ეკონომიკის, ბიუჯეტის, შრომის, საქმის, ვაჭრობის, კომერციის, მებაჟეობის, მიწის, ბანკის, ბიზნესის, მეწარმეობის, პრაქტიკის, გამოცდილების, ნოვატორობის, ოპერატიულობის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ტურიზმის, სოციალური უზრუნველყოფის, პროფკავშირების, კადრებისა და ხელმძღვანელის როლის შესახებ

1. ადამიანთა საქმიანობა მიზანშეწონილი და ობიექტურად გამართლებული ხდება იმის კვალობაზე, რაც უფრო მეტად შეიგნებენ ისინი ობიექტურ კანონებს და შეძლებენ შეათანხმონ, მიუსადაგონ დასახული მიზნები სინამდვილის განვითარების ობიექტურ ტენდენციას და რაც უფრო უკეთ, რაც უფრო ღრმად სწვდება ადამიანი ობიექტურ ტენდენციას და ობიექტურ კანონებს, მით უფრო ეფექტიანი ხდება ადამიანის საქმიანობა, მით უფრო მეტად მაღლდება საზოგადოებრივი განვითარების სუბიექტური ფაქტორის როლი. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 17).

2. ადამიანთა ცივილიზაციის ბედი დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეძლებს კაცობრიობა მომავალში პლანეტის რესურსების რაციონალურ გამოყენებას და, კერძოდ, ენერგიის განახლებადი წყაროების საფუძველზე საჭირო ენერგეტიკული ბაზის შექმნას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №11, 1998 წლის 15 იანვარი, გვ. 1).

3. ადამიანისათვის ზრუნვას, კადრებისადმი ნდობას ხელმძღვანელი უნდა უხამებდეს მაღალ მომთხოვნელობას, დისციპლინას, ზუსტ კონტროლს. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 83).

4. ადამიანი დაინტერესებული უნდა იყოს თავისი შრომის შედეგით. ნებისმიერი საქმე ნაყოფიერი რომ იყოს, გასათვალისწინებელია მეურნის ინტერესი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 61).

5. ადამიანს – მხედველობაში მყავს მომუშავე ადამიანი, კოლექტივის წევრი, – ზრდის უწინარეს ყოვლისა ამ კოლექტივის ყოველდღიური ცხოვრება და უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს ცხოვრება თითოეულ მუშაკს უღვივებდეს მუდმივ მისწრაფებას ზრდისადმი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარებისადმი, ინიციატივის გამოჩენისადმი.* ("კომუნისტი", №82, 1974 წლის 7 აპრილი, გვ. 2).

6. ადრე თუ გვიან ყოველ საქმეში დგება მომენტი, როდესაც განსაკუთრებით მწვავედ შეიგრძნობ მოთხოვნილებას – გულდასმით გააანალიზო და გაიაზრო შეძენილი გამოცდილება, შეაფასო მიღწევები, კრიტიკულად გაერკვე ნაკლოვანებებში და, რაც მთავარია, დააზუსტო სამერმისო კურსი. ეს მით უფრო აქტუალურია, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკურ ექსპერიმენტს, ცდას, რომელიც მოიცავს პრობლემათა ფართო სპექტრს, სადაც ყოველგვარ გამომდგარ სიახლეს უდიდესი ეფექტი მოაქვს და ყოველ ხარვეზს – უდიდესი დანაკლისი. ("კომუნისტი", №149, 1985 წლის 29 ივნისი, გვ.1).

7. არ არსებობს სახელმწიფოს და თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა ძლიერი ბიუჯეტის, სწორი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გარეშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 2).

8. არ დაგვავიწყდეს: სად თქმულა სამშობლოს სიყვარული შრომის სიყვარულის გარეშე. ადამიანი, რომელიც სამშობლოს ერთგულებას გულში მჯიღისცემით ეფიცება, შრომა კი არ უყვარს, სუფთა წყლის დემაგოგია. ("დროშა", №1, 1982, გვ. 1).

9. არ კმარა ვითვისებდეთ გარკვეული ოდენობის ცოდნას, საჭიროა კიდევ შეგვეძლოს ამ ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ვქმნიდეთ ახალ ღირებულებებს, თანაც ვქმნიდეთ არა უბრალოდ, არამედ მსოფლიო სტანდარტებისა და ეტალონების, მსოფლიო მიღწევების დონეზე. ("საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXXI ყრილობა. 17-18 თებერვალი", თბილისი გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1983, გვ. 41).

10. არ კმარა იცოდე, ვინ უნდა მოხსნა. უნდა იცოდე – ეს კი ყოველთვის უფრო ძნელია – ვინ დანიშნო. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 141).

11. არ უნდა იყოს არავითარი პარალელიზმი, ყველას უნდა ჰქონდეს თავისი საქმე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №26, 1996 წლის 13 თებერვალი, გვ. 1).

12. ბავშვობიდან შრომა შევიყვარე, შევეგუე, შევეჩვიე და ჩემი ბედნიერებაც ამაშია. ყოველგვარ დარდსა და გასაჭირს, ბოლოს და ბოლოს, შრომაში ვკლავ. სიყმაწვილეში შეძენილი მიწაზე მუშაობის ჩვევები შემომრჩა... ("საქართველოს რესპუბლიკა", №65, 1994 წლის 21 აპრილი, გვ. 3).

13. არა მარტო შენიშნოს ახალი, მოწინავე, არამედ ჩაეჭიდოს კიდეც მას, იღვაწოს პროგრესული გადაწყვეტილების გამოყენებისათვის – ესეც სამეურნეო ხელმძღვანელობის ეფექტიანი სტილის საჭირო ნიშან-

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №81, 1974 წლის 6 აპრილი, გვ. 2 (შემდგ.).

თვისება გახლავთ. („კომუნისტი", №165, 1984 წლის 19 ივლისი, გვ. 2).

14. ...არც ერთი პატიოსანი ბიზნესმენი არ ისარგებლებს იმით, რომ სხვის უბედურებაზე ააგოს საკუთარი ბედნიერება. და თუ ვინმე მაინც იკადრებს ამას, მწარედ შეცდება და ხელმოცარული დარჩება. („საქართველოს რესპუბლიკა", №268, 1997 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

15. აქსიომაა ის, რომ ეკონომიკური ინტერესები, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, ეკონომიკური ურთიერთობანი გადამწყვეტ წილად აყალიბებს სახელმწიფოს პოლიტიკას. („საქართველოს რესპუბლიკა", №97, 1997 წლის 30 აპრილი, გვ. 2).

16. ბიუჯეტს ერთხელ მე ქვეყნის ეკონომიკური კონსტიტუცია ვუწოდე. („საქართველოს რესპუბლიკა", №4, 1998 წლის 6 იანვარი, გვ. 2).

17. ბუნებრივმა სიმდიდრეებმა ქვეყნებს სიკეთე უნდა მოუტანონ და არა უსიამოვნებანი. („საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1997 წლის 28 იანვარი, გვ.2).

18. ბუხჰალტერია, მართლაც არის „მეურნეობის სარკე", და თუ იგი მხოლოდ მანკიერებებს გამოხატავს, სულაც არ არის სავალდებულო დაამსხვრიო ეს სარკე. ეს სარკის ბრალი კი არ არის, იმათი ბრალია, ვინც სარკესთან დგას, მათი არაორგანიზებულობის, არაკომპეტენტურობის, უპრინციპობის, ზერელობის ბრალია. (ე.ა. შევარდნაძე, „სასურსათო პროგრამა საერთო-პარტიული, საყოველთაო-სახალხო საქმეა! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე 1982 წლის 15 ივნისს", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 41).

19. გადაწყვეტილების მიღება — ეს მთელი მეცნიერებაა. (ე.ა. შევარდნაძე, „კადრებთან მუშაობა — თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. — საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 96).

20. გამოთქმული სიტყვა უკვდავია, თუ მას მოჰყვება კეთილი საქმე. („საქართველოს რესპუბლიკა", №143, 1992 წლის 31 ივლისი, გვ. 2).

21. გამოცდილება გვასწავლის, რომ სწორედ საქმიან, სწორედ თავისუფალ ატმოსფეროშია შესაძლებელი შემოქმედებითი პროცესი, სწორედ შემოქმედებითი ატმოსფერო წარმოშობს ახალ და გაბედულ აზრებს, ჭკვიანურ და მნიშვნელოვან წინადადებებს, რომ სწორედ შემოქმედებითი ატმოსფერო ანიჭებს ადამიანებს ღრმა კმაყოფილებას ნამოქმედარისა და მიღწეულის გამო. („კომუნისტი", №63, 1976 წლის 17 მარტი, გვ. 5).

22. გამყიდველის, მერძის, ოფიციანტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ხელოსნის შრომა იოლი შრომა როდია. თანაც, თავისი საქმიანობის ხასიათისა და სპეციფიკის გამო ისინი ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს კონტაქტში არიან ადამიანებთან, ტრიალებენ მათ

შორის, ემსახურებიან მათ. ვაჭრობისა და მომსახურების დარგის მუშაკთა ოსტატობაზე, მათს კომპეტენტურობაზე დიდად არის დამოკიდებული ამ დარგის დონე. ზრდილობა და თავაზიანობა, ღიმილი და უკეთ მომსახურების მისწრაფება იმათი პროფესიის კანონია, ვინც ადამიანებისათვის ზრუნავს. საბოლოო ანგარიშით, მომსახურების სფეროს სწორედ ეს უქმნის პრესტიჟს, ავტორიტეტს მოსახლეობაში. ("კომუნისტი", №29, 1977 წლის 4 თებერვალი, გვ. 2).

23. განათლებულ, კულტურულ მეწარმეს არ შეუძლია დაინტერესებული არ იყოს საზოგადოების სტაბილურობით, სოციალური დაძაბულობის ფაქტორებისა და მიზეზების აღმოფხვრით.* ("ცხოვრება", №55, 1991 წლის 10 აგვისტო, გვ. 2).

24. დღევანდელი მსოფლიოს თუნდაც ერთი დღე წარმოუდგენელია კომუნიკაციების გარეშე. ოცდამეერთე საუკუნე კი, საერთოდ, კომუნიკაციების ეპოქა იქნება. საკომუნიკაციო სისტემებისადმი ცივილიზებული დამოკიდებულება, სწორედ მომავლის ხედვის თვალსაზრისით, პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეთა, ბიზნესმენთა ახალ აზროვნებას, ახლებურ მიდგომებს და ძველი სტერეოტიპებისაგან განთავისუფლებას მოითხოვს. სატრანსპორტო მაგისტრალები, სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო მარშრუტები, ნავთობსადენები და გაზსადენები, კავშირგაბმულობის საშუალებანი სახელმწიფოთა შორის ველური კონკურენციის სფეროდან, რასაც ხშირად დაძაბულობისა და კონფრონტაციის ატმოსფერო მოაქვს, სტაბილურობის, მშვიდობის, საყოველთაო განვითარების ფაქტორად უნდა იქცეს, როგორც რეგიონული, ასევე გლობალური, საპლანეტო მასშტაბით. ამ ელემენტარული ჭეშმარიტების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ახლა შეუდგნენ დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას და რომლებიც მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესში ჩართვის ეტაპზე იმყოფებიან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №81, 1997 წლის 9 აპრილი, გვ. 2).

25. დღეს მებაჟეებზე დიდად არის დამოკიდებული, როგორ განვითარდება საქართველოში მეწარმეობა, რადგან როგორი კანონიც უნდა მივიღოთ, თუ ის საზღვარზე და ტრასაზე არ მოქმედებს, არაფერი გამოვა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 2).

26. დღეს ნებისმიერი ქვეყნის მდგრადი სოციალ-ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია ენერგეტიკული პრობლემების კომპლექსური, სწორედ კომპლექსური გადაწყვეტის გარეშე. ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების, განვითარების პრიორიტე-

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "კომსომოლსკაია პრავდა", №176-177, 1991 წლის 3 აგვისტო, გვ. 3 (შემდ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტულობას ბევრი მათგანისათვის მრავალი ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტი განაპირობებს, როგორიც არის ეკოლოგიური სისუფთავე, წიაღისეული საწვავის მარაგთა სიმცირე, ენერგიაშემცველების დეფიციტი და მისი იმპორტის შემცირებით დაინტერესება და სხვა. საქართველოსათვის ყველა ეს პრობლემა დღეს ძალზე აქტუალურია... ჩვენ ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანა ვართ მზის, ქარის, ბიომასის, გეოთერმული წყლებისა და სხვა რესურსებით. მე აღარაფერს ვამბობ ჰიდრორესურსებზე, რომლებიც, მართლაც, ამოუწურავია. გვაქვს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო და საინჟინრო ინტელექტუალური პოტენციალი და ამ სფეროში საქმიანობის გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება. ამდენად, ცხადი და ბუნებრივია ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენების თუნდაც ურთულესი ტექნოლოგიის ათვისებისაკენ ჩვენი განსაკუთრებული სწრაფვა... საქართველო შეიძლება ერთ-ერთ ლაბორატორიად თუ პოლიგონად იქცეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №16, 1998 წლის 21 იანვარი, გვ. 2).

27. დღეს უკეთ უნდა ვიმუშაოთ, ვიდრე გუშინ, ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს! — ასეთია ცხოვრების დიალექტიკური განვითარების ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება. ("კომუნისტი", №26, 1980 წლის 1 თებერვალი, გვ. 2).

28. ეკონომიკა და დისციპლინა განუყრელი ცნებებია .* ("კომუნისტი", №277, 1984 წლის 4 დეკემბერი. გვ. 2).

29. ეკონომიკა და კულტურა, ბაზისი და ზედნაშენი დიალექტიკურად ერთიანნი არიან, ეკონომიკის სტრატეგიასა და ტაქტიკას ვერ შევიმუშავებთ, თუ კულტურის განვითარების სტრატეგია და ტაქტიკა არ განვსაზღვრეთ. ("კომუნისტი", №125, 1980 წლის 31 მაისი, გვ. 2).

30. ...ეკონომიკა, მისი სიძლიერე გახლავთ ყველა ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელების საფუძველთა საფუძველი. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 10).

31. ეკონომიკა პოლიტიკის საფუძველია. ("კომუნისტი", №285, 1976 წლის 4 დეკემბერი, გვ. 2).

32. (ეკონომიკა — შემდგ.)... საფუძველთა საფუძველია ჩვენი სახელმწიფოს ბედნიერებისა, პოლიტიკური პლურალიზმისა და ნამდვილი დემოკრატიისა...

მშიერი საზოგადოება, ან ნახევრად მშიერი საზოგადოება არ შეიძლება საბოლოოდ სტაბილურ საზოგადოებად ჩაითვალოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №2, 1998 წლის 4 იანვარი, გვ. 2).

33. ეკონომიკა ჩვენი ურყევი პრიორიტეტია. სწორედ ეკონომიკური პროგრესი, ეკონომიკური აღმავლობა განსაზღვრავს და განაპირობებს,

* თარგმნილია ჟურნალიდან: "პრობლემი მირა ი სოციალიზმა" №12, 1984 (შემდგ.).

როგორც მოსახლეობის კეთილდღეობას, საზოგადოებრივ-სოციალურ ჰარმონიას, ასევე ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ძლევამოსილებას. არა ლოზუნგებზე, არა პლატფორმებზე, არა რაღაც მოწოდებებზე, დეკლარაციებსა და მიტინგებზე, არამედ სწორედ ეკონომიკაზეა დამოკიდებული თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა, ესე იგი, შრომაზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №4, 1998 წლის 6 იანვარი, გვ. 2).

34. ...ეკონომიკის გაჯანსაღება დემოკრატიაზე დაფუძნებული ეროვნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების მთავარი წანამძღვარია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №116, 1992 წლის 27 ივნისი, გვ. 1).

35. ეკონომიკისა და კულტურის ურთიერთმიმართება, ეკონომიკისა და კულტურის, მატერიალური და სულიერი ცხოვრების დიალექტიკა მეტად რთულია. მაგრამ ერთი რამ ისედაც ნათელია: არ შეიძლება ქვეყანა იყოს ჩამორჩენილი ეკონომიკურად და იგი ძლიერი სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდეს. ("საქართველოს კომუნისტი", №3, 1980, გვ. 13).

36. ეკონომიკისა და კულტურის ურთიერთობაზე როცა ვლაპარაკობთ, ცხადია, ბაზისისა და ზედნაშენის დიალექტიკასთან გვაქვს საქმე. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომელია პირველადი და რომელი — მეორადი. ამიტომ ვიწყებთ ეკონომიკით. თუმცა ისიც ნათელია, რომ ბაზისისა და ზედნაშენის დიალექტიკური მიმართება ცალმხრივი პროცესი როდია. ზედნაშენიც ახდენს ზეგავლენას ბაზისზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზედნაშენისეული მოვლენის — ხელოვნების როლი მეტად აქტიურია სოციალურ ცხოვრებაში. ("საქართველოს კომუნისტი", №3, 1980. გვ. 13).

37. ეკონომიკური ინტეგრაცია ყოველგვარი თანამედროვე გაერთიანების თუ ალიანსის საფუძველია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №63, 1994 წლის 19 აპრილი, გვ. 2).

38. ეკონომიკური პროცესებისა და პრობლემების ურთიერთგანპირობებული ჯაჭვის პირველი, საწყისი რგოლი, ჩვენს დღევანდელობაში, ენერგეტიკაა... თუ ენერგეტიკას არ მივხედეთ, ვერც წარმოებას ავამუშავებთ საჭირო დონეზე და არც ნორმალური ბიუჯეტი გვექნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №62, 1997 წლის 18 მარტი, გვ. 2).

39. ეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრისას ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ზუსტი ორიენტირი უნდა შეარჩიოს. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია, რომ ჩვენი ქვეყანა არის დემოკრატიული, სოციალური სახელმწიფო. მაშასადამე, საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის დროს უნდა გვახსოვდეს სოციალური პასუხისმგებლობაც, როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე მთლიანად საზოგადოების მიმართ. მაგრამ თანამედროვე პირობებში "სოციალურ სახელმწიფოზე" ლაპარაკი დემაგოგია იქნება, თუ საქართველოში არ ჩამოყალიბდა მძლავრი და

გავლენიანი საშუალო ფენა, რომელიც (ისევე როგორც ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში) საზოგადოებრივი სიმშვიდის, სამოქალაქო თანხმობისა და ზოგადად სახელმწიფოებრივი სტაბილურობის გარანტი გახდება. ამ თვალსაზრისით, ეკონომიკური სტრატეგია, სოციალური საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა, უფრო ფართო გაგებით, ეროვნულ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ნაწილია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №243, 1997 წლის 30 სექტემბერი, გვ. 2).

40. (ენგურის ჰიდროელექტროსადგურის — შემდგ.)... თაღოვანი კაშხალი თავისი პარამეტრებით პირველი იყო მსოფლიოში და აკვირვებდა უდიდესი რანგის სპეციალისტებს ჩანაფიქრის გენიალობით, არაორდინალობით და, რაც მთავარია, მისი განხორციელებით. ეს ჰიდროელექტროსადგური დღესაც ითვლება მსოფლიო ინჟინრული აზრის მონაპოვრად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №273, 1997 წლის 2 ნოემბერი, გვ. 2).

41. (ენერგეტიკა — შემდგ.)... ის დარგია, რომელზეც დამოკიდებულია მთელი ჩვენი ეკონომიკა, მთელი სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №213, 1996 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 2).

42. ...ენერგეტიკა სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის ხერხემალია, ესე იგი, სახელმწიფოს ხერხემალია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №302, 1997 წლის 2 დეკემბერი, გვ. 2).

43. ენერგეტიკის აღორძინება უდიდესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, რომლის გადაწყვეტაში საქართველოს თითოეული მოქალაქე უნდა მონაწილეობდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №254, 1996 წლის 19 დეკემბერი, გვ. 2)

44. ენერგეტიკის განვითარების საკითხი მთავარი მიმართულება იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის, ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის, ქვეყნის დინამიკური აღმავლობის უმნიშვნელოვანეს საქმეში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №298, 1997 წლის 27 ნოემბერი, გვ. 1).

45. ერთ კაპიკ დანაზოგსაც კი ისეთი ადგილი უნდა მივუჩინოთ, სადაც არსებობს შესაბამისი დაზღვევა და იმის გარანტია, რომ იგი არ დაიკარგება, პირიქით, სარგებელს მოიტანს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №194, 1994 წლის 1 ნოემბერი, გვ. 1).

46. ეფექტიანად მომუშავე მესაკუთრე სახელმწიფოს სიძლიერის ქვაკუთხედია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №144, 1997 წლის 24 ივნისი, გვ. 2).

47. ვერავითარი ძალა ვერ შეედრება მშვიდობის დამყარებაში ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა განვითარებას და არ არსებობს სახელმწიფოთა უშიშროების უკეთესი გარანტია, ვიდრე ამ კავშირურთიერთობათა გაღრმავება და განმტკიცებაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 2).

48. ვერც ერთი ფარი, რა საზღვართანაც უნდა დააყენოთ, სიძლიერითა და ეფექტიანობით ვერ შეედრება სახელმწიფოთა ეკონომიკურ რეაბილიტაციასა და აღორძინებას მთელ პოსტტოტალიტარულ სივრცეში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №243, 1996 წლის 4 დეკემბერი, გვ. 1).

49. ვერც ერთი ხელმძღვანელი ვერ გახდება ნამდვილი, აღიარებული წინამძღოლი, თუ იგი არ ეყრდნობა მასებს, ჩვენი საზოგადოების დემოკრატიულ პრინციპებს. ("კომუნისტი", №33, 1974 წლის 8 თებერვალი, გვ. 3).

50. ...ვერც მატერიალურ და ვერც სულიერ ღირებულებას ვერ შექმნი, თუ პატიოსნად და გმირულად არ იშრომე. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 35).

51. ვინც გადასახადს მალავს, იგი ღალატობს სამშობლოს, ფაქტობრივად ეს ასეა, ღალატობს ქვეყანას, ძლიერების საფუძველს აცლის მას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №308, 1997 წლის 9 დეკემბერი, გვ. 2).

52. ვინც შემოსავალს უმალავს სახელმწიფოს და გადასახადებს არ უხდის ქვეყანას – ის საშიში დამნაშავეა და კანონის საფუძველზე უნდა დაისაჯოს. თავისუფალი მეწარეობა იმიტომ კი არ დავაკანონეთ, რომ ჩრდილოვანმა ეკონომიკამ კანონიერი ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორი დაჩრდილოს. კანონიერ მეწარმეს ჩვენ ხელს ვუწყობთ, არალეგალურ მეწარმეს კანონით ვდევნით. ეს გასაგები ლოგიკაა და აქ დემაგოგიისათვის ადგილი არ რჩება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 3).

53. ვის სჭირდება ოპერატიულობა მხოლოდ და მხოლოდ ოპერატიულობისათვის?... ოპერატიულობა თვითმიზანი კი არა, პრობლემის გადაჭრის ხერხია.

ოპერატიულობა სულაც არ ნიშნავს ნაჩქარევ, ხელაღებულ მოქმედებას, იგი აუცილებლად მოითხოვს სათანადო არგუმენტირებას, მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომას. ამას კი მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როცა კარგად ვიცით ვითარება, ღრმად ვწვდებით ადგილებზე საქმის მდგომარეობას, გვაქვს მაღალი კვალიფიკაცია და ვართ კომპეტენტურნი. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ, 96).

54. თვალისახვევის, სიყალბის, კრიტიკის ჩახშობის, ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინება შეუთავსებელია ხელმძღვანელ... სამუშაოზე ყოფნასთან. ("სტალინელი" (ქუთაისი), №4, 1953 წლის 7 იანვარი, გვ. 3).

55. თითოეულ ხელმძღვანელს უნდა ვუნერგავდეთ მაღალ პასუხისმგებლობას ადამიანთა წინაშე, რომელთა ხელმძღვანელობაც მას

აქვს მინდობილი.* ("კომუნისტი", №112, 1983 წლის 15 მაისი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

56. თუ იქნება დიდი მიზნები, იქნება დიდი საქმეებიც. ("იბერია-სპექტრი", №39, 1992 წლის 16-22 აპრილი, გვ. 3).

57. თუ კაცი პატიოსან ბიზნესს ეწევა, ასობით ადამიანს ასაქმებს, ბიუჯეტსაც ავსებს და ამით საშუალებას გვაძლევს შევინახოთ ათასობით პენსიონერი, ჯარისკაცი და მასწავლებელი, მაშ, ღმერთმა შეარგოს ის სიმდიდრე, რომელსაც პატიოსანი შრომით და საქმიანობით მოიპოვებს კანონის ფარგლებში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №243, 1997 წლის 30 სექტემბერი, გვ. 2).

58. თუ ჩვენ საკუთარი გამოცდილება არ გვაქვს, სხვებისაგან ვისწავლოთ. ("სოფლის ცხოვრება", №17-18, 1993 წლის 6 მარტი, გვ. 1).

59. ის სახელმწიფო, რომელმაც არ იცის საკუთარი ფულის დათვლა და არ იბრძვის ბიუჯეტის შესრულებისათვის, კუთვნილი თანხების აკრეფისათვის, არ იქნება სიცოცხლისუნარიანი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №4, 1998 წლის 6 იანვარი, გვ. 2).

60. ისტორიას ჩაბარდა დრო, როდესაც მსოფლიოში არსებობდა რამდენიმე ჩაკეტილი ეკონომიკური რგოლი, რომელიც ფაქტობრივად, არ უკავშირდებოდა ერთმანეთს. მომავალი მსოფლიო უკვე ვეღარ იგუებს ეკონომიკურ განკერძოებასა და ეგოიზმს, — სხვისი ინტერესების უგულებელყოფას. უფრო მეტიც, იმარჯვებენ მხოლოდ და სწორედ ისინი, ვინც თავიანთ ცხოველმყოფელობასა და მომავალს უკავშირებენ გლობალურ სისტემაში ჩართვას, პროგრესისა და განვითარების ზოგადი ტენდენციის სტიმულირებას. სწორედ ამიტომ, ხშირად გავიგონებთ ბოლო დროს: XXI საუკუნე ინფორმაციისა და კომუნიკაციის საუკუნე იქნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №220, 1996 წლის 1 ნოემბერი, გვ. 2).

61. ...იყო ხელმძღვანელი — პრივილეგია არ არის. იყო ხელმძღვანელი — ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს აიმაღლო პასუხისმგებლობის გრძნობა, გააკონტროლო შენი სურვილები. იყო ხელმძღვანელი — ნიშნავს მზად იყო მსხვერპლის გასაღებად, არ დაიშურო ძალა, ენერგია, ცოდნა, გამოცდილება, ნერვები და საკუთარი სიცოცხლეც კი, რათა ემსახურო ადამიანებს, ხალხს.

ბედნიერია თუ არა ხელმძღვანელი? დიახ, იგი ბედნიერია, თუ თავის ბედნიერებას ეძებს და პოულობს ადამიანების, სიკეთის სამსახურში. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 144).

62. კადრებთან მუშაობა ადამიანთმცოდნეობაა, ეს დიდი მეცნიერება და დიდი ხელოვნებაა. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №41, 1980 წლის 5 აპრილი, გვ. 2).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა",№134, 1983 წლის 14 მაისი, გვ. 2 (შემდგ.).

63. კადრების განაწილება და აღზრდა მათი სწორი შერჩევით იწყება. ("კომუნისტი", №165, 1984 წლის 19 ივლისი, გვ. 2).

64. კადრების მუდმივი განახლება ობიექტური აუცილებლობაა, რომელსაც ჩვენი განვითარების დინამიკა გვიკარნახებს. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 54).

65. კადრების პასუხისმგებლობის ამაღლება, ყველა სამუშაო ადგილზე, მუშაობის ყველა უბანზე დისციპლინის განმტკიცება, წარმოების ზრდის დაჩქარებისა და მეურნეობრიობის ეფექტიანობის ამაღლების დიდი რეზერვია. ("კომუნისტი", №58, 1980 წლის 9 მარტი, გვ. 3).

66. კარგად დაწყებული საქმე კარგად უნდა გაგრძელდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №132, 1995 წლის 30 სექტემბერი, გვ. 1).

67. ...კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ აბსოლუტურად სწორი და ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტა ერთადერთია, არასწორი კი ათასი. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს არ აჩნდეს ნაჩქარეობისა და ზერელობის კვალი. ("კომუნისტი", №155, 1977 წლის 5 ივლისი, გვ. 3).

68. კარგი მეურნე მარტო დღევანდელი საზრუნავით არ უნდა ცხოვრობდეს, პერსპექტივასაც უნდა ჭვრეტდეს. ("კომუნისტი", №133, 1980 წლის 10 ივნისი, გვ. 2).

69. (კერძო საკუთრება არის – შემდგ.) ...პიროვნების თავისუფლების ერთ-ერთი რეალური და აუცილებელი საფუძველი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №65, 1994 წლის 21 აპრილი, გვ. 3).

70. კიდევ ერთხელ ნათლად უნდა შევიგნოთ ერთი მარტივი აზრი: იმისათვის, რომ უკეთ ვიცხოვროთ, საჭიროა, უკეთ ვიმუშაოთ. ყოველნაირად ვილვაწოთ ჩვენი საზოგადოებრივი სიმდიდრის გასამრავლებლად. (ე.ა. შევარდნაძე, "სასურსათო პროგრამა საერთო-პარტიული, საყოველთაო-სახალხო საქმეა! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე 1982 წლის 15 ივნისს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 27).

71. ... "კოკა-კოლა" მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპანიაა და თუ ჩვენ ამ გიგანტთან პარტნიორობას თავს გავართმევთ, ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს, ესე იგი ჩვენ შეგვიძლია, რომ ხელი მოვკიდოთ სერიოზულ ბიზნესს. ("კავკასიონი", №11, 1994 წლის 16 მარტი, გვ. 5).

72. მამაჩემი მასწავლიდა ფუტკრის მოვლას და ფიჭიანი თაფლის ყურება დღესაც სიამოვნებას მგვრის. მრავალი წლის შემდეგ წყნეთში, სახელმწიფო აგარაკის ნაკვეთზე, რამდენიმე ვაზი დავრგე და ოთხი სკა გავიჩინე. მაშინ მე, რესპუბლიკის კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივანს,

არ მჭირდებოდა საკვების ამგვარად მოპოვება. ყოველდღიური უამრავი საქმით, — მათ შორის სასოფლო-სამეურნეო საქმეებითაც დატვირთულს, მახარებდა, რომ მიწაზე მუშაობის სიყმაწვილეში შეძენილი ჩვევები შემრჩენოდა, რომ ტოლივით შემეძლო მესაუბრა მხვნელთან თუ მწყემსთან, მევენახესთან თუ მეფუტკრესთან, ჩაის მკრეფავთან თუ მშენებელთან და ბოლომდე გულწრფელი თუ ვიქნები, აქამდე ვამაყობ იმით, რომ საკუთარი ხელით შემიძლია რაღაც-რაღაცეების კეთება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი. გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 42).

73. მართვის რაოდენ სრულყოფილი ფორმაც უნდა შევქმნათ, ნებისმიერი სისტემა უმაქნისი იქნება, თუ სრულად არ ავამოქმედეთ ადამიანის ფაქტორი, თუ არ ვიზრუნეთ კადრების, მათი ინიციატივის, პასუხისმგებლობის, დისციპლინის ამაღლებისათვის. ("კომუნისტი", №149, 1985 წლის 29 ივნისი, გვ. 3).

74. მარცხიც გამოცდილებაა.* ("კომუნისტი", №11, 1984 წლის 13 იანვარი, გვ. 1).

75. მაღალი ზნეობრივი კატეგორიები ფუჭ ფრაზად რჩება, თუ მათ უკან არ დგას საქმე, ოფლის ფასად, შრომისა და ბრძოლის ფასად მოპოვებული უფლება ილაპარაკო სამშობლოს სიყვარულზე. ("სამშობლო", №1, 1983 წლის იანვარი, გვ. 2).

76. მარტოოდენ საკუთარი გამოცდილებით ხელმძღვანელობა და მხოლოდ პირად შთაბეჭდილებებზე დაყრდნობა, სუბიექტურ შეფასებათა საფრთხეს შეიცავს.** ("კომუნისტი", №208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ. 1).

77. მე ვფიქრობ, რომ ამაზე უფრო დიდი ჰუმანური აქცია საქართველოს ხელისუფლებას არ ჩაუტარებია, ვინემ ეს მიწის რეფორმაა. ყველაზე დიდი სიმდიდრე, რაც ქვეყანას გააჩნია, მან ფაქტიურად დაუსაკუთრა საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №35, 1998 წლის 12 თებერვალი, გვ. 1).

78. მე არა მწამს საბაზრო ეკონომიკისა ზოგადად; ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე. ("რესპუბლიკა", №17, 1992 წლის 3 ივლისი, გვ. 3).

79. მეწარმე სახელმწიფოს ძირითადი დასაყრდენი და მისი ძლიერების წყაროა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №297, 1997 წლის 26 ნოემბერი, გვ. 2).

80. მეხსიერება და გამოცდილება ნებისმიერ სიტყვებზე, ნებისმიერ რწმუნებებზე ძლიერია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 316).

81. ... მთავარი მაინც შრომაა, რადგანაც ვერავითარი პოლიტიკა საქმეს ვერ უშველის, თუ არ ვიშრომეთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №3, 1994 წლის 5 იანვარი, გვ. 1).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №12, 1984 წლის 12 იანვარი, გვ. 3 (შემდგ.).

** თარგმნილია ჟურნალიდან: "ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7, 1979, გვ. 4 (შემდგ.).

82. მთელი სოციალური პოლიტიკის წარმატება ეკონომიკის აღმავლობას უკავშირდება, ხოლო სწრაფი ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია უცხოური ინვესტიციების გაბედულად მოზიდვის გარეშე. ეს დღეს ჩვენი ქვეყნისათვის პრობლემათა პრობლემაა. ამგვარად, ამ პრობლემას მკვეთრად გამოხატული სოციალური დატვირთვა აქვს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 4).

83. ...მიმაჩნია, რომ მხოლოდ გრძელვადიანი ეკონომიკური ინტერესების რაციონალურ მიზანშეწონილობასა და შესაბამისობაზე დაფუძნებულ თანამშრომლობას შეუძლია საიმედოდ უზრუნველყოს სტაბილურობა და უშიშროება დედამიწის ნებისმიერ რეგიონში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №97, 1997 წლის 30 აპრილი, გვ. 2).

84. მიწაზე შრომა აკეთილშობილებს ადამიანს. მიწის დამუშავება, დარგვა, მოსავლის მოყვანა. ეს ცხოვრების პროცესია, ბუნებასთან უშუალო კავშირია და თავად სიხარული: მცენარე იზრდება, მოსავალი მოგყავს, შენი ხელით რაღაცას ქმნი, რაღაცას აკეთებ... ძნელად თუ რაიმე შეედრება გრძნობას, როცა შენი დარგული ხე პირველ ყვავილს გამოიღებს და პირველი ნიშანი გაჩნდება, პირველ მოსავალს მოგცემს. ("დედამიწა", №8, 1993 წლის 22 აპრილი, გვ. 2).

85. ...მლიქვნელობა... ჩემი აზრით... ნაკლებად მავნე როდია, ვიდრე კრიტიკის ჩახშობა... ეს ბანგია სუსტი ადამიანებისათვის. ტკბილი სიტყვა ყურს კი ესალბუნება, მაგრამ ხელმძღვანელი მოვალეა გამოიჩინოს ნებისყოფა, რათა საგნებს თავისი სახელი უწოდოს, მლიქვნელს უთხრას, მლიქვნელი ხარო.* ("კომუნისტი", №112, 1983 წლის 15 მაისი, გვ. 1).

86. მოთხოვნილებათა დაკნინებას შეიძლება მოჰყვეს პიროვნების ფიზიკური და სულიერი უმწიფარობა, აგრეთვე შრომითი ინიციატივის დაქვეითება სტიმულების უქონლობის გამო.** ("საქართველოს კომუნისტი", №10, 1980, გვ. 8).

87. მოსახლეობის დასაქმება სოციალური კეთილდღეობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. (ე.ა. შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 67).

88. მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების დონე ეკონომიკის აღმავლობის აუცილებელი პირობაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №71, 1995 წლის 27 ივნისი, გვ. 2).

89. (მოსახლეობის საშუალო ფენა წარმოადგენს — შემდგ.)... ქვეყნის

---

* თარგმნილია გაზეთიდან "პრავდა", №134, 1983 წლის 14 მაისი, გვ. 2 (შემდგ.)

** თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №38 1980 წლის 17 სექტემბერი, გვ. 2 (შემდგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტს. („საქართველოს რესპუბლიკა", №120, 1997 წლის 27 მაისი, გვ. 3).

90. მოსახლეობის ცხოვრების დონე, მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო გარანტირებულ შრომითს შემოსავალსა და შრომითს მოწყობაზე, არამედ აგრეთვე სოციალურ უზრუნველყოფაზე — პენსიებზე, სტიპენდიებზე, დახმარებებზე, შეღავათებზე და ა. შ. (ე. ა. შევარდნაძე, „საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 79).

91. მრეწველობის აღორძინების, გაძლიერების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის სტაბილური განვითარება. თუ გვსურს, საქართველო იქცეს თანამედროვე, ცივილიზებულ სახელმწიფოდ, დინამიკურად განვითარებადი ეკონომიკით, მრეწველობა უნდა ვაქციოთ ეკონომიკის ხერხემლად. („საქართველოს რესპუბლიკა", №194, 1997 წლის 12 აგვისტო, გვ. 2).

92. მრეწველობის განვითარებისათვის ყველაზე დიდი სტიმული... ბაზრის არსებობაა. („საქართველოს რესპუბლიკა", №142, 1997 წლის 21 ივნისი, გვ. 2).

93. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს... რომ კეთილდღეობის საფუძველი მესაკუთრე და მესაკუთრის ფსიქოლოგიაა. ეს მთავარი არსი უნდა დამკვიდრდეს ჩვენს ცხოვრებაში და მას უნდა დავუჭიროთ მხარი. რაც მეტი იქნება მესაკუთრე, მით მეტი სტიმული იქნება ქვეყნის განვითარებისათვის. მაგრამ ერთს ვერ ავცდებით — ზოგს მეტი სიმდიდრე ექნება, ზოგს — ნაკლები. („საქართველოს რესპუბლიკა", №123, 1994 წლის 13 ივლისი, გვ. 1).

94. მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციისათვის საარსებო მნიშვნელობის პირობაა საგარეო ვაჭრობის განვითარება და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება. ამიტომაც ჩვენი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრად გახდომაა, რაც ქვეყნის მომავალი განვითარების მძლავრი იმპულსი იქნება. („საქართველოს რესპუბლიკა", №138, 1997 წლის 17 ივნისი, გვ. 2).

95. მტკიცე შრომის დისციპლინა... უწინარეს ყოვლისა, ყაირათიან მეურნეობას, მაღალ შეგნებასა და ინიციატივიანობას გულისხმობს. („კომუნისტი" №121, 1983 წლის 27 მაისი, გვ. 3).

96. მუშაკის მოხსნა, გათავისუფლება და დასჯა არ უნდა იყოს თვითმიზანი, იგი უნდა ემსახურებოდეს... კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების სწორად დაყენების საერთო საქმეს. („სტალინელი" (ქუთაისი), №4, 1953 წლის 7 იანვარი, გვ. 3).

97. ...მუშაობის სხვადასხვა სტილი სხვადასხვა შედეგებს იწვევს. („საქართველოს კომუნისტი", №1 1978, გვ. 48).

98. მშრომელთა რეალური შემოსავლის განუხრელი ზრდა, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გაფართოება სტიმულს აძლევს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის შემდგომ განვითარებას. (ე.ა. შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 57).

99. ...მხოლოდ პატიოსანი შრომა განსაზღვრავს ადამიანური ღირსებებისა და ადამიანის სოციალური პრესტიჟის დონეს.* ("საქართველოს კომუნისტი", №9, 1981, გვ. 21).

100. ნამდვილი ხელმძღვანელი მთელ თავის ღირსებებს, მთელ თავის ნიჭსა და უნარს ახმარს შეურიგებელ ბრძოლას ყოველივე კონსერვატიულთან, დრომოჭმულთან, ხოლო ცოდნა მასში შერწყმულია პრობლემებისადმი პოლიტიკურ მიდგომასა და პირად მამაცობასთან.

ეს თვისებები თუ არა გაქვს, ძნელია კარგი ხელმძღვანელი იყო. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 88-89).

101. ნდობა და პატივისცემა კადრებისადმი კი არ გამორიცხავს, პირიქით, გულისხმობს მაღალ მომთხოვნელობას მათდამი, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლსა და შემოწმებას. ამ ნდობას საერთო არა აქვს რა უკონტროლობასთან, ყოვლისშეწყნარებასთან და დაუსჯელობასთან. ("კომუნისტი", №91, 1975 წლის 18 აპრილი, გვ. 4).

102. ნებისმიერ გამოცდილებას... პიროვნული ელფერი დაჰკრავს.** ("კომუნისტი", №59, 1982 წლის 12 მარტი, გვ. 3).

103. ნებისმიერი გამოცდილება – იდეურ-პოლიტიკური, მორალური, სულიერი, სოციალური, შემოქმედებითი – ადამიანის თვალში განსახიერებული უნდა იყოს. სხვაგვარად ეს არც არის და ვერც იქნება გამოცდილება. ცხადია, ყოველი სწორი იდეა, ყოველი იდეალი აბსოლუტურია, მაგრამ ადამიანის სულისა და სულიერების, მრწამსისა და რწმენის კუთვნილებად იგი მხოლოდ მაშინ იქცევა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუ აბსტრაქტული კი არა, კონკრეტული იქნება.*** ("კომუნისტი", №59, 1982 წლის 12 მარტი, გვ.2).

104. ...ნებისმიერი ექსპერიმენტი მოითხოვს გარკვეულ გამბედაობას, ინიციატივას, სიახლის ალღოს. ("საქართველოს კომუნისტი", №3, 1984, გვ. 29).

105. ნოვატორობა... რთული მოვლენაა. იგი გულისხმობს ძველისა და

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ვოპროსი ფილოსოფიი", №6, 1981, გვ. 15 (შემდგ.).
** თარგმნილია ჟურნალიდან: "მოლოდოი კომუნისტ", №12, 1981 (შემდგ.).
*** თარგმნილია ჟურნალიდან: "მოლოდოი კომუნისტ" №12, 1981 (შემდგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლის ბრძოლას. არაფერი, მათ შორის მუშაობის დრომოჭმული მეთოდები ნებაყოფლობით არ დაუთმობს ადგილს ახალს, თუ არ ვაწარმოებთ ბრძოლა, ზოგჯერ მეტად მწვავე და არცთუ უმტკივნეულო, თუ არ დავამსხვრიეთ ძველი... ეს პროცესი, ყოველივე კონსერვატიულის, ყოველივე ძველის დაძლევისა და ახლის დამკვიდრების პროცესი, ისევე როგორც ყოველგვარი ბრძოლა, დიალექტიკის კანონების საფუძველზე ვითარდება. ("კომუნისტი", №83, 1983 წლის 9 აპრილი, გვ. 2).

106. ნურავის ჰგონია, რომ სოციალურად დაძაბულ და დაძაბუნებულ ქვეყანაში შესაძლებელია ნორმალური ბიზნესის განვითარება... ქვეყნის სტაბილურობა, ნორმალური ცხოვრება რეალურად ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №213, 1996 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 2).

107. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბრძოლაში ის იწრთობა, ვინც კონკრეტულ მიზანს ემსახურება და კონკრეტულ ამოცანას წყვეტს. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №41, 1980 წლის 5 აპრილი, გვ. 3).

108. პროფკავშირებს თავიანთ ძირითად ამოცანად უნდა მიაჩნდეთ შეიმუშაონ სისტემა, რომელიც მთელ მათს მოვალეობებს გააერთიანებს ერთიან მაგისტრალურ მიმართულებად: ეს გახლავთ ადამიანებთან მუშაობის სტილის სრულყოფა, ადამიანის საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი ყურადღების გაძლიერება, შრომითს კოლექტივში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების არსსა და სიღრმეში უფრო ჩაწვდომა, მშრომელთა აქტიური ჩაბმა წარმოების მართვაში. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 125).

109. პროფკავშირი თავისი საქმიანობის თვალსაზრისით, სულისკვეთებით შემოქმედებითი ორგანიზაციაა. მან ადამიანებს პირველ რიგში უნდა ჩაუნერგოს... პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა თავისი საწარმოო კოლექტივის, რაიონის, ქალაქის, რესპუბლიკის ცხოვრების ყველა მხარისათვის. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 152).

110. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ ძმობის, მეგობრობის, თანამშრომლობის ტრადიციებზე (და ეს მართლაც ასეა და უნდა გავუფრთხილდეთ და კიდევ უფრო განვამტკიცოთ), თანამედროვე მსოფლიოს თვისებაა, რომ, თუ ეკონომიკურად თავადაც ძლიერი ვიქნებით, თუ მხოლოდ დახმარებას არ მოვითხოვთ და თანასწორუფლებიან პარტნიორობას შევთავაზებთ მეგობრებს, მეგობარ ქვეყნებს, მაშინ კიდევ უფრო

მეტად დაგვაფასებენ და უფრო მეტადაც შეეცდებიან კონტაქტების დამყარებას სხვადასხვა სფეროში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №16, 1998 წლის 21 იანვარი, გვ. 2).

111. რაც უფრო მეტი სიახლოვეა მიწასთან, მით უფრო კეთილშობილია ადამიანი. ("დედამიწა", №8, 1993 წლის 22 აპრილი, გვ. 2).

112. რეზერვის არსებობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. როცა კაცმა იცის, რომ მას აქვს ზრდის ბაზა, იგი უკეთ, უფრო ნაყოფიერად მუშაობს. მისგან შეიძლება მეტს მოელოდე და მეტსაც სთხოვდე. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 55).

113. ...რკინიგზა ყოველთვის იყო და იქნება ეროვნული მეურნეობის ხერხემალი. მის გამართულ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული სხვადასხვა დარგის ნორმალური ფუნქციონირება და განვითარება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №250, 1997 წლის 8 ნოემბერი, გვ. 1).

114. ...როგორ ამაყადაც არ უნდა ჟღერდეს სანუკვარი სიტყვა "თავისუფლება", საქმიანი ადამიანის სუვერენიტეტი ძირითადად მიიღწევა მისი ინდივიდუალური ენერგიისა და აქტიობის, მის მიერ წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ფასების კონკურენციის მეშვეობით. აი, ასეთია ჩემი აზრით, გზა მეწარმეობის თავისუფლების მისაღწევად. ("რესპუბლიკა", №17, 1992 წლის 3 ივლისი, გვ. 3).

115. როცა საქმეს რეალურად და კონკრეტულად მოვკიდებთ ხელს, არ შეიძლება პროდუქციამ სარგებელი და მოგება არ მოგვიტანოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №9, 1995 წლის 24 იანვარი, გვ. 1).

116. როცა ყოველმა მუშაკმა ზუსტად იცის თავისი მოვალეობანი, მოქმედებს დამოუკიდებლად და ინიციატივიანად, შეიძლება ნამდვილად ვილაპარაკოთ მართლაც რომ კოლეგიურ მუშაობაზე, სამეურნეო დემოკრატიაზე ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. კოლეგიურობა – ეს არის საკითხთა კოლეგიური განხილვა და ამავე დროს დავალებული საქმისათვის, მისი ბოლომდე მიყვანისათვის კონკრეტული მუშაკის კონკრეტული პასუხისმგებლობა. ("კომუნისტი", №165, 1984 წლის 19 ივლისი, გვ. 4).

117. რუტინას ვერ ჰგუობს ვერც ეკონომიკის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და ვერც თვით ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების კატეგორიები. (ე. შევარდნაძე, "მეცნიერება – ადამიანის სახალხო მეურნეობის სამსახურში! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება. 1982 წლის 13-14 მაისი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 58).

118. საბაზრო ეკონომიკა, რომელიც დემოკრატიის არსებობის ერთ-

ერთ მთავარ და უცილობელ პირობას წარმოადგენს, დაფუძნებულია პრაქტიკულ მიზანშეწონილობაზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №43, 1997 წლის 22 თებერვალი, გვ. 2).

ბიბლიოთეკა

119. საგადასახადო პოლიტიკა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის გულანია, ის წნულია, რომელშიც ყველა მარეგულირებელი ძაფი იყრის თავს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 6).

120. საზოგადოებრიობას და ხალხს არ შეიძლება მოწყდე, უნდა შეგეძლოს რეალურად შეაფასო ის, რაც ცხოვრებაში არის და რაც საზოგადოებაში ხდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №177, 1994 წლის 4 ოქტომბერი, გვ. 1).

121. საკადრო პოლიტიკაში შეცდომები საზოგადოებას ძვირად უჯდება. საჭიროა ატმოსფერო, რომელიც გამორიცხავს საკადრო შეცდომების რაიმე შესაძლებლობას, საშუალებას გამოვავლინოთ ისინი. ("კომუნისტი", №94, 1986 წლის 23 აპრილი, გვ. 2).

122. ...საკუთარ თავზე მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა მოწინავე გამოცდილების შესწავლა. როცა პრაქტიკულ გამოცდილებას ვაზოგადებთ, ჩვენ ვიარაღდებით ყოველივე მოწინავით და პროგრესულით, ვითვალისწინებთ დაშვებულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა — თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. — საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 64).

123. საკუთარ თავზე მუშაობის, ცოდნის, პროფესიონალიზმისა და კულტურის ამაღლების საკითხი ხელმძღვანელის პრესტიჟის საქმეა, მისი საარსებო საკითხია. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა — თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. — საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 63).

124. საკურორტო რესურსებით საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში... ამდენად, საკურორტო და ტურისტული ინდუსტრიის განვითარება ერთ-ერთ წამყვან ეკონომიკურ პრიორიტეტად უნდა მივიჩნიოთ და მისი აღორძინების პროცესი ამთავითვე საერთაშორისო სტანდარტებზე უნდა იყოს ორიენტირებული. ("საქართველოს რესპუბლიკა", №80, 1997 წლის 8 აპრილი, გვ. 2).

125. სამეურნეო საქმეებში, რა თქმა უნდა, საღი ანგარიშიანობის გარეშე ფონს ვერ გავალთ, მაგრამ ასევე ვერ გავალთ ფონს, თუ გამბედაობა, ზოგჯერ კი რისკიც არ გამოვიჩინეთ. ეს თვისებები

აუცილებელია არა მარტო საგანგებო გარემოებათა დროს, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.* („კომუნისტი", №11, 1984 წლის 13 იანვარი, გვ. 1).

126. სამეურნეო ფინანსური მდგომარეობა სარკეა, რომელშიც მკაფიოდ აისახება არა მარტო საფინანსო დისციპლინის მდგომარეობა, არამედ მეურნეობრიობის ხარისხიც, ვლინდება მუშაკის უნარი რთულ პირობებში მიიღოს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, დროულად აამოქმედოს წარმოების ეფექტიანობის ზრდის ეკონომიკური ბერკეტები. ხელმძღვანელი პოსტი არ უნდა ეკავოს მუშაკს, რომელსაც არ გააჩნია ასეთი თვისებები. („კომუნისტი", №92, 1983 წლის 20 აპრილი, გვ. 2).

127. საქართველო საექსპორტო ქვეყანა უნდა იყოს. არც ერთ წამყვან დარგს არ ექნება მომავალი, თუ მათ საექსპორტო სტანდარტებს არ უპასუხებს. („საქართველოს რესპუბლიკა", №297, 1997 წლის 26 ნოემბერი, გვ. 2).

128. საქართველოს გეოპოლიტიკურ შესაძლებლობათა რეალიზაციას, ევრაზიის დერეფანში მისი ფუნქციის სრული მასშტაბით განხორციელებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შესაბამისი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ობიექტების მშენებლობისა და აღდგენა-რეკონსტრუქციის დროულად განხორციელება. („საქართველოს რესპუბლიკა", №150, 1997 წლის 1 ივლისი, გვ. 2).

129. საქართველოში ეკონომიკური რეფორმის წარმატების უპირველეს დადასტურებად მიმაჩნია არა მარტო რაიმე ეკონომიკური მაჩვენებელი (თუმცა ასეთი მაჩვენებელი თავისთავად ბევრს ნიშნავს), არამედ ის ფაქტი, რომ დაიწყო საშუალო ფენის ფორმირება — მძლავრი პროცესი, იქმნება კერძო საკუთრებასთან, მეწარმესთან, ბიზნესმენთან დამოკიდებულების ახალი ტრადიცია...

ყველა ეპოქას თავისი გმირები და შემოქმედნი ჰყავს. მომავალი საქართველოს ძლიერება და სტაბილურობა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე აგებულ საქმიანობას დაეფუძნება, ანუ დაეფუძნება მეწარმეს — ქართველ მეწარმესა და ბიზნესმენს. არავის ეგონოს, თითქოს მხოლოდ დიდი ქარხნების, ფაბრიკების მფლობელთ ვგულისხმობდე. მეწარმეა ფერმერიც, რომელმაც მიწა აიღო და ამუშავებს, მეწარმეა მცირე საწარმოს მეპატრონეც, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში სულ სამ-ოთხ-ხუთ ადამიანს ასაქმებს, მაგრამ მთლიანობაში ეს ასიათასობით სამუშაო ადგილს ქმნის.

გადაუჭარბებლად მინდა ვთქვა, რომ საქართველოს დემოკრატიული, სოციალური სახელმწიფოს შექმნის ამოცანა სწორედ ქართველმა მეწარმემ უნდა იტვირთოს და გადაჭრას... ამიტომ თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეთ ჯანსაღი, ვიმეორებ, ჯანსაღი ეკონომიკის იმ პირველ მაცოცხლებელ ყლორტებს, რომლებიც უკვე გამოჩნდა ჩვენს სინამდვილეში. („საქართველოს რესპუბლიკა", №243, 1997 წლის 30 სექტემბერი, გვ. 2).

* თარგმნილია გაზეთიდან: „იზვესტია", №12, 1984 წლის 12 იანვარი, გვ. 3 (შემდგ).

130. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ყოველ გადაწყვეტილებაში, სახალხო მეურნეობის მართვის ყოველ სფეროში იგრძნობოდეს ნამდვილად ყაირათიანი, მზრუნველი მუშაკის ხელი, რომელიც უფრთხილდება... ყოველ მისხალ სახალხო დოვლათს. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 96).

131. საქმეზე ყოველთვის საქმიანად მსჯელობა სჯობს.* ("კომუნისტი", №11, 1984 წლის 13 იანვარი, გვ. 1).

132. საქმის წარმატებას, როგორც ყოველთვის, წყვეტენ ადამიანები, წყვეტენ კადრები. ("კომუნისტი", №275, 1978 წლის 25 ნოემბერი, გვ. 3).

133. საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის შემდგომ გაუმჯობესებას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. (ე.ა. შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 76).

134. სიტყვა საქმით აიწონება და მისი ნამდვილი ღირებულებაც საქმით ვლინდება. ("საქართველოს რესპულიკა", №4, 1998 წლის 6 იანვარი, გვ. 2).

135. სიტყვას ფასი მაშინ აქვს, როცა საქმედ იქცევა. ("კომუნისტი", №133, 1980 წლის 10 ივნისი, გვ. 2).

136. ... სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში მთელი ჩვენი პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს ინტენსიური მეურნეობრიობისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრინციპების გონივრულ შეხამებას. ("კომუნისტი", №254, 1984 წლის 4 ნოემბერი, გვ. 3).

137. სრულ წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ თითოეული ხელმძღვანელი გახდება თავისი თავის ყველაზე მომთხოვნი და პრინციპული მასწავლებელი. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 62).

138. (ტურიზმი არის – შემდგ.)... ქვეყნის ბიუჯეტში შემოსავლების ძალიან დიდი წყარო, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №213, 1996 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 2).

139. ტურიზმის ინდუსტრიამ ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ პრიორიტეტთა სისტემაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უნდა დაიკავოს... ამ დარგს საქართველოში დიდი მომავალი აქვს, განსაკუთრებით საოჯახო ტურიზმს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №237, 1996 წლის 26 ნოემბერი, გვ. 2).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №12, 1984 წლის 12 იანვარი, გვ. 3 (შემდგ.).

ბიბლიოთეკა

140. უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნულ ფაქტორს — ნიჭიერ ადამიანს, გონებამახვილ, შემძლე, გაბედულ, ინიციატივიან მეწარმეს. ჩვენ თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ ამ ხალხს. ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი, რათა მან თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნოს. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მომავალი ბედნიერება და აყვავება სწორედ ასეთ მეწარმეებზე იქნება დაფუძნებული და დამოკიდებული. ამიტომ იგი მაქსიმალურად უნდა წავახალისოთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №194, 1997 წლის 12 აგვისტო, გვ. 2).

141. უნდა გვახსოვდეს, რომ ბევრი მუშაობა სულაც არ ნიშნავს კარგად მუშაობას. მთავარია უკუგება, შედეგიანობა. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 63).

142. უნდა გვახსოვდეს, რომ პატიოსანი შრომით მოპოვებული შემოსავლის ყოველი კაპიკი ძალიან ძვირად ფასობს. ("კომუნისტი", №33, 1974 წლის 8 თებერვალი, გვ. 2).

143. უნდა გვახსოვდეს... რომ საქართველოს აქვს ექსპორტიორი ქვეყნის უდიდესი პოტენციალი. საერთოდ, პატარა ქვეყანა უთუოდ უნდა იყოს ორიენტირებული თავისი პროდუქციის ექსპორტზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №178, 1997 წლის 23 ივლისი, გვ. 3).

144. უოპტიმიზმოდ მუშაობა... შეუძლებელია. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 110).

145. ...ქვეყანა, რომელიც ფეხზე დგება და ახალ წყობაზე გადადის უექსპერიმენტოდ ფონს ვერ გავა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №213, 1996 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 2).

146. ... ქვეყნის, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის უმთავრესი პირობა მყარი და სტაბილური ბიუჯეტია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №56, 1997 წლის 11 მარტი, გვ. 2).

147. ღირსეული კადრების შერჩევა ადამიანისათვის, მშრომელთა მასებისათვის ზრუნვის ერთ-ერთი ფორმაა. ("კომუნისტი", №178, 1973 წლის 31 ივლისი, გვ. 2).

148. ღონიერი ეკონომიკა საზოგადოების ყველა სოციალური სიკეთისა და დოვლათის ბალავარი და საძირკველია. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1984, გვ. 20.).

149. ...ყველა ადამიანს მიწაზე უნდა ედგას ფეხი, ყველამ ხელი უნდა მოკიდოს ბარსა და თოხს... მიმაჩნია, რომ თუ ადამიანს შეუძლია ხელის

განძრევა და მიწა, არის, რაღაც უნდა შექმნას. („დედამიწა“, №8, 1993 წლის 22 აპრილი, გვ. 2).

150. ყველა რანგის ხელმძღვანელისათვის უმთავრესია შემოქმედებითი ატმოსფერო, ისეთი ვითარების შექმნა, რომელშიც ადამიანი გაბედულად იმოქმედებს, შიში არ ექნება.* („კომუნისტი“, №11, 1984 წლის 13 იანვარი, გვ. 1).

151. ...ყველაზე ნიჭიერი და გენიალური ადამიანებიც კი — ვერაფერს შექმნიან, თუ ხელს აიღებენ შრომაზე. ჯერ არავინ არ ასულა ცხოვრების მწვერვალზე ტიტანური, თავდადებული შრომის გარეშე. („ახალგაზრდა კომუნისტი“, №69, 1973 წლის 12 ივნისი, გვ. 4).

152. ყველამ ფუტკარივით უნდა ვიშრომოთ, სადაც ვიქნებით — ხელისუფლების მწვერვალზე, ვენახში თუ მეტალურგიულ ქარხანაში. („საქართველოს რესპუბლიკა“, №201, 1993 წლის 15 სექტემბერი, გვ. 1).

153. ყოველგვარი რეფორმის ბედს გადაწყვეტს ის, თუ ვინ არის ამ რეფორმატორული იდეის მატარებელი და რამდენად გამსჭვალულია იგი პასუხისმგებლობის გრძნობით. („საქართველოს რესპუბლიკა“, №149-150, 1996 წლის 26 ივლისი, გვ. 3).

154. ...ყოველი ახალი დაპყრობილი მწვერვალი ჩვენთვის მომავლის, ხვალინდელი დღის ტრამპლინია. (ე.ა. შევარდნაძე, „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი“, თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1981, გვ. 97).

155. ყოველი დიდი საქმის წარმატებით დაგვირგვინების პირობა ის არის, თუ ვინ ჩაუდგება სათავეში, ვინ იქნება მისი მზრუნველი. („კომუნისტი“, №91, 1982 წლის 18 აპრილი, გვ. 2).

156. ყოველი ექსპერიმენტის მნიშვნელობა ის არის, რომ იგი თავისი განვითარების კვალობაზე სულ უფრო ეხამებოდეს ყოველდღიურ სამეურნეო პრაქტიკას, ილებდეს კანონიერ უფლებებს. („კომუნისტი“, №149, 1985 წლის 29 აპრილი, გვ. 2).

157. ყოველმა ხელმძღვანელმა კარგად უნდა შეიგნოს, რომ შესრულების შემოწმება უწინარეს ყოვლისა შესრულების ორგანიზაციას ნიშნავს. („კომუნისტი“, №296, 1978 წლის 23 დეკემბერი, გვ. 2).

158. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთი იმ რგოლთაგანია, რომელმაც რეალურად უნდა შეუწყოს ხელი ევროპისა და აზიის ერთიანი სატრანსპორტო-ეკონომიკური მექანიზმის ჩამოყალიბებასა და მის გამართულ ფუნქციონირებას. („საქართველოს რესპუბლიკა“, №102, 1997 წლის 6 მაისი, გვ. 2).

159. შემოქმედება შრომის უდიდესი სტიმულია. შემოქმედებითს ატმოსფეროში ადამიანი გასაოცარ ენთუზიაზმს იჩენს, შემოქმედება ფრთას

---

* თარგმნილია გაზეთიდან: „იზვესტია“, №12, 1984 წლის 12 იანვარი. გვ. 3. (შემდგ.).

ასხამს მას, უფრო უკეთ მუშაობის წყურვილს აღუძრავს. სწორედ ასეთი შემოქმედებითი ატმოსფერო წარმოაჩენს ხოლმე ადამიანის ბუნების ახალ წახნაგებს, ახალ ღირსებებს, მისი სულის ახალ ნიშან-თვისებებს. სწორედ ჭეშმარიტად შემოქმედებითს ვითარებაში... ნებისმიერი კაცის შრომა მარტოოდენ მოვალეობა კი არა, შინაგანი მოთხოვნილება ხდება, სიხარულსა და მორალურ კმაყოფილებას ანიჭებს მას, სწორედ ასეთი შემოქმედებითი შრომაა, ადამიანს რომ აღამაღლებს. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 172).

160. ...შემოქმედებითი შრომა შესაძლებელია მხოლოდ ჯანსაღ მორალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებაში. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 19).

161. შეუძლებელია ისეთი არგუმენტების უგულებელყოფა, როგორიც არის გამოცდილება და პრაქტიკა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა, "განათლება", 1992, გვ. 279).

162. ...შეუძლებელია რეალური ეკონომიკური პროგრესი ჭეშმარიტ ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №38, 1996 წლის 5 მარტი, გვ. 1).

163. შრომა და მხოლოდ შრომა უნდა იყოს უმაღლესი იდეალი... ყოველი ადამიანისა. ("საბჭოთა აჭარა", №38, 1974 წლის 23 თებერვალი, გვ. 3).

164. შრომა მარტო ეკონომიკური კი არა, ზნეობრივი კატეგორიაც არის, თანაც არა უბრალოდ შრომა, არა ყოველგვარი სამუშაო, არამედ მაღალეფექტიანი, შეგნებული, შემოქმედებითი შრომა. ("პარტიული სიტყვა", №16, 1982, გვ. 6).

165. ...შრომა მუდამ იყო და არის მთავარი აღმზრდელი ძალა, საფუძველი ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი ზრდისა.* ("სახალხო განათლება", №87, 1981 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 1).

166. შრომა საფუძველია საქართველოს ძლიერებისა და სილა-მაზისა. სამშობლოს სიყვარული გარჯა-ჯაფით უნდა მოავარაყოთ. ("დროშა", №1, 1982, გვ. 1).

167. შრომა ცხოვრების საფუძველია. შრომა რომ არა, არ იქნებოდა საზოგადოებრივი პროგრესი. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 38).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "კომსომოლსკაია პრავდა", №247, 1981 წლის 27 ოქტომბერი, გვ. 1. (შემდგ.)

168. შრომის ნაყოფიერება ჩვენი მუშაობის უმთავრესი მაჩვენებელია. ("საქართველოს კომუნისტი", №3, 1980, გვ. 15).

169. შრომის ნაყოფიერებით განიზომება კონკრეტული შრომის შედეგიანობა, ეფექტიანობა. შრომის ნაყოფიერების ზრდა — ეს არის... ეკონომიკის, მთელი სახალხო მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ხერხემალი, საფუძველი და საძირკველი. (ე. შევარდნაძე, "მეცნიერება — ადამიანის, სახალხო მეურნეობის სამსახურში! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება. 1982 წლის 13-14 მაისი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 17).

170. ...შრომის ნაყოფიერების ზრდა საზოგადოებრივი პროგრესის ამოსავალი პირობაა. ("კომუნისტი", №284, 1979 წლის 11 დეკემბერი, გვ. 3).

171. შრომის ნაყოფიერების ზრდა წარმოების ეფექტიანობის გადიდების მთავარი შემადგენელი ნაწილია. ("კომუნისტი", №66, 1977 წლის 20 მარტი, გვ. 2).

172. შრომისადმი პატივისცემა იწყება მისი სწორად შეფასების უნარით. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1984, გვ. 26).

173. ჩვენ უთუოდ გვჭირდება მაღალი საბოლოო ეკონომიკური შედეგები. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მათ მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ გადავჭრით პრობლემას — "მუშაკი თავის ადგილზე", პრობლემას, როგორც ზნეობრივს, პოლიტიკურს, ისე — ეკონომიკურსაც. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა — თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. — საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 60).

174. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეიძლება ძალიან სერიოზულ პარადოქსებს წავაწყდეთ არა მარტო ეკონომიკაში, არამედ პოლიტიკაშიც. ("იბერია-სპექტრი", №53, 1992 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 4).

175. ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ საქმის კომერციული დაყენება... ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს სიტყვა "კომერცია". მთავარი ხომ სახელწოდება კი არა, ის არის, თუ რა აზრს, რა მნიშვნელობას ვანიჭებთ ცნებას. (ე.ა. შევარდნაძე, "სასურსათო პროგრამა საერთო-პარტიული, საყოველთაო-სახალხო საქმეა! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე 1982 წლის 15 ივნისს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 43).

176. ცივილიზებულ ეკონომიკას ცივილიზებული საბანკო სისტემა სჭირდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №30, 1995 წლის 22 მარტი, გვ. 1).

177. ...ცოცხალი სიტყვა არ უნდა ჩამოვაცილოთ ცოცხალ საქმეს, არ უნდა გავმიჯნოთ ისინი. ცოცხალი საქმე კი შემოქმედების ელემენტების გარეშე არ არსებობს. ("კომუნისტი", №83, 1983 წლის 9 აპრილი, გვ. 2).

178. ძიება, გასაგებია, ურისკოდ არ ხდება, შესაძლებელია წარუმატებლობებიც. მაგრამ ამისი არ უნდა გვეშინოდეს. საშიშია მოდუნება, ჩამორჩენილობა, ის, თუ არ არის მოძრაობა, ურომლისოდაც, როგორც

ცნობილია, ყოველგვარი ორგანიზმი განწირულია. ("კომუნისტი", №94, 1986 წლის 23 აპრილი, გვ. 2).

179. წვრილ და საშუალო მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბება და ფეხზე მყარად დადგომა უნდა გახდეს ჩვენში კერძო მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის რეალური დამკვიდრების საფუძველი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №126, 1997 წლის 3 ივნისი, გვ. 2).

180. (ჭეშმარიტი ბიზნესი – შემდგ.)... თავის ხალხს, თავის ქვეყანას ემსახურება და ყოველი ადამიანის პირად კეთილდღეობასაც გულისხმობს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №17, 1996 წლის 30 იანვარი, გვ. 2).

181. ...ხელმძღვანელი არათუ მოწოდებულია, მოვალეცაა შეურიგებლად ებრძოლოს ყოველივე ნეგატიურსა და დრომოჭმულს, უჩვენებდეს პატიოსნების, საყოველთაო საქმისათვის თავდადების ნიმუშს, იყოს ხალხის ჭეშმარიტი მსახური. ("კომუნისტი", №35, 1985 წლის 10 თებერვალი, გვ. 3).

182. ხელმძღვანელი მოვალეა იკითხოს არა მარტო ის, რაც მოსწონს, არამედ ისიც, რაც, იქნებ, სრულიადაც არ ეპრიანება.* ("კომუნისტი", №208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ. 1).

183. ხელმძღვანელი უნდა იყოს გულღია, ხალისიანი, დემოკრატიული, დარბაისელი კაცი, რომელსაც ესმის... თითოეული ხელქვეითის გულისთქმა. ამასთანავე ეს უნდა იყოს დიდი ნებისყოფის, თუ გნებავთ, დიდი პირადი ვაჟკაცობის მქონე ადამიანი. მას უნდა ახასიათებდეს სანიმუშო ორგანიზებულობა და მკაცრი მომთხოვნელობა. ("თბილისი", №254, 1980 წლის 5 ნოემბერი, გვ. 2).

184. ხელმძღვანელი ყოველთვის თავმდაბალი უნდა იყოს, გადაჭრით ებრძოდეს ყოყოჩობისა და კუდაბზიკობის გამოვლინებებს, თავის თავს არ აძლევდეს თვითრეკლამის უფლებას, შეეძლოს კრიტიკულად მოეკიდოს საკუთარ თავს, დაინახოს და გამოასწოროს თავისი ნაკლოვანებანი და შეცდომები. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 80).

185. ხელმძღვანელის მუშაობა, რომელიც ადამიანებთან მუდმივ ურთიერთობაში მიმდინარეობს, შრომის მაღალი პირადი კულტურის ნიმუში უნდა იყოს. ხელმძღვანელს უნდა შეეძლოს გასწვდეს მთავარ პრობლემებს, რომლებიც მის მოვალეობაში შედის, ზუსტად გადაჭრას სხვადასხვა საკითხი, ამ საკითხებზე ჰქონდეს საკუთარი აზრი, ამბიციურად კი არა, პრინციპულად იცავდეს მას. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7, 1979, გვ. 4 (შემდგ.).

XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 91).

ეროვნული ბიბლიოთეკა

186. ხელმძღვანელის შერჩევა და ფორმირება მეტად ხანგრძლივი, მე ვიტყოდი, მტანჯველი პროცესია... მეგობრულ, კეთილმოსურნე, გულახდილ ატმოსფეროში სწრაფად იზრდებიან ნიჭიერი ორგანიზატორები, ხელმძღვანელები, ნამდვილი ლიდერები. ("კომუნისტი", №92, 1983 წლის 20 აპრილი, გვ. 3).

187. ხელმძღვანელობის კომპეტენტურობა... ყველაზე სრულად ვლინდება არა მარტო საქმეში, არამედ პიროვნებათა შორის ურთიერთობის სფეროშიც. (ეა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 48).

188. ...ხელმძღვანელობის ცოდნას... დაუფლება უნდა.* ("კომუნისტი", №82, 1974 წლის 7 აპრილი, გვ. 2).

189. ...ხშირად დიდი საქმეები ძალიან პატარა, თითქმის შეუმჩნეველი მოძრაობით იწყება ხოლმე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №187, 1997 წლის 5 აგვისტო, გვ. 2).

190. Главное целеустремленность, четкость цели, а также работоспособность, любовь к труду. ( "Свободная Грузия" № 25-26, 27 января 1998 года, стр. 1).

191. ... когда человек работает много и у него есть определенные цели, то открывается второе дыхание. ( "Свободная Грузия" № 25-26, 27 января 1998 года, стр. 1).

192. ... нам нужна своя, грузинская модель рыночной экономики. В формирование грузинского бизнеса необходимо внести грузинский элемент, грузинский колорит, грузинскую традицию. Среди них обязательно должен учитываться и нравственный элемент. ("იბერია-სპექტრი", №54, 1992 წლის 27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი, გვ. 4).

---

* თარგმნილია გაზეთიდან "იზვესტია", №81, 1974 წლის 6 აპრილი, გვ.2 (შემდ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# VII. იდეის, აზრის, აზროვნების, ინტელექტის, ნიჭიერების, გენიოსობის, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, მწერლობის, ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის, ინტელიგენციის, პრესის, ტელევიზიის, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის შესახებ

1. ადამიანთა შეგნებაში გარდატეხის მოხდენა რთული პროცესია. ამ საქმეში წარმატებას ვერ მიაღწევ, თუ კომპლექსური მუშაობის უნარი არ შეგწევს, თუ არ ძალგიძს საერთო მიზნებისათვის გამოიყენო... ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის მოღვაწეთა შესაძლებლობანი, მათი შემოქმედება, მთელი ჩვენი სულიერი ძლიერება, რომელიც გარდაქმნის ადამიანთა სამყაროს.* („კომუნისტი", №208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ.1).

2. ...ადამიანის ზნეობრივი აღზრდა,ურთულესი ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად მისი მომზადება, მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. სულიერი სამყაროს განწმენდა ყოველგვარი ეგოისტური დანაშრევებისაგან, მეშჩანური და ობივატელური ცრურწმენებისაგან მუდამ ითვლებოდა მხატვრული სიტყვის მოვალეობად.** („კომუნისტი", №208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ. 2).

3. ...ადამიანის სულიერი კულტურის ჩამოუყალიბებლად ლაპარაკიც კი ზედმეტია პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაზე. („ლიტერატურული საქართველო", №21, 1984 წლის 18 მაისი, გვ. 3).

4. ადამიანის შემოქმედება ყოველთვის ტოვებს მისი შემდგომი სრულყოფის შესაძლებლობას. („საქართველოს რესპუბლიკა", №20, 1998 წლის 25 იანვარი, გვ. 6).

5. ავტორიტარული აზროვნება, რომელიც საკუთარ მიზნებს გარდუვალობად მიიჩნევს, ყველა დროში ერთნაირია. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 35).

6. არ არსებობს დიდი არქიტექტურა დიდი იდეის გარეშე. თუ დიდი იდეა არ იქნება, ვერც დიდი არქიტექტურა იქნება. („საქართველოს რესპუბლიკა", №243, 1996 წლის 4 დეკემბერი, გვ. 1).

7. არ არსებობს ტალანტი სრულყოფილი, თუ იგი არ ეზიარა საგანძურს, რომელსაც ევროპული კულტურა, მუსიკა, მხატვრობა ჰქვია. („საქართველოს რესპუბლიკა", №262, 1993 წლის 14 დეკემბერი, გვ. 2).

8. არ არსებობს უფრო ფართო ასპარეზი ჭეშმარიტების საძიებლად, ვიდრე პრესა და ტელევიზიაა. მაგრამ ეს პროცესი უნდა იყოს უაღრესად

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: „ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7, 1979, გვ. 3 (შემდგ.).

** თარგმნილია ჟურნალიდან: „ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7, 1979, გვ. 4 (შემდგ.).

კორექტული, ანგარებისა და ანგარიშსწორებისაგან თავისუფალი და ხელს უწყობდეს სიტყვის თავისუფლებას, დემოკრატიის, ამ ერთ-ერთი უმაღლესი მონაპოვრის გამოხატვის მაღალი კულტურის დამკვიდრებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №202, 1996 წლის 8 ოქტომბერი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. არ არსებობს ჭეშმარიტად ეროვნული, რომელიც ზოგადკაცობრიული აზროვნების წესს უგულებელყოფდეს და ზოგადკაცობრიული აზრის განვითარება და აღმასვლა ეროვნულ ენერგიათა უშრეტი ნაკადებით არის შეპირობებული. ("საქართველოს რესპუბლიკა", №40, 1994 წლის 15 მარტი, გვ.5).

10. არ შეიძლება დავუპირისპიროთ ანდა ერთმანეთს მოვწყვიტოთ ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა ასპექტი და ფუნქცია, არ შეიძლება წავართვათ მათ რომელიმე ღირებულება, რომლებიც შეუძლიათ მისცენ ადამიანებს, — სოციალურ-პოლიტიკური, იდეურ-აღმზრდელობითი, შემეცნებითი, ეთიკური, ესთეტიკური. ხელოვნების ეს ასპექტები უნდა მივიჩნიოთ სწორედ მთლიანი, ერთიანი შენაღნობის დიალექტიკურ ასპექტებად. ("ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 2).

11. არ შეიძლება, რომ ჭეშმარიტი ხელოვანი, თუ იგი ნამდვილად ნიჭიერია, არ გრძნობდეს დროის მაჯისცემას, განზე უდგებოდეს მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს, მთავარი გზის ნაცვლად ვიწრო ორღობეებში დადიოდეს. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 95).

12. ...არა არის რა იმაზე უფრო პრაქტიკული, ვიდრე კარგი თეორია. (ე. შევარდნაძე, "მეცნიერება — ადამიანის, სახალხო მეურნეობის სამსახურში! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება. 1982 წლის 13-14 მაისი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 46).

13. არა არის რა უფრო აქტუალური ამოცანა ხელოვნებისათვის, ვიდრე ზრუნვა ადამიანის სულიერი სილამაზისა და ზნეობრივი სრულყოფისათვის... ("კომუნისტი", №253, 1978 წლის 27 ოქტომბერი, გვ. 1).

14. არქიტექტურის ხელოვნების აღმშენებლობითი ძალის შერწყმა მეცნიერების უშუალო საწარმოო ძალასთან სამშენებლო ინდუსტრიაში სასწაულებს ახდენს. იგივე შეიძლება ითქვას წარმოებისა და ესთეტიკურ ღირებულებათა შერწყმისა და მრავალი სხვა პროცესის შესახებ. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. — საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 110).

15. არც ერთი იუბილე თვითმიზანს არ წარმოადგენს. ის ხელს უწყობს ერის ცხოვრების სრულქმნას, მისი კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, სულიერების განვითარებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №209, 1996 წლის 17 ოქტომბერი, გვ. 1).

16. ასტრონომია... შეიძლება ითქვას, კაცობრიობასთან ერთად აღმოცენდა. ამით თვალნათლივ გამოვლინდა ადამიანის მუდმივი მისწრაფება ჩასწვდომოდა ბუნების კანონებს, ყოფიერების საიდუმლოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასტრონომია იყო და რჩება პროგრესის დაჩქარების ერთ-ერთ უმძლავრეს საშუალებად. მე მხედველობაში მაქვს არა მარტო მისი როლი პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში, თეორიული საკითხების გადაწყვეტაში თვით ასტრონომიის დარგში, არამედ სამყაროს მატერიალური შემეცნებისა და ახსნის ფორმირებაშიც. ("კომუნისტი", №151, 1982 წლის 29 ივნისი, გვ.2).

17. ...ახალგაზრდა ინტელიგენცია...ჩვენი ინტელექტუალური ცხოვრების მომავალია. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 92).

18. ახალგაზრდა პროზაიკოსებმა კარგად უნდა შეიგნონ, რომ არ არსებობს მწერალი მკაფიოდ ჩამოყალიბებული, მკაცრად მოხაზული მსოფლმხედველობის გარეშე, ხოლო ჭეშმარიტი ლიტერატურა – დიდი, ამაღელვებელი, პროგრესული იდეების გარეშე, ცხოვრებასთან, ხალხთან მჭიდრო კავშირის გარეშე. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №10, 1960 წლის 21 იანვარი, გვ. 3).

19. ახალი აზროვნების მიღება იოლი არ არის, ისევე, როგორც არ არის იოლი საკუთარ თავში ძველის ინერციის დაძლევა. ახალ აზროვნებამდე ტანჯვით მიდიხარ, საკუთარ სულსა და შეგნებაში წარსული გამოცდილების გამოტარებით. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 122).

20. ბევრი კრიტიკოსი, ივიწყებს რა კრიტიკის როგორც მხატვრული პროცესის უპირველესი მაორგანიზებელი და წარმმართველი ძალის როლს, თავის მოღვაწეობაში ნაწარმოებთა უბრალო აღმნუსხველისა და კომენტატორის როლს სჯერდება.* ("კომუნისტი", №208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ. 2).

21. ბევრი რამ არის დამოკიდებული არა მარტო საკვლევი მასალის აქტუალურობასა და მეცნიერულ შედეგზე, არამედ აგრეთვე მასალის მიწოდების ფორმაზე, მეცნიერის აზროვნების სტილსა და ენაზე, იმაზე, თუ რამდენად შეუძლია ამა თუ იმ მეცნიერულ შრომას გავლენა მოახდინოს არა მარტო გონებაზე, არამედ გრძნობებზეც, რა ემოციები შეიძლება გამოიწვიოს მკითხველში. ("კომუნისტი", №110, 1983 წლის 12 მაისი, გვ. 2).

22. ბრძოლაში, რომელიც ძირითადად... მაღალი ჰუმანისტური იდეალებისათვის, ადამიანისათვის ბრძოლაა, ლიტერატურა და ხელოვნება მუდამ იყო და არის მოწინავე პოზიციებზე, მოვლენების შუაგულში. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7, 1979, გვ. 9 (შემდგ.).

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 44).

23. გაზეთის მკითხველზეა დამოკიდებული ბევრი რამ და ძალიან ძნელია ილია ჭავჭავაძის "ივერიის" დონის გაზეთის შექმნა ჩვენს პირობებში მანამ, სანამ ჩვენ ყველანი არ მოვმწიფდებით, არ შევეგუებით იმას, რომ ჩვენში არსებობს თავისუფალი პრესა და აზრის გამოთქმის აბსოლუტური თავისუფლება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №296, 1997 წლის 25 ნოემბერი, გვ. 2).

24. განსხვავებული აზროვნებით გამოწვეულ აგრესიას სულაც არ ედარდება, რომ ვიღაცისათვის რაღაც არის ძვირფასი და ვიღაცისათვის — არა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 34).

25. გასული საუკუნის სამოციან წლებში იშვა თანამედროვე ხელოვნება, გაჩნდნენ იმპრესიონისტები. მათი ხატვის მანერას საფუძვლად ედო ახალი წარმოდგენები სინათლის ბუნებაზე. ცოდნის დაგროვებამ, იმის გაგებამ, რომ ადამიანის ცხოვრება დიდ, არსებით ცვლილებებს განიცდის მეცნიერულ აღმოჩენათა წყალობით, ბიძგი მისცა ფერწერის ახალ სტილს, მისი საგნის სხვაგვარად შერჩევასა და მოწოდებას. იმპრესიონისტები თითქოს ისევ იმავე სამყაროს გამოსახავდნენ, მაგრამ ისინი თავიანთ ტილოებზე წარმოაჩენდნენ სიმართლეს ახალ სამყაროზე, — სამყაროზე, რომელიც ახალი "ტექნოლოგიის" გაჩენის შემდეგ უწინდებური ველარ დარჩებოდა; სამყაროზე, რომელშიც ცხოვრების ახალი წესი და რიგი მკვიდრდებოდა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 121-122).

26. გენიოსები უბრალო მკითხველთაგან განსხვავებით, მოვლენებს ბევრად უფრო სრულად და ღრმად აღიქვამენ. ისინი სხეულით ამ, წამიერობის ტყვენი, სულით მარადიულობას ესაუბრებიან და ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, მხოლოდ ექო გვესმის ამ საუბრისა. ამ ექოს მოსმენასაც დიდი ნიჭი უნდა, ღვთიური სხივის ანარეკლის დანახვას კი — მახვილი თვალი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №236, 1992 წლის 17 ნოემბერი, გვ. 1).

27. ... გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი, მოზარდ-მაყურებელთა თეატრი თუ რუსული სკოლები ჩვენთვის ის ხიდია, რომელიც გადებულია არა მხოლოდ ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის, არამედ წარსულსა და მომავალს შორისაც იმ სიკეთის შენარჩუნებისათვის, რომელმაც რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი რთული ურთიერთობიდან მხოლოდ კარგი უნდა შემოგვინახოს და ფაქტობრივად ახალ სიმაღლეზე, ჭეშმარიტი სიყვარულისა და

პატივისცემის სიმაღლეზე უნდა აგვიყვანოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №259, 1997 წლის 19 ოქტომბერი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. დაუმარცხებელია მხოლოდ ის იდეა, რომელსაც საფუძვლად უდევს უმაღლეს ფასეულობათა განზომილება – ადამიანის სიცოცხლე. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ: 355).

29. დემოკრატიული პრესა საზოგადოებამ თავად უნდა აღზარდოს, საზოგადოება თავად უნდა ზრუნავდეს ასეთი პრესის ფორმირებისათვის. საზოგადოება თვითონ უნდა იყოს მზად და თავისი მზადყოფნითა და თავისი სიმწიფით, ასე ვიტყოდი, ხელს უნდა უწყობდეს თავისუფალი პრესის რაც შეიძლება სწრაფად ფორმირებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №296, 1997 წლის 25 ნოემბერი, გვ. 2).

30. (დემოკრატიული პრესა – შემდგ.)... პირველი უნდა იყოს არა მხოლოდ ნაკლოვანებათა, არამედ კონსტრუქციული წინადადებების წარმოჩენაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №282, 1997 წლის 11 ნოემბერი, გვ. 3).

31. დიდი ბედნიერებაა იყო ქართველი მწერალი, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მწერლობის ღირსეული წარმომადგენელი. ორჯერ დიდი ბედნიერებაა იყო თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს მესიტყვე, ერის მხატვრული მემატიანე, ეკუთვნოდე იმ ლიტერატურას, რომელმაც ხალხს, მსოფლიოს მისცა იაკობ ცურტაველი, შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, გორგი ლეონიძე, გრიგოლ რობაქიძე, პროზაიკოსთა და პოეტთა უკვდავი თანავარსკვლავედი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №151, 1993 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

32. ...დიდი ბოროტება, დიდი სიძულვილი და დიდი სისასტიკე მხოლოდ დიდმა ხელოვნებამ შეიძლება დასძლიოს და დაამარცხოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №59, 1995 წლის 30 მაისი, გვ. 2).

33. დიდი მადლია იყო კომპოზიტორი, ქმნიდე მუსიკას, გვრიდე ადამიანს სიხარულს, მშვენიერებას აზიარებდე მას. რა ბედნიერებაა სწვდებოდე ადამიანებს სულში, უღვიძებდე მათ საუკეთესო გრძნობებს, ეხმარებოდე გარემო სამყაროს უფრო უკეთ აღქმაში. ("საბჭოთა ხელოვნება", №1, 1982, გვ. 19).

34. დიდი პოეზია დიდ მკითხველთან ერთად იქმნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №236, 1992 წლის 17 ნოემბერი, გვ 1).

35. (დიდი საქმეა – შემდგ.)... ხალხის ცხოვრებაში ხელოვნის აქტიური მონაწილეობა, ხალხთან თანაშემოქმედება. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 64).

36. დიდი, სერიოზული მწერლის თვისებაა, გრძნობებს სიფრთხილით

გაუღოს კარი, სიტყვა აწონოს, აზრი შეამოწმოს, თავისი სათქმელი... სიდარბაისლით და სიბრძნით თქვას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №151, 1993 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. დიდი უნარია ანალიზური მიდგომა და ანალიზური აზროვნება. ("საქართველოს კომუნისტი", №3, 1980, გვ. 32).

38. დიდია ერის, მისი აწმყოსა და მომავლის წინაშე თანამედროვე მწერლის პასუხისმგებლობა. მის მართალ, ობიექტურ, აწონილ სიტყვას ოქროს ფასი დაედება მომავალ საუკუნეებში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №151, 1993 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

39. დიდია ლიტერატურის ძალა — იგი უწყვეტი ძარღვებით აერთიანებს ხალხთა გულებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელთა საქმიანობას. ("კომუნისტი", №253, 1978 წლის 27 ოქტომბერი, გვ. 2).

40. დიდია მუსიკის, მისი მშვენიერების ძალა!.. მუსიკა, სიმღერა, ალბათ, ადამიანთან ერთად გაჩნდა. მას შემდეგ იგი ადამიანის განუყრელი თანამგზავრია შრომასა და ბრძოლაში. და ალბათ, მუსიკის უდიდესი იდუმალება ის არის, რომ იგი ყველასათვის მისაწვდომია, ყველას ესმის მისი ენა. ("კომუნისტი", №247, 1981 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

41. ეკონომიკას ეშველება, მაგრამ თუ კულტურა დაიღუპა, თაობები ამას არ გვაპატიებენ და ვერც გამოასწორებენ ამ დანაკლისს...

საქართველოს კულტურა ერის ყველაზე დიდი მონაპოვარია და უნდა გავუფრთხილდეთ მას. ყველა პირობა უნდა შევქმნათ კულტურის აღორძინებისათვის...

ხელისუფლების დიდი ზრუნვის საგანი უნდა იყოს იმ ხალხთა კულტურული ფენომენი, რომლებიც საქართველოში სახლობენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 5).

42. ეკონომიკურ და იურიდიულ მეცნიერებათა, სამართალმცოდნეობის, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და მეთოდოლოგიის, სოციოლოგიის პოლიტიკური მეცნიერების, პოლიტიკური ფილოსოფიის განუვითარებლად ვერ იმუშავებს სრულყოფილად ვერც პარლამენტი, ვერც კონსტიტუციური სასამართლო, ვერც აღმასრულებელი და მუნიციპალური ხელისუფლება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განუვითარებლად ვერ განხორციელდება კანონები, დადგენილებები, ვერ ამაღლდება ხალხის კულტურა და კეთილდღეობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №207, 1996 წლის 15 ოქტომბერი, გვ. 4).

43. ... ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი იდეოლოგიური იარაღი, რომლის ზემოქმედების ძალა ადამიანთა გონებასა და გულზე მართლაც რომ განუზომელია, არის ლიტერატურა და ხელოვნება. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 94).

ეროვნული ბიბლიოთეკა

44. ერთობ მიმზიდველად გვესახება მეცნიერების უშუალო საწარმოო ძალისა და ლიტერატურის და ხელოვნების უშუალო აღმშენებლობითი, ადამიანისა და სინამდვილის გარდამქმნელი ძალის ინტეგრაცია მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა რთული სამყაროს დიალექტიკის ფონზე. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 110).

45. ეროვნული კულტურა, ფართო გაგებით, გამოხატავს ერის ჭეშმარიტ რაობას, ინახავს და შთამომავლობას გადასცემს სულიერი წყობის იმ ეროვნულ თავისებურებებს, რომელთა გამოც ეს ერი მიიჩნევს თავს ამ ერად და არა სხვად. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოებრივი კულტურული სივრცე არანაკლებ დასაცავია ფარული თუ აშკარა კულტურული ექსპანსიისაგან, ვიდრე სახელმწიფოს გეოგრაფიული სივრცე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №16, 1995 წლის 11 თებერვალი, გვ. 3).

46. ეს ღრმად ეროვნული ფილმია (იგულისხმება ქართული მხატვრული ფილმი "იავნანა" – შემდგ.). ამავე დროს ეხმიანება ზოგადსაკაცობრიოს. მე ასე აღვიქვი ეს ფილმი: ჭეშმარტი ეროვნული ზოგადსაკაცობრიოს ნაწილია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №20, 1994 წლის 1 თებერვალი, გვ. 1).

47. ...ვერავითარი ინფორმაცია, ვერავითარი მოხსენება ვერ შეცვლის ლიტერატურულ ნაწარმოებთა კითხვას.* ("კომუნისტი", №208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ. 1).

48. ვერც ერთი დიდი მეცნიერი გვერდს ვერ აუვლის შავ სამუშაოს. არც ერთი დიდი მეცნიერი არ გაზრდილა ისე და არ გამხდარა დიდი მეცნიერი, რომ შავი სამუშაო არ შეესრულებინოს. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 32).

49. ვერც ერთი ლიტერატურა ვერ განვითარდება კარჩაკეტილად. პირიქით, ბუნებრივია, როცა მწერლები ისწრაფვიან შეიცნონ სხვა ლიტერატურათა მიღწევები, და რაც უფრო ფართოა ხელოვანის თვალსაწიერი, მით უფრო ჯადოსნურად ფლობს იგი მხატვრულ სიტყვას. ("კომუნისტი", №253, 1978 წლის 27 ოქტომბერი, გვ. 2).

50. ვისაც ღმერთმა მეტი უბოძა (იგულისხმება ნიჭი, ტალანტი – შემდგ.), ერიც მეტს ითხოვს მისგან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №151, 1993 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

51. ვფიქრობ, დადგა დრო, როცა პოლიტიკოსებთან ერთად, კავკასიურ დიალოგში, მშვიდობიანი კავკასიის იდეის განხორციელებაში, მეცნიერებსაც

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7, 1979, გვ. 4 (შემდგ.).

შეუძლიათ შეიტანონ თავიანთი უნიკალური წვლილი. კავკასია მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია. ვფიქრობ, დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება სხვა ასეთი მხარე, სადაც შედარებით მცირე ტერიტორიაზე სახლობდნენ ეთნიკურად, ენობრივად და რელიგიურად ესოდენ განსხვავებული ხალხები. ასევე საოცრად კონტრასტულია კავკასიის ბუნება. და თუმცა მრავალფეროვნება სილამაზის საწყისია, ის ხშირად კონფლიქტების წყაროდ იქცევა ხოლმე. მიუხედავად ამისა, საუკუნეების მანძილზე კავკასიელებმა შეძლეს გამოემუშავებინათ ჰარმონიული თანაცხოვრების წესები, რომელთა წყალობითაც მათ შორის მტრობა და შუღლი იშვიათი იყო. მაგრამ, ანტიკური ხანიდან მოყოლებული და განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში კავკასია გარეშე ძალების დავის ასპარეზად იქცა. ამან თანდათანობით სიტუაცია მნიშვნელოვნად დაძაბა და დღეს კავკასიას ბალკანეთთან ერთად ევროპის ფეთქებადსაშიშ რეგიონად მოიხსენიებენ ხოლმე. გარდა ყველასათვის ცნობილი ეთნოპოლიტიკური დაპირისპირებებისა, კავკასიაში კონფლიქ-ტების ლატენტური კერებიც არსებობს. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ეთნიკური კოზირის გათამაშება სხვადასხვა რეაქციული ძალების ჩვეულ საქმიანობად იქცა, ამგვარი კერების აალება სავსებით რეალურია. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა მეტი ვიცოდეთ რეგიონის შესახებ, კერძოდ, საერთო კავკასიური მენტალიტეტის, ცალკეული ხალხების თვითშეგნების, საკუთარი ისტორიის აღქმისა და ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულების შესახებ. ყოველივე ეს კი მეცნიერული კვლევის საგანია. პოლიტიკოსთა გადაწყვეტილებები, მათი ნაბიჯები ამა თუ იმ მიმართულებით მნიშვნელოვანწილად სწორედ მეცნიერთა რეკომენდაციებს უნდა ეყრდნობოდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №43, 1997 წლის 22 თებერვალი, გვ. 1-2).

52. თავისუფალ პრესას განვითარების თავისი კანონზომიერება აქვს დემოკრატიულ ქვეყანაში, და ჩვენ, ყველამ ერთად, საქართველოს ყველა მოქალაქემ, ეს გზა ავირჩიეთ და სწორედ ამ გზას მისცა ხმა საქართველოს მოსახლეობამ პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებში. მაგრამ თვით პიროვნების თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა უზენაესობის ინტერესები მოითხოვს, რომ უსაფუძვლოდ არავის ღირსება არ უნდა შეილახოს. საერთოდ, ღირსების შემლახველი ყოველგვარი გამოსვლა გამაღიზიანებელია და მხოლოდ და მხოლოდ პრობლემებს უქმნის საზოგადოებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №138, 1997 წლის 17 ივნისი, გვ. 2).

53. ...თავისუფალ პრესას ვერავინ შეზღუდავს, თუკი იგი კანონის ფარგლებში მოქმედებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №182, 1996 წლის 10 სექტემბერი, გვ. 2).

54. ... თავისუფალი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის გარეშე არ არსებობს სამოქალაქო საზოგადოება, არ არსებობს დემოკრატია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 6).

ბიბლიოთეკა

55. თავისუფალმა ქვეყანამ მეცნიერების ის დარგები უნდა განავითაროს, რომელნიც გადაუდებლად სჭირდება ამ ქვეყნის ეკონომიკას, სოფლის მეურნეობას, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, განათლებას, ქვეყნის უსაფრთხოებას.

ქვეყანამ, რომელსაც ჩვენსავით დიდი სამეცნიერო პოტენციალი აქვს, უნდა საგანგებოდ იზრუნოს იმ სამეცნიერო სკოლებზე, ინსტიტუტებზე, განყოფილებებზე, ლაბორატორიებზე თუ ცალკეულ მეცნიერებზე, რომელნიც თავისი მეცნიერული მიღწევებითა და პოტენციალით მსოფლიო დონეზე დგანან. და ეს არ უნდა იყოს ზოგადი მოწოდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 5).

56. თანამედროვე ჟურნალისტი — ეს არის პოლიტიკოსი და ლიტერატორი. ამ ორი საწყისის გარეშე ჟურნალისტი არ არსებობს. ("კომუნისტი", №154, 1975 წლის 2 ივლისი, გვ. 4).

57. თანამედროვე ცივილიზაციის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს რადიო-ინფორმაციის გადაცემისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უძლიერესი საშუალება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №58, 1995 წლის 26 მაისი, გვ. 1).

58. თბილისის სომხური თეატრი, გარკვეული აზრით, ორი ხალხის საუკუნოვანი მეგობრობისა და ძმობის სიმბოლოა, სიმბოლო იმის, თუ რა დიდ პატივს სცემს ქართველი ხალხი სომხურ კულტურას და იმის სიმბოლოც არის, რომ სომეხი ხალხი, სომეხი მოქალაქეები საქართველოში ყოველთვის ცხოვრობდნენ როგორც თავიანთ ძმებთან, თანამოქალაქეებთან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №82, 1994 წლის 17 მაისი, გვ. 1).

59. თუ კრიტიკულად არ გავიაზრეთ ნაღვაწი, ვერ წავალთ წინ, ვერ მოვახდენთ მნიშვნელოვან მეცნიერულ აღმოჩენას, ვერ მივაღწევთ თვალსაჩინო შედეგებს, ვერ განვახორციელებთ საფუძვლიან კვლევას. (ე. შევარდნაძე, "მეცნიერება — ადამიანის, სახალხო მეურნეობის სამსახურში! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება. 1982 წლის 13-14 მაისი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 99).

60. თუ პრესა მთავრობის მომხრეა და მთავრობის პოლიტიკას იწონებს, მაშინ იგი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას უნდა უწყობდეს ხელს, ანუ ობიექტური უნდა იყოს. თუ ობიექტური არ იქნება, მაშინ დღეს და ხვალ შეიძლება იარსებოს, მაგრამ მერე ვერ იარსებებს. ("იბერია-სპექტრი", №53, 1992 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 6).

61. თუ რაიმე საამაყო გააჩნია ქართველ ხალხს, — ეს მისი კულტურაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №192, 1993 წლის 2 სექტემბერი, გვ. 3).

62. თქვენ თუ ოპოზიციური გაზეთი ხართ, უნდა გააკრიტიკოთ ისე, რომ ობიექტური იყოთ და თქვენი მსჯელობა გაჯერებული იყოს არგუმენტებით და ფაქტებით. („კავკასიონი", №11, 1994 წლის 16 მარტი, გვ. 5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

63. ...იდეებსა და იდეალებს ფასი აქვთ, თუ მათ ჭეშმარიტი ადამიანურობა ასულდგმულებს. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 129).

64. იმაზე, თუ რა ეთიკური და ესთეტიკური კატეგორიებით ხელმძღვანელობს ახალგაზრდა შემოქმედი ინტელიგენცია, დამოკიდებულია არა მარტო ჩვენი ლიტერატურისა და ჩვენი ხელოვნების მომავალი, არამედ აგრეთვე მთელი ახალგაზრდა თაობის სულიერი პოტენციალიც.* („საქართველოს კომუნისტი", №1, 1985, გვ. 36).

65. ...ინფორმაციის თავისუფლება განუყოფელი შემადგენელი ნაწილია თავისუფლებისა და დემოკრატიისა. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 336).

66. ისტორიას არ ახსოვს არც ერთი დიდი შემობრუნება, არც ერთი დიდი გარდატეხა ხალხების, სახელმწიფოების, ერებისა და ეროვნებების ცხოვრებაში, რომ მწერლებს, ხელოვნებს არ მიეღოთ მონაწილეობა. („კომუნისტი", №78, 1980 წლის 3 აპრილი, გვ. 2).

67. ისტორიულად მუდამ მაღალი იყო ქართველი მწერლის საზოგადოებრივი დანიშნულება და მისი პასუხისმგებლობა ერის წინაშე. („საქართველოს რესპუბლიკა", №151, 1993 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

68. ისტორიულია ქართული ტელევიზიის როლი ქვეყნის ცხოვრებაში... თუ ქვეყანა შენდება, წინ მივდივართ და კრიზისს თავს ვაღწევთ, ვიწყებთ სტაბილურ, ადამიანურ ცხოვრებას, ამაში ტელევიზიას უმნიშვნელოვანესი როლი მიუძღვის, თუ გადამწყვეტი არა. („საქართველოს რესპუბლიკა", №262, 1996 წლის 31 დეკემბერი, გვ. 2).

69. კარგი წიგნი მარტო თავისი ლიტერატურულ-მხატვრული ღირსებებით როდია შესანიშნავი. იგი იმითაც გამოირჩევა, რომ მასზე განსაკუთრებით დიდია სულიერი პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილება. („კომუნისტი", №106, 1978 წლის 5 მაისი, გვ. 2).

70. ...კინო ისეთი სფეროა, რომელმაც არ იცის დიდი და პატარა საქმე, ბევრი და მცირედი. („ქართული ფილმი", №34, 1992 წლის 17 დეკემბერი, გვ. 1).

71. კლასიკოსებს ყველა თაობა და ყველა საუკუნე თავისი თვალებით, ახლებურად, ახალი რაკურსით კითხულობს. („საქართველოს რესპუბლიკა", №180, 1994 წლის 8 ოქტომბერი, გვ. 1).

72. კომპოზიტორები თავიანთი დროის მატიანეს წერენ. („კომუნისტი", №247, 1981 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: „კომუნისტ", №18, 1984, გვ. 29 (შემდგ.).

73. კომპოზიტორი მხოლოდ მაშინ აგნებს ადამიანის გულისა და გონებისაკენ მიმავალ გზას, როცა ნიადაგ შემოქმედებითს ძიებაში, როცა აღსავსეა შემართებით, როცა უვალ გზებს კვალავს. ("კომუნისტი", №247, 1981 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

74. კულტურა, მისი ბედი ისევე ვერ მოითმენს დაყოვნებას, როგორც უპურობა. კულტურა პურია ჩვენი არსობისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №118-119, 1992 წლის 1 ივლისი, გვ. 1).

75. კულტურა ქმნის პიროვნებას, მოქალაქეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №118-119, 1992 წლის 1 ივლისი, გვ. 1).

76. ...კულტურას სახელმწიფო, ხალხი, კანონი უნდა იცავდეს და კანონი უნდა იყოს მისი ფარი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №222, 1992 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

77. კულტურის დათრგუნვის მისწრაფება ყოველთვის საზოგადოებრივი შეგნების დეგრადირებას ისახავდა მიზნად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №118-119, 1992 წლის 1 ივლისი, გვ. 1).

78. ...კულტურის სფეროში... მხოლოდ ისეთი პოლიტიკა მოგვიტანს წარმატებას, რომელიც ზუსტ მეცნიერულ ფუნდამენტზე იქნება დაფუძნებული. ("კომუნისტი", №125, 1980 წლის 31 მაისი, გვ. 2).

79. ლიტერატურა და ხელოვნება დიდ როლს ასრულებენ თითოეული ადამიანის განვითარებაში, მისი შეგნების, მისი რწმენის ჩამოყალიბებაში, მის ზნეობრივ აღზრდაში. ("ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 3).

80. ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება – ერთადერთია, რომელიც არასოდეს წაიშლება, რომლის დაკარგვაც არ შეიძლება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №33, 1993 წლის 18 თებერვალი, გვ. 1).

81. ლიტერატურამ და ხელოვნებამ ადამიანებს უნდა ჩაუნერგონ სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი. ისინი ადამიანებს უნდა უნერგავდნენ სიკეთესა და ჰუმანურობას, რომლებიც შერწყმული იქნება მოქალაქეობრივ აქტივობასა და უკომპრომისო პრინციპულობასთან. ("ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 2).

82. ...ლიტერატურასა და ხელოვნებას... ალბათ, ისე როგორც ადამიანის შეგნებაზე ზემოქმედების არც ერთ სხვა საშუალებას, შეუძლიათ უშუალო და ღრმა გამოხმაურება პოვონ მის ზნეობრივ-ინტელექტუალურ აღქმაში, წარუხოცელი კვალი დატოვონ ადამიანის სულში.* ("საქართველოს კომუნისტი", №10, 1980, გვ. 5-6).

83. ლიტერატურას და ხელოვნებას განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებული

* თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №38, 1980 წლის 17 სექტემბერი, გვ.5-6 (შემდგ.).

ადგილი უჭირავს ადამიანის საუკეთესო თვისებების აღზრდის სისტემაში, ამ განსაკუთრებულ როლსა და განსაკუთრებულ ადგილს განსაზღვრავს თვით მხატვრული გამომსახველობის საშუალებები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანად, განსაკუთრებით შთამბეჭდავად ახდენს ზემოქმედებას ადამიანის შეგნებაზე, გარკვეულწილად განსაზღვრავს მის საქციელს, მის ცხოვრებას, მის ბრძოლას. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 96).

84. ...ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს განსაკუთრებული როლი და განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ ხალხის წინაშე. ("საქართველოს კომუნისტი", №7, 1979, გვ. 25).

85. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნის სპეციფიკა ისეთია, რომ დიდი მაღალიდეური, მაღალმხატვრული ნაწარმოებები მოკლე დროში არ იქმნება. ("ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ.1).

86. ლიტერატურისა და ხელოვნების ჭეშმარიტი შედევრები იყო და არის არა მარტო ესთეტიკური ტკბობის წყარო, არამედ ადამიანის სულიერი სამყაროს ფარ-ხმალიც.* ("კომუნისტი", №208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ. 1).

87. ...მაღალი და დიდი კულტურის გარეშე ვერ იქნება დიდი ეკონომიკა და დიდი ბიზნესი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №71, 1995 წლის 27 ივნისი, გვ. 2).

88. მე არ მწამს განყენებული, უმიზნო, უიდეო ხელოვნება. უიდეობა უტოპიაა, ან თუ გნებავთ, წინასწარ მოფიქრებული პოზიციაა.** ("ლიტერატურული საქართველო", №40, 1982 წლის 1 ოქტომბერი, გვ.2).

89. მე არაერთხელ მითქვამს, რომ პრესის გარეშე, თავისუფალი პრესის გარეშე არ არსებობს დემოკრატია და დემოკრატიული სახელმწიფო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №146, 1996 წლის 23 ივლისი, გვ. 1).

90. მე ვისურვებდი, ნაკლებად გვყავდეს ისეთი მწერლები, რომლებიც მხოლოდ იმით ნეტარებენ, რაც ბედმა, საკუთარმა ბიოგრაფიამ, საკუთარი ცხოვრების გამოცდილებამ მისცა, და მომრავლებულიყვნენ ისეთი ხელოვანნი, რომლებიც თავად ეძიებდნენ ცხოვრების ახალ მხარეებს, შეუძლიათ მცირე ხნით თვითონაც იცხოვრონ მეტალურგის, მევენახის, მეშახტის, მეჩაის, მესაზღვრის ცხოვრებით... დარწმუნებული ვარ, მხატვრული იდეა, რომელიც ცხოვრებასთან უშუალო კონტაქტის პროცესში მწიფდება, მხატვრულ სახედაც უფრო სწრაფად გარდაიქმნება.*** ("კომუნისტი", №208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ. 2).

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7, 1979, გვ. 4 (შემდგ.).
** თარგმნილია ჟურნალიდან: "სოვეტსკი სოიუზ", №9, 1982, გვ. 8 (შემდგ.)
*** თარგმნილია ჟურნალიდან: "ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7, 1979, გვ. 7 (შემდგ.).

91. მე მას (ინტელექტს — შემდგ.) არ შემოვფარგლავ რაღაც სოციალური ჩარჩოებით, რაღაც მკვეთრად დაფიქსირებული სოციალური ჯგუფებით: მუშები, გლეხები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები. საზღვრები აქ ისევე მოძრავი და ცვალებადია, როგორი მერყევიც არის მიჯნები ადამიანთა გონებრივ სწრაფვასა და მათ განწყობას შორის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992,გვ. 298).

92. მე მიმაჩნია, რომ სულგრძელნი უნდა ვიყოთ, როცა იმ ფენომენზე ვლაპარაკობთ, რასაც ინტელიგენცია ჰქვია. მე ასე მესმის. ("იბერია-სპექტრი", №53, 1992 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 3).

93. მე მოვუწოდებდი ყველას, ვისთვისაც ძვირფასია პიროვნების ჰარმონიული განვითარებისა და ხალხთა კულტურული ურთიერთ-დაახლოების იდეა — მხარი დაუჭირონ დელფიურ მოძრაობას, ხელი შეუწყონ ბავშვებს ლამაზი ოცნებების განხორციელებაში, რომელსაც დასაბამი საქართველოში გამართულმა პირველმა მსოფლიო დელფიადამ მისცა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №98, 1997 წლის 1 მაისი, გვ. 2).

94. მე საერთოდ არ მიმაჩნდა (და არც დღეს მიმაჩნია) შესაძლებლად მკვდარი იდეოლოგიური ალვირის ამოდება მხატვრის შემოქმედებისათვის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 286).

95. მე მჯერა, თავისუფალ ქართულ ინტელექტს, ნიჭსა და შემოქმედებითს ენერგიას მხატვრული აზროვნების დარგში სასწაულების მოხდენა ძალუძს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №151, 1993 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

96. მეორე მსოფლიო ომის — დიდი სამამულო ომის ისტორია, ჩემი აზრით, ხელახლა უნდა დაიწეროს... ეს ისტორია, მე ასე მგონია, უნდა შექმნან ომის მონაწილე ყველა ქვეყნის მეცნიერებმა, იქნება ეს ანტიჰიტლერული კოალიცია თუ ბარიკადების მეორე მხარეს მებრძოლი ქვეყნები. დარწმუნებული ვარ, რომ ამ დიდი ისტორიის შექმნაში თავის წვლილს შეიტანენ გერმანიის მეცნიერები. ბოლო უნდა მოეღოს ცალმხრივ შეფასებებს, უსამართლობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №106, 1997 წლის 10 მაისი, გვ. 2).

97. მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეთა გზაგასაყარზე ხელოვნებას, თეატრს განსაკუთრებული მისია აკისრია კაცობრიობის წინაშე. ("ლიტერატურული საქართველო", №41, 1995 წლის 13-20 ოქტომბერი, გვ. 1).

98. მეცნიერება ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული დარგია...

ალბათ ასეც შეიძლება ითქვას: ყველაზე ფართო დემოკრატია მეცნიერების განვითარების განუყოფელი ნიშანია; მტკიცედ განვითარებული მეცნიერება შემდგომი დემოკრატიული განვითარების სტიმულია. ("კომუნისტი", №132, 1982 წლის 5 ივნისი, გვ. 5).

99. მეცნიერება დიდი ძალაა, და მას ყოველთვის შეიძლება გამოვუძებნოთ კონკრეტული გამოყენება. ("კომუნისტი", №76, 1983 წლის 1 აპრილი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

100. მეცნიერება ვერ დასჯერდება და არც უნდა დასჯერდეს მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადებასა და გავრცელებას. მან უნდა განაგრძოს წინსვლა, გაკვალოს პრაქტიკის ახალი გზები. (ე. შევარდნაძე, "მეცნიერება – ადამიანის, სახალხო მეურნეობის სამსახურში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება. 1982 წლის 13-14 მაისი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 63).

101. ...მეცნიერება ვერ ჰგუობს ნაჩქარევ დასკვნებს, ნაუცბათევ შეფასებებს, არაკვალიფიციურ დებულებებს, მით უმეტეს – უხეშ ჩარევას. (ე. შევარდნაძე, "მეცნიერება – ადამიანის, სახალხო მეურნეობის სამსახურში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება, 1982 წლის 13-14 მაისი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 6).

102. მეცნიერებათა განვითარება – ეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველთა საფუძველია. (ე. შევარდნაძე, "მეცნიერება – ადამიანის, სახალხო მეურნეობის სამსახურში! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება. 1982 წლის 13-14 მაისი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 16).

103. მეცნიერებაში უნდა შეგეძლოს არა მარტო წამოაყენო იდეა, არამედ აგრეთვე დაიცვა იგი, დაამტკიცო მისი საზოგადოებრივი და ეკონომიკური ეფექტიანობა. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1984, გვ. 25).

104. მეცნიერები ამტკიცებენ... რომ ჩვენი ინტელექტი, ადამიანის აზროვნების უნარი სრულად არ გამოიყენება, შეიძლება ითქვას, რომ ამ უნარის სულ თხუთმეტიოდე პროცენტს ვიყენებთ. სწორედ შემოქმედებითი ვითარება გახლავთ ის მადლიანი ნიადაგი, ყველაზე სრულად რომ წარმოაჩენს ადამიანის გონების შესაძლებლობებს. და, კაცმა რომ თქვას, ეკონომიკის, კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას არ მოეპოვება ისეთი დიდი რეზერვი, როგორიცაა შემოქმედებითი ვითარება, შემოქმედებითი ატმოსფერო; არადა, ასეთი ატმოსფერო ყალიბდება... დემოკრატიის გაფართოების, ადამიანთა აქტიურობისა და პასუხისმგებლობის ამაღლების პროცესში. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 173).

105. მეცნიერების მიღწევები საყოველთაო-სახალხო კუთვნილებაა, და არავინ უნდა დარჩეს გულგრილი მეცნიერებისადმი, მისი ბედისადმი, მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებისადმი. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 70-71).

106. ...მეცნიერების წარმოშობა განაპირობა არა მარტო კაცობრიობის

ოდინდელმა მისწრაფებამ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების შემეცნებისადმი, არამედ აგრეთვე წარმოების მოთხოვნილებებმაც. სწორედ წარმოების მოთხოვნილებანი, ეკონომიკის მდგომარეობა განსაზღვრავს... მნიშვნელოვანწილად მეცნიერების განვითარებას. (ე. შევარდნაძე, "მეცნიერება – ადამიანის, სახალხო მეურნეობის სამსახურში! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება. 1982 წლის 13-14 მაისი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 15).

107. მეცნიერი ლიდერი, უწინარეს ყოვლისა, დიდი ავტორიტეტი უნდა იყოს თავისი მეცნიერების დარგში. მეცნიერი ლიდერი ავტორიტეტი უნდა იყოს როგორც მოქალაქე, როგორც პატრიოტი. მეცნიერ ლიდერს ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით. ვფიქრობთ, რომ მორალურ-ეთიკური მხარე პიროვნებისა მეცნიერებაში უფრო დიდ როლს ასრულებს, ვიდრე, ვთქვათ, ადამიანის საქმიანობის სხვა დარგებში. (ე. შევარდნაძე, "მეცნიერება – ადამიანის, სახალხო მეურნეობის სამსახურში! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება. 1982 წლის 13-14 მაისი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 77).

108. მეცნიერისათვის დროის ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დაკარგული დრო — ეს არის განუხორციელებელი აღმოჩენა, განუხორციელებელი გამოგონება, შეუქმნელი მანქანები, მექანიზმები და მასალები. (ე. შევარდნაძე, "მეცნიერება – ადამიანის, სახალხო მეურნეობის სამსახურში! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება. 1982 წლის 13-14 მაისი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 74).

109. მთელი ჩვენი მეცნიერება უნდა ჩავაყენოთ ხალხის ინტერესების სამსახურში, იგი ერთგულად უნდა ემსახურებოდეს ადამიანს, მზრუნველობით უფრთხილდებოდეს ადამიანისათვის და ადამიანის საკეთილდღეოდ ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 69).

110. მოგეხსენებათ, ზოგი მარადიული ჭეშმარიტების განმეორება მხოლოდ გვარგებს. განსაკუთრებით კი იმ დროს, როცა ბევრს იგი ან დაავიწყდა, ან არ სურს, რომ ახსოვდეს. დიდ მოაზროვნეთა გონებაში შობილი დიადი იდეები დიდხანს ელიან თავიანთ დროს. ზოგჯერ ეს მოლოდინი ასწლეულების მანძილზე იწელება. მაგრამ, ადრე თუ გვიან, მათი ჟამი დგება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 92-93).

111. "მონანიება" არის ფილმი იმაზე, თუ სადამდე მივყავართ ძალადობასა და უკანონობას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 73).

112. მონუმენტური ხელოვნება სწორედ რომ წარსულის, აწმყოს და

მომავლის ჯანსაღი გადაძახილია. („კომუნისტი", №255, 1981 წლის 6 ნოემბერი, გვ. 2).

113. მუსიკა ჯადოსნური ციხე-კოშკია, რომლის დიდებულ ნოვატორულ ნაგებობას მყარ საძირკვლად ტრადიციები უდევს, და ამ ციხე-კოშკში შეესვლება ყველას, ვისაც სურს ეზიაროს მუსიკის ხელოვნებას. („კომუნისტი", №247, 1981 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

114. მწერალი მართლაც ერის ბაირახტარია. ნაღარასავით უხმობს ხალხს მისი სიტყვა. ასე იყო 1500 წლის მანძილზე, რაც ქართული მწერლობის ძეგლები არსებობს. ასეა დღეს, ასე იქნება მომავალშიც. („საქართველოს რესპუბლიკა", №151, 1993 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

115. მწერლობა, სიტყვის და ნიჭის საოცარი შესაძლებლობის შემწეობით, თვითონაც ქმნის თავისუფლების სამყაროს. („საქართველოს რესპუბლიკა," №151, 1993 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

116. მწერლობა უნდა მიჰყვეს ილიას გზას ქვეყნის მშენებლობაში, შრომაში, ზნეობაში, გონიერებაში, ხვალინდელი დღის განჭვრეტაში. („საქართველოს რესპუბლიკა", №56, 1995 წლის 20 მაისი, გვ. 2).

117. მწერლობის დაკნინება — ხალხის და ერის დაკნინებაა. („საქართველოს რესპუბლიკა", №56, 1995 წლის 20 მაისი, გვ.2).

118. მხატვრულ ნაწარმოებს შეუძლია უდიდესი გავლენა მოახდინოს რეალურ ცხოვრებაზე. („კომუნისტი", №97, 1984 წლის 26 აპრილი, გვ. 3).

119. მხატვრული სრულყოფილების ერთ-ერთი პრინციპია მრავალფეროვნების ჰარმონიული ერთიანობა, ისეთი მრავალხმიანობა, რომელშიც ყოველი ცალკეული ხმა სხვებს ერწყმის და ამავე დროს ინარჩუნებს თავის ტონალობას, მისთვის დამახასიათებელ ფერადოვნებას.* („ლიტერატურული საქართველო", №40, 1982 წლის 1 ოქტომბერი, გვ. 3).

120. მხოლოდ ნოვატორ კომპოზიტორს, ნოვატორ მუსიკოსს შეუძლია ჩააფიქროს ადამიანი, რისთვის ცხოვრობს ამ ქვეყნად, რა არის მთავარი ღირებულებანი, სულიერად აღამაღლებს მას. მუსიკა ისეთი უნდა იყოს, რომ კაცს ეგონოს, რომ ჩემთვის და მხოლოდ ჩემთვის არისო დაწერილი, ჩემი ფიქრებისა და გრძნობის სიმებზეაო აწყობილი. („კომუნისტი", №247, 1981 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

121. ნათქვამია, ყველაზე საინტერესო მოგზაურობა მაძიებელი აზრის მიმოსვლა არისო. მაგრამ აზრის ეს გაქანება დედამიწასაც რომ გარს შემოევლოს და მთელი სამყარო მოიცვას, ყველას მაინც ვერ აიყოლიებს. ზოგნი, — ისინი კი მრავლად არიან, — შეეცდებიან, მოძრაობა შეაჩერონ. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 101).

122. ნამდვილი მეცნიერი ვერ ეგუება სიტუაციას, სადაც შესაძლებელია დატაცება, მექრთამეობა, სიცრუე, მაამებლობა, არაკეთილმოსურნეობა.

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: „სოვეტსკი სოიუზ", №9, 1982, გვ. 9 (შემდგ.).

მაგრამ არიან ისეთები, რომლებიც კისრულობენ ამას. და ესეც, ელემენტარული უპატიოსნობაა! (ე. შევარდნაძე, "მეცნიერება – ადამიანის, სახალხო მეურნეობის სამსახურში! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება. 1982 წლის 13-14 მაისი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 77-78).

123. ნიჭიერი საბავშვო მწერალი ორმაგი სიკეთე, ორმაგი ბედნიერებაა ხალხისათვის, რადგანაც იგი გონივრულს, კეთილს, მარადიულს თესავს ნიჭიერად, მხატვრული შემოქმედებისა და პედაგოგიკის კანონებით. უნიჭო საბავშვო მწერალი სამგზის უბედურებაა, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის სული ისეთი სპეტაკი, ამაღლებული და მშვენიერია, ისე ღრმად მგრძნობიარეა, რომ ყველას ვერ მივანდობთ მის ჩამოყალიბებასა და სრულყოფას. იგი ფაქიზია და ნაზი, და ყოველი მწერალი თავის კვალს, თავისი ხატებისა და იდეების ანაბეჭდს ტოვებს ბავშვის სულში, ასე რომ ენდობა, და ფართოდ გადაშლილა უდიდესი სამყაროს ასარეკლავად. აი, რატომ უნდა ვუფრთხილდებოდეთ მზრუნველად, რატომ უნდა ვიცავდეთ თვალისჩინივით ბავშვის სულს უნიჭო ნაწარმოებებისაგან...* ("დროშა", №7, 1982, გვ. 7).

124. ნებისმიერ დისკუსიას... მკაფიო ამოსავალი პოზიცია და ნათელი მიზანი უნდა ექნეს.** ("კომუნისტი", №97, 1990 წლის 24 აპრილი, გვ. 1).

125. პიროვნება ვერ იქნება თავისუფალი, თუ მას საკუთარი აზრის გამოთქმა, უწინარესად, პრესის მეშვეობით არ შეუძლია. მე ამით ვხელმძღვანელობ და ვიხელმძღვანელებ მომავალშიც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №15, 1997 წლის 21 იანვარი, გვ. 2).

126. პოეტის პიროვნებისა და მისი შემოქმედების დიალექტიკური ურთიერთმიმართების პრობლემა მუდამ აქტუალური პრობლემაა. ("კრიტიკა", №4, 1982, გვ. 32).

127. პრესა მართლაც უნდა ამკვიდრებდეს თავისუფლებას... იმის თავისუფლებასაც, რომ შენს მიერ გამოთქმული აზრის საწინააღმდეგო აზრი რომ დამკვიდრდეს, იმასაც უნდა შეეგუო და შეეჩვიო. ჩვენ ყველანი ასეთი საზოგადოების აშენებისათვის ვიბრძვით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №2, 1998 წლის 4 იანვარი, გვ. 2).

128. პრესის გარეშე არ არსებობს დემოკრატია და დემოკრატიული სახელმწიფო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №149-150, 1996 წლის 25 ივლისი, გვ. 4).

129. პრესის თავისუფლება და პასუხისმგებლობა საზოგადოების კულტურის დონის ანარეკლია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №43, 1994 წლის 22 მარტი, გვ. 3).

130. პროფესიული არხებით ბრძოლა ზოგჯერ ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე პირდაპირი. ქართულ კინოს არასოდეს აკლდა ეს ნიჭი და,

* თარგმნილია ჟურნალიდან: "დეტსკაია ლიტერატურა", №6, 1982, გვ. 4 (შემდ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №16, 1990 წლის 18 აპრილი, გვ. 1 (შემდ.).

ალბათ, თავისებური იდეოლოგიური უღელტეხილი, მსოფლიოში აღიარებული კინოშედევრი "მონანიება" იმიტომაც ქართულ კინოში იშვა. ("ქართული ფილმი", №34, 1992 წლის 17 დეკემბერი, გვ. 1).

ბიბლიოთეკა

131. ჟურნალისტების უსაფრთხოებისა და მათი თავისუფალი შემოქმედებისათვის ზრუნვა — ...ყველა ნორმალური სახელმწიფოს ვალია. ჟურნალისტის უსაფრთხოების წინააღმდეგ აღმართული ხელი მე კაცობრიობის წინაშე დანაშაულად მიმაჩნია. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ, რომ ხელისუფლებაც და ჟურნალისტიც იცავენ კანონს და უფრთხილდებიან ქვეყანაში მოქმედ კონსტიტუციას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №132, 1997 წლის 10 ივნისი, გვ. 2).

132. ჟურნალისტიკა უნდა სწვდებოდეს მოვლენათა სოციალურ არსს, აანალიზებდეს და აკრიტიკებდეს ზნეობრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიციიდან. ("საქართველოს კომუნისტი", №7, 1979, გვ. 20).

133. ჟურნალისტს ომში იცავს კანონი და მისი პროფესია. თუ იგი არ მონაწილეობს საომარ მოქმედებაში როგორც კომბატანტი, თავისი პროფესიისათვის საჭირო იარაღის გარდა სხვა არავითარი იარაღით არ არის აღჭურვილი, მოქმედებს საერთაშორისო სამართლისა და პროფესიული ეთიკის ფარგლებში — მისი სიცოცხლე ხელშეუხებელია. ("ნატერისთვალი", №11, 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერი, გვ. 2).

134. რა შეიძლება იყოს ლიტერატურისა და ხელოვნების აზრი და დანიშნულება, თუ არა ადამიანის, მისი თავისუფლებისა და სულიერი განვითარების, სიმართლისა და სამართლიანობის, სიკეთისა და მშვენიერების მაღალი სამსახური! ("ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 2).

135. ... რადგან ხელოვნებას საზღვრები არა აქვს, მჯერა, რომ დელფიური მოძრაობა ხელს შეუწყობს ადამიანთა დაახლოებას, ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების მონაპოვართა ფართო წარმოჩენას მსოფლიო ასპარეზზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №95, 1997 წლის 26 აპრილი, გვ. 1).

136. რაკი არსებობს აზრი, თუნდაც... მკრეხელური და მიუღებელი,... სჯობს იგი გამოქვეყნდეს, ვიცოდეთ, რა მოვლენებთან შეიძლება გვქონდეს საქმე დღეს და მომავალშიც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №74, 1997 წლის 1 აპრილი, გვ. 2).

137. რამდენადაც წიგნები მომავლისთვის იწერება, მხოლოდ მას, მომავალს ძალუძს ნათქვამ-ნამოქმედარის ჭეშმარიტი ღირებულების დადგენა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 326).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: " იზვესტია", №12, 1984 წლის 12 იანვარი, გვ. 3 (შემდ.).

138. ... რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ სიტყვის თავისუფლებაზე, უფრო ფართოდ — პიროვნების თავისუფლებაზე და თავისუფალ ქვეყანაზე, თუ პრესა და ტელევიზია თავისუფალი არ არის, ყველაფერი ფორმალობაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №2, 1998 წლის 4 იანვარი, გვ. 2).

139. ...როცა საინტერესო მეცნიერული მიღწევა არ ინერგება, ძველდება, — ეს დანაშაულია.* ("კომუნისტი", №11, 1984 წლის 13 იანვარი, გვ. 1).

140. (როცა — შემდგ.)... საწინააღმდეგო აზრი... არსებობს, ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება უფრო იოლად მივიდეთ ჭეშმარიტებამდე. ("კავკასიონი", №11, 1994 წლის 16 მარტი, გვ. 5).

141. როცა ჭეშმარიტი შემოქმედი მიდის ცხოვრებიდან, მისი ადგილი ყოველთვის შეუვსებელი რჩება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №272, 1997 წლის 1 ნოემბერი, გვ. 1).

142. რუსული პრესა (იგულისხმება რუსეთის პრესა — შემდგ.) საკმაოდ კარგი სარკეა საიმისოდ, რომ სულ იოლად დაინახო, ვინ ვინ არის.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №141, 1997 წლის 20 ივნისი, გვ. 2).

143. (საზოგადოების — შემდგ.) სოციალური ნიშნების მიხედვით კლასიფიკაციას მე საერთოდ არ მივიჩნევდი აბსოლუტურად სანდოდ. წარმოების წესების შემცვლელმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ამ მიმართებით არსებითი კორექტივები შეიტანა არსებულ უწინდელ წარმოდგენებში ან მეტწილად მოშალა ისინი. ახალმა ტექნოლოგიამ ახალი, ამაღლებული მოთხოვნები წაუყენა პიროვნებას. პიროვნებისაგან მათ მეტი თავისუფლება და პასუხისმგებლობა მოითხოვეს. ერთნი მხარს უჭერენ ამ მოთხოვნას და მზად არიან მიიღონ ის, მეორენი ამისთვის მზად არ არიან, ან მისი აყოლის უნარი არა აქვთ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 298).

144. საზოგადოების ცხოვრებაში ლიტერატურისა და ხელოვნების როლისა და მნიშვნელობის განუზომელი ზრდის კვალობაზე სულ სხვაგვარი ძალა ენიჭება ადამიანის მეშვეობით სულიერ ღირებულებათა მატერიალიზაციას. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. — საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 109-110).

145. საკაცობრიო მასშტაბის ეროვნული იდეებით მდიდრდება ინტერნაციონალიზმის საგანძური, ეროვნული თვითშეგნება ინტერნაციონალიზმის საგანძურში პოვებს ყოველივე ძვირფასს და მისაღებს ერის განვითარებისათვის. ეს კანონზომიერი და ლოგიკურია როგორც ქართული კულტურის მიმართ, ისე... ყველა ერისა და ეროვნების კულტურების მიმართაც.

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №111, 1997 წლის 18 ივნისი, გვ. 5. (შემდგ.).

ურთიერთგამდიდრების, ურთიერთგავლენისა და ურთიერთშეღწევის. ამ ორი ერთარსი პროცესის გარეშე არ არსებობს არც ჭეშმარიტად ეროვნული, არც ჭეშმარიტად ინტერნაციონალური ფენომენი არც პოლიტიკასა და არც ხელოვნებაში. („კომუნისტი", №125, 1980 წლის 31 მაისი, გვ. 2).

146. საკუთარი ისტორიის, საკუთარი ხელოვნების ცოდნა მაგისტრალური გზაა მსოფლიო ცივილიზაციის შესაცნობად. („საქართველოს რესპუბლიკა", №207, 1996 წლის 15 ოქტომბერი, გვ. 2).

147. სამოქალაქო საზოგადოების სული და გულია თავისუფალი პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები, რომელთაც განსაკუთრებული დაცვა და განვითარება სჭირდება. („საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 2).

148. სამოქალაქო საზოგადოება წარმოუდგენელია თავისუფალი პრესის, რადიოს, ტელევიზიის, — დამოუკიდებელი მასმედიის არსებობისა და განვითარების გარეშე. ეს ერთ-ერთი მთავარი ორიენტირია, მთავარი მაჩვენებელია სამოქალაქო საზოგადოებისა.

ხშირად საყვედურობენ პრესას, ტელევიზიას, რომ ისინი მხოლოდ ცხოვრების ჩრდილოვან მხარეს წარმოსახავენ.

მე კი მინდა ვთქვა, რომ პრესა და ტელევიზია, ისევე როგორც პუბლიცისტიკა, ლიტერატურა, კინემატოგრაფი ვერ იქნება, უფრო ლამაზი, უფრო მიმზიდველი, ვიდრე თვით ცხოვრებაა. („საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 6).

149. სატირა-სატირაა, კრიტიკა-კრიტიკაა, მათ შორის შარჟებიცა და კარიკატურებიც, თუ ისინი პიროვნების ღირსებას არ შელახავენ, პრესის, სიტყვისა და კრიტიკის თავისუფლების ელემენტებია. („საქართველოს რესპუბლიკა", №138, 1997 წლის 17 ივნისი, გვ. 2).

150. საუკეთესო ნაწარმოებთა გმირები ჩვენთან ერთად დააბიჯებენ დედამიწაზე. (ე.ა. შევარდნაძე, „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის22 იანვარს. — საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 109).

151. საქართველო უძველესი ხუროთმოძღვრების მხარეა... ქართველი ხუროთმოძღვრები შემოქმედებითად ითვისებენ მდიდარ კლასიკურ მემკვიდრეობას, ესწრაფვიან უფრო სრულად გამოიყენონ ეროვნული ფორმა ახალი არქიტექტორული იდეების ხორცშესასხმელად, შეუხამონ მსოფლიო ხუროთმოძღვრების მიღწევები ეროვნულ ტრადიციებს და არქიტექტურის თეორიისა და პრაქტიკის კლასიკურ ნიმუშებს. (ე.ა. შევარდნაძე, „საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 109).

152. საქართველომ წამოაყენა მშვიდობიანი კავკასიის იდეა, რომელიც ისტორიულ ვითარებათა გამო უკანასკნელ ხანს ერთმანეთისაგან გაუცხოებული ჩვენი ხალხების კვლავ დაახლოებისკენაა მიმართული.

დელფიური მოძრაობა კი, ერთი მხრივ, ახალი იმპულსი გახდება ეროვნული კულტურების განვითარებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ერების მშვიდობიანი თანაარსებობისა და მათი კულტურული თანამშრომლობის გაღრმავების მსოფლიო პროცესს. ამის რწმენას მაძლევს ის, რომ დელფიური მოძრაობის მთავარი მიზანი სწორედ ამ პროცესების მხარდაჭერა და სიცოცხლისუნარიანი მომავლის აშენებაა. ასეთი ჰუმანური მიზნების განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად მიმაჩნია განსხვავებული რწმენისა და კულტურული ტრადიციების მქონე ერების ურთიერთდაახლოება... მიმაჩნია, რომ ყველა სახელმწიფოს მეთაურმა მხარი უნდა დაუჭიროს საერთაშორისო დელფიურ მოძრაობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №95, 1997 წლის 26 აპრილი, გვ. 1).

153. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ქართული მეცნიერების, კულტურის, საერთოდ ქართული ცივილიზაციის თითქმის 5000-წლოვანი განვითარების გვირგვინია.

საქართველოს შესახებ ძველი ელინური, რომაული, ბიზანტიური და სხვა წყაროების თანახმად, დასავლეთ საქართველოში, კოლხეთში ჩაეყარა საფუძველი მეტალურგიას (ხალიბები), კარტოგრაფიას (კოლხური კირბები), მედიცინას (მედეა — "კურა მედიანა") და სხვა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არის 1700 წლის წინათ დაარსებული კოლხეთის ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლის (ახალი წელთაღრიცხვით III-IV სს.), გელათისა და იყალთოს აკადემიების (XI-XII სს.) მემკვიდრე.

კოლხეთის სკოლა, გელათისა და იყალთოს აკადემიები ისტორიული საფეხურებია, რომლებმაც კანონზომიერად მოუმზადეს ნიადაგი უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარებას XX საუკუნის საქართველოში.

ამგვარად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია უძველეს და მყარ ისტორიულ საფუძველს ეყრდნობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №207, 1996 წლის 15 ოქტომბერი, გვ. 4).

154. საქართველოში შეუვალია სიტყვის თავისუფლების პრინციპი. დამოუკიდებელი მასმედია სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი გარანტია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1998 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

155. საქართველოში ჯერ კიდევ დავით გურამიშვილი და სულხან-საბა ორბელიანი ქმნიდნენ ნაწარმოებებს ნორჩი მკითხველებისათვის. ეს ნაწარმოებები მაღალი ზნეობისა და ჰუმანიზმის იდეებით არის განმსჭვალული. ისინი ასწავლიდნენ და დღესაც ასწავლიან ჩვენს შვილებს სიკეთესა და სამართლიანობას, მშობელი მიწისა და მოყვასის სიყვარულს. მოგვიანებით, ქართველი ხალხის დიდმა შვილებმა აკაკი წერეთელმა,

* თარგმნილია ჟურნალიდან: "დეტსკაია ლიტერატურა", №6, 1982, გვ. 4 (შემდგ.).

ვაჟა-ფშაველამ, იაკობ გოგებაშვილმა, რაფიელ ერისთავმა და სხვებმა საფუძველი ჩაუყარეს ქართულ საბავშვო ლიტერატურას. ამ კეთილშობილურ საქმეში მათ შთააგონებდა ილია ჭავჭავაძის გენია. სწორედ მაშინ შეიქმნა საქართველოში პირველი საყმაწვილო ჟურნალები "ჯეჯილი" და "ნაკადული", რომლებმაც თავისი დროის საუკეთესო სამწერლო ძალები გააერთიანეს.* ("დროშა", №7, 1982, გვ 7-8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

156. სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება და სახელმწიფოებრივი სიბრძნე სწორედ ის არის, რომ ამაღლდე შენს თავზე, შენს თავს აჯობო, წყენა გადალახო და ჩათვალო, რომ გაზეთი, ყველაზე აღვირახსნილიც კი, თუკი რეგისტრირებულია, თუკი აკრძალული არ არის კანონის მიერ, ჩვენი გაზეთია, შენი ერის, შენი სახელმწიფოს გაზეთია, და ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №149-150, 1996 წლის 25 ივლისი, გვ. 4).

157. სახელმწიფოებრიობის მშენებლობა მარტო ჯარის შექმნა ან პოლიციის ფორმირება არ არის. შეიძლება ქვეყანას ორივე ეს უწყება ძლიერი ჰყავდეს, მაგრამ სრულყოფილი სახელმწიფო მაინც არ არის. კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის განვითარება სახელმწიფო პრიორიტეტად უნდა ჩაითვალოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №5, 1997 წლის 9 იანვარი, გვ. 2).

158. სტრასბურგის ფორუმზე (1997 წლის 11 ოქტომბერს — შემდგ.) გამოსვლისას მე შევთავაზე კოლეგებს — დავიწყოთ საუბარი საერთო კულტურული სივრცის შესახებ, შევქმნათ წანამძღვარი, რათა "დიდმა ევროპამ" საკუთარ მემკვიდრეობად აღიაროს ყველა ერის კულტურული მონაპოვარი (და, მე ვფიქრობ, მივდივართ აქეთკენ), მატერიალური თუ სულიერი ძეგლი. მაგალითად, არა მარტო სტრასბურგის შესანიშნავი საკათედრო ეკლესია, არამედ, ვთქვათ, სვეტიცხოველიც, ვარძიაც, გელათიც, ნიკორწმინდაც და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 2).

159. სუბიექტივიზმი, ადმინისტრირება, წინასწარ აკვიატებული დამოკიდებულება დამღუპველად მოქმედებს ტალანტის განვითარებაზე. მწერლის სული ვერ ეგუება ქედმაღლობას, დილეტანტობას, პრეტენზიულობას, მით უფრო ხელმძღვანელთა მხრივ.* ("კომუნისტი", №208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ. 2).

160. უაღრესად ძნელი და ამავე დროს ძალზე კეთილშობილური მისიაა — იყო საბავშვო მწერალი, ბავშვთა გულის მესაიდუმლე, ატყვევებდე და ინადირებდე მათს სულსა და გონებას, მათს ცნობიერებას ჯადოსნური მხატვრული სიტყვით, აყალიბებდე მათს მსოფლმხედველობას, სულიერ

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7, 1979, გვ. 4 (შემდგ.).

სამყაროს, ზნეობრივ სახეს, ასწავლიდე სიბეჯითეს, გარჯას, სიკეთეს, მეგობრობას, ჰუმანურობას, ზრდიდე პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.* ("დროშა", №7, 1982, გვ. 7).

161. უთანხმოება და კამათი ნორმაა ნებისმიერ შემოქმედებითს საქმეში.** ("კომუნისტი", №97, 1990 წლის 24 აპრილი. გვ.3).

162. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანები სხვადასხვა ხასიათისანი არიან, ზოგს ადვილად ატკენ გულს. ამიტომ მუდამ, თვით უმწვავეს სიტუაციებშიც კი... კრიტიკოსები ღრმა პატივისცემას უნდა იჩენდნენ მწერლის შრომის, მწერლის პიროვნების მიმართ.*** ("კომუნისტი", №208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ. 2).

163. ...უნდა შევეჩვიოთ მეცნიერული კატეგორიებით აზროვნებას, საჭიროა, როგორც ამას მშენებლები იტყვიან, შევქმნათ მარაგნამეტი, მეცნიერული იდეების, მეცნიერული ნამუშევრების მარაგნამეტი. (ე.ა. შევარდნაძე, "სასურსათო პროგრამა საერთო-პარტიული, საყოველთაო – სახალხო საქმეა! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე 1982 წლის 15 ივნისს",თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 23).

164. ...უპირველესი სავიზიტო ბარათი, რომლითაც ქართველი ერი უნდა წარსდგეს მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე, არის მწერლობა და ხელოვნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №222, 1992 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

165. ქართულ თეატრს იმთავითვე დაებედა ერის ინტერესებისათვის თავგანწირვა... ("საქართველოს რესპუბლიკა", №64, 1995 წლის 10 ივნისი, გვ. 1).

166. ...ქართული თეატრალური, კულტურული ფენომენი... არა მარტო ჩვენი ერის, არამედ ევროპული მემკვიდრეობის ნაწილია... ("საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 2).

167. ქართული თეატრი თავისი სულისკვეთებით ინტერნაციონალურია. სპექტაკლები იდგმება არა მარტო ქართველი, არამედ რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და... მრავალი სხვა ხალხის დრამატურგთა პიესების მიხედვით. ქართული თეატრის სცენაზე ახლებურად გაცოცხლდა მსოფლიო თეატრალური კლასიკა – პუშკინის, გოგოლის, გრიბოედოვის, ლერმონტოვის, ოსტროვსკის, შექსპირის, შილერის, ევრიპიდეს, სოფოკლეს ქმნილებანი. (ე.ა. შევარდნაძე, "საბჭოთა საქართველო", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 102).

168. ქართული კინო – ეს ცნება უკვე დიდი ხანია გაითავისა კინომაყურებელმა არა მარტო საქართველოში. გაითავისა როგორც სასურველი, როგორც ლამაზისა და ამაღლებულის სიმბოლო. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. არ შეიძლება შემთხვევითი იყოს ის, რომ

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "დეტსკაია ლიტერატურა", №6, 1982, გვ. 4 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №16, 1990 წლის 18 აპრილი, გვ. 9 (შემდგ.).

*** თარგმნილია ჟურნალიდან: "ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7, 1979, გვ. 4 (შემდგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ხსენებისას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სულ უცხო ადამიანებს, საქართველოზე ცოტა რამ რომ სმენიათ ისეთებსაც კი, ქართული კინო ახსენდებათ, ქართველი კინორეჟისორები, ქართველი კინომსახიობები. ეს, ალბათ, ყველაფერს ნიშნავს. შეიძლება უფრო მეტიც, ვიდრე პრიზები და ლაურეატობა, ვიდრე კინოს პროფესიული წრეების აღიარება. არც ეს აკლია ქართულ კინემატოგრაფს. („ქართული ფილმი", №34, 1992 წლის 17 დეკემბერი, გვ. 1).

169. ქართული კულტურა ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო იდეალებს ემსახურება. („საქართველოს რესპუბლიკა", №60, 1992 წლის 14 აპრილი, გვ. 2).

170. ქართული კულტურა ეროვნული სულის გამოხატულებაა. ტერორი კულტურაზე ნიშნავს ტერორს ეროვნულ სულზე, მისი დამონების მცდელობას. („საქართველოს რესპუბლიკა", №118-119, 1992 წლის 1 ივლისი. გვ. 1).

171. (ქართული კულტურა – შემდგ.)... მსოფლიო... ცივილიზაციის ერთ-ერთი უნიკალური, განუმეორებელი შემადგენელი ნაწილია. („საქართველოს რესპუბლიკა", №222, 1992 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

172. ქართული კულტურის მსოფლიო ავტორიტეტი მისმა ზოგადკაცობრიულმა ხასიათმა, ფართო ჰუმანისტურმა თვალსაწიერმა განაპირობა. ხალხთა შორის მეგობრობის, ურთიერთობის ის ფორმები, რაც დღეს ცივილიზებული აზრის მონაპოვრად ითვლება, ქართული კულტურის ძირძველ ისტორიულ საფუძველშიც ძევს. („საქართველოს რესპუბლიკა", №118-119, 1992 წლის 1 ივლისი, გვ. 1).

173. ქართული კულტურის ფენომენის განსაკუთრებულობის, მისი შემადგენელი ნაწილების, კომპონენტების უმაღლეს ღირებულებათა გათვალისწინებით, საქართველოს შეუძლია გამორჩეული როლი შეასრულოს კულტურული მემკვიდრეობის არა მარტო გადარჩენაში, არამედ, საერთოდ, თანამედროვე ევროპული კულტურის განვითარებაშიც. („საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 2).

174. ქართული მეცნიერება ერის სიამაყე, მისი ცივილიზაციის საზომია. („საქართველოს რესპუბლიკა" №192, 1993 წლის 2 სექტემბერი, გვ. 3).

175. ქართული მეცნიერება, კულტურა, ცივილიზაცია არა მხოლოდ ერთ-ერთი უძველესია, არამედ უნიკალურია თავისი არსით. კავკასია-საქართველოში ხვდებოდა ერთმანეთს აღმოსავლური და დასავლური, კავკასიური და ინდოევროპული კულტურები, ქრისტიანობა და ისლამი. აქ, ევროპისა და აზიის საზღვრებზე, როგორც ჩანს, კულტურათა შეხვედრის, კულტურათა დიალოგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კვანძი იყო. („საქართველოს რესპუბლიკა", №207, 1996 წლის 15 ოქტომბერი, გვ. 4).

176. ქართული მწერლობა ისეთი ფენომენია, რომლის შეფასება შეუძლებელია. იგი ხალხის სულიერების, ყოფიერების ბურჯია. („საქართველოს

რესპუბლიკა", №56, 1995 წლის 20 მაისი, გვ. 2).

177. ...ქვეყნის მომავალზე ზრუნვა აუცილებლად გულისხმობს ეროვნული მწერლობის, ერის ინტელექტუალური პოტენციალის, ამ უმაღლესი გამოხატულების ფაქტების გათვალისწინებას პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სულიერი ცხოვრების სფეროში. ("იბერია-სპექტრი", №39, 1992 წლის 16-22 აპრილი, გვ. 2).

178. ყველა პრობლემა გადაილახება, თუკი მუშაობს აზრი. აზრს შეუძლია დაამარცხოს უხეში ძალის კულტი, უზნეობა, აბსურდი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №262, 1993 წლის 14 დეკემბერი, გვ. 1).

179. ყველა შემოქმედმა... უნდა იცოდეს, რომ, თუ ორივე არა, ცალი ფეხი მაინც მშობლიურ მიწაზე უნდა ედგას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №51, 1997 წლის 5 მარტი, გვ. 2).

180. ყველაზე პროგრესული, ყველაზე ნაყოფიერი იდეებიც კი არ არის მარადიული. დრო, გარემოებები, კონკრეტული სიტუაცია ყველაფერს თავის ვადას მოუნიშნავს ხოლმე, და არაფერია დროგადასული იდეების ხვედრზე უფრო დამაღონებელი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 24.).

181. ყველასათვის ცნობილია, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინსვლის, აგრეთვე მხატვრულ-შემოქმედებითი სფეროს განვითარების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა. ამიტომ მისი დაუფლება, შესაბამისი სტრუქტურებისა და სპეციალისტების გააქტიურება ერთობ აქტუალურია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №219, 1996 წლის 31 ოქტომბერი, გვ. 1).

182. ყოველ ეპოქას ამოძრავებს და აწინაურებს შეუცნობადში გაჭრილი ახალი აზრი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №243, 1996 წლის 4 დეკემბერი, გვ. 1).

183. ყოველთვის, როცა მიჭირდა, ქართულ მწერლობას მივმართავდი და ყოველთვის ვპოულობდი შვებას, სიმხნევეს, სიმტკიცეს. ("ლიტერატურული საქართველო", №30, 1993 წლის 23 ივლისი, გვ. 2).

184. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ აზროვნების სტილი განსაზღვრავს მოქმედების სტილს, მოქმედების დიალექტიკას, ("ახალგაზრდა კომუნისტი", №69, 1973 წლის 12 ივნისი, გვ. 3).

185. ...ყოველი შრომის ღირებულების საზომი არის არა ამა თუ იმ მეცნიერული შრომის რეალური არსებობა, არამედ ის, თუ რას აძლევს იგი მეცნიერებას, საზოგადოებას, ადამიანს. ("კომუნისტი", №110, 1983 წლის 12 მაისი, გვ. 2).

186. ყოველი ხალხის კულტურა მხოლოდ მაშინ აყვავდება, თუ უკუაგდებს მოძველებულ ელემენტებს, განავითარებს და გაამრავლებს

ყოველივე პროგრესულს თავის კულტურაში. ეს პროგრესული კი არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს არ იყოს ეროვნულიც და ზოგადკაცობრიულიც. ("ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 3).

187. შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების რომელიმე სხვა დარგზე უფრო მეტად მუსიკას ეკუთვნის დიადი მისია ამკვიდრებდეს ადამიანთა ურთიერთგაგებას, აახლოებდეს მათ, ხელს უწყობდეს მათს დამოყვრებას. სწორედ იგი, ეს დიდი ჯადოქარი — მუსიკა აერთიანებს მილიონების აზრებსა და გრძნობებს. მაშასადამე, აერთიანებს მათს ნებასა და მოქმედებას. ეს არის მუსიკის ჰუმანისტური მისია, მისი ჰუმანისტური ბუნება. ("კომუნისტი", №247, 1981 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

188. ჩემი აზრით, საჭირბოროტო თემაზე შექმნილი გულწრფელი, ღრმა და ნათელი ფილმი ან ლიტერატურული ნაწარმოები ზოგჯერ უფრო ჭრის, ძლიერ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, ვიდრე ყველაზე სწორი დადგენილება.* ("კომუნისტი", №119, 1981 წლის 29 აგვისტო, გვ. 2).

189. ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მწერლის ცოცხალ სიტყვას, მწერლის აზრს, მწერლის ავტორიტეტი გამორჩეული განძია ნებისმიერი ცივილიზაციისათვის.** ("კომუნისტი", №208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ. 1).

190. ჩვენ ვიხსენით ქართული კულტურა. ახლა კულტურის ახალი რენესანსია საჭირო.

უფრო ფართოდ უნდა გავიტანოთ პეტრე იბერისა და პეტრიწის, რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის, ფალიაშვილისა და ფიროსმანის ერის კულტურა მსოფლიოში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №120, 1997 წლის 27 მაისი, გვ. 3).

191. ჩვენი ეროვნული მეცნიერება მსოფლიო სამეცნიერო ნაკადის განუყოფელი ნაწილია და ამ თვალსაზრისით, იგი საკაცობრიო მნიშვნელობის ფენომენსაც წარმოადგენს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №33, 1998 წლის 10 თებერვალი, გვ. 2).

192. ... ჩვენი მთავარი დასაყრდენი, ჩვენი მთავარი იმედი მეცნიერებაა, მეცნიერული მეთოდების დანერგვა. ისინი ბევრად უნდა უსწრებდნენ პრაქტიკას, იყვნენ პრაქტიკაზე წინ. (ე.ა. შევარდნაძე, "სასურსათო პროგრამა საერთო-პარტიული, საყოველთაო-სახალხო საქმეა! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმზე 1982 წლის 15 ივნისს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 22).

193. ჩვენი ყველაზე დიდი კაპიტალი — ჩვენი ხალხის ინტელექტუალური პოტენციალია... ("იბერია-სპექტრი", №53, 1992 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 2).

194. წარსული ძველი ამფორის ნამსხვრევივით არის. ზოგისთვის ეს

* თარგმნილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №34, 1981 წლის 23 აგვისტო, გვ. 13 (შემდგ.).
** თარგმნილია ჟურნალიდან: "ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7, 1979, გვ. 3 (შემდგ.).

მხოლოდ გაქვავებული თიხაა, ზოგისთვის — ესთეტიკური ჭვრეტის საგანი. დაკვირვებული არქეოლოგი კი ამით კითხულობს მივიწყებულ ამბებსა და ფაქტებს, რომლებსაც ბევრი რამის სწავლება შეუძლია. ("ლიტერატურული საქართველო", №41, 1982 წლის 7 ოქტომბერი, გვ.2).

195. წარსულის დიდოსტატები მარად დარჩებიან ჩვენთან. პოეტის თქმისა არ იყოს, "ძველ დიდოსტატებს არ უჭირდათ ტანჯვის გაგება". (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 122).

196. ჭეშმარიტება კამათში იბადება, მაგრამ ნებისმიერი ჭეშმარიტება როდი შეიძლება იყოს მისაღები, ვინაიდან ზოგი მათგანი მოკლებულია ოპტიმისტურ, ჯანსაღ საფუძველს.* ("კომუნისტი", №97, 1990 წლის 14 აპრილი, გვ. 1).

197. ჭეშმარიტების ტაძართან მხოლოდ ჭეშმარიტი მეცნიერება მიგვიყვანს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №236, 1992 წლის 17 ნოემბერი, გვ. 1).

198. ჭეშმარიტი ეროვნული კულტურა მოკლებული ვერ იქნება ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას.** ("ლიტერატურული საქართველო", №40, 1982 წლის 1 ოქტომბერი, გვ. 3).

199. ჭეშმარიტი ხელოვნება ადამიანთმცოდნეობაა და ადამიანის, ადამიანთა საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების პირუთვნელი ამსახველი უნდა იყოს. ("საქართველოს კომუნისტი", №3, 1980, გვ. 12).

200. ჭეშმარიტი ხელოვნება მხოლოდ ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირით იქმნება. ("საქართველოს კომუნისტი", №3, 1980, გვ.12).

201. ხალხის სული ღიაა მშვენიერების შესაგრძნობად. ღრმა, თავისებური, გულწრფელი ნაწარმოები მძლავრ გამოძახილს პოულობს ადამიანთა გულში, მას შეუძლია გააერთიანოს ისინი, კეთილშობილური, წრფელი ზრახვებისათვის.*** ("ლიტერატურული საქართველო", №40, 1982 წლის 1 ოქტომბერი, გვ. 2).

202. ხალხს უნდა სჯეროდეს თავისი გმირებისა, რომლებიც ზნეობისა და თავდადების მაგალითებს ქმნიან. თუ თანამედროვეთა შორის არ მოიძებნა გმირი, გმირული მაგალითი, ერის მოჭირნახულე მწერალი წარსულში მოიძიებს ამგვარ მაგალითს, გარდასულ საუკუნეთა მოღვაწეთ გააცოცხლებს მხატვრული ნიჭითა და შთაგონებით, მათი მეშვეობით გააღვიძებს ერში იმედის ნაპერწკალს, აანთებს მას ყოვლისშემძლე რწმენად, გამარჯვების უმთავრეს მიზეზად და წყაროდ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №290, 1997 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

203. ხელისუფლება და ხალხი — საზოგადოება ქვეყნის ერთიანი სხეულია. პრესა კი, რომელიც აყალიბებს და, იმავდროულად, წარმოაჩენს

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №16, 1990 წლის 18 აპრილი, გვ. 1 (შემდგ.).

** თარგმნილია ჟურნალიდან: "სოვეტსკი სოიუზ", №9, 1982, გვ. 9 (შემდგ.).

*** თარგმნილია ჟურნალიდან: "სოვეტსკი სოიუზ", №9, 1982, გვ. 8 (შემდგ.).

ობიექტურ საზოგადოებრივ აზრს, თანაბრად ანგარიშგასაწევი უნდა იყოს უკლებლივ ყველასათვის, ქვეყნის პრეზიდენტი იქნება იგი თუ რიგითი მოქალაქე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 3).

204. ხელოვანის გულწრფელობა მხატვრული ნაწარმოების წარმატების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. თვალთმაქცობა შობს მხოლოდ სიყალბეს, ყოველივე ეს კი იწვევს ლიტერატურისა და ხელოვნების დეგრადაციას. ("ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 3).

205. ხელოვანს შეუძლია და უნდა იყოს კიდეც აბსოლუტურად თავისუფალი თავისი ნაწარმოების ჟანრის, თემის, ფორმის, სტილის შერჩევაში. მაგრამ არ შეიძლება ცხოვრობდე საზოგადოებაში, საერთოდ რეალურ სამყაროში და თავისუფალი იყო საზოგადოებისაგან. ეს აზრი მსოფლიოს მრავალ ჰუმანისტს გამოუთქვამს.

... შემოქმედების თავისუფლება, ჩვენეული გაგებით, არ ნიშნავს განთავისუფლებას მოქალაქეობრივი მოვალეობისაგან, ჰუმანიზმის უმაღლესი პრინციპებისაგან. ასეთ თავისუფლებას ჩვენ არ ვცნობთ.* ("ლიტერატურული საქართველო", №40, 1982 წლის 1 ოქტომბერი, გვ. 2).

206. ხელოვნება ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე ცხოვრების ნაწილია.** ("ლიტერატურული საქართველო", №40, 1982 წლის 1 ოქტომბერი, გვ. 2).

207. ხელოვნება ვერ ჰგუობს შაბლონს, სტანდარტს, ბანალურ აზრებსა და ბანალურ გრძნობებს, იგი ახალ ფორმებსა და ახალ სახეებს მოითხოვს. ("კომუნისტი",№247, 1981 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

208. ხელოვნების სპეციფიკური ამოცანაა... ადამიანის ცხოვრების ღირებულებათა შექმნა და ადამიანის ორიენტირება ამ ღირებულებებზე. ("ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 2).

209. ხელოვნების ყოველი ნიჭიერი ნაწარმოები, ყოველი წიგნი, ყოველი კინოფილმი უნდა უღვივებდეს ადამიანს მშობლიური მხარის სიყვარულს, მისი კიდევ უფრო გამშვენიერების წადილს. ("კომუნისტი", №284, 1981 წლის 11 დეკემბერი, გვ. 2).

210. ...ხელოვნის გული, შემოქმედის ფსიქიკა, მისი სული საოცრად მდიდარი, უნიკალური, მაგრამ ამასთან ერთობ მგრძნობიარე, ფაქიზი, ხშირად კი ნაზი მოვლენაც არის... ძალზე საჭიროა დროზე შეამჩნიო ხელოვანის წარმატება, მხარში ამოუდგე მას წარუმატებლობის ჟამს. (ე.ა. შევარდნაძე,"საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 110).

211. ხომ რთულია ეკონომიკის მართვა, მაგრამ კიდევ უფრო რთულია ხელი შეუწყო თანამედროვე ადამიანის სწორ ჩამოყალიბებას, მისი სულიერი სამყაროს გამდიდრებას, მით უფრო, თუ იგი მწერალი და

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "სოვეტსკი სოიუზ", №9, 1982,გვ. 8-9 (შემდგ.).

** თარგმნილია ჟურნალიდან: "სოვეტსკი სოიუზ", №9, 1982, გვ. 8 (შემდგ.).

ხელოვანია, ამ სიტყვის ფართო გაგებით. * ("კომუნისტი",№208, 1979 წლის 7 სექტემბერი, გვ. 1).

212. ჰამურაბის კანონებს და მონტესკიეს "კანონთა სულს", თავის დროზე ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდათ ცივილიზაციისათვის, როგორც "გილგამეშის" ეპოსს ან ტოლსტოის "ომსა და მშვიდობას", ერთნი კაცობრიობის სამართლებრივ აზროვნებას სრულყოფდნენ, მეორენი — მხატვრულ აზროვნებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №151, 1993 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ლიტერატურნოე ობოზრენიე", №7, 1979, გვ. 4 (შემდგ.).

# VIII. სწავლა-აღზრდის, განათლების, ცოდნის, სკოლის, წიგნის, პედაგოგიკის, მასწავლებლის დანიშნულების, ენის, ახალგაზრდობის, არმიის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ადამიანი და წიგნი განუყოფელი ცნებებია. („ლიტერატურული საქართველო", №21, 1984 წლის 18 მაისი, გვ. 3).

2. ალპინიზმი... ნამდვილად მამაცი ადამიანების სპორტია... უკეთ უნდა გავუწიოთ პროპაგანდა და პოპულარიზაცია ალპინიზმს. ეს ადამიანთა ურთიერთობის ბრწყინვალე სკოლაა. („ლელო", №19, 1984 წლის 26 იანვარი, გვ. 4).

3. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახალგაზრდები ძალზე დაკვირვებით ადევნებენ თვალს, თუ როგორ იქცევა სპორტსმენი, როგორ უჭირავს მას თავი შეჯიბრებაში თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბავშვები ყველაფერში ბაძავენ თავიანთ კერპს და ერთგვარ ეტალონადაც მიაჩნიათ იგი. ამიტომ სპორტსმენს განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. გვინდა, რომ სპორტსმენებს მუდამ ახსოვდეს ეს. („კომუნისტი",№162, 1977 წლის 13 ივლისი, გვ. 2).

4. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალგაზრდობის თაოსნობისა და სასარგებლო საქმის მხარდაჭერას, სხვა არა იყოს რა, უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს, ხელს უწყობს მისი აქტიურობის შემდგომ ზრდას, და პირიქით, თუ ვერ შევნიშნეთ და მხარი არ დავუჭირეთ კარგ წამოწყებას, — ეს იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდა თაობაში დავთესოთ გულგრილობის თესლი, აღვზარდოთ ცხოვრების პასიური მჭვრეტელნი. („ახალგაზრდა კომუნისტი", №24, 1978 წლის 25 თებერვალი, გვ. 4).

5. არმია მხოლოდ უშუალო ბრძოლებით არ ახორციელებს თავის დანიშნულებას. ძლიერი არმია ძლიერი და ეფექტიანი პოლიტიკის პირობაცაა. („საქართველოს რესპუბლიკა", №275, 1997 წლის 4 ნოემბერი, გვ. 3).

6. არმია ხალხისა და სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავია, მისი არსებობის უმთავრესი მიზანი კი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფაა. („საქართველოს რესპუბლიკა", №98, 1997 წლის 1 მაისი, გვ. 1).

7. არმიაცა და კულტურაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების ერთიანი კომპლექსის შემადგენელი ნაწილებია და მათ პრობლემებს სწორედ ამგვარად უნდა მივუდგეთ. („საქართველოს რესპუბლიკა", №131, 1997 წლის 8 ივნისი, გვ. 2).

8. ...აღვზარდოთ სკოლაში მოსწავლეები დემოკრატიზმის, დიახ, დემოკრატიზმისა და დისციპლინის პრინციპებზე, საჭიროა აზრის გამოთქმის თავისუფლების ატმოსფეროს შექმნა, ისეთი ატმოსფეროს შექმნა, როდესაც ბავშვი არაფერს არ იტოვებს თავისთვის და ყველაფერს,

რაც მას აწუხებს, მასწავლებელს გაუზიარებს. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 41).

9. აღზრდა ემყარება დარწმუნების მეთოდს: ძალით კაცს ვერ აღზრდი. მხოლოდ დარწმუნების გზით შეიძლება ადამიანში აანთო რწმენის ჩირაღდანი, რომელიც მას გზას გაუნათებს ცხოვრებაში. ("ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ.37).

10. აღზრდის პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, თუ რა ფაქტობრივ მასალას ვაწვდით მოსწავლეებს, არამედ იმასაც, თუ რა მომენტებზე არის აქცენტირებული ყურადღება, რა მოვლენებზე ვაკეთებთ აქცენტს. (ე. შევარდნაძე," ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა";თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 29).

11. აღზრდის უფლება, მე ვიტყოდი, ყველაზე პასუხსაგები უფლებაა. ("კომუნისტი", №80, 1982 წლის 6 აპრილი, გვ.2).

12. ახალგაზრდებს... განსაკუთრებით ახასიათებთ შემოქმედებითი შემართება და სითამამე, არაშაბლონური აზროვნება, მათ არ ბორკავს მრავალწლოვანი გამოცდილების ინერცია, მათთვის უფრო იოლია გარდაიქმნან, აითვისონ ყოველივე ახალი და მოწინავე.* ("საქართველოს კომუნისტი", №1, 1985, გვ. 40).

13. ახალგაზრდობა განსაკუთრებით ნიჭიერი, შემოქმედებითი ახალგაზრდობა ერის სამამულე რქაა. ის ყოველდღე უნდა გრძნობდეს ერისა და ხელისუფლების ყურადღებას და ზრუნვას.

ახალგაზრდობა ჩვენი იმედი და მომავალია. პლურალისტურ, თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში ახალგაზრდობამ ეროვნული და ჰუმანისტური ორიენტაცია არასოდეს არ უნდა დაკარგოს, ("საქართველოს რესპუბლიკა", №318, 1997 წლის 20 დეკემბერი, გვ. 1).

14. ახალგაზრდობა ჩვენი იმედი, ჩვენი მომავალია. და იმაზე, თუ რა თვისებებს იძენს დღეს იგი, თუ რა გეზი აქვს მას აღებული, დიდად არის დამოკიდებული რესპუბლიკის ბედი. ("კომუნისტი", №154, 1975 წლის 2 ივლისი, გვ. 4).

15. ახალგაზრდობა ჩვენი ცვლაა, და გვინდა, რომ იგი მუდამ გრძნობდეს დროთა ცოცხალ კავშირს, სწავლობდეს ცხოვრების აღქმას მთელი მისი სიღრმითა და სირთულით, შეგნებული ჰქონდეს თავისი როლი და პასუხისმგებლობა ხვალინდელი დღისათვის ისე, როგორც ეს შეგნებული ჰქონდათ მის მამა-პაპებს. ("კომუნისტი", №300, 1983 წლის 31 დეკემბერი, გვ. 2).

* თარგმნილია ჟურნალიდან: "კომუნისტ", №18, 1984, გვ. 34 (შემდგ.).

16. ახალგაზრდობას არ უყვარს ქედმაღალი და თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე მუშაკები, რომელთაც კარიერისტული მიზნები და განდიდების მანია ამოძრავებთ. ("სტალინელი" (ქუთაისი), №4. 1953 წლის 7 იანვარი, გვ. 3).

17. ახალგაზრდობას ახასიათებს მჩქეფარე ენერგიის გამოვლენა. სპორტი ამის დიდ შესაძლებლობას იძლევა, თავიდან აცილებს მას ლოთობასა და ნარკომანიას. ("ლელო", №19, 1984 წლის, 26 იანვარი, გვ. 4).

18. ...ახალგაზრდობისთვის ყველაზე აუცილებელია: სულ არაფრიდან ცხოვრების დაწყების უნარი, როცა არაფერი არ არსებობს და შენი გონებისა და ძალისხმევის წყალობით, ყველაფერი სიცარიელიდან წარმოიქმნება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 59).

19. ახალი ათასწლეულის წინ ბუნებრივია იფიქრო თაობათა მემკვიდრეობითობაზე. მემკვიდრეობითობა — ეს ხომ ახალგაზრდობის მიერ მარტოოდენ წინა თაობების დაწყებული საქმის განგრძობა როდია, ეს არის აგრეთვე უნარი — განავითარო და თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანო იგი, გასცდე არსებულ ჩარჩოებს შთანაფიქრითა და შემოქმედებითი შემართებით. აი, რად მართებს ახალგაზრდობას უფრო ბეჯითად ისწავლოს, შეიარაღდეს ყოველივე იმ საუკეთესოთი, რაც კი რამ გაგვაჩნია დღესდღეობით, მოიხმაროს შეძენილ გამოცდილებასთან ერთად თავისი ცოდნა, თავისი გაზრდილი ინტელექტი...* ("საქართველოს კომუნისტი", №1, 1985, გვ. 41).

20. ბავშვებთან აღმზრდელის ცოცხალ ურთიერთობაში მთავარია გულწრფელობა ყველგან და ყველაფერში: გულწრფელი დამოკიდებულება ბავშვისადმი, სიკეთისა და სიმართლის იდეალების გულწრფელი რწმენა, წრფელი წადილი ხედავდე ყოველ ადამიანში ჩვენი საზოგადოების ღირსეულ მოქალაქეს.** ("სახალხო განათლება", №87, 1981 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 2).

21. ბავშვები ჩვენი მერმისი, ჩვენი ნათელი მომავალია. ("კომუნისტი", №228, 1981 წლის 3 ოქტომბერი, გვ. 1).

22. ბავშვების განათლება საღვთო საქმეა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №154, 1994 წლის 1 სექტემბერი, გვ. 1).

23. ბავშვებსა და ახალგაზრდებში შეუწყნარებლობის გამოვლენა განსაკუთრებით საშიშ სახეს იღებს ენის, რელიგიის, კულტურული მემკვიდრეობის ნიადაგზე იმის გამო, რომ მოზარდები მოუმზადებელნი აღმოჩნდებიან ხოლმე მოზრდილთა რთულ, წინააღმდეგობრივ და ულმობელ სამყაროში შესვლისას.

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "კომუნისტ", №18, 1984, გვ. 25 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "კომსომოლსკაია პრავდა" №247, 1981 წლის 27 ოქტომბერი, გვ.1 (შემდგ.)



ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელზე დიდად არის დამოკიდებული, რომ შეცვალოს ბავშვის ეს არამართებული წარმოდგენა იმ ხალხზე, რომლებიც სხვა ენაზე მეტყველებენ, სხვა ღმერთი სწამთ, ხასიათდებიან სხვადასხვა ჩვევითა და მანერით.

სახელდობრ, მასწავლებელზე დიდად არის დამოკიდებული თუ რა თვალით უყურებენ მისი აღსაზრდელები გარესამყაროს, სხვა ხალხებს. ("თაობა", №7, 1996 წლის 26 ოქტომბერი, გვ. 1).

24. ბედნიერი კაცი ვიქნებოდი, ბავშვებთან რომ მემუშავა. ("დრონი", №37, 1993 წლის 9 ივნისი, გვ. 4).

25. ბევრი ენის ცოდნა ნამდვილი სიმდიდრეა... მინდა კვლავ გავიმეორო ხალხური სიბრძნე: რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარ. ამიტომ სწორედ პატარაობიდანვე უნდა ვასწავლოთ ჩვენს ბავშვებს სხვადასხვა ენა, როცა ისინი უკეთ და უფრო ადვილად ეუფლებიან მას. ("კომუნისტი", №150, 1982 წლის 27 ივნისი, გვ. 3).

26. გაბედულად მივანდოთ ახალგაზრდობას სერიოზული საქმეები, ჩავაბაროთ მას მუშაობის პასუხსაგები უბნები, მისი ინტერესების, საჭიროებების, პრობლემებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №24, 1978 წლის 25 თებერვალი, გვ. 4).

27. (განათლების სისტემა — შემდგ.)... ეს არის სფერო, სადაც დაუშვებელია გაუმართლებელი აჩქარება, ვინაიდან საქმე ეხება მოზარდის ცნობიერებას, სრულფასოვან, ღირსეულ მოქალაქედ მის ჩამოყალიბებას. ჩემი აზრით, სკოლის უმთავრესი ფუნქცია სწორედ ეს არის — ხელი შეუწყოს პიროვნების, მოქალაქის ჩამოყალიბებას, აზიაროს იგი უზენაეს საკაცობრიო ღირებულებებს, შესძინოს მას ცოდნა, ანუ ის ფასდაუდებელი სიმდიდრე, რომელიც როგორც დიდი პოეტი ამბობდა, სიკვდილამდე შენთან არის და ყოველთვის გაგინათებს გზას.

... დემოკრატიული ქართული სახელმწიფოსათვის განათლება ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი არის და იქნება. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ სახელმწიფოს მხრივ არა მარტო მორალურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას, არამედ მიზანმიმართულ სოციალურ პოლიტიკასაც ამ დარგში.

სულ უფრო ამაღლდება მასწავლებლის, როგორც საზოგადოების უპირველესი კირითხუროს სოციალური ცენზი და როლი. საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფას, რა თქმა უნდა, საზღვარი არა აქვს და არც ექნება. ჩვენ უნდა ვესწრაფოთ იდეალს, როდესაც საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ერთ-ერთი საუკეთესო გახდება ცივილიზებულ ერთა შორის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №215, 1997 წლის 2 სექტემბერი, გვ. 1-2).

28. გულახდილობა ახალგაზრდობასთან ურთიერთობის უმნიშვ-

ნელოვანესი პრინციპია. * ("საქართველოს კომუნისტი", №1, 1985, გვ. 31).

29. დავიხსომოთ: ენის ნორმების დაცვა უფაქიზესი საქმეა და იგი ღირსების დაცვასთანაც დიდად არის დაკავშირებული. ("საქართველოს რესპუბლიკა", №87, 1997 წლის 17 აპრილი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. დავიხსომოთ, რომ არ შეიძლება შეიარაღებული ძალები პოლიტიზირებული იყოს და არ დავუშვათ შეიარაღებული ძალების პოლიტიზირება. არ შეიძლება შეიარაღებული ძალები ემსახურებოდნენ რომელიმე პოლიტიკურ ძალას, რომელიმე პოლიტიკურ პარტიას... ნურავინ ეთამაშება შეიარაღებულ ძალებს. ის დასკვნები, რომლებიც ჩვენ გამოვიტანეთ, საბოლოო და სამუდამოა. საქართველოში აღარასოდეს განმეორდება ის, რაც მოხდა, როცა ცალკეული ნაწილები ცალკეული პარტიების ნებასურვილის გამომხატველნი იყვნენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №275, 1997 წლის 4 ნოემბერი, გვ. 3).

31. დემოკრატიულ ქვეყანაში არმია ერთ-ერთი დემოკრატიული ინსტიტუტია, თუმცა მას, რა თქმა უნდა, თავისი სპეციფიკა აქვს — იგი არ მონაწილეობს (არც უნდა მონაწილეობდეს) შიდაპოლიტიკურ პროცესებში. სამხედროები არ ერევიან პოლიტიკაში და მხოლოდ ხელისუფლების ბრძანებით იწყებენ მოქმედებას ქვეყნის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დასაცავად, როცა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება გაიცემა.

ამავე დროს, არმიის მშენებლობა მუდმივი პროცესია. სამხედრო ძალის სრულყოფას საზღვარი არა აქვს, და რაც უფრო ძლიერი, მდიდარი და სტაბილურია ქვეყანა, მით უფრო მძლავრია არმია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №275, 1997 წლის 4 ნოემბერი, გვ. 2).

32. დიდია წიგნის როლი, დიდია მისი დანიშნულება მეცნიერების, განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — მთელი საკაცობრიო კულტურის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაში. ("ლიტერატურული საქართველო", №21, 1984 წლის 18 მაისი, გვ. 3).

33. დღეს საქართველოში ქართული სკოლების გარდა ფუნქციონირებს 89 რუსული, 133 სომხური, 155 აზერბაიჯანული, 4 ოსური სკოლა და ა. შ. მათთვის შეიქმნა 21 ახალი სახელმძღვანელო. ეს... არა მარტო ჩვენი პასუხისმგებლობის საკითხია ამ ხალხების წინაშე, რომლებიც ჩვენთან ერთად ცხოვრობენ ჩვენს ქვეყანაში — ჩვენი მოქალაქეები არიან, არამედ ჩვენი სიამაყის საგანი. მე არ ვიცი, იქნებ ბევრმა სახელმწიფომ, ვერც შეძლოს ასეთი ციფრები დაასახელოს, მხედველობაში მაქვს მრავალეროვნული სახელმწიფოები. ამ მონაპოვარს უნდა გავუფრთხილდეთ და ეს მოსახლეობაც ამას სათანადოდ დააფასებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 5).

---

* თარგმნილია ჟურნალიდან "კომუნისტ", №18, 1984, გვ. 25 (შემდგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. ენა ადამიანის მიერ შექმნილ ფენომენთა შორის ერთ-ერთი ყველაზე საკვირველი და გენიალური ფენომენია. ("კომუნისტი", №119, 1979 წლის 24 მაისი, გვ. 3).

35. ენის ერთობა ერის ერთ-ერთი წამყვანი ფენომენია. ("სკოლა და ცხოვრება", №12, 1976, გვ. 27).

36. ერთი დიდი მოაზროვნე ამბობდა: ბედნიერების ღირსი ის არის, ვინც ყოველდღე ამისათვის იბრძვისო. ერთხელ მოპოვებულით ტკბობა გაყინვას და დამარცხებას ნიშნავს. ისტორიის ეს გაკვეთილი ახალგაზრდობამ ცხოვრების გზის დასაწყისშივე უნდა შეიმეცნოს და შეისისხლხორცოს. მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა უდიდესი სოციალური მამოძრავებელი ძალაა. ეს ძალა აქცევს დღევანდელ დღეს გუშინდელზე უკეთესად, ხვალინდელ დღეს დღევანდელზე უკეთესად. ამიტომ ურჩევნია მამულს, რომ შვილი სჯობდეს მამას, მომავალი სჯობდეს დღევანდელობას — ასეთია ამ ხალხური სიბრძნის ფილოსოფია. ("სამშობლო", №1, 1983 წლის იანვარი, გვ. 2).

37. ესთეტიკური აღზრდის გარეშე წარმოუდგენელია ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 37).

38. ვინც სერიოზულად ფიქრობს თავისი დარგის განვითარებაზე, მის მომავალზე, მან არ შეიძლება არ იფიქროს იმ უმაღლესი სასწავლებლებისათვის დახმარებაზეც, რომლებიც კადრებს უმზადებენ მათ დარგს, სასწავლო და სალაბორატორიო კორპუსების მშენებლობისათვის რეალურ დახმარებაზე, უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიით მათს აღჭურვაზე. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. — საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 80-81).

39. ვფიქრობთ, რომ ტელევიზია, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული კინო, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი არ უნდა ასრულებდნენ წიგნის კონკურენტების როლს. უფრო მეტიც, ისინი თავად უნდა გახდნენ კითხვის კულტურის თავისებური დამნერგავები. წიგნის კითხვა — ეს შრომითი საქმიანობის სახეობაა, დიდი და სერიოზული შრომაა, რომელიც მოითხოვს დიდ, შინაგან დისციპლინას, ორგანიზებულობას და თუ გნებავთ, გარკვეულ სიმტკიცესაც. ("ლიტერატურული საქართველო", №21, 1984 წლის 18 მაისი, გვ. 3).

40. ზოგიერთს ჰგონია, რომ ბურთის თამაში, საერთოდ თამაში ერთგვარად ეწინააღმდეგება სწავლას. ეს ნებსით თუ უნებლიეთ ანტიპედაგოგიური განწყობილება გახლავთ. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 38).

41. ზოგჯერ ვაგვიანებთ ხოლმე ბავშვების აღზრდას, რადგან გვგონია, რომ პატარაობისას ისინი ვერ აღიქვამენ ყველა ჩვენს მოთხოვნას და სწორედ ამიტომ, მოგვიანებით ჩვენ გვიხდება უკვე არა აღზრდა, არამედ აღზრდა-გასწორება, რაც გაცილებით ნაკლებეფექტიანია.* ("სახალხო განათლება", №87, 1981 წლის 30 ოქტომბერი, გვ.2).

42. თანამედროვე პედაგოგი უნდა იცნობდეს სკოლამდელთა პედაგოგიკას, საოჯახო პედაგოგიკას. თითოეული პედაგოგი კარგად უნდა ერკვეოდეს იმ მეცნიერებებში, რომლებიც ემიჯნება პედაგოგიკას, სწავლობს ადამიანს, ადამიანთა საზოგადოებას. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 25).

43. თანამედროვე პედაგოგმა შესანიშნავად უნდა იცოდეს პედაგოგიურ მეცნიერებათა სისტემა, საერთო-სასკოლო პედაგოგიკა, აღზრდის თეორია, სწავლების თეორია, განათლების თეორია, პედაგოგიკის ისტორია, სახალხო განათლების ისტორია, სხვადასხვა პედაგოგიკურ მოძღვრებათა ისტორია, თითოეულმა პედაგოგმა შესანიშნავად უნდა იცოდეს თავისი საგნის სწავლების კერძო მეთოდიკა — იქნება ეს მათემატიკა, ისტორია, ენათმეცნიერება, ბუნებისმეტყველება, ფიზიკა თუ სხვა რომელიმე საგანი. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 24-25).

44. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართველი ერის ისტორიული სამეცნიერო ცენტრებისა და აკადემიების — მათ შორის ფაზისის, გელათის, პეტრიწონის, იყალთოს აკადემიების მემკვიდრე და საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა დედაა, მეცნიერების ის უკვდავი ტაძარია, რომელმაც ამ საუკუნის დამდეგს არსებითად დასაბამი მისცა საქართველოში უმაღლეს განათლებას... ("კომუნისტი", №97, 1982 წლის 25 აპრილი, გვ. 3).

45. თბილისის უნივერსიტეტი XX საუკუნის საქართველოს მეცნიერების, კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ყველაზე ღირსეული კერაა. თბილისის უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული თანამედროვე ქართული მეცნიერების ფორმირება, მისი საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა. აქ ჩაეყარა საფუძველი ქართული ეროვნული აზრის აღმავლობის თითქმის ყველა დიდ გამოვლინებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №4, 1993 წლის 7 იანვარი, გვ. 1).

46. თითოეული მოქალაქისათვის, მიუხედავად პოლიტიკური მრწამსისა

* თარგმნილია გაზეთიდან: "კომსომოლსკაია პრავდა", №247, 1981 წლის 27 ოქტომბერი, გვ. 2 (შემდგ.).

და სოციალური მდგომარეობისა, არმია და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა ღვიძლი საქმე უნდა იყოს. იგი თავისთავად, საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე, ვერ იარსებებს და თუ მოსწყდება საკუთარი ხალხის მხარდაჭერასა და თანადგომას, მაშინ საზოგადოებისა და ქვეყნისათვის რეალურ საფრთხედ შეიძლება იქცეს. დემოკრატიული სისტემა ამგვარი არმიის არსებობას პრინციპულად გამორიცხავს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №275, 1997 წლის 4 ნოემბერი, გვ. 3).

47. ...თუ სულის გადარჩენა გვინდა, ეს უნდა იყოს ქართული სკოლის, განათლების, ქართული კულტურის გადარჩენა. ("განათლება", №4, 1994 წლის 3 მარტი, გვ. 1).

48. იმის მიუხედავად, რომ საქართველო არ აპირებს მილიტარისტული ქვეყანა გახდეს, ელემენტარული თავდაცვითი საშუალებები, ისევე, როგორც ყველა სხვა სახელმწიფოს, მასაც უნდა ჰქონდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №291, 1997 წლის 20 ნოემბერი, გვ. 1).

49. (კარგი, ნამდვილი წიგნი წარმოადგენს — შემდგ.) ...ჩვენი სულიერი ცხოვრების, კულტურისა და განათლების განვითარების საფუძველთა საფუძველს, ცოდნის წყაროსა და პროგრესის დამჩქარებელს. ("ლიტერატურული საქართველო", №21, 1984 წლის 18 მაისი, გვ. 2).

50. მასწავლებელი მაღალი ინტელექტის, მაღალი კულტურის, მაღალი ზნეობის განსახიერება უნდა იყოს. მისთვის უცხო უნდა იყოს... ლიბერალიზმი, ტენდენციურობა, არაობიექტურობა ცოდნის შეფასებაში, უკულტურობა, არაკვალიფიციურობა, არაკომპეტენტურობა და სხვა ანომალიური მოვლენები, რომლებიც შეუთავსებელია სკოლაში მუშაობასთან, მასწავლებლის წოდებასთან. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე, საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 24).

51. მასწავლებელი საოცრად გვაგონებს მოქანდაკეს, რომელიც გარკვეული მასალისაგან ცოცხალ ქმნილებას აქანდაკებს. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 18).

52. მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მას მოსწავლეების სახით თანამედროვეობა და მომავალი შემოსცქერის. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 42).

53. ...მასწავლებელს ხელის შეწყობა სჭირდება. თუ მას არ ექნება მუშაობის ელემენტარული პირობები, დაზარალდება სკოლაც და საზოგადოებაც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №51, 1997 წლის 5 მარტი, გვ. 2).

54. ...მასწავლებლები ყოველდღიურად უნდა ეუფლებოდნენ მსოფლიო

პედაგოგიკის კლასიკურ მემკვიდრეობას, მათთვის უცხო არ უნდა იყოს, — კრიტიკულად, ანალიზურად, შემოქმედებითად აღიქვან დემოკრიტე და პლატონი, არისტოტელე და კამპანელა, თომას მორი და ფრანსუა რაბლე, მიშელ მონტენი და კომენსკი, ლოკი და ჟან-ჟაკ რუსო, დიდრო და ოუენი, ბელინსკი და რადიშჩევი, პისარევი და გერცენი, პიროგოვი და უშინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ტოლსტოი და სხვა, ვისაც თავისი წვლილი შეუტანია მსოფლიო პედაგოგიური აზრის განვითარებაში. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 19).

55. მთელი სიცოცხლის მანძილზე გვინათებს გზას კარგი მასწავლებელი. იგი მიგვიძღვის არა მარტო ცოდნის მწვერვალებისაკენ, არამედ ცხოვრების მწვერვალებისკენაც.

ხალხში მუდამ იყო სულიერი მოძღვრის, მასწავლებლის კულტი. ისინი ყოველთვის განასახიერებდნენ მორალურ სიწმინდეს, ზნეობრივ სიმაღლეს, მაღალ ერუდიციას, განუმეორებელ ნიჭს. ("ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 2).

56. მიეცით ახალგაზრდობას შესაძლებლობა იფიქროს. დაე, თავად ჩასწვდეს, გულით მიხვდეს ზოგიერთ აშკარა ჭეშმარიტებას. მხოლოდ ასე უყალიბდება ადამიანს მტკიცე შეხედულებები, მხოლოდ ასე იძენს იგი პოლიტიკური მებრძოლის თვისებებს. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1984, გვ. 28).

57. მომავლის სარკე პირველსახეა ჩვენი ბავშვები. ჩვენს ბავშვებს რომ ვზრდით, ამით ვაყალიბებთ მომავლის სახეს.* ("დროშა", №7, 1982, გვ. 6).

58. მსოფლიოს ყველა ხალხის უამრავ ენასა და კილოკავში არის თავისებური, განუმეორებელი სილამაზე. ყველა ენა მშვენიერია. ("კომუნისტი", №13, 1979 წლის 16 იანვარი, გვ. 2).

59. მშობლიური ენის სიყვარული, მისი ღრმა ცოდნა სხვა ხალხთა ენებისადმი პატივისცემასაც გულისხმობს. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1983, გვ. 22).

60. მძლავრი ეკონომიკა მთელი იმ სოციალურ სიკეთეთა საფუძველი და ბალავარია, რომელსაც საზოგადოება ანიჭებს თავის მოქალაქეებს. ძალზე საჭიროა, ყოველმა ახალგაზრდამ კარგად შეითვისოს და ღრმად გაიცნობიეროს ეს ჭეშმარიტება, განუხრელად ხელმძღვანელობდეს მისით ყოველდღიურ ცხოვრებაში, შრომითს საქმიანობაში, სწორად განსაზღვრავდეს თავის ადგილსა და როლს, თავის წვლილს საზოგადოებრივი პროგრესის შემდგომ დაჩქარებაში. ამისათვის ჩვენი ახალგაზრდობა მტკიცედ უნდა ეუფლებოდეს მეცნიერული აზროვნების

* თარგმნილია ჟურნალიდან: "დეტსკაია ლიტერატურა", №6, 1982, გვ. 2 (შემდგ.).

და, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური აზროვნების საფუძვლებს.* ("საქართველოს კომუნისტი", №1, 1985, გვ. 38-39).

61. ნებისმიერი საზოგადოება, უწინარეს ყოვლისა, ეფუძნება სკოლას, მასწავლებელს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №51, 1997 წლის 5 მარტი, გვ. 2).

62. ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის სიცოცხლისუნარიანობას... ის განსაზღვრავს, თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი დროის მოთხოვნას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №273, 1997 წლის 2 ნოემბერი, გვ. 2).

63. ნებისმიერი ხალხის ენის ცოდნა ფასდაუდებელი სულიერი სიმდიდრეა. ("კომუნისტი", №23, 1979 წლის 27 იანვარი, გვ. 3).

64. ნებისმიერი ხალხის, მით უმეტეს, უახლესი მეზობლისა და ძმის ენის ცოდნა, ფასდაუდებელი სულიერი სიმდიდრეა. ("კომუნისტი", №13, 1979 წლის 16 იანვარი, გვ. 2).

65. (ნორჩი თაობის — შემდგ.)... აღზრდაზე, მათს ფორმირებაზე დიდად არის დამოკიდებული, თუ როგორი იქნება ცხოვრება მომავალში. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. — საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 156-157).

66. ოფიცერი არმიისა და ჯარისკაცის ნიმუშია; მისი პიროვნება თავისთავად არის ყველაზე ეფექტიანი და პირდაპირი პროპაგანდა, აღმზრდელობითი მუშაობის საფუძველი. ვერავითარი მოწოდებითა და პატრიოტული დეკლარაციით ვერ შევძლებთ წვევამდელთა ვალდებულების შეგნებულ შესრულებას, თუ სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებული ახალგაზრდა ერთდროულად დემორალიზებულიც იქნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №275, 1997 წლის 4 ნოემბერი, გვ. 3).

67. პედაგოგიური კოლექტივი იგივე შრომითი კოლექტივია, იგი არის... სპეციფიკური, პედაგოგიური კოლექტივი, განსაკუთრებული ინტელექტუალური და პედაგოგიური კულტურის კოლექტივი. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 39).

68. პიროვნების ჰარმონიული განვითარება გულისხმობს არა მარტო ინტელექტუალურ და ზნეობრივ, არამედ ფიზიკურ სრულყოფასაც. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №69, 1973 წლის 12 ივნისი, გვ. 4).

69. რაც კი რამ საუკეთესო ექნება საქართველოს მომავალში, ექნება... ჩვენი ბავშვებისათვის, ჩვენი მომავლისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №3, 1997 წლის 6 იანვარი, გვ. 1).

70. რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო, ოდითგან მღეროდა ჩვენი ხალხი. ამ უბრალო ფრაზაში ცხოვრების დიდი

* თარგმნილია ჟურნალიდან: "კომუნისტ", №18, 1984, გვ. 32 (შემდგ.).

ფილოსოფიაა ჩაქსოვილი. ამ ფილოსოფიას ღრმად უნდა ჩასწვდეს და შემოქმედებითად განავითაროს ახალგაზრდობამ. ჭეშმარიტ გზას მომავლისაკენ მაშინ გავკვალავთ, თუ მამა-პაპათა ისტორიულ სიბრძნეს გავამრავლებთ საკუთარ და ცოცხალ თაობათა გამოცდილებაზე, თუ უწყვეტი იქნება დროთა კავშირი, თუ ჩვენი აზროვნებისა და მოქმედების დიალექტიკას საფუძვლად დავუდებთ კაცობრიობის მიერ საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ცოდნის საგანძურს. ("სამშობლო", №1, 1983 წლის იანვარი, გვ. 2).

71. როცა იწყება ახალი ქვეყნის მშენებლობა, ახალგაზრდობა გამოდის არენაზე, ეს ასეც უნდა იყოს, ("საქართველოს რესპუბლიკა", №94, 1993 წლის 7 მაისი, გვ. 1).

72. (საგანმანათლებლო დაწესებულებათა — შემდგ.)... წარმატების საფუძველია მასწავლებლის ცოდნის მარაგი — შეხამებული სწავლების სწორ სისტემასთან. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 18).

73. საზოგადოების ყველა სოციალური ინსტიტუტი, ოჯახიდან და სკოლიდან მოყოლებული, არსებითად, უნდა წყვეტდეს ერთ ამოცანას — აბამდეს ადამიანს თანამედროვე კულტურის სისტემაში ამ სიტყვის გლობალური მნიშვნელობით.* ("საქართველოს კომუნისტი", №10, 1980, გვ. 8).

74. სამთო ტურიზმი, საცხენოსნო სპორტი, ფართოდ არის ხელმისაწვდომი ახალგაზრდობისათვის. სპორტის ეს სახეობები სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ამასთან ეხმარება მათ უკეთ გაიცნონ მშობლიური მხარე, კიდევ უფრო მეტად შეიყვარონ იგი. ("ლელო", №19, 1984 წლის 26 იანვარი, გვ. 4).

75. სამი ბავშვიც რომ იყოს სოფლის სკოლაში, ის სამი ბავშვიც უნდა დარჩეს იქ, დარჩეს სკოლა, დარჩეს მასწავლებელი. სხვაგვარად დაცარიელდება მთა და ათჯერ, ათასჯერ მეტად იზარალებს მომავალში სახელმწიფო. ეს კურსი უნდა გაგრძელდეს და შესაბამისი მატერიალური სტიმულირების ფორმებიც უნდა მოიძებნოს, რომ მთიდან მთიელი არ წამოვიდეს! ("საქართველოს რესპუბლიკა", №48, 1997 წლის 28 თებერვალი, გვ. 2).

76. სამშობლოს დამცველის წმიდათაწმიდა გრძნობა ადამიანში უნდა ყალიბდებოდეს სიყმაწვილიდანვე. ("საქართველოს კომუნისტი", №7, 1984, გვ. 12).

77. სამხედრო სამსახური საქმიანობისა და ადამიანური ურთიერთობის განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც მოითხოვს ფიზიკური და ფსიქიკური ძალების მაქსიმალურ დაძაბვას. აქ პრაქტიკულად მოქმედებს ერთმმართველობის ურყევი პრინციპი, მეთაურთა ბრძანების უპირობოდ შესრულების

* თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №38, 1980 წლის 17 სექტემბერი, გვ. 2 (შემდგ.).

წესი. ასე რომ, მეთაურებს აქვთ უდიდესი უფლებები იმ გარანტიით, რომ ეს უფლებები გამოყენებულ იქნება ჯეროვნად და ხელქვეითთა ღირსების შეულახავად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №275, 1997 წლის 4 ნოემბერი, გვ. 3).

78. საქართველოს მასწავლებლობას მოეპოვება ძვირფასი საგანძური, ისეთი დიდი მემკვიდრეობა, როგორიც არის შოთა რუსთაველის, სოლომონ დოდაშვილის, სულხან საბა-ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის უძვირფასესი შეხედულებანი სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 19).

79. ... საქართველოს პრეზიდენტს დიპლომში სპეციალობის აღმნიშვნელად უწერია — "ისტორიის მასწავლებელი"... განგებამ ისე ინება, რომ ბავშვებისთვის ისტორია არ მისწავლებია — მოგეხსენებათ, ქვეყნის მეთაურებს ისტორიის სწავლების ნაცვლად ისტორიის კეთება უწევთ. მაგრამ ისტორიის მართებულად სწავლების ფასი ჩვენ სხვაზე ნაკლებ როდი ვიცით. პირიქით, ხშირად, როგორც იტყვიან, საკუთარ ტყავზე გამოვცდით ხოლმე, რაოდენ დამანგრეველ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ისტორიის გაყალბებულად სწავლებამ, მცდარმა ისტორიულმა ორიენტირებმა და გამრუდებულმა ისტორიულმა ხედვამ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №240, 1997 წლის 25 სექტემბერი, გვ. 1).

80. საქართველოსათვის დამოუკიდებლობის ყველაზე დიდი და კონკრეტული მონაპოვარია მისი უფლება ჰყავდეს საკუთარი შეიარაღებული ძალები. არმია არა მარტო დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ატრიბუტი, არამედ ამ დამოუკიდებლობის აუცილებელი პირობაც არის.

შეიარაღებული ძალების საერთო ხარისხი დიდად განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და, მაშასადამე, დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობასაც. დამოუკიდებლობის მოპოვება არ არის იმდენად ძნელი, რამდენადაც მისი შენარჩუნება, განმტკიცება და დასახული მიზნის შესაბამისად ახალი სახელმწიფოს მშენებლობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №275, 1997 წლის 4 ნოემბერი, გვ. 1).

81. (საჭიროა — შემდგ.)...ადამიანი სიყმაწვილიდანვე ვაზიაროთ მსოფლიო კულტურას, რათა სამომავლოდ არასოდეს გახდეს ომის მოსურნე, იყოს ჰუმანისტი, ძალადობის, რასობრივი შეუწყნარებლობისა და ეთნიკური განსაკუთრებულობის დამგმობი მოქალაქე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №219, 1996 წლის 31 ოქტომბერი, გვ. 2).

82. ... საჭიროა ყველა პირობა შევქმნათ იმისათვის, რომ მოზარდმა თაობამ მაქსიმალურად გამოიყენოს სკოლის წლები, მტკიცედ დაეუფლოს მეცნიერებათა საფუძვლებს, აღიზარდოს თანამედროვე ზნეობის პრინციპებზე. ამ ამოცანების გადაწყვეტა მხოლოდ ჭეშმარიტ მასწავლებელს შეუძლია. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 17).

83. სისტემატური ფიზკულტურული ვარჯიშით გაძლიერებული სასიცოცხლო ტონუსი, მხნე, ხალისიანი განწყობილება ზრდის ადამიანის შრომისუნარიანობას, შემოქმედებითს პოტენციალს. მას უუმჯობესდება მეხსიერება, ეხსნება გონება და უფრო ლოგიკური აზროვნება უყალიბდება. ამრიგად, ფიზკულტურა და სპორტი ხელს უწყობს პიროვნების გონებრივ განვითარებასაც. ("კომუნისტი", №162, 1977 წლის 13 ივლისი. გვ. 2).

84. სიყმაწვილის წლებში მიღებული შრომითი წრთობა მართლაც უბადლო კაპიტალია. * ("საქართველოს კომუნისტი", №1, 1985, გვ. 38).

85. ...სიჭაბუკე არა მარტო და არა იმდენად დაბადების თარიღით იზომება, რამდენადაც სულის სიმხნევით, ცხოვრებისეული პოზიციით. ("სამშობლო", №1, 1983 წლის იანვარი, გვ. 2).

86. სკოლა ვალდებულია კოჭებშივე შეატყოს გენიოსს გენიოსობა, ნიჭიერს ნიჭიერება. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 38).

87. ...სკოლა... ზნეობის ციტადელი უნდა იყოს! სხვა მოთხოვნა არ იყო, არ არის და არც იქნება. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 36).

88. სკოლა პოლიტიკისაგან თავისუფალი უნდა იყოს. ("განათლება", №4, 1994 წლის 3 მარტი, გვ. 1).

89. სკოლა — სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი უჯრედია, მაგრამ არა პოლიტიზირებული, პირიქით — სახელმწიფოს ინტერესების, ეროვნული ინტერესების სამსახურში. ("განათლება", №4, 1994 წლის 3 მარტი, გვ. 1).

90. სკოლა ფაქიზი მექანიზმია. იგი ვერ იტანს უხეშ, განსაკუთრებით არაკომპეტენტურ ჩარევას. (ე. შევარდნაძე, ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 11).

91. სპორტი — ეს მარტო ძალა და სიმარდე როდია, ეს არის კიდევ უდიდესი შრომისმოყვარეობა, მაღალი თვითდისციპლინა და თავდადება, მიზანსწრაფულობა, გამარჯვების სურვილი და საქმის ერთგულება,

* თარგმნილია ჟურნალიდან: "კომუნისტ", №18, 1984, გვ. 32 (შემდგ.).

ნამდვილი პატრიოტიზმი. ("ლელო", №19, 1984 წლის 26 იანვარი, გვ. 1).

92. სპორტი უებარი მკურნალია, სპორტი სახელმწიფოებრივი საქმეა, სპორტი ქვეყნის სადარბაზო ბარათია.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №192, 1996 წლის 24 სექტემბერი, გვ. 2).

93. სპორტს განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება. ცხოვრების ჯანსაღი წესის მასობრივად დამკვიდრება ქვეყანაში შეუძლებელია მასობრივი, დიდი სპორტის გარეშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №163, 1996 წლის 13 აგვისტო, გვ. 2).

94. სწავლებისა და აღზრდის რა სრულყოფილი სისტემაც უნდა გვქონდეს, ყველა სისტემა ძლიერ მასწავლებელს გულისხმობს. არ არსებობს სასწაულმოქმედი სისტემა, არც არსებობდა და არც იარსებებს. არსებობს პროგრესული სისტემით შეიარაღებული სასწაულმოქმედი მასწავლებელი. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 18).

95. სწავლებისა და აღზრდის ხარისხით განიზომება მასწავლებელთა პედაგოგიური ხელოვნება, მათი ინტელექტუალური და კულტურული დონე. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 17).

96. ტოლერანტობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ქართველ ხალხში თავისთავად ვერ შეიქმნებოდა. მას ჩამოყალიბება, მოვლა და განმტკიცება სჭირდებოდა სისხლისმღვრელი ომებისა და უცხოელ დამპყრობელთაგან რბევა-თარეშის უმძიმეს პირობებში.

დღეს ისტორიულად შესისხლხორცებული ტოლერანტობა და, თამამად შეიძლება ითქვას, მშვიდობის კულტურაც ჩვენი ხალხის ყოფის, ქცევის, ზნეობისა და ცნობიერების განუყოფელი ნაწილია და ყოველივე ეს მოგვაპოვებინეს ჩვენმა პედაგოგებმა, რომლებიც თავის აღსაზრდელებს ყმაწვილობიდანვე უნერგავდნენ ადამიანთა ურთიერთობისა და თანამეგობრობის ამაღლებულ იდეებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №219, 1996 წლის 31 ოქტომბერი, გვ. 2).

97. ფეხბურთი ჩვენი საერთო კულტურის შემადგენელი ნაწილია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №65, 1995 წლის 13 ივნისი, გვ. 2).

98. ფიზიკური აღზრდა ჩვენ მიგვაჩნია ადამიანთა... აღზრდის, ცხოვრებისათვის, შრომისათვის, ჩვენი სამშობლოს დაცვისათვის მათი მომზადების ორგანულ შემადგენელ ნაწილად. ფიზიკური აღზრდის

* თითქმის იგივე ფრაზა (სპორტი უებარი მკურნალია, სპორტი სახელმწიფო საქმეა. სპორტი ქვეყნის სადარბაზო ბარათი და ჩვენი ერის სახეა...) (იხ.:"თბილისი" №99, 1997 წლის 26 აგვისტო, გვ. 6 (შემდგ.).

პროცესში წყდება ზნეობრივი, ნებელობითი თვისებების ჩამოყალიბების ამოცანები, ახალგაზრდებს უმუშავდებათ სიმტკიცე, გამბედაობა, შეუპოვრობა, მიზანსწრაფვა, ჭეშმარიტად რაინდული სულისკვეთება. ("კომუნისტი", №162, 1977 წლის 13 აგვისტო, გვ. 2).

99. ფიზიკური აღზრდის საქმე, ისევე როგორც სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმე, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმეა. (ე. შევარდნაძე,"ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 38).

100. ქართველ სპორტსმენთა მიღწევები მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ჩვენ გვაქვს დიდი სპორტული ტრადიციების ქვეყნის სახელი. უნდა შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ ეს იმიჯი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 4).

101. ქართული ფეხბურთი ჩვენი სიამაყეა, ისევე, როგორც ლიტერატურის, ხელოვნების, სპორტის სხვა სფეროები, ქართული ფეხბურთი ჩვენი ხალხის დიდი მონაპოვარია და აქ პოზიციების დათმობა, რა თქმა უნდა, დაუშვებელია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №302, 1997 წლის 2 დეკემბერი, გვ. 2).

102. ყველა ზარალის ანაზღაურება შეიძლება, გარდა ახალგაზრდობაში დაკარგული დროისა. ყველაზე ბოროტი მფლანგველობა უმიზნოდ დროის ფლანგვაა. დრო, რომლის განმკარგულებელი შენა ხარ, მარტო შენ არ გეკუთვნის. იგი სახალხო კუთვნილებაა, სამშობლოს სიმდიდრეა. გამოიყენე იგი ისე, როგორც სამშობლო მოითხოვს. ("დროშა", №1, 1982, გვ. 2).

103. ყველაზე დიდი ინვესტიცია ბიზნესმენის მხრივ... განათლების სფეროში დაბანდებული ინვესტიციაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №71, 1995 წლის 27 ივნისი, გვ. 2).

104. ყველა ენა თავისებურად მშვენიერია. ("კომუნისტი", №23, 1979 წლის 27 იანვარი, გვ. 3).

105. ყველაფერი შედარების გზით შეიცნობა. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა — თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი — საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა, "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 7).

106. ყველაფერი, რაც ბავშვებს ეკუთვნის და ბავშვებისათვის არის გათვალისწინებული, საუკეთესო და მხოლოდ საუკეთესო უნდა იყოს. და ყოველივე ეს გარემოსილი უნდა იყოს ისეთი ატმოსფეროთი, როცა მომავლის ადამიანთა მოქალაქეობრივ ფორმირებას, მათი პოლიტიკური სიმწიფის ჩამოყალიბებას ბავშვობის წლებიდანვე ეყრება მტკიცე საფუძველი ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის

XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 157).

107. ...ყველაფერს– მასწავლებლობასაც, სოფლის მეურნეობასაც, მშენებლობასაც სწავლება სჭირდება; სწავლება უნდა შრომას, სწავლება უნდა ომსაც, და სხვათა შორის, ომის თავიდან არიდების ხელოვნებასაც. ტყუილად როდი ამბობდა ერთი ჭკვიანი პოლიტიკოსი — ომს იგებს სოფლის მასწავლებელიო. ჩვენც მასწავლებლობამ, სკოლამ უნდა მოგვაგებინოს ყველა ომი. ("საქართველოს რესპუბლიკა" №113, 1995 წლის 1 სექტემბერი, გვ. 1).

108. ყმაწვილი კაცის მოწიფულობის საზომი საქციელია. * ("სახალხო განათლება", №87, 1981 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 1).

109. ყოველგვარი აღზრდის წარმატება უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როცა მას მტკიცე საფუძვლად უდევს სწორი სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკა. (ე. ა. შევარდნაძე, "საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოში კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 83).

110. ...ყოველი ახალი თაობა იღებს მამა-პაპათა ესტაფეტას. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 97).

111. ყოველი ბავშვის ბედში უნდა ვხედავდეთ ჩვენი მუშაობის შედეგებს, ჩვენ, ჩვენ მიღწევებსა და მარცხს. გული უნდა შეგვტკიოდეს ყოველი მოზარდის გამრუდებული ბიოგრაფიისათვის. ეს ჩვენი ხარვეზია, ეს ჩვენ მიგვიძღვის ბრალი.** ("სახალხო განათლება", №87, 1981 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 2).

112. ყოველმა ჭაბუკმა მთელი არსებით უნდა შეიგნოს, რომ მართებს იცოდეს, მართებს ისწავლოს ქვეყნად მშვიდობის დაცვა. ეს კი არც ისე იოლია. საამისოდ უნდა ამზადებდე თავს. ("კომუნისტი", №173, 1982 წლის 25 ივლისი, გვ. 2).

113. შეიარაღებული ძალები გვინდა იმისათვის, რომ ქვეყანამ იცხოვროს მშვიდობიან ვითარებაში. ჯარის გარეშე, შეიარაღებული ძალების გარეშე ეს შეუძლებელია. ("სამხედრო გაზეთი", №41, 1997 წლის 21 ოქტომბერი, გვ. 1).

114. შეიძლება ითქვას, რომ განვლილ წლებში ყველაზე დიდი ვნება მიაყენეს ჩვენი ახალგაზრდობის — საზოგადოების ყველაზე მგრძნობიარე მექანიზმის — სულსა და შეგნებას. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 151).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "კომსომოლსკაია პრავდა", №247, 1981 წლის 27 ოქტომბერი, გვ. 1 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "კომსომოლსკაია პრავდა", №247, 1981 წლის 27 ოქტომბერი, გვ. 2 (შემდგ.)

115. ჩემი აზრით, ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს, რომ გარე სამყარო, ადამიანები, ამბები და მოვლენები აღიქვას, როგორც ცოცხალი, მრავალგანზომილებიანი ქმნილებები, ყოველმხრივ ჩასწვდეს მათ ნამდვილ არსს და ამით თავიდან აიცილოს დაუფიქრებელი დასკვნები და შეფასებანი.* („კომუნისტი", №59, 1982 წლის 12 მარტი, გვ. 2).

116. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ დებულებას, რომ მასწავლებლად უნდა დაიბადო, მაგრამ ეს გადატანითი მნიშვნელობით არის ნათქვამი: მასწავლებლად არა მარტო იბადებიან, არამედ უწინარეს ყოვლისა, იზრდებიან. (ე. შევარდნაძე, „ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1977, გვ. 20).

117. ჩვენ ბავშვებს უნდა ჩამოვუყალიბოთ შრომისადმი სწორი დამოკიდებულება. (ე. შევარდნაძე, „ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1977, გვ. 37).

118. ჩვენ უნდა, აღვზარდოთ მოქალაქე, რომელიც აზროვნებს და მოქმედებს სწორად, ჩავუნერგოთ ბავშვებს მებრძოლური თვისებები, ჭეშმარიტების ძიების მუდმივი წყურვილი, ვასწავლოთ მათ, რომ თქვან მხოლოდ სიმართლე, ვასწავლოთ კამათი და ა. შ. (ე. შევარდნაძე, „ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1977, გვ. 40).

119. ჩვენ გვჭირდება ხარისხი არა მარტო მატერიალურ ფასეულობათა, არამედ სულიერ ღირებულებათა შექმნის დარგშიც, მათ შორის სახალხო განათლების დარგშიც. (ე. შევარდნაძე, „ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1977, გვ. 17).

120. ჩვენ... დამრიგებლები, აღმზრდელები ვართ, მაშასადამე, ჩვენვე ვაგებთ პასუხს ჩვენი ცვლისათვის. ნორჩი აღმონაცენი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, როგორ უვლი და დასტრიალებ თავს ყლორტებს ზრდის პროცესში. („კომუნისტი", №300, 1983 წლის 31 დეკემბერი, გვ. 2).

121. ჩვენ მართლაც შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი ახალგაზრდობით. ამ გაჭირვების, შიმშილისა და სიცივის წლებში მათ შეეძლოთ გაბოროტებულიყვნენ თავიანთ მშობლებზე, აღმზრდელებსა და ქვეყანაზე. ეს არ მოხდა. ისინი მიეძალნენ შრომას, სწავლას და, მე შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს შესანიშნავი ახალგაზრდობა, დიდი მომავლის გარანტი ეზრდება. („საქართველოს რესპუბლიკა", №120, 1997 წლის 27 მაისი, გვ. 3).

122. ... ჩვენ მოსწავლეებს უნდა შევაყვაროთ შრომის რომანტიკა, ვუჩვენოთ შრომის ავტორიტეტი, შრომის ფასი და მშვენიერება.

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: „მოლოდოი კომუნისტ", №12, 1981 (შემდგ.).

(ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 35).

ეროვნული ბიბლიოთეკა

123. ჩვენ უნდა ავამაღლოთ თითოეული პედაგოგიური კოლექტივის როლი მოზარდი თაობის სწავლისა და აღზრდის საქმეში. ყოველ პედაგოგიურ კოლექტივში უნდა შევქმნათ შემოქმედებითი ატმოსფერო, ურთიერთნდობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთკონტროლის ატმოსფერო. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 39).

124. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველგვარი შრომა როდია პედაგოგიური შინაარსის შემცველი, არამედ შრომა მხოლოდ მაშინ იძენს პედაგოგიურ შინაარსს, აღმზრდელობითს ღირებულებას, როდესაც ის შთაგონებულია დიდი მიზნით, დიდი იდეით, დიდი შინაარსით, როდესაც ამ მიზანს და შინაარსს შეესაბამება შრომის ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები. მხოლოდ ამ სიტუაციაში გვაძლევს ჩვენი შრომა პედაგოგიურ ეფექტს. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 33).

125. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ზნეობრივი აღზრდის დარგში სკოლასა და ოჯახში დავამყაროთ ერთიანი მორალური მოთხოვნა. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 37).

126. ...ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ახალგაზრდას სრულად ჰქონდეს გაცნობიერებული თავისი დიდი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე დაკისრებული სამსახურებრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისათვის, მტკიცედ შეითვისოს, რომ უკადრისი საქციელისათვის, საქმისადმი უნიათო დამოკიდებულებისათვის პასუხს აგებს.* ("საქართველოს კომუნისტი", №1, 1985, გვ. 33).

127. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ... ყოველი პედაგოგი მარტო მასწავლებელი კი არა, აღმზრდელიც იყოს. ხშირად მასწავლებელი თავის სამუშაოს გაკვეთილების გადაცემით ამოწურავს. მასწავლებელი, რომელსაც არ შეუძლია აღზრდის ხელოვნება სწავლების ხელოვნებასთან შეაერთოს, თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 26).

128. ჩვენ უნდა მივესალმებოდეთ საქართველოში მშობლიურთან ერთად

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "კომუნისტ", №18, 1984, გვ. 27 (შემდგ.).

რუსული ენის შესწავლის სრულყოფის ტენდენციებს. ჩვენ უნდა მივესალმებოდეთ იმას, რომ ვითარდება და კვლავაც განვითარდება აფხაზური ენა და ლიტერატურა, ოსური ენა და ლიტერატურა, რომ ჩვენთან, საქართველოში, ისევე თავისუფლად ისწავლიან თავიანთ მშობლიურ ენაზე რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ეროვნების ბავშვები, როგორც თავიანთ რესპუბლიკებში სწავლობენ. ეს დიდი პოლიტიკური, საზოგადოებრივი მონაპოვარია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს მონაპოვარი კვლავ მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 30).

129. ჩვენ უნდა შევაჩვიოთ ბავშვი იმ აზრს, რომ იგი სკოლაში სტუმარი არ არის, რომ თავის სკოლაზე პასუხს აგებს საკუთარი თავით და, თუ იქ ყველაფერი კარგად არის, ამაში მასაც მიუძღვის წვლილი. უნდა ჩავუნერგოთ მოზარდს პასუხისმგებლობის გრძნობა საბავშვო ბაღიდან და ბაგიდან, მოსამზადებელი და პირველი კლასიდან. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება". 1977, გვ. 42).

130. ჩვენ შრომითი აღზრდა, შრომითი ჩვევების ჩანერგვა ფართოდ გვესმის. ეს არ არის მარტო ის, რომ ბავშვებს ფიზიკური შრომის ჩვევები ჩავუნერგოთ. რა თქმა უნდა, ეს უმნიშვნელოვანესი ელემენტია, მაგრამ ის არ ამოწურავს ამ ცნების გაგებას. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 31).

131. ჩვენი აზრი და გონება, ბუნებრივია, მომავლისკენაა მიმართული. მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ("დროშა" №1, 1982, გვ. 1).

132. ჩვენი აზრით, სკოლის დირექტორი ერთ-ერთი გადამწყვეტი ფიგურაა, ერთ-ერთი მთავარი მაორგანიზებელი რგოლია სახალხო განათლების სისტემაში. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 14).

133. ... ჩვენი არმია უნდა იყოს ტოლერანტობის, სხვადასხვა მხარეების, სხვადასხვა ერების, მათი კულტურის, წარმომავლობისა და ა. შ. პატივისცემის მაგალითი. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია შევქმნათ მორალურად, ფსიქოლოგიურად კარგად შეკრული, ძლიერი არმია, ძლიერი შეიარაღებული ძალები, რომელიც საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების, ყველა მოქალაქის ინტერესს დაიცავს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №275, 1997 წლის 4 ნოემბერი, გვ. 3).

134. ჩვენი ვალია, დავინახოთ ახალგაზრდები, ხოლო ახალგაზრდებს

ევალებათ თავი დაგვანახონ. („საქართველოს რესპუბლიკა", №88, 1992 წლის 26 მაისი, გვ. 1).

135. ...ჩვენი სტუდენტობა საიმედო რაზმია, რესპუბლიკის ახალგაზრდობის ოქროს ფონდია. (ე.ა. შევარდნაძე, „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 79).

136. ...ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს თავისუფალი სამყაროსაგან ყოველივე საუკეთესო ქვეყნის მართვაში, ეკონომიკის გაძღოლაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენ არ უნდა დავკარგოთ ჩვენი თავისუფლება, მაგრამ უნდა ვიცხოვროთ, ვიაზროვნოთ და ვიმუშაოთ იმ სტანდარტებით, რომელიც დასავლური ცივილიზაციისათვის არის სავალდებულო. („საქართველოს რესპუბლიკა", №254, 1993 წლის 1 დეკემბერი, გვ. 1).

137. ცა რომ სარკედ აქცია, ადამიანები ერთმანეთს უკეთ დავინახავდით, ერთმანეთს უკეთ გავუგებდით, დროზე ვნახავდით, ვის რა უჭირს, ვის რა ულხინს. დროზე მივეშველებოდით მას, ვისაც ჩვენი დახმარება უნდა, გულის სითბოს გავუყოფდით – ეს ნოდარ დუმბაძის სიტყვებია.

მართალია, ცა სარკე არ არის, მაგრამ არსებობს კაცთმოყვარეობის მაღალი ცა, რომლის სიმაღლე ადამიანს ადამიანობას ანიჭებს, ყოველივე ადამიანურს აღორძინებს ადამიანში. უნდა მივწვდეთ ამ სიმაღლეს, ახალგაზრდობას ეს ძალუძს და ევალება კიდეც. („სამშობლო", №1, 1983 წლის იანვარი, გვ. 3).

138. (წიგნი – შემდგ.)... რომელიც აახლოებს ხალხებს, ადამიანისა და კაცობრიობის ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლინების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. („ლიტერატურული საქართველო", №21, 1984 წლის 18 მაისი, გვ. 3).

139. წიგნიერება წიგნის გარეშე არ იქნება. („საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 4).

140. (ჯანსაღი ახალგაზრდა თაობა – შემდგ.)... ხალხის უწყავი საუნჯეა. („სამშობლო", №1, 1983 წლის იანვარი, გვ. 2).

141. ...ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდა მოითხოვს ადამიანებთან მუშაობის ისეთ მასობრივი ფორმების უფრო ეფექტიან გამოყენებას, როგორიც არის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა და სპორტი. (ე.ა. შევარდნაძე, „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა „საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 114).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# IX. პატიოსნების, ზნეობის, სინდის-ნამუსის, მორალის, ეთიკის, ღირსების, იდეალის, რწმენის, მრწამსის, კაცობის, ავტორიტეტის, პასუხისმგებლობის, პრინციპულობის, ვაჟკაცობის, ოპტიმიზმის, თავმდაბლობის, კეთილშობილების, გმირობის, მეგობრობის, თანადგომის, ბედნიერების, სიხარულის, სიყვარულის, სიკეთის, ნდობის, ტოლერანტობისა და ჰუმანიზმის შესახებ

1. ადამიანები, რომლებიც ღირსეულ პატივს მიაგებენ დიდ წინაპართ, ბედნიერ მომავალს ააშენებენ. მათ შეუძლიათ ბედნიერი მომავლის აშენება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №120, 1997 წლის 27 მაისი, გვ. 3).

2. ადამიანების, მით უმეტეს, თანამებრძოლების მიმართ უმადური არ უნდა ვიყოთ. კარგიც უნდა დავიმახსოვროთ და ცუდისგანაც გარკვეული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №177, 1997 წლის 26 ივლისი, გვ. 2).

3. ადამიანებს რწმენა სჭირდებათ. არა მარტო ზოგადი რწმენა... არამედ რწმენა კონკრეტული, რომელსაც ყოველდღიურად წინგადადგმული ნაბიჯის მნიშვნელობის შეცნობა ბადებს. ("კომუნისტი", №155, 1977 წლის 5 ივლისი, გვ. 2).

4. (ადამიანის — შემდგ.)... განუყრელი თვისება უნდა იყოს თავმდაბლობა. ("სტალინელი" (ქუთაისი), №4, 1953 წლის 7 იანვარი, გვ. 3).

5. ...ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე მოწინავე ხაზზე მყოფ მუშაკთა საქციელი გარკვეულწილად განსაზღვრავს საერთო განწყობას, მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, საერთო ჰარმონიას ჩვენს რესპუბლიკაში. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 83).

6. ადამიანს, რომელმაც ერთი ხე მაინც დარგო, ტყუილად არ უცხოვრია ამ ქვეყანაზეო, ამბობენ ხოლმე.

ეს ფორმულა ადამიანის ღირებულებითი შეფასების მორალურ ასპექტს გულისხმობს. ეს ერთგვარი კრიტერიუმია მისი კაცურკაცობისა. ("კომუნისტი", №91, 1982 წლის 18 აპრილი, გვ. 2).

7. ადამიანის პატიოსნება გამოჩნდება მაშინ, როცა იგი უპატიოსნობის ცდუნებას გაუძლებს, გამბედაობა გამოჩნდება მაშინ, როდესაც სიმხდალეს სძლევს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №73, 1994 წლის 4 მაისი, გვ. 1).

8. ადამიანის უფლებათა ხელყოფა შეუთავსებელია არა მარტო ჩვენს

მორალთან, ზნეობასთან, მსოფლმხედველობასთან, არამედ ყოველდღიური სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესრულებასთან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №42, 1995 წლის 18 აპრილი, გვ. 2).

ბიბლიოთეკა

9. ადამიანის ცხოვრებისეული ღირებულებები კრიტერიუმია მისი ქცევისა საზოგადოებაში, კრიტერიუმია მისი წარმოდგენისა ბედნიერებასა და ღირსებაზე და რაც უფრო მეტია ამ ღირებულებებში სულიერად ამაღლებული, მით უფრო მეტი გარანტიაა იმისა, რომ ადამიანი არასდროს არ დაეცემა ისე, რომ თავი დაიმციროს და ამ წუთიერ მატერიალურ მოთხოვნილებებზე დამოკიდებული გახდეს, თავის პიროვნებაში მატერიალურ საწყისს ჩაახშობინოს სულიერი საწყისი*. ("საქართველოს კომუნისტი", №10, 1980, გვ. 7).

10. ადამიანმა ადამიანს, ხალხმა ხალხს რომ სამეგობროდ ხელი გაუწოდოს, ეს ცივილიზებული სამყაროს მორალური პოსტულატია, მარადისობის ჰუმანური კანონია. ("სამშობლო", №1, 1983 წლის იანვარი, გვ. 3).

11. ავტობიოგრაფიული ნარკვევი ვერაგი ჟანრია. ძალზე ფხიზელი, თვითკრიტიკული, თავისი თავის მკაცრად შემფასებელი ადამიანიც კი დგას ცდუნების წინაშე, რომ თავისი პოზიციები, საქციელი, გამონათქვამები გაამართლოს, თავის თავს ღირსებები მიაწეროს, სხვებს ცოდვები აჰკიდოს და, შესაბამისად, თავისი ნაკლოვანებები მიჩქმალოს. აქ, ალბათ, სხვა ყველაფერთან ერთად, "მუშაობს" თავდაცვის, საკუთარი "მე"-ს დანდობის ფარული ინსტინქტი, რომლის სათავეა კეთილი სახელის დამკვიდრების წადილი: ცხოვრებიდან ნათელი კვალის დაუტოვებლად წასვლა არ გინდა კაცს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 43).

12. ავტორიტეტი თავისთავად როდი იქმნება. ავტორიტეტი შრომითა და ბრძოლით მოიპოვება. ("კომუნისტი", №80, 1982 წლის 6 აპრილი, გვ. 2).

13. ავტორიტეტის მოხვეჭა მუდმივ თავდადებას მოითხოვს. ვისაც ამის უნარი არა აქვს, ხელმძღვანელად არ გამოდგება.** ("კომუნისტი", №112, 1983 წლის 15 მაისი, გვ. 1).

14. ავღანეთში ჩვენი დანაკარგების ციფრები ფართოდ არის ცნობილი. მათ ხშირად იმოწმებენ, მაგრამ რატომღაც დუმილით უვლიან გვერდს სხვა შემზარავ ციფრს — დაღუპულ მილიონნახევარ ავღანელს. "ადამიანური მასშტაბი" ერთადერთია, უნივერსალურია და მე ვერ ვეგუები შერჩევით მის გამოყენებას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 127).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №38, 1980 წლის 17 სექტემბერი, გვ. 2 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა", №134, 1983 წლის 14 მაისი, გვ. 2 (შემდგ.).

15. ამბობენ ეს (მაგიდაზე მუშტების ბრახუნი – შემდგ.) ძლიერების ადასტურებს და პატივისცემას იწვევსო. მე ასეთი "პატივისცემა" არ მინდა და არც მსურს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 260-261).

16. ...არ არსებობს ჭეშმარიტი დემოკრატია მაღალი ზნეობისა და მორალის გარეშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 2.).

17. არ უნდა შეგვეშინდეს საკუთარი ცოდვების მონანიებისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №3, 1994 წლის 5 იანვარი, გვ. 1).

18. არ შეიძლება მიზნისკენ სწრაფვისას შემაფერხებელ ძალთა მოქმედების გაუთვალისწინებლობა. მაგრამ არც იმ ძალების უგულებელყოფა შეიძლება, რომლებიც გეხმარებიან მიზნის მიღწევაში. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 27).

19. არავისა აქვს უფლება მხოლოდ მიიღოს და სანაცვლოდ არაფერი გასცეს. ყოველივე დიადი, ყოველივე ძლიერი, ნებისმიერი სიმდიდრე ყოველთვის ვიღაცის ხარჯზე მოიპოვება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1994 წლის 17 მარტი, გვ.1).

20. არაფრისაგან არ წარმოიშობა არაფერი, თვით რელიგიური მორალიც – ეს მხოლოდ ეტაპია, თუმცა დიდმნიშვნელოვანი, ზნეობის ისტორიისა. არის მასში მარადიული საკაცობრიო ღირებულებებიც, ისეთებიც, რომლებიც მარტოოდენ გაბატონებულ კლასებს არგიათ.* ("კომუნისტი", №199, 1981 წლის 29 აგვისტო, გვ.1).

21. არსებობს ისეთი ფასეულობანი, რომელთა კომპენსირება ვერანაირი ეკონომიკური პროგრესით ვერ მოხერხდება. სათნოების, შემწყნარებლობის (კერძოდ, სოციალური შემწყნარებლობის), დავრდომილთა, უპოვართა, გაჭირვებულთა, პენსიონერთა დახმარების გარეშე ქვეყანამ შეიძლება უფრო მეტი დაკარგოს, ვიდრე ეკონომიკური მოგებაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №238, 1997 წლის 23 სექტემბერი, გვ. 2).

22. (აუცილებელია, რომ – შემდგ.)... მოქალაქემდე... მართალი სიტყვა მიჰქონდეთ მხოლოდ მართალ, კრისტალურ, პატიოსან ადამიანებს, რომელთა სიტყვა მათი საქმის ანარეკლია, და რომლებშიც განსახიერებულია დიდი და მაღალი იდეალები. საიდუმლო არ არის, რომ ადამიანები ზოგჯერ ისმენენ ერთს, ხოლო ცხოვრებაში ხედავენ მეორეს. ("კომუნისტი", №93, 1963 წლის 19 აპრილი, გვ. 3).

23. ბევრჯერ შევმცდარვარ ადამიანებში, მაგრამ არასოდეს არ ვენდობოდი ჩემამდე მოსულ ხმებს ვინმეს უპატიოსნობასა და სამსახურებრივ არაკეთილსინდისიერებაზე, ვიდრე ამაში უშუალოდ თვითონ

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №34, 1981 წლის 23 აგვისტო, გვ. 12 (შემდგ.).

არ დავრწმუნდებოდი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 69).

24. ...გაზაფხულს ადამიანებისათვის მოაქვს სიხარული, იმედი, მომავლის რწმენა, გაზაფხული ადამიანებს გულს უთბობს, აღვიებს და აცოცხლებს მიყუჩებულ ძალას, ენერგიას. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №56, 1961 წლის 12 მაისი, გვ. 2).

25. განვითარებული სულიერი მოთხოვნილებების მქონე ადამიანისათვის დაბრკოლებები არ არსებობს.* ("საქართველოს კომუნისტი", №10, 1980, გვ. 8).

26. გარუმება, ისევე, როგორც სიცრუე, ჩემი პოლიტიკა არ არის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 169)

27. ...გაჭირვებაშიც უნდა შევძლოთ ადამიანებად, მაღალი კულტურის მქონე ადამიანებად დარჩენა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №48, 1995 წლის 29 აპრილი, გვ. 1).

28. გვქონდეს ზომიერების გრძნობა. გვახსოვდეს, რომ ეს არის... ცხოვრების წმიდათაწმიდა კოდექსის ერთ-ერთი ფუძემდებელი დებულება. ("კომუნისტი", №33, 1974 წლის 8 თებერვალი, გვ. 3).

29. ... გმირებს სამშობლო ყოველთვის შეამჩნევს და მათს თავდადებას სათანადოდ დააფასებს. ეს უნდა იცოდეს ყველამ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №156, 1993 წლის 20 ივლისი, გვ. 1).

30. გონივრული მოთხოვნილებანი ზოგადი კულტურის ელემენტია, რადგან განვითარებული ადამიანი თავს ნებას არ მისცემს იყოს ვისიმე დასაცინი ან შესაბრალისი, ვულგარული ან თავშეუკავებელი. ჯერ კიდევ ძველად ამბობდნენ, ადამიანი ყველა ნივთის საწყაოაო.** ("საქართველოს კომუნისტი", №10, 1980, გვ. 8).

31. (გულწრფელი – შემდ.)... აღიარებიდან მონანიებამდე ერთი ნაბიჯია... (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 303)

32. დარწმუნებული ვარ: ის ვინც ნათლად ხედავს მიზანს და ირჩევს მისი მიღწევის ყველაზე სწორ გზებს, ვისი შრომაც გაცისკროვნებულია თითოეული გადადგმული ნაბიჯის მნიშვნელობის შეგნებით, შეძლებს კიდევ უფრო მეტი გააკეთოს საზოგადოებისათვის. და თუ ამასთან ადამიანს შეუძლია მუშაობა ძალ-ღონის დაუზოგავად, შეუძლია სიტყვის გადაქცევა საქმედ, იგი მართლაც ხდება მუშაკი, რომლის მიმართ სავსებით შეგვიძლია გამოვიყენოთ ცნება "პასუხისმგებელი".*** ("კომუნისტი", №82, 1974 წლის 7 აპრილი, გვ. 2)

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №38, 1980 წლის 17 სექტემბერი, გვ. 2 (შემდგ.).
** თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №38, 1980 წლის 17 სექტემბერი, გვ. 2 (შემდგ.).
*** თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №81, 1974 წლის 6 აპრილი, გვ. 2 (შემდგ.).

33. დიდი და წრფელი სიყვარული ხშირად უსიტყვოა, ვერ გუობს ტრაბახს, ამპარტავნობას, პატივმოყვარეობას. ("დროშა", №1, 1982, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

34. ... დისციპლინის, ორგანიზებულობის, ინიციატივის გარეშე არ არსებობს გამარჯვება, გამარჯვების გარეშე — ბედნიერება და სიხარული. ასეთია ამ ცნებათა დიალექტიკა. ("სამშობლო", №1, 1983 წლის იანვარი, გვ. 2).

35. ...ერთი ადამიანის ბედნიერება — ეს სულ პატარა ბედნიერებაა, მარტო იგი ვერ გაახარებს კაცს, ხოლო ნამდვილი, დიდი ბედნიერება — ეს არის საერთო ბედნიერება, მთელი ხალხის ბედნიერება. ("კომუნისტი", №150, 1982 წლის 27 აპრილი, გვ. 2).

36. ეს წიგნი ("ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად" — შემდგ.) დაიწერა დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად. არ ვიცი, შეასრულებს თუ არა ის თავის დანიშნულებას. მაგრამ, როგორც არ უნდა შეაფასოს იგი მკითხველმა დღესა თუ ხვალ, როგორი განაჩენიც არ უნდა გამოუტანონ ამ წიგნსა და მის ავტორს დრომ და ადამიანებმა, ერთი რამ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა: გამიჭირდებოდა ცხოვრება, ყოველივე ეს (რაც წიგნშია მოთხრობილი — შემდგ.) რომ არ მეთქვა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 356).

37. ეს წიგნი ("ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად" — შემდგ.) კლიტის ჭუჭრუტანა კი არ არის, რომ იქიდან ჩემი პირადი ცხოვრების წვრილმანები ათვალიერონ, იგი გასაღებია კარის გასახსნელად და უფრო ფართო ხასიათის მოვლენათა დასანახავად. ყოველ შემთხვევაში, ჩანაფიქრი ასეთია და როგორ განხორციელდება, — ეს სხვა საქმეა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად," თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 69).

38. ვაჟკაცობა და გულადობა ის არის, რომ ერთი შეხედვით გამოუვალ მდგომარეობაშიც კი არ უღალატო შენს თავს. ("ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 1).

39. (ვერავითარ პოზიტიურ შედეგს ვერ მივიღებთ — შემდგ.)... თუ ყველა თავის ადგილზე არ არის, თუ ადამიანებს სინდისი და ნამუსი აღარ აქვთ — აუცილებელი ყველაზე მეტად. ("იბერია-სპექტრი", №57, 1992 წლის 17-23 ნოემბერი, გვ. 2).

40. ვინც ოდნავ მაინც მიცნობს, იცის, რომ მე ოპტიმისტთა რიგებს მივეკუთვნები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

41. ვისაც ყოფნის ძალა, აჯობოს საკუთარ თავს, ასეთ ხალხს მე პატივს ვცემ. ("იბერია-სპექტრი", №53, 1992 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 4).

42. ... ვისწავლოთ ადამიანში კარგის, დადებითის დანახვა... მტკიცედ დავუჭიროთ მხარი ყოველივე პროგრესულს, დადებითს და მთელი

საზოგადოების კუთვნილებად გავხადოთ იგი. („საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება, 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 109).

43. ვიცი, რომ ჩემზე ყველა არც მაღალი აზრის არის და არც კარგად მიხსენიებს. მართალია, ეს ვერაფერი სასიამოვნოა, მაგრამ კანონზომიერია. შეუძლებელია ამო ყველას, განსაკუთრებით კი იმათ, ვისი ხვედრის გადაწყვეტის უფლება მე მქონდა. ამ უფლებამ იმათ არა მარტო უხერხული მდგომარეობა შეუქმნა, არამედ შესაძლოა ტკივილიც მიაყენა. („საქართველოს რესპუბლიკა", №65, 1994 წლის 21 აპრილი, გვ. 3).

44. ვფიქრობ, ალბათ, ყველა კეთილი ნების ადამიანის მარადი ნატვრაა სიკეთის და სამართლიანობის ერთ ხელში ხილვა. თუმცაღა ვიცით, ძალა რატომღაც სიავეს უფრო ახლავს ხოლმე, სიკეთე მყიფეა და როგორც კი ძალას იგდებს ხელთ, რაღაც აკლდება. იქნებ სიკეთე სწორედ თავის დაუცველობით არის კეთილშობილება და მებრძოლი სიკეთის გაგება თავისთავად ნონსენსია?! რა ვიცი... იცის კი ვინმემ?! არც ეს ვიცი. („საქართველოს რესპუბლიკა", №200, 1992 წლის 2 ოქტომბერი, გვ. 1).

45. ...ზნეობას საფუძველი ბავშვობიდანვე ეყრება.* („სახალხო განათლება", №87, 1981 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 1).

46. ზნეობრივი სიმდიდრე უმთავრესი ეროვნული და ინტერნაციონალური საუნჯეა ყველა ხალხისა. შეიძლებოდა ასე თქმულიყო: რა, რომ ზნე წახდეს, ერიც დაეცეს. („დროშა", №1, 1982, გვ. 1).

47. (ზოგიერთი — შემდგ.)... მოვლენაა, რომლის სიბნელეს და დაუნდობლობას ყოველთვის როდი ვაცნობიერებთ. შეიძლება მეც ვერ ვაცნობიერებდე ზოგჯერ, ვინაიდან, მომიტევეთ, არსებობს ისეთი რამ, რაც ნორმალური ადამიანისათვის აბსოლუტურად გაუგებარი და დაუჯერებელია. („საქართველოს რესპუბლიკა", №39, 1998 წლის 17 თებერვალი, გვ. 2).

48. ზოგჯერ ადამიანს ამოძრავებს პირადი არაკეთილგანწყობილება სხვა ადამიანისადმი, პირადი სიმპათია ან ანტიპათია. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია მცირერიცხოვანი ხალხებისათვის, სადაც ყველა ერთმანეთს კარგად იცნობს. სწორედ ასეთი ერთმანეთთან შეუთავსებლობის დაძლევა უნდა შეგვეძლოს, უნდა ვიცოდეთ საზოგადოებრივი ინტერესების სულ უფრო მაღლა დაყენება. თუ შენს წინაშე პატიოსანი კაცია, მას უნდა შეუქმნა მუშაობის ყველა პირობა, იმის მიუხედავად, მოგწონს თუ არა მისი პირადი თვისებები. („საბჭოთა ოსეთი", №135, 1979 წლის 21 ივლისი. გვ. 3).

49. თავმდაბლობა (არის — შემდგ.)... ადამიანის კეთილშობილურ თვისებათა ნამდვილი კულტი. (ე.ა. შევარდნაძე, „კადრებთან მუშაობა — თანამედროვე

* თარგმნილია გაზეთიდან: „კომსომოლსკაია პრავდა", №274, 1981 წლის 27 ოქტომბერი, გვ. 1 (შემდგ.).

ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 19).

50. ...თავმდაბლობა ღირსებას მატებს ადამიანს. მე მხედველობაში მაქვს ჭეშმარიტი და არა მოჩვენებითი თავმდაბლობა. (ე. ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 81).

51. თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ კაცთმოყვარეობის ზოგადსაკაცობრიო იდეალებს. ("სამშობლო", №1, 1983 წლის იანვარი, გვ. 3).

52. თუ ადამიანს, განსაკუთრებით ხელმძღვანელს, სახელმწიფოს მეთაურს, სინდისის ნატამალი მაინც აქვს და იმ მდგომარეობამდეა მისული, ხელის ჩაქნევის მეტი აღარაფერი დარჩენია, უნდა თქვას და წავიდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №65, 1994 წლის 21 აპრილი, გვ. 3).

53. ... თუ არ იქნება დიდი იდეალი, არ იქნება რწმენაც ხვალინდელი დღისა, ხოლო ურწმენოდ ადამიანის სული ცარიელია.

იდეალისა და რწმენის ჩამოყალიბებისა და აღზრდის პროცესი კი ცხოვრების, სწავლის, კრიტიკული აზროვნების ურთულესი პროცესია. ("კომუნისტი", №93, 1963 წლის 19 აპრილი, გვ. 3).

54. თუ დისკრიმინაცია საერთოდ მიუღებელია, ყველა ჩვენგანი საქმით, და არა მარტო სიტყვით, უნდა იყოს თანასწორობის ქომაგი. ძლიერნი ამა ქვეყნისანი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ, სანამ არიან უმდიდრესნი და ღატაკნი, მშვიდი ძილი და ჭეშმარიტი ბედნიერება არც ერთ ქვეყანას არ უწერია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 3).

55. თუ კაცი დარწმუნებული არ არის თავის ძალაში, უარი უნდა თქვას შეთავაზებულ მაღალ თანამდებობაზე. მაგრამ ზოგს ნებისყოფა არ ყოფნის ამისთვის. ასეთი ნებისყოფა კი საჭიროა! ("საქართველოს კომუნისტი", №1, 1978, გვ. 61).

56. თუ კაცს სულიერი სილამაზე არა აქვს, ფუჭია მისი ფიზიკური სილამაზე, რაგინდ ღონიერიც უნდა იყოს იგი. ("კომუნისტი", №162, 1977 წლის 13 ივლისი, გვ. 2).

57. თუ საზოგადოებაში ნდობის საფუძველი დაიკარგება, სახელმწიფო ვერ აშენდება... მე, როგორც იტყვიან, ბოლო ამოსუნთქვამდე ვენდობი ჩემს ხალხს... მჯეროდა და ბოლომდე მჯერა, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობაში მხოლოდ ნდობა გაიმარჯვებს და სახელმწიფო მხოლოდ ნდობის საფუძველზე შეიძლება აშენდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

58. იმ სისტემაში, სადაც სიტყვების გარკვეული შენარჩევია — მისდამი ერთგულების რიტუალური ნიშანი, თუ მას არ ემთხვევით, საეჭვო აღარ არის, რომ საერთოდ დაკარგავთ რაიმეს გაკეთების შესაძლებლობას. გამონათქვამებს განსაკუთრებით მძაფრი ყურადღებით ისმენენ ხოლმე. ღმერთმა გაშოროთ, რაიმე წამოგცდეთ რიტუალის გაუთვალისწინებლად — უმალ ანათემას გადაგცემენ. იმის საშუალება რომ მქონოდა, რაიმე მაინც გამეკეთებინა ჩემებურად, საკმაოდ ხშირად იძულებული ვიყავი მეთქვა იგივე, რასაც სხვები ამბობდნენ. მაგალითად, კუდი მექიცინებინა "პირველი პირის" წინაშე; მაგრამ, ამასთან ერთად, წამომეწყო ექსპერიმენტი, რომელიც შეასუსტებდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცენტრალური უწყებების დიქტატს, ან მიმეღწია მის კონსტიტუციაში შემენარჩუნებინა მუხლი ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ.

ამას მე გულდაწყვეტილი ვამბობ, რადგან ვგრძნობ, თუ ზნეობრივად რაოდენ საზარალოა მისი აღიარება. მაგრამ რომ მაინც ვამბობ... დაე ქვა იმან დამიშინოს, ვისაც არასოდეს უგრძვნია ასეთი გაორება. * ("ცხოვრება", №55, 1991 წლის 10 აგვისტო, გვ. 2).

59. იცით, რით განსხვავდებიან ნორმალური, კეთილშობილი ადამიანები თავიანთი ანტიპოდებისაგან? ნორმალური კაცი მუდამ ესწრაფვის წესრიგს, როგორც ბუნებრივ მდგომარეობას, მისთვის აუტანელია ქაოსი — ბოროტების სათავე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №139, 1995 წლის 11 ოქტომბერი, გვ. 1).

60. ...კანონიერების დაცვისა და წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლა საჭიროა სუფთა ხელებითა და სუფთა სინდისით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №258, 1993 წლის 8 დეკემბერი, გვ. 1).

61. ...კაცობრიობას რაც კი რამ ღირებული შეუქმნია ამქვეყნად, სიყვარულით არის ნაკარნახევი — ღმერთის, ადამიანის, საკუთარი ქვეყნის, მშობლის, შვილის, საქმის და ბოლოს და ბოლოს, კაცისა და ქალის სიყვარულით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №65, 1995 წლის 13 ივნისი, გვ. 1).

62. ...კეთილშობილება ადამიანის უდიდესი განძი, მისი უბადლო საუნჯეა. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა — თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. — საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 19).

63. კოლეგიურობა — ეს უწინარეს ყოვლისა, არის აბსოლუტური პატიოსნება საკუთარი თავისა და კოლეგების წინაშე, მათი აზრის ნდობა და პატივისცემა, სრული გულახდილობა. ("კომუნისტი", №268, 1983 წლის 22 ნოემბერი, გვ. 3).

64. ...კულტურისა და პასუხისმგებლობის გარეშე თავისუფლება იქცევა

* თარგმნილია გაზეთიდან: " კომსომოლსკაია პრავდა", №176- 177, 1991 წლის 3 აგვისტო, გვ. 3 (შემდგ.).

ანარქიად, ანარქია კი გვემუქრება ქაოსით, რომლის მოთოკვაც ერთ მშვენიერ დღეს შეუძლებელი გახდება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 18).

65. ...მადლიერების გრძნობის გამოხატვა აუცილებელია და ყველა ადამიანს სჭირდება. თუ თავგანწირულია კაცი, თავგანწირვით შრომობს და იბრძვის, მას სჭირდება ტკბილი სიტყვა, სჭირდება რწმენა, რომ მას ხედავენ, აფასებენ და მომავალი თაობებიც დაუფასებენ. ეს ყველას სჭირდება, დიდი იქნება საქმე, თუ პატარა, და ამ მხრივ ჩვენ ვალში არ უნდა დავრჩეთ ამ ადამიანების წინაშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №135, 1995 წლის 5 ოქტომბერი, გვ. 2).

66. მატერიალურ მოთხოვნილებებს მიღმა არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან სულიერი მოთხოვნილებანი, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ საჭიროა გამოვიმუშაოთ კარგი გემოვნება, განვიმტკიცოთ იმის გაგება, რომ ბედნიერება სულაც არ არის ნივთების გაუთავებელი შეძენა, რომ ბედნიერების მაგისტრალური გზა სულიერი ცხოვრების სფეროზე გადის. აბა, რა შეედრება იმ ჭეშმარიტ ბედნიერებას, როდესაც შეგიძლია დატკბე მუსიკით, გაიხარო ყოველი საინტერესო წიგნით, ისიამოვნო კარგი თეატრალური დადგმით, შესანიშნავი მხატვრული ტილოთი, არქიტექტურული ძეგლით, ქანდაკებით. ეს ხომ ფასდაუდებელი ნიჭია — შეგეძლოს ერთმანეთისაგან გაარჩიო ნამდვილად მხატვრული ქმნილება და ხელოვნებას მიტმასნილი ხელოსნური, მდარეხარისხოვანი ნაყალბევი.* ("საქართველოს კომუნისტი", №1, 1985, გვ. 37).

67. მე არ ვაკნინებ ჩემი გრძნობების ძალას, მაგრამ არც ჩემი მაშინდელი (ჩვენი საუკუნის 50-იანი წლების დამდეგის — შემდგ.) მრწამსის დამდაბლება მინდა. თავს უფლებას მივცემ, ერთი რამ ვაღიარო: ჩემი გონება შეძრწუნებული იყო იმით, რაც ირგვლივ ხდებოდა. იმ დროს კვლავ დაუწყეს დევნა ასობით პატიოსან კომუნისტს. ბევრ მათგანს პირადად ვიცნობდი, ზოგმა მათგანმა მონაწილეობა მიიღო ჩემი ბედის წარმართვაში. ისინი ჩემი კეთილისმყოფელნი იყვნენ. მე სტალინის მწამდა, მაგრამ ამ ადამიანების დამნაშავეობა ვერ ვირწმუნე. ასეთი გაორების დროს ხსნა იყო აზრი: "სტალინმა არ იცის, რა ხდება!" და კიდევ, ალბათ, უმთავრესი სწორედ ეს იყო: — ჩემს არსებაში დაიძრა რაღაც, პროტესტის მსგავსი გრძნობა ყველას მიმართ, ვისაც კი ჩემს მაგიერ შეიძლებოდა მოსურვებოდა ჩემი ბედის გადაწყვეტა. ჩემში გაიღვიძა პროტესტმა თვით იდეის — უმრავლესობის ნებისადმი პიროვნების ინტერესთა უსაზღვრო მორჩილების იდეის მიმართ. ის კოლექტივიზმი, რომელსაც მე ძალ-ღონის უშურველად ვემსახურებოდი, პირდაპირ

* თარგმნილია ჟურნალიდან: "კომუნისტ", №18, 1984, გვ. 30 (შემდგ.).

სასწაულებს ახდენდა, როცა ყამირს ტეხდა, ფაშიზმს ამარცხებდა, ქვეყანას ნანგრევებიდან აღადგენდა. და ეს დიადი სიმართლე იყო. მაგრამ იგივე კოლექტივიზმი იქცეოდა საშინელ უსამართლო ძალად, რომელიც ის ადამიანს ათანაბრებდა ჭანჭიკთან, რომლის დამტვრევა იოლი საქმეა. და თუ ადამიანი მხოლოდ ნაწილია მანქანისა, ვფიქრობდი მე საკუთარ თავთან განმარტოებისას, მაშინ რა მოუვა თვით მანქანას, განუწყვეტლივ თუ მოვამტვრევთ და მოვამტვრევთ ყველაზე საჭირო დეტალებს?

როცა წლების შემდეგ მანქანამ ჩემს თვალწინ იწყო დაშლა, გამახსენდა ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი შფოთიანი ფიქრები. 1951 წელს კი მე უბრალოდ დავუსვი ჩემს თავს კითხვა: სიძულვილს რატომ უნდა შევწირო ჩემი სიყვარული? (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 54-55).

68. მე არ ვარ ის კაცი, რომელსაც დღე და ღამე მტერი ელანდება. პირიქით, მინდა მტერშიც დავინახო სიკეთის პატარა ნაპერწკალი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №43, 1998 წლის 21 თებერვალი, გვ. 1).

69. მე არ მიყვარს სიტყვა "მტერი". (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 337).

70. მე არ შემიძლია ვუღალატო მეგობარს... მეგობარი და მეგობრული გრძნობა ჩემთვისაც წმიდათაწმიდაა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად არ შემიძლია ვუღალატო ქვეყანას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №50, 1995 წლის 4 მაისი, გვ. 2).

71. მე არავინ არ მაიძულებდა პარტიიდან გავსულიყავი. აქამდე ჩემი მსოფლმხედველობით მივედი და ამ გზითვე კარდინალურად შეიცვალა ჩემი დამოკიდებულება რელიგიისადმი, ქრისტიანობისადმი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №241, 1995 წლის 25 ნოემბერი, გვ. 2).

72. ...მე არასოდეს არა მქონია რაღაც განსაკუთრებული მდგომარეობის მოპოვების პრეტენზია, წოდებებსა და თანამდებობებს არ ვეძიებდი. ვიცი, რომ ბევრნი ჩემს ამ ნათქვამს საკამათოდ გახდიან, მაგრამ ბევრნიც დამემოწმებიან, რომ მე ყოველთვის უარს ვამბობდი ე. წ. საპატიო წინადადებებზე, როცა ვფიქრობდი, რომ დაკისრებული საქმის შესაფერის დონეზე შესრულების უნარი არ მქონდა. მხოლოდ მაშინ ვიკავებდი ამა თუ იმ თანამდებობას, როცა ვრწმუნდებოდი, რომ არსებობდა რეალური მხარდაჭერა, რომელსაც ჩემს ცოდნაში ამა თუ იმ ხარვეზის კომპენსირება შეეძლო. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად",თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 67).

73. მე არასოდეს მიმიცია თავისთვის უფლება ვინმე დამემოძღვრა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 199).

74. მე არსებითად ოპტიმისტი ვარ და მწამს, რომ მსოფლიო

აღარასდროს გაიყოფა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №172-175, 1997 წლის 24 ივლისი, გვ. 32).

75. მე არც ახლა ვაკრიტიკებ მიხეილ სერგის ძეს (გორბაჩოვს — შემდგ.), ყველაფრისთვის მის თანაბრად ვაგებ პასუხს. ანგარიშში არ არის ჩასაგდები ზოგი საკითხის გამო ჩემი შინაგანი უთანხმოება, რაკი თავის დროზე მე იმ გადაწყვეტილებებს აშკარად არ შევკამათებივარ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 25).

76. მე გულს მტკენს და მიმძიმს სუვერენულ სახელმწიფოთა ღირსების შეურაცხმყოფელ განცხადებათა მოსმენა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 210).

77. მე ვიცი სინანულიც და ისიც ვიცი, ვის წინაშე ვარ დამნაშავე. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 16).

78. მე თუ უხეშად მესხმიან თავს, არ ვუპასუხებ ამ პრინციპით: "თვალი თვალისა წილ". მაგრამ ჩემი რწმენის მისხალსაც კი არ ვთმობ, როცა ჩემს სიმართლეში დარწმუნებული ვარ. ვთმობ, თუ დამარწმუნებ, რომ ვცდები. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 17).

79. მე იმის თავგადადებული მომხრე ვარ, რომ ადამიანებს ვუთხრათ სიმართლე, როგორი მწარეც უნდა იყოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №201, 1993 წლის 15 სექტემბერი, გვ. 1).

80. მე იოლად ვერ მივდივარ დასკვნებამდე, მაგრამ, თუ გადაწყვეტილება მივიღე, მერე მზად ვარ სიცოცხლე შევწირო ამ წამოწყების ბოლომდე მიყვანას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №190, 1993 წლის 31 აგვისტო, გვ. 1).

81. მე ნებისმიერ ადამიანთან შემიძლია საერთო ენის გამონახვა.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №48-49, 1996 წლის 16 მარტი, გვ. 3).

82. მე ძალიან იშვიათად ვახსენებ ვინმეს წარსულ შეცდომებს თუ ცოდვებს. და თუ ვინმეს დღეს რამეს შევახსენებ, მხოლოდ იმიტომ, რომ შეცდომები აღარავინ გაიმეოროს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №263, 1997 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 3).

83. მე ხშირად ჩამიხედავს სახეში სიკვდილისათვის — სრულებითაც არ ვამბობ ფიგურალურად და ჩემი შეშინება ძნელია. ** ("ცხოვრება", №55, 1991 წლის 10 აგვისტო, გვ. 3).

84. მეგობარი, მეგობრობა — რა შეედრება ამ სიტყვებს! მეგობრობა ხომ, როგორც ბრძენს უთქვამს, სიცოცხლის მასულდგმულებელია. და მართლაც, ქვეყნად არაფერია მეგობრობაზე უკეთესი, ქვეყნად არაფერია

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "სეგოდნია", №37, 1996 წლის 6 მარტი (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "კომსომოლსკაია პრავდა", №176-177, 1991 წლის 3 აგვისტო, გვ. 3 (შემდგ.).

მეგობარზე ძვირფასი. („საქართველოს კომუნისტი", №6, 1981, გვ. 17).

85. მეგობრები ჭირში იცნობა. ამგვარი ანბანური ჭეშმარიტებანი ცხოვრებისეული კანონის ძალას იძენენ, როცა მათ შფოთისა და განსაცდელის ჟამს გაითავისებ. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად",თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 337).

86. ...მეგობრის თვალით დანახული ნაკლოვანებანი აუცილებლად გასათვალისწინებელია. დადებითი შეფასება კი სასიამოვნოა. („საქართველოს რესპუბლიკა", №27, 1998 წლის 3 თებერვალი, გვ. 2).

87. ...მეგობრობა სიშორეს არ დაგიდევს. („საქართველოს კომუნისტი", №6, 1981, გვ. 20).

88. მეგობრობა! უწმინდესი სიტყვა, წმინდა გრძნობა, სწორუპოვარი განძია. ცნობილია, რომ თუ ბედი განსაკუთრებით სწყალობს კაცს და მოიწადინებს მას დაანათლოს ამ ქვეყანაზე უდიდესი ბედნიერება, ერთგულ მეგობარს შესძენს ხოლმე. („კომუნისტი", №251, 1983 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 3).

89. მთავარია, რომ... ვიყოთ სამართლიანი და წინდახედული მოვლენათა და პიროვნებათა შეფასებაში. („საქართველოს რესპუბლიკა", №52, 1995 წლის 11 მაისი, გვ. 2).

90. ...მთელი არსებით ვცდილობ არ ვეპირფერო ჩემს თავს. და ვფიქრობ, რომ ეს შემიძლია. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 44).

91. (მიღწეული წარმატებებით —შემდგ.)... არავითარ შემთხვევაში თავი არ უნდა დავიმშვიდოთ. („საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 1).

92. მკვდარზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო, — უთქვამთ ძველადვე. ამ ქვეყნიდან წასული კაცი ცოცხალთაგან არ განისჯება. მაგრამ არის სხვა იურისდიქცია, სულ სხვაგვარი, ქვეყნისა და ხალხის ბედთან დაკავშირებული ნორმები და ჩვენ უფლება არა გვაქვს უგულებელვყოთ ისინი, — მით უფრო, თუ ამ ქვეყნიდან წასული კაცი თავის თავს ამგვარი განზომილებებით ზომავდა. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 344).

93. მოდით, კაცურად მაინც ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე, მხოლოდ სიმრთლე და არაფერი სიმართლის გარდა. („კავკასიონი", №34, 1995 წლის 21 თებერვალი, გვ. 2).

94. მოთმინება — ძლიერთა ხვედრია... („საქართველოს რესპუბლიკა", №209, 1997 წლის 26 აგვისტო, გვ. 2).

95. ... მომავალი ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის ფიზიკურ სიძლიერესთან ერთად ჯანსაღი სულიც არის საჭირო. („საქართველოს რესპუბლიკა", №95, 1997 წლის 26 აპრილი, გვ. 1).

96. მომავლის შეგრძნება მთელი არსებით და მთელი გულით მხოლოდ მას ხელეწიფება, ვისაც ღრმად გაუდგამს ფესვი დღევანდელობაში, ვინაიდან მომავალი პირმშოა აწმყოსი.* ("დროშა", №7, 1982, გვ. 6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

97. ...მონანიება სულით ძლიერთა ნიჭია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1994 წლის 2 თებერვალი, გვ. 1).

98. ...მხოლოდ დაუფარავ და გულახდილ,გულწრფელ და უშუალო ალალმართალ და პატიოსან სჯა-ბაასს შეუძლია ნამდვილად დაარწმუნოს, გაამდიდროს და აღზარდოს ადამიანი! ("საქართველოს კომუნისტი", №8, 1983, გვ. 45).

99. ... მხოლოდ ის ავა ცხოვრების სანუკვარ მწვერვალებზე, ვინც არ ეძიებს იოლ გზას, ვინც არ შედრკება საფრთხის წინაშე, ვინც აწრთობს თავის ხასიათს, როგორც ფოლადს, ვინც მზად არის თავისი მგზნებარე გულით გაუშუქოს ხალხს მომავლის გზა. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №69, 1973 წლის 12 ივნისი, გვ.4).

100. მჯერა სიკეთის გამარჯვებისა, იქნება ეს რესპუბლიკის თუ მთელი მსოფლიოს მასშტაბით...

... მაგრამ, მოდით, რეალისტები ვიყოთ: სიკეთის სრულ გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორსაა. მისი მოპოვება შეიძლება მხოლოდ პატიოსანი და კეთილი ადამიანების გაერთიანებული, ყოველდღიური მეცადინეობებით. ისინი კი, სამწუხაროდ, იმდენად აქტიურნი, მტკიცენი და ერთსულოვანნი არ არიან, როგორც მათი ანტიპოდები. ეს ჭეშმარიტება ჯერ კიდევ უკვდავმა ლევ ტოლსტოიმ აღნიშნა.** ("კომუნისტი", №199, 1981 წლის 29 აგვისტო, გვ. 2).

101. ნათელი მომავლის სიმბოლოა. ("საქართველოს კომუნისტი" №3, 1981, გვ. 79).

102. ნათესაური ურთიერთობა არც ერთ ადამიანს, ასე ვთქვათ, "ცხოვრების უფლებას", სამსახურში დაწინაურების, საზოგადოებაში გარკვეული მდგომარეობის დაკავების შესაძლებლობას არ უნდა ართმევდეს. მაგრამ, ყოველივე ეს მხოლოდ და მხოლოდ მუშაკის დამსახურების, ღირსების, პოლიტიკური და საქმიანი თვისებების შესაბამისად უნდა ხდებოდეს და არა მოყვრობის მოსაზრებით, მხოლოდ "ჩემიანისთვის ხელის გამართვის" სურვილით.*** ("კომუნისტი", №112, 1983 წლის 15 მაისი, გვ. 1).

103. ნათქვამია, ადამიანმა სიცოცხლეში რამდენიმე საქმის მოგვარება უსათუოდ უნდა მოასწროსო: ხის დარგვა, სახლის აშენება, ბავშვის გაზრდა, წიგნის დაწერა. ეს უკანასკნელი საეჭვოა: განა ყველას შეუძლია წიგნი დაწეროს? ამის თაობაზეც უთქვამთ: ყოველი ადამიანის ცხოვრება, სულ ცოტა, თითო რომანს მაინც მოიცავს, მაგრამ ბევრის ცხოვრება მოთხრობასაც კი ვერ გასწვდებაო.

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "დეტსკაია ლიტერატურა", №6, 1982, გვ. 2 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №34, 1981 წლის 23 აგვისტო, გვ. 13 (შემდგ.).

*** თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა", №134, 1983 წლის 14 მაისი, გვ. 2 (შემდგ.).

გულწრფელი არ ვიქნები, თუ მოვყვები იმის მტკიცებას, რომ ჩემი ცხოვრება ღარიბია მოვლენებით და ერთ წიგნს არ გასწვდება. ხე ბევრი დავრგე, სოფელში სახლი ავაგე, შვილებიც დავზარდე, მაგრამ წიგნი არ დამიწერია, საამისოდ დრო არ მქონდა. იმასაც დავამატებდი, რომ ძალიან მომწონს შეგონება: სტრიქონი მხოლოდ მაშინ არის დაწერის ღირსი, თუ ის წაკითხვის ღირსიცაა. და კიდევ: ჩემთვის მიუღებელია ისეთი წიგნების გამოქვეყნება, რომელთა გამოცემის უფლება მხოლოდ მათი ავტორების მაღალი სამსახურებრივი მდგომარეობით არის ბოძებული. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 9).

104. ნათქვამია, იმედი უკანასკნელი კვდებაო... მაგრამ, მე მგონია, რომ იმედი პირველი იბადება კიდეც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №154, 1994 წლის 1 სექტემბერი, გვ. 1).

105. ნაკლოვანებათა უარყოფა ჯერ კიდევ არ არის მათი აღმოფხვრის საუკეთესო საშუალება. ეს ყველას უნდა ახსოვდეს. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 174).

106. ...ნამდვილად ყველაფერზე მთავარია, — არჩევანი, არჩევანი გზისა, ქცევის გეზისა, მოკავშირისა, მეგობრისა. ეს სულაც არ არის მხოლოდ პირადი არჩევანი. მას გვთავაზობს დრო, იდეა, პრინციპები, საქმე. და ისინივე ზღვარს უდებენ არჩევანს. არჩევანი ხომ ცალმხრივი აქტი არ არის. თქვენ ირჩევთ, მაგრამ თქვენც ხომ გირჩევენ და, თუ ორივე არჩევანი ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ ყველაფერი რიგზეა. მაგრამ თუ ეს თანხვდომა არ არის, მაშინ სხვა არჩევანის გაკეთება გიწევთ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 323).

107. ...ნდობას უნდა უფრთხილდებოდე, აფასებდე, არ იყენებდე ბოროტად, და ამასთანავე, რა თქმა უნდა, გამოგვქონდეს დასკვნები ნაკლოვანებებიდან და შეცდომებიდან, იქიდან, რაც არ გაგიკეთებია და არ დაგისრულებია, არ მიგიყვანია ბოლომდე, უნდა გამოგქონდეს სათანადო გაკვეთილი. ("კომუნისტი", №156, 1985 წლის 7 ივლისი, გვ. 1).

108. (ნებისმიერ — შემდგ.)... მანკიერებას თვალი უნდა გავუსწოროთ და დავძლიოთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №213, 1996 წლი 23 ოქტომბერი, გვ. 2).

109. ნებისმიერი მოვლენა წინააღმდეგობრივია. თუ წინასწარ, ვიდრე რაიმე სერიოზულს გადაწყვეტდე, ყოველმხრივ იდეალურ ვარიანტს დაელოდე, ვერასოდეს ვერაფერს მიაღწევ. ("ლიტერატურული საქართველო", №45, 1983 წლის 4 ნოემბერი, გვ. 2).

110. ნუ ავარიდებთ თვალს... ხარვეზებს. ძალზე საჭიროა დროულად

და ღრმად გავაანალიზოთ ისინი, გამოვიტანოთ დასკვნები. მოდუნება და გულარხეინობა არას გვარგებს. ("კომუნისტი", №149, 1985 წლის 29 ივნისი, გვ. 2).

111. ოცნების გარეშე მომავალი და ბედნიერი საზოგადოების წარმოდგენა შეუძლებელია, ისევე, როგორც წარმოუდგენელია სულიერებისა და თავისუფალი შემოქმედებითი ნების გარეშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №95, 1997 წლის 26 აპრილი, გვ. 1).

112. პარტიის წინაშე ჩემს მოვალეობას იმაში ვხედავდი, რომ გამეთავისუფლებინა კომუნისტთა ნება და შემოქმედებითი უნარი, გამეთავისუფლებინა ისინი დაუფიქრებელი შემსრულებლობისაგან, ემოქმედათ არა დოგმის საამებლად, არამედ საღი აზრის ინტერესებისათვის. ბევრი რამ იქიდან, რასაც რესპუბლიკის პარტორგანიზაციაში ვაკეთებდი, ეწინააღმდეგებოდა უზენაეს დებულებებს, უარყოფდა ყოვლის დამთრგუნავ ცენტრალიზმს, როგორც პრინციპს. ამგვარი თვითნებობის რისკი დიდი იყო და ხშირად მაგრძნობინებდნენ, ამისათვის შეიძლება თავიც წააგოო.* ("ცხოვრება", №55, 1991 წლის 10 აგვისტო, გვ. 2).

113. ... პარტნიორობა უეჭველად გულისხმობს ერთმანეთის ინტერესების პატივისცემას და ორივე მხარისათვის სასარგებლო თანამშრომლობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №132, 1997 წლის 10 ივნისი, გვ. 2).

114. პასუხისმგებლობა მომენტის, მოვლენათა მიმდინარეობის და ხასიათის შეფასებაშიც კი გვჭირდება. ("საქართველოს კომუნისტი", №5, 1989, გვ. 9).

115. პიროვნების რწმენას, იმის მიუხედავად მისაღებია თუ არა იგი ჩვენთვის, მე მაინც პატივს ვცემ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №199, 1994 წლის 9 ნოემბერი, გვ. 2).

116. პრინცესა დიანას ტრაგიკულმა სიკვდილმა, როგორც იტყვიან, მთელი მსოფლიო შეძრა, და, რა თქმა უნდა, მე დიდ გულისტკივილს გამოვხატავ ამ სამწუხარო შემთხვევის გამო. როგორც ვიცი, იგი მართლაც ემზადებოდა საქართველოში ჩამოსასვლელად. ამავე დროს, არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ამ ფაქტმა პლანეტის ყველა მკვიდრი უნდა ჩააფიქროს. ღირებულებანი, რომლებსაც დემოკრატია აფუძნებს, არ შეიძლება შეეხამოს ადამიანის სულში ხელის ფათურს, პიროვნების თავისუფლების უზენაესობის ხელყოფას, ყოველგვარ სისასტიკეს, სადისტურ გამოვლინებებს, როგორი შეფერილობითაც არ უნდა ხდებოდეს ეს უკუღმართობანი. ამ მხრივ საქართველოშიც ბევრი გვაქვს საფიქრებელი, სადარდებელი და მოსაგვარებელიც. ჩვენშიც ვერ გადავლახეთ დაუნდობლობის, შურისძიების, სენსაციების გაფეტიშების სინდრომი. ხშირად ხდება ხოლმე, რომ გულარხეინად შეჰყურებს საზოგადოება, თითოეული ჩვენგანი, როგორ კვდება ზეზეურად უდანაშაულო ადამიანი არა დანით, არა ტყვიით,

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "კომსომოლსკაია პრავდა", №176-177, 1991 წლის 3 აგვისტო, გვ. 3 (შემდგ.).

არამედ სიტყვით, ბილწი და დაუმსახურებელი სიტყვით, და ეს ყველაზე მწარე სიკვდილია. („საქართველოს რესპუბლიკა", №215, 1997 წლის 2 სექტემბერი, გვ. 2).

117. პრინციპულობა ყველგან არის საჭირო, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც და პირად ცხოვრებაშიც. აქ წყალგამყოფი არ არის და ვერც იქნება.* („კომუნისტი", №112, 1983 წლის 15 მაისი, გვ. 1).

118. პარტიის XXVIII ყრილობაზე მკითხეს, როგორ შევუფარდებდი ბრეჟნევის უწინდელ ჩემეულ ხოტბას ჩემს დღევანდელ პოზიციას. მე ვუპასუხე, რომ გენერალური მდივანი არათუ ხელს არ უშლიდა ჩვენს წამოწყებას (მას კი, რასაკვირველია, შეეძლო ხელი შეეშალა მათი, ასე ვთქვათ, „ერეტიკული" ხასიათის გამო), არამედ მხარსაც კი უჭერდა მათ. ჰოდა, როგორ მოვიქცე მე, დღეს გაბატონებული შეფასებებისა და განწყობილებების გამო უარი ვთქვა სამართლიანობაზე, წესიერებაზე, მადლიერების გრძნობაზე? ასე რომ მოვიქცე, როგორ გამოვჩნდები მე ჩემსავ თვალში? (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 74-75).

119. რა თქმა უნდა, არანორმალურია ვითარება, როცა ხელმძღვანელს გამუდმებით უწევს თავისი გაბედულების გამოცდა ექსტრემალურ სიტუაციებში. ნორმალურია მშვიდ, ექსცესებს მოკლებულ ვითარებაში მუშაობა. მაგრამ თუ სიმშვიდე არ არის, თუ ვნებები ბობოქრობს, — ადამიანებთან უნდა მიხვიდე და უნდა ესაუბრო.

მე ამისთვის არასოდეს ამირიდებია თავი, ისევე, როგორც არც ჩემი შეცდომების აღიარებისა შემშინებია. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 76).

120. ... რა შეიძლება იყოს კეთილ სიტყვაზე უფრო ძლიერი? („საქართველოს რესპუბლიკა", №39, 1998 წლის 17 თებერვალი, გვ. 2).

121. ...რაღა საჭიროა საუბრები რაღაც ღირებულებებზე, რომლებიც იმდენად გაუფასურდნენ, რომ გასაწირავიც აღარაფერია. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 109).

122. როგორ შეიძლება დამალო ის, რისი დამალვაც შეუძლებელია? (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 288).

123. როგორც არ უნდა შეტრიალდეს ბედი, ჩემს ხვედრს არასახარბიელოდ მაინც არ ჩავთვლი. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 101).

124. როდესაც შენი ქვეყნისა და ხალხის გადარჩენა გსურს, და იცი, რომ ეს იმ ხალხზეა დამოკიდებული, რომლებიც შენს მაგიდასთან

---

* თარგმნილია გაზეთიდან: „პრავდა", №134, 1983 წლის 14 მაისი, გვ. 2 (შემდ).

სხედან, მაშინ ხელოვანი უნდა იყო, რომ ისინი აიძულო დაგიჯერონ და გენდონ გარკვეული დროის განმავლობაში. მთავარია მათთან გულახდილი და სამართლიანი იყო. ეს ხალხი, მიუხედავად იმისა, იზიარებენ თუ არა შენს შეხედულებებს, უნდა დაარწმუნო შენს პატიოსნებასა და გულახდილობაში და აიძულო გამოგყვნენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №152, 1997 წლის 3 ივლისი, გვ. 3).

125. რომ დაარწმუნო, უნდა იცოდე, უნდა გჯეროდეს, თვით იწვოდე და სხვასაც გზას უნათებდე, როგორც დიდი ილია იტყოდა. ამასთან, რომ დაარწმუნო, უნდა იცოდე, თუ რა აღელვებს, რა აწუხებს ადამიანს. ("კომუნისტი", №119, 1979 წლის 24 მაისი, გვ. 2).

126. ... როცა ადამიანებს სახეზე აწერიათ სიხარული, ასეთი ემოციის ორგანიზება არ შეიძლება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №42, 1997 წლის 21 თებერვალი, გვ. 2).

127. როცა ვამბობთ, რომ საჭიროა გამყიდველის აღზრდაო, ამავე დროს ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ მყიდველსაც უნდა ვზრდიდეთ. დიდ მომთხოვნელობას რომ იჩენს გამყიდველის მიმართ, მყიდველი პატივსაც უნდა სცემდეს მის შრომას, მხოლოდ მაშინ დამყარდება სრული ურთიერთგაგება. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 86-87).

128. როცა თანამდებობა, გარკვეული მდგომარეობა გიკავია საზოგადოებაში, პასუხს აგებ ხალხის წინაშე და თუ ხალხს მიაჩნია, რომ საჭირო ხარ, არ უნდა გაიქცე... ("საქართველოს რესპუბლიკა", №224, 1993 წლის 13 ოქტომბერი, გვ. 1).

129. როცა კაცი ჭეშმარიტებას ეძებს, შეიძლება შეცდეს კიდეც, ყოველთვის ვერ ჩამოაყალიბოს მკაფიოდ და ზუსტად თავისი აზრი. ეს არ არის საშიში, ამ საქმეს ეშველება. მთავარია იყო გულწრფელი, მებრძოლი, პრინციპული, არ ცბიერობდე, არ თვალთმაქცობდე. ("კომუნისტი", №63, 1976 წლის 17 მარტი, გვ. 5).

130. როცა... ნეგატიურ ტენდენციებს ვებრძვით, ჩვენ ვისწრაფით ვიხსნათ ადამიანი საშინელი შედეგებისაგან: პიროვნების განადგურებისაგან, უბედურებისა და თავლაფდასხმისაგან. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 116).

131. როცა რაიმე გადაწყვეტილებას ვიღებთ, ათიათასჯერ უნდა გაიზომოს ყველაფერი და მერე გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №102, 1997 წლის 6 მაისი, გვ. 2).

132. როცა საქმე ეხება სიყვარულს, ცოტა ძნელია სიმტკიცის დაცვა...

ამ შემთხვევაში, ალბათ, უმჯობესია ვისაუბროთ არჩევანზე, რომელიც გააკეთა ადამიანმა. ("დრონი", №37, 1993 წლის 9 ივნისი, გვ. 5).

133. (საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ყოფნისას – შემდგ.)... ...მხოლოდ ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა თუ იცოდნენ, რომ მე, საქმის ინტერესებს გარდა, არაფერი მრჯიდა. მართალია, საჯაროდ არაერთხელ განვაცხადე, ჩემი მრწამსისადმი ერთგულება თუ შეუძლებელი აღმოჩნდა, ვერავითარი ძალა ვერ დამაკავებს მეთქი, მაგრამ ამას ბევრნი არ მიიჩნევდნენ სერიოზულად. რასაკვირველია დასანანია... მაგრამ, ასეა თუ ისე, შინაგანად მაინც საიმედოდ ვიყავი დაცული საკუთარი სიმართლის რწმენითა და თავისუფლებით – ჩემი თავის ჩემივე ნებისამებრ მართვის უფლებით. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ.19).

134. (სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნამდე – შემდგ.)... მე არ ვიცნობდი პროფესიული დიპლომატიის წვრილმანებს, მაგრამ ვიცნობდი საკუთარ თავს: ვიცოდი, შემეძლო საქმეს ისე შევჭიდებოდი, რომ დილეტანტად ვერავის მივეჩნიე. ეს იყო გამოწვევა და არ შემეძლო გამოწვევა არ მიმეღო. მე ყოველთვის ძლიერ ოპონენტებსა და პარტნიორებს ვეძებდი – ეს მთელი ჩემი შინაგანი ძალების ამოქმედებაში მშველოდა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა"განათლება", 1992, გვ. 83).

135. საგნების ლოგიკა ასეთია: თუ იქნება ცოდნა, იქნება რწმენაც, ხოლო რწმენასთან ერთად იბადება ერთგულება, პასუხისმგებლობა, გამბედაობა, ძმობის... სულისკვეთება და სხვა მრავალი ძვირფასი თვისება... ადამიანისა. ("კომუნისტი", №146, 1971 წლის 27 ივნისი, გვ.3).

136. საერთოდ არ მჯერა და არ მწამს ხელჩაქნეული კაცისა. როცა ადამიანი იბადება თავისი პირველი ამოძახილით განაცხადებს, რომ ქვეყანას შრომისა და ბრძოლისათვის მოევლინა. ამიტომაც მიმაჩნია, კაცს სიცოცხლის ბოლომდე ხელის ჩაქნევის უფლება არა აქვს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №65, 1994 წლის 21 აპრილი, გვ. 3).

137. საერთოდ, უნდა გითხრათ: ვისაც სურდა და შეეძლო, არც იმ უძრაობის წლებში ტკეპნიდა ერთ ადგილს. მუშაობდა, ეძიებდა, ჰპოვებდა. ბევრს კი ახლაც, ჩემი აზრით, ძიებისათვის საუკეთესო პირობებშიც კი, არ შეუძლია და არ სურს. წარსულს აბრალებენ თავიანთ დღევანდელ მარცხსა და ხარვეზებს.* ("კომუნისტი", №180, 1989 წლის 5 აგვისტო, გვ. 3).

138. ...საზოგადოების, სახელმწიფოს, ადამიანის ზნეობრივი სახე, ზნეობრივი თვითშეგნება ვლინდება, უწინარეს ყოვლისა, ნებისმიერ ძალმომრეობასთან დამოკიდებულებით. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავიტელსტვენი ვესტნიკ", №14-15, 1989 წლის ივლისი, გვ. 16 (შემდგ.).

და თავისუფლების დასაცავად". თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 176).

139. საკუთარი თავის დაგმობა, თვითგვემა, განწმენდა სულაც არ მოითხოვს თავის გმობას, უიმედობისა და პესიმიზმის დამკვიდრებას. განწმენდა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გვჯერა ჩვენი თავის და მაშინ განვიწმინდებით. ("განათლება", №4, 1994 წლის 3 მარტი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

140. ... სამუდამოდ ახალგაზრდებად დარჩებიან ხალხის ხსოვნაში გმირები, რომლებმაც უკვდავება მოიპოვეს. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 97).

141. სამშობლოს სიყვარული მაღალი ზნეობრივი პრინციპების ერთგულებას ნიშნავს, შერყეული და გათელილი მორალი სამშობლოს ღალატია. ("დროშა", №1, 1982, გვ. 1).

142. ...სანამ ჩემს მოვალეობას ვასრულებ, შევასრულებ ისე, როგორც ჩემი სინდისი მიკარნახებს, რის საშუალებასაც მაძლევს ჩემი ცოდნა, გამოცდილება, უბრალოდ, ფიზიკური შესაძლებლობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №53, 1994 წლის 5 აპრილი, გვ. 1).

143. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კარგ ხელმძღვანელად არ იბადებიან. მით უმეტეს არავინ არ იბადება, ასე ვთქვათ, უნივერსალური რანგის ხელმძღვანელად. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 85).

144. ... სიმტკიცე კეთილი უნდა იყოს, "რკინისას" უკუაგდებენ...* ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1998 წლის 27 იანვარი, გვ. 3).

145. ...სიტყვას დიდი ძალა აქვს. სიტყვა კურნავს, სიტყვა ბადებს სიმხნევეს. ("საქართველოს კომუნისტი", №12, 1982, გვ. 35).

146. ...სიტყვებიც ზოგჯერ საჭიროა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვიჭირს, სიტყვასაც ძალა აქვს, სიტყვასაც მატერიალური ფასი აქვს. ("განათლება", №4, 1994 წლის 3 მარტი, გვ. 1).

147. სიყვარული არავის არ ჩაგრავს და არავის არ ამცირებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №219, 1996 წლის 31 ოქტომბერი, გვ. 2).

148. სიცრუით ყოველთვის წააგებ, პატიოსნებით კი მოიგებ. ყველა ჩემს პარტნიორთან ურთიერთობაში ამ პრინციპით ვხელმძღვანელობდი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 133).

149. სკამი თავისთავად ავტორიტეტს არ იძლევა. წინამძღვრები სჭირდება იმას, რომ ხელმძღვანელ პოსტზე დაწინაურებული კაცი

* თარგმნილია გაზეთიდან: "ნოვიე იზვესტია", 1998 წლის 22 იანვარი (შემდგ.).

თავისი მდგომარეობის სიმაღლეზე დადგეს.* ("კომუნისტი", №112, 1983 წლის 15 მაისი, გვ.1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

150. სული ჭეშმარიტებასა და სამართლიანობას ეძიებს და თავის თავს ისეთი სიტყვებით ამოთქვამს, მხოლოდ ლოცვასა და აღსარებას რომ შეეფერება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 139).

151. ... სწორედ შეუძლებელს უნდა შეეჭიდო, რათა მიიღო სასურველი, შესაძლო შედეგი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1998 წლის 17 იანვარი, გვ. 2).

152. სწორი, ჰუმანური... ვერ იქნება მეთაურის პოსტზე დავტოვოთ ადამიანი, რომელიც თავს ვერართმევს მოვალეობებს, და, მაშასადამე, ვერ არის ავტორიტეტიანი ხელმძღვანელი. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 115).

153. ტოლერანტობა, მოყვასისადმი სიყვარული არ შეიძლება მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის, ამა თუ იმ ხალხის დამახასიათებელი იყოს. ყოველივე ეს უნდა იქცეს ხალხთა და სახელმწიფოთა თანაცხოვრების პრინციპად, თითოეული ადამიანის არსებობის წესად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №219, 1996 წლის 31 ოქტომბერი, გვ. 2).

154. ...ტოლერანტობამ, მოყვასის სიყვარულმა უნდა გააერთიანოს და გაათანაბროს ამქვეყნად ადამიანები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №219, 1996 წლის 31 ოქტომბერი, გვ. 2).

155. უანგაროდ გამოწვდილი დახმარების ხელი ყოველთვის ბედნიერებაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №137, 1996 წლის 11 ივლისი, გვ. 1).

156. უდიდესი განსაცდელი ხალხის უდიდეს ზნეობრივ რეზერვებს გამოავლენს, ჭეშმარიტად მასობრივ გმირობას წარმოაჩენს ხოლმე. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 77).

157. ...უკვდავია ქვეყანა, სადაც მთის ჰაერივით სპეტაკი ზნეობა ბატონობს, წყაროს წყალივით ანკარა მორალი მკვიდრდება. ("დროშა", №1, 1982, გვ. 1).

158. უნდა ვიკისროთ ის ვალდებულება, რომლის შესრულებაც შეგვიძლია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №282, 1997 წლის 11 ნოემბერი, გვ. 2).

159. უნდა ვიცოდეთ ჩვენი... პოზიციების პრინციპული და თანმიმდევრული დაცვა. თითოეულის გონებასა და გულამდე უმოკლესი გზის მიგნება დიდი ხელოვნებაა, და მას უნდა ვეუფლებოდეთ, ვეუფლებოდეთ შეუპოვრად და მტკიცედ, მუდამ ვითვალისწინებდეთ ახალ ვითარებას,

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა", №134, 1983 წლის 14 მაისი, გვ. 2 (შემდგ.).

ახალ სიტუაციას, როცა უკვე მიუტევებელია ახსნა-განმარტებითი მუშაობა ძველებურად, ყავლგასული, უკვე მთლად დრომოჭმული ფორმებით. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 168-169).

160. უნდა შევგვძლოს კარიერიზმის განსხვავება ბუნებრივი და საჭირო მისწრაფებისაგან – გამოიჩინო თავი, დაიმსახურო დაწინაურება. ასეთი მისწრაფება უნდა წავახალისოთ, მაგრამ იგი მკაცრად უნდა შევუფარდოთ თითოეული მუშაკის უნარს, საქმიანსა და ზნეობრივ თვისებებს. (ე.ა. შევარდნაძე,"კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 92).

161. უპასუხებს თუ არა თითოეული ჩვენგანი იმ მდგომარეობას, რომელიც მას საზოგადოებასა და სახელმწიფოში უკავია – ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 2).

162. უსაქმურობასა და უპასუხისმგებლობას ვერ შევიწყნარებთ.* ("კომუნისტი", №112, 1983 წლის 15 მაისი, გვ. 1).

163. ...უფლება არა გვაქვს, სხვებისგან მოვითხოვოთ მრწამსის დათმობა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 119).

164. ფიზიკის ყველა კანონის საწინააღმდეგოდ ეს დედამიწა, სამყაროში გატყორცნილი პატარა ბურთი, სიყვარულზე დგას, სიყვარული ამოძრავებს მას და თუკი დადგება ოდესმე ისეთი შავი დღე, როცა სიყვარული აღარ იარსებებს, დედამიწაც შეწყვეტს არსებობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №65, 1995 წლის 13 ივნისი, გვ. 1).

165. ...ფიქრებს მსოფლიო საზოგადოების სოლიდარული და შეთანხმებული ძალით ბუნების დაცვაზე ჩემდა უნებლიედ გადავყავარ დასახული გზიდან, და ახლა ჩემი ფიქრები უტრიალებს სულის ეკოლოგიას, ზნეობრივი რესურსების დაზოგვას და გამოვლენას. სულიერი ენერგიის მტაცებლურმა ექსპლუატაციამაც ასევე კატასტროფის ზღვრამდე მიიყვანა ადამიანის ბუნება და ადამიანობა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 300).

166. ქრისტეს მცნებებში წერია: გიყვარდეს მოყვასი შენი. გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა მოყვასი შენი. ეს ჰუმანიზმის მაქსიმალური ფილოსოფიური და ეთიკური ფორმულაა. მასში უდიდესი ზოგად-

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა", №134, 1983 წლის 14 მაისი, გვ. 2 (შემდგ.).

საკაცობრიო სიბრძნეა. მივყვეთ სახარების და ქრისტეს მცნებებს და გზას ტაძრისაკენ უკეთ ვიპოვით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1997 წლის 1 იანვარი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

167. ღმერთთან მიახლოება... მონანიებით იწყება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №40, 1994 წლის 15 მარტი, გვ. 5).

168. ყველას როდი ესმის ის ჭეშმარიტება, რომ გმირი ის არის, ვისაც თავისი ცხოვრების მისიად ხალხისათვის სამსახური მიაჩნია. ("კომუნისტი", №27, 1960 წლის 31 იანვარი, გვ. 3).

169. ყველამ უნდა ვიგრძნოთ საკუთარი პასუხისმგებლობა. მეც ჩემი პასუხისმგებლობა მაკისრია... ("დრონი", №3, 1993 წლის 22 იანვარი, გვ. 4).

170. ყველას შეუძლია კარგი ქმნას, სიხარული მიანიჭოს ადამიანებს, ოღონდ გული გულობდეს. ("კომუნისტი", №299, 1980 წლის 30 დეკემბერი, გვ. 2).

171. ყველაფერთან ერთად, მონანიებაში... პირადი პასუხისმგებლობის აღიარებაც ივარაუდება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 287).

172. ყველაფრის პატიება შემიძლია, უწმაწურობის, სიბინძურის, ქართველი კაცის საუკუნოვანი ტრადიციების, მისი ზრდილობისა და კულტურის შეურაცხყოფის გარდა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №110, 1994 წლის 17 ივნისი, გვ. 1).

173. ყოველ ადამიანს საფუძველში მაღალი ზნეობა უნდა ჰქონდეს. ("იბერია-სპექტრი", №53, 1992 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 3).

174. (ყოველთვის — შემდგ.)... ვცდილობდი გავრკვეულიყავი, მაინც რას ეყრდნობოდა ჩემთვის ძვირფასი ადამიანი, რომელიც ასე ფიქრობდა და არა — ისე.

ბავშვობიდანვე თუ ასეთ პურსა ჭამთ, ეს მთელ ცხოვრებაში გაგყვებათ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 40).

175. ყოველთვის უზნეობად და უსამართლობად მიმაჩნდა ერის შუაზე გახლეჩა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №138, 1993 წლის 29 ივნისი, გვ. 1).

176. ყოველთვის შემეძლო საქმიანი ფხიანობა და საქმისათვის აუცილებელი გამბედაობა გამერჩია დანაშაულებრივი გაქნილობისაგან. პირველს ხელს ვუწყობდი, როგორც შემეძლო, მეორეს — მთელი ძალით ვებრძოდი. ("რესპუბლიკა", №17, 1992 წლის 3 ივლისი, გვ. 3).

177. (შეურაცხყოფას, უნდობლობას, თავმოყვარეობის შელახვას — შემდგ.)... არა ვარ შეჩვეული და არც უნდა შეეჩვიოს ადამიანი. ("დრონი", №1, 1993 წლის 1 იანვარი, გვ. 3).

178. ჩემი ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მხარე ის არის, რომ მიჭირს უარი ვუთხრა ნდობაზე ადამიანს, რომელსაც ვენდობოდი. მაშინაც კი მიჭირს, როდესაც ამის საფუძველს მაძლევენ. მიჭირს ვაღიარო, რომ

მოვტყუვდი, შევცდი ამა თუ იმ ადამიანში. ეს ჩემი ძალიან დიდი სისუსტეა. ამასთან, ისიც უნდა ვთქვა, რომ ასეთ შემთხვევაში ყველამ უნდა სძლიოს საკუთარ თავს... ("საქართველოს რესპუბლიკა", №194, 1994 წლის 1 ნოემბერი, გვ. 2).

179. ჩემი თავის შეფასებაში არ ვცდები. რისი ცოდნაც მმართებს ჩემს შესახებ, ყველაფერი ვიცი. მეტად თუ არა, ნაკლებად ეს არც იმ ადამიანებმა იციან, რომლებთანაც ცხოვრების გზებმა დამაკავშირა. ყველა მათგანი როდია მაღალი აზრისა და ყველა კარგს როდი ამბობს ჩემს შესახებ. ეს სასიამოვნო არ არის, მაგრამ კანონზომიერია: ყველას ვერ აამებ, განსაკუთრებით მათ, ვისი ხვედრის გადაწყვეტის უფლება შენ გქონდა (არადა, კარგად ვიცი, რა მძიმეა ეს ტვირთი) და შენმა ამ უფლებამ მას არა მარტო უხერხული მდგომარეობა შეუქმნა, არამედ, შესაძლოა, ტკივილიც მიაყენა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 43-44).

180. ჩემი კანონი ჩემი ხალხის ხმაა... ("საქართველოს რესპუბლიკა", №163, 1993 წლის 28 ივლისი, გვ. 2).

181. ჩემი მორალი და ზნეობა არ მაძლევს იმის უფლებას, რომ ბრალდება ადამიანს უკან დავუბრუნო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №20, 1994 წლის 1 თებერვალი, გვ. 1).

182. ... ჩემი მოხუცებულობა ვერ მეწევა.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1998 წლის 27 იანვარი, გვ. 3).

183. ჩემი ცხოვრების ეს სამი წელი (იგულისხმება 1992-1995 წლები — შემდგ.), როგორც იტყვიან, ალესილი სამართებლის პირზე სიარულს ჰგავს და მაინც ვერაფერი ვერ შეაფერხებს ჩემს მზადყოფნას, ვიბრძოლო, თუნდაც, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ერთიანი და დემოკრატიული, გამთლიანებული და აყვავებული საქართველოსათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №143, 1995 წლის 17 ოქტომბერი, გვ. 2).

184. ჩემს პიროვნებასთან დაკავშირებული ყოველგვარი პომპეზურობა, დამსახურებული თუ დაუმსახურებელი ქება-დიდება მიუღებელია ჩემი შინაგანი ბუნებისათვის. მით უმეტეს, რომ ქვეყანას კიდევ ბევრი სატკივარი აქვს და ბევრი ჭრილობაა შეუხორცებელი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №4, 1998 წლის 6 იანვარი, გვ. 2).

185. ჩემს საქმიანობაში, რასაც ჩვენმა საზოგადოებათმცოდნეებმა ზნეობრივი რევოლუცია უწოდეს, ცოტა რისკი როდი იყო. ჩვენი ექსპერიმენტები, რომლებიც "წმინდა" დოგმებს ეწინააღმდეგებოდა, მაღალი თანამდებობის ორთოდოქსებს არა მარტო აღიზიანებდა, არამედ მათ მძვინვარებას იწვევდა და ანგარიშსწორების წყურვილით ავსებდა, და ანგარიშსწორება განა მარტო მე მემუქრებოდა!

* თარგმნილია გაზეთიდან: "ნოვიე იზვესტია", 1998 წლის 22 იანვარი (შემდგ.).

განა შემიძლია იმის დავიწყება, თუ რა დრამატულ სიტუაციაში ვიღებდით 1978 წლის აპრილში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე საქართველოს ახალ კონსტიტუციას? რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა მოითხოვდა მასში ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსზე მუხლის შენარჩუნებას. ეს მუხლი იყო ჯერ კიდევ ლენინის დროს მიღებული საბჭოთა საქართველოს პირველ ძირითად კანონში და 1938 (უნდა იყოს 1937 — შემდგ.) წლის კონსტიტუციაშიც დარჩა. მაგრამ ახალ პროექტში ის არ ჩართეს მოსკოველ სახელმწიფოთმცოდნეთა მოთხოვნით: "ეს მუხლი მარქსიზმ- ლენინიზმს ეწინააღმდეგებაო".

მე ეს ვაუწყე ბრეჟნევს, თან ჩემი შეშფოთება და შიშიც გამოვხატე. მან მირჩია, სუსლოვსა და ჩერნენკოს მოვლაპარაკებოდი, "და თუ განსაკუთრებით გაგიჭირდეს, გამაგებინეო".

ადვილი როდი იყო მათი დარწმუნება, რომ სახელმწიფო ენის შესახებ მუხლის გაუქმება უგუნურება იყო. ჩემს არსებაში უწინდებურად ცოცხლობდა "1956 წლის კომპლექსი". ცნობილი იყო, რომ მშობლიური ენის დასაცავად მზადდებოდა მძლავრი სტუდენტური დემონსტრაცია. მე მესმოდა, თუ რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა. სესიის დღეს, მის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, განთიადზე, ტელეფონით ველაპარაკე მ.ა. სუსლოვს. მე ვთხოვე, გაეცნო ბრეჟნევისთვის ეს ვითარება, შევახსენე 1956 წელი, ვარწმუნებდი, რომ მუხლის შენარჩუნება აუცილებელი იყო და ბოლოს ვუთხარი, რომ ჩემი შეხედულებისამებრ ვიმოქმედებდი.

რამდენიც ნებავთ, იმდენი ილაპარაკონ "მანევრსა" და "მოსკოვთან კურკურზე". ჩვენ დიდი უბედურება ავიცდინეთ და ხალხის ნების შესატყვისი კონსტიტუცია მივიღეთ. აი, ეს იყო ჩემთვის მთავარი. მე დიდად ვაფასებ მხარდაჭერას, რომელსაც იმ მძიმე დღეებში მიწევდნენ გ.ვ. კოლბინი და ზოგიერთი ამხანაგი პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან.

დიახ, მე რისკის გაწევა მიხდებოდა, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რისთვისაც მივდიოდი რისკზე. იმ შემთხვევაშიც კი ვიცოდი, როცა გარემოებები პირადად მე მიქმნიდა საფრთხეს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 75-76).

186. ჩვენ არასდროს არ უნდა ვჯერდებოდეთ მიღწეულს, თორემ მოვდუნდებით. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა — თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. — საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 103).

187. ჩვენ ვემიჯნებით ჩვენთვის ყოველივე უცხოს, მაგრამ ეს, ხატოვნად რომ ვთქვათ, სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს შეწყვეტილიყოს დროთა კავშირი. პირიქით — ნეგატიურისაგან გამიჯვნა წარსულში არსებული

ყოველივე პოზიტიურის მემკვიდრეობითობის დაცვის საუკეთესო ხერხია, რადგან ჩვენ ყოველივე ნეგატიურისაგან განწმენდილი წარსული გვწამს. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 140).

188. ჩვენ ვწყვეტდით და კვლავაც გადავწყვეტთ ადამიანებისათვის წილნაყრობის გრძნობის გამომუშავების პრობლემას, თანაც მისი ყველა ასპექტით: წილნაყრობისა პოლიტიკის განსაზღვრისადმი, წილნაყრობისა მისი განხორციელებისათვის პასუხისმგებლობისადმი და წილნაყრობისა, უფრო სწორად, მონაწილეობისა მის პრაქტიკულ ხორცშესხმაში. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 25 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 145).

189. ჩვენ კარგად უნდა შევიგნოთ: ბოროტება სიკეთედ ვერ იქცევა მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ჩვენი შინაური ბოროტებაა.

ბოროტება ბოროტებად რჩება და მას უნდა ვებრძოლოთ. ვინც ასე არ იქცევა, ბოროტებას ამრავლებს. ("კომუნისტი", №133, 1974 წლის 9 ივნისი, გვ. 2).

190. ...ჩვენ პატიოსნების ყველაზე ფართო გაგების მომხრე ვართ. პატიოსანი მარტო ის როდია, ვინც ქრთამს არ იღებს; პატიოსნების ასეთ საზომზე ლაპარაკიც კი უხერხულია. პატიოსანი ის არის, ვინც თავისი შრომით, თავისი მაგალითით ამტკიცებს უსაზღვრო ერთგულებას... ხალხისადმი, ვინც სიძნელეებს არ უშინდება და გაბედულად სძლევს მათ. ("კომუნისტი", №23, 1979 წლის 27 იანვარი, გვ. 2).

191. ჩვენ როგორღაც გვავიწყდება, რომ ჩვენი პირადი ღირსება მარტოოდენ ჩვენი პირადი კუთვნილება არ არის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №16-17, 1992 წლის 31 იანვარი, გვ. 4).

192. ...ჩვენ უნდა შევეცადოთ, ზნეობრივი პრინციპები განმსაზღვრელი იყოს ადამიანთა მოქმედებაში... თუ შევძელით ეს, დიდი ამბავი იქნება. ("იბერია-სპექტრი", №53, 1992 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 4).

193. ჩვენ ყველამ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №151, 1993 წლის 14 ივლისი, გვ. 1).

194. ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ მუშაობაში შეიძლება იყოს ჩავარდნები, ხარვეზები, შეცდომები. მაგრამ მთავარია არ გავიმეოროთ ისინი, გამოვიტანოთ სწორი დასკვნები კრიტიკიდან. პირველი და მთავარი დასკვნა ის არის, რომ არასოდეს არ მოვიხიბლოთ მიღწეულით, არ დავჯერდეთ მას, ვიყოთ მაგალითი საქმისადმი თვითკრიტიკული დამოკიდებულებისა. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს.

– საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს",თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 140).

195. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ჩვენი პატივსაცემი ექიმები, ყველა ჩვენი მედიკოსი იძლეოდნენ ნამდვილი ჰუმანიზმის საუკეთესო მაგალითს, გამოირჩეოდნენ ექიმის ტაქტით, მთლიანად აკმაყოფილებდნენ პროფესიული ეთიკის მოთხოვნებს. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 83).

196. ჩვენ... ხელმძღვანელი მუშაკები... ყოველთვის და ყველაფერში, უწინარეს ყოვლისა, პირად ცხოვრებაში, საკუთარ სახლში, ჩვენს ოჯახში უნდა ვიყოთ მეტად თავმდაბალნი და ამ მხრივ მაგალითი მივცეთ ყველას. ("თბილისი", №159, 1974 წლის 10 ივლისი, გვ. 3).

197. ჩვენი თანამედროვის რწმენა უნდა ემყარებოდეს დიდ ცოდნას, საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა ახსნისა და შეთვისების უნარს. ("კომუნისტი", №93, 1963 წლის 19 აპრილი, გვ. 3).

198. ...ჩვენი მორალური და ზნეობრივი სახე ნებისმიერი გაჭირვების თუ უბედურების მომენტში უნდა შევინარჩუნოთ, არ უნდა დავკარგოთ იგი და თუ დავკარგეთ, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ აღვადგინოთ, რადგან მან უნდა გადაგვარჩინოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №203, 1992 წლის 6 ოქტომბერი, გვ. 2).

199. ... ჩვენს თავში უნდა გამოვძებნოთ ძალა და გამბედაობა, რათა, როცა საჭიროა, გადამწყვეტი სიტყვა ვთქვათ ქვეყნისა და ხალხის ინტერესების სასარგებლოდ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 2).

200. ...ცხოვრება ასწავლის და ბრძოლა აწრთობს იმათ, ვისაც სწყურია სწავლა და ბრძოლა, ვისაც აქვს პრინციპები და იცის, რისთვის იბრძვის. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 130).

201. ცხოვრება გვასწავლის, რაოდენ ძნელია ავტორიტეტის მოპოვება. იგი დიდი შრომით მოდის, მაგრამ საკმარისია ერთი მცდარი ნაბიჯი, რომ დაკარგო. უნდა გვახსოვდეს ეს.* ("კომუნისტი", №112, 1983 წლის 15 მაისი, გვ. 1).

202. ცხოვრება ცხოვრებაა, და მისი მრავალი სირთულის გამო შეცდომები, ვაი, რომ გამორიცხული არ არის. როგორ მოვიქცეთ, თუ შევცდით? მივაჩუმათოთ? ისეთი სახე მივიღოთ, თითქოს ეს ჩვენ არ გვეხება? არა, სხვაგვარად ვფიქრობ: ვცნოთ შეცდომა და... პირდაპირ

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა", №134, 1983 წლის 14 მაისი, გვ. 2 (შემდგ.).

ვთქვათ ეს, რათა ნამდვილი ავტორიტეტი დავიმსახუროთ.* ("კომუნისტი", №112, 1983 წლის 15 მაისი, გვ. 1).

203. ძლიერს არ ეშინია კრიტიკისა, სუსტი უფრთხის კრიტიკას. ("საქართველოს კომუნისტი", №3, 1980, გვ. 22).

204. წამატებანი და თვალის ახვევა სერიოზული ბოროტებაა. კაცს სურს მოტყუებით მოიპოვოს დაუმსახურებელი ავტორიტეტი. განა შეიძლება ამის შეწყნარება? არა და არა! და ჩვენც შეურიგებლად ვებრძვით იმათ, ვინც მოლიპულ გზას ადგება. მათი შეწყნარება არ იქნება.** ("კომუნისტი", №112, 1983 წლის 15 მაისი, გვ. 1).

205. წინაპართა ამაგი არ უნდა დავივიწყოთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №52-53, 1996 წლის 21-22 მარტი, გვ. 1).

206. ჭეშმარიტი მეგობრობა ჭეშმარიტ ნდობას ეფუძნება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №52-53, 1996 წლის 21-22 მარტი, გვ. 1).

207. ხშირად ზეშთაგონებული ცხოვრების მაგალითი ზოგიერთ ლექციების ციკლზე უკეთ გვეხმარება დავრაზმოთ ადამიანები ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის.*** ("საქართველოს კომუნისტი", №10, 1980, გვ. 6).

208. ჯარისკაცული მეგობრობა მტკიცეა! ჯარისკაცული მეგობრობა უღალატოა! იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვება კაცს! ("კომუნისტი", №289, 1981 წლის 17 დეკემბერი, გვ. 2).

209. 1948 წელს შევედი კომუნისტურ პარტიაში, გამიტაცა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მუშაობამ. ამან შემაძლებინა, მამაჩემის დარიგება შემესრულებინა: ვყოფილიყავი ადამიანებთან და მეშრომა ადამიანებისათვის. მრავალი წლის შემდეგ, პოლიტიკურ პლურალიზმზე საუბრისას, ჩემს თავს უფლება მივეცი განმეცხადებინა, რომ ძალაუფლებაზე ერთი პარტიის მონოპოლიამ ჩვენთან მოსპო პოლიტიკური ცხოვრება, როგორც სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა თანამოქმედების ასპარეზი. ახლა კი დავძენდი: კომკავშირი და პარტია, რომელშიც ოცი წლის ასაკში შევედი, პოლიტიკური თვითგამოვლენის ერთადერთი სფერო იყო. ერთნი მასში შედიოდნენ თავდაცვის ინსტინქტის კარნახით, რაკი გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ სხვა გზით საზოგადოებაში თავიანთი რეალური შესაძლებლობების შესატყვის ადგილს ვერ დაიკავებდნენ; სხვები, — და ასეთნი ცოტანი როდი იყვნენ, — პარტიაში სულისა და გულის კარნახით შედიოდნენ. სინდისის წინაშე შევცოდავდი, თუ ვიტყოდი, რომ ჩემთვის მხოლოდ პირველი მოტივი იყო უპირატესი და მეორე არ

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა", №134, 1983 წლის 14 მაისი, გვ. 2 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "პრავდა", №134, 1983 წლის 14 მაისი, გვ. 2( შემდგ.).

*** თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №38, 1980 წლის 17 სექტემბერი, გვ. 2 (შემდგ.).

არსებულა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 48).

210. 1989 წლის საშინელ დღეებში, თბილისში რომ ჩამო[illegible] დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, — ძალის მოშველიებით მიტინგის დარბევის შედეგად როცა ადამიანები დაიღუპნენ, — ჩემს თანამემამულეებს ვუთხარი: "თქვენ უკვე ისეთები აღარა ხართ, როგორიც გუშინ იყავით. მაგრამ მეც შევიცვალე".

რასაკვირველია, შეიძლება ადამიანი გაკიცხო იმისათვის, რომ განუდგა თავის ადრინდელ შეხედულებებს, შეიძლება ადამიანმა ძალიანაც იამაყოს იმით, რომ არ სურს პრინციპების დათმობა, მაგრამ როცა ის ებღაუჭება მკვდარ, ან მომაკვდავ პოსტულატებს, ჩემი აზრით, ეს თვით სიცოცხლესთან, მის მარადიულ არსთან, მის მუდმივ განახლებასთან შეუთავსებელია.

იცვლებოდე — ეს იმას ნიშნავს, პასუხობდე ცხოვრების ძახილს. საუბარია არა მიმიკრიაზე, შემგუებლობაზე, ლაჩრულ ადაპტაციაზე, ქედის მოდრეკაზე. არა! საუბარია მიზანზე, რომლისთვისაც ულმობლად გადასინჯავთ საკუთარ პოზიციებსა და შეხედულებებს. მიზნის პრობლემა კი ყოველთვის არჩევანის პრობლემაა, და არჩევანი თუ მორალურად უმწიკვლოა, მაშინ ეს არჩევანი ისე უნდა გააკეთო, რომ ერესსა და განდგომაში დადანაშაულებისა არ შეგეშინდეს.

ჩემი საბოლოო არჩევანი განპირობებულია მთელი ჩემი ცხოვრებით, ყველაფრით, რაც მასში იყო კარგიცა და ავიც; განპირობებულია ჩემი სახლის, ჩემი ოჯახის, ჩემი ხალხის ცხოვრებით — ხალხისა, რომელიც დღეს შეიძლება არ მწყალობდეს, მაგრამ ურომლისოდაც სიცოცხლე არ ძალმიძს. ჩემს ცხოვრებაში, ჩემსაშიც და საერთო-სახალხო ცხოვრებაშიც, ხდებოდა ისეთი პროცესები და მოვლენები, რომლებსაც შეუძლებელი იყო თავი არ ეჩინა ჩემი ცხოვრებისეული ფილოსოფიის ჯერ ჩამოყალიბებაში, შემდეგ კი ევოლუციაში. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 44-45).

211. Абсолютное соблюдение принципов нравственности в условиях жестокой конкуренции довольно трудное дело. Но ... мы должны постараться сделать, чтобы нравственные принципы стали опреде-ляюшими в действиях людей. ("იბერია-სპექტრი", №54, 1992 წლის 27 ოქტომბერი-2 ნოემბერი, გვ. 4).

212. Вряд ли кто-нибудь может упрекнуть меня в том, что личные интересы я ставил выше всех иных. ( "Независимая Газета", № 152, 11 августа 1992 года, стр. 1).

213. Муки - удел идущих к свету. ("Литературная Грузия", № 11-12, 1992 , стр. 6).

214. ...невозможно обрести счастье, если не желаешь добра ближнему, соседу. (“Литературная Грузия”, № 4-5, 1992, стр. 303).

ეროვნული ბიბლიოთეკა

215. Никогда ни поздно исправить ошибку. (“Литературная Грузия”, № 1, 1993, стр. 124).

216. Разрушение лишь тогда хорошо, когда является залогом строительства лучшего. В противном случае оно не имеет смысла. (“Литературная Грузия”, № 1, 1993 года, стр. 128).

217. Сколько бы лет ни исполнялось человеку, его совесть должна быть чиста перед народом, единомишленниками или оппонентами, семьей.( “Свободная Грузия”, № 23-24, 25 января 1998 года, стр. 4).

218. Уважаю тех, у кого хватает сыл переборот самого себя. (ივერია-სპექტრი”, №54, 1992 წლის 27 ოქტომბერი-2 ნოემბერი, გვ. 4).

# X. დიპლომატიის, პოლიტიკის, პოლიტიკოსობის, პოლიტიკური კულტურის, სტაბილურობის, პოლიტიკური ლიდერის, ბირთვული იარაღის, განიარაღებისა და უშიშროების შესახებ

1. ადამიანური განზომილება სახელმწიფო პოლიტიკის უმაღლესი კრიტერიუმია. („საქართველოს რესპუბლიკა", №175, 1995 წლის 27 ნოემბერი, გვ. 2).

2. „ადამიანური მასშტაბი" არქიტექტორებმა მოიგონეს. ეს ტერმინი მთლიანად არ ემთხვევა „ადამიანურ განზომილებას", რომელიც პოლიტიკოსებმა დაამკვიდრეს. „ადამიანური მასშტაბი" ვარაუდობს საცხოვრისისა და ადამიანის, სამკვიდრო გარემოსა და მის მკვიდრთა თანაზომიერებას. ამ მასშტაბის დარღვევა იწვევს დისკომფორტს მძიმე ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სოციალური შედეგებით.

პოლიტიკის არქიტექტორები უფრო ხშირად ოპერირებენ კატეგორიებით, რომლებშიც ადამიანისთვის ადგილი არ რჩება. არის „ხალხი", „ქვეყანა", „ეროვნული უშიშროება", ესე იგი, თავმოყრილია დიადი ცნებები, მაგრამ ანგარიში არ ეწევა ყველაზე უმცირესსა და თან ყველაზე უმთავრესს — ადამიანის სიცოცხლეს. გეგონება, ეს კრებითი და ზვიადი ცნება თავისთავად იყოს ადამიანის კეთილდღეობის საწინდარი. მაგრამ ყველაზე კეთილმოწყობილ, გონივრულად დაგეგმილ და ლამაზად ნაშენებ ქალაქშიც ხომ ბევრს აქვს გაჭაპირებული ცხოვრება?! (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 125).

3. ალბათ, დადგა დრო, რომ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და სახელმწიფოებმაც ერთმანეთის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებზე იფიქრონ. დიდია სახელმწიფო თუ პატარა, ეს სხვა საკითხია. („საქართველოს რესპუბლიკა", №102, 1997 წლის 6 მაისი, გვ. 2).

4. ამ საუკუნის მიწურულს ზედმეტი არ იქნება ჩავუფიქრდეთ, როგორია ჩვენი გზის გამკვალავი იდეის ლოცია ევროპის კონტინენტზე. ორი წლის წინათ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს ახალი სახელი დაერქვა. ჩვენ მოვალენი ვართ შევაფასოთ, თუ რა გამოვიდა ამით: როცა თათბირს ორგანიზაცია დაერქვა, რას მიენიჭა პრიორიტეტი? როცა „ევროპული სახლი" შეიცვალა „არქიტექტურით", შევცვლით თუ არა არსებულ წესებს?

დიდი არქიტექტურა თუ არ იქნა, ვერც დიდი იდეა იქნება. ადეკვატურია თუ არა იგი იმისა, რამაც მიგვიყვანა „ცივ ომზე" გამარჯვებამდე? შეუძლია თუ არა დაგვისახოს ახალი ჰორიზონტები და თავიდან აგვაცილოს საუკუნის მიწურულს დატრიალებული დიდი ქარიშხალი —

ლოკალური ომები, რომლის დამანგრეველი ძალა არ ჩამოუვარდება გლობალურს; ომის ჟინით შეპყრობილი ნაციონალიზმი, აგრესიული სეპარატიზმი, რომელთა მხეცობა ნაცისტურს არ ჩამოუვარდება. არ არის არც ერთი ჰელსინკური კალათი, რომელიც მათ არ გადაექციოთ თავიანთი სისხლიანი ნარჩენების კალათად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე წარმოვადგენ ქვეყანას, სადაც ეს ტელევიზიით როდი იციან. სწორედ ამიტომ უფლება მაქვს, ვიკითხო: სახელდობრ, რას აკეთებენ ევროპული ორგანიზაციები და, კერძოდ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია? ჩვენ მხოლოდ ვაშოშმინებთ დანაშაულებრივ რეჟიმებს, ვუთანხმებთ მათ ლეგიტიმურ მთავრობებს.

ხელში ვყავართ ჩაჭერილი, ვასრულებთ მათ ულტიმატუმებს.

ჩვენ თვალს ვხუჭავთ მათ მიერ ორგანიზებულ ეთნიკური წმენდისა და ტერიტორიათა მითვისების შედეგების მცოცავი დაკანონების ტრაგიფარსებზე.

გვეშინია, გენოციდს გენოციდი ვუწოდოთ და გვრცხვენია, დავგმოთ კაცობრიობის წინააღმდეგ დამნაშავენი.

... ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ საფუძველი უნდა ჩაუყაროს ისეთ განზომილებებს, რომლებიც დაიცავენ ჩვენს საერთო ღირებულებებს, მათ შორის კულტურულ მემკვიდრეობას და გამორიცხავენ ნებისმიერ კონფლიქტებს, მათ შორის ცივილიზაციათა კონფლიქტს.

განზომილებები, რომელთა შორის სულაც არ იქნება საბოლოო პასუხისმგებლობის კატეგორია, ჩვენი საერთო უშიშროების უმცირესი აბუჩად აგდებისათვის, ნებისმიერი რეჟიმის ან ადამიანთა ჯგუფების, ანდა თვით იმ სახელმწიფოების დასჯის შეუქცევადობისათვის, რომლებიც ევროპის მშვიდობის ხელყოფაზე ოცნებობენ.

ევროპას ყველაფერი აქვს ამისათვის. მას ჯერჯერობით აკლია მხოლოდ ერთი რამ — ჰელსინკის დებულებათა დამავალდებულებელი ძალა, რომელიც მათი უცილობელი შესრულების გარანტიას იძლევა.

და აი, ჩემს თავს ვეკითხები: ხომ არ დადგა დრო, ვიფიქროთ ახალ ჰელსინკზე, რომლის საკანონმდებლო აქტი გახდება ძირითადი ევროპული კანონი, XXI საუკუნის ევროპის კონსტიტუცია?!* ("საქართველოს რესპუბლიკა", №56, 1997 წლის 11 მარტი, გვ. 1).

5. ამერიკული ატომური ბომბების პირველმა აფეთქებებმა ააფეთქეს სტრატეგიული სტაბილურობა და ბიძგი მისცეს გამალებულ ბირთვულ შეიარაღებებს.

...ამ აფეთქებებმა "ცივი ომის" სასტარტო მიჯნა აღნიშნეს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება" 1992, გვ. 163).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №9, 1997 წლის 2-9 მარტი, გვ. 7 (შემდგ.).

6. არ არის მთავარი, ქვეყნიერების რომელი მხარის მიმართულებით გაფართოვდება ნატო, მთავარია, იგი მშვიდობის მიმართულებით გაფართოვდეს. („საქართველოს რესპუბლიკა", №158, 1997 წლის 10 ივლისი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ...არ არსებობენ აბსოლუტურად ცოდვილი ან უცოდველი სახელმწიფოები. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 148).

8. არ არსებობს საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკის გარეშე! – ეს უნდა ახსოვდეს ყველას. („საქართველოს რესპუბლიკა", №16-17, 1992 წლის 31 იანვარი, გვ. 4).

9. არ არსებობს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების სხვა გზა, გარდა ადამიანისა და ადამიანობის დაცვისა, მოქალაქისა და საზოგადოების ინტერესთა ჰარმონიული შეხამების მეშვეობით. სავსებით ნათელია, რომ ამის მიღწევა შეუძლია მხოლოდ იმ პოლიტიკას, რომელიც აფუძნებს ადამიანურ საწყისს. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 139-140).

10. არ დაგავიწყდეთ, რომ პოლიტიკური მეგობრები წარსულში ხშირად პოლიტიკური მოწინააღმდეგენი იყვნენ. („კავკასიონი", №5, 1994 წლის 2 თებერვალი, გვ. 1).

11. არ შეიძლება პოლიტიკოსის სიტყვებისა და ქმედებების შეფასება მისი მოღვაწეობის კონტექსტიდან გამოცალკევებულად, არ შეიძლება მისი მოღვაწეობის საერთო მიმართულების იგნორირება. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 75).

12. არა, თვალი არ გატყუებთ, მაგრამ საკუთარ თავს კი იტყუებთ, როცა ადამიანს „იდეური" შეუთავსებლობის კედლით გაემიჯნებით მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ის თქვენგან განსხვავებულად აზროვნებს. სინამდვილეში ხშირად ირკვევა, რომ ის თქვენზე ნაკლებად არ აზროვნებს, თურმე თქვენი თანამოაზრეც კია. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 294).

13. არა მგონია საჭირო იყოს, დაველოდოთ იმ მომენტს, როცა ყველა დავა და უთანხმოება გაქრება.

უფრო ეფექტური იქნება, თუ ვეცდებით, რომ მოვაგვაროთ კონფლიქტები, შევანელოთ დაპირისპირება, ავიცილოთ უთანხმოება, გავააქტიუროთ კონტაქტები და, ამასთანავე, გადავიდეთ მრავალმხრივი მოლაპარაკების მექანიზმის მოწესრიგებაზე. ასეთი მიდგომა უფრო ეფექტური იქნება. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 274).

14. არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა, ბალკანეთისა და კავკასიის ქვეყნების ჩათვლით, სრულფასოვანი

გაწევრიანება ევროპულ სტრუქტურებში, ახალი, სამართლიანი, არა-კონფრონტაციული მსოფლიო წესრიგის შექმნის უმტკიცესი გარანტიაა. დარწმუნებული ვართ, რომ მას შემდეგ, რაც ეს უდიდესი და უძლიერესი გაერთიანება მოადგება შავი ზღვის დასავლეთ ნაპირებს, კავკასიის სახელმწიფოთა ცხოვრებაში თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყება — ეტაპი ხალხთა ევროპულ ოჯახში ყოვლისმომცველი ინტეგრაციისა, ეტაპი, რომელიც უამრავი სიძნელის მიუხედავად, უკვე დაიწყო და რომელსაც საქართველო და, დარწმუნებული ვარ, კავკასიის დანარჩენი სახელმწიფოები ბოლომდე მიიყვანენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №312, 1997 წლის 13 დეკემბერი, გვ. 2).

15. არავის უყვარს, როცა ვინმე მის საქმეში ცხვირს ჰყოფს, მაგრამ მშვიდობა თუ საკუთარ თავზე ოდნავ უფრო გიყვარს, შეიძლება ამგვარ თვითშეზღუდვას დაჰყაბულდე. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 159).

16. არაკეთილმოსურნეთა კრიტიკაში ყველაზე დამაღონებელია არა აღგზნებული გამოსვლები და მათში გადმონთხეული სასტიკი სიძულვილი, ან თვითმპყრობელური ლექსიკიდან გამოხმობილი იარლიყები და მეტსახელები, ან კიდევ კლასობრივი ბრძოლისა და ორი სისტემის დამაპირისპირებელი ლოზუნგებით შენიღბული იმპერიალიზმის ერთგვარი ნაირსახეობის სიმპტომები, არამედ გონივრული ალტერნატივის არარსებობა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 202).

17. არასტაბილური რუსეთი ყველასათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №225, 1992 წლის 3 ნოემბერი, გვ. 1).

18. "არითმეტიკული აზროვნება" სტატიკურია და სწორედ თავისი უძრაობის გამო მას არ ძალუძს ირგვლივ მიმოიხედოს და წინ იყუროს. იგი უფრო ხშირად შეთანხმებათა შედეგებით არის შეფიქრიანებული და იმას სულაც არ დაგიდევთ, თუ რა შეიძლება მოხდეს ქვეყანაში და რა შეიძლება მოუვიდეს თვით ქვეყანას, შეთანხმებები რომ არ დაიდოს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 252).

19. არსებობს მრავალი პრობლემა, რომლებიც არაბებმა და ისრაელელებმა უნდა განიხილონ. უწინარეს ყოვლისა, ჩემი აზრით, უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები, რომ ახლო აღმოსავლეთში არ იყოს არც ბირთვული, არც ქიმიური, არც ბაქტერიოლოგიური იარაღი. საჭიროა რაღაც თანხმობის მიღწევა რეგიონში სარაკეტო იარაღებთან დაკავშირებით, უნდა წამოიჭრას თავდაცვის საჭიროებათათვის საკმარისი შეიარაღების თემაც.

ამ პრობლემებზე ერთ მაგიდასთან უბრალო საუბარიც კი ხელს შეუწყობს ნდობის ზრდას, შექმნის შემდგომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისთვის აუცილებელ ამინდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ერთხელ გარკვევით უნდა ვთქვა: დროა წარსულს ჩაბარდეს ერთმანეთის ყოველგვარი "არცნობა" და დაიწყოს სერიოზული დიალოგი ყველა საკითხზე, რომლებიც პოლიტიკურ რეგულირებას მოითხოვენ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 187-188).

20. ...არსებობს რეალობანი, რომელთა უგულებელყოფა შეუძლებელია. ("კომუნისტი", №72, 1981 წლის 27 მარტი, გვ. 4).

21. აღმოსავლეთმცოდნენი, მეცნიერ-ორიენტალისტები საკამათოდ გახდიან ამ აზრს. მე კი ვიტყოდი, რომ აზიის იდეა ცოცხლობს ძველი დროის დიად მოძღვრებებში, რომელთა საერთო მემკვიდრეობა ჩვენ მივიღეთ ძღვნად, როგორც ერთიანი კონცეფცია ჰუმანიზმისა.

აზიის იდეა ასევე ცოცხლობს ჩვენი დროის აზროვნების გამონათებებში, პოლიტიკოსთა მონაპოვრებში, რომლებიც მიმართულია უზარმაზარი აზიური და ზოგადსაკაცობრიო ერთიანობისადმი, ეს იდეა ცოცხლობს უძალადობის ფილოსოფიაში, "პანჩა შილას" პრინციპებში, ბანდუნგის დეკლარაციაში. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 268-269).

22. არც ერთ პოლიტიკოსს, მით უმეტეს... ისეთს, ვის ცხოვრებაშიც ომმა დატოვა გაუყუჩებელი ტკივილი უახლოეს ადამიანთა დაღუპვის გამო, — არა აქვს უფლება, გულმოწყალების ამარა იყოს და არ იმოქმედოს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 242).

23. ...არც ერთი პოლიტიკური გადაწყვეტილება ან დიპლომატიური აქცია არ შეიძლება ჩაითვალოს ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების შესატყვისად, თუ ეს არის უზნეო აქცია. რასაკვირველია, საერთო ადლი აქ არ ივარგებს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 121).

24. არც ერთი სერიოზული პოლიტიკური მოძრაობა არ შობილა და არ გადაზრდილა მნიშვნელოვან ძალად ისე, რომ მასთან ერთად პარალელურად არ ყოფილიყო მისი მიმდევარი ახალგაზრდული ორგანიზაციები, ან მის შემადგენლობაში, ანდა ცალკე, რომლებიც მის პრინციპებს იზიარებენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №20, 1994 წლის 1 თებერვალი, გვ. 1).

25. არც ერთ ქვეყანას, როგორ მძლავრ ფლოტსაც არ უნდა ფლობდეს ის, მარტოს არ ძალუძს საზღვაო მიმოსვლის სტაბილურობის გარანტირება, მისი თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვა. მეტიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიმე სახელმწიფოს ასეთ აქტიურობას შეიძლებოდა სხვა სახელმწიფოების ეჭვი და უნდობლობა გამოეწვია.

ზღვასა და ჰაერში კომუნიკაციათა უსაფრთხოების, მათ შორის ტერორიზმთან და მეკობრეობასთან ბრძოლის ღონისძიებების საუკეთესო საშუალებად მივიჩნევ საერთაშორისო გარანტიათა სისტემის შემუშავებას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 275).

26. არც ერთი ქვეყანა არ გაიზიარებს ერთი სახელმწიფოს ძალებით წესრიგის დამყარების იდეას. ახალი მსოფწესრიგი მხოლოდ ერთობლივად შეიძლება აშენდეს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 183).

27. ...არც სოციალიზმი, არც მეგობრობა, არც კეთილმეზობლობა, არც პატივისცემა არ შეიძლება ემყარებოდეს ხიშტებს, ტანკებს, სისხლს. ნებისმიერ ქვეყანასთან ურთიერთობა ორივე მხარისთვის მომგებიანი უნდა იყოს, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებას, არჩევანის თავისუფლების პრინციპს უნდა დაემყაროს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 211).

28. აფხაზეთის სეპარატისტები რუსეთის გარკვეულმა ძალებმა შეაიარაღეს და დააფინანსეს, იქვე იგეგმებოდა სამხედრო ოპერაციები, მათ შორის დედაქალაქ სოხუმის "წარმატებული" იერიშიც. დღეს უკვე არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ეს კონფლიქტი ბუმერანგად დაუბრუნდა თვით რუსეთს ჩეჩნეთის ომის სახით. ამ უკანასკნელმა უდიდესი საფრთხე შეუქმნა დემოკრატიის განვითარებას ამ ქვეყანაში. შეგახსენებთ რაოდენ სათუო გახადა ჩეჩნეთის ომმა პრეზიდენტის არჩევნებში დემოკრატიული რუსეთის უდავო ლიდერის — ბორის ელცინის გამარჯვება, რომ აღარაფერი ვთქვათ დემოკრატიული რუსეთის იმიჯისათვის საერთაშორისო ასპარეზზე მიყენებულ ზარალზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

29. აღიარებული საერთო მიზანი, მისი ერთგულება — აი, ის ერთადერთი კრიტერიუმი, რომლის პრაქტიკული მიმდევრობა გადააქცევს ადამიანთა ფორმალურ გაერთიანებას ნამდვილ პოლიტიკურ პარტიად.* ("კომუნისტი", №97, 1990 წლის 24 აპრილი, გვ. 1).

30. აღორძინებულ "აბრეშუმის გზას" მე მეგობრობისა და სტაბილურობის ხიდსაც დავარქმევდი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №9, 1998 წლის 13 იანვარი, გვ. 2).

31. ახალ ურთიერთობებს ახალ პრინციპებზე მომუშავე დიპლომატიური სამსახურები სჭირდება. დიპლომატების მიმართაც მოთხოვნები უფრო

* თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №16, 1990 წლის 18 აპრილი, გვ. 9 (შემდგ.).

სამართლიანი და ობიექტური უნდა იყოს. ხშირად სახელმწიფო მუნდირი დიპლომატიური იცავს, მაგრამ ზარალდება მოქალაქე, პლანეტის მკვიდრი, რომელიც პოლიტიკოსებისგან ახლებურ აზროვნებასა და სამართლიანობის პრინციპების ახლებურ გააზრებას მოითხოვს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №10, 1997 წლის 15 იანვარი, გვ. 1).

32. ახალი აზროვნების მარცვლები კაცობრიობის ნიადაგში დიდი ხნის წინათ ჩაითესა, მაგრამ ღივი მხოლოდ ახლა გამოიტანა. რატომ? იმიტომ, რომ მხოლოდ ჩვენმა დრომ მიიყვანა კაცობრიობა იმის გაცნობიერებამდე, თუ რა საშიშროება ემუქრება მას. მინდა მწამდეს — და კიდევ მწამს! — რომ არანაკლებ სერიოზულ საფრთხეთა გაცნობიერება მოკავშირე რესპუბლიკებს მიიყვანს ერთიანობის, — ოღონდ უკვე თვისობრივად სხვა საფუძვლებზე დამყარებული ერთიანობის — საჭიროებამდე. აქამდე მათ მიიყვანს თავად ძალა და ხასიათი რეალობებისა, რომელთა უგულებელყოფა შეუძლებელი იქნება. ოღონდ კი ახლა არ დაყოვნდეს ახალი აზრი, ოღონდ კი უფრო ჩქარა დაეუფლოს ადამიანთა გონებას! (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 308-309).

33. ახალი აზროვნების პოლიტიკას არ გამოუწვევია ჩვენი საშინაო კატაკლიზმები. ჩვენს ოჯახურ საქმეებში პოლიტიკის პრინციპების გატარების უნარი ან სურვილი რომ არ არსებობდა, ამან გამოიწვია გასაჭირი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 136).

34. ახალი დრო ახალ პოლიტიკას მოითხოვს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 165).

35. ...ახალი პოლიტიკური აზროვნება და ინტელექტუალური გარღვევანი, როგორც მიღებულია ითქვას პოლიტიკაში, არანაკლებ საჭიროა დღეს, ვიდრე 80-იან წლებში, როცა, მე ასე ვიტყოდი, აზრის ბრწყინვალებამ, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისადმი თავგანწირულმა ერთგულებამ შეუძლებელი გაგვაკეთებინა: ყინული გალხვა და ცივი ომი დამთავრდა. ეს არის უნიკალური შემთხვევა, როცა თვალუწვდენელ ტერიტორიაზე — ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე (ასეთი გამოთქმა უკვე დამკვიდრდა) კლასობრივ-იდეოლოგიური ბარიკადების ნანგრევებზე მივიღეთ ერთიან მსოფლმხედველობრივ განზომილებათა სივრცე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 1).

36. ახლა დროება შეიცვალა. თუ უწინ ქვეყანა ოცნებობდა, რომ მეზობელი სახელმწიფო მასზე ძლიერი არ ყოფილიყო, დღეს საქართველოში ვოცნებობთ, რომ ჩვენი მეზობელი იყოს ძლიერი და კარგად ცხოვრობდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №228, 1996 წლის 13 ნოემბერი, გვ. 2).

37. ბევრი გამოჩენილი ადამიანი ამტკიცებდა: "პოლიტიკაში მორალი არ არსებობს, იქ არის მხოლოდ ინტერესები". ბევრი პოლიტიკოსი საჯაროდ გმობდა მაკიაველის შეხედულებებს, მაგრამ საქმით მის რჩევებს მისდევდა. პოლიტიკური მორალი ამართლებდა ყველაფერს, რასაც მიზნის მიღწევა, წარმატება მოჰქონდა. XX საუკუნის დასასრულს გაირკვა: ბევრ რამეს უკვე აღარ მოეძებნება გამართლება, რადგან მიზანდასახულობათა შორის უწინდელი განსხვავებანი სულ უფრო და უფრო უკან იხევს და ადგილს უთმობს საერთო მიზნებს. დიახ, ძალა ჯერ კიდევ არ გამხდარა გამოუსადეგარი, მაგრამ მისი გამოყენება სულ უფრო ხშირად ჩანს უპერსპექტივოდაც და ამორალურ საქმედაც. და, ვფიქრობ, ამ მიმართულებით ახალი აზროვნება სტიმულს აძლევდა პოლიტიკურ აზრს. ახალმა აზროვნებამ პოლიტიკაში ვიწრო, ეგოისტური ზრახვებით გზის გაგნებას ამჯობინა ზნეობრივი კრიტერიუმებითა და წარმოდგენებით სვლა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად" თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 120-121).

38. ბირთვული იარაღი რომ ნამდვილად წარმოადგენდეს ომის შეკავების საშუალებას, მაშინ, ლოგიკის თანახმად, მას გამალებული ჩვეულებრივი შეიარაღებაც უნდა შეეჩერებინა. პრაქტიკულად ყველაფერი პირიქით ხდება. სახელმწიფოებს ესმოდათ, რომ ბირთვული ომი შეუძლებელია, რომ ამ ომში გამარჯვებულნი არ იქნებიან და ზრდიდნენ ჩვეულებრივ შეიარაღებულ ძალებს. "ჩვეულებრივი ომი" სავსებით დასაშვებად მიაჩნდათ "ბირთვული შეკავების" დროსაც. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 165-166).

39. ბირთვული იარაღისა და მისი მიწოდების საშუალებათა გაჩენამ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში მაშინვე შემოიტანა ახალი ელემენტი — ერთმანეთის განადგურების პრობლემა.

მე მგონია, რომ ამერიკელებისათვის, ასევე დასავლეთში სხვა ადამიანებისთვისაც, ფსიქოლოგიური გაცნობიერება იმ ფაქტისა, რომ მათი ქვეყნები შეიძლება ბირთვული ომის შედეგად დასაღუპავად განწირული აღმოჩნდნენ, ფსიქოლოგიურად უფრო დიდი შოკი იყო, ვიდრე საბჭოთა მოქალაქეთათვის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 145).

40. ...ბირთვული საფრთხე გლობალურია თავისი შედეგებით. მისთვის არ არსებობს არც ეროვნული საზღვრები, არც იდეოლოგიური განსხვავება. იგი არც ნეიტრალიტეტს ცნობს და არც არავის დაინდობს. ("კომუნისტი", №182, 1987 წლის 8 აგვისტო, გვ. 3).

41. ბლოკადის ენაზე ლაპარაკი არც ერთ ხალხთან არ არის დასაშვები... ("საქართველოს რესპუბლიკა", №98, 1992 წლის 6 ივნისი, გვ. 2).

42. ...ბრიუსელში ვიყავი. ევროპარლამენტის დეპუტატებმა მკითხეს, რუმინეთის მოვლენებს როგორ აფასებთო. მაშინ სრული ინფორმაცია არ მქონდა იქაურ ამბებზე, ამოქმედდა "მოკავშირეობის" ინსტინქტიც, დიპლომატიის სიფრთხილემაც იძალა. მაგრამ მე მაინც ვთქვი, რომ ვგმობ ძალმომრეობას და დავტირი დაღუპულთ. განა ეს სოციალიზმია, – მკითხა ლეიბორისტმა, – როცა საკუთარ ხალხს ესვრიან, საკუთარ მოქალაქეებს ხვრეტენ? არა, ვუპასუხე მე, ეს სოციალიზმი არ არის და არც არასოდეს ყოფილა. და კიდევ, ტიმიშოარას მოვლენები მე გვერდით დავუყენე თბილისის ტრაგედიას (1989 წლის 9 აპრილის სისხლიან მოვლენებს – შემდგ.), – მათ საერთო სათავე, საერთო მიზეზი ჰქონდათ, ისინი ერთი ძალის მიერ იყო ინსპირირებული.

მაშინ მე შეუძლებლად მივიჩნიე დიპლომატიური მოსაზრებით სიფრთხილის გამოჩენა და გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება იმისადმი, რაც ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში (საბჭოთა კავშირში – შემდგ.). სამწუხაროდ, ჩემს სამშობლოში ეს არ გაუგონიათ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 200-201).

43. გადაწყვეტილება უნდა მიიღო მაშინ, როცა მომწიფდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №45, 1998 წლის 24 თებერვალი, გვ. 3).

44. გამალებული შეიარაღება, რომელიც მთელი ამ ორმოცდახუთი წლის მანძილზე (1945-1990 წწ. – შემდგ.) იყო გაჩაღებული, უკვე თეორიული კი არა, მატერიალური დადასტურებაა იმისა, რომ ბირთვული იარაღი არც ასრულებდა და არც ასრულებს ომისაგან შემაკავებელ ფუნქციას. სიტყვამ მოიტანა და, ეს "შეკავება" შეუკავებლად იზრდებოდა და მან დღეისათვის ისეთ შემზარავ მასშტაბებს მიაღწია, რომ თითქოს ყოველ თანამედროვე ტანკსა და ყოველ ქვეით ოცეულზე ლამის თითო ბირთვული საბრძოლო მუხტი მოდის.

არა, ასეთ "შეკავებაში" აშკარად რაღაც ვერ არის რიგზე!..

...დარწმუნებული ვარ, რომ დროა, გადაისინჯოს "ცივი ომის" ატმოსფეროში მომწიფებული კონცეფციები.

"ბირთვული შეკავება" არის ამ "გამყინვარების ეპოქის" გაყინული მემკვიდრეობა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 166).

45. ... გარდაქმნები, რომლებიც გასულ ათწლეულში დაიწყო საბჭოთა ბანაკში, უმთავრესად ცენტრალურ ხელმძღვანელობაში მომხდარი მსოფლმხედველობრივი გარდატეხის შედეგი იყო. ამიტომაც, კლასობრივ პრინციპებზე დაფუძნებული იდეოლოგიის უეცარმა გაუქმებამ შექმნა ვაკუუმი, რომლის ახალი კონფრონტაციული იდეოლოგიით ამოვსება ადამიანთა ცნობიერებაში არცთუ წარუმატებლად დაიწყეს ძველი სისტემის

წინააღმდეგ ბრძოლის ტალღაზე აღზრდილმა პოლიტიკურმა დილეტანტებმა, ცნობიერებაში ჯერ კიდევ რჩებოდა მტრის აჩრდილი, რომლის ახლებურად განსახიერება, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო. ამას დაერთო ისიც, რომ ტოტალური კონტროლისაგან დაღლილი ადამიანები დემოკრატიას ანარქიასთან აიგივებდნენ. ასე იქცა ქაოსი — თავისუფლებად, რომანტიზმით შეზავებული მითები — ერისა და ქვეყნის წარსულად და აწმყოდ, უკიდურესი ნაციონალიზმი — სახელმწიფოს ინტერესების დაცვად, ხოლო ქსენოფობია — ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებად. ერების ქვეცნობიერებაში მანამდე დათრგუნული სურვილების ამოფრქვევამ ამავე იდეოლოგიურ საფუძველზე შვა აგრესიული სეპარატიზმის მძლავრი ტალღა. შეიარაღებული გზით თვითგამორკვევის უფლება არათუ სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიული მთლიანობის, არამედ ასი ათასობით სხვა ერის ადამიანის ბუნებრივ უფლებაზე, მათ შორის, სიცოცხლის უფლებაზე უზენაესად იქცა. როგორც ჩანს, სულ ცოტა ხნის წინათ გადატანილმა გლობალურმა დაპირისპირებამ მსოფლიო თანამეგობრობის ისეთი გონებრივი და სულიერი დაძაბვა მოითხოვა, რომ ამ ახალი საშიში მოვლენისათვის დაუყოვნებლივი ადეკვატური წინააღმდეგობის გაწევა ვეღარავინ შეძლო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

46. გარდაქმნის ტრაგიკულ წარუმატებლობათა ჩემი ვერსია მოკლებულია ჩემგან თავის მართლების მოტივებს. მე მუდამ გარკვევით ვამბობ: "ჩემი ბრალია". მიღწევებზე საუბრისას მათ ჩემს დამსახურებად არ მივიჩნევ: ეს მიღწევები შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ მრავალმა ადამიანმა შეიგნო გარდაქმნის აუცილებლობა: როცა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემას ვაკრიტიკებ, არ ვესწრაფი, ამ სისტემის მსგავსად, მტრის კიდევ ერთი ფანტომის დაფიქსირებას. ჩემი ანალიზი უნდა იყოს ფხიზელი და მიუდგომელი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 311).

47. გარკვევით უნდა ითქვას: ბირთვული იარაღი მარტო მისი დამანგრეველი ფიზიკური თვისებებით როდია საშიში, ის მიუღებელია იმითაც, რომ აღრმავებს უფსკრულს ეროვნულსა და ზოგადსაკაცობრიოს შორის. შეუძლებელია ლაპარაკი ხალხთა თანასწორუფლებიანობაზე, მსოფლიოს ერთიანობაზე, როცა ვიღაცის ეროვნული ეგოიზმი შეიძლება დამუხტული იყოს მსოფლიოზე ატომური ბატონობის იდეით, რომელიც ეროვნული უშიშროების ინტერესებითაა შენიღბული.

ბირთვულ იარაღზე იმედების დამყარება, ვფიქრობ, არავის ეროვნულ ინტერესებს არ შეესატყვისება, ჭეშმარიტი უშიშროების უზრუნველყოფას მხოლოდ ბირთვულ პოტენციალთა ლიკვიდაცია შეუწყობდა ხელს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 167).

48. ...გაჭიანურებული კონფლიქტების მოგვარების თანამედროვე პრაქტიკა სულ უფრო უხამებს ერთმანეთს დარწმუნების ძალას და იძულების ძალას. („საქართველოს რესპუბლიკა", №15, 1996 წლის 26 იანვარი, გვ. 2).

49. ... გზა ევროპული ინტეგრაციისაკენ არის სწრაფვა დემოკრატიის განვითარებისა და, აქედან გამომდინარე, ადამიანების კეთილდღეობისაკენ, რადგან შეუძლებელია ერთ სფეროში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ ღატაკნი და უმდიდრესნი. ვიდრე კიდევ არსებობს ასეთი შეუსაბამობა კონტინენტზე, არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს დამშვიდების უფლება. („საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 1).

50. გნებავთ იყოთ ერთიანი სახელმწიფოს საზღვრებში მცხოვრები ერთიანი ერი? მაშინ სცანით და უზრუნველყავით სხვა ხალხების უფლებაც, რომ მანაც ასეთსავე პირობებში იარსებოს. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 301).

51. გულახდილად უნდა ითქვას, ჩვენთვის შეერთებულ შტატებთან (ისევე როგორც მთელ დასავლეთთან) ურთიერთობებში, არსებობდა ერთი ფაქტორი, რომელიც ამ ურთიერთობებს არ აძლევდა მეტნაკლებად მყარი განვითარების საშუალებას, — ეს ისევ იმ ორ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემას შორის შეურიგებელი „იდეოლოგიური ბრძოლის" უზენაესობა იყო. ნებისმიერი შეთანხმება, აშშ-თან ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესების ნებისმიერი ცდა უმალვე აწყდებოდა ამ დაბრკოლებას. სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, „განმუხტვის" პერიოდში, პარტიის იდეოლოგებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ იმისთვის, რომ აშშ-თან ურთიერთობებში დათმობა როგორმე შეეთავსებინათ ამ მყარ დოგმასთან, და მაინც, დოგმამ მაშინ ისევ გაიმარჯვა. იდეოლოგებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ დათმობათა პერიოდში იდეოლოგიური ბრძოლა არათუ არ უნდა დამცხრალიყო, პირიქით, კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით უნდა გაგრძელებულიყო.

ღმერთმანი, ვერა და ვერ ვიგებდი, როგორ შეიძლებოდა ადამიანს დაახლოებოდი და იმავდროულად მასთან შეურიგებლად გებრძოლა. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 151).

52. გულისხმიერების ნასახი თუ არ გააჩნია ხელისუფლებას, ის აუცილებლად მარცხდება. მეტყვიან, გულისხმიერება და ძალაუფლება ერთმანეთთან შეუთავსებელიაო. კი, ბატონო, გულისხმიერება თუ არ გნებავთ, ალღო იყოს. თუმცა, მე გულისხმიერება უფრო მომწონს, უფრო ზუსტი სიტყვაა, — მაგრამ ჩვენ ხომ ხშირად საოცრად გვაკლია ალღოც და გულისხმიერებაც. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 78).

53. ... დადგა დრო, ბოლოს და ბოლოს, აღიკვეთოს კონფლიქტები როგორც სახელმწიფოთა შორის, ასევე სახელმწიფოთა შიგნით, განსაკუთრებით მაშინ, როცა საფრთხე ექმნება ამ ქვეყნების სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და დამოუკიდებლობას. ყოველივე ამას ბოლო უნდა მოეღოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №74, 1997 წლის 1 აპრილი, გვ. 1).

54. დაე, დამადანაშაულონ იმპერიული პოლიტიკის მაკრომასშტაბთა უგულებელყოფაში, იმ პოლიტიკისა, რომელიც აწესებდა სახელმწიფო ინტერესთა დიდი "ბლოკებით" ოპერირებას. ჩემი ამოსავალი ის არის, რომ ქვეყნის ინტერესები არ შეიძლება იყოს საიმედოდ უზრუნველყოფილი, თუ გამუდმებით იგნორირებული იქნება მიკრომასშტაბი, ადამიანური მასშტაბი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 126).

55. ...დავრწმუნდი, "ადამიანურობის მასშტაბი", — პოლიტიკის ეს "ოქროს კვეთი", ეს "ოქროს ფონდი" ყველა ხალხისა, — ჩვენთან ხელუხლებლად არის შენახული. ის ვერ შეარყია ვერც სისტემის მიერ პიროვნების დათრგუნვამ, ვერც სასტიკმა რეპრესიებმა, ვერც მორალისა და პრინციპების შეცვლამ "რევოლუციური მიზანშეწონილობით", და ვიდრე "ადამიანურობის მასშტაბი" არსებობს, ვიდრე ის ქმედითად ავლენს თავის თავს, ცოცხალია ჩემი იდეაც... (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ 138).

56. დამერწმუნეთ, როგორც პიროვნებას, რომელიც წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში შედიოდა, იმ ქვეყანას შესწევდა ძალა, ყოველგვარი შინაგანი თუ გარე წინააღმდეგობის მიუხედავად, რამდენიმე ათწლეულს, ავად თუ კარგად, კიდევ ეარსება, და შემდეგ, თუკი მის არსებობას სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა, ისეთი ხმამაღალი კარის ჯახუნით წასულიყო ისტორიის არენიდან, რომ მთელი პლანეტისათვის აუნაზღაურებლად ძვირად დაესვა თავისი წასვლა. მით უმეტეს, რომ ბოლშევიკური მსოფლმხედველობის დამფუძნებელი მამების მოძღვრება ამისათვის ნოყიერ იდეოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ საფუძველს ქმნიდა.

იმპერიის, საბჭოთა კავშირის ნგრევის მთავარი ფაქტორი, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს ეს, თვით რუსეთი გახდა... სხვათა შორის, დღეს ძალიან ცოტას, ან სავსებით არ წერენ რუსეთის მიერ განხორციელებულ ამ ისტორიულ მისიაზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

57. დაპირისპირება... თავისთავად ანომალიაა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 144).

58. (დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს — შემდგ.)... აქვთ დიდად

განვითარებული ეკონომიკა, მდიდარი დემოკრატიული ინსტიტუტები და ტრადიციები, მაგრამ ისიც გაცნობიერებული აქვთ, რომ დროის მოთხოვნათა გამო ერთმანეთთან კავშირი სასიცოცხლოდ აუცილებელია. მით უფრო აუცილებელია კავშირი ათწლეულების მანძილზე დათრგუნული და დაუძლურებული ხალხებისთვის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 308).

59. დაუმარცხებელია მხოლოდ ის პოლიტიკა, რომელიც ზნეობრივია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 335).

60. დედამიწის მცხოვრებთა კოსმოსური ერის ღირსი ერთადერთი გონივრული არჩევანი შეიძლება იყოს და უნდა იყოს კიდეც კოსმოსის მილიტარიზაციის დაუშვებლობის, მშვიდობიანი საქმიანობისათვის მისი შენარჩუნების სასარგებლოდ. ("კომუნისტი", №189, 1985 წლის 17 აგვისტო, გვ. 3).

61. ...დესტაბილიზაციისა და შეიარაღებული კონფლიქტების... მოწესრიგების პრაქტიკა მოწმობს, რომ ეფექტის მიღწევა შეიძლება მხოლოდ დარწმუნების ძალისა და იძულების ძალის შეხამებით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1996 წლის 24 იანვარი, გვ. 1).

62. დიახ, ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკა, არსებითად, ეფუძნება იდეოლოგიას, გამსჭვალულია იდეოლოგიით. საკითხავი ოღონდ ის არის, თუ როგორია ეს იდეოლოგია. პოლიტიკამ შეიძლება ივარგოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იდეოლოგიას საფუძვლად დაედება სიკეთის, სამართლიანობის, ჰუმანიზმის, სულიერების პრინციპები. იდეოლოგიური სექტანტობის, შეუწყნარებლობის ქადაგებას კი არასოდეს მოუტანია სასიკეთო შედეგები და, მით უმეტეს, დღეს ვერ მოიტანს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 119).

63. (დიდ პოლიტიკაში — შემდგ.)... აუცილებელია თანამშრომლობის არა კუნძულები, არამედ მატერიკები, კონტინენტები. ჩვენ, ალბათ, ასეთ პირობებში შევძლებთ კუნძულთა პრობლემების გადაჭრას. მხოლოდ ასე გავხსნით ჩვენთვისაც და სხვებისთვისაც მომავლის გზას.

ვიცი, რომ ეს ძნელია. წარსული არ გვავიწყებინებს თავს. ამაში ყოველ ნაბიჯზე ვრწმუნდებით. და მაინც, მისი დაძლევის გარდა, სხვა არაფერი დაგვრჩენია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 282).

64. (დიდ პოლიტიკაში — შემდგ.)... "მუდმივი ინტერესების" გარდა, არსებობენ "მუდმივი მეგობრებიც"... ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

65. დიდად პატივცემულმა ერთმა მიმომხილველმა სწორად შენიშნა, ისტორია შესაძლებლობებს ქმნის, პოლიტიკა ამ შესაძლებლობებით

სარგებლობსო. მე კი დავძენდი: ზოგჯერ არ სარგებლობს და ცდილობს, რომ ისტორია მიღებული და "დამტკიცებული" იდეოლოგიური სქემების მიხედვით "გააწყოს". და მაშინ იქმნება სიტუაცია, როცა ჩნდება ცთუნება, რომ ხელის ერთი წაკვრით დაფიდან გადაყარო ფიგურები. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 202-203).

66. დიდად მეიმედება რეგიონული თანამშრომლობისა. არ უნდა გვეშინოდეს ამ სიტყვის. არიან ადამიანები, რომლებიც რეგიონულ თანამშრომლობაში რაღაც საშიშროებას ხედავენ გარკვეული ქვეყნებისა და სახელმწიფოთათვის.

მიმაჩნია, რომ რეგიონული თანამშრომლობა დროის მოთხოვნაა. თვით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამშრომლობა არის რეგიონული ორგანიზაცია, ისევე, როგორც ჩვენი თანამშრომლობა შავი ზღვის სახელმწიფოთა ალიანსის ფარგლებში...

ვფიქრობ, დადგება დრო, როდესაც ვილაპარაკებთ... უფრო ვიწრო თანამშრომლობაზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №104, 1997 წლის 8 მაისი, გვ. 2).

67. ...დიდი ბირთვული არსენალის ფლობა სახელმწიფოს საიმედო დაცვას კი არ უქმნის, პირიქით, ასუსტებს, რესურსებს აკლებს და აფერხებს მშვიდობიანი წარმოების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში მაღალი ტექნიკური დონის მიღწევას, მოსახლეობის მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 107).

68. დიდი გამბედაობა არ სჭირდება იმის თქმას, რომ XXI საუკუნის ბედი მეტწილად დღეს წყდება. მომავალ თაობათა ხვედრი დამოკიდებულია ჩვენზეც, იმაზეც თუ როგორ გვესმის ჩვენ მდგომარეობა სამყაროსი, რომელშიც ვცხოვრობთ; იმისგან, — თუ რამდენად სწორად ვხედავთ ამ სამყაროს განვითარების წარმმართველ ტენდენციებს და საფუძვლიანად ვირჩევთ თუ არა ჩვენი ქცევის ორიენტირებს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 257).

69. ... დიდი და უალტერნატივო მნიშვნელობა აქვს ცალკეული რეგიონული ინტეგრაციული პროცესების ერთიან ინტეგრაციულ მექანიზმად ჩამოყალიბებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №85, 1997 წლის 15 აპრილი, გვ. 2).

70. (დიდი — შემდგ.)... სიკეთის მოტანა შეუძლია კეთილმეზობლობას, ურთიერთგაგებას, გრძელვადიანი მიზნების თანხვედრას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1997 წლის 20 თებერვალი, გვ. 1).

71. დიდი ხანია მაფიქრებს "მეთოდოლოგია", რომლითაც ისტორიის ურთულესი მოვლენები უმარტივესი ინსტრუმენტებით განიზომება,

განზომილებაში აშკარა შეცდომებს ანგარიში არ ეწევა, ისინი ვითომ არც ყოფილა, არადა, ჭეშმარიტება ხომ ძალზე ხშირად სწორედ მათშია. წარსულის კრიტიკოსები ისტორიას თავის კრიტიკულ სქემაში აქცევენ, ეს ან მათთვისაა ხელსაყრელი, ან ვიღაცის ცნობიერებას ესადაგება. მაგრამ ადამიანს ხომ ევიწროება ეს სქემა! მე მბოჭავს სქემები, რომელთა თანახმადაც, თურმე ჩვენ გაგვაბრუეს, გამოგვათაყვანეს, ჩაგვითრიეს, გვაიძულეს...

ყველაფერი კი ბევრად რთულად იყო. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის. თავიდან ის "იდეათა ბრძოლა", რომელშიც მე ბავშვობიდანვე ვიყავი ჩართული, იფარგლებოდა ოჯახის წრით და ამ წრეში რარიგ მწვავეც არ უნდა ყოფილიყო პოლემიკა, ის შემწყნარებლობას გვასწავლიდა. მაგრამ შემდეგ ჩემს თვალწინ მან მოიცვა სოფელი, რესპუბლიკა, ქვეყანა და დასასრულ, — მსოფლიო. ახლა უკვე პოლემიკა არც შეწყნარებას ცნობდა და არც შეწყალებას. საბჭოთა კავშირზე თავდასხმა იქცა იმ თეზისის ყველაზე დამაჯერებელ არგუმენტად, რომ ჩვენი განადგურება, ფიზიკურად მოსპობა უნდოდათ. ახლობელი ადამიანების დაღუპვამ, მწუხარებამ, ტანჯვამ, მილიონობით ადამიანთა გაჭირვებამ განაპირობა არჩევანი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 47).

72. დიპლომატიაში, როგორც წესი, არ არის მიღებული მეგობრობაზე ლაპარაკი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1998 წლის 27 იანვარი, გვ. 2).

73. ...დიპლომატიისა და პოლიტიკის უბედურება ბოლოს და ბოლოს სახელმწიფოს უბედურებაა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 196).

74. დიპლომატია, პოლიტიკა მე ვერ წარმომიდგენია მორალისა და ზნეობის გარეშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №10, 1997 წლის 15 იანვარი, გვ. 1).

75. დიპლომატია რთული პროფესიული სამყაროა, რომელშიც ძნელია შინაურ, მიღებულ კაცად შეაბიჯო. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 82).

76. დიპლომატია ყოველ დროში მოითხოვდა არა შუბლით კლდესთან შეხეთქებას, არამედ გონივრულ მანევრირებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №126, 1995 წლის 22 სექტემბერი, გვ. 1).

77. (დიპლომატიასა და პოლიტიკაში — შემდგ.) ერთ ადგილზე დგომა არ შეიძლება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 261).

78. დიქტატურას ბადებს უხელისუფლებობა, ანარქია, ქაოსი, ქაოსურ ძალთა სწრაფვა, რომ შიგნიდან შეარყიონ კანონიერი ხელისუფლება, თავიანთ ნებაზე ათამაშონ ან საერთოდ დაამხონ ის. ეკონომიკის კრიზისის

გაძლიერებისა და ცხოვრების დონის გაუარესების პირობებში იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ტოტალიტარიზმის რესტავრაციას ფართო წინააღმდეგობა გაეწევა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 321).

ეროვნული ბიბლიოთეკა

79. ...დრამატულია იმ პიროვნების მდგომარეობა, რომელიც ძველისა და ახლის ზღვარზე დგას. ახლისკენ მიმავალი გზა ხსნილია მისთვის, მაგრამ ეს გზა უცნობია სხვათათვის, მათთვის, ვინც ძველი წარმოდგენებით ცხოვრობს. შუა საუკუნეებში ამას აუტოდაფემდე მივყავდით. მაგრამ დღეს პოლიტიკოსი უნდა ჩაიწვას კოცონში? და ეს სრულიადაც არ არის ხატოვნად ნათქვამი. ახალი იდეების დასამკვიდრებლად ის უნდა ამოდიოდეს სხვებისთვის მისაწვდომი, ახლობელი, გასაგები გარემოებებიდან. ახალი იდეა ხომ თავისთავად არაფერია, მხოლოდ სიტყვების დახვავებაა, თუ არ დაეუფლა უმრავლესობის ცნობიერებას და ამით არ განსაზღვრა პრაქტიკულ მოქმედებათა, ქცევათა, ნაბიჯთა მოტივაცია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 97).

80. ...დღევანდელი მსოფლიოსათვის არ არსებობს ეგრეთ წოდებული წმინდა ლოკალური კონფლიქტი, პატარა ნაპერწკალი შეიძლება გადაიქცეს დიდ ხანძრად, რომელიც მოედება რეგიონს და ხვალ უფრო დიდ მასშტაბს მიიღებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №174, 1993 წლის 10 აგვისტო, გვ.1).

81. დღემდე არ შემიცვლია თვალსაზრისი: საერთაშორისო ურთიერთობებში ნდობისა და საჯაროობის ცალკეული ღონისძიებებიდან უნდა გადავიდეთ დაუფარაობის გლობალურ პოლიტიკაზე, რომელიც ყოვლისმომცველი უშიშროებისა და საერთაშორისო მშვიდობის შემადგენელ ნაწილად იქცევა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 160).

82. დღემდე ვერ მოვიცილე ის რაღაც ავადმყოფური მდგომარეობა, როცა უკომპრომისოდ მოქმედების გადაწყვეტილება ჩემს თავთან ხანგრძლივი წინააღმდეგობის შედეგად მომწიფდება ხოლმე. მე არ ვჩქარობ ჩემი აზრის გამოთქმას, ვიდრე არ დამიგროვდება ნებისა და აზრის ის "მასალა", რომელიც გადაწყვეტილებად იქცევა. პოლიტიკოსისთვის, საქმისთვის ეს დიდი ნაკლია, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა. სხვაგვარად ვერც სხვებს ავუხსნი და ვერც ჩემს თავს, თუ როგორ და რატომ მოვდიოდი ასე დიდხანს ამჟამინდელ შედეგამდე. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 34).

83. დღეს არავინ არ არის წინააღმდეგი არც რუსეთის, არც სხვა ქვეყნების, მაგრამ ის ძველი ავადმყოფობა — ცენტრი და პერიფერია — კვლავ იჩენს ხოლმე თავს. იქ დაიწყებენ და შენც ისე უნდა იმოქმედო,

როგორც მათ სურთ, იმ კურსს მიჰყვე. ეგ დრო წავიდა უკვე, მორჩა... ("საქართველოს რესპუბლიკა", №42, 1997 წლის 21 თებერვალი, გვ. 2).

84. დღეს ლიდერის გარეშე არსად არც ერთი საკითხი არ წყდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

85. დღეს... ყველანი, დიდიც და პატარაც, პასუხს ვაგებთ პლანეტის მომავლისათვის. ყველანი ვმონაწილეობთ მისი გადარჩენის პროცესში. მართალია, ბირთვული იარაღის საფრთხე მეტ-ნაკლებად დაძლეულია, მაგრამ კაცობრიობას არაერთი სხვა საფრთხეც ემუქრება — ეკოლოგიური და დემოგრაფიული კატასტროფები, მრავალი სახის ფანატიკური ექსტრემიზმი და, ღმერთმა ნუ ქნას, იქნებ ცივილიზაციათა დაპირისპირებაც კი. ყოველივე ამის დასაძლევად კაცთა მოდგმას მხოლოდ ერთი საშუალება აქვს — ერთიანობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

86. ევროპის ტრადიციულ ღირებულებათა ეროზია შეიძლება შევაჩეროთ მხოლოდ ჩვენი საერთო მისწრაფებით, უზრუნველვყოთ კულტურის უსაფრთხოება დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, სახელმწიფო დამოუკიდებლობისა და სოციალური ჰარმონიის საერთო კონტექსტში.

ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დარად, ჩვენ მოვალენი ვართ, დავაკანონოთ ევროპის ერთიანი კულტურული ველისა და მისი ეროვნული შემადგენელი ნაწილების მთლიანობის კატეგორია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 3).

87. ერაყის მოქმედებამ — კუვეიტის დანგრევამ, ნავთობის ჭაბურღილთა დაწვამ, სხვა ხალხისა და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ რეპრესიებმა, ქურთების გენოციდმა, — გვიჩვენა, თუ რა შეუძლია დიქტატორს. მსოფლიო საზოგადოებრიობა ვერ დაელოდებოდა, როდის დაშოშმინდებოდა აგრესორი: ბოლოს და ბოლოს, ისტორიის გაკვეთილებიც ხომ არსებობს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 182).

88. ერთია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კეთილშობილური, ჭეშმარიტად ჰუმანური მიზნები და შინაარსი და მეორეა მათი განხორციელების ფორმები, სტრატეგია და ტაქტიკა. ამ უკანასკნელს პოლიტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და არსებითად ესაა სწორედ პოლიტიკა. ასე რომ არ იყოს, საკაცობრიო, თუნდაც ქართულ აზროვნებაში ისტორიულად უძველეს ეპოქებშიც კი შეიძლება იპოვო ჭეშმარიტად ჰუმანური და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ამსახველი იდეები. მაგრამ ისინი თავისთავად არ ხორციელდება და არც არასდროს განხორციელებულა, იდეათა რეალიზაციის გზები, ფორმები და საშუალებები არის სწორედ პოლიტიკა და ესაა მისი დანიშნულებაც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №177, 1997 წლის 26 ივლისი, გვ. 2).

89. (ერთიანი პოლიტიკური — შემდგ.)... გუნდის შეკვრას სჭირდება

ერთნაირად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც ადვილად უგებენ ერთმანეთს და აქვთ უმაღლესი პროფესიული დონე. ამას კი წლების გამოცდილება, ზოგჯერ კი ათეული წლებიც კი სჭირდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №29, 1994 წლის 15 თებერვალი, გვ. 1).

90. ერთმა ხელოვნებათმცოდნემ შენიშნა: "ხელოვნება ახლდება, მასთან ერთად ჩვენც ვახლდებითო". ალბათ, პოლიტიკაზეც შეიძლება ამისავე თქმა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 122).

91. ეროვნული გრძნობა სერიოზული ფაქტორია და პოლიტიკა მოვალეა ანგარიში გაუწიოს მას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 223).

92. ეს წიგნი ("ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად" — შემდგ.) პოლიტიკური მემუარები არ არის. მემუარების წერის დრო ჯერ არ დამდგარა. მემუარები "წასვლის ჟანრია", მე კი წასვლას ჯერ არ ვაპირებ. ამავე დროს, ეს არც აღსარებაა, თუმცა საკმაოდ ხშირად მომიხდება პირის ნაცვალსახელ "მე"-ს გამოყენება. ბევრი მიზეზის გამო ეს გამიჭირდება, მაგრამ, რა გაეწყობა. არ ვიცი, პირველი პირით თხრობისას eго-ს გვერდის ავლა როგორ უნდა მოხერხდეს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 27).

93. ვიდრე ბირთვული იარაღი არსებობს, როგორიც არ უნდა იყოს შეიარაღების დონე, ეროვნული უშიშროება ფიქციაა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 123).

94. ვიდრე ერები არ აღიარებენ საერთო ადამიანურ ღირებულებებს და პიროვნების უფლებათა პატივისცემის ერთ საერთო სტანდარტს, მათ წინაშე მდგარი ვერც ერთი პრობლემა წარმატებით ვერ გადაწყდება. მაშასადამე, შეუძლებელი იქნება საერთო უშიშროების საიმედოდ დაცვაც. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 123).

95. ვიდრე სახელმწიფოები ჩაფლულნი არიან მათი ეკონომიკის დამანგრეველ ვალებში, ვიდრე მათ არა აქვთ სამართლიანი ეკონომიკური წყობა, რომელიც უკლებლივ ყველასათვის უზრუნველყოფს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მოცემული დონის შესაფერ ცხოვრებას, უშიშროება მერყევი და არასაიმედოა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 123).

96. ვინც კარგად იცნობს ახლო აღმოსავლეთს, იცის, რომ იქ ყოველდღე შეიძლება რაღაც მოხდეს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 187).

97. ვფიქრობ, დღეს მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია მარტო თვითონ იკისროს მსოფლიო მართლწესრიგის დაცვა. ეს მხოლოდ კოლექტიურ საფუძველზე დაყრდნობით შეიძლება მოგვარდეს და პოლიტიკური თვალსაზრისითაც, წავიდა ის დრო, როცა შეიძლებოდა ცალკე მოქმედება, მით უფრო, — მსოფლიო საზოგადოებრიობის უმრავლესობასთან დაპირისპირება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 184).

98. ვფიქრობ, რომ გლობალურ დაპირისპირებათა ეპოქა დამთავრდა. ეს ყველამ კარგად უნდა გაიგოს და გაიაზროს და ისტორიის ჩარხს უკუღმა ვერავინ დაატრიალებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №39, 1997 წლის 18 თებერვალი, გვ. 2).

99. ვფიქრობ, საქართველოს მაგალითი ადასტურებს, რომ დღეს ყველა ქვეყანას, დიდსა თუ პატარას შეუძლია განახორციელოს შეუქცევადი დემოკრატიული ტრანსფორმაცია, თუკი აქვს ამის მტკიცე ნება. დღევანდელ მსოფლიოში არსებობს ამისათვის აუცილებელი პირობები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

100. ...ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ, რომ ვერც საგარეო და ვერც საშინაო პოლიტიკა ვერ დაიცავს საქმეს, რომლის დაცვა პრინციპულად შეუძლებელია, საქმეს, რომელიც ისტორიის ბუნებრივ გეზს, საერთო-სახალხო სულისკვეთებასა და მისწრაფებებს უპირისპირდება, საქმეს, რომელიც წინ აღუდგება ადამიანის წადილს, იცხოვროს ღირსეულად და თავისუფლად. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 201).

101. ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების უზენაესობის პრინციპზე უარის თქმა და კლასობრივი საწყისის აბსოლუტურობასთან დაბრუნება ნიშნავს შინაური თუ უცხოელი "მტრის ხატის" რეანიმაციას და ქვეყნის შიგნით თუ გარეთ რეპრესიათა გამართლებას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 110).

102. ზოგიერთ პოლიტიკოსს... სურს, რომ დროის ხუთწუთიანი ლიმიტით პოლიტიკური პარტია გაითამაშოს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 231).

103. ზოგჯერ გამარჯვებად გვესახება არა იმდენად რაღაც მეტისმეტად ეფექტური იდეის დეკლარირება, რამდენადაც მისი მიღებისა და განხორციელების უნარი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 159).

104. თავდაცვის საშუალებათა რომელ გონივრულ ზომიერებასა და საკმარისობაზე ვლაპარაკობთ, თუკი არ შეგვიძლია სხვებისგან დახმარების იმედი ვიქონიოთ, როცა მეზობელი შარაგზის ყაჩაღივით გვექცევა? (ე.

შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 179).

105. ...თავისი უშიშროების საიმედოდ დაცვა არ ძალუძს ქვეყანას, რომლის ხალხი სოციალურად და პოლიტიკურად დამცირებულია, სადაც ადამიანმა უარი თქვა ყოველგვარ კეთილდღეობაზე, სადაც ადამიანი გახდა საშუალება და არა მიზანი უშიშროების უზრუნველყოფისა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 107).

106. თავისი ქვეყნის უშიშროებას უზრუნველყოფილად ვერ ჩათვლიან სახელმწიფოები, რომლებიც უპირატესად სამხედრო საშუალებებს ეყრდნობიან. მათი მდგომარეობა დღეს სახარბიელო არ არის, რადგან მსოფლიოში პოლიტიკური გავლენისა და ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის წყაროდ სულ უფრო და უფრო ხდება ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, სავალუტო-ფინანსური ფაქტორები. ხოლო შეიარაღებათა უზარმაზარ არსენალებს, რომლებშიც დიდი ძალა და სახსრებია დაბანდებული, დღევანდელი დღის მოთხოვნებზე რაციონალური პასუხი არ გააჩნიათ. ამ შეიარაღებათა დამანგრეველი ძალა იმდენად დიდია, რომ მათი გამოყენება შეუძლებელია საკუთარი ქვეყნის, მეზობელი ქვეყნების, ნახევარი მსოფლიოს დაღუპვის რისკის გარეშე. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 106).

107. თანაარსებობა, რომელიც ეფუძნება ისეთ საწყის პრინციპებს, — როგორიცაა: თავდაუსხმელობა, სუვერენიტეტის პატივისცემა, ეროვნული დამოუკიდებლობა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და ა. შ., — შეუთავსებელია კლასობრივ ბრძოლასთან. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 103).

108. თანამეგობრობას (დსთ-ს — შემდგ.) აქვს მომავალი, თუკი იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ეკონომიკური აღმავლობის, ამ ქვეყნების მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, აყვავების ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი იქნება. ეს სავსებით რეალური პერსპექტივაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №17, 1995 წლის 14 თებერვალი, გვ. 2).

109. თანამეგობრობას აქვს მომავალი, თუ იგი საჭირო გახდება მისი წევრი ქვეყნებისათვის. ჯერჯერობით თანამეგობრობას არ გადაუწყვეტია არც ერთი პრობლემა, დაკავშირებული ამ სივრცეში შემავალი ქვეყნების უშიშროებასთან, ტერიტორიულ მთლიანობასთან, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისების დაძლევასთან.

და კიდევ ერთი, ყოველგვარი რეგიონალური ორგანიზაციის საფუძველი ორმხრივი კეთილი ურთიერთობაა. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა ვერ განვითარდება, თუ მის სივრცეში ძველი მენტალიტეტი იბატონებს. დღეს აღარ არის ცენტრები და პროვინციები. ყველა ქვეყანა

თანასწორია. ვეღარავის ვერ გააცურებ და ეგრეთ წოდებულ სხვადასხვა კარტის გათამაშება სუვერენულ სახელმწიფოებში დრომოჭმული და მავნე პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1997 წლის 20 თებერვალი, გვ. 1-2).

110. თანამეგობრობას მომავალი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ იგი წევრი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და შიდასტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცევა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №74, 1997 წლის 1 აპრილი, გვ. 2).

111. თანამეგობრობას, რომელსაც არ ძალუძს პატივი სცეს და შეასრულოს საკუთარი გადაწყვეტილებანი, არ შეიძლება დიდი მომავლისა და დიდი ინტეგრაციის პრეტენზიები ჰქონდეს. ვიმეორებ, ლაპარაკია არსებულ შესაძლებლობებზე, რომელთა გამოუყენებლობაც მძიმე დაღს დაასვამს ამ ორგანიზაციის არა მარტო ავტორიტეტს, არამედ საერთოდ მის მომავალსაც. ("საქართველოს რესპუბლიკა" №85, 1997 წლის 15 აპრილი, გვ. 2).

112. თანამედროვე მსოფლიო იმყოფება რთული და ზუსტი ბალანსის მდგომარეობაში, არის ინტერესთა ჭიდილი, ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალების დაპირისპირება. მსოფლიო მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი, მაგრამ ერთიანია და განუყოფელი; უწინარეს ყოვლისა, უშიშროების თვალსაზრისით, უშიშროებას კი დღეს მრავალი წახნაგი აქვს: სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, კულტურული, ეკოლოგიური. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 123).

113. თანამედროვე ფუტუროლოგია უსაფუძვლოდ როდი აცხადებს პრეტენზიას ზუსტი მეცნიერების სტატუსზე, მაგრამ მისი უზუსტესი, — ლამის კომპიუტერული — გაანგარიშებები და მათემატიკური მოდელებიც კი ირღვევა მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრების დაწოლით. შუა საუკუნეთა ნოსტრადამუსების ნათელმხილველობა იწვევს მისტიკური შიშისა და განცვიფრების ნაზავ გრძნობას, მაგრამ თანამედროვე "მაგიას", — ხან თეთრს, ხან, საუბედუროდ, შავს, — არსებითი კორექტივები შეაქვს კაცობრიობისთვის ნაწინასწარმეტყველებ გზაში. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 256).

114. თანამედროვეობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ის არის, რომ ბევრნი ჯერაც წარსულში იმყოფებიან. მეტისმეტად ბევრნი არიან კვლავინდებურად ისტორიის გავლენისა და ამ ისტორიით ჩამოყალიბებული წარმოდგენების ტყვეობაში.

წარმოდგენების ომმა შეცვალა იდეოლოგიების ომი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №158, 1997 წლის 10 ივლისი, გვ. 1).

115. თანამშრომლობა ის მოქცევაა, რომელიც ყველა ნავს გაბოროტებისა

და მტრობის მეჩეჩებს აარიდებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №90, 1992 წლის 27 მაისი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

116. თვითგამორკვევის იდეა არ უნდა იქცეს ნაჯახად საუკუნის დასასრულის ახლადმოვლენილი მესიების ხელში, არც როზგად მენტორ ლიბერალის ხელში. გაროზგვა თითქოსდა გაუქმდა, მაგრამ ასე ჯერ კიდევ ბევრი ქვეყანა ისჯება და მას, ვინც ამას აკეთებს, აღარც კი ახსოვს, რომ დარაბებს მიღმა საუკუნის დასასრულია. ("კავკასიონი", №34, 1995 წლის 21 თებერვალი, გვ. 2).

117. თუ არ შეიქმნება აგრესიის საწინააღმდეგო მექანიზმი, მაშინ ყველა ხალხი შეიძლება მსხვერპლად იქცეს, "ძლიერთ" კი გაუჩნდებათ ცდუნება, რომ მდგომარეობა სხვების სიმდიდრეთა მიტაცებით გამოიკეთონ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 179).

118. თუ თანამეგობრობას, "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას", არსებობა და განვითარება უწერია, — მხოლოდ და მხოლოდ... გულახდილობის, გულწრფელობის, ერთმანეთის აზრის პატივისცემის, ჭეშმარიტი კოლეგიურობისა და თანამშრომლობის, თანასწორობის პირობებში.

... დარწმუნებული ვარ, და მე არაერთხელ მითქვამს, რომ თანამეგობრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება საჭირო, თუკი ხელს შეუწყობს წევრი ქვეყნების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №268, 1997 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

119. თუ იწყებთ საკუთარი ქვეყნის დემოკრატიზაციას, მაშინ უფლება არა გაქვთ, ამ პროცესს წინ აღუდგეთ სხვა ქვეყნებში. მოსაზღვრე ქვეყნებთან ურთიერთობაში თუ არ იქნებით "ტანკების ფილოსოფიის" მიმდევარი, მაშინ ამ კატეგორიებით არ უნდა იაზროვნოთ არც საკუთარი ქვეყნის მიმართ. (ე შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 15).

120. თუ კრიტიკულად ვიაზროვნებთ, დეიდეოლოგიზაცია, არსებითად არის, ჩვენს მსოფლგაგებაში, ჩვენს მსოფლმხედველობაში ობიექტურობის, დამოუკიდებელი მსჯელობის ხვედრითი წონის ამაღლება. ასე იკლებს, იდეალურ შემთხვევაში კი საერთაშორისო პრაქტიკიდან საერთოდ გაქრება დამრიგებლური ტონი; შეუძლებელი შეიქნება საკუთარი კურსის გაიგივება აპრიორულ ჭეშმარიტებასთან. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 120).

121. თუ რელიგიური რწმენა შთაუნერგავს ადამიანს კაცთმოყვარეობას, სიკეთეს, ჰუმანიზმს და პოლიტიკაში გადადის, მაშინ პოლიტიკა ღებულობს ადამიანურ სახეს, მისი საფუძველი კი სიკეთის წყაროდ იქცევა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №259, 1992 წლის 22 დეკემბერი, გვ. 2).

122. თქვენი სახლი თუ ვინმემ ჩაიგდო ხელში, არ შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ვილაცასთან კონფლიქტი გაქვთ. თქვენ დანაშაულის მსხვერპლი ხართ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 179).

123. იმ ქვეყნისათვის ანგარიშის გაუწევლობა, რომელთანაც სტრატეგიული მოკავშირეობა გვაერთიანებს, გაუგებრობასაც იწვევს და პროტესტის განცდასაც. ხშირად იმასაც ვფიქრობ, მეორეხარისხოვან პარტნიორად ხომ არ გთვლიან და სამართლიან მოთხოვნებს სრულიად უგულებელყოფენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №56, 1997 წლის 11 მარტი, გვ. 2).

124. ...ინტელექტისა და სულის ნება მუდამ ჯანყდება შემზღუდველთა წინააღმდეგ. განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში ეს ნორმაა: კულტურითა და პასუხისმგებლობით მოწესრიგებული თავისუფლება იქ ყოველთვის ეძებს და პოულობს კალაპოტს უთანხმოების გამოსახატავად.

ვფიქრობ, რომ ჭკვიანი მმართველები ასეთ დამოკიდებულებას არა მარტო გულისყურით უნდა მოეკიდონ, არამედ უნდა წააქეზონ კიდეც. მაგრამ თუ ასეთი მმართველები არ არიან, დემოკრატიული იდეა კი ტრადიციით არ გაფორმებულა, მაშინ ინტელექტუალ ხელისუფლებას არა მარტო ოპოზიციაში, არამედ კონფრონტაციაშიც უდგება. ხშირად ეს იღებდა პერმანენტული ომის ხასიათს. მხარეები ერთმანეთს აყენებდნენ მძიმე დარტყმებს, ცდილობდნენ ერთმანეთის შემუსვრას. ამის შედეგად რევოლუციურ ბრძოლაში ჩაბმული ინტელიგენცია კისრულობდა მისთვის უჩვეულო ნგრევის ფუნქციას, რითაც თავის თავსვე ძირს უთხრიდა, იგი აღარ იყო, ის, რაც უნდა ყოფილიყო. მასების განმანათლებელნი და ამამბოხებელნი თანდათან, ნელ-ნელა კარგავდნენ პრაქტიკული შემოქმედებითი შრომის უნარს. და როცა ბრძოლის არენაზე გადმოედინებოდა მათი ნებით გამოღვიძებული სტიქია, მათ ისღა რჩებოდათ, რომ თავიანთ ძალისხმევათა დემონური ნაყოფით შეძრწუნებულიყვნენ, ან, — როგორც ეს ჩვენს ისტორიაში იყო, — რეპრესიებისა და ტერორის მსხვერპლნი გამხდარიყვნენ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 296-297).

125. ...ინტერესებისა და პასუხისმგებლობის გაწონასწორების საფუძველზე მშვიდობიანი რეგულირება სულაც არ შეიძლება ვინმემ, თუნდაც გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციამ, მოგვახვიოს თავს. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მათ უნდა მონახონ, ვინც ჩართულია კონფლიქტში, პოლიტიკური რეგულირება სხვაგვარი ვერ იქნება. მისი განხორციელებისთვის აუცილებელია მოლაპარაკება, დიალოგი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 185).

126. ისინი (მორალი და პოლიტიკა — შემდგ.) ძველთაგანვე ანტიპოდებად

მიიჩნეოდნენ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 120).

ეროვნული ბიბლიოთეკა

127. იქნებ უხერხულიც იყოს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, როცა 1985 წელს მსოფლიო პოლიტიკისა და დიპლომატიის ოკეანეში გადამიშვეს, ისე მომეჩვენა, რომ ცურვა დიდი ხნის ნასწავლი მქონდა და მოსკოვსა და ვაშინგტონს ან მოსკოვსა და ბონს შორის ურთიერთობათა საიდუმლოს ამოხსნა სულაც არ იყო უფრო რთული ამოცანა, ვიდრე მოსკოვისა და თბილისის, თითქოს, ერთი შეხედვით, დიდი ხნის წინ გარკვეული და ნათელი ურთიერთობებისა. ამ უკანასკნელში წყალქვეშა დინებები და ნაღმები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე პირველში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №38, 1996 წლის 5 მარტი, გვ. 1).

128. კავკასიური ფაქტორის ყოველმხრივ გათვალისწინების გარეშე ერთიან ევრაზიულ მსოფლმხედველობრივ სივრცეზე ოცნებაც კი ზედმეტია. ერთის მხრივ, ევრო-ატლანტიკურ არეალში უკანასკნელ ხანს მომხდარ ისტორიულ ძვრებს, ბალკანეთში მდგომარეობის შედარებით სტაბილიზაციას და მეორე მხრივ, კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ამ რეგიონის ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრესა და მის უნიკალურ სატრანზიტო — საკომუნიკაციო შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, უახლოეს ხანში კავკასიაში მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესების მკვეთრ ზრდას უნდა ველოდეთ. ამ ინტერესების პირველი გამოვლინება გახლდათ ევროპის საბჭოს მიერ ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოსათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭება და ევროკავშირის მიერ ამ სამ ქვეყანასთან ცალ-ცალკე პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებაზე ხელის მოწერა. ამდენად, ევროპის ამ ორმა უაღრესად ავტორიტეტულმა გაერთიანებამ ამიერკავკასია ერთიანი ევრო-ატლანტიკური სივრცის განუყოფელ ნაწილად აღიარა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

129. კაცმა რომ თქვას, სწორედ ის... ადამიანი, — სათქმელად რომ "ამაყად ჟღერდა" ჩვენში — სინამდვილეში საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ყოფის საშუალება იყო და არა მიზანი. მეტისმეტი დაჟინებით გვინერგავდნენ, ჩვენ კი ვუნერგავდით სხვებს, რომ ყველაფერზე მაღლა სახელმწიფო ინტერესები დგას, პიროვნებისა და მოქალაქის ინტერესები კი როგორმე მოგვარდება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 139).

130. კონსოლიდაციის ალტერნატივაა გამიჯვნა ან გათიშვა.* ("კომუნისტი", №97, 1990 წლის 24 აპრილი, გვ. 1).

131. კოორდინატთა შეჩვეული ღერძის მოშლა მტკივნეულია აზროვნების

* თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №16, 1990 წლის 18 აპრილი, გვ. 1 (შემდგ.).

ჩამოყალიბებული ტიპისთვის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 209).

ეროვნული ბიბლიოთეკა

132. კოსმოსური იარაღი, ისევე როგორც ბირთვული, არ ცნობს ეროვნულ საზღვრებს, იგი არ არჩევს, ვინ დაინდოს და ვინ — მოსპოს. რაც უნდა მოხდეს, მას მიზანში ექნება ამოღებული არა ერთი ან რამდენიმე ქვეყანა, არამედ მთელი ქვეყნიერება.

აი, რატომ მიგვაჩნია საჭიროდ გავაფრთხილოთ ყველა: იმისათვის, რომ კოსმოსი მშვიდობიანი დარჩეს, მისთვის ყველამ უნდა ვიბრძოლოთ. და აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ — კოსმოსური მსოფლიოს ერთადერთმა კანონიერმა პატრონმა. ("კომუნისტი", №221, 1986 წლის 25 სექტემბერი, გვ. 3).

133. მარადიული პოსტულატების დამამხობელი ყოველთვის რისკს ეწევა, რადგან ორთოდოქსია, რომელიც "წმიდათაწმიდაზე" ხელის აღმართვას დაუშვებლად მიიჩნევს, უმალვე გარდაიქმნება ინკვიზიციად, ერეტიკოსის დასჯას რომ ლამობს. იდეათა დრამას, ვაი რომ, თითქმის ყოველთვის მოჰყვება მათ ავტორთა და განმახორციელებელთა პიროვნული ტრაგედიაც. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 96).

134. მართალია, ძალიან მეწადა, ქვეყანა (საბჭოთა კავშირი — შემდგ.) სხვანაირი მენახა, მაგრამ ჩემს თავს დამანგრევლის როლში მაინც ვერ ვხედავდი. ნგრევას ყოველთვის ახლავს ნანგრევებქვეშ მოყოლის რისკი. ეს ერთი. მეორეც, ყოფითი თვალსაზრისითაც და პოლიტიკური თვალსაზრისითაც უგუნურებაა ამა თუ იმ ჯგუფების ინტერესთა დაუნახაობა, თავის ისე დაჭერა, თითქოს ისინი არც არსებობენ.

ჩემი აზრით, მთავარი შეცდომა ეს არის... შემიძლია უფრო მკაცრადაც ვთქვა: ჩვენ პოლიტიკური უმეცრების მსხვერპლნი გავხდით. ახალი რეალობის შექმნას ძველი საშუალებებით — ზემოდან დირექტივების დაშვებით ვცდილობდით.

მაგრამ, დირექტივები ხომ, — დადგენილებები იქნება თუ ბრძანებულებები, — შესასრულებლად ეძლევა იმ ერთობას, რომელიც მბრძანებლურ ცენტრთან დაკავშირებულია ინტერესთა ერთობით ან მორჩილებისა და შიშის ბორკილებით. როცა არც ერთია და არც მეორე, დირექტივა არ მუშაობს.

ან კი პოლიტიკურად განსწავლულნი საიდან უნდა ვყოფილიყავით, თუკი ძალაუფლების მონოპოლიის პირობებში ის საერთოდ არ იყო საჭირო? თუკი მართვის ხელოვნება იოლად იცვლებოდა მბრძანებლური იძულების ჩვევებით? (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 311-312).

135. (მაღალი — შემდგ.)... რანგის პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე დიდ რისკს ეწევა, როცა პირად სიმპათიებს თუ ანტიპათიებს ემონება, თავისდაუნებურად საკუთარი ვნებების სათამაშოდ აქცევს საქმეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №16-17, 1992 წლის 31 იანვარი, გვ. 4).

136. მე არ ვეთანხმები იმ ხალხს, ვისაც ჰგონია, რომ თუ კაცი პოლიტიკოსია, იმას უნდა ჰქონდეს რკინის ნერვები და რკინის გული. ასეთი პოლიტიკოსისაგან არაფერი გამოვა, ადამიანს გული უნდა ჰქონდეს. ("იბერია-სპექტრი", №39, 1992 წლის 16-22 აპრილი, გვ. 3).

137. მე არ ვიცნობ არც ერთ დიპლომატს ან სამხედროს, რომელიც დაიტრაბახებდა, ამერიკელებთან საქმე ადვილად გამოდისო. ისინი ძალზე მძიმე და ხშირად ჯიუტი თანამოსაუბრენი არიან. ამაში თავად დავრწმუნდი. დიახ, მე და შულცმა ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და ეს არ იყო მხოლოდ ფოტო და ტელეობიექტივებისთვის გათვალისწინებული რიტუალური ჟესტი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი დიალოგი იოლად და უბრალოდ წარიმართა...

...ვიდრე საქმე ნორმალურ ადამიანურ თანხმობამდე მივიდოდა, ერთმანეთს კარგა გვარიანად ვუწეწეთ ნერვები და, ვფიქრობ, რომ ეს სულაც არ იყო ჩვენი ხასიათის რაღაც უხეირო თვისებების ბრალი. ასეთი იყო თავად საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობების ხასიათი — ნერვიული, უნდობლური, მტრული, შურისმგებლური. ეს განაპირობებდა შესატყვის "თამაშის წესს", გაუთავებელ, განუწყვეტელ პრესინგს მთელი მოედნის სიგრძეზე. მოედანი კი მთელი მსოფლიო იყო და მას განუწყვეტელი ციებ-ცხელება ჰქონდა ასეთი თამაშის გამო, რომელსაც შეეძლო შეხლა-შემოხლა (და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ასეც იყო) ან საყოველთაო ხოცვა-ჟლეტა გამოეწვია.

... ეს იყო სასტიკი რეალობა, მაგრამ საგარეო საფრთხის, ერთმანეთის მოსპობის ძირგამომთხრელი საქმიანობის ფანტომები შეგნებულად ინერგებოდა პოლიტიკაშიც, პროპაგანდაშიც, საზოგადოებრივ აზრშიც. და მე ვიცი, რომ ამას მხოლოდ ჩვენ არ ჩავდიოდით. აშშ-ისათვის, დასავლეთისთვის "საბჭოთა საფრთხეც" ხელსაყრელი საშუალება იყო გარკვეულ ამოცანათა გადასაწყვეტად. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 143-145).

138. მე არ მწამს იმ პოლიტიკოსებისა, რომლებიც ცდილობენ, და ეს ბევრს გამოსდის კიდეც, დადგნენ, ასე ვთქვათ, საყოველთაოდ მიღებულ რაღაც ცნებებზე მაღლა. მე... იმ პოლიტიკოსებისა მწამს, რომლებიც ზნეობრიობისა და მორალის პრინციპების მომხრენი არიან და... ისინი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყვნენ ადამიანები, ხოლო პოლიტიკოსები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები და ასე შემდეგ — ვინც გნებავთ — ამის შემდეგ უნდა იყვნენ.* ("ლიტერატურული საქართველო", №3, 1994 წლის 14 იანვარი, გვ. 5).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "ნეზავისიმაია გაზეტა", №216, 1993 წლის 11 ნოემბერი, გვ. 5 (შემდგ.).

139. მე არ მწამს იმ პოლიტიკოსისა, რომელსაც გრძნობები გახევებული აქვს. ყოველი პოლიტიკოსი, როგორი გიგანტიც უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანად რჩება და თავისი ქვეყნის შვილი უნდა იყოს. ის ყველაფერს უნდა გრძნობდეს, განიცდიდეს, იწვოდეს ისე, როგორც ყველა მოქალაქე და იხარჯებოდეს ისე, როგორც ყველა ადამიანი თავისი ნერვებით, განცდებით. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ის ჩვენი დროის პოლიტიკოსი არ არის, მაშინ ის დიქტატორია, რომელსაც ადამიანები ხელს უწყობენ შექმნას ისტორია, თავისი ძეგლი დაიდგას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №223, 1993 წლის 12 ოქტომბერი, გვ. 1).

140. მე არა ვარ იმ კატეგორიის პოლიტიკოსი, რომელსაც შეუძლია ომის დაწყება. ("7 დღე", №4, 1993 წლის 28 იანვარი - 3 თებერვალი, გვ. 3).

141. მე არაერთხელ მითქვამს, ყველა კონფლიქტის მოწესრიგების ორი გზა არსებობს. — სამხედრო გზა ყველაზე უფრო არასაიმედოა, ჩემი გამოცდილებით, სწორია პოლიტიკური ხერხებით და დიალოგის საშუალებით ვითარების მოწესრიგება. ("7 დღე", №4, 1993 წლის 28 იანვარი — 3 თებერვალი, გვ. 3).

142. მე არავის არ მოვუწოდებ "კუდიანებზე სანადიროდ", არ ვითხოვ პოლიტიკურ ანგარიშსწორებასა და შურისძიებას. ჩემი მოწოდება — ეს არის მოწოდება მხოლოდ და მხოლოდ მართლმსაჯულებისაკენ. "დაცემულთა შეწყალებაც" შედის ზნეობრივი პოლიტიკის კომპლექსში. გამოვიჩინოთ დიდსულოვნება, ღირსნი ვიყოთ ჩვენი გამარჯვებისა. მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ, ჯერ კიდევ რამდენია ჩვენს შორის "დაცემული". მხოლოდ ამის გათვალისწინებით შეიძლება შეთქმულებათა პოლიტიკის, მის გამტარებელთა და მომხრეთა სრული დამარცხება. ნათელმხილველი არ გახლავართ, მაგრამ ჩემი ამ წინასწარმეტყველების სისწორეში ეჭვი არ მეპარება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 356).

143. მე არც წინასწარმეტყველი გახლავართ, არც მისანი, მაგრამ ზუსტად ვიცი, უბრალოდ, დარწმუნებული ვარ: ჩვენი (აშშ და ყოფილი სსრკ — შემდგ.) ხალხების თანამშრომლობის, მეგობრობის, ურთიერთგაგების გარეშე მსოფლიო ბევრს წააგებს. წავაგებთ თვითონ ჩვენც.

მე ძალიან მინდა ეს არ მოხდეს. ბოლოს და ბოლოს, არაფერია იმაზე დამამწუხრებელი, ვიდრე ხედავდე როგორ ქრება კერიაში ცეცხლი, რომლის გაჩაღებაც ოდესღაც შესძელი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 189-190).

144. მე ასე ვიცი — პოლიტიკა ხელოვნებაა, ხელოვნების ერთ-ერთი მაღალი ფორმა. მთავარი ელემენტი ამ ხელოვნებისა კი, ადამიანის

ფაქტორია. ყოველთვის მზად უნდა იყო იმისათვის, რომ საკუთარი სიცოცხლე შეწირო, თუ ეს საჭიროა, შენი ქვეყნის გადარჩენას. („საქართველოს რესპუბლიკა", №152, 1997 წლის 3 ივლისი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

145. მე ვიზიარებ იუნესკოს მიერ ჩამოყალიბებულ იდეას მსოფლიო მოძრაობისა კულტურათა დიალოგის გზით — შეუწყნარებლობის წინააღმდეგ. იგი სავსებით რეალური იდეაა. სავსებით შეიძლება განხორციელდეს ტოლერანტიზმის გლობალური პედაგოგიკის სპეციალური საშუალებებით მშვიდობის გეოფილოსოფიის ფორმირების იდეა. შემწყნარებლობის კურსი, მშვიდობის, ეთნოკულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის, სხვათა გაგების გაკვეთილები, ქსენოფობიისა და მისი ყოველი ფორმისა და გამოვლინების უკუგდების დისციპლინა უნდა იყოს შემოღებული ყველგან აღზრდისა და სწავლების ყველაზე ადრეულ ეტაპზე. („საქართველოს რესპუბლიკა", №83, 1995 წლის 14 ივლისი, გვ. 2).

146. მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკა მეცნიერული საფუძვლების გარეშე არ არსებობს, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა — გონივრული დემოკრატიული პოლიტიკის გარეშე, ზოგადსაკაცობრიო მორალი პოლიტიკაში კი თვით პოლიტიკაზე მეტად უნდა ფასობდეს. („საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 2).

147. მე ვიცნობ მხოლოდ იმ პოლიტიკას, რომელიც ზნეობრიობის საფუძველზეა დამყარებული და, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ უსამართლობას. („საქართველოს რესპუბლიკა", №138, 1993 წლის 29 ივნისი, გვ. 1).

148. ... მე კარგად მესმის, ვისი იუბილეს აღნიშვნა სჭირდება ერს და რისგან უნდა შევიკავოთ თავი... დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ მე ჩვენი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების, ჩვენი მწერლების, კულტურის დიდ მოღვაწეთა იუბილეს, დაბადების დღეების აღნიშვნას, ჩვენი ეროვნული ინსტიტუტების იუბილეებს და ასე შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს სამიათასწლოვან იუბილეს და მრავალ სხვას. მაგრამ რაც შეეხება პოლიტიკოსს, აქ ცოტა სხვანაირი მოსაზრება მაქვს, თუმცა პოლიტიკოსების იუბილეებშიც მიმიღია ძალიან ბევრჯერ მონაწილეობა და ბევრი "მოთაფლული" სიტყვაც მითქვამს. პოლიტიკოსისათვის ყველაზე ღირებული იუბილე ის არის, როცა მას კეთილად მოიხსენიებენ დაკავებული პოსტიდან წასვლის შემდეგ. („საქართველოს რესპუბლიკა", №4, 1998 წლის 6 იანვარი, გვ. 2).

149. მე... მგონია, რომ უშიშროება განუყოფელია, ისევე, როგორც ერთია სათანადო ცივილიზებული ქცევის წესები. („საქართველოს რესპუბლიკა", №14. 1995 წლის 7 თებერვალი, გვ. 1).

150. მე მგონია, რომ ჩვენი დროის ყველა ძვრებში მაინც ჰუმანურობის იდეის აღორძინების, ადამიანთან, ადამიანურ მასშტაბთან მიბრუნების

გეზია უმთავრესი. ახალი აზროვნება — ეს არის სამყაროს დანახვა ადამიანიდან, მისი პოზიციიდან, ინტერესებიდან. "ადამიანი არის საზომი ყველაფრისა". ამ თვალსაზრისით ახალი აზროვნება სულაც არ არის ახალი. ის ახალია იმ აზრით, რომ ადამიანის კეთილდღეობაზე ორიენტაცია დღეს პოლიტიკის სულ უფრო და უფრო გარდუვალი იმპერატიული საზომი ხდება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 124).

151. მე მზარავს, როცა მესმის ვიშვიში ბერლინის კედლის დანგრევისა და გერმანიის გაერთიანების გამო. გასაოცარ ზნეობრივ სიბრმავეს დაუბნელებია იმათი გონება და სული, ვისაც არ უნდა გაიგოს გერმანიის გახლეჩისა და გაერთიანების ჭეშმარიტი მიზეზები. ბერლინის კედელი ხომ აღმართეს მტრის გზაზე ზღუდედ კი არა, არამედ დაბრკოლებად საკუთარი მოქალაქისთვის, რომელსაც არ სურს თავს მოხვეული კანონით ცხოვრება. ამ ზღუდის გადალახვის მსურველებს ხოცავდნენ. ნეტა რას გვეტყვიან ამის პასუხად გარდაქმნის ბრალმდებელნი, რომლებმაც ამაში "კლასობრივ ღირებულებათა ღალატი" დაინახეს? ვფიქრობ, ჩაეჭიდებიან უძლიერეს არგუმენტს: გერმანიის გაერთიანებამ სოციალური დისკომფორტი შეუქმნა ყოფილი გდრ-ის მშრომელებს. ამ მიზნით გამართულ საპროტესტო დემონსტრაციებისა და მიტინგების რეპორტაჟებში ცხადად შეიმჩნევა ერთგვარი სიამოვნება: "დახეთ, სადამდე მიგვიყვანა თქვენმა პოლიტიკამო!" თითქოს მრავალი ათასი ადამიანი არ გადასულიყო კედლის იქით და ასობით გვამი არ შერჩენოდა ეკლიან მავთულებს, — ორ გერმანიას შორის საზღვრის გადალახვას რომ შეეცადნენ, მაშინ ჩახოცილ ადამიანთა გვამები! ვითომ ერჩიათ ამ ადამიანებს ჩაკეტილში ყოფნა, ვიდრე ბედნიერების ძიება მათთვის თითქოსდა უცხო სამშობლოში?

გასაოცარი აბერაციაა, ვერ ხედავდე, რომ გდრ-ის მკვიდრნი მძიმე დღეში არიან არა იმიტომ, რომ თანამემამულეებს შეუერთდნენ, არამედ იმიტომ, რომ მანამდე არსებულმა რეჟიმმა გაუძნელა მათ მაღალგანვითარებულ საზოგადოებაში ცხოვრების პირობებთან ადაპტირება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 301-302).

152. მე მივსდევდი პოლიტიკას, რომელიც ეყრდნობოდა ადამიანობის პრინციპებს, სცნობს უმაღლეს ზნეობას ადამიანებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში და გამორიცხავს უსამართლობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №175, 1994 წლის 30 სექტემბერი, გვ. 1).

153. მე მჯერა კონვერგენციის თეორიისა მის ისეთ ასპექტში, რომ თუ კაცობრიობას გადარჩენა უნდა, დაახლოება, თვისებრივად ახალ, ერთიან ადამიანურ თანამეგობრობად შერწყმა გარდაუვალია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1995 წლის 4 თებერვალი, გვ. 3).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

154. მე პოლიტიკაში... პატიოსნების მომხრე ვარ. ეს ჩემი კრედოა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №259, 1992 წლის 22 დეკემბერი, გვ.2).

155. მე პოლიტიკოსების მოღვაწეობას შევადარებდი მშენებელთა მუშაობას, რომელთაც არხები გაჰყავთ უწყლო უდაბნოებში. ჩვენი საზრუნავი ის არის, რომ ეს არხები საჭირო, საიმედო და დაცული იყოს. მაგრამ არც ერთ მშენებელს არ ძალუძს აავსოს ისინი მაცოცხლებელი ტენით. არხების ესოდენ საჭირო სისტემის ნაწილი, ჩვენ, პოლიტიკოსებმა, უკვე ავაგეთ. მაშ, მოდით, გავხსნათ რაბები და გავუშვათ წყალი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №97, 1997 წლის 30 აპრილი, გვ. 2).

156. მე როგორც პოლიტიკოსი, არასდროს დავცილებივარ ადამიანს და არც მინდა დავცილდე. ("კავკასიონი", №11, 1994 წლის 16 მარტი, გვ. 5).

157. მე ყოველთვის უხერხულობას მგვრიდა ადამიანის უფლებებთან იდეოლოგიის შერწყმის ცდები; ზოგ საზოგადოებაში იდეოლოგია რელიგიასავით არის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 119).

158. მე ძალიან შორსა ვარ იმ პოზიციისაგან, რომ ერთხელ ადამიანთან იკამათო, ან მის მიმართ იხმარო მწარე ფრაზა და მერე ამგვარი ქმედების ტყვეობაში აღმოჩნდე. ეს არ შეიძლება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №32, 1995 წლის 25 მარტი, გვ. 3).

159. მე ხშირად მითქვამს – პოლიტიკა ცხელი გულით და ცივი გონებით საკეთებელი საქმეა. ემოციები და ცხელი გული აუცილებელია ადამიანისათვის, მაგრამ მათ გონება არ უნდა დაბინდონ. ("სოფლის ცხოვრება", №23-24, 1993 წლის 27 მარტი, გვ. 2).

160. ... მეგობრული და კარგი ურთიერთობის აგება სახელმწიფოთა შორის შეუძლებელია, თუ სიმართლის ფაქტორს არ გავითვალისწინებთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №126, 1997 წლის 3 ივნისი, გვ. 2).

161. მეზობლის (იგულისხმება საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები – შემდგ.) კეთილდღეობა ჩვენი კეთილდღეობაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №228, 1996 წლის 13 ნოემბერი, გვ. 2).

162. მეზობლობა ძმობაზე ძვირფასია – თუ ეს არის ძმური მეზობლობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №143. 1992 წლის 31 ივლისი, გვ. 2).

163. (მეოცე საუკუნის მიწურულს ჯერ კიდევ არ წყდება – შემდგ.)... გაუთავებელი დისკუსიები იმის გამო, თუ როგორ მსოფლიოში ვცხოვრობთ – ერთ პოლუსიანში, ორ პოლუსიანში თუ მრავალპოლუსიანში. მე ამაში სხვას არაფერს ვხედავ, თუ არა ახალ მცდელობას წინასწარ გამზადებულ თეორიულ პროკრუსტეს სარეცელში მოაქციონ დღევანდელი მსოფლიო...

...თუ ჩვენ გვსურს სულ ახლო წარსულის ტვირთი ამ საუკუნეში

დავტოვოთ და ჩვენს შთამომავლობას იმაზე უკეთესი მსოფლიო შევუქმნათ, ვიდრე ის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მთელი ძალისხმევა უნდა მოვახმაროთ უპოლუსო მსოფლიოს შექმნას, რომელშიც მხოლოდ უნივერსალური ზოგადსაკაცობრიო იდეალები იქნება მიზიდულობის ცენტრი და რომელშიც მხოლოდ ამ იდეალების ერთგული სახელმწიფოები იქნებიან სხვებისთვის მიმზიდველნი და მიბაძვის ღირსნი.

მჯერა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მსოფლიო თანდათანობით სწორედ ასეთი სისტემისაკენ ვითარდება. "ცივი ომის" შემდგომ მძიმე გაკვეთილებს უკვალოდ არ ჩაუვლიათ. "ცივი ომის" შემდგომი მსოფლიოს უმთავრესი საკითხი პოსტტოტალიტარული სივრცის შეუქცევადი ტრანსფორმაცია გახლავთ, რომელიც, თუმცა მძიმედ, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

164. მესმის, რომ პოლიტიკური დეტექტივი და ჯაშუშური რომანი იწერება მკაცრი ინტელექტუალური სქემის მიხედვით, მაგრამ იგი საკმაოდ მოქნილი უნდა იყოს, რომ გაუძლოს უმეცრების ან ვიღაცის მიერ თავსმოხვეული წარმოდგენების სიმძიმეს. ("კავკასიონი", №34, 1995 წლის 21 თებერვალი, გვ. 2).

165. მესმის, რომ სარისკო აზრს გამოვთქვამ, მაგრამ მაინც ვიტყვი: შესაძლოა, დადგეს დრო, როცა გაერო დაიწყებს სანქციების გაცემას იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც უარს ამბობენ დიალოგზე, მოწინააღმდეგე კონფლიქტურ მხარესთან საუბარზე. ამგვარად, დიალოგი აღიარებული იქნება სადავო საკითხების გადაჭრის უნივერსალურ და სავალდებულო პრინციპად. არადა, ახლა ჩვენს პრაქტიკაში ხომ არსებობს "ინსპექციები უარის უფლების გარეშე". ეგებ ღირდეს შემოღება "მოლაპარაკებებისა უარის უფლების გარეშე"? (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 185).

166. მეტ-ნაკლები დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, დედამიწაზე არ მოიძებნება არც ერთი გონიერი ადამიანი, რომელსაც არ ესმოდეს, რომ ბირთვული იარაღი დამოკლეს მახვილად კიდია კაცობრიობის თავზე და დაღუპვას უქადის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 162).

167. მითქვამს და ვიმეორებ: მორალი პოლიტიკაში ჩემთვის თვით პოლიტიკაზე მეტად ფასობს... ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1997 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

168. მითქვამს და ვიმეორებ: ქვეყნის პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლების გაძლიერების გარეშე შეუძლებელია სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნა, საქართველოს ახალი

კონსტიტუციის სრულფასოვანი ამოქმედება, ჩვენი სამშობლოს გაძლიერების, მისი გამთლიანებისა და აღორძინების პროგრამების შედგენა და განხორციელება. („საქართველოს რესპუბლიკა" №209, 1996 წლის 17 ოქტომბერი, გვ. 3)

169. მილიტარიზაცია, დიდი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების მარაგთა შენახვა ქვეყანას უსათუოდ უკან დასწევს, უარეს დღეში ჩააგდებს იმ კონკურენტებთან შედარებით, რომლებსაც სამხედრო ხარჯების ასე მძიმე ტვირთი არ აწევთ. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 184).

170. მიმაჩნია, რომ პოლიტიკა შეიძლება იყოს ყველანაირი, მაგრამ უადამიანო არ უნდა იყოს. ასეთი თუ გახდა, იგი თავის თავს ამოიჭამს. ჩემი ევოლუცია გაირკვა ამ ჭეშმარიტებისაკენ მოძრაობით. ამას ათწლეულები დასჭირდა.* („ცხოვრება", №55, 1991 წლის 10 აგვისტო, გვ. 2).

171. მიმაჩნია, რომ საჭიროა დიპლომატთა საქმიანობისა და თანაარსებობის ახალი კოდექსი, რომელიც საიმედო ჭერი იქნება ყველა ჭეშმარიტი დიპლომატისათვის, ხოლო სპეციალური სამსახურები იარსებებენ ლეგალურად, საკუთარ ჭერქვეშ და იმოქმედებენ მათთვის დამახასიათებელი და, რა თქმა უნდა, სახელმწიფოთა შორის შეთანხმებული საერთო წესით. („საქართველოს რესპუბლიკა", №10, 1997 წლის 15 იანვარი, გვ. 1).

172. მიმაჩნია, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლები, და ეს იყო უმძიმესი გამოცდა მრავალი და მრავალი ხალხისათვის, ქვეყნებისა და მთელი პლანეტისათვის, იყო ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და პრინციპებისათვის ბრძოლის წლები. („საქართველოს რესპუბლიკა", №77, 1994 წლის 10 მაისი, გვ. 1).

173. მოვლენათა განვითარების ჩემეული ხედვა ასეთია: გენიალური და ხატოვანი ფორმულა — მშვენიერება გადაარჩენს მსოფლიოს — უფრო ოცდამეერთე საუკუნეზეა გათვლილი, ვიდრე ჩვენი დროის ათასწლეულზე. („ლიტერატურული საქართველო", №41, 1995 წლის 13-20 ოქტომბერი, გვ. 1).

174. მსოფლიო კარგა ხანია აღარ არის იდეოლოგიურად დაპირისპირებულ ძალთა შეჯახების არენა. ლიბერალურ-დემოკრატიულმა, თანასწორუფლებიანი პარტნიორობის, საერთაშორისო სამართლის, ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების თავისუფლების პრიმატზე დაფუძნებულმა აზროვნებამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ყველაზე მიმზიდველია და ამდენად ყველაზე ცხოველმყოფელი. („საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1997 წლის 20 თებერვალი, გვ. 1).

175. მსოფლიო მოწყობის თავისებურებანი, საერთაშორისო ურთიერთობათა დინამიკა დღეს ისეთია, რომ ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე განვითარებული სახელმწიფოს „ეულად" არსებობა უპერსპექტივოა. („საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1995 წლის 4 თებერვალი, გვ. 3).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: „კომსომოლსკაია პრავდა", №176-177, 1991 წლის 3 აგვისტო, გვ. 3 (შემდგ.).

176. მსოფლიოს თუ საერთო სხეული აქვს, მაშინ მისი ნებისმიერი მტკივნეული წერტილი საერთო ტკივილად და საერთო საზრუნავად განიცდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს სატკივარი, მისი საფრთხე დაუნაწევრებელია, უწინარეს ყოვლისა, უშიშროების თვალსაზრისით. თვით მრავალფეროვანი და ერთიანი მსოფლიოს განვითარების ლოგიკასა და დრამატურგიას მივყავართ მსოფლიოს ევოლუციის ახალი, ერთიანი ფილოსოფიის ძიებამდე, ისეთი ახალი საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებამდე, რომლებიც ამჟამინდელი და მომავალი მსოფლწესრიგის შექმნას შეძლებენ.

მაგრამ რა ვქნათ, რა ვუყოთ იმ მტკივნეულ წერტილებს, რომლებიც თიშავენ ერებსა და ქვეყნებს? (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 258).

177. ...მსოფლიოს მოწინავე საზოგადოება დღითი დღე რწმუნდება, რომ სწორედ რეგიონალური ინსტიტუტები ქმნიან ჩვენი პლანეტის ხვალინდელ პოლიტიკურ სახეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ინტეგრაციული პროცესები მხოლოდ მაშინ წარმოადგენენ სიკეთეს, თუ ისინი არ უპირისპირდებიან ხალხების, სახელმწიფოების თვითმყოფადობას. ჩვენს პლანეტაზე დაწყებულმა დიდმა ეკონომიკურმა და ტექნოლოგიურმა ინტეგრაციამ არ უნდა წალეკოს ათეულ საუკუნეთა განმავლობაში ერების მიერ შექმნილი კულტურული, სულიერი მემკვიდრეობა, ასეთი საფრთხე კი რეალურად არსებობს. ამიტომ დღეს, ერების კულტურულ ფენომენზე, მის განვითარებაზე ზრუნვა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №249, 1996 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2).

178. ... მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები მნიშვნელოვნად უსწრებს წინ წარმოდგენათა შეცვლას. მათი ინერცია იმდენად მდგრადი აღმოჩნდა, რომ დღეს იდეოლოგიათა დაპირისპირება წარმოდგენათა დაპირისპირებამ შეცვალა. ეს მკაფიოდ გამოჩნდა ნატოს გაფართოების პროცესში, როდესაც არც ნატოს და არც რუსეთის მიზნები ის აღარ არის, რაც სისტემათა დაპირისპირების დროს იყო. მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში ურჩ ბავშვებს ჯერ კიდევ ნატოთი აშინებენ, ხოლო ნატოში შესვლის ზოგიერთ კანდიდატთა შორის რუსეთის ხსენება დღეს უკვე აუხსნელ შიშს იწვევს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

179. მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ის პრეზიდენტია, ვისი მოქალაქენიც ბედნიერი არიან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1996 წლის 4 იანვარი, გვ. 1).

180. მსოფლმხედველობრივი მსგავსება... ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა სწრაფი და მჭიდრო ინტეგრაციისა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №249, 1996 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

181. მშვიდობა და ომი – ისეთი კატეგორიებია, რომლებიც მოგვაგონებს ჩვენს უდიდეს პასუხისმგებლობას მომავალი თაობების წინაშე. იმისათვის, რომ მშვიდობამ ომი დაამარცხოს, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მშვიდობის შესანარჩუნებლად. (ე. ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 183).

182. მშვიდობა მესახება კაცობრიობის ბუნებრივ მდგომარეობად, მსოფლიო კი – მისი ოჯახის შემადგენელი ქვეყნების ძმობად. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 101).

183. ... მშვიდობის გალავნის ამოსაყვანი აგურების დუღაბს მხოლოდ თეთრი დიპლომატიური ხელთათმანებით ვერ მოზელ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №176, 1997 წლის 25 ივლისი, გვ. 2).

184. ...მწვერვალისკენ ბევრ გზას მივყავართო, ამბობენ აღმოსავლეთში. უდავოა, ყველას აქვს ნება, თავისი გემოვნებისა და შეძლებისამებრ აირჩიოს გზა, მაგრამ, თუ ძალებსა და რესურსებს გავაერთიანებთ, ყველაზე უფრო ოპტიმალურ გზას მივაკვლევთ და ერთმანეთს დავეხმარებით, მაშინ მწვერვალს მალეც მივაღწევთ და უფრო ნაკლები დანაკარგებითაც. მწვერვალისკენ სავალი გზა გაგვიადვილდება, თუ ვივლით ერთად და ვიხელმძღვანელებთ ერთმანეთს გადაჯაჭვული ისეთი კატეგორიებით, როგორიც არის: პატივისცემა, ნდობა, თანამშრომლობა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 277-278).

185. მხოლოდ აქტიური პოლიტიკური უზრუნველყოფა მიგვიყვანს ეკონომიკური ინტეგრირების ისეთ დონემდე, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, უზრუნველყოფს პოლიტიკური მოვლენების ეკონომიზაციას. ვფიქრობ, რომ ეს შეუქცევადი პროცესი იქნება. ეგრეთ წოდებული წმინდა პოლიტიკა, შეიძლება წარსულის მოგონებად დარჩეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №74, 1995 წლის 4 ივლისი, გვ. 2).

186. მხოლოდ იმ სამხედრო თანამშრომლობას აქვს მომავალი, რომელიც მშვიდობის, დემოკრატიისა და თავისუფლების დაცვას ითვალისწინებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 2).

187. მხოლოდ უზნეობა კი არ არის, პოლიტიკური თვალსაზრისითაც სახიფათოა, რომ ეროვნული უშიშროება მხოლოდ ტანკის ჯავშანსა და ბირთვულ იარაღზე დაფუძნდეს და სრულიად გამოირიცხოს ისეთი "მცირე" რამ, – როგორიც ადამიანის ცხოვრება და კეთილდღეობაა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 105).

188. ნატოს გაფართოება, ევროატლანტიკური საბჭოს შექმნა, ამ

საბჭოში საქართველოს გაწევრიანება, ასე ვთქვათ, დრომ მოიტანა. ევროპა, ევროატლანტიკური ქვეყნები ეძებენ და კიდევაც პოულობენ გარანტირებული მშვიდობისა და სტაბილურობის ეფექტიან ფორმებს. ისტორიის გამოცდილება უბრალოდ არ აძლევს უფლებას დემოკრატიულ სამყაროს, არ იფიქროს საიმედო უშიშროებაზე,ურომლისოდაც წარმოუდგენელია ხალხის კეთილდღეობა, ეკონომიკური აღმავლობა, დემოკრატიულ ღირებულებათა, განსაკუთრებით, პიროვნების თავისუფლების, ადამიანის უფლებათა უზენაესობა.

ევროატლანტიკური საბჭოს წევრობა სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ზურგი შევაქციოთ იმ ქვეყნებს ან იმ გაერთიანებებს, რომელთა შემადგენლობაში გარკვეული პასუხისმგებლობა ვიკისრეთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №163, 1997 წლის 15 აპრილი, გვ. 3).

189. ნებისმიერი ინტეგრაცია, მათ შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში, საქართველოს წარმოუდგენია დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცების, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისა და ეკონომიკური აღმავლობის გზით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1997 წლის 20 თებერვალი, გვ. 2).

190. ...ნებისმიერი საგარეო პოლიტიკური პროგრამა, ჩანაფიქრი, მოქმედება, — ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საშუალებათა ჩათვლით, — მკაცრად უნდა შესაბამებოდეს ჭეშმარიტ ეროვნულ პრიორიტეტებს, ქვეყნის ხანგრძლივ ინტერესებსა და რეალურ შესაძლებლობებს, მოქალაქეთა მოთხოვნილებებს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 107).

191. ...ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაცია, და მათ შორის თანამეგობრობა, მაშინ ასრულებს მის წინაშე დასახულ მიზნებს, თუკი, უწინარეს ყოვლისა, ხელს უწყობს წევრი ქვეყნების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებას, მათ ეკონომიკურ აღმავლობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №43, 1997 წლის 22 თებერვალი, გვ. 1).

192. ნებისმიერი, ყველაზე ზუსტი და მშვენიერი ფორმულაც კი მხოლოდ საერთო ძალისხმევით შეიძლება გამოვიყენოთ მსოფლიოს გაჯანსაღებისათვის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 281-282).

193. პატარა და დიდი სახელმწიფოები უფლებრივად თანასწორნი უნდა იყვნენ, თუმცა უდავო რეალობაა, რომ დიდი პოლიტიკა ხშირად ამ სიბრტყეზეც მოიაზრება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №302, 1997 წლის 2 დეკემბერი, გვ. 2).

194. პატარა ქვეყანასაც შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს დიდი პოლიტიკის ფორმირებაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №60, 1992 წლის 14 აპრილი, გვ. 1).

195. პარტნიორთა დაფასებით, მათი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების წესის, მათი არჩევანის, მათი კანონიერი ინტერესების პატივისცემით არის შესაძლებელი ნდობის ატმოსფეროს შექმნა, ნდობა კი ასე აუცილებელია პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ სფეროებში იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც საფუძველს გამოაცლიან იჭვნეულობას, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში უზრუნველყოფენ მოვლენათა წინასწარ განჭვრეტას, დაამკვიდრებენ ურთიერთგაგებასა და იმედიანობას.

ჩემი აზრით, ამ წინადადებათაგან ბევრი დღემდე აქტუალურია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 278).

196. (პიროვნების ფიზიკური განადგურება — შემდგ.)... არ შეიძლება იყოს პოლიტიკური ბრძოლის მეთოდი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №33, 1994 წლის 2 მარტი, გვ. 1).

197. პოლიტიკა ადამიანური მოღვაწეობის სწორედ ის სფეროა, სადაც გასაქანი არ უნდა მისცე გრძნობას, ნებაზე არ უნდა მიუშვა, რადგან პოლიტიკაში მთავარი გადაწყვეტილების მიღებაა. ეს კი გასაკეთებლის გონივრულ მოზომვას, გონების თვალით აწონ-დაწონვას გულისხმობს, რომელსაც არსობრივი პრაქტიკული მოქმედება უნდა მოჰყვეს... ("საქართველოს რესპუბლიკა", №158-159, 1995 წლის 1 ნოემბერი, გვ. 1-2).

198. პოლიტიკა არ არის ინტრიგანობა, პოლიტიკა არ არის პოლიტიკანობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №168, 1993 წლის 3 აგვისტო, გვ. 1).

199. პოლიტიკა დრამატულია თავისი არსითაც და თავისი კონკრეტული გამოვლინებებითაც. მაგრამ ეს იმის საფუძველს არ იძლევა, რომ პოლიტიკა სენსაციის მსახურად ვაქციოთ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 259).

200. პოლიტიკა, როგორც იტყვიან, ყველაფერს ამართლებს, მაგრამ მე მხოლოდ იმ პოლიტიკისა მწამს, რომლის საფუძვლები ზნეობრიობის პრინციპებია. ("იბერია-სპექტრი", №53, 1992 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 3).

201. პოლიტიკა სავსეა პარადოქსებით — არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №4, 1994 წლის 6 იანვარი, გვ. 2).

202. პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებაა. მხოლოდ წუთობით, დღითი დღე, ნაბიჯ-ნაბიჯ შესაძლებლისის ფარგლების გაფართოებით შეიძლება შეუძლებლის მიღწევა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №161-162, 1995 წლის 3 ნოემბერი, გვ. 3).

203. პოლიტიკა ხელოვნებაა შესაძლებლისა. ეს შეიძლება ვინმეს მოსწონდეს ან არ მოსწონდეს, მაგრამ ის, როგორც აქსიომა, მტკიცებას არ საჭიროებს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 237).

204. (პოლიტიკაზე კულტურის გავლენის სფეროების გაფართოება – შემდგ.)... მხოლოდ მოაზროვნე ადამიანთა ინტერნაციონალს შეუძლია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №83, 1995 წლის 14 ივლისი, გვ. 2).

ბიბლიოთეკა

205. პოლიტიკას ადამიანები ქმნიან. ყოველ შემთხვევაში, ისინი, ვინც მას ქმნიან, ადამიანები უნდა იყვნენ. მაგრამ ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა, მეორე მხარის გარეშე კი ის საერთოდ არ არსებობს. სწორედ ეს მეორე მხარეა მთავარი, ის არის წაღმა პირი: პოლიტიკას ადამიანებისთვის ქმნიან. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 138).

206. (პოლიტიკას – შემდგ.)... მართებს შორს იხედებოდეს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 194).

207. პოლიტიკას სუფთა ადამიანები უნდა ქმნიდნენ და არავის არ უნდა მიეცეს საშუალება გამოიყენოს იგი პირადი მიზნებისათვის. ("იბერია-სპექტრი", №53, 1992 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 3).

208. პოლიტიკას ყოველთვის თან სდევს რომანტიზმის ელემენტები... პირადად მე პოლიტიკაში პრაგმატიზმის მომხრე ვარ და ჩემს მოღვაწეობაში მისით ვხელმძღვანელობდი, თუმცა ქართულ პოლიტიკას რომანტიზმი რომ არ ახასიათებდეს, წარმოუდგენელია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №81, 1993 წლის 21 აპრილი, გვ. 1).

209. ...პოლიტიკას შეუძლია უზრუნველყოს ისეთი პირობები, როცა ქვეყანას არ ეყოლება მოწინააღმდეგენი და მტრები. ("კომუნისტი", №156, 1990 წლის 6 ივლისი, გვ. 2).

210. პოლიტიკასა და ხელოვნებაში ძალზე საჭიროა განვასხვავებდეთ ნაციონალიზმს ეროვნული ფენომენისაგან, ინტერნაციონალიზმს – კოსმოპოლიტიზმისაგან. ("კომუნისტი", №125, 1980 წლის 31 მაისი, გვ. 2).

211. ...პოლიტიკაში, მეტადრე, როცა ადამიანის ბედი წყდება, ემოციები, გულისწყრომა ცუდი მრჩეველია. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 141).

212. პოლიტიკაში მუდამ არსებობს გადასალახავი რუბიკონი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 2).

213. პოლიტიკაში, სადაც სწორი საშუალებების შეურჩევლად ვერავითარი კეთილი მიზანი ვერ მიიღწევა, რეალური სიტუაციის ადექვატურად გვიხდება საშუალებათა არჩევა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 70).

214. ...პოლიტიკაში ყოველთვის ზნეობრიობისა და პატიოსნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრინციპებს ვემყარებოდი.* ("ლიტერატურული საქართველო", №3, 1994 წლის 14 იანვარი, გვ. 4).

215. ...პოლიტიკაში ყოველთვის უნდა ვიხელმძღვანელოთ რეალური მდგომარეობით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №20, 1993 წლის 2 თებერვალი, გვ. 1).

216. პოლიტიკაში ყოველთვის წინ უნდა იყურებოდე და არა უკან!** ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 141).

217. პოლიტიკაში შეიძლება ბევრი რამ არ გსიამოვნებდეს, მაგრამ ყველა ფაქტორს ანგარიში მაინც უნდა გაუწიო — სხვა საქმეა რა ფორმით გააკეთებ ამას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №20, 1993 წლის 2 თებერვალი, გვ. 1).

218. პოლიტიკაში ძლიერ გამოთქმებს მე ვამჯობინებდი ძლიერ, გააზრებულ პოლიტიკას.*** ("საქართველოს რესპუბლიკა", №141, 1997 წლის 20 ივნისი, გვ. 2).

219. პოლიტიკაში წინ უნდა ვიხედებოდეთ და არა უკან, თუ არ გვინდა დროს ჩამოვრჩეთ. ("კომუნისტი", №119, 1979 წლის 24 მაისი, გვ. 3).

220. ...პოლიტიკაში ხანდახან ნიუანსიც კი სერიოზულ არგუმენტად იქცევა ხოლმე. ("კავკასიონი", №11, 1994 წლის 16 მარტი, გვ. 4).

221. პოლიტიკაში ხშირად ხდება ხოლმე — კმაყოფილი კაცის პოზიცია ხელსაყრელია და პოზასაც შესაბამისს იღებს ხოლმე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №35, 1996 წლის 28 თებერვალი, გვ. 2).

222. პოლიტიკის არქიტექტორიც იძულებულია, აურაცხელ ფაქტორს გაუწიოს ანგარიში. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 26).

223. პოლიტიკის საზომი ადამიანი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ის კომფორტს უნდა უქმნიდეს ადამიანს და მისგან არ უნდა მოითხოვდეს "მაღალი ინტერესებით" ნაკარნახევ გაუსაძლის პირობებთან შეგუებას. მესმის, რომ ეს მსჯელობაც იდეალიზმს ჩამოჰგავს, მაგრამ იდეალი რა არის, თუ არა მიზანი, რომლისკენაც უნდა მივისწრაფოდეთ? ჩვენი დრო მკაცრად გაუსწორდა ბევრ უტოპიას, რომელთაგან განსხვავებით, ეს მიზანი, — მიწიერი, საღი, გონივრული მიზანი, — არ უპირისპირდება დიად მიზანდასახულობათა ტრადიციას: რაც უფრო მეტს მოიგებს პიროვნება ჭკვიანური სახელმწიფო პოლიტიკით, მით უფრო მეტს მოიგებს ხალხი, საზოგადოება, სახელმწიფო, მისი უშიშროება. და თუ

* თარგმნილია გაზეთიდან: "ნეზავისიმაია გაზეტა", №216, 1993 წლის 11 ნოემბერი, გვ. 5 (შემდგ.).

** შდრ.: "პოლიტიკაში ყოველთვის უკან კი არა, წინ უნდა იხედებოდე!" ("კომუნისტი", №19, 1976 წლის 23 იანვარი, გვ. 9) (შემდგ.).

*** თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №111, 1997 წლის 18 ივნისი, გვ. 5 (შემდგ.).

პოლიტიკა "შესაძლებლის ხელოვნებაა", ის უნდა შთაგონებული იყოს იდეით "შეუძლებელისა", რათა გასცდეს ფარგლებს ჩვეულებრიობისა. მაგრამ ვშიშობ, რომ თვით პოლიტიკის არქიტექტორები თავს მყუდროდ ვერ გრძნობენ მათ მიერვე აგებულ შენობაში, რომელიც ვერც ვერასოდეს დამთავრდება და ვერც სრულყოფილებას მიაღწევს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 125).

224. პოლიტიკის ქვაკუთხედად თანამშრომლობა უნდა გადავაქციოთ და არა ფართომასშტაბიან პროვოკაციათა, ანუ "მართვადი ქაოსის" (ახლა ეს ძალიან მიღებულია) დოქტრინა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №33, 1998 წლის 10 თებერვალი, გვ. 2).

225. ...პოლიტიკის ძალა ძალის პოლიტიკაზე უზენაესია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 99).

226. ...პოლიტიკისა და სინამდვილის უწყვეტი კორელაციის პროცესს... არ შეიძლება დასასრული ჰქონდეს. ("კომუნისტი", №245, 1989 წლის 25 ოქტომბერი, გვ. 1).

227. პოლიტიკოსები ბევრ რამეზე თავიანთი თვალსაწიერიდან მსჯელობენ. მაგრამ ჭეშმარიტებას ხვდები პირადი ტანჯვის, უშუალოდ განცდილი ტკივილების მეშვეობით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №213, 1993 წლის 28 სექტემბერი, გვ. 1).

228. პოლიტიკოსებს ევალებათ ყველა სვლისა და ყველა შედეგის გათვალისწინება და ასევე ვალდებულნი არიან, არასოდეს არ დასჯერდნენ მხოლოდ ოპტიმალურად ხელსაყრელ და სასურველ შედეგს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 309).

229. პოლიტიკოსი მთავარი ფიგურაა კულტურათა დიალოგში — ასეთი დასკვნა გამომაქვს ისტორიიდან თანამედროვე პოლიტიკისათვის.

პოლიტიკა, როგორც შემაკავშირებელი რგოლი კულტურათა დიალოგში, მით უფრო მტკიცეა, რაც უფრო ძლიერ ეყრდნობა იგი მათ, — ვეუბნები ჩემს თავს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №83, 1995 წლის 14 ივლისი, გვ. 2).

230. პოლიტიკოსი მოვალეა გაითვალისწინოს ძალთა რეალური თანაფარდობა და განლაგება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 25).

231. ...პოლიტიკოსი მოვალეა, ფხიზელ, გონივრულ ანალიზთან ერთად საკუთარი ინტუიციითაც იხელმძღვანელოს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად",თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 333).

232. (პოლიტიკოსისა და დიპლომატისათვის — შემდგ.)... ფრენის საათები საუკეთესო დროა ფიქრისათვის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992. გვ. 255).

233. პოლიტიკოსს არ შეუძლია მარტო დინებას მიჰყვეს და არ მიიღოს მეორე გადაწყვეტილება, რომ დინების საწინააღმდეგოდაც იაროს და მოერიოს. ეს, ცხადია, რთული საქმეა, რადგან შესაძლოა დინება ისეთი მძლავრი იყოს, რომ ვერ გაუძლოს, მაგრამ ცდა არ უნდა დააკლოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №215, 1992 წლის 20 ოქტომბერი, გვ. 2).

234. პოლიტიკურ გონიერებას ნაკლები შანსი რჩება, თუ გულისტკივილი ჯაბნის ყველაფერს, პოლიტიკურ გონიერებას შეუძლია შანსის მოპოვება, თუ ეს ტკივილი გაყუჩდება... (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 224).

235. (პოლიტიკურ მოღვაწეთა ცხოვრებაში მძიმეა – შემდგ.)... ხვედრი ყველასი, ვინც იკისრებს პასუხისმგებლობას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992. გვ. 126).

236. პოლიტიკური ბრძოლა გარდაუვალია ყოველგვარი არჩევნებისათვის და საერთოდ პლურალისტური დემოკრატიული ქვეყნისათვის. მაგრამ თუ გვინდა დავიმკვიდროთ ადგილი დემოკრატიულ სამყაროში, ეს ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს კანონის ფარგლებში, უბრალოდ, ადამიანური ეთიკის, ჯანსაღი კრიტიკის, ჯანსაღი აზრის, კონკურენციის ვითარებაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №79, 1995 წლის 11 ივლისი, გვ. 2).

237. პოლიტიკური გადაწყვეტილებები, დიპლომატიური აქცია შეიძლება პრაგმატულად ხელსაყრელი მოგვეჩვენოს, მაგრამ, რადგან ისინი ზნეობრივი არ არის, ვერაფრით და ვერასოდეს ვერ იქნება ვერც გამართლებული და ვერც შეესაბამება ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს. ("კომუნისტი", №245, 1989 წლის 25 ოქტომბერი, გვ. 2).

238. პოლიტიკური დეკლარაცია ფარატინა ქაღალდი არ არის... ("საქართველოს რესპუბლიკა", №132, 1997 წლის 10 ივნისი, გვ. 2).

239. (პოლიტიკური – შემდგ.) ... თანამშრომლობა ვერ იტანს დილეტანტებს, ის სიღრმეს და პასუხისმგებლობას მოითხოვს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №23, 1995 წლის 3 თებერვალი, გვ. 3).

240. (პოლიტიკური კულტურის გარეშე – შემდგ.) ... საერთოდ შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №177, 1997 წლის 26 ივლისი, გვ. 2).

241. პოლიტიკური მეთოდები და გზები თუ სწორად ვერ შევუხამეთ ძალისმიერ ელემენტებს, ყველაფერი შეიძლება ლაპარაკის დონეზე დარჩეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №176, 1995 წლის 28 ნოემბერი, გვ. 1).

242. პოლიტიკური მოლაპარაკება დიდხანს ჭიანურდება ხოლმე, მაგრამ, როცა ადამიანები თვითონ აყენებენ პრობლემებს, თვითონ იწყებენ საერთო ენის გამონახვას და პოლიტიკოსების გადაწყვეტილებებს არ ელოდებიან, მაშინ პოლიტიკოსებიც იძულებულნი არიან იჩქარონ და სწრაფად

დაასრულონ მოლაპარაკებები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №38, 1995 წლის 8 აპრილი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

243. პოლიტიკური პროცესი შევბულებაში არ გადის და მასში ჩაბმული ადამიანები თავიანთ თავს მოდუნების უფლებას ვერ მისცემენ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 13).

244. პოლიტიკური სტაბილურობა არის საზოგადოებრივი და პოლიტიკური სისტემის მდგრადობისათვის საჭირო პირობათა საყოველთაო და უპირობო დაცვა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №177, 1997 წლის 26 ივლისი, გვ. 2).

245. (პოლიტიკური სტაბილურობისა და მდგრადობის — შემდგ.)... სიტუაციაში აუცილებელია ყოველი ნაბიჯის აწონ-დაწონა, ფრთხილად და წინდახედულად მოქმედება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 231).

246. (პოლიტიკურმა ინტრიგებმა არ უნდა შეიწიროს — შემდგ)... ყველაზე დიდი ფსონი, რაც კი არსებობს ამქვეყნად — ადამიანის სიცოცხლე. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 289).

247. პროგნოზები უმადური, სარისკო, მეტიც, საშიში საქმეა. რამდენი "წინასწარმეტყველი" გააწბილა ამ ჩვენმა XX საუკუნემ, რომლის გეზიც ასე დრამატულად ასცდა მათი ხილვების საამურ დინებას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 256).

248. რა თემაზეც უნდა ლაპარაკობდეს დღეს ევროპელი პოლიტიკოსი, იგი გვერდს ვერ აუვლის "ცივი ომის" შემდგომ რეალიებს — ახალ მსოფლიო წყობასა და მასში აღმოსავლეთი ევროპისა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ადგილს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

249. რა თქმა უნდა, ყოველთვის როდი კითხულობ ხალისით, რომ "შევარდნაძემ დაშალა საბჭოთა კავშირი...", "ამერიკის შეერთებულ შტატებს აჩუქა ნავთობიანი შელფი ბარენცის ზღვაში...", "კავკასიას აბარებს დასავლეთს და აძევებს რუსეთს რეგიონიდან..." და სხვა ამგვარი რამ. მაგრამ მეორე მხრივ, ფიქრობ: "ხედავ თურმე, რა ტიტანი ყოფილხარ ამ ყმაწვილების თვალში?" მეორე მხრივ კი, ეს ხომ ძალიან კარგია, რომ ყველაფერი თითქოს ხელის გულზეა: ვინ არის შემკვეთი და საიდან ქრის ქარი.

თუმცა, არც ერთ გარემოებაში შესაძლებლად არ მიმიჩნევია, მეპასუხა ჩემი მისამართით გამოხდომებისათვის.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1998 წლის 27 იანვარი, გვ. 3).

* თარგმნილია გაზეთიდან: "ნოვიე იზვესტია", 1998 წლის 22 იანვარი (შემდგ.).

250. რაოდენ თამამი და გაბედულიც უნდა იყოს შესაძლებლის ფარგლების შესახებ თავის წარმოდგენებით პოლიტიკოსი, მას უფლება არა აქვს დაივიწყოს ამწუთიერი რეალობანი.* ("კომუნისტი", №19, 1990 წლის 23 იანვარი, გვ. 3).

251. რაოდენ რთულიც უნდა იყოს გადასაწყვეტ პრობლემათა კომპლექსი, ჩვენს პლანეტაზე პოლიტიკური კლიმატის გლობალური დათბობის პროცესი შეუქცევადია და ამ მხრივ, ცივი ომის დამთავრებისათვის ბრძოლის ეპოქაში დაგროვილი გამოცდილება უნიკალურია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №68, 1997 წლის 25 მარტი, გვ. 2).

252. რასაკვირველია, "ბირთვული შეკავების" იდეის კონსერვაციას განაპირობებს არა მხოლოდ ერთა უფლებებისა და ინტერესების ჰიპერტროფია მათივე მოვალეობის ხარჯზე, არამედ ნდობის ნაკლებობაც. ამ პრობლემას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 167).

253. ...რაღაც მიზანი, რაღაც იდეოლოგია ყოველთვის არსებობს პოლიტიკაში. ("იბერია-სპექტრი", №53, 1992 წლის 23 ოქტომბერი, გვ. 5).

254. ... რეალურ პოლიტიკაში, როდესაც მარტოოდენ წარსულით სულდგმულობ, შეიძლება საერთოდ დაჰკარგო მომავალი. ** ("საქართველოს რესპუბლიკა", №141, 1997 წლის 20 ივნისი, გვ. 2.).

255. რეალური პოლიტიკის შემუშავება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა საგნებს თავიანთი სახელები დაერქმევა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №196, 1996 წლის 28 სექტემბერი, გვ. 2).

256. ...რეგიონალიზმი სხვებისაგან გამოცალკავებას კი არ გულისხმობს, არამედ დანარჩენ სამყაროსთან თანამშრომლობის ხელშეწყობისა და გლობალური ინტეგრაციის გზას წარმოადგენს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №252, 1996 წლის 17 დეკემბერი, გვ. 2).

257. რეგიონის დაკარგვა ან მოპოვება შესაძლოა მხოლოდ ამ რეგიონში მცხოვრებთა გულების დაკარგვით ან მოგებით, სხვა საშუალებები ამ შემთხვევაში გამოუსადეგარია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1997 წლის 20 თებერვალი, გვ. 2).

258. რევოლუცია ჯერ ადამიანთა გონებაში ხდება და შემდეგ — საზოგადოებაში. გარდაქმნის გასაჭირს იმაში ვხედავ, რომ ის მრავალი ადამიანის გონებაში კი მოხდა, მაგრამ არ შეხებია იმ ადამიანთა ცნობიერებას, ვისზეც ბევრი რამ იყო დამოკიდებული. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 196).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №19, 1990 წლის 19 იანვარი, გვ. 5 (შემდგ.).
** თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №111, 1997 წლის 18 ივნისი, გვ. 5. (შემდგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

259. რევოლუციების ისტორიაში მე დიდი ხანია მაფიქრებდა ერთი რამ: ყველა რევოლუცია ხალხის საკეთილდღეოდ ხდებოდა, მაგრამ ყოველი მათგანი ემუქრებოდა პიროვნების სუვერენიტეტს. იდეა იქცეოდა გილიოტინის ნაჯახად, რომელიც თავებს აყრევინებდა იმათ, ვისაც საპირისპირო იდეა უღვივოდა. სხვაგვარად აზროვნების საწინააღმდეგო მასობრივი მორალური და ფიზიკური ტერორი სპობდა საზოგადოების ელიტურ ბირთვს, რითაც ხალხთა ისტორიულ პერსპექტივას აკნინებდა, მათ აღორძინებას აფერხებდა.

ყველაფერ ამას აღვიქვამდით გონებისმიერი ჭვრეტითი გზით, განყენებულ მაგალითთა მეოხებით. და უცებ უშუალოდ შეგვეხო ჩვენ, დღევანდელ ადამიანებს; ამან კი ჩვენს წინაშე დააყენა მკაცრი კითხვა: განა საერთოდ აქვს ვინმეს იმის უფლება, რომ საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით და საკუთარი წარმოდგენების შესაბამისად მართოს პიროვნება, ამით კი მთელი ხალხი სასიკვდილოდ გაწიროს? ჩემი სიცოცხლე – ეს ჩემი სიცოცხლეა, თქვენი სიცოცხლე – თქვენი სიცოცხლეა, და ნება გვიბოძეთ, ყველამ საკუთარი ნებისამებრ მოვიხმაროთ ჩვენ-ჩვენი სიცოცხლე. სხვაგვარი რამ იგივე ტოტალიტარიზმია, ოღონდ უკვე სახეშეცვლილი, მაგრამ ის ხომ მაინც ტოტალიტარიზმად რჩება.

ყველაფერი ეს უკვე იყო, და სადამდეც მიგვიყვანა, ცნობილია. მაგრამ მაშინ სად და რაში ვეძიოთ გამოსავალი? სად და, ადამიანის ინტელექტში, რომელმაც წამოაყენა ზეეროვნულ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზით ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცებისა და განვითარების იდეა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 308).

260. როგორი სახით შეაბიჯებს კაცობრიობა მესამე ათასწლეულში? რას დავუტოვებთ ჩვენ, ამჟამინდელი თაობა, მემკვიდრეობად ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს? სუპერდამანგრეველი იარაღის მთებს, რომლებსაც შეეძლებათ ყველას და ყველაფრის აფეთქება, მტრობასა და კონფრონტაციას, ეკოლოგიურ კოლაფსსა და ეკონომიკურ წყობას, რომელიც თავისით ინგრევა? თუ კეთილმეზობლობისა და გლობალური თანამშრომლობის სამყაროს, რომელშიც აღარ იქნება არანაირი – არც სამხედრო და არც სხვაგვარი – მუქარა, სამყაროს, – რომელშიც ყველა ხალხს შეეძლება თავისუფლად შრომა და ცხოვრება და, რაც მთავარია, ცხოვრებით გახარება?

პასუხები დღესვეა საჭირო, უკვე საჭიროა მათი არა მარტო უბრალოდ ფორმულირება, არამედ ფორმირება სწორ მიზანთა მისაღწევი მატერიალური წანამძღვრებისა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება" 1992, გვ. 257).

261. როგორი წინააღმდეგობრივიც უნდა იყოს დღევანდელი მსოფლიო, იგი თვისობრივად განსხვავდება გუშინდელისაგან. ოთხმოციან წლებში მომხდარმა ტექტონიკურმა ძვრებმა, რომელთაც გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვუწოდოთ ამ საუკუნის უდიდესი რევოლუცია, გაათავისუფლეს იგი ბიპოლარული დაპირისპირების მძიმე ტვირთისაგან. წარსულის სისხლიანი რევოლუციებისაგან განსხვავებით, იგი არ ატარებდა კლასობრივ ხასიათს და არ ისახავდა მიზნად საზოგადოების რომელიმე ფენის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. ეს რევოლუცია ჩაისახა და განვითარდა ღირებულებათა სფეროში და ემსახურებოდა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკის იდეოლოგიური ქიმერებისაგან განთავისუფლებას. კერძოდ, საგარეო პოლიტიკაში ვიწრო კლასობრივი, იდეოლოგიზირებული მიდგომის ნაცვლად დამკვიდრდა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პრიმატი. საერთაშორისო პოლიტიკა, დიპლომატია განთავისუფლდნენ კლასობრივ-იდეოლოგიური კლანჭებისაგან, რამაც ისტორიულად მოკლე ვადაში მოახდინა პარადიგმული ხასიათის ცვლილებები. "ცივი ომი", რომელიც ყოველ წამს შეიძლებოდა ბირთვულ ხანძრად აალებულიყო და მოსდებოდა მთელს პლანეტას, დამთავრდა. იდეოლოგიურ დოგმათა ტყვეობისაგან განთავისუფლდნენ ადამიანები, ხალხები, ქვეყნები და მათ შორის ჩვენი სამშობლოც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №38, 1996 წლის 5 მარტი, გვ. 2).

262. როგორც მოგეხსენებათ, პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა შესაძლებლობის გამოყენების ხელოვნება. ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი საკითხია. ასეთი შესაძლებლობები კი არცთუ ცოტაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 4).

263. როგორც ყოველთვის, შფოთის, არეულობის დროს პოლიტიკურ არენაზე შეიძლება გამოვიდნენ შარიკოვები,* ყვარყვარე თუთაბერები, ვიგინდარები, ლიუმპენები და "წმინდა დროშების" ფრიალი მათი ნამდვილი სახის დანახვაში ხელს შეუშლის საზოგადოებას. ამასობაში ინტელიგენცია, ინტელექტუალური ელიტა... შეიძლება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან გარიყული აღმოჩნდეს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 295-296).

264. როცა ვითარება... გამწვავებულია, ერთმა სიტყვამ შეიძლება აფეთქების დეტონატორის როლი შეასრულოს. საქმე სიტყვის აზრობრივი შინაარსი კი არ არის, არამედ მისი შესაძლო განმარტება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №16-17, 1992 წლის 31 იანვარი, გვ. 4).

265. როცა თქვენ გასწავლიდნენ და დაგასწავლეს, რომ სახელმწი-

* შარიკოვი — მიხაილ ბულგაკოვის მოთხრობის "ძაღლის გულის" პერსონაჟი, ავანტიურისტის ტიპს განასახიერებს (ავტორის შენიშვნა — შემდგ.).

ფოთაშორისი და საერთაშორისო ურთიერთობები ემორჩილება კლასობრივი ბრძოლის ინტერესებსა და კანონებს, შეუძლებელია ერთბაშად, იოლად შეითვისო ზოგადკაცობრიულ ღირებულებათა ყველა სხვა ღირებულებაზე უზენაესობის იდეა... (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 98).

266. როცა იცი, საით მიდიხარ, უფრო იოლია სიარული.* ("კომუნისტი", №180, 1989 წლის 5 აგვისტო, გვ. 3).

267. როცა მოლაპარაკებათა მაგიდასთან ვჯდებოდი, ყოველთვის ვცდილობდი, რომ ჩემს თანამოსაუბრეს ჩემში, უპირველეს ყოვლისა, დაენახა ადამიანი და არა მტრული იდეის მქონე პიროვნება, ეს მაინც უნდა ეგრძნო თავიდანვე, რომ მტრული იდეა არ იდგა ჩვენს შორს, თორემ სხვაგვარად ვერაფერს მივაღწევდი. მე არ უარვყოფდი ჩემს მრწამსს, ჩემს რწმენას, მაგრამ ამის გამო საქმის ინტერესი არ ფერხდებოდა. რასაკვირველია, ყველაფერზე წინ ჩემი ქვეყნის ინტერესები იდგა, მაგრამ ამავე დროს ვითვალისწინებდი პარტნიორის ინტერესებსაც, და ამასვე ველოდი მისგანაც. ყოველთვის ვიცოდი, თუ რა გვთიშავს ჩვენ, მაგრამ სულ ვცდილობდი გამერკვია, რა გვაერთიანებს. საერთო ინტერესები და მიზნები წამოიწევდა ხოლმე წინ და ყველაფერი დანარჩენი უკან იხევდა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 116).

268. როცა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი, ყველაფერი ვიღონე, რისი ძალიც შემწევდა, რომ მომესპო "მტრის სახე" სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №16-17, 1992 წლის 31 იანვარი, გვ. 4).

269. როდესაც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის წლებს ვიხსენებ, ვფიქრობ, რომ ეს ჩემი ცხოვრების ბედნიერი წლები იყო... მესმის ხოლმე, რომ მე ვითომდა ხელი შევუწყე სსრ კავშირის დაშლას. მსგავსი არაფერი ყოფილა. მიმდინარეობდა ზოგადი რიგის პროცესები, და არ შეიძლებოდა წინ აღდგომოდი ისტორიულ კანონზომიერებებს, ეს კიდევ უფრო ტრაგიკულ შედეგებს გამოიწვევდა. მაგრამ ხომ ბევრიც შევძელით... მე არაფერს არ ვნანობ, მე ვამაყობ ჩემი მუშაობის იმ წლებით.** ("საქართველოს რესპუბლიკა", №48-49, 1996 წლის 16 მარტი, გვ. 3).

270. როცა საკუთარ თავს ვეკითხები, თუ რაში შევცდით ჩვენ, ისევ და ისევ ვასკვნი: მთავარში არ შევმცდარვართ. გარდაქმნა აუცილებელი იყო, მაგრამ საშუალებების, ინსტრუმენტების, ტემპის არჩევანი განსაზღვრა

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავიტელსტვენი ვესტნიკ", №14-15, 1989 წლის ივლისი, გვ. 16 (შემდგ.).
** თარგმნილია გაზეთიდან: "სეგოდნია", №37, 1996 წლის 6 მარტი (შემდგ.).

საჭირო წარმოდგენათა დეფიციტმა, მონობას შეგუებულ ადამიანთა გონებრივმა დონემ. თანამედროვე პრაქტიკული ჟღერადობა შეიძინა ბიბლიურმა თქმულებამ, რომლის მიხედვითაც, მოსე წინასწარმეტყველმა ებრაელები ორმოც წელს ატარა უდაბნოში, რათა მონობაში შობილთ შენაცვლებოდა და აღთქმულ მიწაზე დამკვიდრებულიყო თავისუფალ ადამიანთა თაობა.

მაშ, რა გამოდის, გარდაქმნა ათწლეულების მანძილზე უნდა გაწელილიყო? არავითარ შემთხვევაში, თუმცა ცხადია, რომ ტოტალიტარიზმის უდაბნოებიდან სწრაფად ვერ გამოვაღწევდით. ჩვენ დავიწყეთ ეს მოძრაობა, მაგრამ მეტისმეტად ხშირად ვუხვევდით ამ კურსიდან, და ყველაზე ხშირად ეს საშინაო სფეროში ხდებოდა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 310).

271. ... რუსეთის სტაბილურობით საქართველოც, სხვა მეზობელი ქვეყნებიც და მთელი მსოფლიოც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული. ("საქართველოს რესპუბლიკა", №68, 1997 წლის 25 მარტი, გვ. 2).

272. საბჭოთა კავშირი ომიდან დიდ სახელმწიფოდ, ფაშიზმისაგან მსოფლიოს მხსნელად გამოვიდა. გამარჯვება გაუთანაბრდა სტალინის სახელს, პარტიის ნებასა და ძალას. სისტემის კრიტიკოსები აქცენტს აძლიერებენ რეპრესიებსა და ძალადობაზე და აბსოლუტურად გამორიცხავენ ცოცხალ "სხეულს სულისას", რომელიც ხალხს აღანთებდა შენებისათვის, შემოსეული მტრის მოგერიებისა და დანგრეული ქვეყნის აღორძინებისათვის. რაც არ უნდა ითქვას, იმ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურმა სისტემამ, რომელსაც დღეს ბევრი წყევლა-კრულვით იხსენიებს, ნებისმიერი საქმიანობისთვის საჭირო ამ მძლავრი რეზერვის ამოქმედება შეძლო და, უბრალოდ, გონივრული არ იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს ეს სისტემა ამ დროს მხოლოდ ძალას ემყარებოდა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 47-48).

273. (საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის პირველი დღიდანვე ვცდილობდი — შემდგ.) თავად ჩემთვის... გამომეკვეთა პრიორიტეტების მთელი წყება: რა მიმაჩნია საბჭოთა დიპლომატთა კოლექტივის ხელმძღვანელისთვის ძირითადად, უმთავრესად, საკვანძოდ. დიდ პატივს ვცემდი ჩემს წინამორბედს (ა. გრომიკოს — შემდგ.) მინისტრის თანამდებობაზე, ვაღიარებდი მის კოლოსალურ გამოცდილებას, კომპეტენტურობას, ერუდიციას; ვიცოდი, როგორი პოპულარული იყო იგი საბჭოთა და უცხოელ დიპლომატთა წრეებშიც და ხალხშიც. ვშიშობდი, უნებლიეთ არ დავპირისპირებოდი მას, არ დავმსგავსებოდი "ახალ ცოცხს", რომელიც ყოველთვის კარგად გვის, მაგრამ მტვერსა და ბუქს აყენებს.

ვიმეორებ, არ ვჩქარობდი, ვეცნობოდი, ვაკვირდებოდი ადამიანებს,

ვეუფლებოდი უწყების შესახებ ინფორმაციას, მეტს ვისმენდი, ცოტას ვლაპარაკობდი, ვსწავლობდი, მაგრამ არავის არ ვმოძღვრავდი, ვითვისებდი იმდენს, რამდენის ათვისებაც შემეძლო, თანამშრომელთა ნიჭსა და უნარს გულისყურით ვეკიდებოდი. ამავე დროს, ნათლად ვხედავდი, რომ გარდაქმნა ვერ დაიცდიდა, ვერც ჩვენს უწყებას აუვლიდა გვერდს, მას სჭირდებოდა ახალი ორიენტირები, დროის იმ ახალი რეალობის შესატყვისი, რომელშიც აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა და მთელი მსოფლიოც. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 89).

274. (საბჭოური სოციალიზმის — შემდგ.)... სისტემა ადამიანის გაცამტვერებას იყო მიჩვეული, ამისათვის იგი არ ისჯებოდა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 137).

275. საგარეო პოლიტიკა არ უნდა მოწყდეს საშინაო პოლიტიკას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №192, 1993 წლის 2 სექტემბერი, გვ. 2).

276. (საგარეო პოლიტიკა — შემდგ.)... ეს არის დინამიურად ცვლადი პოლიტიკური ფენომენი, რომელიც ყოველდღე მოითხოვს კორექტირებას, დახვეწას, სრულყოფას, მაგრამ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეალებისადმი მარად ერთგულებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 3).

277. საგარეო პოლიტიკა შეიძლება ეფექტიანი იყოს, თუ ის ღირებულებანი და პრინციპები, რომლებსაც იგი იცავს, სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკისთვისაც ორგანულია. ("კომუნისტი", №245, 1989 წლის 25 ოქტომბერი, გვ. 2).

278. საგარეო პოლიტიკის, დიპლომატიის გარდაქმნა მუდმივი, უწყვეტი პროცესია*. ("კომუნისტი", №180, 1989 წლის 5 აგვისტო. გვ. 3).

279. საგარეო პოლიტიკური პრაქტიკა უნდა განვიხილოთ განვითარებაში, როგორც პროცესი, რომელსაც ყოველ გარკვეულ მომენტში გარკვეული ამოცანები აქვს, და რომელსაც მისი ყოველი მონაწილე თავისთვის საჭირო შედეგისკენ წარმართავს. (ე. შევარდნაძე, " ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება" 1992, გვ. 232).

280. (საგარეო პოლიტიკური საქმიანობის სამი ყველაზე მთავარი საზრუნავია — შემდგ.)... სამშობლოს უშიშროება, სამშობლოს კეთილდღეობა და სამშობლოს სახელი. ("იმიჯური დიპლომატიური ჟურნალი", №1, 1996, გვ. 5).

281. საგარეო საქმეები მუდამ არის ყოველი ნორმალური კაცის თვალთახედვის არეში, ვინაიდან ისინი მნიშვნელოვანწილად ეხება მის ცხოვრებასაც. ადამიანებს, როგორც წესი, თავიანთი ჩამოყალიბებული

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავიტელსტვენი ვესტნიკ", №14-15, 1989 წლის ივლისი, გვ. 16 (შემდგ.).

აზრი აქვთ საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.* ("კომუნისტი", №67, 1990 წლის 23 მარტი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

282. საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩემი მუშაობის წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა რეკომენდაციათა შეფასებასა და შემუშავებაში მონაწილე მუშაკთა წრე. მუდამ გულისყურით ვეკიდებოდი მათ აზრს. მაგრამ, ამასთანავე, გამოთქმულ შეხედულებებს ყოველთვის ვუფარდებდი საერთო სტრატეგიულ ამოცანათა ჩემეულ გაგებასა და ხედვას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 174).

283. საერთოდ გაუბრალოება არაფრის არ შეიძლება, თუნდაც ეს ჭორი იყოს, ამის უფლება არა გვაქვს. ყოველ ხუმრობაშიც არის სიმართლის ნაწილი... ("საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1993 წლის 22 იანვარი, გვ.2).

284. საერთოდ, უნდა გითხრათ: ვისაც სურდა და შეეძლო, არც იმ უძრაობის წლებში ტკეპნიდა ერთ ადგილს, მუშაობდა, ეძიებდა, ჰპოვებდა.** ("კომუნისტი", №180, 1989 წლის 5 აგვისტო, გვ. 3).

285. საზოგადოდ, დღევანდელ მსოფლიოში, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას დიდად განსაზღვრავს პიროვნული ფაქტორი, ლიდერთა შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სულისკვეთების დამკვიდრება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №315, 1997 წლის 17 დეკემბერი, გვ. 2).

286. საზღვრები, ეს არის ყველაზე ფაქიზი ნერვი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ევროპის ყოველი სახელმწიფოს უშიშროებას. თუ გვინდა მშვიდობიანად ვიცხოვროთ, მას არ უნდა შევეხოთ.*** ("კომუნისტი", №19, 1990 წლის 23 იანვარი, გვ. 3).

287. საკუთარი ეროვნული ინტერესები რომ სწორად შევაფასოთ და მოვაგვაროთ, აუცილებელია წარმმართველი ტენდენციების გაცნობიერება და კაცობრიობის საერთო ძვრების ძირითად მიმართულებათა გაგება. იმის გაცნობიერება, რომ ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფი, — კლასი, ერი, ხალხი, სახელმწიფო — სრულად მხოლოდ მაშინ შეასხამს ხორცს თავის მისწრაფებებს, თუ მათ სწორად შეუფარდებს საყოველთაო კეთილდღეობას.

ხატოვნად რომ ვთქვა, მშვიდობა და უსაფრთხოება თუ არის თანამედროვე მსოფლიოს პანორამაში უმთავრესი მიზანდასახულობა, მაშინ ზოგადადამიანური და ეროვნული ინტერესების ჰარმონია — ეს არის მისი იდეალური კომპოზიცია. ამ ფრესკაში როცა ჩვენს ეროვნულ დეტალს ვრთავთ, ყოველი ჩვენგანი მოვალეა, მას ხედავდეს, სხვა დეტალებთან ორგანულ, განუყრელ ერთიანობაში. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 118).

---

* თარგმნილია ჟურნალიდან: "ოგონიოკ", №11, 1990, გვ. 3 (შემდგ.).

** თარგმნილია გაზეთიდან: "პრავიტელსტვენი ვესტნიკ", №14-15, 1989 წლის ივლისი, გვ. 16 (შემდგ.)

*** თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №19, 1990 წლის 19 იანვარი, გვ. 5 (შემდგ.).

288. სამწუხაროდ, ჩვენ ყოველთვის ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, თუ რა უნიკალური კაპიტალი გვაქვს და რაოდენ საიმედოდ უნდა დავიცვათ იგი წარსულის რეციდივებისაგან. ხომ არავინ რეაგირებს ისე მგრძნობიარედ პოლიტიკაში დაძაბულობის უმცირეს გაძლიერებაზეც კი, როგორც კერძო ბიზნესი. ზოგჯერ, საკმარისია გაისმას ერთი დაუფიქრებელი განცხადება, და მაშინვე იწყებს ნგრევას ეკონომიკურ ურთიერთობათა მთელი მწყობრი სისტემა, და შემდეგ — უშიშროების სისტემა. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №97, 1997 წლის 30 აპრილი, გვ. 2).

289. სამხედრო ხელშეკრულება იმით არის აღსანიშნავი, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობაში განსაკუთრებული ნდობის ფაქტორზე მიგვანიშნებს. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №114, 1997 წლის 20 მაისი, გვ. 2).

290. საოცარია მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების დინამიკა. ამაში არის თავისი ლოგიკა. ყოველთვის, გლობალურ დაპირისპირებათა დამთავრების შემდეგ, იბადება ახალი მსოფლწესრიგის დამყარების სურვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყოველთვის სამართლიანი როდია. ასე იყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ და მაშინ მსოფლიო ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაყოფილი აღმოჩნდა. ასე ხდება დღესაც, ჩვენი ასწლეულის ყველაზე ხანგრძლივი ომის — “ცივი ომის” დამთავრების შემდეგ. ახალი მსოფლწესრიგის ფორმირების პროცესის სისწრაფეს, სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვათ, წინანდელზე უფრო სამართლიანს, მოწმობს ბოლო წლების მანძილზე მომხდარი მოვლენები... ხომ არ მოხდება ის, რომ ჩვენ, უკვე მერამდენედ, შემოგვთავაზებენ ელიტარული პოლიტიკური და ეკონომიკური კლუბების დახურულ კარს მიღმა მიღებულ მზა გადაწყვეტილებებს და შემდეგ კეთილმოსურნედ დაგვრთავენ არჩევანის ნებას, როცა, სინამდვილეში, ასარჩევი უკვე არაფერია.

მაგრამ, ყველაფერი იმას მოწმობს, რომ წარსული არ გამეორდება. (“საქართველოს რესპუბლიკა”, №270, 1997 წლის 30 ოქტომბერი, გვ. 2).

291. საუკუნეების მანძილზე მსოფლიოში სუფევდა დაპყრობისა და დათრგუნვის იმპერიული პრინციპი, რომელიც არ იგუებდა დიდ დიალოგისტთა ისეთ დარიგებებს, როგორიც არის, ვთქვათ, დიოგენე ლაერტელის მოწოდება განხილვის ხელოვნებისა და არგუმენტაციის ხელოვნების განუყოფლობის შესახებ. რად გინდა “ წარმოდგენილი ხასიათების ერთგულების დაცვა”, როცა ხელთა გაქვს ძალის არგუმენტი?

მაგრამ ახლა, “ცივი ომის” დასრულების შემდეგ, კაცობრიობა უნდა დაეწაფოს დიალოგის კულტურას და ხელოვნებას, ვინაიდან იგი გვაძლევს შანსს, დავძლიოთ რეაქციული წარმოდგენები სახელმწიფოთა და ადამიანთაშორის ურთიერთობაზე, როგორც ბატონობისა და ქვემდებარობის, ძალადობისა და მორჩილების ურთიერთობაზე. ეს უნიკალური შანსია

და მისი ხელიდან გაშვება არ გვეპატიება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №234, 1997 წლის 18 სექტემბერი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

292. საქართველოს კომპარტიის ისტორიიდან ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ იმისა, თუ რა შედეგები სდევს პოლიტიკას, როცა წამდაუწუმ ხმალს ამოიწვდი დასაშინებლად! ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 141).

293. სახალხო დიპლომატია ახალი მოვლენა არ არის, არც ფორმალური მოძრაობაა. მას უდიდესი მისია აკისრია. ეს გახლავთ დიდი პოლიტიკის დაყვანა უშუალოდ ხალხის დონემდე, თითოეული მოქალაქის დონემდე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №38, 1995 წლის 8 აპრილი, გვ. 1).

294. სახელმწიფოებს თუ სურთ დაპირისპირებაზე უარი თქვან და თანამშრომლობაზე გადავიდნენ, — ეს ჯერ იმ ადამიანებმა უნდა მოახერხონ, რომლებიც მათ წარმოადგენენ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში. დიდი საერთო და პროფესიული კულტურის, მდგომარეობის ფართოდ ხედვის, ფაქტებისა და მოვლენების მიუკერძოებლად შეფასების გარეშე ამის მიღწევა შეუძლებელია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 133-134).

295. სახელმწიფოებს მსჯავრი გამოაქვთ ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის, ღირსების, საკუთრების ხელყოფის გამო.

მეორე მხრივ, თვით სახელმწიფოები ვერ იარსებებენ კანონის, საერთაშორისო სამართლის ნორმათა დაუცველად, რადგან ამის ალტერნატივა არის ძალმომრეობა, ძლიერთა ბატონობა სუსტებზე.

მსოფლიო საზოგადოებრიობა ვერ შეურიგდება მტაცებელ სახელმწიფოთა და მეკობრულ რეჟიმთა წარმოშობას, რადგან ამას მსოფლიო მართლწესრიგის გარდუვალი დეგრადაცია, საერთაშორისო ურთიერთობათა დესტაბილიზაცია მოჰყვება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 176).

296. სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა დეიდეოლოგიზაციაზე ფიქრისას ყოველთვის მიმაჩნდა, რომ უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია მათი განთავისუფლება დეფორმირებული, ყალბად გაგებული იდეოლოგიის მოძალებისაგან, იდეოლოგიური ექსტრემიზმისა და გაქვავებული ფუნდამენტალიზმისგან. ვფიქრობდი, რომ საერთაშორისო ურთიერთობების დეიდეოლოგიზაციისათვის საჭიროა გაფანტვა იმ მითებისა, რომლებითაც გადატვირთეს ეს ურთიერთობები. ანუ საჭიროა, ვისწავლოთ ჩვენი გარემომცველი სამყაროს იმნაირად დანახვა, როგორიც არის ის, და არა იმნაირად, როგორც გვიბრძანეს მისი დანახვა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 120).

297. საჯაროობამ გამოცდა ვერ ჩააბარა კი არა, – თვითონ ვერ ჩავაბარეთ საჯაროობას გამოცდა. მორალის სფეროში "ჩერნობილი" შეეწყო და შეუთავსდა იდეების სფეროში "ჩერნობილს". (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 305).

298. სერიოზულად არასოდეს არავის უმტკიცებია, თითქოს შესაძლებელი იყოს ბირთვული იარაღის მხოლოდ თავდაცვითი მიზნით გამოყენება. თუ თავდამსხმელმა იცის, რომ ბირთვული დარტყმა დახვდება, და მაინც ესხმის თავს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მზად არის ბირთვული კონტრდარტყმისთვის. ამის შედეგად კი საქმე ან ორივეს დაღუპვით დამთავრდება, ან იმ მხარის კაპიტულაციით, რომელიც კეთილგონიერებას გამოიჩენს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 164-165).

299. სიმართლე პოლიტიკაში უზენაესი კატეგორიის დონემდე უნდა ავიყვანოთ... ("საქართველოს რესპუბლიკა", №85, 1995 წლის 18 ივლისი, გვ. 2).

300. სისულელეა იმის გაფიქრება, თითქოს მე არ მესმოდეს, რომ ჩემს მიერ გადადგმული ნაბიჯები მტრებს მომიმრავლებდა. რასაკვირველია, არიან ადამიანები, რომლებიც მე მტრად მიმიჩნევენ, მაგრამ მათი დასახელებისაგან ყოველთვის თავს ვიკავებდი, განა იმიტომ, რომ მათი სახელები არ ვიცოდი, – მათ სულ სხვა, პრინციპული მიზეზით არ ვასახელებდი: აღზრდის, ცხოვრებისეული გამოცდილების გამო და წმინდა პროფესიული თვალსაზრისითაც უპირატესობას დიალოგს ვანიჭებ მუშაობაშიც და პირად ცხოვრებაშიც. ის ჩემთვის საშუალებაც არის და მიზანიც. დიალოგი კი ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობის დროს მოითხოვს მიუდგომლობას, წინასწარაკვიატებული აზრის უქონლობას. სუბიექტურად ესა თუ ის ადამიანი რომც არ მომწონდეს, ვცდილობ, გავთავისუფლდე ცუდი განწყობილებისგან, რადგან ზუსტად ვიცი: მტრის სტერეოტიპი, პირადი მტრის სახე, დამღუპველია საქმისთვის. უბრალოდ არარაციონალურია, არაფრისმომცემია, უგუნურებაა, რომ ოპონენტებში მტრები დაინახო და შენი ამბიციურობით მტერი მოიმრავლო. დიდი პოლიტიკოსთვის ეს დაუშვებელი ფუფუნებაა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 16-17).

301. სიცოცხლისუნარიან პარტიას არ სჭირდება ძალაუფლების მონოპოლია. მან უნდა აღიაროს... რომ საჭიროა პოლიტიკური პლურალიზმი, თანამშრომლობა ყველა სხვა ჯანსაღ პოლიტიკურ გაერთიანებასთან. ("კომუნისტი", №39, 1990 წლის 9 თებერვალი, გვ. 3).

302. სოციალური უკმაყოფილების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის სერიოზული საფრთხეა... ("საქართველოს რესპუბლიკა", №258, 1993 წლის 8 დეკემბერი, გვ. 1).

303. სწორედ ოლიმპიური მოძრაობაა საყოველთაო სოლიდარობის,

მშვიდობის, სიყვარულის, სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღის ის მოძრაობა, რომელსაც დასაწყისი კი აქვს, მაგრამ არა აქვს დასასრული. ("საქართველოს რესპუბლიკა", №148-149, 1995 წლის 21 ოქტომბერი, გვ. 2).

304. სწრაფი ტემპით მიმდინარე... მასშტაბურ ცვლილებებს, ყოველთვის ახლავს საფრთხე დესტაბილიზაციისა, რომელიც არ შეიძლება სურდეს არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს, — სახელმწიფო მოღვაწე იქნება ის თუ "უბრალო მოკვდავი". (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 214).

305. სხვათა შორის, ცხოვრებამ, გამოცდილებამ მასწავლა 15-20-25 წუთში ვთქვა ის, რასაც სხვა შემთხვევაში ზოგჯერ საათები და დღეებიც კი სჭირდება. ეს სახელმწიფოებრივი საქმიანობისა და მოღვაწეობის აუცილებელი კომპონენტებია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №74, 1997 წლის 1 აპრილი, გვ. 2).

306. ტაქტიკურ მოსაზრებათა გამო წამოჭრილი უთანხმოებანი არც გამიჯვნის საბაბია და არც კონსოლიდაციის დაბრკოლება. ჩემი აზრით, მისი ერთადერთი შესაძლო პრინციპული საფუძველია დიდი იდეის, მნიშვნელოვანი მიზნის მიმდევრობა.* ("კომუნისტი", №97, 1990 წლის 24 აპრილი, გვ. 3).

307. (ტოტალიტარიზმის პირობებში — შემდგ.)... არავითარი შეზღუდვები არ არსებობს დასჯისათვის, გადასახლებისათვის, რეპრესიებისათვის. ტანკის თითო ტონა ჯავშანი უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე კაცის სიცოცხლე. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 345).

308. ტოტალიტარულ სახელმწიფო პენიტენციალურ სისტემასაც ახლავს ტოტალიტარიზმის ყველა შემზარავი ნიშანი და ერთი ადამიანი ვერ შეძლებს თვით სახელმწიფოს არსის შეუცვლელად ამ სისტემის რეფორმირებას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 68).

309. უაღრესად მნიშვნელოვანია გათვალისწინება იმისა, რომ შეუწყნარებლობის გამოვლენას მივყავართ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის, ჯგუფებსა და ცალკეულ ქვეყნებს შორის დაძაბულობის ზრდისაკენ, რაც რეგიონებსა და მთლიანად მსოფლიოში დესტაბილიზაციას იწვევს. სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ კონფლიქტებისა და ომების სათავე. ("თაობა", №7, 1996 წლის 26 ოქტომბერი, გვ. 1).

310. უგუნურებაა, საგარეო პოლიტიკას დაბრალდეს არასტაბილურობა ქვეყნის შიგნით, დაუშოშმინებელი ეროვნული კონფლიქტები. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 137).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №16, 1990 წლის 18 აპრილი, გვ. 9 (შემდგ.).

311. უკანასკნელ წლებში ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს უამრავი გასაჭირი გადახდათ თავს, ზოგი ობიექტური მიზეზებით გამოწვეული, ზოგიც — არა. ხშირად ჩვენი ქვეყნების ყოფნა-არყოფნა სრულიად უმნიშვნელო რამეზე იყო დამოკიდებული. მრავალი ჩვენგანი ჰგავდა ჩვილ ბავშვს, რომელიც წყალში ჩავარდა და მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტინქტი აიძულებდა დაეწყო ფართხალი, რათა სამშვიდობოს გამოეცურა. დავუშვით ბევრი შეცდომა, ბევრჯერ გავიტეხეთ თავი. მაგრამ გავიგეთ, თუ რას ნიშნავს მტკიცედ ვესწრაფოდეთ დასახულ მიზანს, ვიპოვეთ ნამდვილი მეგობრები და რაც ყველაზე მთავარია, ვისწავლეთ დამოუკიდებლად ცურვა. ამ წლებმა დაამტკიცეს, რომ, თურმე, დამოუკიდებლად ცხოვრება შეგვძლებია. („საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1997 წლის 20 თებერვალი, გვ. 2).

312. უკვე დიდი ხანია წესად მაქვს: რაიმე საქმეზე როცა ვამახვილებ გულისყურს, ამ საქმეს რომ დაბრკოლებები არ შეექმნას, გვერდს ვუვლი ყველაფერს, რაც მასთან არ არის დაკავშირებული. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 17).

313. ...უმაღლესი დონის ვიზიტები არსებითად ისტორიულია. („საქართველოს რესპუბლიკა", №104, 1997 წლის 8 მაისი, გვ.2).

314. უმნიშვნელოვანეს საგარეო-პოლიტიკურ საქმედ, ამოცანათა ამოცანად მიგვაჩნია ადამიანის უპრველესი უფლების — სიცოცხლის უფლების, მშვიდობის უფლების უზრუნველსაყოფად ბრძოლა. („კომუნისტი", №127, 1979 წლის 3 ივნისი, გვ. 3).

315. უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიული აზროვნება პოლიტიკური სიმწიფის, პოლიტიკური წრთობის განუყოფელი ნაწილია. („კომუნისტი", №97, 1984 წლის 26 აპრილი, გვ. 2).

316. ურთიერთობა უნდა შეგვეძლოს ყველასთან, თუნდაც გუშინდელ მტერთან და შეურიგებელ ოპოზიციასთანაც. პოლიტიკური ხელოვნების გასაღები ეს არის. („საქართველოს რესპუბლიკა", №199, 1997 წლის 17 აგვისტო, გვ. 1).

317. უსაფრთხოება დაუნაწევრებელია, ორმხრივ ურთიერთობებში ის შეიძლება მხოლოდ ორივე მხარის უსაფრთხოებას ნიშნავდეს, საერთაშორისო ურთიერთობებში — მხოლოდ საყოველთაო უსაფრთხოებას. ასეთი უსაფრთხოება ჩვენს საუკუნეში გარანტირებულია სტრატეგიული ბალანსის უსაზღვროდ მაღალი კი არა, უკიდურესად დაბალი დონით, ამასთანავე, აუცილებელია მთლიანად გამოირიცხოს ბირთვული და სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღი. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად". თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 99).

318. ფაშიზმთან ომი ბოროტებასთან ჩემი პირადი ბრძოლა გახდა.

ფაშიზმი კომუნიზმს ებრძოდა, კომუნიზმი კი ჩემი რელიგია იყო. ამ ბრძოლაში გამარჯვება კომუნიზმის გამარჯვება იყო, მაშასადამე, ეს ჩემი გამარჯვებაც იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომმა მეც ისევე გამომაწრთო, როგორც მილიონობით ჩემი თანატოლი. ის აყალიბებდა ჩემს მრწამსს და მისახავდა მიზნებს. პოლიტიკაში ძალიან ადრე, მთლად ბავშვი ჩავერთე. უფრო ზუსტად, პოლიტიკამ თავად ჩამითრია. თანატოლებმა მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარედ ამირჩიეს მეშვიდე კლასში. მე მზრდიდნენ ჩემი ახლობელი და ძვირფასი ადამიანები, ისინი ბევრ რამეს სხვადასხვაგვარად უყურებდნენ და მეც "სხვადასხვა თვალით" ვიყურებოდი, მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ აღზრდილი ვიყავი დროის სულისკვეთებით და ეს იყო მძლავრი, ყოვლისმომცველი სულისკვეთება. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 46-47).

319. ...ქვეყნებისა და ხალხების ურთიერთგაგება და თანხმობა სხვადასხვა სწრაფწარმავალ სენსაციაზე ძვირფასია. ("კომუნისტი", №227, 1986 წლის 2 ოქტომბერი, გვ. 3).

320. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა არ უნდა იქცეს ერთი შეხედვით მიმზიდველი ფსევდორომანტიული და ამგვარად, რეალობას მოწყვეტილი იდეებისა თუ თეორიული პოსტულატების განხორციელების ასპარეზად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №38, 1996 წლის 5 მარტი, გვ. 2).

321. (ქვეყნის – შემდგ.) უსაფრთხოებას უზრუნველყოფს არა იარაღის რაოდენობა და ჯარების რიცხვი, არამედ ხარისხი და ინტელექტუალური საუნჯე და კიდევ – მოწინავე ტექნიკასა და წარმოებაში მისი სწრაფი გამოყენებისა და მოხმარების უნარი. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 251).

322. ღრმად მჯერა, რომ მეორე მსოფლიო ომი უკანასკნელი დიდი ომია კაცობრიობის ისტორიაში. ეს იყო უმკაცრესი გაკვეთილი მსოფლიოს ყველა ხალხისათვის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელ პლანეტაზე დაიწყო სამშვიდობო მოძრაობა, მოძრაობა უშიშროების მსოფლიო და რეგიონალური სისტემის შექმნისათვის. უწინარესად ვგულისხმობ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნას, უშიშროების საბჭოს, რომლის უშუალო ფუნქცია გახლავთ საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფა პლანეტაზე... ("საქართველოს რესპუბლიკა", №106, 1997 წლის 10 მაისი, გვ. 1-2).

323. ყველა პოლიტიკოსი გარკვეულწილად შეზღუდულია და ნაკლებად ზრუნავს პირად ინტერესებზე, საკუთარ კეთილდღეობაზე. ("დრონი", №37, 1993 წლის 9 ივნისი, გვ. 4).

324. ყველა პოლიტიკოსის ბედია, რომ ყოველი მისი ნაბიჯი ეჭვს

იწვევს, მაგრამ მე პოლიტიკაში ყოველთვის პატიოსნების მომხრე ვარ, პატიოსნების პრინციპზე ვდგავარ. („საქართველოს რესპუბლიკა", №259, 1992 წლის 22 დეკემბერი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

325. ყველა პოლიტიკური მოღვაწე განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს მიღებულ გადაწყვეტილებებს. („საქართველოს რესპუბლიკა", №55, 1996 წლის 26 მარტი, გვ. 2).

326. ყველა ქვეყანა თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისად თავად განსაზღვრავს, თუ როგორ ააგოს სხვა სახელმწიფოებთან თავისი ურთიერთობები, მათ შორის, უშიშროების საკითხებშიც. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 275-276).

327. ... ყველაზე გაბედული და შორს გამიზნული პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელმაც ძირეულად შეცვალა ეკონომიკური ურთიერობანი და ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს, მათ შორის, ვაჭრობასა და თავისუფალ მეწარმეობას ჭეშმარიტად თვალუწვდენელი ჰორიზონტები გადაუშალა, ეს ცივი ომის დამთავრება იყო. („საქართველოს რესპუბლიკა", №97, 1997 წლის 30 აპრილი, გვ. 2).

328. ყველაზე ინტიმური, ყველაზე ფაქიზი ადამიანური გრძნობები — ქალისა და კაცის სიყვარული, ბავშვების, ოჯახის, მშობლების სიყვარული, ნათესავებთან, თანამემამულეებთან ერთად ცხოვრებისკენ, ახლობლების თანადგომისკენ სწრაფვა — იდეოლოგიურ დოგმათა ფოლადისებურ უსულგულობაზე ძლიერია. და თუ პოლიტიკა ამ ფაქტორებს არ ითვალისწინებს და პასუხს არ სცემს, — ის განწირულია. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 201).

329. ყველაზე მოკლე გზა ყოველთვის როდია ყველაზე უკეთესი პოლიტიკაში.

პოლიტიკაში ინტეგრირებულია ათასობით პარამეტრი და კომპონენტი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ობიექტური და სუბიექტური მიზეზების დიალექტიკური ერთიანობით.

ამ მიზეზების ბუნების მეცნიერულად უტყუარი შეცნობის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი პოლიტიკა. („კომუნისტი", №178, 1973 წლის 31 ივლისი, გვ. 2).

330. ყველაზე უტყუარი პოლიტიკა... პრინციპული პოლიტიკაა. („კომუნისტი", №23, 1979 წლის 27 იანვარი, გვ. 4).

331. ...ყველამ უნდა გავითავისოთ: მშვიდობიანი ცხოვრება და კეთილდღეობის მიღწევა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ და მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით, ყველა ხალხისათვის აბსოლუტური უსაფრთხოების გარანტიების შექმნით. („საქართველოს რესპუბლიკა", №1, 1997 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

332. ყველანი, ვინც "ცივი ომის" სუსხიდან მოვედით — ჯაშუშები, დიპლომატები, გენერლები, პოლიტიკოსები — მოვალენი ვართ ეროზიისაგან დავიცვათ ღირებულებათა ტრადიციული სისტემები, მათ შორის, თვითგამორკვევის იდეაც. უფრო მეტად კი, პირველ რიგში, ჩვენ პოლიტიკოსებს, გვჭირდება იდეის თვითგამორკვევა.

ჩვენ გვჭირდება მისი თავისუფლება და გუშინდელ დღეზე წარმოდგენებისაგან განთავისუფლება. ("კავკასიონი", №34, 1995 წლის 21 თებერვალი, გვ. 2).

333. "ყველაფერი ნამდვილი გონივრულია; ყველაფერი გონივრული ნამდვილია", — წერდა ჰეგელი. პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, ვთქვათ: "ყველაფერი, რაც გონივრული არ არის, განწირულია"? განა დრო არ არის, შევიგნოთ, რომ უამრავი რამ არის ამქვეყნად არაგონივრული და სასიკვდილოდ განწირული, მაგრამ მაინც არსებობს და სიცოცხლეს გვიშხამავს? და განა დრო არ დადგა, რომ ზოგადსაკაცობრიო მორალთან შეჯერებული ახალი გონივრული იდეები დავუპირისპიროთ მათ? (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 123).

334. ყველაფერი, რაც შეეძლო შეექმნა ადამიანის ინტელექტს ჩვენს საუკუნეში, მან თითქმის უკვე შექმნა, ყველაფერი, რაც შეეძლო დაენგრია, მან თითქმის უკვე დაანგრია, დარჩა ერთი და ყველაზე უმნელესი — მთლიანად გამორიცხოს ადამიანთა ცხოვრებიდან ნგრევა და მხოლოდ შენებისაკენ წარმართოს ადამიანის ბუნებრივი და ფიზიკური შესაძლებლობანი, წარმართოს სიყვარულისაკენ და არა სიძულვილისაკენ. ეს ამ საუკუნის დარჩენილი წლებისა და მთელი მესამე ათასწლეულის უდიდესი ამოცანაა, გლობალური და გარკვეული აზრით, სამყაროს მასშტაბის ამოცანაა. ("საქართველოს რესპულიკა", №97-98, 1994 წლის 27 მაისი, გვ. 2).

335. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. შეიძლება კარგად მომიგონონ, ან იქნება გარკვეული დრო, როდესაც ცუდად მომიგონებენ. დამივიწყებენ, ისევ გამიხსენებენ. როგორც ყველა პოლიტიკოსს, ალბათ, ასეა, კაცი როდესაც წავა, მერე... ("საქართველოს რესპუბლიკა", №152, 1997 წლის 3 ივლისი, გვ. 3).

336. ყოველ ეპოქას წინ სწევს ახალი აზროვნება, რომელიც უცნობ გარემოში შეიჭრა. მხოლოდ ასეთი მასშტაბის აზროვნებას ძალუძს შექმნას უშიშროების გარანტიები მთელ ევროპულ სივრცეში.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №56, 1997 წლის 11 მარტი, გვ. 1).

337. ყოველი ადამიანის დაღუპვა უმძიმესი დანაკლისია. ორჯერ მეტი უბედურებაა ქვეყნისათვის პოლიტიკოსის მკვლელობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №206, 1994 წლის 6 დეკემბერი, გვ. 1).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №9, 1997 წლის 2-9 მარტი, გვ. 7 (შემდგ.).

338. შესაძლოა, არც ისე ცდებიან ჩვენი კრიტიკოსები, როცა ამტკიცებენ, რომ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა რიტორიკა ყოველთვის არ შეესაბამება ეროვნულ ინტერესთა რეალურ დაცვას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 261).

339. შეუძლებელია რუსეთის სტაბილურობა მისი რეგიონებისა და მეზობელი სახელმწიფოების სტაბილურობის გარეშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1994 წლის 17 მარტი, გვ. 1).

340. შინაც და საზღვარგარეთაც რამდენჯერ უკითხავთ: მაინც რა არისო ეს ახალი პოლიტიკური აზროვნება? მე ვუპასუხებდი კითხვითვე: შეუძლია კი ადამიანს ძველებურად აზროვნება და, მაშასადამე, ძველებურად მოქმედებაც, ისეთ პირობებში, რომლებიც აბსოლუტურად გამორიცხავენ ამის შესაძლებლობას?

ირკვევა, რომ შეუძლია. რა პარადოქსიც არ უნდა იყოს, შეუძლია ახალ პირობებშიც იაზროვნოს და იმოქმედოს ძველებურად, თუკი ეს ახლებური პირობები მას ემტერება; თუ ეს ახალი პირობები მას უქადის, რომ ძალაუფლებას, პრივილეგიებს, ძალმოსილებასა და გავლენას, მატერიალური დოვლათის მართვისა და განაწილების სისტემაში ხელმძღვანელ მდგომარეობას დაკარგავს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 15).

341. ჩემთვის აქამდე გამოცანაა, თუ რა განსხვავებაა იდეოლოგიურ ბრძოლასა და ფსიქოლოგიურ ომს შორის. პირველს ჩვენ ვაწარმოებდით და ამ ბრძოლაში მუდამ მართალნი ვიყავით. მეორეს დასავლეთი აწარმოებდა და ჩვენ მას გადაჭრით ვგმობდით.

სადაც სამართალია, უნდა ითქვას, რომ აშშ-შიც და დასავლეთშიც მოქმედებდნენ და ახლაც მოქმედებენ ძალები, რომლებისთვისაც ასევე არ არსებობს თამაშის პატიოსანი წესები. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 155).

342. ...ჩემთვის კარგად არის ცნობილი, რომ ხანდახან დიპლომატები იმას ლაპარაკობენ, რაც დირექტივაში უწერიათ. მეც მაქვს ამის გამოცდილება. ხშირად ის მითქვამს, რაც არათუ ჩემს განწყობას, ჩემს რწმენასაც კი ეწინააღმდეგებოდა. ასეთი იყო წესი ძველად... ("საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1993 წლის 22 იანვარი, გვ. 1-2).

343. ჩემთვის უცხოა პატივმოყვარეობა პოლიტიკოსებისა, თავი რომ მოაქვთ ხოლმე მოვლენათა განვითარების სწორი განჭვრეტით. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 329).

344. (ჩემთვის — შემდგ.). ყველაზე დიდი გამარჯვება ის იყო, რომ ჩემი მონაწილეობით დამთავრდა "ცივი ომი". "ცივი ომის" დამთავრება

იყო ამ საუკუნის ყველაზე დიდი რევოლუციის შედეგი. "ცივი ომის" დამთავრებას მოჰყვა იმპერიის დაშლა. ("კავკასიონი", №11, 1994 წლის 16 მარტი, გვ. 5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

345. ჩემთვის ცნობილია ბევრი ისეთი რამ, რისი გაცხადებაც აკრძალულ ილეთად ითვლება. ("კავკასიონი", №203, 1995 წლის 17 ნოემბერი, გვ. 2).

346. ჩემი აზრით, პოლიტიკოსებს, რომლებიც ივიწყებენ, რომ ადამიანები ჯერ ადამიანები არიან და მერე გარკვეულ შეხედულებათა მიმდევრები, პოლიტიკოსობის უფლება არა აქვთ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 127).

347. ჩემი აზრით, ყველა ქვეყანას გააჩნია უფლება, სურვილის შემთხვევაში, გაერთიანდეს ნატოს რიგებში. ეს მათი პოზიციაა და ამის ახსნა შეიძლება იმ მწარე გაკვეთილებით, რომლებიც მათ ისტორიამ ჩაუტარა.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №109, 1997 წლის 14 მაისი, გვ. 2).

348. ჩემი თაობისთვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ჩვენი ახალგაზრდობაა. ბევრი ჩვენგანი უშუალოდ მონაწილეობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაფუძნებაში, მის გრანდიოზულ მშენებლობაში; მის საწარმოებს ვეხმარებოდით საბჭოთა დანადგარებით აღჭურვაში, ვმუშაობდით მის სახელმწიფო მეურნეობებში, ვუზიარებდით გამოცდილებას. ბევრნი სწავლობდნენ ჩინელებთან ერთად და სამუდამოდ ჩარჩათ მეხსიერებაში თავიანთი მეგობრები. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 264).

349. ჩემი პრიორიტეტების ნუსხაში "მესამე სამყარო", ჩემთვის მესამე არ ყოფილა... კაცობრიობის გადარჩენა შეუძლებელია "მესამე სამყაროს" პრობლემათა გვერდის ავლით. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 280-281).

350. ჩემი ქვეყანა პატარაა, იგი წვეთს ჰგავს, მაგრამ მასში ოკეანე ისახება. ყოველივე განცდილის მიუხედავად, საქართველო კვლავაც ერთგულობს კონფლიქტების მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების პრინციპს. ოთხი წლის მანძილზე მან განიცადა ტრანსფორმაცია დანგრეული სახელმწიფოდან სამოქალაქო საზოგადოებისაკენ, ჩაუყარა საფუძვლები დემოკრატიას, საბაზრო ეკონომიკასა და სტაბილურობას. დღეს ჩვენ გვაქვს მყარი ეროვნული ვალუტა, ჩვენში მინიმალურია ინფლაციის დონე, გამოცოცხლდა ეკონომიკური პოტენციალი, გაიზარდა მთლიანი საშინაო პროდუქტი, რომელიც წელიწადში 14 პროცენტს შეადგენს. ყოველივე ამას მივაღწიეთ ჩვენი მეგობრების — მსოფლიო გაერთიანების, ევროპული სტრუქტურების მხარდაჭერით.

ბევრ რამეს ჩვენ უფრო კარგად ვხედავთ. სახელდობრ, ვერც ერთი

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "კორიერე დელა სერა", 1997 წლის 10 მაისი. (შემდგ.).

ფარი, რომელ საზღვართანაც უნდა დავდგათ, სიმძლავრითა და ეფექტიანობით ვერ შეედრება სახელმწიფოთა ეკონომიკურ რეაბილიტაციასა და აღორძინებას მთელ პოსტტოტალიტარულ სივრცეში. არაფერი არ არის ევროპულ სტრუქტურაში ასეთ ინტეგრაციაზე უკეთესი, არა არის რა ამ სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიაზე უკეთესი, ვიდრე ევროკავშირის გაფართოებაა ევროპის აღმოსავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით. ამას მიესალმებოდა უკლებლივ ყველა სახელმწიფო.

ამისათვის ევროპას აქვს მთავარი — ერთნაირი მსოფლმხედველობის სივრცე ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე, სადაც არსებობა შეწყვიტა ბიპოლარულმა სამყარომ და მკვიდრდება ღირებულებათა საერთო სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს დემოკრატიული ლიბერალიზმისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის ფილოსოფია. ეს კუთნილება მთელი თავისი გიგანტური პოტენციალით არ უნდა დავუთმოთ იმ ნოსტალგიურ მისწრაფებებს, რომ უშიშროების ერთადერთ გარანტიად აღდგეს ძალთა ბალანსის დოქტრინა.* ("საქართველოს რესპუბლიკა" №56, 1997 წლის 11 მარტი, გვ. 1).

351. ჩემი ღრმა რწმენით, პოლიტიკა ზნეობრიობის პრინციპებს უნდა დაემყაროს.** ("ლიტერატურული საქართველო", №3, 1994 წლის 14 იანვარი, გვ. 4).

352. ჩემს ცხოვრებაში იყო და არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო ისეთი ეპიზოდები, შემთხვევები, საქციელი, რომლებშიც ადვილად შეიძლება ბრალი დამდონ და არ ახსნან არც კონკრეტული ვითარება, კონკრეტული სიტუაციები, მოტივები, რომლებითაც მე ვხელმძღვანელობდი.*** ("ცხოვრება", №55, 1991 წლის 10 აგვისტო, გვ. 3).

353. ჩერნობილი იქცა საჯაროობის პირველ გამოცდად და მან ეს გამოცდა ვერ ჩააბარა. ვფიქრობდი: ყველაფერი წინ არის, ჩვენ ხომ მხოლოდ ახლა ვიწყებთ-მეთქი. მაგრამ წინ გველოდა მოვლენები ალმა-ატაში, სუმგაითში, სტეფანაკერტში, ბაქოში, თბილისში, ვილნიუსში, რიგაში. და მაინც მოქმედებდნენ ძველი მექანიზმები, რომლებიც აუბრალოებდნენ, ამახინჯებდნენ ან საერთოდ აქარწყლებდნენ სიმართლეს. მე ხომ თვითონ უშუალოდ წავაწყდი აშკარა სწრაფვას, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობისგან დაემალათ თბილისის აპრილის ეგზეკუციის მნიშვნელობის დეტალები, და ამიტომ შემიძლია ვირწმუნო გორბაჩოვის ნათქვამი, რომ ვილნიუსის მოვლენები მან მხოლოდ ტრაგედიის შემდეგ შეიტყო. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992. გვ. 293).

354. ჩერნობილის დღე — ასე ვუწოდე 1986 წლის 26 აპრილს, — იქცა ათვლის ახალ წერტილად მსოფლიოს ისტორიაში, საგარეო

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №9, 1997 წლის 2-9 მარტი, გვ. 7 (შემდგ.)

** თარგმნილია გაზეთიდან: "ნეზავისიმაია გაზეტა", №216, 1993 წლის 11 ნოემბერი, გვ. 5 (შემდგ.)

*** თარგმნილია გაზეთიდან: "კომსომოლსკაია პრავდა", №176-177, 1991 წლის 3 აგვისტო. გვ. 3 (შემდგ.)

პოლიტიკის ახალ კრიტერიუმად. ვერც კი მოვასწარით წარმოგვეთქვა ეს სიტყვათშეხამება, გაგვეაზრებინა ამ სიტყვებით გამოხატული კატასტროფის ნამდვილი მასშტაბები, რომ მან თვალის დახამხამებაში გვაუწყა: ამიერიდან და სამარადჟამოდ ტექნოსფეროს ამბოხით წარმოშობილი არც ერთი ეკოლოგიური უბედურება არ იფარგლება იმ ეროვნული ტერიტორიის საზღვრებით, სადაც ის მოხდა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ამა თუ იმ ბუნებისეულ კატასტროფათა მიჯნები და არეალი მეტისმეტად პირობითია. მაგრამ არავითარ პირობითობას არ ეგუება ის, რომ ყოველგვარ ეროვნულ საზღვრებს გაცილებული ინტერნაციონალური წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს თერმობირთვულ ომზე არანაკლებ საშინელ საფრთხეს, პლანეტის ეკოლოგიურ რღვევას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება: 1992, გვ. 289-290).

355. ჩერნობილის დღემ ზოგადსაკაცობრიო ღირებულება – სიცოცხლე ელვის უსწრაფესად დააყენა "კლასობრივ შეგნებაზე" მაღლა. შავი მაგიის შამანთა იდეოლოგიური ნიღბებისგან გამოათავისუფლა და ნათლად გამოკვეთა მთავარი მიზანი ყოველგვარი პოლიტიკისა, – მათ შორის ბუნებისდამცავი პოლიტიკისაც – დაცვა ადამიანისა, ანუ დაცვა ერთადერთი საზომისა, რომლითაც უნდა გაიზომოს ქვეყნებისა და ხალხების ჭეშმარიტი უსაფრთხოება. მაგრამ, ამასთან ერთად, აქ უნდა მოქმედებდეს უფრო "ფართო" მასშტაბი: ადამიანი და კაცობრიობა, ვინაიდან მხოლოდ მაშინ შეიძლება კაცობრიობას მიეცეს გადარჩენის შანსი, თუ დავიცავთ ყოველ ადამიანს თავისი სამკვიდროს ბუნებრივ გარემოსთან ერთად, და პირიქით: ადამიანის გადარჩენა მაშინ შეიძლება, თუ მთელი მსოფლიო იღვაწებს ლოზუნგით: "ყველა ქვეყნის ხალხებო, შეერთდით!" (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 290-291).

356. ჩერნობილის დღემ საბოლოოდ ამიხილა თვალი და საბოლოოდ დამარწმუნა, რომ შეუძლებელია მორალისა და პოლიტიკის გათიშვა, რომ აუცილებელია ზნეობის კრიტერიუმებით პოლიტიკის გამუდმებული შემოწმება. რომ გავაქარწყლო ეჭვები და ბრალდებები, თითქოს "მარადიული ჭეშმარიტებათა" მქადაგებელ წმინდანად მინდა წარმოვჩნდე, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ზნეობრივი პოლიტიკის კრედო – ეს არის პრაგმატიკოსის კრედო, ეს არის პრაქტიკული ორიენტირი ადამიანისა, რომელიც თვით ცხოვრებამ დაარწმუნა, რომ უზნეო პოლიტიკა უპერსპექტივო პოლიტიკაა. ჩერნობილის ისტორია, რომელიც არის მომხდარი ფაქტის, ავარიის მიზეზთა და შედეგთა გაშუქებაში საჯაროობისთვის ბრძოლის ისტორია, – ამ დებულების სასარგებლოდ მოღალადე ყველაზე უტყუარი არგუმენტია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 291).

357. ჩვენ არასდროს დაგვიმალავს, რომ მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მაქსიმალური ინტეგრაცია მიგვაჩნია კავკასიაში სამართლიანი მშვიდობისა და სტაბილურობის საუკეთესო გარანტად. ამ თვალსაზრისით ჩვენ იმავე გზას მივყვებით, რომლითაც მიდიან რუსეთი, უკრაინა, სხვა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ეს ინტეგრაცია უკვე დაიწყო. ჩვენ მასზე უდიდეს იმედს ვამყარებთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1997 წლის 20 თებერვალი, გვ. 2).

358. ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია ძალმომრეობა და აგრესია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 178).

359. ჩვენ რეალობათა სამყაროში და ემოციათა სამყაროში ვარსებობთ. რეალობები ქცევის ერთ გეზს გვკარნახობენ, გრძნობები კი ამ გეზის წინააღმდეგ ამბოხდებიან. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 211).

360. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველა და ყოველგვარი მოულოდნელობისათვის, ყოველგვარი შესაძლო გართულებისათვის, საამისოდ კი უფრო ფხიზელნი, უფრო ორგანიზებულნი, უფრო შემართულნი და დისციპლინიანი უნდა ვიყოთ. მხოლოდ ასეთი უმაღლესი საყოველთაო მზადყოფნა შეგვაძლებინებს, არ დავუშვათ ომი. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 183).

361. ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ირანს, ამ დიდ სახელმწიფოს, შესანიშნავი ურთიერთობა აქვს ამიერკავკასიის ქვეყნებთან, კავკასიასთან. ("საქართველოს რესპუბლიკა", №228, 1996 წლის 13 ნოემბერი, გვ. 2).

362. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ პრინციპულად ჩამოყალიბდეს ერთა მშვიდობიანი თანაცხოვრების უნიკალური წესები, კოდექსი, ხოლო ამ წესების ყოველგვარი იგნორირება, უმცირესობათა უფლებების შელახვა თუ აგრესიული სეპარატიზმის, აგრესიული ნაციონალიზმის თავაწყვეტილობას სახელმწიფოთა რღვევისა და ქაოსისაკენ მივყევართ, უნდა დაისაჯოს და ეს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 5).

363. ჩვენთვის მთავარია რეალობა და არა ის, თუ ვინ როგორ ხედავს, როგორ, რა თვალთახედვით აფასებს ამ რეალობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №296, 1997 წლის 25 ნოემბერი, გვ, 2).

364. ჩვენი გაგებით, რეგიონალიზმი არა მსოფლიოსგან გამოცალკევების, არამედ დანარჩენ სამყაროსთან თანამშრომლობის ხელშეწყობის, გლო-

ბალური ინტეგრაციის გზაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №249, 1996 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

365. ჩვენი პოლიტიკის ქვაკუთხედია პრინციპი... კარგად ვიყოთ ყველა ჩვენს მეზობელთან. ჩვენი პოლიტიკის ფორმულაა: ვეძებოთ, ვიპოვოთ მეგობრები და ვიცხოვროთ მეგობრებთან ერთად. ("საქართველოს რესპუბლიკა", №228, 1996 წლის 13 ნოემბერი, გვ. 2).

366. ჩვენი რეგიონისკენ დღეს საყოველთაო ყურადღებაა მოპყრობილი. ამიტომ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა იმ მიზნით, რომ გამოვნახოთ და გავაღრმავოთ ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის საერთო პოზიცია რეგიონში მშვიდობის დამყარებისთვის. მართალია, ეს პროცესი გარკვეულ დროს მოითხოვს, მაგრამ მისდამი სწრაფვა მაქსიმალური უნდა იყოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №43, 1997 წლის 22 თებერვალი, გვ. 1).

367. ...ჩვენი საგარეო პოლიტიკის საყრდენი იყო ადამიანის სიცოცხლე და... ჩვენ უზნეობად მიგვაჩნია მისი დაყოფა "ჩემად" და "სხვისად". (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 127).

368. ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ მეგობრები შევიძინოთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №116, 1995 წლის 6 სექტემბერი, გვ. 2).

369. ჩვენი საერთო ისტორიის კურსის გარდა უნდა იყოს ჩვენი ხალხების აწმყოსა და მომავლის წინაშე ჩვენი საერთო პასუხისმგებლობის კურსი. ყურადღება გავამახვილოთ მასზე და მხოლოდ მასზე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №40, 1994 წლის 15 მარტი, გვ. 1).

370. ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპი შემდეგია: რაც უფრო აღიარებული და ძლიერია მეზობელი, მით უფრო საიმედოა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაც. ეს დებულება არც სხვისთვის უნდა იყოს მიუღებელი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №56, 1997 წლის 11 მარტი, გვ. 2).

371. ჩვენს დროში ყოველივე დაფარული ძალიან მალე ცხადდება და ხდება აშკარა პოლიტიკის არსი.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №141, 1997 წლის 20 ივნისი, გვ. 2).

372. ჩვენს ქვეყანაში (იგულისხმება ყოფილი საბჭოთა კავშირი — შემდგ.) უყვართ თქმა, რომ საბჭოთა ხალხმა თავისი არჩევანი 1917 წლის ოქტომბერში გააკეთა. მართალია, ჩვენმა პაპებმა რევოლუცია მოახდინეს, მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ მათ ის აირჩიეს, რაც ამას მოჰყვა, თუნდაც დამახინჯებათა, დეფორმაციათა, ბოროტმოქმედებათა, აშკარად დანაშაულებრივ აქტთა სახით? სავალდებულოა თუ არა მათი

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №111, 1997 წლის 18 ივნისი, გვ. 5 (შემდგ.).

ან ჩვენი არჩევანი ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის?

ქვეყნის საზღვრებს ვკეტავდით, რომ მოქალაქეებს გარეთ ვერ გაეღწიათ; უცხოეთში მისავლინებლად ადამიანებს ისე ვარჩევდით, როგორც კოსმონავტებს მთვარეზე გასაფრენად; ადამიანებს არჩევანი აღარ დავუტოვეთ. კანონიერად ითვლებოდა სოციალისტური არჩევანი. თუ გვწამდა, რომ ჩვენი იდეოლოგია ჭეშმარიტია, რომ ის ყველაზე მოწინავეა, მაშინ რატომღა გვეშინოდა სხვა მრწამსის წარმომადგენლებთან კონტაქტისა? რატომ ვკრძალავდით წიგნებს, რატომ ვახშობდით რადიოგადაცემებს, რატომ ვსჯიდით ადამიანებს იმისთვის, რომ ისინი უყურებდნენ სხვა ფილმებს, ისმენდნენ სხვა მუსიკას, ცეკვავდნენ სხვა ცეკვებს? (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 119-120).

373. ჩვენს ძნელ, დაძაბულ, პოლიტიკური და სოციალური ძვრებით აღსავსე დროში, ჩვენ მაინც უნდა ვისწავლოთ ერთმანეთისათვის ხელის გაწვდენა. ეს ერთადერთი საღი პოლიტიკაა, რომელსაც არა აქვს სხვა გონივრული ალტერნატივა. თუ გინდა მშვიდად იცხოვრო, ამბობს ხალხური სიბრძნე, ჯანმრთელობა უსურვე მეზობელს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №20, 1993 წლის 2 თებერვალი, გვ. 1).

374. ჩრდილოატლანტიკური ბლოკი მომავალში იქცევა ევროპის თანამეგობრობის ქვეყნების უშიშროების ერთ-ერთ გარანტად. ("ეპოქა", №9-10, 1992 წლის ივნისი, გვ. 1).

375. ...ცეცხლს ეთამაშებიან ის პოლიტიკოსები, რომლებსაც ტერიტორიების გადანაწილების და საზღვრების გადაკეთების ზრახვები ამოძრავებთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №60, 1992 წლის 14 აპრილი, გვ. 1).

376. ... "ცივი ომი" იყო არა უბრალოდ ბირთვული დაპირისპირება და გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა დედამიწის ნებისმიერ კუთხეში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ორი ზესახელმწიფოს მიერ მსოფლიოსა და მისი მამოძრავებელი ფასეულობების სრულიად საპირისპიროდ განსხვავებული აღქმა.

ამიტომაც, მე ვიტყოდი, რომ მეოცე საუკუნის ეს ყველაზე ხანგრძლივი ომი დასრულდა მაშინ, როცა ამ ორი მთავარი მოთამაშიდან ერთ-ერთმა უკუაგდო მსოფლმხედველობრივი დოგმები. ვფიქრობ, ყველაზე მკაფიოდ ეს გაცხადდა სპარსეთის ყურის ომის წინ. სწორედ მაშინ პირველად გადაიდგა ამგვარი ისტორიული ცვლილებებით ნაკარნახევი პრაქტიკული ნაბიჯი. მინდა კიდევ ერთხელ საჯაროდ დავეთანხმო ჩემს მეგობარს ჯეიმს ბეიკერს, რომელიც სწორედ ამერიკის სახელმწიფო მდივნისა და საბჭოთა საგარეო მინისტრს შორის მოსკოვის აეროპორტში გაკეთებულ განცხადებას მიიჩნევს შემობრუნების წერტილად. მაშინ პირველად

ჩამოყალიბდა მსოფლმხედველობრივად გაერთიანებული ერების ერთობა საყოველთაოდ მიღებული თამაშის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ("საქართველოს რესპუბლიკა", №167, 1997 წლის 19 ივლისი, გვ. 3).

377. "ცივი ომის" დამთავრებამ პირველად მსოფლიო ისტორიაში შექმნა ისეთი პირობები, როცა უზარმაზარ არეალში ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე უკვე ყალიბდება ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებათა პრიმატზე დამყარებული ერთიანი მსოფლმხედველობითი სივრცე. ეს ის ღირებულებებია, რომელთა წარმოშობა ევროპულ განმანათლებლობასთან არის დაკავშირებული. ამ სივრცეში მცხოვრებთ ეძლევათ უნიკალური შანსი, პრაქტიკულად განახორციელონ თავისუფლებისა და დემოკრატიის ზოგადსაკაცობრიო იდეალები... ამგვარ პირობებში აუცილებელია განსაკუთრებული ძალისხმევა იმისათვის, რომ ერების თვითმყოფადობა, მათი კულტურული მემკვიდრეობა და სულიერება არ შთანთქას მოჭარბებულმა პრაგმატიზმმა. ჩვენ, კავკასიის ხალხებმა, ერთად უნდა მოვიფიქროთ, თუ რა საშუალებებით შევუთავსოთ ტრადიციული კულტურის ელემენტები ახალ, უფრო რაციონალურ რეალობას და შემოვუნახოთ მომავალ თაობებს ღირსებითა და რაინდული სულით აღსავსე ზოგად-კავკასიური კულტურა. ვფიქრობ, სწორი იქნება, თუკი ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურული შენარჩუნების საკითხს პლანეტარულ კონტექსტში სწორედ კავკასიის ხალხები დააყენებენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №43, 1997 წლის 22 თებერვალი, გვ. 2).

378. ძალაუფლების მონოპოლია არის ინფორმაციის, მისი შექმნისა და გავრცელების საშუალებათა და წესთა მონოპოლია. ძალაუფლების მონოპოლიაზე უარის თქმა, თავის მხრივ, იწვევს პლურალიზმის — მათ შორის, აზრთა, შეფასებათა, იდეათა ინფორმაციული პლურალიზმის დამკვიდრებას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 293).

379. ...ძალის გამოყენება ისეთ ფაქიზ სფეროში, როგორიც არის ეროვნებათაშორისი ურთიერთობა, ვერაფერს წყვეტს, და შეიძლება მხოლოდ უფრო ღრმად ჩამალოს სენი.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №59, 1992 წლის 11 აპრილი, გვ. 2).

380. ძველთაგანვე დამკვიდრდა აზრი, რომ პოლიტიკაში არ არსებობს პირადი ურთიერთობანი, არსებობს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფო ინტერესები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №60, 1992 წლის 14 აპრილი, გვ. 1).

381. ძველი დებულება იმის შესახებ, რომ მასები ქმნიან პოლიტიკას, ისტორიამ გააბათილა. პოლიტიკას ქმნიან ადამიანები, პიროვნებები, ხალხი კი ან მიიღებს და იხელმძღვანელებს მათ მიერ შემოთავაზებული

* თარგმნილია გაზეთიდან: "იზვესტია", №82, 1992 წლის 7 აპრილი, გვ. 2 (შემდგ.).

პრინციპებით, ან — არა. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს ამ პიროვნებათა ფასსა და ავტორიტეტს ხალხის თვალში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №45, 1998 წლის 24 თებერვალი, გვ. 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

382. ...ძველი მენტალიტეტით ახალი ურთიერთობების მშენებლობა სიძნელეებსა და ტკივილებთან არის დაკავშირებული. პოლიტიკოსთა ვალია ამ სიძნელეთა გადალახვა და ურთიერთობათა საფუძვლების ფორმირება თანამედროვეობის უახლეს მოთხოვნათა გათვალისწინებით. ("საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1997 წლის 20 თებერვალი, გვ. 2).

383. ძმათამკვლელ ავღანეთის ომში ჩვენი ჩაბმა უამრავ ქვეყანაში აღიქმებოდა, როგორც რეგიონალური კონფლიქტის გამოყენება გავლენის სფეროს გასაფართოებლად. ავღანეთში ჩვენი ჯარების ყოფნა არა მხოლოდ ამუხრუჭებდა ბევრ ქვეყანასთან ჩვენს ურთიერთობას, არამედ საეჭვოდ ხდიდა საერთაშორისო საქმეების ახლებურად წარმართვისკენ ჩვენს გულწრფელ სწრაფვას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 127).

384. ძნელი სათქმელია, როგორ ყალიბდება სახელმწიფო მოღვაწის პოლიტიკური სახე. მარტივად რომ ვთქვათ: სიტყვიდან და საქმიდან, მათი ერთიანობიდან, კომპეტენტურობიდან და ერუდიციიდან, ზოგადი და სპეციალური კულტურიდან. მაგრამ ცხოვრებაში ხშირად ასეც ხდება: კაცი ქანცის გაწყვეტამდე მუშაობს, საქმის ერთგულია, კიდეც იცის ეს საქმე, მაგრამ ხალხის მხარდაჭერა აკლია. ალბათ, ადამიანები უნდა გრძნობდნენ, რომ საქმის უკან იგი მათაც ხედავს.* ("კომუნისტი", №180, 1989 წლის 5 აგვისტო, გვ. 3).

385. ... წარსულის თუნდაც მწარე გამოცდილების ახლებურად გააზრება მომავალი პოლიტიკური თანაცხოვრების საიმედო საწინდარია... ("საქართველოს რესპუბლიკა", №102, 1997 წლის 6 მაისი, გვ. 2).

386. ...წიგნზე (იგულისხმება "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად" — შემდგ.) შრომამ გუშინდელი დღე მჭიდროდ დაუკავშირა დღევანდელს, რითაც კიდევ უფრო დამარწმუნა ჩვენი საგარეო პოლიტიკის, მისი ფუნდამენტური პრინციპების სისწორეში. შევიგრძენი მოძრაობა, მისი მონოლითურობა, ხაზების უწყვეტობა და, ამასთანავე, ბევრი რამ ახლებურად გავიაზრე. თითქოს თავიდან გამოვიარე მთელი გზა... (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 13).

387. ჭეშმარიტება, მართალი ინფორმაცია, რომელიც დანაწილებული და გამოზომილი არ იქნება კლასობრივი, კასტური, კლანური, ეროვნული ნიშნებით, საკვანძო საკითხია პოლიტიკის ზნეობრიობისა და უზნეობის

* თარგმნილია გაზეთიდან: "პრავიტელსტვენი ვესტნიკ", №14-15, 1989 წლის ივლისი, გვ. 16 (შემდგ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასარკვევად. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 291-292).

388. ...ჭეშმარიტებაა, რომ სწრაფად და გულდაჯერებით ვერ ივლით მიზნისკენ, თუ არ მიხედავთ იმას, ვინც აუცილებლად შეეცდება ხელი შეგიშალოთ. ამ გარემოებას თუ არ გაითვალისწინებთ, შეიძლება ყველაფერი წააგოთ. მე ვგულისხმობ იმ უმთავრეს, გადამწყვეტ, ყველაზე უფრო ნაწრთობ და, ამასთან, ყველაზე უფრო მყიფე რგოლს, რომელსაც "ადამიანი" ჰქვია. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არის ის: ლიგაჩოვი თუ შევარდნაძე, მთავარია, რომელ ტენდენციას განასახიერებს ის და რამდენად ძლიერი და მყარია ეს ტენდენცია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 26).

389. ...ჭეშმარიტი ძლიერება ბირთვულ იარაღზე ბევრად მეტი რამ არის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 149).

390. ხანდახან კონფრონტაცია, ალბათ, აუცილებელია მაშინ, როცა პოზიციები შეუთავსებელია, და სიმართლე გითხრათ, ასეთ აუცილებლობას არც მე გავურბივარ... სახელმწიფოს მეთაურმა უნდა დაიცვას თავისი პოზიცია, და თუ საჭიროა კონფრონტაციაზე წასვლა, უნდა წავიდეს კიდეც. ("საქართველოს რესპუბლიკა", №82, 1994 წლის 17 აპრილი, გვ. 1).

391. ხელმძღვანელობის მეთაურულ-მბრძანებლური სტილი იგუებს მხოლოდ იერარქიის მონოლოგს. ტოტალიტარიზმი მოითხოვს აბსოლუტში აყვანილი იდეების ღაღადებას და განსხვავებული შეხედულებების უმოწყალოდ შემუსვრას. უფრო იოლია, ოპონენტს თავი გაუტეხო, ვიდრე დაამარცხო მის თავში დაბადებული იდეა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 17).

392. ...ხიშტი არ არის საუკეთესო საყრდენი, რომელზედაც შეიძლება აშენდეს ხალხთა ურთიერთობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №52-53, 1996 წლის 21-22 მარტი, გვ. 1).

393. ჯერ კიდევ როდიდან დამკვიდრებული სტერეოტიპი — დიპლომატიაში მიზნის მისაღწევად დასაშვებია ნებისმიერი საშუალებები, მათ შორის სიცრუეცა და სიყალბეც, — მიუღებელი იყო ჩემთვის, მაცბუნებდა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 115).

394. 9 მაისი დღესაც საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენად რჩება... მსოფლიოში სასიკეთო ძვრები სწორედ ფაშიზმის დამარცხებიდან იწყება, ამიტომ თითოეული ჩვენგანის, მომავალი თაობის ვალია, არ დაგვავიწყდეს ამ გამარჯვების მნიშვნელობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №105, 1997 წლის 9 მაისი, გვ. 1).

395. 1945 წლის ... გამარჯვება იყო, არის და მარად იქნება წარუშლელი ჩვენს ხსოვნაში, ქვეყნის, ევროპის, კაცობრიობის, და, თუ გნებავთ, — ჩვენი ამჟამინდელი ცხოვრების ისტორიაში. (ე.შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად",თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 240).

396. 1985 წლის ივლისის იმ, ახლა უკვე შორეულ დღეს, როცა ჰელსინკში პირველად შევხვდი ჩემს უცხოელ კოლეგებს, ვოცნებობდი, რომ ყოველ მათგანს მიეღო ჩემს მიერ არჩეული კრიტერიუმები, მინდოდა, ერთმანეთთან გვესაუბრა როგორც ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საერთო საზრუნავი: ჩვენი ოჯახების სიმშვიდე, ჩვენი შვილების, ჩვენი შვილიშვილების მომავალი, თანამემამულეთა კეთილდღეობა, ვოცნებობდი, რომ ჩვენ უნდობლობისა და შიშის ზღუდეებით არ ვყოფილიყავით ერთმანეთისგან გამიჯნული... ჩემს ნატვრას ახდენა ეწერა. თითქმის ყველა ჩემს კოლეგასთან დავამყარე ისეთი პირადი კონტაქტები, რომლებმაც დიდად შეუწყო ხელი ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესებას თუ არა, უკეთეს ურთიერთგაგებას მაინც. ამის გამო თითოეულ მათგანს ვემადლიერები. ძალიან მინდა ყოველ მათგანზე ვილაპარაკო. მაგრამ როგორ გავართვა ამას თავი, როცა ყოველი მათგანი იმსახურებს არა მარტო გულთბილ სიტყვებს, არამედ გულთბილ საუბარსაც იმ პრობლემებზე, რომლებსაც ვაგვარებდით რთული, მაგრამ პატიოსანი თანამშრომლობის გზით? (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 129-130).

397. (1991 წლის 19-21 აგვისტოს პუტჩი მოსკოვში - შემდგ.) ზოგისთვის, — მინდა ვიწამო, რომ ასეთები ცოტანი არიან, — ეს იყო შერცხვენის, თავისმოჭრის დღეები; სხვათათვის, — უმრავლესობისათვის, — დიდებისა და უსაზღვრო ბედნიერებისა, რაც ადამიანთა ერთიანობით მიიღწევა. გაიმარჯვა უიარაღო, მაგრამ თავისი სიმართლის რწმენით შეიარაღებულმა ხალხმა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 355).

398. Быть прорицаткелем - неблагодарное дело. ("Неделя" №52, 23-31 декабря 1991 года, стр.13).

399. ... Взаимное доверие ... главнейший фактор формирования полноценных отношений между государствами. ("Свободная Грузия" №174, 26 декабря 1996 года, стр.1).

400. Естественно, каждое государство имеет право выступать в защиту тех или иных родственных этнических групп, но все это надо делать грамотно и деликатно. Не нужны громкие и грозные заявления - они безрезультатны, не считая, конечно, раздражения и обострения обстановки. После них на арену, как правило, выходят радикалы и экстремисты, которые получают определенную поддержку в народе, небезосновательно убеждая его в том, что с нами обходятся как с

второстепенным государством. (“Нсзависимая Газста“ №152, 11 августа 1992 года, стр.3).

401. ... какая-то цель, какая-то идеология всегда присуствует в политике. (“იბერია-სპექტრი”, №54, 1992 წლის 27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი, გვ. 5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

402. Мне известно, как форомировалось общественное мнение обо мне. В той критике, с которой я знаком, особенно со стороны ученных, общественной деятелей, многое справедливо. Но было и огульное охаивание всего того полезного, что было сделано мной и моими товарищами. Была и прямая клевета, вызывающая отвращение. Я понимаю, что такие кампании оставляют определенный след в сознании людей, и есть граждане, и их не мало, которые считали и считают, что обвинения, которые были выдвинуты в мой адрес президентом (იგულისხმება ზ. გამსახურდია – შემდგ.) и его окружением, обоснованы. Но я их не виню: когда говорит лицо такого ранга, как президент республики, законно избранный... Их можно понять. Но я думаю, что время покажет, кто прав и кто не прав, где я ошибался, а где другие... ошибались. (“Нсзависимая Газста“ №4, 9 января 1992 года, стр.1).

403. ... не может быть независимой, свободной абсолютно изолированная от внешнего мира страна. (“Новос врсмя“ №3, января 1992 года, стр.9).

404. Недопустимо обсолютизировать одни принципы в ущерб другим. Преступно одним добиваться самоопределения, будто не замечая, что бок о бок сними на общей территории веками живут народы, которые невозможо физически удалить оттуда.

Любое стремление, любая претензия, нормы и категория должны поверяться человеческими измерениями политики с его приоритетом равенства прав каждого, независимо от преналежности к той или иной нации, этнической, языковой или конфессиональной группе. В свете такого подхода требуют защиты прав не только национальных меншинств, но и граждан, представляющих большинство.

Иначе можно столкнуться с модернизированной формой апартеида и этнодиктатурой. (“Нсзависимая Газста“ №192, 6 октября 1992 года, стр.5).

405. Нестабильная Россия, приход к власти реакционных сил - это начало трагедии многих других народов, многих государств. Меня это очень беспокоит, пугает. И об этом должны задуматься Европа, весь мир. (“Вечсрний Тбилиси “ №28, 13 марта 1993 года, стр.2).

406. Никакой прогноз не изменит погоды. Однако в политике, как, впрочем, и в метеорологии, своевременное штормовое предупреждение способно помочь скорректировать курс и в итоге избежать крушение. (“Нсделя “ №52, 23-31 дскабря 1991 года, стр.13).

407. Развал Советского Союза был предопределен объективной

реальностью. Привлекательная идея коммунизма, которое в свое время зажгла многих людей и поставила их на свою службу, оказалось утопией. Развал Советского Союза ярче доказал, сколько отрицательного сохраняла и питала эта, по моему глубокому убеждению, последняя империя в истории человечества. ("Вечерний Тбилиси " №9, 26 январяя 1993 года, стр.1).

408. Сейчас другие времена. Не получается на одних направлениях - пробует другие. Восток изменился. Турция уже не та страна, которая уничтожала, громила. Даже Иран, который в свое время истребил почти половину населения восточной Грузии, а половину переселил, сейчас произносит самые дружелюбные слова.* ("Свободная Грузия" №73, 6 июня 1997 года, стр.1).

409. Стабильная, процветающая, демократическая Россия - фактор мирового масштаба и значения. ("Независимая Газета" №192, 6 октября 1992 года, стр.5).

410. Там, где речь идет о защите прав тех или иных национальных групп, нужна филигранная политика. Только в результате тонкой деликатной работы мы сможем реально обеспечить соблюдение прав и интересов граждан любой национальности. Ни топор, ни дубинка, ни устрашающее выкатывание глаз здесь не годятся. ("Независимая Газета" №152, 11 августа 1992 года, стр.3).

411. Хочу сказать, что среди тех политиков, которых так или иначе знает мир я был одним из тех, кто провозглашал нравственность в политике. Я и сегодня не признаю другого подхода. В политике, как говорится, оправдано все, но я признаю только политику, основанную на нравственных принципах. ("იბერია-სპექტრი", №54, 1992 წლის 27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი, გვ. 3)

412. ... я говорил и повторяю: политика - искусство возможного, а не сфера осуществления чьих-либо субъективных, эгоистических, сепаратистских замыслов, в политике побеждает тот, кто правильно понимает это. ("Литературная Грузия" №1, 1993, стр.135).

413. Я думаю, что разрушение Советского Союза началось с внешней политики. Исчез враг, образ врага, и тем самым исчезла основа на которой, по существу, и строилась, вся идеология. ("Вечерний Тбилиси " №28, 13 марта 1993 года, стр.2).

414. Я убежден в том, что и небольшое государство может делать большую политику, вносить солидный вклад в обеспечение международного дела мира и безопасности. Это не фраза. ("Независимая Газета" №152, 11 августа 1992 года, стр.3).

* გადმობეჭდილია გაზეთიდან: "მოსკოვსკიე ნოვოსტი", №22, 1997 წლის 1-8 ივნისი, გვ. 9. (შემდ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# XI. პრეზიდენტების, დიდი სახელმწიფო მოღვაწეებისა და მსოფლიო რანგის პოლიტიკოსების შესახებ

## იოანე პავლე მეორის შესახებ

1. იოანე პავლე მეორე თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნეა. („საქართველოს რესპუბლიკა" №114, 1997 წლის 20 მაისი, გვ. 2).

2. იოანე პავლე II... ძალიან საღად აზროვნებს, საოცრად საღად... მის საქმიანობაში, ამ ბოლო დროს... გამოიკვეთა რელიგიათა შორის თანამშრომლობის, რელიგიათა შემწყნარებლობის, ამ ისტორიული საქმისათვის ხელშეწყობის ფუნქცია. ჩანს მან ითავა ეს დიდი საქმე... მიმაჩნია, რომ მან მართლაც უნიკალური როლი შეასრულა ადამიანის, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეთა აზროვნების გასათავისუფლებლად მარწუხებისა და ბორკილებისაგან. („საქართველოს რესპუბლიკა", №113, 1997 წლის 18 მაისი, გვ. 4).

## სულეიმან დემირელის შესახებ

1. ამჟამად საქართველოს თურქეთთან ერთ-ერთი ყველაზე უფრო სოლიდური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის იურიდიული ბაზა აქვს, რაც თავის დადებით შედეგებს იძლევა ცხოვრების ყველა სფეროში. ამ ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის სულისჩამდგმელი გახლდათ ბატონი დემირელი. ამით მან ჩვენი ქვეყნების დაახლოებას ისეთი საძირკველი ჩაუყარა, რომელიც ჩვენს ხალხებს შორის მომავალი მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ურყევ საფუძვლად იქცა.

... საზოგადოდ, ვფიქრობ, როგორც საქართველოს, ასე რეგიონის სხვა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ბედმა გაუღიმა, რომ სახელმწიფოებრივი მშენებლობის ამ ურთულეს ეტაპზე, ჩვენი დიდი მეზობელი ქვეყნის სათავეში დგას ისეთი გამოცდილი და მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსი, როგორიც ბატონი სულეიმან დემირელია, რომელსაც მართვის საკუთარი, განუმეორებელი ხელწერა აქვს და რომელიც არა მხოლოდ თურქეთის, არამედ, ჩვენი რეგიონის და მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. („საქართველოს რესპუბლიკა", №163, 1997 წლის 15 ივლისი, გვ. 4).

2. საქართველოში კარგად იციან, თუ რა გადამწყვეტი როლი შეასრულა სულეიმან დემირელმა თურქეთსა და საქართველოს შორის სრულიად ახალი, თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის მშენებლობაში. თურქეთისა და საქართველოს პოლიტიკოსთა

დღევანდელმა თაობამ არცთუ უბრალო ისტორიული მემკვიდრეობა მიიღო. სასიხარულო და სასახელოა, რომ სულ რამდენიმე წელიწადში მოხერხდა; გაგვევლო ის გზა, რომელსაც ხშირად ათეული წლები სჭირდება. სწორედ ეს არის სულეიმან დემირელის განსაკუთრებული როლის მნიშვნელობა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №156, 1997 წლის 8 ივლისი, გვ. 2).

3. (ჩვენ და თურქეთმა – შემდგ.) სულ რამდენიმე წელიწადში გავიარეთ გზა, რომელსაც ხშირად ათეული წლები სჭირდება და ამაში გადამწყვეტი როლი პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა შეასრულა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №176, 1997 წლის 25 ივლისი, გვ. 1).

## მიხეილ გორბაჩოვის შესახებ

1. გორბაჩოვის კონტრასტი მის წინამორბედებთან იმდენად განსაცვიფრებელი იყო, რომ ბევრმა მის შესახებ საუბარი დაიწყო, როგორც ხსნის განსახიერებულ შანსზე. და, რასაკვირველია, ამ შანსს პირველები მიესალმნენ ისინი, პირველებმა მათ დაუჭირეს მხარი, ვის ინტელექტსაც არ შეეძლო შერიგებოდა ქვეყნის სტაგნაციას, რომელიც დღითი დღე ღრმავდებოდა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 197).

2. ... მიხეილ სერგეევიჩი ძალზე სხვადასხვაგვარად ეკიდებოდა ისეთ ქმედებებს, რომლებიც მის უკითხავად, მისი ნების გარეშე, მასთან შეუთანხმებლად ხორციელდებოდა. ზოგის მიმართ იგი მეტისმეტად შემწყნარებელი, გულგრილიც კი იყო, სხვების მიმართ – მკაცრი და მოუთმენელი. ერთნი ლამის მის თვალწინ სპობდნენ მისი ცხოვრების უმთავრეს საქმეს, ის კი თითქოს ვერც ამჩნევდა ამას; სხვანი ცდილობდნენ ეხსნათ ეს მთავარი, მაგრამ მათ ცდას წაყრუებით უპასუხებდა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 341).

3. როგორც ადამიანმა, მამამ და მეუღლემ, როგორც ოჯახის კაცმა და, ბოლოს, როგორც მისმა ამხანაგმა, განვიცადე ფოროსის სასახლეში მისი 72-საათიანი ტყვეობის მთელი კოშმარი. იგი ხუნტის ტყვე იყო. მაგრამ, როცა დაბრუნდა და პრესკონფერენციაზე გამოვიდა, მე დავინახე: ის კვლავინდებურად ტყვეა, ტყვეა თავისი ხასიათისა, წარმოდგენებისა, აზროვნებისა და ქმედებათა მისეული წესისა. და ახლა მე სრულიად გარკვევით შემიძლია ვთქვა: ეს სწორედ მან, და სხვა არავინ, – გამოზარდა ხუნტა; გამოზარდა ნებაზე მიშვებით, მერყეობით და ლავირებისადმი მიდრეკილებით, იმით, რომ ვერ ერკვეოდა ადამიანებში,

გულგრილობას იჩენდა ჭეშმარიტი თანამებრძოლების მიმართ, უნდობლობას — დემოკრატიული ძალების მიმართ; არ ენდობოდა სიმტკიცეს ციხესიმაგრისა, რომელსაც ხალხი ჰქვია, — სწორედ ის ხალხი, რომელიც შეიცვალა მის მიერ წამოწყებული გარდაქმნის წყალობით.

ეს მიხეილ გორბაჩოვის უდიდესი პირადი ტრაგედიაა და, როგორც არ უნდა თანავუგრძნოთ, არ შემიძლია არ ვთქვა: ამან, ამ ტრაგედიამ კინაღამ მიგვიყვანა საერთო-სახალხო ტრაგედიამდე.

სწორედ ასეთი კვალიფიკაცია მისცა "დემოკრატიული რეფორმების მოძრაობის" პოლიტიკურმა საბჭომ 19 აგვისტოს (1991 წ. — შემდგ.) მემარჯვენე გადატრიალებას. სწორედ ასე, რუსეთის მოქალაქეებისადმი მიმართვის სინქრონულად, — რომელსაც ხელს აწერდნენ ბ. ელცინი, ი. სილაევი და რ. ხასბულატოვი, — ჩვენ არ დაველოდებივართ პუტჩის დამარცხებას, როგორც, მაგალითად, კომპარტიის "ბელადები" მოიქცნენ და დაუყოვნებლივ დავსვით კითხვა: "რა მოუვიდა პრეზიდენტს?" — და დაჟინებით მოვითხოვდით პასუხს.

სწორედ ასე მსჯელობდნენ და მოქმედებდნენ მოსკოვში გავრილ პოპოვი, ლენინგრადში — ანატოლი სობჩაკი, ათასობით მათი თანამოქალაქე და თანამოაზრე მთელ რუსეთში.

საბოლოოდ პრეზიდენტი დაიცვეს იმათ, ვისაც იგი არ ენდობოდა: ბორის ელცინმა, "ეგრეთწოდებულმა დემოკრატებმა", რუსეთისა და მოსკოვის მოსახლეობამ, მისმა ყოფილმა თანამებრძოლებმა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 354-355).

4. ჩვენ ერთმანეთი გავიცანით მოსკოვში, ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. მე მასთან ბევრი რამ მაახლოებდა, ბევრი რამის გამო მინდოდა მისი უკეთ გაცნობა. ჩემსავით გლეხური ფესვები, სიყრმიდანვე ჩემსავით მიწაზე მუშაობა, ხალხის ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნა. ნამდვილად განათლებული და ერუდირებული იყო. გეოგრაფიული მეზობლობა და საერთო საზრუნავი განაპირობებდა სხვაგვარ არაფორმალურ, საქმიან "მეზობლობასაც".

მაგრამ იყო კიდევ რაღაც ისეთი, რაც მას ჩემს თვალში სხვებისგან გამოარჩევდა. მას აბსოლუტურად არ ახასიათებდა რაღაც დაყენებული, ნაძალადევი კომკავშირული მანერები, რომლებიც მე ყოველთვის მაღიზიანებდა. და, რაც მთავარია, მისი აზრები არ თავსდებოდა აზროვნების დაწესებული ნორმატივების ჩარჩოებში.

ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს მოსკოვში, თბილისში, მის მხარეში (სტავროპოლში — შემდგ.); ხშირი სატელეფონო კავშირი გვქონდა და თანდათან, ჩვენთვისაც შეუმჩნევლად, ყველაზე იდუმალ ზრახვებს ვუმხელდით ერთმანეთს.

ჩვენი ნაცნობობის სამ ათწლეულს თუ თვალს გადავავლებთ და სამოცდაათიანი წლების დასასრულსა და ოთხმოციანი წლების დასაწყისში გადავინაცვლებთ, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: მყუდრო პარკი შავი ზღვის უკაცრიელ ნაპირზე ბიჭვინთის კონცხის მიდამოებში. ხეივანში აუჩქარებლად ბოლთას ვცემთ ჩვენ ორნი. ეს იყო "ტყეში გასეირნება" შორს მიმავალი შედეგებით. იმ დროისათვის მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი, — სკკპ ცკ-ის მდივანი, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, — და მე, — საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი, ასევე პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, — უკვე არ ვუმალავდით ერთმანეთს ჩვენს ზრახვებს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 60).

## სხვადასხვა

1. ... აზერბაიჯანელი ხალხისათვის დიდი ბედნიერებაა, რომ თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ურთულეს ეტაპზე, ხალხის ნებით და ხალხის სურვილით სწორედ ჩემმა მეგობარმა ჰეიდარ ალიევმა იკისრა პასუხისმგებლობა გაუძღვეს მშობლიურ ხალხს ბრძოლაში ახალი, დემოკრატიული აზერბაიჯანის მშენებლობისათვის, რომელიც, როგორც მე თვალნათლივ ვხედავ, გამორჩეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიოს თანამეგობრობაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №41, 1997 წლის 20 თებერვალი, გვ. 1).

2. ალბათ, ვიღაცას სული ეხუთება, როცა მის ირგვლივ მტრები აღარ არიან.

რაც შემეხება მე, სწორედ ეს მინდოდა და ამას ვესწრაფოდი.

ვფიქრობ, რომ ჯეიმს ბეიკერიც ხელს მიწყობდა. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა, "განათლება", გვ. 171).

3. ... ბატონი კოფი ანანი... უაღრესად გამოცდილი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწეა. აღსანიშნავია, რომ ბატონი კ. ანანის "დიპლომატიური სპეციალობა" სამშვიდობო ოპერაციების დაგეგმვა და მათ განხორციელებაზე კონტროლი გახლავთ. მნიშვნელოვანია, რომ იგი ინიციატივიანი და აქტიური პიროვნებაა, რაც ასეთ საპასუხისმგებლო პოსტზე თანამედროვე პირობებში აუცილებელია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №178, 1997 წლის 27 ივლისი, გვ. 2).

4. ... გულით გავიხარე ჟაკ შირაკის არჩევის გამო. დარწმუნებული ვარ, იგი ევროპული სამშვიდობო პროცესების ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ლიდერი გახდება. მე მას კარგად ვიცნობ, ყოველთვის

დიდი სიმპათიებით ვიყავი განმსჭვალული და მჯერა, რომ, სიტყვა, რომელსაც საფრანგეთი იტყვის ახალი ევროპის მშენებლობაში, ეს იქნება ჟაკ შირაკის — მძლავრი პოლიტიკური ფიგურის ადეკვატური, მისი შესატყვისი. რა თქმა უნდა, ჩემთან ერთად ჩემი ქვეყანაც მიესალმება მის არჩევას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №54, 1995 წლის 16 მაისი, გვ. 2).

5. ვგონებ, ბერთოლდ ბრეხტსა აქვს ნათქვამი, რომ აზრს შეუძლია, თითქმის ხორციელი სიამოვნება მოგანიჭოს. აი, ასე, რაოდენ ძნელადაც არ უნდა წარმართულიყო ჩვენი საქმიანი შეხვედრები, მე სიამოვნებას მანიჭებდა ჩემს პარტნიორებთან (იგულისხმებიან: რეიგანი, ბუში, კოლი, გენშერი, დიუმა, ჰერდი, ანდრეოტი, ნაკაიამა, ციან ციჩენი, კლარკი, ორდონიესი, დე მიკელისი, ბეიკერი, შულცი და სხვა გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები — შემდგ.) საუბრები, რადგანაც შინაარსითაც და გამოხატვის ფორმითაც ძალზე არაორდინალური იყო მათ მიერ გამოთქმული აზრები.

და თითქმის ყოველი მათგანის კიდევ ერთი უბადლო ნიჭი — იუმორის გრძნობა, რასაც მე ძალიან ვაფასებ. ჩემი დაკვირვებით, ეს გრძნობა გამოკვეთილი ინდივიდუალობის აუცილებელი თვისებაა, მისი შინაგანი თავისუფლების უზუსტესი მაჩვენებელია. როცა მეკითხებიან სერიოზულ საუბრებში ხუმრობის მნიშვნელობაზე, — ეს ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა თუ პროფესიული "დიპლომატიის ხერხი?" — მივუგებ, რომ მე მომწონს, როცა ადამიანი თავის საქმეს ღიმილით აკეთებს და იცის გონებამახვილური სიტყვის ფასი. ჩვენ ხომ ყველანი ადამიანები ვართ და ერთმანეთის გონებისა და გულისაკენ მიმავალ გზებს ვეძებთ, დიპლომატები კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორმაგად "გამახვილებული გრძნობების ადამიანები" არიან, რომლებიც კუშტი სახითა და შეკრული წარბებით ბევრს ვერაფერს მიაღწევენ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 134).

6. (ჰერმან ვედეკინდი იყო — შემდგ.)... საქართველოს დიდი მეგობარი, არა მარტო შესანიშნავი რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე, არამედ პიროვნება, რომელიც უანგაროდ და თავდავიწყებით რეჟისორობდა ქართულ-გერმანული მეგობრული ურთიერთობების განვითარებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №16, 1998 წლის 21 იანვარი, გვ. 1).

7. იგი (ვაცლავ ჰაველი — შემდგ.) პოლიტიკურ არენაზე დისიდენტური მოძრაობიდან მოვიდა, მაგრამ თავისი საქმიანობა, ზოგიერთებისაგან განსხვავებით, ნგრევით არ დაუწყია. იგი ღინჯი და ბრძენი მოღვაწეა... ("საქართველოს რესპუბლიკა", №35, 1994 წლის 8 მარტი, გვ. 1).

8. მე არ მეგულება დედამიწაზე კეთილი ნების ადამიანი, რომელსაც გულწრფელად არ განეცადოს დედა ტერეზას გარდაცვალება. ეს

ღვთისნიერი ქალი მართლაც ღვთიური სათნოებისა და სიყვარულის განსახიერება იყო. ჩვენს ულმობელ და სასტიკ საუკუნეში იგი ჰუმანიზმის, შემწყნარებლობის, თანადგომისა და ურთიერთმიტევების პრინციპს იცავდა და მტკიცედ და შეუპოვრად ახორციელებდა ამ პრინციპს. იგი საოცრად ძლიერი ადამიანი გახლდათ. მე შევხვედრივარ მას, მქონდა საშუალება გამომეხატა ჩემი აღტაცება მისი დიდი მოღვაწეობის გამო. დედა ტერეზა, უდაოდ, საკაცობრიო მნიშვნელობის პიროვნება იყო. მე მას მოვლენას და სიკეთის მისიონერს ვუწოდებ. ყველას გვახსოვს, ქართველი დედების მოწოდებისთანავე როგორ ჩამოვიდა დედა ტერეზა 9 აპრილით შეძრულ და გულმოკლულ საქართველოში, გაიზიარა ქართველი ხალხის ტკივილი და შეძლებისდაგვარად გაამხნევა იგი. XX საუკუნის ნიშანსვეტი სწორედ ასეთი ადამიანები არიან, ვინაიდან ზნეობრიობისა და სულიერი სიწმიდის შეურყვნელ მაგალითს გვიჩვენებენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №225, 1997 წლის 9 სექტემბერი, გვ. 2).

9. (ნატოს გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა — შემდგ.)... უაღრესად კომუნიკაბელური, უაღრესად საინტერესო და ისეთი პიროვნებაა, რომელიც განაწყობს ძალიან გულახდილი და ძალიან საინტერესო საუბრებისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №39, 1997 წლის 12 თებერვალი, გვ. 2).

10. (რიჩარდ ნიქსონი — შემდგ.)... ჩვენი საუკუნის შუა პერიოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოლიტიკური ფიგურა იყო. ბატონმა ნიქსონმა ამერიკა-საბჭოთა კავშირის ღრმა კონფრონტაციის პერიოდში ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა დაძაბულობის განმუხტვას და ახალი მსოფლიო მოწყობის საწინდარი შექმნა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №70, 1994 წლის 28 აპრილი, გვ. 1).

11. ბატონ რეიგანის მრავალი ღირსებიდან განსაკუთრებით მხიბლავდა მისი იუმორის გრძნობა. მან უამრავი ანეკდოტი იცოდა და მათი მოყოლა ემარჯვებოდა. და, როგორც კი სიტყვა კონტროლზე ჩამოვარდებოდა, მაშინვე საუბარში ანეკდოტის განწყობილება შემოჰქონდა: "ენდე, მაგრამ შეამოწმე!"

რა გაეწყობა, ეგებ ამას ჰქონდა კიდეც რაღაც გარკვეული აზრი. კაცობრიობა სიცილით ეთხოვება თავის მანკიერებას. ოღონდ, მთავარია, ეს ყველამ ისურვოს. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 159).

12. ... როდესაც ბრეჟნევს ვაქებდი, შეიძლება ვაჭარბებდი, მაგრამ გულწრფელი ვიყავი. საქართველოში მე რაღაც ინიციატივებით გამოვდიოდი და ბრეჟნევი ამაში ხელს არ მიშლიდა. პირიქით, ძნელ სიტუაციებში მეხმარებოდა, რადგან უკვე მაშინ საქართველოში იყო ეროვნული კონფლიქტები. მე შევძელი მათი რეგულირება მსხვერპლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეშე, თუმცა მაშინ ტანკების გაგზავნა უფრო იოლი იყო. („საქართველოს რესპუბლიკა", №87, 1991 წლის 4 მაისი, გვ. 3).

13. სრული საფუძველი მაქვს, რომ უღრმესი პატივი ვცე გენშერისა და დიუმას, ჰერდისა და ანდრეოტის (ჩემი მუშაობის საწყის ეტაპზე – იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის), ციან ციჩენის, დე მიკელისის, კლარკის, ორდონიესის, ნაკაიამას და სხვა ჩემი კოლეგების არა მარტო დიდ პროფესიონალიზმს, არამედ მათ წმინდა ადამიანურ თვისებებსაც. უკანასკნელ წლებში წილად მხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავი ყველაზე დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების თანამოსაუბრე. ვიმეორებ, ყოველი მათგანი ღირსია ცალკე საუბრისა, და ვიმედოვნებ, მომავალში შევძლებ საგანგებოდ მოგითხროთ მათზე. აქ კი ისევ დაბეჯითებით ვიტყვი: განსხვავებულ პოზიციათა მიუხედავად, ყველანი საერთო მიზნისკენ ვისწრაფვოდით.

რასაკვირველია, ჩვენ ვპაექრობდით, მაგრამ პაექრობა კონფრონტაციაში არ გადაიზრდებოდა ხოლმე. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 133).

14. უკრაინის პრეზიდენტი (ლეონიდ კუჩმა – შემდგ.) ის პიროვნებაა, რომელიც ყველგან, ყველა ფორუმზე იცავს საქართველოს სამართლიან ინტერესებს, მის ტერიტორიულ მთლიანობას, იგი მომხრეა, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს ჩვენი ეკონომიკური და სულიერი კავშირები. („საქართველოს რესპუბლიკა", №268, 1997 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2).

15. ... ჩეხეთის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი... მე... ჩვენი დროის ზნეობრივ გმირად მიმაჩნია... („საქართველოს რესპუბლიკა", №308, 1997 წლის 9 დეკემბერი, გვ. 2).

16. სადამ ჰუსეინთან ჩემმა პირადმა შეხვედრებმა საკმაოდ მკაფიო აზრი შემიქმნა მასზე. ის ძლიერი ნებისყოფის, მკაცრი, მბრძანებლური ბუნების პიროვნებაა, თან, რასაკვირველია, ჭკვიანი კაცია. (ე. შევარდნაძე, „ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა „განათლება", 1992, გვ. 174).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XII. სეპარატიზმის, ძალმომრეობის, ძალადობის, დესტრუქციის, დემაგოგიის, ბიუროკრატიზმის, პროტექციონიზმის, ფორმალიზმის, პროვინციალიზმის, შოვინიზმის, კონსერვატიზმის, კორუფციის, ბოროტების, რადიკალიზმის, ნარკომანიის, ტერორიზმის, ტერორისტების, უნიჭობის, უნიათობისა და უზნეობის შესახებ

1. აგრესიული ნაციონალიზმი და სეპარატიზმი სერიოზულ საფრთხეს უქმნის მრავალ ქვეყანას და თითოეულმა მათგანმა, დიდი ქვეყანა იქნება ეს თუ პატარა, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ამ ბოროტების აღკვეთაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №111, 1997 წლის 16 მაისი, გვ. 1).

2. ...აგრესიული სეპარატიზმი... ავთვისებიანი სიმსივნესავით ანადგურებს ბევრი სახელმწიფოს ქსოვილს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №11, 1996 წლის 20 იანვარი, გვ. 2).

3. აგრესიული სეპარატიზმი დამოკლეს მახვილია იმ სახელმწიფოებისთვისაც, რომლებიც არც კი ეჭვობენ, რომ ასეთი საფრთხე არსებობს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №5, 1995 წლის 12 იანვარი, გვ. 1).

4. ... აკრძალვით, დაშინებით, შეზღუდვით ვერაფერს ვერ მივაღწევთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №296, 1997 წლის 25 ნოემბერი, გვ. 2).

5. ამბობენ, ინიციატივა ისჯებაო. მითუმეტეს ისჯება ის ინიციატივა, რომელიც ხელყოფს სისტემის წმიდათაწმიდას — მის უფლებას, გადაწყვიტოს, თქვენ რა უნდა აკეთოთ და როგორ უნდა აკეთოთ; თუ ხელყოფს იმის უფლებას, რომ თავისი ნებისამებრ გმართოთ თქვენ. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 70).

6. არ არსებობს ერისათვის, მით უმეტეს, მცირერიცხოვანი ერისათვის, იმაზე მეტი უბედურება, ვიდრე სამოქალაქო ომი და ძმათა კვლაა... კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ეროვნული სხეულის, ოჯახების, ადამიანის ცნობიერების გახლეჩა უდიდესი უბედურებაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №243, 1997 წლის 30 სექტემბერი, გვ. 2).

7. არ შეიძლება მხარს უჭერდე აფხაზურ სეპარატიზმს და დაგმო სხვა სეპარატიზმი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №228, 1996 წლის 13 ნოემბერი, გვ.2).

8. არა არის რა ქვეყნის დესტაბილიზაციის იმაზე კარგი საშუალება, ვიდრე იქ სეპარატიზმის მხარდაჭერა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №14, 1995 წლის 7 თებერვალი, გვ. 1).

9. არაერთხელ მითქვამს და დღესაც ვიმეორებ, რომ სეპარატიზმის აღზევება კაცობრიობისთვის კატასტროფას მოასწავებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №228, 1996 წლის 13 ნოემბერი, გვ. 2).

10. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის დაშვება, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გადაიზარდოს მასობრივ რეპრესიებად, სახელმწიფოს "პოლიტიკურ ყაიდაზე" მოწყობად, ადამიანის უფლებების დარღვევად — კანონიერებისათვის ბრძოლა — კანონიერი გზებითა და საშუალებებით! — ასეთი უნდა იყოს ჩვენი პრინციპი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 2).

11. არაფერია იმაზე უფრო საშიში და შემზარავი, ვიდრე მცოდნის ქედმაღლობა-ამპარტავნობა და თქვენი მენტალურობის, თქვენი ცხოვრების წესის, თქვენი კულტურის უგულებელყოფა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №172-175, 1997 წლის 24 ივლისი, გვ. 32).

12. ...არიან ადამიანები, რომლებიც ითვისებენ მეცნიერის მაღალ ტიტულს, მისი ღირსი კი არ არიან. ეს უბრალოდ უპატიოსნებაა! (ე. შევარდნაძე, "მეცნიერება — ადამიანის, სახალხო მეურნეობის სამსახურში! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება. 1982 წლის 13-14 მაისი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1982, გვ. 77).

13. არიან ქვეყნად ბოროტი ადამიანები, რომლებიც ყოველგვარ დანაშაულს იკადრებენ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №153, 1992 წლის 13 აგვისტო, გვ. 1).

14. ...ბიუროკრატიზმის გარეგნულ გამოვლინებათა უკან ხშირად იმალება ისეთი სოციალურად საშიში მოქმედება, როგორიც არის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება პირადი, ოჯახური, კუთხური ინტერესებისათვის. (ე.ა. შევარდნაძე,"კადრებთან მუშაობა — თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. — საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 90).

15. ...ბოროტ ძალებს საერთოდ აქვს გაერთიანების საოცარი უნარი... ("საქართველოს რესპუბლიკა", №203, 1992 წლის 6 ოქტომბერი, გვ. 2).

16. ბოროტება ბოროტებაა, დიდი იქნება იგი თუ მცირე. ("სკოლა და ცხოვრება", №12, 1976, გვ. 19).

17. ბოროტებასაც... აქვს საზღვარი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №40, 1994 წლის 15 მარტი, გვ. 1).

18. ...ბოროტების მატარებელი ადამიანები უფრო ადვილად ერთიანდებიან. კეთილ ადამიანებს ასეთივე ერთსულოვნება რომ შეეძლოთ, მსოფლიო სულ სხვანაირად იქნებოდა მოწყობილი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №53, 1993 წლის 16 მარტი, გვ. 1).

19. ბუნებრივია, როგორიც უნდა იყოს ჩვენი ემოციური დამოკიდებულება კორუფციის საშინელი მანკის მიმართ, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ რეპრესიული ზომებით ვერაფერს გავხდებით. უნდა გავითვალისწინოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებაც — კორუფცია ხომ ქართული ეროვნული მოვლენა არ არის — იგი ბევრ, საკმაოდ ცივილიზებულ,

განვითარებულ სახელმწიფოებსაც ღრღნის. თუმცა არც დაყოვნება შეიძლება — სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს გადამწყვეტი ღონისძიებანი, სანამ სიმსივნის მეტასტაზები სრულად დაეუფლება ორგანიზმს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №308, 1997 წლის 9 დეკემბერი, გვ. 2).

20. განა ის არის რისკი, რომ შენი სიცოცხლე სასწორზე შეაგდო? რისკი მაშინ არის, როცა რისკს არ ეწევი, როცა საკუთარი თავის ლაჩრული დანდობით სასწორზე აგდებ ყველაფერს: ნდობას, პატივისცემას, ადამიანთა მხარდაჭერას, ლიდერობის უფლებას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 76).

21. გონების ძილი ურჩხულებს ბადებს, მაგრამ გამოღვიძების სტადიაზეც შეიძლება გონებამ ურჩხული შვას, როცა ლეთარგია... ხანგრძლივია. (ე.შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება",1992, გვ. 310).

22. გულგრილი, აუგი ხალხი... ძალიან საშიშია. მას ზოგჯერ მეტი ვნებაც მოაქვს, ვიდრე ბოროტების მატარებელთ. ("საქართველოს კომუნისტი", №1, 1978, გვ. 69).

23. დაობს ის, ვისაც არ სწამს.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №285, 1997 წლის 14 ნოემბერი, გვ. 2).

24. დაუნდობელი ვიქნებით კორუფციის საზარელი სენის წინააღმდეგ ბრძოლაში. მრავალი პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემების სათავე სწორედ ეს სენია...

მე ასე ვიტყოდი, ამოსაძირკვი უნდა ამოიძირკვოს. ეს უაღრესად მტკივნეული პროცესი იქნება, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს და თუ გვსურს დავაფუძნოთ ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოება და თავისუფალი ეკონომიკა, ავამაღლოთ მოსახლეობის კეთილდღეობა. ("საქართველოს რესპუბლიკა",№1, 1998 წლის 1 იანვარი, გვ. 2).

25. დემაგოგები სხვადასხვა ჯურისანი არიან. ისინი, დემაგოგები, საშიში იმით არიან, რომ ინიღბებიან რა ვითომდა პატიოსანი კაცის რეპუტაციით, თესავენ უნდობლობას, ავრცელებენ ხმებსა და მონაჩმახებს, ამახინჯებენ ფაქტებსა და მოვლენებს... ზოგჯერ თვითონ იღებენ ერის, პატიოსნებისა და ღირსების მხსნელთა პოზას და ასე შემდეგ. დემაგოგი იმიტომაც არის დემაგოგი, რომ შავი თეთრად, სიცრუე სიმართლედ გაასაღოს. ("კომუნისტი", №267, 1974 წლის 15 ნოემბერი, გვ. 4).

26. დემაგოგებმა და პოპულისტებმა, მოთაფლული სიტყვების ოსტატებმა, იაფფასიანმა კრიტიკოსებმა და პოლიტიკანებმა წარყვნეს

---

* თითქმის იგივე შინაარსის ფრაზა ("დაობენ ისინი, ვისაც არ სჯერა") იხ.: "საქართველოს რესპუბლიკა", №289, 1997 წლის 18 ნოემბერი, გვ. 2 (შემდგ.).

ქვეყანა. იყავით ფრთხილად! ("საქართველოს რესპუბლიკა", №210-211, 1992 წლის 10 ოქტომბერი, გვ. 5).

27. დიდად ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ შეიძლება მხოლოდ ტალანტის, ინტუიციის იმედით იცხოვროს. ("ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 3).

28. დიდი ხნის სტუმრობა არც მასპინძლისათვის არის მისაღები და არც სტუმრისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 3).

29. ... ეთნიკური წმენდის პოლიტიკა უპერსპექტივოა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1998 წლის 17 იანვარი, გვ. 3).

30. ...ერთ-ერთი ყველაზე საშიში ბოროტება იყო და არის ფორმალიზმი, ბიუროკრატიზმი. მათი გამოვლინებანი ნაირგვარია, მაგრამ ყველა ამ გამოვლინების მიღმა იმალება თანამდებობის პირთა პოლიტიკური, სოციალური, ზნეობრივი პასუხისმგებლობის მოდუნება, მათი დაბალი პირადი კულტურა, საზოგადოებრივი ინტერესების უგულებელყოფა. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 138).

31. ეროვნული შეზღუდულობა, კარჩაკეტილობა უმთავრესი მტერი გახლავთ პროგრესისა, წინსვლისა. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №41, 1980 წლის 5 აპრილი, გვ. 3).

32. ეროვნული შეზღუდულობა მრავალსახოვანია თავისი გამოვლინებებით. მაგალითად, იგი ხშირად მალავს თავის სახეს პროვინციალიზმის "მიამიტი" ნიღბით, ვითომდა, პროვინციალიზმი არც ისე დიდი ცოდვააო. ეს მავნე პოზიციაა. ("ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივნისი, გვ. 3).

33. ეროვნული შეზღუდულობა ხშირად მალავს თავის სახეს პროვინციალიზმის "უწყინარი" ნიღბის ქვეშაც. პროვინციალიზმი არც თუ ისე დიდი ცოდვააო. ეს პოზიცია მავნეა, ამასთან პირველ რიგში იმათთვის, ვინც მას იზიარებს.* ("ლიტერატურული საქართველო", №28, 1973 წლის 13 ივლისი, გვ. 2).

34. ერთი უსამართლობის მეორე უსამართლობით შეცვლა ვერასდროს ვერ მოგიტანს სამართლიანობას, შეიძლება მხოლოდ სამართლიანობის ილუზიის შექმნა. ("კომუნისტი", №178, 1973 წლის 31 ივლისი, გვ. 2).

35. ... ვერანაირი მეცნიერული პროგრესი ვერ აუნაზღაურებს ადამიანს ზნეობრივ დანაკლისს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №255, 1997 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 2).

36. ვინც ყველაფერში ახალი დაპირისპირებისა და წინააღმდეგობის

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "სოვეტსკაია კულტურა", №54, 1973 წლის 6 ივლისი, გვ. 2 (შემდგ.).

მარცვალს ხედავს, ჯერაც ვერ განკურნებულა ცივი ომის სენისაგან. უბრალოდ, ახლა მისამართს ცვლის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №51, 1997 წლის 5 მარტი, გვ. 2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. ვისაც უნდა ეხებოდეს ეს, ყველას გასაგონად ვამბობ, იქნება იგი მინისტრი, დეპუტატი, ნათესავი, ახლობელი, თუნდაც ოჯახის წევრი, – ერთნაირად დაუნდობელი უნდა ვიყოთ ყველას მიმართ, როცა კორუფციას ეხება საქმე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №308, 1997 წლის 9 დეკემბერი, გვ. 2).

38. ზოგჯერ არცთუ არსებითი უთანხმოება იქცევა ხოლმე დაუძლეველ ბარიერად, ქმნის მწვავე კონფლიქტურ სიტუაციას. ("საქართველოს კომუნისტი", №5, 1989, გვ. 10).

39. თავისი მასშტაბით, შესრულების დონით, ხარისხით, პროფესიონალიზმით ასეთი აქტი (საქართველოს პრეზიდენტზე 1998 წლის 9 თებერვალს მოწყობილი შეიარაღებული თავდასხმა – შემდგ.) მხოლოდ საერთაშორისო ტერორიზმის ძალების დონეზე შეიძლება განხორციელდეს. მაგრამ ეს ძალები ძალზე დიდია, ჩვენ კი ცოტანი და, ჯერჯერობით, უძლური ვართ იმისათვის, რომ მათ შევეჭიდოთ. ყოველივე ეს ისეთ სფეროებშია დაგეგმილი, რომ მიუახლოვდე, კიდევ დრო არის საჭირო.

მეგობრებო, ძალიან არ მინდა, რომ ამ ფონზე, საყოველთაო ეჭვიანობის, დასმენების, ჩასაფრებების განწყობილებამ დაისადგუროს. თქვენ იცით, ასეთი პერიოდი ძალზე ძვირად დაუჯდა საქართველოს – ასიათასობით ადამიანი დახვრიტეს, გაჟლიტეს. ჩასაფრება და "დანოსი" საშინელი მოვლენაა. საქართველოში მსგავსი რამ არ უნდა განმეორდეს ("საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

40. ...თვითკმაყოფილება, მიღწეულით ტკბობა, პარადული ხმაური, მდგომარეობის შელამაზება, ურთიერთმაამებლობა და მლიქვნელობა, ზერელობა და ცხოვრებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება იყო, არის და იქნება ჩვენი პირველი მტერი. ("კომუნისტი", №155, 1977 წლის 5 ივლისი, გვ. 2).

41. თუ გვინდა სერიოზულად ვილაპარაკოთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ალბათ,... სათავეებიდან უნდა დავიწყოთ. სხვაგვარად საქმეს ვერ მივხედავთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №100, 1997 წლის 3 მაისი, გვ. 2).

42. თუ ექსტრემისტულ სეპარატიზმს ბოლო არ მოეღო და იგი გავრცელდა, მაშინ ცივი ომი კი არა, შეიძლება ცხელი ომიც დაიწყოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №254, 1992 წლის 15 დეკემბერი, გვ. 2).

43. თუ ვინმე ეჭვს თესავს ამა თუ იმ ენის მიმართ, იგი პირველ რიგში მშობლიური ენის მტერია. ("კომუნისტი", №119, 1979 წლის 24 მაისი, გვ. 3).

44. თუ მოქალაქისათვის სიღატაკის გამო ხელმიუწვდომელია ჯანდაცვა,

განათლება, თუ იგი უბინაოა, მშიერი და ჩაუცმელია, თუ ვერ ახერხებს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას, მაშინ სახელმწიფო პოლიტიკას ფასი არ აქვს. („საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

45. იქ, სადაც პოლიტიკურ მუშაობაში ბატონობს მედავითნეობა, სადაც ამ საქმეს ხელმძღვანელობს პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანი, დაუშვებელი ხდება ყოველგვარი საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა. არ არის მსჯელობა, არ არის კამათი. მაშასადამე, ზოგიერთისთვის დაუდგენელი ხდება ჭეშმარიტება. („კომუნისტი", №93, 1963 წლის 19 აპრილი, გვ. 3).

46. (კორუფცია — შემდგ.)... არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური სენიცაა. („საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 2).

47. კორუფცია ისეთი სენია, ისეთი ინფექციაა, რომლის აღმოფხვრას შეიძლება ერთი ან ორი წელიწადი არ ეყოს... განვითარებულ ქვეყნებშიც კი, სადაც დემოკრატიას ასწლოვანი ისტორია აქვს, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად ითვლება. („საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 2).

48. კორუფცია რყვნის სახელმწიფო აპარატს, სახელმწიფო მოხელეებს, ერის მორალს, არყევს სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლებს. („საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 2).

49. კორუფცია უმძიმესი სახელმწიფოებრივი მანკია. („საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 2).

50. კორუფცია უნდა განვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი დიდი ბოროტება, რომელსაც უნდა ებრძოლოს მთელი სახელმწიფო. („საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 3).

51. ...კორუფცია ქვეყანაში ფეხს ვერ მოიკიდებს, თუ სახელმწიფო მმართველობის ზედა ეშელონები დაზღვეული იქნება ამ სენისაგან. („საქართველოს რესპუბლიკა", №146, 1996 წლის 23 ივლისი, გვ. 2).

52. კორუფცია ყველგან და განსაკუთრებით სასამართლოში — უმძიმეს სახელმწიფოებრივ დანაშაულად მიმაჩნია. („საქართველოს რესპუბლიკა", №282, 1997 წლის 11 ნოემბერი, გვ. 2).

53. (კორუფციასთან ბრძოლა — შემდგ.)... ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეზერვია. („საქართველოს რესპუბლიკა", №108, 1997 წლის 13 მაისი, გვ. 2).

54. კორუფციის აღმოფხვრა, ჩრდილოვანი ეკონომიკის გამომზეურება და სახელმწიფო აღრიცხვის სფეროში მოქცევა ეროვნული, სახელმწიფოებრივი უშიშროების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია. („საქართველოს რესპუბლიკა", №28, 1998 წლის 4 თებერვალი, გვ. 2).

55. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა განვიხილოთ როგორც,

ერთი მხრივ, საზოგადოებაში, სახელმწიფოში ჯანსაღი მორალური თუ ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნის, და, მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების, ბიუჯეტის დამატებითი მნიშვნელოვანი შემოსავლების წყარო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მარტი, გვ. 2).

56. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი ელემენტია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №62, 1997 წლის 18 მაისი, გვ. 1).

57. (კორუფციისაგან — შემდგ.)... ამ სოციალური სენისა და უმძიმესი სახელმწიფოებრივი მანკისაგან თუ არ განვიკურნეთ, ზედმეტია ლაპარაკი საქართველოში დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და მოქალაქეთა ჰუმანიტარული თუ სოციალური უფლებების დაცვაზე.

კორუფცია აუძლურებს და ალპობს სახელმწიფოებრივ მექანიზმს, არყევს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების, საზოგადოებრივი მართლშეგნების საფუძვლებს, საფრთხეს უქმნის ქვეყანაში სტაბილურობასა და უშიშროებას.

იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც გვეკისრება ერისა და ქვეყნის წინაშე, ჩვენ დაუნდობელი უნდა ვიყოთ და ვიქნებით კიდეც ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 2).

58. (ლოკალური ომების — შემდგ.) ...კრებსითი დამანგრეველი ძალა არ ჩამორჩება გლობალურ დესტრუქციებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №243, 1996 წლის 4 დეკემბერი, გვ. 1).

59. მე ათეულობით წლების განმავლობაში ჩემს გონებაში, ჩემს გულსა და სულში, საკუთარ თავთან ბრძოლაში დავრწმუნდი, რომ ბოლშევიზმი არის "შავი ჭირი" კაცობრიობის ისტორიაში და თუ ვინმე ფიქრობს ისევ ამ "შავი ჭირისკენ" შეაბრუნოს ქვეყანა, ის საკუთარი ხალხის მტერია, რა გვარისაც უნდა იყოს და როგორი დამსახურებაც უნდა ჰქონდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

60. მე არ მინახავს ჯერ არც ერთი სუსტი ხელმძღვანელი, რომელიც მასზე უფრო ძლიერ მოადგილეებს ეძებდეს. (ე. შევარდნაძე, "ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე. საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1977, გვ. 14).

61. მე მქონდა საშუალება, თავის დროზე, მრავალი წლის წინათ შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობის პერიოდში გავცნობოდი ზოგიერთ მასალას, მათ შორის, 37 წლის მოვლენებთან დაკავშირებით.

უნდა მოგახსენოთ, რომ იმან, რაც ვნახე და გავიგე, რაც წავიკითხე, ჩემზე შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. მაშინაც და ახლაც იმ

მასალების გამოქვეყნების წინააღმდეგი ვიყავი და ვარ. არ დავაკონკრეტებ, რატომ – გამგები მიხვდება და გაიგებს. იმდენი დასმენა და ხელმოწერაა, რომ შეიძლება ადამიანს საკუთარი თავი შეგძულდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

70 წლის განმავლობაში ათასობით და ათიათასობით ადამიანი იძულებული იყო ეთანამშრომლა სპეცსამსახურებთან ამა თუ იმ ფორმით. ეს ჩვენი ტრაგიკული ისტორიის უმძიმესი, უსაშინელესი მემკვიდრეობაა. ამ მონაცემების გამოქვეყნება დაუშვებელია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი განვითარების ამ ეტაპზე. ხოლო თუ მაინც მოხდა (პარლამენტის გადაწყვეტილებას, აბა, ვინ შეეწინააღმდეგება), ეს გამოიწვევს ურთიერთსიძულვილის, შეურიგებლობის, დაპირისპირების ახალ აფეთქებას საქართველოში. ეს ერთი და ორი ადამიანი, ან ათი, ასი და ათასი ოჯახი როდია.

კიდევ გაიხსნება ჭრილობა, რომლის მოშუშება სულ ახლახან დაიწყო. კვლავ გაიხლიჩება საზოგადოება და ახალი ძალა მიეცემა წარსულ წყენას, შურისძიებას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №308, 1997 წლის 9 დეკემბერი, გვ. 2).

62. ... მთავრობა და ხელისუფლება, რომელიც სამართლითა და კანონით არ არის შეზღუდული, კანონის უზენაესობას არ იცავს, სოციალურად საშიშია დემოკრატიის, ხალხისა და საზოგადოებისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 2).

63. მინდა ყველას მოვუწოდო: დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქვეყნისათვის ყველაზე საშიში მოვლენაა რადიკალიზმი, იქნება იგი მარჯვნიდან, თუ მარცხნიდან, დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. საქართველოში არ უნდა აღმოცენდეს და ვერ უნდა მოიკიდოს ფეხი ისეთმა პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ილაშქრებს, რომელიც მხოლოდ თანამდებობისა და პირადი კეთილდღეობისათვის საკუთარი ხალხის დამოუკიდებლობის ხარჯზე ვაჭრობს ვიღაცასთან.

ვფიქრობ, ამ საკითხში ყველა ერთიანი უნდა ვიყოთ, ისინიც, ვინც ხელისუფლების სათავეშია, და ისინიც, ვინც ოპოზიციაშია. ეს არის რადიკალიზმის საფრთხე, ანუ ბოლშევიზმის საფრთხე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

64. მიწა უნდა ეწვოდეს ფეხქვეშ ჩვენი საზოგადოების ყველა ანტიპოდს, იმის მიუხედავად, როგორი პოსტებიც უნდა ეკავოთ მათ. ("კომუნისტი", №33, 1974 წლის 8 თებერვალი, გვ. 3).

65. მოვალენი ვართ გვახსოვდეს ისიც, რომ ბიუროკრატიზმის უცილობელ თანამგზავრს, მის ნაყოფს წარმოადგენს... მოჩვენებითობა, პარადული აურზაური და თვითრეკლამა. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ხშირად ვაწყდებით ისეთ შემთხვევებს, როცა ამგვარი ბიუროკრატიული

აქტიურობის მიღმა იმალება კარიერიზმი, მისწრაფება მეტი წაგლიჯონ საზოგადოებას და სანაცვლოდ არაფერი მისცენ. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. – საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 139).

66. მოვალეობის გრძნობა თუ ზნეობრიობაზე მაღლა დგას, შემზარავია. მოვალეობა თუ ადამიანს იმას დაუწესებს, რომ "ისტორიული აუცილებლობის" გამო გაანადგუროს საკუთარი მამა და მასთან ერთად ათასი სხვა, იგი გაანადგურებს კიდეც. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 345).

67. მუშაობის ბიუროკრატიული სტილი, ანუ მისწრაფება – თავი აარიდო პასუხისმგებლობას, არ ეძებო ახალი და გაბედული გადაწყვეტის გზები, მუდამჟამს მოიშველიო ხოლმე ზემოდან მიღებული ინსტრუქციები, ბრძანებები, განკარგულებები, ვერ დაინახო ქაღალდის მიღმა ადამიანი, ბევრად არის დაკავშირებული კარიერიზმთან, ვინაიდან მას ნერგავენ ადამიანები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის, თავიანთი პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნავენ, თუმცა ოსტატურად ეფარებიან ხოლმე უანგარობის, საერთო საქმის ერთგულების ნიღაბს. (ე.ა. შევარდნაძე, "კადრებთან მუშაობა – თანამედროვე ამოცანების დონეზე! მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე, 1979 წლის 26 ოქტომბერი. – საბოლოო სიტყვა, 1979 წლის 27 ოქტომბერი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1979 წლის 27 ოქტომბერს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1980, გვ. 91-92).

68. ...მსოფლიოს სხვა მრავალ ურთულეს პრობლემასთან ერთად ორი საშინელი სენი ემუქრება: ტერორიზმი და აგრესიული სეპარატიზმი. ეს მეორე, ესე იგი, აგრესიული სეპარატიზმი, მნიშვნელოვანწილად, მორალურად და, თუ გნებავთ, მატერიალურად და ყოველმხრივ, პოლიტიკურადაც ასულდგმულებს, სტიმულს აძლევს ტერორიზმს. მოვიდა დრო, როცა ყველა, დიდი თუ პატარა სახელმწიფო დეკლარაციებიდან და პროტესტებიდან რეალურ მოქმედებაზე გადავიდეთ. კაცობრიობა, რომელმაც ცივი ომი უსისხლოდ და უმსხვერპლოდ დაამარცხა, თითქმის შეუძლებელი შეძლო, არ შეიძლება უძლური აღმოჩნდეს ტერორიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის წინაშე. ("საქართველოს რესპუბლიკა", №153, 1996 წლის 30 ივლისი, გვ. 2).

69. მუშტრული ფსიქოლოგია და მორალი ადვილად ინერგება, მაგრამ დასაძლევად კი ძნელია. ("საქართველოს კომუნისტი", №7, 1984, გვ.17).

70. მხოლოდ ჩვეულებრივი სამსახურებრივი არაკომპეტენტურობის ნიადაგზე შეიძლება აღმოცენდეს ბოროტების ისეთი ნაყოფი, როგორიც ბიუროკრატიზმი, მლიქვნელობა, მამებლობა, კარიერიზმი, ძმაბიჭობა და მექრთამეობაა.* ("საქართველოს კომუნისტი", №10, 1980, გვ. 10).

* თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №38, 1980 წლის 17 სექტემბერი, გვ. 2 (შემდგ.).

71. ნამდვილ დემოკრატიას დაცვა სჭირდება, სხვაგვარად იგი შეიძლება ქაოსსა და ანარქიაში გადაიზარდოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №45, 1998 წლის 24 თებერვალი, გვ. 3).

72. ... ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ვიწრო ეროვნული პრობლემა არ არის. იგი საკაცობრიო პრობლემაა და მას სწორედ ამ საუკუნეში უნდა მივაყენოთ გადამწყვეტი დარტყმა. თუ შევძელით "ცივი ომის" დამარცხება, ვფიქრობ, ნარკომანიასაც უნდა მოვერიოთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №180, 1996 წლის 6 სექტემბერი, გვ. 1).

73. ... ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 2).

74. ნაციონალიზმის და შოვინიზმის ბაცილები მეტად გამძლენი არიან, რადგან ვითარებასთან შეგუების დიდი უნარი აქვთ. თანაც "შოვინიზმით" შეიძლება დაავადდნენ როგორც დიდი, ისე პატარა ხალხების წარმომადგენლები, რაც გამოიხატება საკუთარი, ეგრეთ წოდებული, ეროვნული უმცირესობისადმი დამოკიდებულებით.* ("ლიტერატურული საქართველო", №24, 1974 წლის 14 ივლისი, გვ. 3).

75. ნეგატივიზმი და გულგატეხილობა პატივისცემას არასოდეს იმსახურებდა. ("კავკასიონი", №34, 1995 წლის 21 თებერვალი, გვ. 2).

76. ნუ ეძებთ ყველგან და ყველაფერში მტრის ლანდებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №165, 1994 წლის 15 სექტემბერი, გვ. 1).

77. ნუთუ ასე ძნელია იმის განჭვრეტა, რომ, თუ დღეს კაცობრიობა არ გაერთიანდა და არ აღუდგა ტერორისტებსა და მათ მფარველებს, — ხვალ თავად მათი მძევალი გახდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №293, 1997 წლის 22 ნოემბერი, გვ. 1.).

78. ობივატელობა... ჭაობია. ("საქართველოს კომუნისტი", №3, 1980, გვ. 37).

79. ომის მოტრფიალე კულტურა ანტიკულტურა ხდება და ეროვნულ ველს უდაბნოდ აქცევს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №83, 1995 წლის 14 ივლისი, გვ. 2).

80. ...პარადულობა ღუპავს საქმიან მუშაობას, ცოცხალ აზრს, ინიციატივას, შემოქმედებას. ("საქართველოს კომუნისტი", №7, 1980, გვ. 15).

81. პარაზიტიზმი ადამიანის სულისა და ხორცის კიბოა. ("კომუნისტი", №33, 1974 წლის 8 თებერვალი, გვ. 2).

82. ...პარაზიტული ელემენტები... უნდა მოიჭრას, უნდა მოიკვეთოს ჩვენი საზოგადოების ჯანსაღი ორგანიზმიდან. ისინი ის მუწუკები არიან, რომლებიც ავრცელებენ სოციალურ დაავადებებს. ("საბჭოთა აჭარა", №38, 1974 წლის 23 თებერვალი, გვ. 3).

---

* თითქმის იგივე ფრაზა იხ.: "ლიტერატურული საქართველო", №28, 1973 წლის 13 ივლისი, გვ. 2 (თარგმნილია გაზეთიდან: "სოვეტსკაია კულტურა", №54, 1973 წლის 6 ივლისი, გვ. 2) (შემდგ.).

83. პასიურობის პირველი ნიშანია სინამდვილის კრიტიკულად აღქმის გრძნობის დაკარგვა. („კომუნისტი", №267, 1974 წლის 15 ნოემბერი, გვ. 4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

84. პირველი სენი მლიქვნელობა და მაამებლობაა...

მლიქვნელობა, გარკვეული აზრით, შეიძლება შევადაროთ ნარკოტიკებს. როგორც ცნობილია, ამ ნივთიერებებს შეუძლია ადამიანი გადაიყვანოს სასიამოვნო შეგრძნებების სამყაროში, გონება დაუბნელოს და აქციოს ცხოველის მსგავს არსებად. აი, რა არის მლიქვნელობა! ამიტომ მტკიცედ და გარკვეულად ვამბობთ: ძირს მლიქვნელები და ძირს მლიქვნელობა!..

მეორე სენი, რომელსაც უნდა ყველანი ვებრძოდეთ, არის ამბიცია, კუდაბზიკობა, ქედმაღლობა, ყოყოჩობა, კადნიერი საქციელი...

აი, რატომ ვამბობთ: ძირს ქედმაღლობა, ყოყოჩობა, მიღწეულით ტკბობა! („საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 142-144).

85. პრინციპებისათვის ბრძოლაში ყველაზე უარესი პოლიტიკა, ყველაზე უსუსური პოზიციაა „ნეიტრალური", ორჭოფული პოლიტიკა და პოზიცია. ჩვენ უნდა დავძლიოთ ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკების პრაქტიკაში დამკვიდრებული ერთი ცუდი მისწრაფება — ყოველგვარ სიტუაციაში შეინარჩუნონ „კარგი" და „კეთილი" კაცის რეპუტაცია. ასეთ მისწრაფებას საერთო არა აქვს რა სიკეთის ჭეშმარიტ ცნებასთან. („საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 130).

86. პროტექციონიზმი უფრო ხშირად დაკავშირებულია კარიერიზმთან, ძალაუფლების არასწორ, ანგარებით გამოყენებასთან. („საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 111).

87. რა გინდ კეთილშობილი ზრახვებით უნდა იყოს ნაკარნახევი, ძალადობა საზოგადოებაზე ან მის ნაწილზე, აზროვნებისა და შემოქმედების, საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროში უკუეფექტს და ყოველთვის სასურველის საწინააღმდეგო შედეგს იძლევა. („საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 3).

88. რა თქმა უნდა, ცუდია, როცა ადამიანები ცდებიან, მაგრამ უარესია, როცა მათ შეცდომებს საფუძვლად უდევს პირადი, ანგარებითი ინტერესები. („კომუნისტი", №62, 1979 წლის 13 მარტი, გვ. 3).

89. რა მაღალი რანგისა და სტატუსის სახელმწიფო მოხელეც უნდა იყოს, — თუ ის მხილებული იქნება კორუფციაში, უნდა გასამართლდეს თანამდებობის მიუხედავად. აქ გამონაკლისი არ შეიძლება არსებობდეს. („საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 2).

90. რევოლუცია, როგორც პოლიტიკური და სოციალური რეფორმის საშუალება, სისხლთან, მსხვერპლთან, ნგრევასთან, ანგარიშსწორებასთან და შურისძიებასთან არის დაკავშირებული. ასეთია კაცობრიობის ისტორიული გამოცდილების ვერდიქტი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №177, 1997 წლის 26 ივლისი, გვ. 2).

91. ...რთული და შეუძლებელია უსასრულოდ იცავდე მორალურად და პოლიტიკურად სრულიად უსაფუძვლო პოზიციას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №261, 1997 წლის 21 ოქტომბერი, გვ. 2).

92. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ყოველგვარი უპრინციპობა მხოლოდ ართულებს სიტუაციას, აუარესებს მდგომარეობას. ("საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 130).

93. როდესაც... უცერემონიოდ ანიჭებენ თავისუფლებას ადამიანებს, რომლებიც სასჯელს იმსახურებენ, ეს უკვე აღარ არის სამართლებრივი სახელმწიფო. ("საქართველოს რესპუბლიკა", №282, 1997 წლის 11 ნოემბერი, გვ. 3).

94. როცა საგარეო პოლიტიკაზე იერიშების მომძლავრებას თვალს ვადევნებდი, ჩემი ბედ-იღბლის გამო სულაც არ ვწუხდი. ჩემი მოწინააღმდეგენი ყველაფერს ითვალისწინებდნენ, გარდა ჩემი წარმოშობის ადამიანის შეხედულებებისა. ჩემთვის ბავშვობიდანვე მიუღებელი იყო ხელის აღმართვა იმაზე, რაც სწორად და საჭიროდ მიმაჩნდა. პიროვნებაზე მონოპოლიური უფლების მქონე სისტემის ყველა წესის თანახმად, პიროვნებამ ყველა თავდასხმას უსიტყვოდ, მორჩილად უნდა გაუძლოს, მართებულად უნდა მიიჩნიოს დიქტატი პოლიტიკური პატრიარქატისა, რომელიც დაჰპატრონებია პიროვნების ბედის გამრიგის უფლებას. სანამ ის არ გაარკვევს, თუ რა გიყოს, იჯექი შენს ადგილზე, იმუშავე, ისარგებლე შემოთავაზებული კეთილდღეობითა და შეღავათებით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მქონდეს პირზე მოდებული ანკესი, რომლის მოშორებაც ჩვენს პირობებში სიკვდილს უდრის. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 18-19).

95. ... რუსეთში არსებობს რევანშისტული მენტალიტეტის მქონე ძალები, რომელთაც სურთ საბჭოთა კავშირის აღდგენა. ჩვენ უნდა სერიოზულად მივუდგეთ ამ ძალების პრობლემას, რადგან მომავალში ისინი შეიძლება დიდ საფრთხედ გადაიქცნენ. თუ რას წარმოადგენს ეს ძალები, ამაში ჩვენ საკუთარ მაგალითზე დავრწმუნდით აფხაზეთში, როდესაც სეპარატისტებმა რუსეთიდან დიდძალი იარაღი და აღჭურვილობა მიიღეს, როდესაც რუსების შეიარაღებული ჯგუფები რეგულარული ჯარის ნაწილების ჩათვლით აფხაზეთში გვებრძოდნენ.* ("საქართველოს რესპუბლიკა", №109, 1997 წლის 14 მაისი, გვ. 2).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: "კორიერე დელა სერა", 1997 წლის 10 მაისი. (შემდგ.).

96. საკმაოდ დიდხანს ვუყურებდი ტიტულებიან გერონტებს, რომ იმათი მაგალითით დავრწმუნებულიყავი, თუ რა დამღუპველია მისწრაფება, რადაც უნდა დაგიჯდეს და რაც შეიძლება ხანგრძლივად დარჩე "ზემოთ".* ("ცხოვრება", №55, 1991 წლის 10 აგვისტო, გვ. 2).

97. საკმარისია ერთხელ მიუშვა საქმე თვითდინებაზე და... საქმეც სერიოზული საფრთხის წინაშე დადგება. ("ახალგაზრდა კომუნისტი", №145, 1955 წლის 4 დეკემბერი, გვ. 2).

98. ...საკუთარ ქვეყანაში მაროდიორობა და საკუთარი ხალხის ძარცვა ეროვნული უბედურებაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №246, 1993 წლის 16 ნოემბერი, გვ. 1).

99. ...საკუთარი პატარა მიზნისათვის ქვეყნის გაჭირვების გამოყენება ბოროტებაა. ("საქართველოს რესპუბლიკა", №29, 1993 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

100. საქართველო და მისი პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, პარლამენტთან და სხვებთან ერთად, იბრძოლებენ იმისათვის, რომ კორუფცია არ გადაიქცეს მართლაც ავთვისებიან სიმსივნედ, რომლის განკურნება მერე შეუძლებელი იქნება. არ მინდა მომავალ თაობებს დავუტოვო ის, რასაც შემდეგ ისინი ვერ დაძლევენ. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ, 2.).

101. ... საქვეყნოდ ვაცხადებ: კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კურსიდან არ გადავუხვევთ და ამ სენისაგან საქართველოს განვკურნავთ. ამას ყველა ერთად გავაკეთებთ, მაგრამ ისევ და ისევ ეს არ უნდა იყოს ჩასაფრებისა და "დანოსების" კამპანია. ეს უნდა იყოს პროფესიონალების, ქვეყნის ერთგული და პატიოსანი ადამიანების ბრძოლა ქვეყნის სიწმინდისა და ინტერესებისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №36, 1998 წლის 13 თებერვალი, გვ. 2).

102. ... საშიში და ბოროტი ზრახვები ცარიელ ნიადაგზე არ ეცემა და იმაზე არის გაანგარიშებული, რომ აქა-იქ, ცალკეულ ქვეყნებში, დამოუკიდებელ სახელმწიფოებში არსებობს ნოყიერი ნიადაგი ასეთი აზრებისათვის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №74, 1997 წლის 1 აპრილი, გვ. 2).

103. სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც ფიქრობს არა საერთო საქვეყნო საქმეზე, არამედ საკუთარ კეთილდღეობაზე, ყველაზე საშიში ყაჩაღია. ("დილის გაზეთი", №8, 1997 წლის 17 იანვარი, გვ. 2).

104. (სენთაგან — შემდგ.)... ყველაზე საშიში ამჟამად და მომავალშიც, მე ასე მიმაჩნია, კორუფცია გახლავთ. ("საქართველოს რესპუბლიკა", №21, 1997 წლის 28 იანვარი, გვ. 2).

105. სეპარატიზმი გადამდებია. თუ იგი წარმატებას მოიპოვებს ერთ ადგილას, ასე ვთქვათ, წარმატებული ნიმუში გახდება, ეს ჯაჭვური

* თარგმნილია გაზეთიდან: "კომსომოლსკაია პრავდა", №176-177, 1991 წლის 3 აგვისტო, გვ. 3 (შემდგ.).

რეაქციის ხასიათს იძენს და თავის ამ თვისებაში იგი სავსებით ემსგავსება მასობრივი მოსპობის იარაღს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №14, 1995 წლის 7 თებერვალი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

106. სეპარატიზმი საბოლოოდ უნდა დაიგმოს და მას საყოველთაო პოლიტიკური ოსტრაკიზმი გამოეცხადოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №120, 1995 წლის 13 სექტემბერი, გვ. 1).

107. ...სეპარატიზმი... შემზარავი მოვლენაა. მას საზღვრები არა აქვს. სეპარატიზმი პერმანენტული დაქუცმაცების ინერციაა, რომელიც ახალ კონფლიქტებს წარმოშობს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №170, 1992 წლის 4 სექტემბერი, გვ. 2).

108. სეპარატიზმის ფხვიერ საძირკველზე გაერთიანება შეუძლებელია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №238, 1992 წლის 19 ნოემბერი, გვ. 2).

109. (სისასტიკით — შემდგ.) აგრესიული ნაციონალიზმი, აგრესიული სეპარატიზმი... ნაცისტურს არ ჩამოუვარდება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №243, 1996 წლის 4 დეკემბერი, გვ. 1).

110. სულ უფრო ხშირად, ჩვენს თვალწინ შუასაუკუნეობრივი ბარბაროსობა და სისასტიკე ეხამება მასობრივი მოსპობის მაღალ ტექნოლოგიებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №115, 1997 წლის 21 მაისი, გვ. 2).

111. სხვათა შორის, ყველაზე დიდი უკანონობა კანონიერი გზებით ეძებს გასასვლელს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №188, 1994 წლის 21 ოქტომბერი, გვ. 1).

112. ტანკი და ავტომატი ყოველთვის გამოიყენება არგუმენტად მხოლოდ სათანადო იდეოლოგიურ "უზრუნველყოფასთან" ერთად. შეუძლებელია გაამართლო ტონობით მომაკვდინებელი ფოლადის დაპირისპირება ადამიანის დაუცველ სხეულთან, ვიდრე ამ ადამიანს არ გამოაცხადებ ხალხისა და საზოგადოებისათვის საშიში იდეის, თანაც იმდენად საშიში იდეის მქონედ, რომლისაგან დაცვა ტანკის ჯავშანსა და ფეთქებად ტყვიასაც კი მუდამ როდი შეუძლია. კაცმა რომ თქვას, ჯალათს ყოველთვის წინ უსწრებდა ინკვიზიტორი. ნაჯახი და ჯალათის კუნძი ყოველთვის რწმენის დოგმატებით იყო კურთხეული. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 57).

113. ტერორისტები არსად არავის არ უყვარს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №263, 1992 წლის 29 დეკემბერი, გვ. 1).

114. ტერორისტების მფარველობა, რომელ სახელმწიფოსაც უნდა ეხებოდეს ეს, ხალხთა თანაცხოვრების წესებთან შეუთავსებელი უნდა იყოს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №182, 1996 წლის 10 სექტემბერი, გვ. 2).

115. ტერორისტი მუხანათია, თავისი ბუნებით მშიშარაა. მშიშარა კაცი კი სასტიკი და დაუნდობელია. ისტორიაში ამის მაგალითები ბევრია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №71, 1995 წლის 27 ივნისი, გვ. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

116. ...უკიდურესობანი... ერთმანეთში გადადის. ("საქართველოს რესპუბლიკა", №170, 1992 წლის 4 სექტემბერი, გვ. 2).

117. ულმობლად უნდა ვებრძოლოთ კონსერვატიზმს ყოველგვარ სფეროში: როგორც სამეურნეო, ისე კულტურულ სფეროში. ჩვენი მტრები არიან პროვინციალიზმი, ობივატელობა, მეშჩანობა და სხვა ანტიპოდური მოვლენები. ("კომუნისტი", №91, 1975 წლის 18 აპრილი, გვ. 4).

118. ... უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოების კორუმპირებულ ნაწილთან ბრძოლა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე შეიარაღებული ბანდიტების, პროფესიონალი მკვლელებისა და ტერორისტების იზოლირება...

კორუმპირებული ადამიანები საშიშნი არიან იმითაც, რომ მათ ჩვენს შორის, სამთავრობო თუ საპარლამენტო კაბინეტებში მოიკალათეს, ზოგმა ხალხის ნდობაც მოიხვეჭა, კეთილი და გაჭირვებულთა დამხმარე ადამიანის სახელიც დაიმკვიდრა. ამიტომ იოლი არ არის მათი მხილება. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 2).

119. უნდა გვახსოვდეს, რომ ბიუროკრატიზმი — ეს არის ჩვენი სოციალური მიზნებისა და ღირებულებებისადმი წინააღმდეგობის მექანიზმი, დემოკრატიული პროცედურების უარყოფის წესი. თუმცა მისი აღმოფხვრა ორგანულად უკავშირდება საზოგადოების დემოკრატიული ორგანიზაციის განვითარება-გაღრმავებას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბიუროკრატიზმი თავისთავად ქრება; ამისათვის სისტემატური მიზანდასახული მუშაობაა საჭირო. (ე.ა. შევარდნაძე, "საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას 1981 წლის 22 იანვარს. საბოლოო სიტყვა 1981 წლის 24 იანვარს", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1981, გვ. 138).

120. ...უსაქმურობაში იბადება ჭორები. ("საქართველოს რესპუბლიკა", №267, 1993 წლის 21 დეკემბერი, გვ. 1).

121. ფორმალიზმი ბიუროკრატიზმის ფარია. ("საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXXI ყრილობა. 17-18 თებერვალი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1983, გვ. 55).

122. ფორმალიზმი კარგად ეგუება მლიქვნელობას, ამა თუ იმ ინდივიდის უზნეო ბუნებას. ფორმალიზმთან შერწყმული მლიქვნელობა გონების დამაჩლუნგებელი ბანგია. ("საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXXI ყრილობა. 17-18 თებერვალი", თბილისი, გამ-ბა "საბჭოთა საქართველო", 1983, გვ. 55).

123. ფორმალიზმი ნებისმიერ ცოცხალ საქმეს ღუპავს. ("საქართველოს კომუნისტი", №1, 1978, გვ. 62).

124. ფორმალისტის ფსიქოლოგია და ზნე ცნობილია: გარეგნულად ასეთი მუშაკის საქმიანობაში თითქოს ყველაფერი რიგზეა. არსებითად კი ყველაფერს შინაარსი აქვს გამოცლილი — სიცოცხლის ნიშანწყალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ ეტყობა, ფორმას შინაარსი ეწირება. („ახალგაზრდა კომუნისტი", №24, 1978 წლის 25 თებერვალი, გვ. 3).

125. ქვეყანა, სადაც ტერორისტებს თავის შეფარება შეუძლიათ, მშვიდად ვერ დაიძინებს. („საქართველოს რესპუბლიკა", №45, 1998 წლის 24 თებერვალი, გვ. 3).

126. ქვეყანა, სადაც ყაჩაღობა, ქურდობა, კაცისკვლა, სიზარმაცე და მზაკვრობა ნორმად იქცევა, არავის არ სურს სამეგობროდ და რა გაერთიანებაშიც არ უნდა იყოს იგი, შინაგანად თავისუფალი ვერ იქნება. („საქართველოს რესპუბლიკა", №254, 1993 წლის 1 დეკემბერი, გვ. 1).

127. ქვეყანას დააქცევს გულგრილობა, ისეთი ვითარება, როდესაც არავინ არავის არ აკრიტიკებს და არავის არაფერი არ სწყინს და არ ეხება. როდესაც ფსევდოკრიტიკით ნიღბავენ ან საკუთარ არარაობას, ან საკუთარ ანგარებითს ინტერესებს.* („კომუნისტი", №97, 1990 წლის 24 აპრილი, გვ. 3).

128. (ქრთამია — შემდგ.)... ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტება. („საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 3).

129. ყველაზე დიდი საშინელებაა ჩამორჩენილობა** („კომუნისტი", №11, 1984 წლის 13 იანვარი, გვ. 1).

130. ...ყველაზე საშინელი ნაკლი, რომელიც ხელს გვიშლის დავინახოთ ადამიანი, ჩავწვდეთ მის ჭირსა და ლხინს, გავუგოთ და მხარში ამოვუდგეთ მას, — ეს არის ბიუროკრატიზმი. („საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე.ა. შევარდნაძის მოხსენება. 1976 წლის 22 იანვარი", თბილისი, საქართველოს კპ ცკ-ის გამ-ბა, 1976, გვ. 144).

131. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა სხვადასხვა ჯურის სეპარატისტებს მომავალში ყოველგვარი სურვილი გაუქრეთ გაიმეორონ ისეთი დანაშაულებანი, რასაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთში. („საქართველოს რესპუბლიკა", №247, 1996 წლის 10 დეკემბერი, გვ. 1).

132. ...ყოველგვარ ხარვეზს, ყოველგვარ წინდაუხედავ მოქმედებას დაუყოვნებლივ მოსდევს ხოლმე სერიოზული შედეგები. („კომუნისტი", №219, 1983 წლის 22 სექტემბერი, გვ. 2).

133. შეუძლებელია, აშენო დემოკრატიული ინსტიტუტები ცარიელი კუჭისა და დაცარიელებული სულის ამარა. („საქართველოს რესპუბლიკა", №172-175, 1997 წლის 24 ივლისი, გვ. 32).

134. ...შიშველი პატრიოტიზმით ომისკენ მოწოდება ეროვნული ინტერესებით სპეკულაციაა. ომზე უნდა ილაპარაკო მაშინ, როცა მზად ხარ მისთვის. („საქართველოს რესპუბლიკა", №275, 1997 წლის 4 ნოემბერი, გვ. 3).

---

* თარგმნილია გაზეთიდან: „ლიტერატურნაია გაზეტა", №16, 1990 წლის 18 აპრილი, გვ. 9 (შემდგ).
** თარგმნილია გაზეთიდან: „იზვესტია", №12, 1984 წლის 12 იანვარი, გვ. 3 (შემდგ.).

135. ჩაციებით შეცდომების ძიება არ ივარგებს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №87, 1997 წლის 17 აპრილი, გვ. 2).

136. ჩვენდა სავალალოდ, დახურულ, არასამართლებრივ საზოგადოებაში ადამიანისთვის ცილის დაწამება დიდად არ უჭირთ და ყველას როდი აქვს საშუალება, რომ უსამართლოდ მოცხებული ჩირქი მოიშოროს. ეს ბევრს დამართვია... (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 69).

137. ჩვენი საქმიანობის ბევრი ნაკლი და ხარვეზი "თეორიული დეფიციტის" შედეგია. ეს ეხება ხელისუფლების ყველა შტოს და იერარქიულ დონეს.

ცხოვრებაში შემოდის ახალი ტიპის ბიუროკრატი, რომელიც ცდილობს თავისი სუბიექტური მენტალიტეტით, უთეორიო " ვიწრო პრაქტიციზმით", "ვიწრო პრაგმატიზმით" შეცვალოს მეცნიერება, თეორია, მეთოდოლოგია, ეროვნული და მსოფლიო გამოცდილება. ეს სოციალურად საშიში მოვლენაა. დიდი ილიასი არ იყოს: არც მხოლოდ წიგნებიდან გამოხედვა ვარგა, მაგრამ უწიგნურობა მთლად დამღუპველია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №124, 1997 წლის 31 მაისი, გვ. 3).

138. ... ჩვენს პირობებში კორუფცია მხოლოდ მატერიალური და ეკონომიკური ნეგატივი არ არის. იგი ხელს უწყობს სოციალური უსამართლობისა და უკანონობის დამკვიდრებას, რადგან კორუფციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი და შედეგია ერთთათვის უკანონო შეღავათებით სარგებლობა და მეორეთათვის კანონით მინიჭებული უფლების შეზღუდვა. ამგვარ პირობებში შემთხვევითი არ არის, რომ მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილის ცნობიერებაში დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა უკანონობისა და განუკითხაობის სინონიმად იქცა. ეს ძალიან საშიში პროცესია. ამიტომ არის სასწრაფო ზომების მიღება აუცილებელი. ("საქართველოს რესპუბლიკა", №25, 1997 წლის 1 თებერვალი, გვ. 2).

139. ცალკეული პირებისა თუ ორგანიზაციებისათვის შეღავათების გაწევა ნათესაური, თუ მეგობრული კავშირების საფუძველზე ყოვლად დაუშვებელია და ბანდიტიზმის, სახელმწიფოს ძარცვის ტოლფასია. ("საქართველოს რესპუბლიკა", №4, 1998 წლის 6 იანვარი, გვ. 2).

140. ცდება ის, ვისაც ჰუმანიზმად მიაჩნია ბოროტი დანაშაულის პატიება. ("საქართველოს კომუნისტი", №11, 1966, გვ. 52).

141. ...ძალა, რომელიც ხელყოფს ჟურნალისტთა სიცოცხლეს, საფრთხეს უქმნის მშვიდობას, თავისუფლებასა და დემოკრატიას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №242, 1993 წლის 9 ნოემბერი, გვ. 1).

142. ...ძალადობასა და მოსყიდვაზე დამყარებული, და ამ ბაზაზე გამართული არჩევნები, მისი შედეგები მომავალში ძალადობასვე

დაკანონებს — ცალკეული კლანებისა და კრიმინალების ძალადობას. ("საქართველოს რესპუბლიკა", №71, 1995 წლის 27 ივნისი, გვ. 2).

143. ძალმომრეობა შობს ძალმომრეობას, სისასტიკე ამრავლებს სისასტიკეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №40, 1994 წლის 15 მარტი, გვ. 2).

144. ძნელია დისკუსიის გამართვა, როცა დისკუსიის საგანს განზრახ ანგრევენ ჯავშნის გამანადგურებელი დოგმის დარტყმებით. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 109).

145. ...წარსულში რაიმეს განსჯა ნიშნავდა ვინმეს დასჯას, ვინმესთვის სამსჯავროს მოწყობას. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 203).

146. წესრიგისა და წესიერების ურამყოფელი "ნება" არის "არათავისუფლება" შეგნებისა და ქცევისა. და მისი მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლების აღმკვეთი საშუალებებით, ანუ ძალმომრეობით. ეს კი ყველაფრის აღსასრულია. (ე. შევარდნაძე, "ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად", თბილისი, გამ-ბა "განათლება", 1992, გვ. 18).

147. წიგნების დაწვაზე ამაზრზენი მოვლენა არ არსებობს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №60, 1992 წლის 14 აპრილი, გვ. 2).

148. ჭეშმარიტი პატრიოტი ვერ იქნება თავისთავზე დიდი წარმოდგენის ადამიანი. ("კომუნისტი", №133, 1974 წლის 9 ივნისი, გვ. 2).

149. ხალხის, ერის ყოველგვარ მისწრაფებას კარჩაკეტილობისა და განცალკევებისადმი, ჩვეულებრივ შედეგად მოსდევს ჩამორჩენილობა, პროვინციალიზმი.* ("საქართველოს კომუნისტი", №10, 1980, გვ. 12).

150. (1995 წლის 29 აგვისტოს ტერორისტული აქტი — შემდგ.)... იყო არა პიროვნების, არამედ ერისა და ქვეყნის წინააღმდეგ ბოროტად ჩაფიქრებული და განხორციელებული აქცია. საბედნიეროდ, როგორც იტყვიან, გვიხსნა განგებამ და ჩემი აზრით, ამით შეუქცევადი გახადა საქართველოს აღორძინების გარანტიების ჩამოყალიბება. 29 აგვისტოს ტერორისტული აქტი იყო ბოროტი თესლის უკანასკნელი გაბრძოლება საქართველოში. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მინდა მჯეროდეს. ("საქართველოს რესპუბლიკა", №209, 1997 წლის 26 აგვისტო, გვ. 2).

151. Если не остановить экстремистский сепаратизм, мир ожидает дробление и распад, перенос анархии и хаоса за черту XXI века. ("Независимая газета", №192, 6 октября 1992 года, стр. 5).

152. ...когда говорят неправду - это самое плохое. Это недопустимо. ("Вечерный Тбилиси", №80, 9 апреля 1990 года, стр. 2).

153. Сепаратизм невосприимчив к диалогу и компромиссам... Сепаратизм не желает переговоров, отвергает методы рациональной

* თარგმნილია გაზეთიდან: "ლიტერატურნაია გაზეტა", №38, 1980 წლის 17 სექტემბერი, გვ. 2 (შემდგ.).

политики, срывает выполнение соглашении. (“Независимая газета”, №192, 6 октября 1992 года, стр. 5).

154. Сепаратистов и экстремистов ждет черная перспектива. (“Литературная Грузия”, №1, 1993 , стр. 130).

66
32
შ 392

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორი ქ. თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ე

გამომცემლობა "საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

დაიბეჭდა შ.პ.ს. "სტიმული - 87"
თბილისი, ქეთევან წამებულის 68

415

F 107.567
3